

გეომეტრია


114/3

1997



11-12

1997



1997 წლის 26 ოქტომბერს მიუღლოდნელად გარდაიცვალა თანამედროვეობის გამორჩენილი მწერალი და საზოგადო მოღვაწე, ჟურნალ „მნათობას“ მთავარი რედაქტორი, შოთა რუსთაველას, სახელმწიფო და ვალაკტიონ ტაბიძის პრემიების ლაურეატი **არნოლ სულაკაური**.

ენათობი



წელიწადი 73-ე

№ 11-12

1997 წელი

საქართველოს შვირალთა კავშირის ორგანო

შინაარსი

გამოსათხოვარი 4

პროზა, პოეზია

მომხან ლაბანიძე — ლექსები	43
ვახტანგ ზეიდიძე — ჩვენი სურათის პარადოქსები, მოგონებანი, გაგრძელება *	49
იშვარ კვიციანი — ლექსები	64
მინხილ ანთაძე — ყველა ზღა რომში მიდის, მოთხრობა	71
თამარ დავუვილი — ლექსები	79
შალვა ზედალნიშვილი — ლექსები	82
შალვა ფორჩხიძე — ლექსები	84
თამარ ჩიჭავაძე — ჩვენებურები, მოთხრობები	87
შალვა საბაშვილი — ლექსები	95
ირაკლი სამსონაძე — იმ, სადაც ღვაკად მოედინება... პიესა	96

კრიტიკა, კულტურისტიკა

გრიგოლ ფარაძე — სწლიური ცხოვრება დღევანდელ საქართველოში შხატავული ლიტერატურის სარკეში, თარგმანი თამარ ჭუმბურიძე	147
ნათელა თნაშვილი — გიორგი ლომიძე	162
რევაზ კვიციანი — საქართველოს შვირალთა კავშირი 1917—1997, გაგრძელება	173
ოთარ ჯანელიძე — დავაობა რომ გვქონოდა, გავიმარჯვებდით	191
მანია არაველიძე — „კატარა კახის“ ისტორიული და ფოლკლორული წყაროები	209
ქეთევან გარდაშხაძე — ზოგიერთი ანტიკური ლიტერატურათმცოდნეობით — სტილიზტიკური ტერმინის ფორმირებისათვის	209
ელეონორა გვრიტიშვილი — წერილები	214
მარინე ჯანიანი — დავით ჩოტუა და ბაზეთი „დროება“	233
ნინო კუჭავა — ვაძა-ფსაველას პროზა „ნაპაღულში“	239
მეშაბა ზანთარია — ხელის ქოლტის შესახებ ვაძა-ფსაველას შემოქმედებანი	243

მეცნიერება

დინარა ჩაქვბაძე — განსრულებული გოლოდინი 251

ფაქტები, მოვონებები

შინსტონ ჩიჩილი — მემორანდი. ნაწილები წიგნიდან „მეორე მსოფლიო ომი“, გაგრძელება, ინგლისურად თარგმანი რუსულად მანიაძე	260
მერაბ „ენათობის“ 1997 წლის ნომრების შინაარსი	265



არჩილ სულაკაური

მხოლოდ ერთხელ

გიორგი ლეონიძის გახსენება

მინდა, ზერები გაზაფხულის
ღრუბელს მოვაწვიმინო,
ვაი, როგორ გაფრენილა
ჩემი ჟღალი მიმინო?

მივდივარ და ხად მივდივარ,
ხადური ხაითა?
ლულო ერთხელ გავიტანე,
განა კიდევ გავიტანე?!

გუშბათს ერთხელ ჩამოვკიდე
შოგუგუნე ზარები
და დარუბანდს მხოლოდ ერთხელ
ჩამოვხსენი კარები.

მხოლოდ ერთხელ აღვაშენე
სვეტიცხოვლის ტაძარი
და ლაშქარი დიდგორისკენ
მხოლოდ ერთხელ დაეძარი.

მხოლოდ ერთხელ დამეხიზმრა
სიყვარულის სიზმარი
და განმეხუნა ერთხელ მხოლოდ
კარნი სამოთხისანი.

მინდა, ზერები გაზაფხულის
ღრუბელს მოვაწვიმინო,

ვაი, როგორ გაფრენილა
ჩემი ჟღალი მიმინო?!

ხადური ხად გაფრინდა,
ვის ცერზე ზის ტიალი,
ვის შუედგა და ვის ასმევს
შარბათს ოქროს ფიალით?

ახლა გუშბათს მან დაჰკიდოს
შოგუგუნე ზარები
და დარუბანდს ახლა ერთხელ
მან ჩამოხსნას კარები!

ახლა სხვამან აღაშენოს
სვეტიცხოვლის ტაძარი
და ლაშქარი დასძრას დიდგორს,
როგორც ერთხელ დაეძარი!

ახლა სხვასაც დაეხიზმროს
სიყვარულის სიზმარი
და განეხუნეს ერთხელ სხვასაც
კარნი სამოთხისანი!

მინდა, ზერები გაზაფხულის
ღრუბელს მოვაწვიმინო,
ვაი, როგორ გაფრენილა
ჩემი ჟღალი მიმინო!





ეროვნული
ბიბლიოთეკა

ბიბლიოთეკა

საქართველოს ბიბლიოთეკების კავშირი

- 1. საქართველოს ბიბლიოთეკების კავშირი
- 2. საქართველოს ბიბლიოთეკების კავშირი
- 3. საქართველოს ბიბლიოთეკების კავშირი
- 4. საქართველოს ბიბლიოთეკების კავშირი
- 5. საქართველოს ბიბლიოთეკების კავშირი
- 6. საქართველოს ბიბლიოთეკების კავშირი
- 7. საქართველოს ბიბლიოთეკების კავშირი
- 8. საქართველოს ბიბლიოთეკების კავშირი
- 9. საქართველოს ბიბლიოთეკების კავშირი
- 10. საქართველოს ბიბლიოთეკების კავშირი

საქართველოს ბიბლიოთეკების კავშირი

- 11. საქართველოს ბიბლიოთეკების კავშირი
- 12. საქართველოს ბიბლიოთეკების კავშირი
- 13. საქართველოს ბიბლიოთეკების კავშირი
- 14. საქართველოს ბიბლიოთეკების კავშირი
- 15. საქართველოს ბიბლიოთეკების კავშირი
- 16. საქართველოს ბიბლიოთეკების კავშირი
- 17. საქართველოს ბიბლიოთეკების კავშირი
- 18. საქართველოს ბიბლიოთეკების კავშირი
- 19. საქართველოს ბიბლიოთეკების კავშირი
- 20. საქართველოს ბიბლიოთეკების კავშირი

შთავარი რედაქტორი

არჩილ სულაკაური

სარედაქციო კოლეგია:

რეზო ამასუკელი, მერაბ ბერძენიშვილი, გურამ გვერდნითელი, გურამ ღოჩანაშვილი, გენო კალანდია, მურმან ლებანიძე, ელგუჯა მალრაძე, ლადო მრეღაშვილი, ვიორჯი ნატროშვილი, რამაზ პატარიძე, ჯანსუღ ჩარკვიანი, ვაჟა ჩორდელი (პასუხისმგებელი მდივანი), ნოდარ წულუისკერი, ოთარ შილაძე, ფრიდონ ხალვაში, ბესიკ ხარანაული, რევაზ ჯაფარიძე.



ინფორმაცია

არჩილ სულაკაურის ხსოვნას

გამორჩეული და ღირსეული პიროვნების სიკვდილი ყოველთვის დიდ ტკივილად გახშიანდება ხოლმე ადამიანის სულში, მით უფრო, თუ ასეთ პიროვნებასთან თანამშრომლობისა და ერთად ბრძოლის წლები გაკავშირებს, მაგრამ ეს ტკივილი ბევრად მძაფრია და გაუსაძლისი, თუ ამ სიკვდილთან შეწვევაც ვერ მოასწარი. როდესაც არჩილ სულაკაურის მოულოდნელი გარდაცვალების ამბავი შევიტყვე, სწორედ ამ მძაფრმა და გაუსაძლისმა ტკივილმა ამავესო.

აღარ არის ჩვენთან შესანიშნავი ქართველი მწერალი, იმ ნაწარმოებთა შემქმნელი, რომელთაც არა მარტო გამოხატეს ჩვენი დროის წამყვანი ტენდენციები, არამედ მნიშვნელოვანწილად განსაზღვრეს კიდევ ჩვენი მწერლობისა და ჩვენი ფოფის განვითარების ესა თუ ის გზა. არჩილ სულაკაურის სახით ჩვენ მხოლოდ განუმეორებელი პიროვნება კი არ დაგვაკლდა და არც მხოლოდ დიდი მწერალი, არამედ იმ მოლოდინის ჯადოსნური განცდაც, რომელსაც მუდმივად ველოდით ამ ღრმა ადამიანისაგან.

მისი ნაწარმოებები ჩვენი სულიერი საგანძურის ის სიმდიდრეა, რომელიც მუდამ აამაღლებს ბავშვებსაც და უფროსებსაც, მაგრამ ჩვენ მასთან უშუალო ურთიერთობის დანაკლისს მაინც ვერაფერი ვერ აკვინაზდაურებს.

როცა ჭეშმარიტი შემოქმედი შიდა ცხოვრებიდან, მისი ადგილი ყოველთვის შეუვსებელი რჩება.

ჩვენს სულს კიდევ ერთ უკუნებელ ტკივილად დაანნდება არჩილ სულაკაურის ამ ქვეყნიდან წასვლა.

ერთადერთი ნუგეში ისაა, რომ მან პირნათლად მოიხადა ვალი ქვეყნის წინაშე და იგი წინაპრებს სახელიანი და ხელდამშვენებული მიუტოვა.

ელშარდ შივარდნაძე

30.10.97 წ.

არჩილ სულაკაური

ქართულმა მწერლობამ, მთელმა ქართულმა საზოგადოებრიობამ კიდევ ერთი თვალსაჩინო შემოქმედი დაკარგა. გარდაიცვალა გამოჩენილი ქართველი მწერალი და საზოგადო მოღვაწე, რუსთაველისა და სახელმწიფო პრემიების ლაურეატი, ღირსების ორდენის კავალერი არჩილ სამსონის ძე სულაკაური.

ნახევარი საუკუნის მანძილზე ამშვენებდა არჩილ სულაკაურის თავისთავადი, დახვეწილი და მაღალნიჭიერი შემოქმედება ქართული მწერლობის საგანძურს. მის



ყოველ ნაწარმოებს მოუთმენლად ელოდა ქართველი მკითხველი, დიდი დღე ტარაც.

არჩილ სულაკაური იმ მწერალთა რიცხვს განეკუთვნება, რომლებიც თავიანთი შემოქმედებით განსაზღვრავენ ეროვნული ლიტერატურის დონეს. მთელი მისი შემოქმედება ქართული მწერლობის საუკეთესო ტრადიციებითაა ნასაზრდოები და სამშობლოს სიყვარულითა და უკეთესი მომავლისადმი რწმენით არის გაფენთილი. მის პოეზიასა და პროზაში ადამიანი თავისუფლდება იმ არტახები-საგან, რომელშიც იგი ტოტალიტარულ რეჟიმს ჰყავდა მოქცეული. განთავისუფლების ეს პროცესი ხშირად ტრაგიკული იყო და ამძლვებული. არჩილ სულაკაურის მოთხრობები „ბიჭი და ძაღლი“, „მტრედები“, „ლუკა“, „აბელის დაბრუნება“, „ბრმა ლეკვები ივანე ბერიტაშვილისათვის“, „წყალდიდობა“ და მისი რომანები „ოქროს თევზი“, „თეთრი ცხენი“ სწორედ ამიტომ შეიფარა ქართველმა მკითხველმა. მისი ნაწარმოებებიც გმირები, თითქმის უკლებლივ, სიკეთის დამკვიდრებას ემსახურებიან. მწერლის სცენარების მიხედვით არაერთი საინტერესო ფილმიცა გადაღებული. მის შემოქმედებას დიდი ინტერესით ეზიარა უცხოელი მკითხველიც.

შემოქმედებითი მოღვაწეობის გარდა, არჩილ სულაკაური ნაყოფიერ საზოგადოებრივ მოღვაწეობას ეწეოდა. იგი მუშაობდა ჟურნალ „მნათობის“ პროზისა და პოეზიის განყოფილების გამგედ და პასუხისმგებელ მდივნად, ხოლო შემდეგ, 1982 წლიდან სიცოცხლის ბოლომდე — მთავარ რედაქტორად. სათავეში ედგა გამოცემლობა „ნაკადულს“ და როგორც დირექტორი, წარმატებით ემსახურებოდა ქართული საბავშვო წიგნის გამოცემას.

არჩილ სულაკაურის სახით საქართველომ დაკარგა სასიკაძულო მამულიშვილი, შესანიშნავი მწერალი და ჭეშმარიტი მოქალაქე.

კიდევ ერთი ღირსეული კაცი შეემატა ზეციურ საქართველოს. მსუბუქი ყოფილიყოს მისთვის მშობლური მიწა.

- ე. შევარდნაძე, ზ. ფვანია, ნ. ლეკიშვილი, ი. ანდრიაძე, ე. ახათიანი, ჭ. ამირეჯიბი, კ. იმედაშვილი, თ. კვაჭანტირაძე, მ. ლუბანიძე, ე. მღრნაძე, დ. მჭედლური, რ. მიმინოშვილი, ე. შენგელაია, ზ. შენგელია ბ. შოშიტაიშვილი, ჯ. ჩარკვიანი, თ. წიფწივაძე, რ. ჭეიშვილი.

რჩენი არჩილი

თანამედროვე ქართულმა მწერლობამ, ქართველმა ხალხმა დიდა დანაკლისი განიცადა.

გარდაიცვალა თანამედროვეობის გამორჩენილი მწერალი და საზოგადო მოღვაწე არჩილ სამსონის ძე სულაკაური.

ნახევარი საუკუნის მანძილზე არჩილ სულაკაურის თვითმყოფადი და თავისთავადი შემოქმედება ამშვენებდა ქართული მწერლობის საგანძურს, ახალი ფერებითა და სახეებით ამდიდრებდა მას. ქართველი მკითხველი მუდამ ცხოველი ინტერესით ელოდა მწერლის ყოველი ახალი ნაწარმოების გამოჩენას, რადგანაც იცოდა, რომ არჩილ სულაკაური იმ მცირერიცხოვან შემოქმედთა ჯგუფს განეკუთვნებოდა, რომელიც ფაქტიურად განსაზღვრავდა XX საუკუნის მეორე ნახევრის ქართული ლიტერატურის დონეს. ამავე დროს მისი ყოველი სტრიქონი, ყოველი ნაწარმოები უკეთესი საქართველოს რწმენითა და იმედით იყო გამსჭვალული და იმ უკეთესი საქართველოს მოახლოებას ემსახურებოდა.

არჩილ სულაკაური დაიბადა 1927 წლის 15 თებერვალს თბილისში, სამშა-
ლო სკოლის დამთავრებისთანავე, 1946 წელს, იგი ჩაირიცხა თბილისის სახელ-
მწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტის სტუდენტად, რომელიც
1951 წელს დაასრულა. 1951-1954 წლებში არჩილ სულაკაური სწავლობდა ას-
პირანტურაში, რომელიც წარმატებით დაამთავრა. მას შემდეგ იგი ნაყოფიერ სა-
ზოგადოებრივ მოღვაწეობას ეწეოდა. 1957-1973 წლებში მუშაობდა ჟურნალ „მნა-
თობის“ პროზისა და პოეზიის განყოფილების გამგედ და პასუხისმგებელ მდივ-
ნად. 1973-1982 წლებში სათავეში ედგა გამომცემლობა „ნაკადულს“ და როგორც
დირექტორი უშურველად ემსახურებოდა ქართული საბავშვო წიგნის გამოცემას,
საბავშვო ლიტერატურის წინსვლასა და აყვავებას. 1982 წელს იგი მთავარ რე-
დაქტორად დაუბრუნდა ჟურნალ „მნათობს“ და გარდაცვალებამდე ხელმძღვანე-
ლობდა. ამ ურთულეს წლებში არჩილ სულაკაურს ცდა არ დაუკლია, რათა ჟურ-
ნალი „მნათობი“ ჭეშმარიტი ფლავიანის ყოფილიყო თანამედროვე ქართული მწე-
რლობისა და ღირსეულად წარმოეჩინა მისი განვითარების დონე. მიუხედავად არ-
ნახული ვაჭირებისა, არნახული სიძნელეებისა, არჩილ სულაკაურმა შეძლო
„მნათობის“ გადარჩენა და მისი სახის შენარჩუნება...

არჩილ სულაკაური სამწერლო სარბიელზე 1946 წელს, მეორე მსოფლიო ომ-
ის დამთავრებისთანავე გამოვიდა, როდესაც გაზულ „ლიტერატურულ საქართვე-
ლოში“ დაიბეჭდა მისი პირველი ლექსები. ლექსები ფეხბედნიერი აღმოჩნდა და
პოეზიით განებივრებულ გემოვნებიან ქართულ მკითხველს ახალი, თვითმყოფა-
დი შემოქმედის დაბადება ამცნო, შემოქმედისა, რომლის პოეზია ეროვნული ლი-
ტერატურის ფეხებზე ამოზრდილიყო. ამავე დროს ეს პოეზია ნოვატორობის
უტყუარი ნიშნითაც იყო აღბეჭდილი.

არჩილ სულაკაურის პოეზიის უპირველეს დანიშნულებას მშობელი ქვეყნის,
მშობელი ერის უანგარო სამსახური წარმოადგენს. სწორედ ამ გრძნობითაა გაჟ-
ღენითლი მწერლის ყველა პოეტური კრებული — „ჩემი ქუჩის დღესასწაული“,
„ლექსები“, „საგზაო“, „ოთხივე მხრიდან“, „შემოდგომის მზე“...

ამავე დროს ბრწყინვალე პროზა დაუტოვა სახსოვრად მშობელ ქვეყანას. მკი-
თხველმა შეიფარა მისი პირველივე მოთხრობა „ტალღები ნაპირისაკენ მიისწ-
რაფვიან“, შეიფარა მასში გამოკვეთილი მძაფრი მოქალაქეობრივი და ზნეობრი-
ვი პათოსისათვის, რაც მთელი მისი შემოქმედების ლაიტმოტივს წარმოადგენდა.

არჩილ სულაკაურის მოთხრობები („ბიჭი და ძაღლი“, „მტრედები“, „ლუ-
კა“, „აბელის დაბრუნება“, „ბრმა ლეკვები ივანე ბერიტაშვილისათვის“, „წყალ-
დიდობა“...) და რომანები („ოქროს თევზი“, „თეთრი ცხენი“) სამართლიანად
დამკვიდრდა ქართული მწერლობის საგანძურში.

არჩილ სულაკაურის ნაწარმოებების გმირები, ფსიქოლოგიურად დამაჯერე-
ბლად გამოკვეთილი პერსონაჟები, რომელთაც ზნეობრივი ტვირთის ზიდვა აკი-
ხრიათ, თითქმის უკლებლივ სიკეთის დამკვიდრებას ემსახურებიან. მათი ზნეობა
უთიკის სიღრმიდანაა ამოზრდილი.

დინჯი, დაკვირვებული თხრობის მანერა, ნათელი, გამჭვირვალე სტილი, ფა-
ქიზი ენობრივი ქსოვილი მნიშვნელოვანწილად განაპირობებდა მწერლის შემოქ-
მედებით გამარჯვებებს.

ქართული ბავშვების სამაგიდო წიგნებად იქცა არჩილ სულაკაურის ზღაპ-
რები „სალამურას თავგადასავალი“ და „ჯადოსნური კაბა“, რომლებშიც სამყა-
რის ზღაპრული, პოეტური აღქმა კარგადაა შენივთებული რეალურ სინამდვი-
ლესთან. სწორედ ამ გარემოებამ დიდებისთვისაც ფრიად საყურადღებო გახადა ეს
მნიშვნელოვანი ნაწარმოებები.



არჩილ სულაკაურის სცენარების მიხედვით არაერთი ნაინტერესო მხატვრული ფილმი გადაიღო კინოსტუდია „ქართულმა ფილმმა“.

არჩილ სულაკაურის მრავალფეროვან და მრავალწახნაგოვან შემოქმედებას ინტერესით ეზიარა ინგლისელი, ფრანგი, გერმანელი, რუსი, უნგრელი, ჩეხი, ბულგარელი, პოლონელი მკითხველიც.

არჩილ სულაკაურის შემოქმედება წარმოადგენს XX საუკუნის მიწურულს მოახროვნე მოქალაქის დაფიქრებას სამყაროზე, ადამიანის სულის გადარჩენაზე ზნეობაზე, ბოროტისა და კეთილის მარადიულ ბრძოლაზე. სწორედ ბოროტების, უზნეობის და უხამსობის წინააღმდეგაა მიმართული დიდი მხატვრული ძალით აღბეჭდილი პოემა არჩილ სულაკაურისა „ანდერძი“, რომელშიც ძალუმაღ გამომწვანდა მწერლის მოქალაქეობრივი მრწამსი.

არჩილ სულაკაური დიდი პიროვნება გახლდათ, დინჯი, დარბაისელი, მუდამ სამშობლოს ბედზე დაფიქრებული..

მისი ღვაწლი, სამშობლოს ერთგული შეილის ღვაწლი, ღირსეულად დაფასდა. მას მინიჭებული ჰქონდა შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო პრემია — უპირველესი და უძვირფასესი ჯილდო ყველა ქართველი შემოქმედისათვის. გულით გაუხარდა, როცა მის უამრავ ჯილდოებს ამასწინათ ღირსების ორდენი — თავისუფალი და სუვერენული საქართველოს ერთ-ერთი უპირველესი ორდენი შეემატა. მინიჭებული ჰქონდა საქართველოს სახელმწიფო პრემია.

დიდა ჩვენი მწუხარება, ნუგეშად ისღა გვრჩება, რომ ამიერიდან მისი სული ზეციურ საქართველოს შეუერთდება და იქიდან დაიცავს მის სათაყვანებელ სამშობლოს.

ჭაბუა ამირეჯიბი, რეზო ამაშუკელი, ზაზა აბზიანიძე, გივი აღხაზიშვილი, გურამ ბენაშვილი, ბაჩანა ბრეგვაძე, გურამ გეგეშიძე, გივი გეგეჭკორი, გურამ გვერდწითელი, ვაჟა გიგაშვილი, ნოდარ გურეშიძე, გურამ ღონანაშვილი, შოთა ზოიძე, ლაშა თაბუკაშვილი, რევაზ თვარაძე, ჯუმბერ თითუმერი, კობა იმედაშვილი, ოტია იოსელიანი, ანა კალანდაძე, ვენო კალანდია, ზაურ კალანდია, თამაზ კვაჭანტირაძე, ემზარ კვიციანიშვილი, თეიმურაზ ლანჩავა, მურმან ლეზანიძე, დათო მადრაძე, ელგუჯა მადრაძე, ლადო მრელაშვილი, დავით მჭედლური, გიორგი ნატროშვილი, შოთა ნიშნიანიძე, ანზორ სალუქვაძე, ლია სტურუა, მიხეილ ქელიძე, ჯანსუღ ღვინჯილია, ნუგზარ შატაიძე, ჯანსუღ ჩარკვიანი, ოთარ ჩხეიძე, თამაზ ჩხენკელი, ნუგზარ წერეთელი, თამაზ წიფწივაძე, გიორგი ციციანიშვილი, ტარიელ ჭანტურია, რეზო ჭეიშვილი, ვახტანგ ჭვლიძე, ოთარ ჭვლიძე, ოთარ ჭილაძე, თამაზ ჭილაძე, ფრიდონ ხალვაში, ბესიკ ხარანაული, შირონ ხერგიანი, გიორგი ხუხაშვილი, ვახტანგ ჯავახაძე, რევაზ ჯაფარიძე, ჯემალ ჯაყელი.

თავისუფლების კულტის მსახური

არჩილ სულაკაურმა ამქვეყნიური არსებობა ისე მოულოდნელად დაასრულა, რომ ტკივილმა ვერ მოასწრო მის სხეულში შეღწევა.

ტკივილი ჩვენ დაგვრჩა მოსანელებლად.

ლიტერატურის სამყაროში დრო და არსებობა ფარდობითი ცნებებია და ღმერთმა უწყის, უფრო მეტი წილი არჩილ სულაკაურის არსებისა საიქიოს არის თუ სააქაოს. ყოველ შემთხვევაში, ამქვეყნად დარჩა მისი შესანიშნავი შემოქმედება, მისი ნაღვაწი, სახელი, კაიკაცობა — საუკუნო სიცოცხლის ვარანტია.

სიცოცხლისა და თავისუფლების კულტის დამკვიდრებას ემსახურება მისი სიტყვა ტოტალიტარიზმის ზეობის პერიოდიდან დღემდე და დღეის იქითაც.

ვინც მას ახლოს იცნობდა, არ შეიძლება არ შეემჩნია, რომ თავისუფლებისაკენ სწრაფვა მისი ბედისწერა, მისი შინაგანი პასუხისმგებლობა, მისი შემკვიდრებითი ვალი იყო და კიდევ მოელი არსებით, ჯიუტად მიემართებოდა თავისუფლებისაკენ, როგორც ბიბლიური დევნილი აღთქმული ქვეყნისაკენ და ამ ძნელ, ეკლიან გზაზე წამითაც არ დაუკარგავს რწმენა, არ გასჩენია ეჭვი და უიმედობა, მისი გადაძვლები ოპტიმიზმის წინაშე უძლური იყო ყოველგვარი სკეფსისი და „რეალისტური“ კონფორმიზმი.

არჩილ სულაკაურის სულიერი წყობა ყოველმხრივ ამჟღავნებდა ბუნებრივ კავშირს წინაპართა ზნეობრივ ტრადიციებთან და ამიტომაც იყო შინაგანად მტკიცე, უკომპრომისო, ღირსებით აღსავსე, სხვისი ღირსების დამფასებელი. ისე უფრთხილდებოდა ადამიანურ ფასეულობებს, როგორც პოეტურ სტრიქონს. ის იყო კაცი, რომელიც გამუდმებით თავის თავს ეძებდა და ჰქონდა იმის უნარიც, რომ გამოეხატა პოვნისა თუ მივსების უნრდილო ბედნიერება.

არჩილ სულაკაური ერთნაირი შემართებით მოღვაწეობდა როგორც მწერლობაში, ისე საზოგადოებრივ ასპარეზზე, მაგრამ, აქედან გამომდინარე, ორი ცხოვრებით არასოდეს უცხოვრია, მწერლობა და საზოგადოება არ დაუყვია სხვადასხვა სფეროებად, არ გაორებულა, ერთი იყო მისი მრწამსი, მთლიანი იყო მისი ბუნება, და მხოლოდ სიკვდილმა შეძლო მისი არსების განწყვალუბა: მარადისობაშია მისი ნათელი სული, ამქვეყნად — მისი ნათელი სიტყვა.

ლიტერატურული გაერთიანება „ოტარიდი“

მნარე სინამდვილა!

რამდენიმე თვის წინ „ლიტერატურულ საქართველოში“, რომელიც ისევე მთლიანად დაეთმო ოტარიდელებს, გამოქვეყნდა შენი ერთი უსათაურო ლექსი, რომელსაც ახეთი მინაწერი ჰქონდა „კაფე „თბილისის“ ნოსტალგია“. შახსოვს, ლექსმა... რატომღაც თავზარდამცემი შთაბეჭდილება მოახდინა ჩემზე, — ამაფორიაქა, შემაშფოთა რაღაცამ.

მინდა ლექსი უმნიშვნელო შემოკლებით (მომიტყევეს შენი სული!) შევახსენო მკითხველს: „მოჩვენებაა თუ სიზმარი, სულერთია, რაც უნდა იყოს, მე ნათლად ვხედავ. მთურალი ლანდი, — ცხადია, ჩემი, დაბორიანლებს იმ კაფეში, რომელიც ახლა დანგრეულია, — დაბორიანლებს... თამბაქოს ბოლით და ალკოჰოლით გაბრუნებულ ინტერიერში, მაგიდებშორის დადის, — დაბინდულ მშერით ეძებს მეგობრებს და ვერ პოულობს. ვერც იპოვნის, რადგან ისინი, დიდი ხანია, სხვაგან, ჩრდილების ქვეყანაში გადასახლდნენ და დაიმკვიდრეს სამკვიდრებელი... მათ ალბათ უკვირთო, რომ არ ვეძებ იქ, სადაც წესით უნდა ვეძებდე“...

ლექსი თითქოს გაქვნილი იყო იმ ავის მომასწავებელი, საშინელი წინათგრძნობით, რომელიც ალბათ მალე უნდა აღსრულებულიყო... აღსრულდა კიდევ! შენ იპოვნე შენი მეგობრები და დასახლდი მათთან ერთად „სამუდამო მხარეში“, — ჩრდილების ქვეყანაში...

ეს, სამწუხაროდ, არც მოჩვენებაა და არც სიზმარი, ჩემო არჩილ, ეს უკვე მწარე სინამდვილეა! მშვიდობით!



გმადლობთ, ქაო არჩილ!

„ემა, როგორ გაფრენილა“

ჩემი ძალი მიმინო.“

ა. ხულაკაური

გმადლობი იმისთვის, რომ ქართველ ერს უკედავი პოეზია და პროზა დაუტოვე; გმადლობ, რომ სიცოცხლე სიკეთის თესვას მოანდომე; გმადლობ, რომ მრავალ ადამიანს ვაყვავობის, მოქალაქეობისა და სამშობლოს პირობუნელი სამსახურის მაგალითი უჩვენე; იმისთვისაც გმადლობ, რომ ხულაკაურთა სახელოვანი გვარის სინდის-ნამუსი ღირსეულად ატარე და მას კიდევ ერთი საამაყო სახელი შესძინე; დიდი მადლობა, რომ ჩემი სამწერლო გზის პირველი დამლოცავი და მოამაგე ხარ.

ქართველი და უცხოელი მკითხველისთვის არაერთხელ მიაგზავნა, მაგრამ აქაც უნდა გავიმეორო, რომ ჩამომავლობამ იცოდეს, როგორი უნდა იყოს ადამიანი, როგორი იყავი შენ ახალგაზრდობაში და მთელი სიცოცხლის მანძილზე.

თექვსმეტწლიანი პატიმრობის შემდეგ 1959 წლის დეკემბრის ბოლოს დაუბრუნდი. იანვრის დასაწყისში „მნათობში“ პატარა მოთხრობა წავიდე. დერეფნის პირველივე კარი შევადე. ერთ-ერთმა ქალბატონმა ჩემს კითხვაზე, — მოთხრობა მოვიტანე, ვის უნდა მივმართო-მეთქი, არჩილ ხულაკაურთან მიმასწავლა, — პროზის განყოფილების გამგეაო. შევედი, ვიკითხე, — ბატონი არჩილ ხულაკაური რომელი ბრძანდებით-მეთქი? შუატანის, გატრეცილ, ნაცრისფერპალტოიანმა, წასახვლეულად გამზადებულმა, ახალგაზრდა კაცმა მითხრა, — მე ვახლაყართო.

ვაცნობე, რისთვისაც ვიყავი მისული. მითხრა, — დატოვეთ, ორი კვირის შემდეგ მობრძანდითო. პალტოს უბიდან მოთხრობა ამოვიღე, მაგიდაზე დაუდე. მოკეცილი ქალაღი გადაიშალა, არჩილმა თვალი შეავლო, ავტორის გვარსახელი წაიკითხა და მკითხა, — რომელი ჭაბუა ამირეჯიბი ბრძანდებითო? მიუუგე, — ხეზნია არა მყავს-მეთქი. დაბრძანდითო, თავდაც დაჯდა და კითხვას შეუდგა, რამდენიმე ადგილი ხელახლა გადაიკითხა, თავი ასწია და მითხრა:

— მწერალი ყოფილხარ, ძმაო!

„მნათობის“ რედაქტორი მაშინ ბატონი ხიმინ ჩიქოვანი იყო. არჩილმა მოთხრობა წაუღო, ნახევარი საათის მერე დაბრუნდა ვიზით, — „დაიბეჭდოს პირველ ნომერში ს. ჩიქოვანი“. იანვრის პირველი რიცხვები იყო და პირველი ნომერიც კაიხნის აწყობილი. არ ვიცი, არჩილმა ვისი რა ამოიღო, მაგრამ ჩემი პირველი მოთხრობა ათას ცხრას სამოცი წლის პირველ ნომერში გამოაქვეყნა...

ამ ორი თვის წინ „ლიტერატურულ საქართველოში“ სამოცდაათი წლისთავი მიულოცე. რა ვიცოდი, რომ ამ წერილსაც მალე დაწერდი!

ეს წელიწადი მწერლების სამგლოვიარო წელიწადია. ჯერ ზაურ ბოლქვაძე წავიდა, მერე გურამ ფანჯიკიძე. ახლა არჩილ ხულაკაური, არც ჩემი ჯერია შორს.

იქ გაავარძმელთ ჩვენი ძმობა, არჩილ ხულაკაური, დიდო კაცო, დიდო მწერალი, უებრო, ძმაცაო და უსაფვარლესო პიროვნება!

რა ადრე და მოულოდნელად წახვედი, არჩილ!

არჩილ სულაკაურს

დღეს მე პირველად, ძვირფასო არჩილ, მოუართვი ლექსი უშენო „მნათობს“, თითქოს უშენოდ მე გარეთ დავრჩი, და უშენობა მაწვიმს და მათოვს.

სიმღერად მიჩნდა სიკვდილი, ვფიცავ, და სიცოცხლესაც ხომ იმად ეუძელ, რომ შენი ზელით მოყრილი მიწა დამყვრებოდა ვარდებად გულზე.

არა, არ იყო ჯერ შენი ჯერი, რამ აგაჩქარა, სათნოე და დინჯო, — ვილას ეტკინოს სიკვდილი ჩემი, თუ ყველამ ასე დამმასწრო, ბიჭო?!

მაგრამ მე ვიცი, მოგვლა რა სენმაც: სამშობლოს ჭირმა ვაგზვია აღში, — შენ გაგაცილეს ლექსებმა შენმა და მწუხარენი დაბრუნდენ სახლში...

მარი აბრამიშვილი

აუნაზღაურებელი დანაკლისი

გოგი შატბერაშვილი რომ გარდაიცვალა გიორგი ლეონიძემ გამოსათხოვარ სიტყვაში თქვა — შენი ამქვეყნიდან მოულოდნელი წასვლით მხარი მოგვეტეხეო. ნიჭიერი კაცი მუდამ მარჯვედ და ზუსტად გადმოსცემს სათქმელს. არჩილ სულაკაურის მოულოდნელმა გარდაცვალებამ მართლაც რომ მხარი მოგვეტეხა მის ახლობლებსა და მეგობრებს, აუნაზღაურებელი დანაკლისი განიცადა ქართულმა მწერლობამ, მთელმა ქართველმა ხალხმა.

თავისი მრავალფეროვანი შემოქმედებით არჩილ სულაკაური ერთგული იყო ქართული მწერლობის დიდი ტრადიციებისა, მშობელი ხალხის სულისკვეთებას გამოხატავდა, ბოლო თვეებში გამოქვეყნებულმა მოთხრობების შესანიშნავმა ციკლმა კიდევ ერთხელ ცხადყო მწერლის ხალასი ნიჭის ძალა, დაგვარწმუნა, რომ მას კიდევ ბევრი ჰქონდა სათქმელი, და არაერთი ნიჭიერი ქმნილებით გაამდიდრებდა ქართულ მწერლობას. მით უფრო დასანანია მისი გარდაცვალება.

პუბლიცისტურ და პოლემიკურ წერილებში, რომლებიც დროდადრო იბეჭდებოდა ჩვენი გაზეთის ფურცლებზე, არჩილ სულაკაურს მუდამ სწორი ეროვნული პოზიცია ეჭირა. იგი დღევანდლობის სასიცოცხლო აქტუალურ საკითხებს ეხმაურებოდა, ვერ იტანდა ჩვენში ფეხმოკიდებულ პროვინციალიზმს, მახვილი სატირით საკადრისს მიუზღავედა პროვინციულ კუდაბზიკებას.

წლების განმავლობაში არჩილი ენერგიულად ხელმძღვანელობდა „მნათობს“. იგი ლიტერატურული ცხოვრებით ცხოვრობდა და სულდგმულობდა და ამითაც ჭეშმარიტი მოწაფე იყო თავისი მოძღვრისა და მასწავლებლის სიმონ ჩიქოვანისა, რომელსაც მუდამ ღირსეულ პატივს მიაგებდა.

წაიდა ჩვენგან შესანიშნავი მწერალი და მოქალაქე, ძვირფასი მეგობარი, ოჯახის მოსიყვარულე მეუღლე და მამა, ქართველი ხალხი არასოდეს დაივიწყებს თავის ღირსეულ შვილს.

პასტახნ ჭელიძე



გვზიღობით, კბაო არჩილ!

გული დამძიმებულია მოულოდნელი, სრულიად დაუგეგრებელი სიკვდილით! წარმოუდგენელია — აღარ გვყავს საყვარელი არჩილ სულაკაური — დიდი მნიშვნელობის კაცი ჩვენს ქართულ მწერლობაში, ჩვენს ქართულ კულტურაში, მთელ ჩვენს ქართულ საზოგადოებაში...

არჩილ სულაკაური მიდის და, ამავე დროს, სამუდამოდ რჩება ერის მუსიკურებაში, როგორც მაღალი მწერლური ხნეობისა და ურვევი საერო პრინციპების მამულიშვილი, კაცური ღირსებისა და თავმოყვარეობის გრძნობით შემკობილი პიროვნება, ამავე დროს ტოლერანტობის, უღალატობის, თავდადების გრძნობით დაჯილდოებული კაცი...

არჩილ სულაკაური იყო პიროვნება, რომელსაც ხაშიში კაცებისათვის შეეძლო პირში ეთქვა: — „მეფე — შიშველიაო!“

არჩილ სულაკაური ახლა სჭირდებოდა შეჭირვებულ თავის ქვეყანას, ახლა გვჭირდებოდა არჩილი ჩვენ, მის მეგობარ ქართველ მწერლებს, როგორც სიბრძნით დატვირთული კაცი და ქართული მწერლობის ჭკუისსაკითხავი მესვეურთაგანი...

სამუდამო ნათელი, ძმაო არჩილ, შენს სახელს!

მურმან ლეჟანიძე

გამოთხოვება უფროს კმასთან...

აღბათ, არასდროს არ ვყოფილვარ ისე უმწეო, როგორც ამ გამოსათხოვარის წერისას — ბოლოს ის წერილი მოვძებნე, ოცი წლის წინათ ორმოცდაათი წლისას რომ მივესალმე: „არჩილ სულაკაურის მეგობრებმა იციან: იგი უბადლო მებადურიცაა! არასდროს სწყინდება მას ამ თემაზე საუბარი — ჩვენი ჩანჩქერების ქება, ჩვენი თევზების ბუნებაზე კამათი, ჩვენი ტბებისა და მდინარეების გამო ფიქრი! და დღეს, ორმოცდაათი წლის მებადურს შეუძლია კმაყოფილი იყოს: რა სიმდიდრე მოპყლია მის ნახროლ ბაღეს — რა ლექსები! რა რომანები! რა ფილმები! რა მეგობრები.“

დღეს ეს მეგობრები უკანასკნელ გზაზე აცილებენ ქართული მწერლობის ერთ-ერთ მშვენივას...

მადლობა მას თავისი ლამაზი წუთისოფლისთვის, ლამაზი წიგნისთვის, სამშობლოს ერთგულებისთვის, ძმაკაცების სიყვარულისთვის, სიკეთის სამსახურისთვის, ათასობით გათეული დამისთვის, გადატანილი და გადაუტანელი ტკივილებისთვის, სამაგალითო ოჯახისთვის, „მნათობის“ გადარჩენისთვის, სიმართლის ქომაგობისთვის...

სიკვდილს რაც შეეხება, ადრე თუ გვიან ჩვენ ვველანი წავალთ (აღბათ, იმ თანმიმდევრობით ვერა, როგორც მოვედით), მაგრამ იმის შეგნება, რომ ჩვენს დიდ ძმასთან განშორება არ იქნება ხანგრძლივი, ჭირს გვიმსუბუქებს...

„ახლა ერთხელ სხვაში“, გვახსოვს მისი ერთი შედეგის რეფრენი!

მინდა, ის „სხვები“, უპირველეს ყოვლისა, მისი მემკვიდრეები იყვნენ — მისი ვივი და ლაშა!

— ნაღდი პოეტი და ნაღდი მხატვარი,

ამის გამო სიხარულს იგი იმქვეყნადაც იგრძნობს!

ამ ცოტა ხნის წინათ არჩილ, ვივი გვეგვიპორი და მე ფეხით ვაგვიპორი საბურთალოსკენ. რის ნატვრა მაქვს, იციოთ — ქუჩაში ვაგვიპორა — გავრაში, რესტორან „გაგრიფში“ ჭიქა იზაბელით აფხაზ ბიჭებთან ჩვენი შერიგების საღვებრძელო დავლიოთ!

ბევრი ნატვრა დარჩა აუხრულებელი! ბევრი წიგნი — დაუწერელი!

ჩვენ დღეს ამასაც ვტირით!

მაგრამ რაც მოასწრო და შექმნა, იმით არჩილ სულაკაური საქართველოს მარადიული თანამგზავრია!

ტარიელ ჭანტურია

ა მ ა გ ღ ა რ ი

— „ორჯერ წავიკითხე, — ღიმილით მითხრა და მალღა შემართა ხელი: ნეტარი აგვისტინეს „აღსარებათა“ ერთი ფრაგმენტის („ღრო“) თარგმანს გული-სხმობდა, ორიოდე დღის წინ რომ გამოქვეყნდა „ლიტერატურულ საქართველოში“. სახიხარულო იყო ჩემთვის ეს სიტყვები, თუმცა პირველად როდი გავუხარებივარ თავისი ვურადღებოთა და გულისხმიერებით. მახსოვს, რა დიდი ამაგი დახლო ჩემი თარგმანების გამოცემას, როცა გამომცემლობა „ნაკადულს“ ხელმძღვანელობდა და არც „მნათობის“ რედაქტორობისას მოუკლია ვურადღება მათთვის. თუმცა განა მართო მე, ბევრ ქართველ მწერალს შეუძლია მადლიერების გრძნობით წამოთვალოს ბატონი არჩილის იშვიათი გულისხმიერების, ადამიანური სითბოსა და მზრუნველობის მაგალითები.

ეს სითბო ქარში მოშრიალე თავთუხებივით ამწიფებს მისი მშვენიერი მოთხრობებისა და ლექსების მშვიდ, სადა და დარბაისლურ სტრიქონებს, სადაც ყველაზე შკაფიოდ და კოლორიტულად იკვეთება მწუხარე და სევდიანი სამშობლოს საოცნებო მთა-ბარი, ჩვენს თვალწინ ცოცხლდებთან შორეული თუ ახლო-ბელი წინაპრების ნათელი სახეები და მღვრიე ნისლიდან მღუშარე მხედრებივით გამოდიან მამაკამათა დაკოფრილი ხელით ნაშენი ჩვენი უბერებელი ტაძრები და კამათა სიავით ნახევრად დაქცეული ციხეები...

ქართული მიწა, ქართული ხული იყო მისი საფიცარი ხატი, კიდევ ერთი ხიცოცხლე მიინაგლა და ჩაქრა ამ ხატის წინაშე; კიდევ ერთმა ხულმა შეაღო საუკუნო სამყოფლის კარი, ღმერთმა დაუმკვიდროს სახუფეველი.

ბაჩანა ბრმავაკე

ხელავ. ლამღეა...

შეუძლებელია, მახლობლის, ნათესავისა თუ საყვარელი მეგობრის გარდაცვალებით გულდამძიმებულმა კაცმა საზოგადოებისათვის საგულისხმო რაიმე აზრი წარმოაჩინოს. ვაება ძვირფასი მკედრის გამო ყველასათვის ერთია, ხოლო ლიტერატურისთვის უფასურია. არჩილ სულაკაურს სისხლხორცეულად უყვარდა ლიტერატურა და სძულდა ამი-

კომონური სენტიმენტები. ამიტომ დღეს, ჩემი ნახევარსაუკუნოვანი მეგობრის საეტაპო თარიღებისადმი მიძღვნილი წერილებით მინდა ერთხელ კიდევ გავახსენო საზოგადოებას მისი პიროვნებისა და მწერლური მოღვაწეობის ზოგიერთი მხარე.

* * *

1963 წლის ზაფხულში არჩილ სულაკაურმა თუშეთში სამოგზაუროდ მიგვიწვია ნოდარ ებრაღიძე, სარგის ცაიშვილი და მე. ეს იყო ამაღელვებელი და მძაფრი შთაბეჭდილებებით აღსავსე მოგზაურობა. პირველი საოცრება იყო შავი ფიქალით აწვობილი დართლო... ჩვენ ვერ ვმალავდით აღტაცებას და მაშინ არჩილმა დამიღიღით გვიოხრა: ახლა მაინც მეცით პატივი, ხომ ხედავთ, რა კუთხის შვილი ვარო.

ეს იმიტომ გავიხსენე, რომ არჩილ სულაკაურისთვის ყოველთვის უცხო იყო კუთხური მიკერძოების გრძნობა. მეტიც, იგი ათეაღისწუნებით შენიშნავს ამგვარი მიკერძოების უმცირეს გამოვლინებასაც კი, რაშიც სავსებით სამართლიანად, ეროვნული და ინტელიგენტური უმწიფობის ნიშანს ხედავს. მე ვფიქრობ, ასეთი თვალსაზრისი, როგორც ბუნებრივი განცდა, ჩვენი დროის მონაპოვარია, იმ ზღვრის მონაპოვარი, რომელიც საქართველოს დედაქალაქში ჩამოყალიბდა გარკვეული მოქალაქეობრივი მრწამსისა და ეროვნული თვითცნობიერების მატარებელ თაობად.

მე კარგად მახსოვს მისი ძველი სახლი მტკვრის პირას, ერთმანეთზე მიჯრილი კიბეებით და ღია აივნით, რომელიც მდინარეს გადაჰყურებდა. ამ აივნიდან კარგად ჩანდა მთაწმინდა. ბინაში შესვლისას კედელზე კარლი სულაკაურის გაკეთებულ ორკუზიანი აქლემის ბარელიეფს დაინახავდით. ეს იყო ჩემი სიჭაბუკის ამ მშობლიური სახლის გერბი, ამ ოჯახის უფროსთა გამძლეობის, ხოლო მათი შვილების ჭირთა მძლეობის სიმბოლო. მეორე ოთახში იდგა საკმაოდ დანჯღრეული დივანი, რომელზეც არა ერთი და ორი დამე ტკბილად გამითევია. აქვე იმართებოდა ჩვენი დაუმთავრებელი საუბრები პოეზიაზე, კაცთა რაობაზე, მომავალზე. აქვე ვისმენდი არჩილის მომწუნსხველ „მოთხრობებს“ მისი უბნის უცნაურ ნაცნობებზე.

ამკარაა, რომ არჩილმა ზოგიერთი მოთხრობა ამ ძველი პერიოდის შთაბეჭდილებების ნაწურია. მაგრამ ჩემთვის ისიც ცხადია, რომ ეს შთაბეჭდილებები უაღრესად ტუნწად, შთაგონებისა თუ განსჯის ხანგრძლივი გვირაბების გავლით ჩაიწურა პროზაიკოსის ნაწერებში, რომელთაც იმდენადვე ამჩნევია პირვანდელ ზილვათა კვალი, რამდენადაც საკუთრივ შემოქმედის ფანტაზიისა და ფიქრის ტვიფარი, არჩილ სულაკაურს მახვილი თვალი აქვს. ეს თვალსაჩინოა მის პროზაში, სადაც საგანთა და სიტუაციათა დეტალები უჩვეულო დაკვირვებით არის გაყოცხლებული. სწორედ დაკვირვების ამ განსაკუთრებულმა მიდრეკილებამ მიიყვანა არჩილი პროზასთან.

პროზა, როგორც ერთი ფილოსოფოსი ამბობს, პოეზიასთან თავაზიან ბრძოლაში იბადება. „ბრძოლის“ ამ ხელოვნებას შესანიშნავად ფლობს არჩილ სულაკაური, რომელსაც ერთსა და იმავე დროს მოპირისპირე „ლაშქართა“ მეწინავეთა შორის ვხედავთ ხოლმე. „თავის დროზე იგი ერთიანად განუდგა პოეზიას, ოღონდ ლექსი ყოველთვის ცოცხლობდა მის გულში რადიკალური მეტაფიზიკური სიჯიუტით“, წერდა ოტია პაჭკორია. 1975 წელს არჩილმა გამოაქვეყნა თავის ლირიკულ კრებულთაგან საუკეთესო — „ოთხზე მზრიდან“, რაც მისი ნიჭის ცხოველმყოფელობასა და აღმავლობას გვიდასტურებს. ამ წიგნიდან გვიცქერის სერიოზული და ოდნავ დაღვრემილი სახე პოეტისა, რომელიც თვით უკიდურესად პირქუში ხილვების წიაღშიც ინარჩუნებს მამაკაცურ სიღბოს, ნებისყოფასა და ქმედების ზალისს...

50 წელი არ არის ცხოვრების შუადღე, როგორც ხშირად ამბობენ ხოლმე „უპასუხისმგებლო ოპტიმიზმით გამსჭვალულები“. შემოქმედისათვის ეს ხანა ზეაერეული შემოდგომის ალოა, უკან არის მოტოვებული შრომით, წვალებითა და აღგზნებული ფიქრით გაბრწყინებული სიჭაბუკე. ხოლო წინ უკვე ძალიან

ახლოს მომდგარი თოვლიანი მწვერვალებია.

მე მინდა დაეამთავრო იმით, რითაც დავიწყე. თუშეთში მოგზაურობისას, ელ-ოში თოვლიან ფერდობზე არჩილმა იპოვნა პაწაწაინტელა მცენარე, ადეღვებულმა დაგვიძახა და დიდხანს ათვალიერებდა ქათქათა სითეთრეში ცისფრად მოკაიფე ამ ერთბეწო ვეაილს... ეს ხილვა იყოს შენი მომავალი ძიებებისა და გამარჯვების თანამგზავრი, ჩემო მეგობარო!

1977.

* * *

უნივერსიტეტის პირველ კურსზე, 1945 არჩილ სულაკაურის ერთ რვეულად აქიზნული ლექსები წავეკითხე. მაშინ გავიცანი არჩილი. მომდევნო წელს „ლიტერატურულ საქართველოში“ დაიბეჭდა მისი რამდენიმე ლექსი. ერთი სტრიქონი „ავალ მთაწმინდას, დავყვრდნობი იდაყვით მთვარეს, ვით ნაომარი აქილევის ფარს ეყრდნობოდა“, ბევრს ჩარჩა მესხიერებაში, და უკვე ამ ლექსით იყო გამყდარებული არჩილ სულაკაურის, როგორც პოეტის, დამოკიდებულება ტრადიციისადმი, რომელიც იმთავითვე გულისხმობდა კლასიკური ფორმებისადმი და ცხადი პოეტური აზროვნებისადმი ერთგულებას. თავისი მოფლშეგრძნებით იგი პირწმინდა ურბანისტია და ამ აზრით მის თუშურ წარმომავლობაზე ლაპარაკი უადვილოა. არჩილი არა მარტო თბილისელია, არამედ დედაქალაქური ღირსებით მორჭმული კაცი. კუთხური მიკერძობისადმი მას საშინელი ალერგია აქვს. და ეს ჩვენი თაობის უპირველესი ნიშანთვისებაა.

დღეს უკვე ვეკლასათვის ცხადია, რომ არჩილ სულაკაურის ნახევარსაუკუნოვანი გზა ლიტერატურაში მართალი და თავდადებული მსახურებით არის გამსჭვალული. ამნაირმა სულისკეთებამ მიიყვანა იგი „მნათობში“ და დაამეგობრა სიმონ ჩიქოვანთან, რომლის რედაქტო-

რად ყოფნისას იკვალეზოდა ქართული ლიტერატურის ახალი გზები. ამნაირად და რისკის ფასად „მნათობში“ ქვეყნდებოდა ნაწარმოებები, რომლებიც არღვევდნენ მაშინდელი ცრუ და გახევებული ესთეტიკის ჩარჩოებს და საფუძველს უყრიდნენ ახალგაზრდა ლიტერატორების თავისუფალ შემოქმედებას. ამ პროცესში არჩილ სულაკაური თვითონ იღებდა მონაწილეობას არა მარტო როგორც „მნათობის“ მუშაკი, არამედ, როგორც ახალი ტენდენციების მატარებელი მწერალი.

„ნაკადულის“ დირექტორად დანიშნვის პირველსავე დღეს არჩილმა კრებაზე მოიწვია თანამშრომლები. სხდომათა ისტორიაში ეს იყო, ალბათ, ყველაზე ხანმოკლე სხდომა. დირექტორმა ბრძანა: განთავისუფლებთ ენის მოტანისაგან, არცერთ დაბეზლებას არ მოვიხმენო და... კრება დახურულად გამოაცხადა. მას მიანდა და ახლაც მიაჩნია, რომ მწერლურ დაწესებულებაში შეუწყნარებელია რამენაირი ადმინისტრირება, ამ თვალსაზრისზე იღვა „მნათობის“ რედაქტორად ყოფნის დროსაც. „ნაკადულში“ ყოფნისას მან გამოსცა ქართული პოეზიის 17-ტომიული. ეს იყო დიდი და შრომატევადი საქმე. რასაც არჩილმა დიდი ენერგია შეაღია. ეს უაღრესად მნიშვნელოვანი ლიტერატურულ-კულტურული მოვლენა დღემდე სათანადოდ არ არის შეფასებული.

ხანგრძლივი მეგობრობა ბეერ ნაიდუმლოს ინახავს, მაგრამ უფრო მეტს ამყდარებს. სწორედ ეს გამყდარებული აკრიალებს დროთა მდინარეს, რომელიც ყელაფერ წერილმანს და შემთხვევითს შლამში მარხავს. არჩილ სულაკაურის მოქალაქეობრივ-ლიტერატურული პოზიცია, რაც თავი მახსოვს, ურყევია. გარემომცველთა მიმართ მისი დამოკიდებულება არასოდეს ყოფილა შეღაზული აფექტური რეაქციებით. მეგობართა იმ წრეში, სადაც მე ვტრიალებდი, მან უფრო მეტი იცოდა და უფრო სწორად განსაზღვრავდა სიტუაციას, ვიდრე ჩვენ. რის გამოც მის ხიტყვასა და რჩევას ნდო-

ბით ვეკიდებოდი. კვიმატი იუმორი ემარჯვებოდა და სხვებისაგანაც გაუღიზიანებლად იღებდა ასეთსავე „შემოტყეას“. ამ ათი-თორმეტი წლის წინათ დაბადების დღეზე მანდელშტამის წიგნი ვუძღვენი „Разговор о Данте“ წარწერით: „ბებურო, ეშხადე ჯოჯოხეთისათვის“. ჩაეღიმა და მითხრა: ჰერმან ჰესე ფოთლებს წეაუდა ბაღში და გამვლელ დედაკაცს უთქვამს, კარგია ცეცხლს რომ უჩვევი, ვველას გველოდებო. ცუდი ის არის, რომ ეს ინფერნალური ცეცხლი სამშუროში დაინთო და სამწუხაროდ, დღესაც კვამლი ასდის. ამ კვამლის გაფანტვას და გახარებული საქართველოს ნახვას გისურვებ, ჩემო არჩილ დრო უკრ კიდევ არის!

მე უღოდნეულად, ამ ორი თვეს წინ ეტყეოდა რომ დანს ამოვედი. ვსაუბრებოდი. მერე გამოვეშვიდობეთ ერთმანეთს. გზაზე დამდგარი უცებ მომიბრუნდა და ხმადაბლა მომივლო: მივდივარ — რა!.. ზედმეტი სიტყვის თქმა არ იცოდა და ასეთი რამეც არასოდეს უთქვამს. რა უნდა შეთქვა, ან ახლა რა უნდა ვთქვა?

1949 წელს მისდამი მიძღვნილი ლექსის ბოლო სტრიქონები:

ხედავ ლამდება,
შენ ძმაო და მოყვასო ჩემო,
ხედავ, ლამდება ყრუდ, უსასოდ და
შემზარავად!

1997

მაგრამ დრო მოულოდნელად ამოიწურა. მოულოდნელად? შეიძლება, არც ისე

თამაზ ჩხენკელი

გასკდა გული...

ახალმა ქარიშხალმა ახადა ჰერი ჩვენს სამეგობროს, ეშმა ჩაგვისაფრდა, წავიდა ჩვენგან გამოჩნეული კაცი, არჩილ ხულაკაური, რომლის პიროვნებასაც ღირსება ადგა გვირგვინად.

ძმაო არჩილ, ხეალ-ზეგ, იქნებ მეც შენი გზა მიწერია, მაგრამ დღეს, როცა ძალიან გამიჭირდა, მომიტყევე და საკუთარ თავზეც ვუფიქრობ, ნეტა რამდენი კაცი დამჩნა, რომელიც ჩემს გულისთქმას ჩასწვდება?

შენ სხვა კაცი იყავ, შენს გვერდით ვერ გაიხარებდა ამპარტავანი და უსამართლო, შენს ტაძარში ურწმუნო კაცი ვერ ილოცებდა.

ამასწინათ, ამერიკაში, „ამერიკის ხმის“ ერთმა კორესპონდენტმა გვიითხა — „ეინ გადაგვიდათ, რა ხდება საქართველოში“, „ამაღლდნენ უღირსებიო“ უპასუხე შენ და ჩაიციინე... დიახ, ასეა, ამაღლდნენ უღირსები და გასკდა გული, ველარ გაუძლო გულმა, შენი სამშობლოს მტერი შენი მტერი იყო, შენი ძმისა და მეგობრის მტერი შენი მტერი იყო. მერე ადვილი სათქმელია, „კაცო, რა დაეპართა, გუშინ ენახე და კარგად გამოიყურებოდაო“, სხვამ კი არა, ერთი გაფიქრება მეც ასე გავიფიქრე, მიტომ რომ ეტყობა ბოლომდე ვერ ჩავსწვდი შენს გულისთქმას. ჩვენ რომ ერთმანეთის გულში უფრო ღრმად ვიხედებოდეთ და ერთმანეთს უფრო ვუფრთხილდებოდეთ, ჩვენს ბედს ძალიან არ დაჰყვოდა.

ახლა თავისმართლებს დრო არაა, ყველამ თავის გულში ჩაიხედოს, ერთი კია, ბოროტებამ იმძლავრა ქვეყანაზე და ამაღლდნენ უღირსები.

მეც ალბათ ისე ვერ გეფერებოდი, როგორც ჩვენს ძმობას შეჰფეროდა, ვერ ვეფერებოდი შენს დიდ შემოქმედებას ისე, როგორც მის მარადიულობას ეკადრებოდა.

წახვედი? მაინც შენი იმედით ვარ...

„ნეტარ არს კაცი, ვისაც უფალი ცოდვას არ ჩაუთვლის და ვის მწყობრად არის სიყალბე“.

ისევე იმ ლექსს შევახსენებ, 70 წლის ღვაწლმოსილ კაცს რომ მოვიძღვენი.

ცეცხლი

არჩილ სულაკაურს

მამულს გარშემო
ვევაუორანთა გუნდი უვლიდა,
ხოლო წარწერა ცისფერებით
ვნახე ურბნისსა —

როცა უფალი გვედავება
ცეცხლისგულიდან,
რატომღაც ცეცხლის გვეშინია
არა უფლისა.

ბრწყინვალეობა დააკლდა ქართულ მწერლობას!
მშვიდობით, ძმავო არჩილ!

ჯანსუღ ნარკვიანო

ერთი მოგონება

ეს ამბავი დიდი ხნის წინ მოხდა, აღარც კი მახსოვს როდის. ერთ ოჯახში ვიყავით ხალხმრავალ სერობაზე, ცოტა ზედმეტად პომპეზურზე და არასაჩვენოზე. ჩემს წინ არჩილ სულაკაური იჯდა. გადმომწურნულა, არ მოგებურდაო. თავი დაუქნიე. შეთქმულებივით უსიტყვოდ წამოვდექით და გამოვიპარენით. ნახვამები ვიყავით. შევატყვე, შინ წასვლა არ ეჩქარებოდა და შევთავაზე: წამო, ჩემთან წაიდე, შინ ნაღდი ღვინო, შენი შინა-წყლის გუდის ვეელი, ქოთნის ლობიო და წნილი შეგულება-მეთქი. აგაშენა ღმერთშაო, მითხრა და შევედექით მთაწმინდის აღმართს.

არჩილ სულაკაურს მანამდეც კარგად ვიცნობდი უნივერსიტეტიდან, თამაზ ჩხენკელთანაც ხშირად ვხვდებოდი ხოლმე, მაგრამ ჩემს ოჯახში არ იყო ნამყოფი. ამიტომ საგულდაგულოდ ჩამოუარა კედლებს, ყოველ სურათზე შეკითხებოდა, ვინ ვინ იყო, ვისი დახატული იყო, როდის და რა ვითარებაში. ერთი სიტყვით, მახპინძელს რომ ეამება ისეთ ინტერესს იწენდა ვეღაფრისადმი. განსაკუთრებით მამაჩემის ნახატებმა და ქანდაკებებმა გააოცა: არ შეკონა თუ ბატონი ვახტანგი ფუნჯისა და საჭრეთლის ასეთი ოსტატიც იყოო.

შემდეგ სუფრას მივესხედით და წელში გამოყვანილი ჭიქებით ნელ-ნელა შევუყვით კაცურ მასლაათს. ხან შთისა ვთქვით და ხან ბარისა, წყეული ოცდაწვიდმეტეც ვაერხსენეთ და ომიანობის სიდუხჭირეც, ცოცხლებისაცა ვთქვით და მიცვალბულებსაც წავეუქციეთ ჭიქა. ლამის გათენებადღე გასტანა ჩვენმა ჭუკჭუკმა. არჩილის „ღღალი მიმინო“ ხულ თავს დაგვეტრიალებდა მთელი ლამის მანძილზე.

ბოლოს წამოვდექი, გადმოვიღე თაროდან „სახარების“ ორიგინალური გამოცემა, ცალ-ცალკე, პატარა-პატარა წიგნებად დასტამბული მათე, მარკოზ, ლუკა და იოანე, რომლებიც 1960 წელს ვარშავაში მქონდა შექმნილი და საბჭოთა „ქაჯეთის ციხეში“ ძალეით შემოტანილი. ეს წიგნები არჩილს დაუვლავე წინ და ვუთხარ: წესად მაქვს, ჩემს ოჯახში პირველად მოხულ კაცს უსაჩუქროდ ვერ ვისჩუქრებ ხოლმე და ეს „ოთხთავი“ შენია-მეთქი.



აბობოქრდა: შენ იცი, რასა მწუქნიო! პირჯვარი გადაისხა და ხათითაოდ ემთხვია. მე დავამშვიდე. — ვიცი და შენც რომ იცი, სწორედ მაგიტომ შენთვის შეშეტება-მეთქი.

როგორი მართალი აღმოვჩნდი, ჩემო არჩილ, მამინ. შენ მართლაც წმინდა წერილის ღირსი იყავ შენი კაცური არსებობითა თუ ჭეშმარიტი შემოქმედებით ცხოვრებით. მე მჯერა, იქ, უზენაეს სამსჯავროზეც იმწიგნებნახუტებული წარსდექ და დაიმკვიდრე სასუფეველი შენს ღირსეულ სამშოს შორის, ვისკენაც სულმა გავიწია.

ჩვენ კი, შენს მეგობარ „აივნელებს“, ერთი ფეხზეწამოსადგომი სადღეგრძელო შეგვმატე, სხვას რაღას ვიზამთ, ზოგჯერ დაგირდევით ხოლმე მარადიულ მღუმარებას ჩვენი უხუხური მონატრებითა და ცალმხრივი შეძახილებით.

ნათელში გამყოფოს ზეციურმა. ამინ!

პასუხები კორექტივნილი

ერთადერთი გზა

ორმოცდახუთი წლის წინანდელ ამბავს ვიხსენებ: ცხრაშეტი წლისა ვარ, მეორე კურსის სტუდენტი. უნივერსიტეტის ვესტიბიულში ვდგავარ და არჩილ სულაკაურს ველოდები, „პირველი სხივისათვის“ ლექსები მაქვს მიტანილი და შესარჩევად არჩილისთვის გადაუციათ. აი, გამოჩნდა კიდეც და ჩემი ლექსებიდან ერთი არჩეული ლექსი გამომიწოდა.

მე იმ დღეს, რა თქმა უნდა, ვერაფრით ვერ წარმოვიდგენდი, რომ ჩვენ მთელი ცხოვრება ერთად უნდა გვევლო, რომ მე მიხი ახლობელი და მეგობარი უნდა ვყოფილიყავი, რომ ბევრჯერ ჩუღურეთში მიხი ძველი სახლის კიბეები უნდა ამეველო, რომ დღემდე ერთი ჭირითა და ღვინით უნდა გვეცხოვრა, რომ არანეველებრივი მთხრობელისა და მეზღაპრისათვის მოჯადოებულს უნდა მესმინა და ახლა ცხარე ცრემლით უნდა დამეტირა...

ცნობილი აზრია, რომ მთელი ჩვენი ცხოვრება სიკვდილის შესახვედრად მზადებაა. არჩილისათვის სიკვდილთან შეხვედრა მოულოდნელიც იყო და არც იყო მოულოდნელი, მან იცოდა, რომ „ო, როგორც ტყდება შიგნიდან ციხე, ადამიანიც ისე ინგრევა...“ ციხე შიგნიდან გატყვდა და ჩვენ დავკარგეთ არჩილ სულაკაური. უარჩილოდ ცხოვრება ძალიან გაგვიჭირდება და ძალიან ძნელი იქნება.

ერთ ლექსში იგი ამბობს: ამასწინათ თამაზ ჩხენკელმა მითხრა — დროა, ბებრო, ჯოჯოხეთისთვის განეშხადლო! მეც, სხვა რა გზა მაქვს, ვეშხადები, უფრო ხშირად, ვიდრე ოდესმე, ცეცხლს ვუფიცხებო... არჩილ სულაკაური ცეცხლსაც უფიცხებოდა და ამავე დროს ჩაუქრობელ ცეცხლსაც ანთებდა. ამ ჩაუქრობელი ცეცხლის პატრონისათვის, შემოქმედების ჯვარზე გაკრული წმინდა და ტანჯული სულისათვის, მხოლოდ ერთადერთი გზა არსებობს — სამოთხის გზა, რომელიც მისი ჩაუქრობელი ცეცხლით გამობარი ადამიანების გულბზე გადის.



დრო ვერას აკლებს...

ქართულმა ლიტერატურამ ამ მოკლე დროის განმავლობაში დაკარგა გამოჩენილი მწერლები და საზოგადო მოღვაწეები. მეტად გულსატკეპნი იყო გურამ ფანჯიკიძისა და ზაურ ბოლქვაძის მოულოდნელი გარდაცვალება... და ახლა — არჩილ სულაკაური

ბათუმში ჩამოღწეული არასასიამოვნო ამბავი გულს ტკენს ყველას, მეტადრე — გულწრფელ, მართალ და თავისი ისტორიული ბედის გამო ემოციურ აჭარას.

არჩილი სულ ახლახან სტუმრობდა ბათუმს. იგი ჩამობრძანდა ცნობილ მწერალთა ჯგუფთან ერთად და სიტყვითაც გამოვიდა დიდი საზოგადო მოღვაწის პაიღარ აბაშიძის ასი წლისთავის იუბილეზე.

ბატონი არჩილი საინტერესო მწერალი და მოღვაწე იყო. მის შემოქმედებას ახლოს იცნობენ და აფასებენ აჭარაში. იგი საგნებისა და მოვლენების შეფასებაში იშვიათად თუ შეცდებოდა. კერძო საუბარშიც კი საქართველოსა და მისი კულტურის უძველესობაზე ლაპარაკობდა. დინჯი და ჭკვიანა მოსაუბრე იყო. ახლახან ბათუმში ყოფნის დროს წამოაყენა წინადადება ქალაქ თბილისში შემდეგ აბაშიძის ძეგლის დადგმის შესახებ, ეს აზრი დიდი სიყვარულით გაიზიარეს ბათუმელმა და თბილისელმა კოლეგებმა, განსაკუთრებით კი — ბატონმა თამაზ წიფელიძემ, რაც ძალიან ბევრს ნიშნავს.

ყოველის წამშლელი დრო ვერას აკლებს კეთილ საქმესა და ნიჭიერი მწერლის სახელს. ერთი ასეთთაგანია არჩილ სულაკაური.

ჯემალ ჯაყელი

სიკვდილი ვერ გაასუნებს

არჩილთან ჩემი შეგობრობის ხანგრძლივობამ ნახევარ საუკუნეს კი გადააჭარბა, მაგრამ ორი ათასი წლის ერთად შეხვედრამდე დრო მაინც არ გვეყო. გონებით ყველამ კარგად უწყის, რომ ყველა დაბადებული კაცი სიკვდილის კერძია, მაგრამ არჩილის ანაზღაურება წასვლამ იმდენად დამზაფრა, გამოაოგნა და სახტად დამტოვა, რომ მისი სიკვდილი ვერა და ვერ დავიჯერებ. აზრი, რომ ველარასოდეს შეეხვებოდა, ენახვებ და გაეიზარებ, გულისჩამწყვეტი, მტანჯველი და დამთრგუნველია. კარგად მესმის, რომ ის რაც ღვთის განგებით წაიშლება და დაინთქმის სამუდამოა, აღარასოდეს განშეორდება და აღდგება, მაგრამ აფორიაქებულ გონებას ამისი დაჯერება არ უნდა. არჩილის სიკვდილი ლახვარივით მომხვდა გულში, რადგან იმწამს, უნივერსიტეტის ბაღში, მწვანედ შეღებილ სკამთან, ამ ორმოცდაათი წლის წინანდელი სურათი გამახსენდა, დიახ, ჩვენ ერთმანეთი თანაკურსელებმა გაგვაცნეს. კარგად მახსოვს შოთა ვადაჭკორიამ ჩვენი გაცნობისას რატომღაც ასეთი სიტყვები წარმოთქვა — „შეფვარებული პოეტი არჩილ სულაკაური“. ჩემს წინ 18-19 წლის ლაზთიანი გარეგნობის, ინტელიგენტური შესახედაობის ვმარჯვნივ იდგა. იგი ჩემზე ოდნავ დაბალი იყო, კარგად ჩაკუნთული, მომდიმარი. ჩვენი გაცნობა მია ვიორგის (ტანც ვეურქას) დუქანში აღვნიშნეთ, მელიქიშვილისა და პეტრიაშვილის ქუჩები რომ ერთმანეთს კვეთს, დაბლა ჩასასვლელ სარდაფში. ქეიფის სურვილი და მადა იცოცხლეთ, კარგი გვექონდა. თელავის ჩამოსხმა, წითელი ხუთი ნომრით აღვნიშნეთ და განვამტკიცეთ ჩვენი სამარადისო მშობა. სიმღერაც კი ვცადეთ, მაგრამ ხმები ვერ შევაწყეთ, არ გამოვიდა. ფული არც ერთს არ გავვანხნა, მაგრამ მია ვიორგიმ სტიპენდიის მიღებამდე თავის რეველში ჩაინიშნა ჩვენი დანახარჯი.

მშვიდობით, მავსტრო!

წლებიანდელი ზაფხული და შემოდგომა თავზარდამცემი აღმოჩნდა, დრომ, საწუთრომ ზედიზედ სამი მძიმე ჭრილობა მომაყენა. ჯერ იყო და ძვირფასი ზაურ ბოლქვაძე მივაბარეთ დიდუბის პანთეონს. შემდეგ დაუდევარი გურამ ფანჯიკიძის მოულოდნელმა სიკვდილმა გაგვაოვნა. ახლა არჩილ სულაკაურის ჯერ კიდევ თბილ ცხედარს დავსტირით. რა ვთქვა, რით ვანუგეშო ჩემი უმრწემესი ძმები ვიგი და ლამა სულაკაურები, როცა თავად მჭირდება სუგეში და თანადგომა.

ბატონი არჩილი ჩემთვის დიდი ქართული მწერლობის ცოცხალი მოპიკანი იყო. სიმონ ჩიქოვანის, გიორგი ლეონიძის მემკვიდრე და თანაგუნდელი. არჩილ სულაკაურის ქალაქური რიტმითა და ყოფით განათებული ლექსები, მოთხრობები, რომანები ფიქრისა და ოცნების საშუალებას გაძლევდა. მწერლური პროფესიონალიზმის საიდუმლოს გასწავლიდა. მისი ნათელი ნიჭის თაყვანისმცემელთა შორის, მეც ერთ-ერთი იმათთაგანი ვარ, ვინც ასე აფასებდა და ერთგულებდა ბატონი არჩილის შემოქმედებას სამი ათეული წლის მანძილზე.

ბევრი ლამაზი, დაუვიწყარი საღამო მახსოვს არჩილის გვერდით. ბიჭვინთა, გავრა, სოხუმი... ძველი დიოსკურია, მასი ზურმუხტისფერი შემოგარენი.

ამ რამდენიმე დღის წინათ რუსთაველის გამზირზე შემხვდა ოპერის თეატრის წინ. გვერდით სტუმარი ქალბატონი მომყვებოდა, ერთმანეთი მოვიკითხეთ. ორიოდე სიტყვით ახლახან გამოქვეყნებული დიდი „სეფედაველიც“ ვახსენეთ, მერე მოეუბოდიშე.

— მავსტრო, სტუმარი ქალბატონის ტყვე ვარ, მაპატიე, მერქარება-მეთქი!

გამიღიმა, გადაამკონა, სიგარეტანთებული მარჯვენა ხელი დამიქნია და თავისი ვერცხლისფერი ჭკარით თვალს მიეფარა.

რას ვიფიქრებდი, უკანასკნელად რომ ვხვდებოდი. რა ვიცოდი, ჩემს უფროს ძმასა და მოძღვარს სულეთს მიმავალი თეთრი ცხენი უკვე შეეაზმული ჰყოლია და კოსტავას ქუჩის ბოლოს ელოდა.

ვუშველიდი კი?!

მშვიდობით, მავსტრო!

ბაზილიკის მონასტერი

გამეშვიდობება

გამეშვიდობება...

რის მაქნისია ახლა რალაც სიტყვების მიცემა, მერე მათი დალაგება და გამოქვეყნება?!

რა ზმას მოგაწედენ, ვით აგისხნი როგორ მიმანხნდა?

მე ეს ყველაფერი მაღიზიანებს, იმიტომ, რომ რაც არ უნდა ვთქვა, ვერ მოვახერხებ შენს საკადრისს, შენს შესაფერისს.

ჩემთვის ყველაფერი იყავი, მეგობარიც და მასწავლებელიც. შენზე უსინჯაუდი ყოველ სტრიქონს, ყოველ საღებავს და ჩასაფრებული ვიხმენდი რას მეტყვოდი, რა ზმით, რა ინტონაციით გამომიტანდი განაჩენს.

ამ ოცდახუთი წლის მანძილზე თუ რამ დამიწერია, ყველაფერს ჯერ შენ ვაკითხებდი და მერე ვაძლევდი სიცოცხლის ნებას, იმიტომ, რომ მინდოდა შენსავით ზუსტად მიმეგონო თითოეული მარცვლისათვის, თითოეული განწყობისათვის.

ახლა ვერც ვერაფერს ვწერ და რომც დავწერო, ვის წავაკითხო? ან ვინ დარჩა ჩემს გარეშე, ვისაც ვენდობი?!

ყველა თავის თავს ტირის და მეც, ცოდევილი, ვტრიალებ ცუდგულთქმულ რის, რადგან ზეად და ზევ ისევ ისე მივეცემი ქვეყნის დინებას, ვითომც არაფერი არ მომხდარა...

— ეხეც ასე,

ჩაიარა დღემ,

ფანჯარასთან ისევ ისე წვიმს“...

დიდი მწერლების შორი-ახლო და მათთან ერთად მომიწია ცხოვრება. ეს არ არის ცოტა, ეს ძალზედ ბევრია!

შენც მიდიხარ, დიდი მწერალი და სპეტაკი მოქალაქე.

წვიმს... ფანჯრის მინას ფრინველი დაეჯახა და შეეკრთი! იქნებ შენი ღვალი მიმინო იყო ჩემდამი საყვედურებით გალუმპული, რომ სიცოცხლეშიც ვერ მოგაგე მოსაგებელი, რომ ყოველთვის ზეალისთვის ვდებდი შენს საფერებელ პურსა და მარილს...

მე შენ მიყვარდი, მიმაჩნდი და გერიდებოდი. შენც გიყვარდი და ამაყი ვარ ამით!

ნუ დამძრახავ, თუ ერთი ცრემლიც არ გადმომვარდა, მე, შენს უხიავ მოწაფესა და მეგობარს, ამ ცხოვრების ცბიერებითა და სიყალბით გაკერებულს.

მშვიდობით!

მეც რიგში ეღვაჯარ!

რეზო ავაშუკელი

— არჩილი

არჩილ! როგორ უნდა მოგმართო, ნეტაე? ძმა უნდა გიწოდო, თუ მეგობარი, თუ ორივეს უნდა „უფროსი“ წავეშმღვარო, რადგან 64 თუ 65 წლიდან მოყოლებული, როცა ბედმა შენთან შემახვედრა, შენ ჩემთვის ორივე იყავი — ძმაც და მეგობარაც და ერთდროულად — უფროსი, ისე, რომ არც ძმობას ჩვენსას და არც მეგობრობას ეს არ უგრძენია. როგორც ნინბებს უსვამენ მენავეები, ისე მიედითოდით — შენ შენი დიდი გამოცდილებით, მე, აყოლილი შენს ენთუზიაზმს, რადგან ადრევე მივხვდი ჩემთვის უკეთესს: შენთვის უნდა მესმინა — შენი საუბრებისთვის, შენი თხრობისთვის, — ვრძნობებს უნდა ევარჯიშათ და ცოდნას ეომა.

არჩილ! დიდი ადამიანი იყავი და დიდადაც უფრთხოდი ბიწს. ძნელი დრო გამოიარე და თუმცა ცხოვრების დუღილისგან გარიდებული არასდროს, ყოფილხარ, წმინდად იარე შენი სჯალი: რატომ უნდა წასულიყავ შენ ასე ადრე — ასე საჭირო შენი ქვეყნისთვის, არადა, ამჟამად, როცა ასე ხანთლით საძებარია შენი მსგავსი მოღვაწეები — შენი უტყუარი აღღოთი, შენი „მცნობის“ ნიჭით, შენი მოუსყიდავი გულით, თვალმოუხუტავი სიმართლით... იმის მეთედსაც ვერა ვწერ, რასაც ვგრძნობ, რადგან ვერა და ვერა გადავიყარე გულიდან ბრაზი — ბრაზი სიცოცხლეზე, ბრაზი სიკვდილზე, ბრაზი — ბედისწერაზე, ნუგეშად ის მაქვს — რომ მომენატრები, გაეიხსენებ, ანუ ვიცხოვრებ მოკვდავთა წესით.

არჩილ, ძმაო და მეგობარო! შვილებითაც ძმაო და მეგობარო!

განის ხარანაული

ღაერთო, ეს ხმა რატომ მოგვიწავლავ!

ბოლო ორი-სამი წლის განმავლობაში, თითქმის ყოველდღე — ხშირად ორ-სამჯერაც — ტელეფონის ყურმილიდან მშვიდი ხმა მესმოდა:

— გამარჯობათ, არჩილი ვარ, სულაკაური, თამაზს თხოვეთ!..

ერთ დღესაც მე გამიბა საუბარი ბატონმა არჩილმა და ისეთი მორიდებით მთხოვა — „დილის“ სამ გვერდს თუ დამითმობთო — თითქოს პირველად იბეჭდებოდა!

რასაკვირველია, მივხვდი, კარგახნის წინ ჩვენთვის დაპირებული მოთხრობა დაემთავრებინა და გახარებულმა ვუპასუხე — ყურნალის მთელი ნომერი თქვენი იფოს-მეთქი!

ჯაიცინა, არა, ბატონო, ამჯერად სამი გვერდიც მეყოფათ.

ბატონმა არჩილმა მეორე დღეს მოთხრობა გამომიგზავნა ავტოგრაფით — „ნაწუქრად განახლებულ და აღორძინებულ „დილას“, თქვენი არჩილ სულაკაური“. საღამოს ტელეფონის ზარის ხმაც გაისმა: — გამარჯობათ, არჩილი ვარ, სულაკაური!..

მე ნაწუქარი მოთხრობისთვის მადლობის თქმას ვაპირებდი, მაგრამ თამაზმა არ დამაცადა, ყურმილი გამომართვა და ბატონ არჩილს დასავლეთ საქართველოში — დავით კლდიაშვილისა და ჰაიდარ აბაშიძის იუბილეებზე ერთად წასვლა შესთავაზა...

ალბათ, განგების ნება იყო, სიკვდილის წინა დღეები ბატონმა არჩილმა ერთი მანქანაში, ერთ სასტუმროში და რამდენიმე სუფრაზე ჩემს ძმასთან და ბატონ რეზო ჭეიშვილთან რომ გაატარა...

ბატონო არჩილ!

ყურნალის ახალი ნომრის მორთმევით მინდოდა მადლობის გადახდა, მაგრამ, ვაი, რომ ახლა მხოლოდ ცრემლებით ვიხდი სამადლობელს...

დოდო წიფიძეაძე

ყურნალ „დილის“ რედაქტორი

რა გაქლავს!

არჩილ სულაკაურის ამ ქვეყნიდან წასვლა, მით უფრო ასე უცერად და საღალატოის წასვლა, მთელი საქართველოს საწუხარი და საგოდებელია. ჩვენს ქვეყანას, ქართველ ერს, ეროვნულ კულტურას ერთი დიდი ადამიანი და მწერალი დააკლდა, დააკლდა კაცი, მართლაც სავსე ქართული პატიოსნებით, სიწმინდის-ნაშუსით, კეთილშობილებით, სიყვარულიანი გულით. ასეთი, ამ ბუნებისა იყო იგი მაშინაც, როცა ბავშვობაში წულურეთში რიფეზე შეთევვებებს დახდეუდა, მაშინაც, როცა ჭაბუკი თავის გულისთქმას პირველ ლექსებს ანდობდა, მერეც და ახლაც, როცა მისი ხშირი ქათქათა ჭაღარა, დარწმუნებული ვარ, ჩემსავით გულში ნათელს უღერიდა ვეელას, არაკაცების გარდა.

ამ ქვეყნად დიდი და კეთილშობილი ხულის ადამიანები საქაოდ არიან, ღმერთმა ამრავლოს, მათშიც კი გამოირჩეოდა არჩილი. მე არ მახსოვს ჩვენი მეგობრობის ნახევარსაუკუნოვან მანძილზე მისი, თუნდაც უნებლიედ წამოცდარი ურასათქმელი სიტყვა, შემთხვევით, მისდა უნებურად ჩადენილი საწოთირო

საქციელი. მშვიდი, წვნარი და კეთილი კაცი იყო, მაგრამ შემართებული და უკომპრომიზო ერთი შეხედვით უმნიშვნელო მანკიერების მიმართაც კი გარდაცვალებამდე სულ ორი დღით ადრე „მერანში“ სტუმრად მოხულ ქალაქის თავკაცებს გულმხურვალედ არწმუნებდა, რუსთაველის პროსპექტს ნუ წაართმევთ ფეხით მოსიარულეებს და კაფეების მაგიდებით ნუ ჩახერგავთო. აუ ვისმეს თბილისელი ეთქმის, პირველ რიგში არჩილი იმხახურებს აპას მარტო თავისი დიდი მოქალაქეობით, მწერლური და პიროვნული ღირსებით კი არა, არამედ იმითაც, რომ რაღაც გასაოცარი სიყვარულით უყვარდა მშობლიური ქალაქი, ეს ნათლად ჩანს მთელ მის შემოქმედებაში. მისი ბოლო თვეებსა და დღეებში დაწერილი მშვენიერი პროზაულ-პოეტური ჩანახატებიც ხომ სწორედ თბილისსა და თბილისელებს მიეძღვნა.

ასეთი ზნეკეთილი იყო არჩილი, როგორც პიროვნება, რაც ბევრმა, ვინც პირადად არ იცნობდა მას, შეიძლება არც იცოდეს, როგორც მწერალს კი მთელ საქართველოში და მის ფარგლებს გარეთ, კარგად იცნობენ და ისიც იციან, რომ მისი შემოქმედება მეოცე საუკუნის ქართული პოეზიისა და პროზის ერთი ძვირფასი, მშვენიერი და გრანიტივით მტკიცე ქვაკუთხედაა. იმიტომაც გვაქვს საკოდებლად საქმე ყველას, ლიტერატურისა და საქართველოს მოყვარულთ, რომ დაუშთავრებელი და დაუწერელი დარჩა არჩილის არაერთი ჩანაფიქრი, მშვენიერ ნაყოფად რომ მწიფდებოდა მასში.

ჩვენ კი, მის სამშოს, რა უბედურებაც დაგვატყდა თავს, ძნელი წარმოსადგენი არაა. ამ სამშოდან თითო-ოროლადა შემოვრჩით, ადრევე დავიწყეთ დიკარვკა და ახლა არჩილიც წავიდა. ბოლო ხანს ხშირად იტყოდა, ედიშერი (ყიფიანი), ხარვისი (ცაიშვილი), ნოდარი (დუმბაძე) მომენატრენო. პოდა, მიუვიდა კიდევ მათ. რა გაძლებს უამძევობრებოდ ამქვეყნად! ხანდაზმულობის ყველაზე მწარე ტკივილი მეგობართა გამოკლება, სულაც უმეგობროდ დარჩენა ყოფილა, მაგრამ ამისი წამალიც არის. წუთისოფლის წუთისოფლობის წყალობით ჩვენც ძალე მიუვალთ მათ.

გურამ გვირდვითილი

ილიას კვალზე მავალი

რამდენიმე თვის წინ დაბადების სამოცდაათი წელი მიეულოცეთ; ახლობლებმა, მეგობრებმა ორიოდ სიტყვით აღნიშნეთ მისი დამხახურება მშობლიური მწერლობის წინაშე, თანადგომა და სიყვარული გამოვხატეთ, ახალი გამარჯვებები ვუსურვეთ შემოქმედებითი ჟინითა და მომავლის გეგმებით აღსავსეს... დღეს კი, მოულოდნელი, თავზარდამცემი ცვლის შემდეგ არჩილ სულაკაურის ძვირფას ცხედარს ვემშვიდობებით.

უცნაური რამ მოხდა: დაღუპვის წინა დღეს, 25 ოქტომბერს, დილით, დავურეკე და ვუთხარი, მინდა გნახო, შინ თუ იქნები-მეთქი. ესიაპონა, არსად არ მივიღივარ, ვზივარ და ვმუშაობო.

კარი თვითონ გამიღო, მიხებურად გაღიმებულმა, სამუშაოდ მოწვობილ პატარა ლოჯიაში შემიძღვა. ხაწერ მაგიდასთან დავხხედით. ბევრ რაღაცაზე ვილაპარაკეთ. გამხიარულდა, გახალისდა.

ერთი კვირის წინ რუსულ ჟურნალში დაბეჭდილი ჯუზეპე ლამპედუზას ჩვენთვის უცნობი ბრწვინვალე მოთხრობა „ლივია“ გვატანე წასაკითხად და ახლა იმაზე ვეკითხებოდი, როგორი შთაბეჭდილება მოახდინა. ვამხარდა, რომ მასაც ძალიან მოსწონებოდა. ეტყობა, ადრევე ნაფიქრი ასეთი აზრი გამოთქვა — მოთხ-

რობის ჟანრი გაცილებით ძნელია, გენიალური რომანები მხოლოდ იმ შემთხვევაში შეიქმნება დაწერილი, ვიდრე გენიალური მოთხრობებით. არ შევკამათებთ. შერე მოთხრა, მეოცე საუკუნის მოთხრობებიდან ვგვლაზე უფრო ჰემინგუეის „მოხუცი და ზღვა“ მომწონს, ამოუბის თემაზე მსგავსი არაფერი დაწერილა.

ცოტა ხნით ვრძელ, ღია აივანზე ვაკვდით, პოლიტიკური უნივერსიტეტის ტერიტორიას რომ გადავჭყურებ. არჩილის ხმაში სინანული ვიგრძენი: ადრე ძირს მშვენიერი ბაღი იყო, მაღალი ალექსის მწკრივიც იდგა, ერთიანად აჩეხეს, გარაკები და ეს ვახარმასავით უსახური ბეტონის კორპუსი ააშენესო...

მართლაც საშინლად ამახინჯებდა გადახახვებს გულრონით გადაღესილი ერთნაირი გარაკები და ტლანქი, ჩაქაშებული შენობის ჩონჩხი.

ლოჯიის მომიჯნავე ოთახში, წიგნების თაროზე, არჩილისთვის ძვირფასი, გარდაცვლილი ადამიანების ფოტოებია გამწვანებული: პავლე ინგოროვეა, სიმონ ჩიქოვანი, ნოდარ ღუმბაძე, ოტია პაჭკორია, სარგის ციციშვილი... რა გულდასწრებით, ძნელი შესაგუებელია, რომ მათ რიცხვს თვითონაც მიემატა.

სხადავე და უბრალოდ თქმის ხელოვნება იყო მისი სტილი. არასოდეს უძებნია მყვირალა სახელი და ზიზილ-პიპილეტი. სიცოცხლეში არავინ შეუწუხებია. პატივი და დიდება მომაკეთო, დაუცხრომლად იშრომა, იღვანა ხმაღამოდებულ ჭირისუფლად ეგა ქართულ სიძველეებს, ქართულ კულტურას, მათ აუგს არავის გააბედინებდა. უნამუსოდ მიტაცებული შიდა ქართლი და აფხაზეთი მისი ერთი უმთავრესი სადარდელი და სატყვივარი იყო. იქედი არასოდეს გადაუწურავს; ხშირად უთქვამს, სიცოცხლის ფასადაც რომ დაგვიჯდეს, ჩვენი უძველესი მიწები უსაფრთხოდ უნდა დავიბრუნეთო.

რა დაგვაინფიცებს, როგორი თავდადებით, რა ღირსეულად უძღვებოდა ასეთი გაქირვების ყაშხაც ქართული მწერლობის უპირველეს ჟურნალს, დედაბობად მიჩნეულ „მნათობს“. მახსოვს, ერთხელ სიმონ ჩიქოვანის ხატონად ნათქვამი გაისახა: ყოველი ნომრის სასტამბოდ მომზადება ახალი სპექტაკლის დადგმასავით არისო. იქვე დაატანა — მაშინ ვერ ჩავწყვიდი ამ ნათქვამის მთელ აზრსა და მნიშვნელობას; მე თვითონ რომ მომიწია რედაქტორობა, მივხვდი, რამოდენა ტვირთი და პასუხისმგებლობა ყოფილაო.

არჩილ ხულაკაურს მთელი არსებით ეჯავრებოდა გამოთავყვანებული ბრბოს მიერ აღზევებული, სიცივის ტალღებზე მოქანავე, გულისამრევად გაბერილი კერპები, ბოლო წლებში ჩვენდა ჭირად, ასე მომრავლებული, ქულების დამგროვებელი სოლიტიკანები და თავისი მძაფრად სატირული ლექსით, პროზით თუ პუბლიცისტური წერილებით მრავალ მათგანს ჩამოვლიდა „ეროვნული მოძრაობის ლიდერის“ ოსტატურად შორგებული ნიღაბი.

რაოდენ დასანანია, რომ დაუმთავრებელი დარჩა მისი დიდი, მეტად თავისებური, საუცხოო გროტესკით შეზავებული მოთხრობა „ეკრათავიანისმცემლები“, რომელზედაც ასეთი გატაცებით მუშაობდა და რომელშიც ცრუ-პატრიოტთა, მუცლით მხლადართა დაუვიწყარი ვალერეა შექმნა.

მემუარული ხასიათის ბოლო წიგნი „თბილისური ჩანახატები“ (სამწუხაროდ, ვერც ამის დახრულება მოასწრო) ერთ-ერთი საუკეთესოთაგანია, რაც ამ ჟანრში ქართულ ენაზე დაწერილა.

რამდენს გვიბრდებოდა არჩილ ხულაკაური ჯერ კიდევ ბოლომდე გამოუვლენელი უმდიდრესი შესაძლებლობებით, როგორ ამშვენებდა თავისი გაუბზარავი კაცობით, თავისი მრავალმხრივი ნიჭით ქართულ მწერლობას.

მისი ერთადერთი საფიციარი და ხალოცავი საქართველო იყო. იგი დიდი ილღობას კვალზე მავალი ჭეშმარიტი მამულიშვილი ვახლდათ — მართალი, პირში

მთქმელი, უკომპრომისო და არჩილის ყველა ახლობელს სამუდამო ტყვეობად და რჩება, რომ მისი სიკეთით, ადამიანთა სიყვარულით სავსე გულის ფეთქებასე სპეციალურად შეწყდა.

მეზარ კვიციანი

გაგვიჩვენებ

დიდი ხანი იყო, რაც არ შენახე, ასე მეგონა ხოლმე, როცა მონატრებულები შეეხებოდნენ ერთმანეთს. სამოცდაათ წელს მიტანებულები დაუშრეტელი მოგონებებით ეხებოდნენ. უერთმანეთოდ განვლილი ცხოვრების დღენიც გასაოცარი სიძნადით ცოცხლდებოდნენ და ჩვენი სიცოცხლის უწყვეტელ გზას ალაგვინდნენ. ასე იყო ამ ათი დღის წინ, ბათუმში შეეხვდით ჰაიდარ აბაშიძის იუბილზე, თბილისიდან ბათუმამდე თითქმის მთელი საქართველო გამოგველო ავტომანქანით მეგობარ მწერლებთან ერთად, ჯერ დავით კლდიაშვილის სიმონეთი მოგვინახულებინა, იქიდან ბათუმში ცოტა დაგვიანებით ჩამოხვედით, პირდაპირ სცენაზე მიგიწვიეს სიტყვის სათქმელად. არასოდეს გვგვეოდა ორატორული ენაშეობა, მაგრამ შენი მოსმენა მუდამ იყო შთამბეჭდავი, ფიქრისა და ბრძნული აზროვნების შედეგი. თეატრის იმ დარბაზში მყოფი შენი მეგობრები, ბათუმელი ინტელიგენტები, შენი ნიჭის თავგანისმცემლები ვისმინდნენ საყვარელ მწერალს, მახლობელ, მუდამ საინტერესოდ მოუბარ ადამიანს, სიბერის ნიშანწყალი არ გეწყობოდა, გარდა ჭკარისა. მოწიფულ მწერალს, აღიარებულ ოსტატს დადღილ თეატრში აზრის, ნათელი გიკიაფებდა. ერთად იყვნენ ბრძენი გაგვი და ჭკარმაგი ოსტატი. იმ საღამოს ერთად ვუსხედით სუფრას, მწერლის ვახსენების საღამო იყო და რაღაც მეტი, ეადრე ჩვეულებრივი ხმამაღლა გამხედილი ფიქრები, ტკივილიან სამშობლოზე, წუთისოფელზე, ადამიანებზე, მეგობრებზე. ვიცოდი, კარგა ხანია ღვინოს ერიდებოდი. იმ სუფრაზე გულიანად მოილხინე, ყველას გვეფერებოდი, შენ ძველ მეგობრებს, მშვენიერი, დაუფიწყარი საღამო იყო. არსად სიბერისა და დაუძღურების შელანქოლია. მეორე დღესაც მიგიწვიეს ახალ სასტუმროში ზღვის პირას. არასოდეს გვგვეოდა სენტიმენტალობა და მაღალფარდოვნება. ზღვა, სიცოცხლის საოცარი ვანცდა და მეგობრებთან სიახლოვე რაღაც სხვაგვარ, მანამდე უცნობ ფილოსოფიურსა და იმადროს რომანტიულ ელფერს ანიჭებდა ჩვენს ერთად ვოფნას და ასე მეგონა იმ წუთებში, არასოდეს დავებრდებოდით, არასოდეს მოეკვდებოდით, როგორც ეს ლურჯი ზღვა და ცისქვეშეთში უთვალავ ფერად განფენილი მშვენიერი და ტრაგიკული ქვეყანა. შენ ბადებდი ჩვენში ამ ფიქრებს, ამ განწყობილებას და სიყვარულს ცხოვრების ძნელ და გრძელგზაგამოვლილი ადამიანი, ჩვენი თაობის ლადერი მწერლობაში, ბერის შემქმნელი მხატვარი, რომელსაც თბილისში შენს საწერ მაგიდაზე დაუმთავრებელი ვრცელი მოთხრობა გელოდებოდა. ნაშუადღევს გამოვაცილეთ თბილისში და ეჭვადაც არ მიფიქრია, თუ უკანასკნელად გემშვიდობებოდი... და რაღაც ათიოდე დღის შემდეგ მოხდა დაუგვრებელი რამ, შენი უცარი გარდაცვალება. რა იყო ეს? ულოგიკო, უცარი ელდა, საბედისწერო შემთხვევა, რომელიც სიცოცხლის ყველა კარებს ერთბაშად კეტავს და არსად ტოვებს დახშული სიბნელის სამყაროში იმედის მცირედ შუქს. უცებ ვერ აღვიქვით, ვერ გავაცნობიერეთ, დავიბნინეთ. ახლა ჩვენ, ბედისწერის გარდუვალობას შეგუებულები, ვივინებით იმ ორ დღეს ბათუმში, ზღვის პირას გატარებულს. თითქოს ქვეცნობიერად ჩაფიქრებულ შენს მოგზაურობას თბილისიდან ბათუმამდე და უკან. რა იყო ეს ყველაფერი? ტკივილიანი, დაძაბული მეხსიერებით აღვადგენთ შენს ცხოვრებას მტკვრის

პირას, რიყეში, იმ ძველი სახლიდან, სადაც შენმა ბავშვობამ გაიარა, ზღიდანაც ძველი აიენიდან შეპყურებული მტკვარს, მდინარეს, რომელმაც გასწავლა ფიქრი: „მაინც რა არის ჩვენი ყოფა, წუთისოფელი?“ გაპყურებული მთაწმინდას და გესმოდა: „ათოვს მთაწმინდას, ათოვს მადათოვს, ათოვს ძველ ლანდებს და მწუხარებას“, უხედავთ იმ ძველი სახლის ნანგრევებსაც, სამტრედევებს, მოშლილ ბუდეებს და იმ ნანგრევებში სხვენზე ნაპოვნ ზღაპრებს საღამურაზე და ჯადოსნურ კაბაზე თუ ცისფერ ირუმზე. უხედავთ ძველ წიქვილებს მტკვარზე, წყალდიდობას რომ გაჰყვა მარადისობაში მეხამრიდებზე დამფრთხალ მტრედებს და იქ ქურეზში მოჩვენებულ ბარათაშვილს, ფიროსმანსა და გალაკტიონს, ცხოვრებას, რომელიც შენ აღმოაჩინე, „დიდი ცხოვრება აღმოვაჩინე, მოდი, შეხედე ჩემი თვალებით“. შენი თვალებით შეგვახედე იმ შენსავე აღმოჩენილ ცხოვრებას, ჯერ უნივერსიტეტში, ჩვენს ლიტერატურულ წრეში წაკითხულ და მერე ჩვენსავე ჟურნალში „პირველი სხივი“ გამოქვეყნებულ ლექსებსა და პოემებში, შენსავე რომანებსა და მოთხრობებში, დღევანდელ დღემდე, როცა ნათელი შთაგონებით წერდი „თბილისურ ჩანახატებს“ და სეფედავლეს ამბავს. შენ გულსა და ცხოვრებაში გაიარა თბილისში ძმთა ომის ტრაგედია და ამ ტკივილებით აღსავსე „ანდერძი“ დაგაწერინა. არაფერი გამოვიგონია, საოცარი მეხსიერებით იგონებდი ცხოვრებას მართალი მწერალი. უბერებელი იყო შენი ცხოვრება და შთაგონება. ვეღვაფერო ამის პატრონს სიკვდილის არასოდეს გეშინოდა, ყოველ ახალ ნაწარმოებს ისე წერდი, თითქოს თავიდან იწყებდი მწერლობას. ამაზე მომავალში უფრო მეტს იტყვიან, რათა საბოლოოდ ამოიხსნას შენი დაუმთავრებელი მოთხრობის ბოლოს დასმული მრავალწერტილი.

მეორფასო არჩილ, ამ იმედითა და რწმენით გემშვიდობები მარადისობაში გადასულს...

პიორპი სუსაშვილი

შენსპართ!

ბატონ არჩილ სულაკაურს დავით კლდიაშვილის იუბილეზე შევხვდი რამდენიმე დღის წინ.

ჩვეული სიდინჯით ილაპარაკა დიდი მწერლის ღვაწლსა და დამსახურებაზე მის შემოქმედებაზე.

საიუბილეო სუფრას აღარ დაელოდა, ბატონ თამაზ წიფწივაძესთან ერთად ბათუმში მიემგზავრებოდა.

ხეყნა-მუდარამ მაინც გასჭრა, გზად სახელდასჯელო სუფრა გველოდა.

რატომღაც მოწვენილი იყო. ღვინოვანი ვერ აუშალა ლაპარაკის საღერდელი, ჩუმიდ ყოფნას ამჯობინებდა.

ორი დიდი დავითი, კლდიაშვილი და კაკაბაძე მარტო იმერეთის არ გვეგონოთო, გაგვაფრთხილა, დედა მეც იმერელი ქალი მყავდა, აქაურობაც განსაკუთრებით იმიტომ მიყვარსო, თქვა და დაგვემშვიდობა.

როგორ ვიფიქრებდით, რომ ეს იყო ჩვენი ბოლო შეხვედრა, უკანასკნელი გასახუბრება.

წაივდა ჩვენგან ღირსეული, დიდი ძმა. ნიჭიერი მწერალი და საზოგადო მოღვაწე. კაცი — სავსე სიყვარულით, დაზუნძლული სათქმელით და საფიქრალით.

დაგვიტოვა რუდუნებით შექმნილი მართალი წიგნები, დიდი სევდა, რომლითაც სავსეა არჩილ სულაკაურის მოთხრობები, ლექსები, მთელი მისი შემოქმედება.



ქუთაისი და ქუთაისლები თანაუგრძობენ ქართულ მწერლობას სულაკაურის ოჯახს დიდი დანაკლისის გამო.

უშურველი იყოს ბატონი არჩილისათვის მშობლიური მიწა, რომელზედაც იგი ამაყად დააბიჯებდა და უხაროდა, რომ ამ მიწის შვილი იყო.

თეიმურაზ ლანჩავა

დიდი მიწაში მწესაკებისა

სამწუხაროდ, დამთავრდა ქართული მხატვრული სიტყვის კიდევ ერთი დიდი ხელოვანის ამქვეყნიური სიცოცხლე — დამთავრდა იგი დიდი შემოქმედებითი წარმატებების, საერთო აღიარებისა და მეგობართა თუ თაყვანისმცემელთა სიფარულის უნეტარესი განცდების ჭამს. საერთო სულიერი კრიზისის ჩამოდგომის მიუხედავად, მისთვის ჯერ კიდევ მაინც არსებობდა მწვანედ ახახახებული სულიერების ოაზისი, არც თუ მრავალრიცხოვან უახლოეს მეგობართა და თანამოაზრეთა სახით, რომელთა ურთიერთობების სიმზურვალეშიაც იქარებდა უზნეობით განაწამები ქვეყნის მასში გადმოსულ ტკივილსა და მწუხარებას.

მისთვის არასოდეს დამდგარა შინაგანი სიმყუდროვითა და ყოფითი კეთილდღეობით, თუნდაც წამიერი კატაკუბის ჭამი.

თხემით ტერფამდე პოეტი და ამიტომაც ვნებამოჭარბებული მაქსიმალისტი, იგი იმ შემოქმედის „როლს“ ანსახიერებდა, რომლისთვისაც მიღწეული არასოდეს იყო საბოლოო მიზანი.

მუდმივი ძრწოლა და შინაგანი შემოქმედებითი განგაში მისი „ჩვეულებრივი“ არსებობის ლაიტმოტივს წარმოადგენდა.

მხოლოდ გამოცდილებით მიღწეული ვირტუოზულობისა და უმაღლესი რანგის ინტელექტის ბედნიერ შერწყმას შეეძლო ეშვა მწერლის უკანასკნელი წლების მხატვრული შედეგები.

იგი ერთი იმ იშვიათთაგანი იყო, ვინც მძაფრი ანალიტიკური გონებით აღჭურვილი ჰქონდა დროის უსასტიკეს მოვლენათა დაფარულ აზრსა და შინაგან ბუნებას — ვრძობდა ისტორიული სინამდვილის საბედისწერო მაჯისცემასა და დრამატიზმს.

არჩილ სულაკაურის, როგორც, პოეტისა და პროზაიკოსის, როგორც მოაზროვნის, მსოფლმხედველობრივი სიმაღლიდან უნიკალური სიღრმითა და აქტუალობით გაცხადდა სიკეთისა და ბოროტების, სიმართლისა და უსამართლობის, სცოცხლის აზრისა და სრული უაზრობის ფილოსოფიური არსი და მათი პერმანენტული შეუთავსებლობა.

საგულისხმოა უკანასკნელი წლების ეროვნულ ტრაგედიათა მის სულში გახშიანების უჩვეულო სიმძლავრე.

მწუხარე მგლოდიებად ამოთქმული მონოლოგები გვარწმუნებენ, რა ღრმა და შეშხარავია ჭეშმარიტი შემოქმედის სულში არეკლილი ეროვნულ-საზოგადოებრივი ტკივილები, რა წარმოუდგენლად დიდია მწუხარე პოეტის ღოცვა-აღსარების შინაგანი აზრი და მნიშვნელობა.

ეს არის სამშობლოზე და ადამიანის ბედზე მგლოვიარე იმ ჭირისუფლის მედიტაციები, რომელიც ღრმად ჩასწვდომია ქვეყნის უბედურების ფესვებს შეუგრძენია და ბოლომდე გაუცნობიერებია ერისა და მასთან ერთად საკუთარი სულის ტრაგიკული ბედისწერა.

ეს შემოქმედის ის სიმაღლეა, საიდანაც პროტაგონისტი უკვე კრის სრულ-უფლებიან მსაჯულად გვევლინება, რათა აუწყოს მას (ერს) საკუთარი შეცოდებანი და სამართლიანად განსაჯოს მის უძღვებ შვილთა დაფარული ცოდვა-ბრალი.

სწორედ ამგვარად აირეკლება ჩემს ცნობიერებაში არჩილ სულაკაურის სულიერ-ინტელექტუალური სილუეტი.

აღბათ, ბუნებრივია, განსაკუთრებული მოწიწება იმ პიროვნების მიმართ, რომელიც თუნდაც გარდაცვალების შემდეგ „გაიძულებს“ ღრმად დაგაფიქროს მისი ამქვეყნიური არსებობის მაღალ დანიშნულებაზე იმ დიდ სულიერ მისიასა და ღვთისგან ბოძებულ სასჯელსა თუ ჯილდოზე მწერლის შემოქმედებითი სიცოცხლე რომ ჰქვია.

და ბოლოს:

ერთი დიდი მწერლით, ერის ერთი დიდი ჭირისუფლით ნაკლებია ღღეს საქართველო.

აი, რა უნდა იყოს უპირველესი მიზეზი ჩვენი საერთო გლოვისა და მწუხარებისა.

ბურაკ ბანაშვილი

„მე მქონდა ღრმა და ნათელი აზრი, მე მქონდა რწმენა და მე ვიხმოდი, რა იყო ღმერთი!...“

დაახ, ასე წერდა ერთ ლექსში 1961 წელს არჩილ სულაკაური, როცა ჯერ არ ჰქონდა დაწერილი „წყალდიდობა“, „ბიჭი და ძაღლი“, „ბრმა ლეკვები ივანე ბერიტაშვილისათვის“, „მტრედები“, „გაბო“, „აბელის დაბრუნება“, „ლუკა“, „სალამურას თავგადასავალი“, „თეთრი ცხენი“, მაგრამ უკვე დაწერილი ჰქონდა „ტალღები ნაპირისაკენ მიისწრაფვიან“ (1957) და ბევრი ბრწყინვალე ლექსი. იცოდა რასაც ამბობდა. იცოდა, რომ უნდა ეთქვა ის და ისე, რასაც და როგორც სხვა ვერ იტყოდა. შემდეგ, ოთხმოცდაოთხში, ის მორიდებით, მაგრამ უდაოდ თავისი ფასის ცოდნით იტყვის: „... და, რა თქმა უნდა, უჩვეულოს არც მე შეეხებივარ, უხილავი არც მე მიხილავს, მხოლოდ მიგრძენია, ან განმიცდია... ან შესაძლოა: გამიგონია სიტყვა, რომელიც არავის უთქვამს“. აი, კითხვები, რომლებსაც ის მთელი სიცოცხლის მანძილზე უსვამდა თავის თავს და თავის ზალხს: „არის? იქნება? იყო? არ იყო? სახელი ერქვა? არ ერქვა? ჰქვია?“ და მისი პასუხი ასეთი იყო: არის, იქნება, იყო. სახელი ერქვა. სახელი ჰქვია. და ის ეძებდა ამ სახელებს. ეძებდა და ხშირად პოულობდა კიდეც. სიტყვაშიც პოულობდა და ცხოვრებაშიც. აი, თუ ვერ იპოვა სიტყვაში:

„გუშმათს ერთხელ ჩამოვკიდე მოგუგუნე ზარები და დარუბანდს მხოლოდ ერთხელ ჩამოვხსენი კარები, მხოლოდ ერთხელ აღვაშენე სეპტიცხოვლის ტაძარი და ლაშქარი დიდგორისკენ მხოლოდ ერთხელ დაუძარი... მინდა ზურები გასაფხულის დრუბელს მოვაწვიმინო, ვაი, როგორ გაფრენილა ჩემი ვლადი მიმინო!“

„გული მაქვს შენი ნაპერწკლით სავსე, მინდოდა ერთხელ ცეცხლიც დაგენით, მაგრამ არსაით შემომხვდი გზაზე, მარადიულო და ერთადერთო...“

„მთელი ცხოვრება განვლიე ისე, თითქოს უძილო ღამე ვათიე. ვინ მაპატიებს იმ პირველ სიზმრებს, იმ პირველ ვნებებს ვინ მაპატიებს?“

არჩილ სულაკაური — ჩუღურეთელი თუში და თუში ჩუღურეთელი.

აბა, გავიხსენოთ „წყალდიდობა“.

„როგორ ვიფიქრებდი, თუ ოდესმე თუ ოდესმე მე თვითონ დაგხვდებოდა... სახლს, სადაც ბავშვობისა და ყრმობის წლები გაძიტარებია...“

ინგროდა ძველი სახლი, ჩემი ბავშვობის ბუდე... მის კედლებში მალე დაინთქმებოდა უდარდელოდ, უზრუნველად გატარებული დღეები. გული მეკუმშებოდა: ჩემშიც ირდეუოდა რაღაც: ეს იყო ბავშვის გულით ნაგრძნობი და განცდილი, ბავშვის თვალთ დანახული სამყარო!“

არჩილ, ძვირფასო, ის ძველი სახლი, შენი ბავშვობის ბუდე, შენი გულით ნაგრძნობი და განცდილი, ბავშვობაში შენი თვალთ დანახული სამყარო არ დანგრეულა. ის მყარად და წმინდად აშენებული სახლი, ბუდე სამყარო აღმონდება. რამდენი ხანიც არ უნდა გეცოცხლა, შენ იმ სახლის ბუდის, სამყაროს დანგრევას ვერ გაბედავდი. რატომ? შიშით – შენივ თავის შიშით, იმის შიშით, რომ შენს ხელში ბავშვობისას აკებული წმინდა ტაძარი ტიალ დროს არ დაერღვია! ეს წმინდა შიში იყო, რომელმაც შენს წიგნებში მონუმენტურად, სამარადისოდ აღაშენა იმ ტაძრის კედლები და ჩააბუდა იქ ლეთისმოსაური ხელი. შენს „წყაღდიობასა“ და სხვაგანაც, ჩუღურეთიდან უკვე დიდი ხნის სხვაგან გადასულმა, რაინდულად ეცი თავყანი იმ ჩუღურეთს, რომელსაც შენი მკითხველებისთვის წიგნთა შენთა გამოისობით შენი, არჩილ სულაკაურის ჩუღურეთი ჰქვია. და პირადად მე სწორედ იქ, ჩუღურეთში, ეხედავ შენთვის, ჭაბუკი არჩილ სულაკაურისთვის დადგმულ ძეგლსა თუ ქანდაკებას.

თან ჩუღურეთი და თუშეთი თითქოს ერთმანეთის გვერდივერდ კი არა, ერთადაა, აი, შენი, თბილისში დაბადებული და დაკაცებული კაცის „შენაქოში თქმული ლექსის“ (1969) სტრიქონები:

„მიტოვებული, მივიწყებული მადლობზე იდგა თეთრი საყდარი, ხოლო გამხდარი, ბებერი ცხენი, რომელსაც ზურგზე ყვავები ასხდნენ, იქვე მოწყენით წიწკნიდა ბალახს, საოცარია მეხსიერება! მე ხელ არ მახსოვს, სად ვნახე, როდის, მაგრამ ხსოვნაში აქამდე ჩამრჩა: თეთრი საყდარი და თეთრი ცხენი, მოწყენილი და გამხდარი ცხენი, რომელსაც ზურგზე ყვავები ასხდნენ“.

კიდევ:

„თუშის ბიჭი ვარ და მინდა ღამე
მხრებზე მოვისხა როგორც ნაბადი!“

და არჩილ, მე იქ, შენაქოშიც, შენთვის ამართულ ძეგლსა თუ ქანდაკებას ეხედავ.

არჩილ სულაკაური – მეოცნებე, ფაქიზად, სასიოებით მეოცნებე:

„არა მინდა რა,
ხიზმრად ვნახო თუნდაც ენძელა,
როგორც გზის პირას ანთებული თაფლის ხანთელი“.

ელენე ახელედიაჩისადმი მიძღვნილი ლექსიდან:

„ო, როგორ უნდა
იქვენს ნახატს ჰგავდეს
ამ სახლს,
აივანს,
დათოვლილ კრამიტს,
ხოლო მე – ცისფერ ნამქერში ვწანდვ
სულ ერთი წუთით ან ერთი წამით“.

კიდევ:

„ხომ შეიძლება დამეხიზმროს პატარა ბავშვი,
მზიანი დღე და ბედნიერი პატარა ბავშვი“.

... არჩილ სულაკაურს თავის წიგნების კარადაში ამ წიგნების შესახებ ასეთი თანმიმდევრობით უწყვია ფოტოსურათები:

სიმონ ჩიქოვანი, პავლე ინგოროყვა, ედიშერ ფიფიანი, ნოდარ დუმბაძე, ოტია პაჭკორია, სარგის ცაიშვილი, დიმიტრი (დიმა) ქუშიშვილი, თითქოს თავისთვის განსაკუთრებით ძვირფას ამ (და, სამწუხაროდ, ბევრი სხვა) ადამიანებზე დღენიადაგმა ფიქრმა დააწერინა არჩილს ეს:

**„ერთი კაცი მიდიოდა მოწვენილი ასე,
შეგობრები დაპკარგოდა წუთისოფლის გზაზე“.**

კიდევ:

„უძროოდ გარდაცვლილ შეგობართა გამო თქმულიდან“.

**„შე ვუხმობ. „ეს გზა შენი არ არის,
უკან დაბრუნდი, მოვეახლო ჩემო!“**

ვაი რომ, ჩვენ დღეს უკვე არჩილ სულაკაურსაც შეგვიძლია მივმართოთ იმ სიტყვებით, რომლებიც მან თავის ძვირფას შეგობარს, მთაში დაღუპულ რაინდ კაცს ჯუმბერ მეძმარიაშვილს უთხრა:

**„შენ ახლა გძინავს მარადი ძილით
და ვეღარავინ ვერ გაგაღვიძებს.“**

ძინავს არჩილ სულაკაურის სხეულს. მისი წიგნები მიმავალშიც ბევრჯერ აგეოგრაფიატებენ, შეგვიძრავენ, გაგვაუკეთესებენ.

ჩვენ გვმართებს დღეიდან მეტი ვიფიქროთ ფენომენზე, რომელსაც არჩილ სულაკაური ჰქვია.

ჯუშუპარ თითქმარია.

მალალი ნიჭით სხაგული

არჩილ სულაკაურის სამოცი წლისთავისადმი მიძღვნილი ჩემი ლექსი ასე მთავრდება: „სამოცისაა ახლა ის ბიჭი, მტკვარმა რომ გაზარდა და მალლა იწევს სულ მისი სიტყვის და საქმის მაზანდა“.

კარგად მიწინასწარმეტყველია: ბოლო ათწლეულში მართლაც დღითი-დღე იზრდებოდა, ღრმავდებოდა და მრავალფეროვნდებოდა არჩილ სულაკაურის შემოქმედებითი პალიტრა, მისი საზოგადოებრივი და მწერლური თვალსაწიერი.

იგი დღენიადაგ თავისი სამშობლოს ართომიულ მაჯისცემას აფურავდებდა, ეს-წრაფვოდა მისი სატკივრებისთვის ეწამლა; მოძმეთ მუდამ იქითკენ ახედებდა, საიდანაც ეროვნული საფრთხე იყო მოსალოდნელი. იგი თავისი მშობელი ხალხის ზნეობრივი დეფორმაციების ფზიზელი დარაჯი და სიტყვითა და საქმით მისი ინტერესების ხმალამოღებული დამცველი იყო.

ო, რამდენ ახალ, დიდებულ ქმნილებებთან ზიარების სიამოვნება მოგვაკლდა ჩვენ, ვეღვას, ვინც მისი მალალი ნიჭით ცხებული ნაწარმოების პუბლიკაციას ასეთი ცხოველი ინტერესით ველოდით.

ტაბუ მუხაროშვილი

რა დაგვიწყებს

1. ზურმუხტოვანი ჯვარი

მოსკოვში, ჩაიკოვსკის დარბაზში გამართულმა ქართული პოეზიის საღამომ, როგორც იტყვიან, წარმატებით ჩაიარა. საღამოს მომწყობნი და მონაწილენი, „მოსკოველმა ქართველებმა“ რესტორან „სოვეტსკაიაში“ მიგვიწვიეს, დიდებული ნადიმი გაიმართა. სხვა სიკეთესთან ერთად, ლხინს, არც ბოშათა გუნდის ცეკვა-სიმღერა დაკლებია. პოეტი ბელა ახმადულინა, მისი მეუღლე მხატვარი ბორის მესერერი და არჩილი ხუფრის ერთ მხარეს იხსდნენ, ხოლო მათ წინ, ხუფრის მეორე მხარეს, დეპუტატის დროშებით მკერდდამშვენებული ჩვენი ხასიქადულო პოეტები ვრიგოლ აბაშიძე, ირაკლი აბაშიძე, შოთა ნიშნიანიძე და ნოდარ ღუმბაძე იხსდნენ. კარგად რომ შევზარხოშდით, სიტყვა ბელა ახმადულინამ ითხოვა, ფეხზე წამოდგა, ღვინით სავსე ფუჟერი მოიმარჯვა, მარცხენა ხელი ასწია, გრძელი ღამაში თითები მოხდენილად გაშალა და მისთვის ჩვეული ოდნავ მოკანკალე ხმით წარმოთქვა: — მე მიყვარს საქართველო! მე მიყვარს სვეტიცხოველი, სადაც ჩემმა ქართველმა მეგობრებმა მართლმადიდებლობას მაზიარეს! მე მიყვარს ქართული პოეზია! მე მიყვარს ბატონი ვრიგოლი, ბატონი ირაკლი, ჩემი ნოდარი, შოთა... მე გულწრფელად მახარებს მათი დიდი წარმატება, მათი დეპუტატობა, მათი სოციალისტური შრომის გმირობა, მათი ლაურეატობა, მათი მაღალი ტიტულები. მკერა, რომ ეს ყველაფერი მათ მხოლოდ იმისთვის სჭირდებათ, რათა ჭეშმარიტ პოეზიას გამოექომაგონ, რათა გამოადგნენ ნამდვილ მწერლებს, რათა გამოადგნენ ჩემს საყვარელ ღამაზ საქართველოს. მაგრამ, ახლა, მე მსურს ყველას გვერდი ავუარდ და მხოლოდ არჩილ სულაკაურის სადღევრძელო შემოგთავაზოთ. მართალია არჩილს არავითარი რეგალია არ გააჩნია, მაგრამ იგი უამისოდაც დიდებული შემოქმედია. მე უსაზღვროდ მიყვარს არჩილი! ამიტომ ყველა თქვენგანის „ჯიბრზე“, მე მინდა გადავცე მას ჭეშმარიტი ჯილდო — ზურმუხტის თვლებით გაღამაზებული ჩემთვის ძვირფასი ჯვარი! ჯვარი, რომელიც ჩემმა თბილისელმა მეგობრებმა მისახსოვრეს! მისახსოვრეს ჩემი ნათლობის დღეს! მისახსოვრეს ჩემს საყვარელ მცხეთაში. ჩემს საყვარელ სვეტიცხოველში! — ამ სიტყვებზე, ბელამ, გრძნობით შობილი სასოების ცრემლი შეიმშრალა, ღვინით სავსე ფუჟერი ბოლომდე დაცალა, ზურმუხტოვანი ჯვარი ყელიდან გარდამოიხსნა და არჩილს თავისივე ხელით ფელზევე ატვირთა. ეს დაფასება იმდენად შთაბეჭდილი იყო, რომ ტაშმა იგრიალა. მერე ყველანი ფეხზე წამოყუდებით არჩილს და მისი სადღევრძელო დიდი მოწინებით შევსებით.

2. კეზალი

ნოდარ ღუმბაძის აგარაკს, არჩილი სექტემბრის ბოლომდე შემორჩა. იმ ოროს მეც გულრიფშეში გახლდით. თბილისში წასვლის დღეს, ვიდრე მანქანის საჭეს მიუჯდებოდა, ნოდარმა გარაჟიდან სასროლი ბადე გამოიტანა: — არ გეწყინოს, არჩილ, გარაჟის კარი უნდა ჩავრახო და ეს ბადე ჯობს გარეთ იყოს. ვიცი მოვშივდებათ უჩემოდ შენ და ოლიას, მტკვრის პირას ხარ დაბადებული, ბავშვობაში მოხაყველი კბილები სასროლ ბადეზე გაქვს შეტოვებული... პოდა, ავერაა ახლოს კოდორი. წაიღე ბადე, ამოყარე თევზი, მოხარშეთ „უხა“, არყის ფული უკვე წინასწარ გადაუხადე გვაზაკებს. გამოართვი „ვოდკა“, დაძატივით რუხის ქალები და დალიეთ ჩემი სადღევრძელო.

ერთ მშვენიერ დღეს მართლაც გადაიფლო არჩილმა მხარზე ნოდარის დატოვებული ბაღე, მცც მომაჩენა ხელში სათევზე ვედრო და კოდორს მივაშურეთ. გზად, ვინც კი შემოგვხვდა, ყველამ დაგვლოცა: „ღმერთმა ხელი მოგიმართოთ, ხალამოს თქვენი სტუმრები ვართ, თვეზი თქვენი, დანარჩენი ჩვენი“.

კოდორი მთაში მოვარდნილი თქემის გამო ამღვრეული დაგვხვდა. ამიტომ შინ ხელმოცარულები დაებრუნდით, არჩილი საშინელ გუნებაზე დადგა. ვედროში ათიოდე ლიფსიტა ლაფაუდა სუღს, ჩვენა გზის დამლოცველები ნოდარის კიშკართან შემოგვკვებნენ. ცარიელი ვედრო და უგუნებოდ მყოფი არჩილი რომ დაინახეს, შეცბნენ, მაგრამ იხტიბარი არ გაგვიტყუებს: არა უშავს „უზის“ გარეშეც იოლას გავალთო, — ვეითხრეს, — მთავარია ხალამო ერთად გავატაროთო, — ესეც დასძინეს და იქვე, გზისპირას „ლაკაკზე“, ანუ მერხზე ჩამოსხდნენ. არჩილმა კოდორის მღვრე ტალღებთან ნაბრძოლი ბაღე გასაშრობად გაფინა. მე ზღვას მივაშურე, ცოტას გავიცურავებ-მეთქი, ვიფიქრე. უცებ, ზღვის ნაპირს კარგა მოხრდილი თვეზი მოაწყდა. არჩილთან მივიბრბინე, ვუთხარი, რაც ვნახე. არჩილი სასწრაფოდ სწვდა ბაღეს, ზღვასთან მიიბრბინა, დაზევრა ტალღები, მერე ბაღე მოიმარჯვა, ისროლა და... ჰოი, საოცრებაჲ?! — ზღვიდან უშველებელი კი ფალი ამოიფვანა. თვეზი იმდენად დიდი იყო, რომ ვედროში ვეღარ ჩავატყით, ნახევარი ვედროს კიდეს გადმოკვიდა.

მებაღური ტაშით დააჯილდოვეს.

— ყველაფერი მინახავს, მაგრამ ამხელა ღლიაის ზღვიდან სასროლი ბაღით ამოფვანა მოყოლითაც არაუვისგან გამიგონიათ, — თქვა ჟურნალ „სოვეტსკი სოიუზის“ ცნობილი ფოტორეპორტიორის ბალტერმანცის სიმემ ვალოდიამ და სიმამის გადახვდა.

არჩილი გამზიარულდა.

— ეს კეფალი სტავრიდებს გამოქცა, — თქვა მან, — იფიქრო ნაპირამდე აღარ გამომდევნებინათ. ის კი ვეღარ გაიაზრა, რომ, მტაცებლებს გამორიდებულო, ცოტა ხნის მერე არანაკლები მტაცებლების, ბალტერმანცების მშვიერ კუჭში ამოფოფდა თავს.

ყველას გაეცინა.

ამასობაში დადამდა კიდევ. ვალოდიამ შინიდან შავი ღლისთვის გადანახული უკრაინული „პარილაკ“ მოარბენინა, „უხაც“ მალე მოიხარშა და ყველანი სუფრას მოუუსხედით.

ჩინებული მებაღური გახლდათ არჩილი.

3. ანტორის კახა

არჩილმა საზღვარგარეთ წოგნი გამოსცა. ჰონორარი, მოსკოვში სერთიფიკატებით მიიღო, თანხა იმდენად დიდი აღმოჩნდა, რომ წინ რაგინდ ქებული გურმანის მიერ ვაწყობილი ასკაციანი ძვირფასი სუფრაც ვერ დაუღვებოდა. მიყვავით ხელი სერთიფიკატების „ფლანგვას“. მოსკოვის რესტორნები რომ ვეღარ მოვიყირჭეთ, სიამოვნების გასაგრძელებლად შინ მატარებლით დაბრუნება გადაწყვიტეთ. „საერთაშორისო ვაკონი“ ვერ გავახერხეთ, რაღას ვიზამდით, „რბილითაც“ დაეკმაყოფილდით. ოთხსაწლიანი კუბე დაეკავეთ. ოთხნიც ვიყავით — არჩილი, პოეტო გივი გეგეჭკორი, გივის ვაჟი და მე. კარგად რომ „დავებუნავდით“, დაღამდა კიდევ და მატარებელიც დაიძრა. ვახშამს შევეუდექით. მოსკოვეური „ღელიკატესები“ საკმარისად გვქონდა წამოღებული. ამიტომ ვახშამიც გვიანობამდე გაგვიგრძელდა და ცოტა რამ მეორე ღლისთვისაც შემოგვკნანხა. გათენდა. ზამთრისპირი იდგა — დღემ მალე გაიარა და ისევ მოსაღამოვდა. მატარებელი კახაკთა რომელიღაც სოფელში შეჩერდა, აღარ მახსოვს ბელორეჩინსკი იყო თუ ივ-

ლიეკვა. ადრე, ამ სადგურებზე, მოხარშული ვარიები, „ხუტორის ვეკლო“ ცხვრებზე ცხი, ვედროებით ვაშლი და სხვა უგემრიელესი საწვავე იყიდებოდა. ახლა კი, სურას უკაცრავად, ახელილი კარტოფილით ნახევრამდე შევსებულ ცელოფნის პაწია პარკებში ჩატანებულ მჭავე კიტრის გარდა, ველარაფერს მოვკარით თვალი. იძულებული შევიქენით ვაგონ-რესტორანისკენ აკვლო ვეზი. რესტორანს რომ მივადექით. ჩვენი ყურადღება ტამბურში ატუხული კატის „მიაუმ“ მიიქცია, კატა ღიათამბაქოსფერი იყო. ყურები აწვეტილი ჰქონდა. „ანგორისას ჰვავს“ — გაიფიქრე მე.

— ჯიშინია. — თქვა არჩილმა.

— ეტყობა ვაგონ-რესტორანისაა. — ჩაილაპარაკა ვიემ.

ვიდრე მაგიდას მივუსხდებოდით, არჩილმა ოფიციალტ ქალს კატის „კინაობა“ ჰკითხა.

— სადაა კატა?! ჩვენ არ გვყავს? კატა?! — გაიკვირვა ქალმა.

— იქ, არის, ტამბურში. — ვუთხარი მე.

— ჰო, აღბათ ლტოლვილია. — თქვა მან და კატა რესტორანში შემოიყვანა, თან ესეც დასძინა: — ისე დაიმშა აქაურობა, რომ კატები გაქვევით შევლიან თავს.

— ხაიდანაც კატები გარბიან, იმ ქვეყანას ხეირი არ დაადგება. — დაასკვნა არჩილმა.

თბილისში რომ ჩამოყვდით, არჩილმა ვაგონ-რესტორანს მიაკითხა, ლტოლვილი კატა „გამოიხსნა“, უბეში ჩაისვა, უნდა ვიშვილოო — თქვა და თან წამოიყვანა.

— ნამდვილად ანგორისაა. — ვთქვი არჩილის კეთილშობილებით მოხიბლულმა.

— არც ეგ არის გამორიცხული, — ღიმილით მითხრა ნაშვილები კატის ქებით წახალისებულმა არჩილმა.

4. ნათლობა

ჩემი მეუღლის მამიდა, ცნობილი ქართველი ფსიქიატრი, პროფესორი ღილი ნაკაშიძე რომ გარდაიცვალა, ჩვენი ვაჟი, ლევანი ორიოდე თვისაც არ იქნებოდა. გვირჩიეს: კარგს იზამთ თუ ჩვილს პაპიდას დაკრძალვამდე მონათლავთო. რჩევა მივიღეთ, თან, ისიც გადავწყვიტეთ, რომ ვინც მიცვალეხულის ნათესავეებსა და მოყვრებს შორის უნათლავი იყო, ვეკლას ერთბაშად ვეკლო ნათელ-მირონი. ჩემმა მეუღლემ ეს ღვთისნიერი საქმე თავის მეგობრებს შეთხოვა, მე კი ნათლიე-ბად ჩემი მეგობრები, არჩილი, ედიშერ ყიფიანი, მანანა ბარათაშვილი და რეზო ჭეიშვილი დავიგულე. დადგა ნათლობის დღე. მივაშურეთ ეკლესიას. ვინც უნათლავნი ვიყავით, მღვდელმა ფეხზე გახდა, შარვლების დაკაპიწება, და ნაკურთხ წყალში ჩადგომა გვიბრძანა, ხოლო ნათლებს სანთლები მიაწოდა... ვიდრე ჩვენ მოსანათლად ვემზადებოდით, ეკლესიაში ორი უცხოელი, მათი მზლებელი და თარჯიმანი ქალიშვილი შემოვიდნენ. უცხოელების მზლებელმა არჩილი რომ შენიშნა, მიეახლა, ხელი ჩამოართვა, თარჯიმანის საშუალებით სტუმრებსაც წარუდგინა და ჰკითხა: „რა ვინდა აქ, არჩილ, რას აკეთებ?!“.

— არაფერს. — აგლებულად უპასუხა არჩილმა, — ზომ ხედავ, შენისთანა ურჯულოებს, ათეისტებსა და კომუნისტებს ვნათლავ. თუ ვინდა შენც მოგაქრისტიანებ, მაგრამ ჯერ აღბათ ადრეა, საამისოდ არ ხარ მომწიფებული.

ნათლობა რომ მომთაერდა, არჩილს ჰკითხე: — ვინ იყო ის კაცი, უცხოელებს რომ ახლდა?

— ვინ იქნებოდა, ტყვას ინსტრუქტორი იყო, კულტურის განყოფილებაში მუშაობს. ვერ შეატყვევ, შტერი რომაა?

დღეს არჩილა ჩვენს შორის აღარაა. ო, რარივ გულდასაწყვეტია ეს შავი ამბავი. არჩილის ახლობლებსა და მეგობრებს ნუგეშად ისღა დაგვრჩენია, რომ ყველაფერი ღვთის ნებაა და უფალი ჩვენი ამ ქვეყნადაც და იქაც არჩილს უკვდავების მარადიული ნათლით შემოსავს!

ანზორ სალუქვაძე

ჯვართან მისული სურო

ჩემო ძვირფასო ძმავო არჩილ! შენი არ იყოს, არც მე ვიცი რა ჰქვია იმას, რომ 24 და 25 ოქტომბერს გათენებამდე შენს ლექსებს კვითხულობდი. ადგილადგილ ვინისნაუდი კიდეც შენთვის სათქმელს... 26 ოქტომბერს, დილით, გადაშლილ წიგნში, გვერდი ჩავინიშნე და... ემზარ კვიტააშვილმაც დარეკა... „მნათობის“ სექტემბრის ნომერს თურმე უკანასკნელად მოაწერე ხელი, მაგრამ არც ემზარმა და არც მე მაშინ არაფერი ვიცოდით... შენზე ვისაუბრეთ კარგახანს...

რა წინათგრძნობამ გადმომაღებინა თაროდან შენი თხზულებების პირველი წიგნი... მაინცდამაინც 24 და 25 ოქტომბრის დამეები რამ მათენებინა და დღემდე სულმოუთქმელად რა ძალამ მაკიბა შენი სევდიანი და მშფენიერი ლექსები? „არ ვიცი, ამას რა ჰქვია“, არჩილ!

დღეს შენ დიდუბის მიწას მიგაბარებენ, გეტყვიან მრავალ გულწრფელ და ტკივილისაგან დამძიმებულ სიტყვას. ყველაფერს მართალს გეტყვიან! ამიტომაც მე არაფერს ვიტყვი შენს მწერლურ თუ საზოგადოებრივ ეკაწლზე. მინდა გითხრა მხოლოდ ის, რისი თქმაც ვერ მოვასწარი, რაც ვერ ვითხარი ვერც საჯაროდ, ვერც სუფრასთან და ვერც ჩვენი პირისპირ საუბრების დროს შემოგბედე...

შენ იმ იშვიათ კაცთა რიგს ეკუთვნობდი, რომელთაც სიტყვაძუნწს უწოდებს ქართული ენა. მაგრამ ეს ერთადერთი შემთხვევაა, როცა ცნება „ძუნწი“ პოზიტურ შინაარს იძენს! შენ სრულიად გამორჩეული სიტყვაძუნწი იყავ მთელს სამწერლო ოჯახში. ამ გამორჩეულობის მიზეზი შენი ცხოვრების წესი, შენივე ფესვები და პრინციპები იყო. დღეს ბევრს, უკვე წარსულად სახსენებელ წლებში, უპრინციპობით, უსაფუძვლობით გამორჩეულსა და დაწინაურებულს, გულდანდობილად ჰგონია, რომ მთელს ქართულ საზოგადოებას მძიმე სკლეროზი სჭირს და აღარაფერი ახსოვს! შენ ყოველწამიერად გახსოვდა, რომ განვლილი ცხოვრების შემფასებელი ერია და მსაჯული — უფალი, შენ ეს ყოველთვის იცოდო!

სწორედ ამ ცოდნამ გამოგარჩია უცოდინართაგან, უღმერთოთაგან, კაცმოძულეთაგან, სწორედ ამ ცოდნამ გაქცია სიტყვაძუნწად და მჭმუნვარე კაცად, რომელსაც ისე უხდებოდა დიმილი, როგორც გაბმული წვიმების შემდეგ უცებ გამოჭიატებული მზე — თბილისს. ამ ცოდნამ შენ რჩეულთა შორისაც განსაკუთრებული ადგილი მიგიჩინა — ხანდო და კომპეტენტური კაცი ცოტა იყო და დღესაც ცოტაა ჩვენში!

შენს სამეგობროში არც ერთი კაცი არ ყოფილა შემთხვევით შემოტყუებული...
 ლი, ოცდაათი წელიწადი შევცქეროდი შენს ურთიერთობებს და არც ერთხელ
 არ მინახავს შენი ციხე შიგნიდან გატეხილი.

შენ არ ყოფილხარ მარტოოდენ პოეტი, მარტოოდენ მწერალი და საზოგადო
 მოღვაწე — შენ ისეთი ლიტერატორი იყავი, ურომლისოდაც ლიტერატურული
 ცხოვრების წარმოდგენაც კი არ შეიძლება... იმ დროს, როცა ბევრი „მწერალი“
 ერთ წიგნს რომ წაიკითხავდა, მეორეს უკვე თავად წერდა, შენ ამკვიდრებდი ლი-
 ტერატურული ცხოვრების შენეულ ხატს, მწერლობისა და ადამიანთა შორის ურ-
 თიერთობის შენეულ სტილს... შენში პარძონიულად ცხოვრობდა საქართველოს
 წარსულიც, აწმყოც და მომავალიც, უღალატოდ ცხოვრობდა, არჩილ! გარეგ-
 ნულად შეუვალი, მკაცრი და შუბლმკერული, მკვახე (თუმცა ყოველთვის კო-
 რექტული!) სიტყვის მთქმელიც, გასაოცრად სათუთი და ფაქიზი იყავ. უთქმელად,
 უსიტყვოდ შეგქმლო გვერძნობინებინა მოყვასისათვის თანადგომაც, პატივისცე-
 მაც, სიყვარულიც... და უთქმელადვე აგრძნობინებდი მკვანთ, რომ სადაც შენ
 იყავ, იქ მათი ადვილი არ იყო!

ჩემო კარგო, ჩემო სათუთო ძმაო, როგორ მინდოდა 26 ნოემბერს, როცა
 თამაზ ჩხენკელსაც 70 წელი შეუსრულდებოდა, როგორც ყოველთვის შენ გეთ-
 ქვა მისი დიდგრომელი სიცოცხლის სადღევრძელო. აი, მაშინ იქნებ შემომე-
 კადრებინა შენთვის და გამეჩხრებული სამეგობროს გასაგონად მეთქვა ჩემი უმ-
 თაერესი სათქმელი: თამაზ ჩხენკელმა, ბახანა ბრეგვაძემ, ზურაბ კიკნაძემ, რამაზ
 პატარიძემ, ოტია პაჭკორიამ, და რა, თქმა უნდა, შენ, არჩილ, ფასდაუდებელი
 ამაგი დასდეთ ჩემს სიცოცხლეს, თუკი რამ ღმერთმა სიკეთე მიბოძა, თქვენის
 მეოხებით აღორძინდა, გზა და კალაპოტი იპოვნა და შრომით, ტკივილითა და
 მოთმინებით ცხოვრება შემაძლებინა... ნეტავ ვინმე თუ გამონჩდება კიდეც, ვინც
 სიტყვაბუნწი სიკეთით ამდენი მადლის ქმნას შეიძლებს? არ ვიცი არჩილ...
 მშვიდობია! „შენ მხოლოდ მარადი სიმაღლე ვიშველის, როს შუქად მშობლიურ
 ცას შეეშენები...“

იზა ორაონიძე

ნეტავ იმ დროს

არჩილ ხულაკაური — უცნაური წყვილია ეს სახელი და გვარი, თითქოს ამ
 გვარის ფონეტიკური ელერადობა მეწამული დაისის ფონზე მშვიდად მიცურავს,
 მიედინება. სუ-ლა-კა-უ-რი... კითხვი მწვემსივით მიკაფავს სულეთისაკენ მიმა-
 ვალ გზას, ბინდის სიღბოდან რიყრათის სუსხში მშვიდად გადაჰყავს შემინე-
 ბული ღრუბლების ფარა.

არჩევანი საიდუმლოა. მით უფრო — სახელის დარქმევის. მშობლის გუ-
 მანმა თითქოს საგვარეულო სისხლის დენადობას (სიჩქარეს) გაუსწრო, რო-
 მელიდაც უღელტეხილზე, შთავარ არტერიასთან ჩასაფრებულმა, სახლიკა-
 ცების წინაშე ვერბივით აღმართა შეიღის სახელი — არჩილი... გენეტიკური,
 ისტორიული მეხსიერებით კიდეც ერთხელ გაერთა პოეტი მეფის შარაყანდელი —
 ეკლის გვირგვინი.

საქართველო ის ქვეყანაა, სადაც ყველაზე ძვირად ეკლის გვირგვინი ფა-
 სობს, საქართველო ის მხარეა, სადაც პოეტი და მეფე მხოლოდ ამ გვირგვინის
 გამო უყვართ და სადაც დედებიც კი ამ სიყვარულისათვის იმეტებენ შეილებს.

მე არ ვიცი და არც მაინტერესებს „ცივილიზებული მსოფლიოს“ თვალში რა ჰქვია ამ გამეტებას — სულაერი სიმაღლე თუ ჰარადრქნი ერთი რამ ვიცი დაბეჯითებით, როგორც ცრემლმა მარილი. ამ განწყობამ ისე შეინახა ჩვენი ერი, ჩვენი მამული-ენა-სარწმუნოება.



ერთხელ ბიჭვინთაში, ოთარ ჭილაძეს იქაურმა მეგობრებმა ვეება ხის გობით შემწვარი კალმახი მოართვეს. ცოტა ხანში კარზე მოგვიკაკუნა, მოგვაკითხა და საჩუქარი გავეიყო. ჩემი გოგონა გადაკეიდა: ეგ თევზები რად მინდა, ოქროს თევზი მაჩუქეო. ოთარ ჭილაძემ ასე დაარიგა ჩემი შვილი: „ანუკი, „ოქროს თევზს“ არჩილ სულაკაური მოგცემსო“... მთელი კვირა თავგადაკლული ეძებდა „ძია არჩილს“, — ოქროს თევზი უნდა მაჩუქოსო. „სალამურას თავგადასავალი“ უკვე წაკითხული მქონდა მისთვის და ამიტომ თუ სჯეროდა ბავშვის უტყუარი გუმანით, რომ ამ ფანტასტიური წიგნის ავტორისათვის მოლაპარაკე ოქროს თევზის ჩუქება დიდ სიძნელეს არ წარმოადგენდა.

უცნაური მთხრობელია ეს ჯადოსნური მეზღაპრე. მაშინაც კი, როცა ზღაპარს არ თხზავს. მისი თხრობის მანერა ქართული ზღაპრის უმშვენიერეს უვერტიურასავით თრთის, ყოფნა-არყოფნის ბადეშია გახვეული. ალბათ, ამიტომაცაა, რომ მის მიერ დახატული ქვეყნები, საგნები, პეიზაჟები, ფიქრები, კაცები, ბიჭვები თითქოს არის და თითქოს არც არის, მშვიდად, ღირსეულად ირწევებიან. რწევა — აქ ყოფნის წამიერება, რომლის ხანმოკლეობასაც ქართველებმა წუთი-სოფელი დავარქვეთ; ზმანება, რომლის ეფემერულ მოუხელთებლობას ყოველთვის მყოფე, ხელშესახები ზატი უდევს საფუძვლად, წარსული, რომლის წარმავლობაც იმდენად სჭირდება აწმყოს, რამდენადაც ეს აწმყო თავად უნდა იქცეს წარსულად, წინაპრად, სხვათა საღაღობოდ და განსაკუთრებლად.

არჩილ სულაკაურის მხატვრული სამყარო წარმავლობის ზიბლითაა ნაქსოვი ისე, როგორც ჩვენი ამქვეყნიური სიცოცხლე და ცხოვრება. ამ მსოფლმხედველობიდან გამომდინარე მისი ხელწერა ყოფნა-არყოფნის მიჯნას მიღწეული კაცის სიბრძნეა და ზომიერება. ამ ზომიერების წყალობითაა მისი შემოქმედება მაღალი გემოვნების ნიმუში.

სიბრძნე ჭარმაგობის ჟამს არ მოუპოვებია. ესეც ბედისწერა იყო, რომ ეს სიბრძნე მას „ლუკას“ ასაკიდანვე შეეყარა ისე, როგორც მის კბილა გოგო-ბიჭებს — წითელა ბატონები. ოღონდ არჩილ სულაკაურს ბავშვობის სახადივით არ მოუზღდია ეს მძიმე წყალობა. სულ თან დაატარებდა, თუ თავად სიბრძნე დაატარებდა, არ ვიცი. ამიტომ გვეჯერა, რომ იყო ჩუღურეთი და იყო წისქვილები მტკვარზე, რომლებიც რა ხანია აღარაა. ამიტომ გვეჯერა „აბელის დაბრუნება“, რომელიც არახოდეს გინახავს, მაგრამ რომელსაც თანაუგრძნობ, რადგან უძლები შვილივით აბელი არსად წასვლას არ აპირებდა. წასვლაც და დაბრუნებაც კაენმა მოუსაჯა. კაენი კი მშაა აბელის და თავი რომ მოიკლა, ამ ბიბლიურ ფაქტს ვერსად გაექცევი. ამიტომ გენატრება არჩილ სულაკაურის „ბიჭი და ძაღლი“ და დღევანდელი თბილისის ეკზოტიკურად მრავალფეროვანი ძაღლების გვერდით, არანაკლებ ეკზოტიკურ ბიჭებს რომ ვხედავ, სულ მინდა ერთი ჩვეულებრივი ბაჭისა და ძაღლის მეგობრობის ამბავი მოუყუვე მათ.

ქვესიოდე წლის წინ „გადატანილი“ „ომიც“ ნეტავ იმ ომს ჰკავდეს, რომლის დროსაც საზურავეზე სამორიგოდ ასული ნანასა და ლევანის სიყვარულს ასეთი გააფთრებით დარაჯობდნენ ჰოსპიტლის ფანჯრებთან მომდგარი დაჭრილი ჯარისკაცები („მტრელები“)... და ასე რწევა-რწევით, საკუთარი ცხოვრების მო-

გონებებით ერთმანეთს ენაცვლებიან საყვარელი მწერლის მხატვრულ მსოფლიოში... როდან წამოსული სურათები, განწყობილებები, პასაჟები...

კიდევ ერთი ღირსეული მწერალი და კაცი წავიდა ამ ქვეყნიდან. გათოშილ თბილისში უშუქო ღამეები იდგა. მის სამუშაო მაგიდაზე ხანთელი ენთო და „თბილისური ჩანახატები“ იწერებოდა. თითოეული ეს ჩანახატი თუ პორტრეტი სიყვარულის ოაზისია, რომელიც სულს მოვათქმევენებს უდაბნოდ ქცეულ ქალაქში. რაც უნდა გციოდეს – წაიკითხავ და გათბები... რაც არ უნდა სკეფსიზი გზრავდეს, წაიკითხავ და ირწმუნებ, რომ ერთადერთი გადამრჩენი ძალა სიყვარულია... სხვა ყველაფერი დროებითია, წარმავალია, დასავეწვებლად განწირულია...

არჩილ სულაკაური ღირსეული კაცი იყო. დასტური ამის ჩემი თვლით ენახე სსრ კავშირის მწერალთა ბოლო, გახმაურებულ მერვე ყრილობაზე, როცა კრემლის დიდი დარბაზი თავისი არსებობის მანძილზე, პირველად გახდა უპრეცედენტო აქტის მომხსრე, როცა საკუთარი სამშობლოსა და ღირსების დასაცავად, ქართველმა მწერლებმა (ორიოდე გამონაკლისის გარდა) პროტესტის ნიშნად დარბაზი დასტოვეს... მაშინ პირველი სწორედ არჩილ სულაკაური წამოხტა და ხელჩაკიდებული გავევი დანარჩენ მწერლებთან ერთად გარეთ (ნეტავი იმ დროს!).

მერე, როცა ჩვენს სამშობლოში ცოდვის კითხვა დატრიალდა, და, როგორც იტყვიან, ძაღლი პატრონს ვეღარ სცნობდა, არჩილ სულაკაურს ცნობიერებამ არ უღალატა, – ზოგიერთი რედაქტორივით რედაქლეგიის „გადახალისება“ არ მოუნდომებია. ქვეშეხებსა და ავტომატებს კი ვაუდიოდა ბათქა-ბუთქი, მაგრამ „მნათობის“ რედაქლეგიის გრაფაში (სვეტში) ტყვიით ჩაკაბადონებული ნოდარ წულეისკირის სახელისა და ვვარისათვის ხელი არ უხვლია და დაცლილი ვახნიბივით არ მოუსროლია. არჩილ სულაკაური გუშანით გრძნობდა, რომ ე. წ. „ლიდ პოლიტიკაზე“ მეტად ყოველთვის კაცობა ფასობდა. აი, მისი ზნეობისა და ღირსების დასტური. აი, ამგვარი საქციელებითა და მაგალითებით აიწონება კაცი და მისი ღირსებაც და არა „ღირსების ორდენებით“, რომლებიც ასე უხვად და მოწყალედ რიგდება ჩვენს გაუბედურებულ სამშობლოში.

მანა ჯონაძე

ელდა და ტკივილი დაგვიტოვა

გუშინ არჩილს ტელევიზორში ვუყურებდი. იგი ქართულ მწერლობაზე ლაპარაკობდა, ისეთი ტკივილით და სიყვარულით, როგორც სულ ცოტა ხნის წინ მწერალთა კავშირში, ან „ლიტერატურულ საქართველოში“. და ის ერთი საათი ვერაფერს ვერ დამარწმუნებდა, რომ არჩილ სულაკაური აღარ არის, რომ ევრასოდეს ვეღარ გავიგონებ მის ტკბილმწარე ქართულს, მნიშვნელოვანს, მძიმეს, თითქოს ყოველ წუთში, ყელიდან ქვას იღებს და მის ადგილას ვარდი იხატება.

არჩილი თავისი თაობის გაწვავლებულ, უმამო ბავშვობაზე ლაპარაკობდა და მაშინ ვიფიქრე, რომ ღმერთი იყო მათი მამა, ამ შესანიშნავი მწერლების, მათ, ზომ, სიტყვებზე ბატონობის უფლებას ამღვევდა, გაორკეცებულს, სახლში უკაცობის გამო, ხოლო მათ ღედებს – ერთი პუროით და ხუთი თვეშით ბევრი ადამიანის გაძლიობის უნარს.

იქნებ, სხვაგვარად რომ ყოფილიყო, ასეთი მტკივნეული და ძვირფასი არ იქნებოდა არჩილ სულაკაურის სიტყვა. მის კაცურ, გაუხარებელ გმირებს, გაუბეშე-

ბულებს ცხოვრებისაგან, სული ისე ამოს-
დიოდათ, თითქოს, მტრედების გუნდი
აფრინდა, თეთრი და ნათელი.

ელდა და ტკივილი დაგვიტოვე ჩვენ,
შენ კი სინათლედ იქეცი აწრილ! ამ
მტრედისფერ სინათლედ, ან, იქნებ, მი-

მინოდ, რომელიც უკეთ შევფარებამ, შენს
შეფარვით, მძაფრ გარეგნობას,

ვაი, როგორ გაგვიფრინდი,
ჩვენო ვლადო მიშინო.

ლია სტურუა

„...ვიღახას, ალბათ! არ ვყოფნის სითგომ ან არ ენდობა ამ მზიან აჟინდს...“

თქვენი ლექსის გმირივით ვზივარ
ფანჯრის რაფაზე ძელებამდე მზით ვერ
გამთბარი და თქვენი დიდი შემოქმედე-
ბიდან სხვა არაფერი მომდის თავში.

ძია არჩილ, თუკი დღეს ვინმეს თქვე-
ნი სიტბო მოაკლდა, თუკი დღეს ვინმეს
თქვენი სიტბოს ვარეშე სხვათა სიტბო
აღარ ვყოფა — ეს თქვენი ძმის, ნოდარ
დუმბაძის ოჯახია.

ამბობენ, დრო განკურნავსო ტკივილს
— მონატრებას რა ეშველება? უახლოესი
ადამიანის გარდაცვალებით გამოწვეული
ტკივილის ტოლფასს და ზოგჯერ უფრო
გაუსაძლისს.

მე თქვენით ვიკლავდი ძამის მონატ-
რებას, თქვენით ვიფავით იმედიანი. აკი
გემუდარებოდით კიდევ, როცა ძია სარ-
გისს (ცაიშვილს) ვმშვიდობებოდით,
უთქვენით სიცოცხლე ფასს კარგავს,

გემუდარებით დიდხანს იცოცხლეთ, ნუ
გაგვირავთ ჩვენ, თქვენს შეილებს, ძმის-
შეილებს-მეთქი.

დღეს ჩვენ ვეღარ ვენდეთ მზიან ამ-
ინდს. ქეთინოს, მანანას, თათიას, ცი-
რას, სოლიკოს, ბაოს, ლელოს, ლევანს,
აღარ გვეოფნის სიტბო.

„ერთი კაცი მიდიოდა
მოწყენილი ასე,
მეგობრები დაკარგოდა
წუთისოფლის გზაზე“.

წუთისოფლის გზაზე დაკარგული შენი
მეგობრების შეილებს, ძია არჩილ, შენი
მოწყენა მოგვენატრება.

ქეთინო დუმბაძე

გამოსათხოვარი

არჩილ სულაკაურის უდროოდ გარდაცვალებამ ძლიერ დაგვამწუხრა. ქარ-
თულ სამწერლო ოჯახს კიდევ ერთი აღიარებული ოსტატი გამოაკლდა. ადამიანი,
რომელიც მთელი თავისი ცხოვრების მანძილზე ერთგულად ემსახურებოდა თა-
ვის ქვეყანას, ვრსა და მშობლიურ ლიტერატურას.

ჩვენი ახლო ურთიერთობა გასული წლის დეკემბერში დაიწყო, როცა „ლი-
ტერატურული საქართველოს“ რედაქციაში მწერალთა გაერთიანება „ოტარიდი-
სა“ და საქართველოს მოჭადრაკეთა ოლიმპიური ნაკრების ამხანაგური მატჩი
შედგა. ვერც ვიფიქრებდით, რომ თამაზ ჭილაძის სიტყვები, — „მეტოქეთა სელები
ჭადრაკის დაფაზე სიმბოლურად განახასიერებს ერთმანეთისაკენ გადადგმულ
პირველ ნაბიჯებს, და ამგვარად, უკვე თავისთავად გვევლინება ერთ-ერთ ყველაზე
მნიშვნელოვან „სულად“ არა მარტო ქართული ჭადრაკის ისტორიაში, არამედ
ყველა ჩვენთაგანის პირად ცხოვრებაში“, — ასე გამართლდებოდა. ვივარქენით,
რომ არჩილ სულაკაური ჩვენი უფროსი მეგობარი, დიდი გულშემატკივარი გახდა.



თვითონ იცინოდა და ამბობდა, თქვენთან როგორ ვითამაშო, ჩემს ახაკში თვით
სამუელ რეშევესკიც კი აღარ თამაშობდაო. გვახსენდება პირველი შეხვედრა,
როცა ვია გიორგაძეს ხედებოდა. ხუმრობდა, დამარცხდები აბა რა, ჩემი სიდედ-
რის მოგვარესთან ვითამაშობო. პარტიის ბოლოს გამოვეცხადე, მთავარი ის იყო,
პარტია პირველს არ წამეყოლო. გამიხარდა, დიდოსტატმა რომ არ გამწინა, ხელის
დაბრუნებაც შემომთავაზა, მაგრამ არ დამჟირდა, რადგან ტარიელ ჭანტურია
„დამარცხებაში“ ყველას გვაჯობაო. ისე, ჭადრაკის ერთი საიდუმლოც აღმოვაჩინე:
ჭადრაკს თურმე უცხო ადამიანთან დაახლოება და მისი ხასიათის შეცნობაც
შესძლებიაო.

ბოლოს ბატონ არჩილს, რამდენიმე დღის წინ შევხვდით სახელდახელო სუფ-
რაზე – გახარებული იყო, თამაზ წიფიციასკეს ბეერი კარგი წამოწყება აქვს და
გვერდში უნდა ამოვუდგე. მას რეალურად შესწევს იმის უნარი, რომ მწერალთა
რიგები გააერთიანოს და ერთიანი ძალებით ქურნალი „მნათობიც“ ავალორძინო-
თო. ამერიკიდან ახალჩამოსული იყო და ამბობდა, ჩვენს ქვეყანას ვერც ერთი
უცხო ქვეყანა ვერ შეედრება, თუმცა შეიძლება საქართველოში ბეერი რამ გვაკლ-
დეს, მაგრამ მდგომარეობა მალე გამოსწორდება, გამოჩნდებიან ადამიანები, რომ-
ლებიც გულთან ახლოს მიიტანენ ლექსისა და ჭადრაკის ოხტატების გასაჭირსო.

ვხაუბრობდით და დეკემბრისთვის ახალ შეხვედრას ვგეგმავდით, ვაი, რომ ვე-
ღარ შევხვდებით ამ ღირსეულ პიროვნებას, ვერ მოვიხშენთ მის მამობრივ დარი-
გებას, ვეღარ ჩამოვართმევთ ვაჟკაცურად ხელს და ვერც ბატონი არჩილი გვი-
სურვებს შემდგომ გამარჯვებებს, იგი ხომ ჩვენი გამოუსწორებელი გულშემატ-
კივარი იყო.

ზურაბ ახმაიფარაშვილი, ბია გიორგაძე,

საერთაშორისო დიდოსტატები

არჩილ სულაკაურს

ვარსკვლავს მივდექედი, ბედი კი
მხედნიდა ურჩი მთა-გორით,
არისტოკრატულ ეთიკით,
ნატიფ მტევანზე ამბორით.

ჯენტლმენის წესი თანდათან
ვეღურმა გზნებამ აოტა,
ძალსტუზზე გაინავარდა
გარეკახურმა ზაოტმა.

ან მარტოობის სამსალას
ესვამ ვინმე მგლების არჩივი,
სულაკაური ფარსმადან
მაქსტრო, ძია არჩილი

იტყვი, უფლება სჭირდება
მარტოკაცობას საგზალად,
ძიაე, დამკაწრეს ფიქრებმა,
უფლება მე ვინ მაძალა.

კაი ფმის ცუდის მყოფელმა
ლულას ვახედა ცალთვალად,
ადგა და წუთისოფელმა
ოთხი ფიცარი გათალა.

საფლავით ისმა ქადილი,
უფალმა ასე განავთ:
ესროლა ქერივმა მანდილი
ყაე-ფორნებს საამხანავოდ.

დათო მალრაძე

კიდევ ერთი იარაღი...

მა, გამოხდა ყამი შენი,
უფლის კარი გაიღო,
ამ ცხოვრების საიდუმლო
იქნებ ახლა გაიგო...

სიტყვის მაღლი თან მიგვება, —
ლექსით ითქვა სათქმელი, —

გადმოხვედი ალავერდად
თასი — სვედის სასმელი...

ის მიმინო გაგვიფრინდა,
ცხრა მთა გადაიარა,
დაგვიტოვა მოგონებად
კიდევ ერთი იარაღი...

ბიროგი პიჯაშვილი

ღმერთო ძლიერო. უბოძე ძალა...

ახლაც გადაუღებლად წვიმს და თქვენ მიბრძანდებით, თქვენი საგზალი მიგაქვთ დასავლისაკენ, თანაც ხელი ჩაგიკიდიათ წვიმისათვის და ქუჩაში უმცროს დასავით მიგყავთ.

თქვენი საგზალი კი სამშობლოსათვის ვალში დაბრუნებული, ერთი წაქითხებით დასამახსოვრებელი და ამღერებული ლექსებია, საღამურაა, ზენს პატარებს რომ ასდევნებია კეთილ სულად, თქვენი ლუკაა, თქვენი მთაწმინდა და მტკვარია, შემოთუბანი და ქვემოთუბანია, შუაბაზარი და გარეთუბანია, ელია და ნუღურეთია, ღვინის აღმართი და ბაშბის რიგია, მეტეხი და ნარიფალაა, ნუღურეთის წითელკრამიტინი სახურაეებისა და მტკვარზე დაკიდული წისქვილების პოეზიაა, თითქოსდა სამუდამოდ რომ გააქრო უღმობელმა ყოვლისდამამხო-ბელმა დრო-ვაშმა და თქვენს კალაშმა შემოუნახა შთამომავლობას.

არადა, ვითომცდა არ იცოდით, ამას რა ერქვა, როცა ეს ვველაფერი იქვე იყო, თქვენს გვერდით და, აფორიაქებული და შეწუხებული ამბობდით, — ახლაც მივდგებ-მოვდგები, მაცალე, ვიდრე მოვკვდები, ვალი გადავიხადო.

თავი შევაღედ წარმოგედგინათ და მთელი სიცოცხლე ცდილობდით მის გადასდახ, როგორც ურჩი და გაკერპებული შევაღედ კი არა, არამედ დღენიდავ წრიალებული, დარდიანი, წუხილიანი, რათა რაც კი კარგი და ჩინებული გაგანნდათ, ის მიგეტანათ სამშობლოს ვალად თუ ტარიად.

რა დიდი ინტერესით ვეცნობოდით თქვენი უმცროსი თანამოკალმენი გაზეთ „ლიტერატურული საქართველოს“ „ოტარიდის“ წევრებით წარმოგდგინდნომრებში, რომლის ერთი ხაზინო წვერთაგანიც თქვენ ბრძანდებოდით, თქვენი მოთხრობის „კერპთაფანისმცემლების“ ცალკეულ თავებს და ვხვდებოდით, რომ პაროდითა და გროტესკით შეზავებული, საქმოდ უნეულო, ამასთან საჭირობოროტო ამბავიც მიგეტანათ მამულის ვალში და იმასაც ვგრძნობდით, სიბერე შორს გახლდათ თქვენგან — ეს რომ ლომის ნახტომი იყო, რომელიც ვაი, რომ გედის სიმღერად იქცა. ნეტავი, თუ გაასრულეთ მაინც?..

ახლა კი, თქვენი ვალი გადახდილია, გადაუღებლად წვიმს და მიბრძანდებით, თქვენი საგზალი მიგაქვთ დასავლისაკენ, თანაც ხელი ჩაგიკიდიათ წვიმისათვის და ქუჩაში უმცროს დასავით მიგყავთ.

ჩვენ კი შეტი რა დაგვრჩენია, სხვა რა ძალგვიძს, მხოლოდ თქვენეულ სიტყვებს თუ დაგადვენებთ:

— ღმერთო, ძლიერო, უბოძე ძალა, რომ აიტანოს დუმილით სავსე სიცარიელე, მუდრის მზე და ვერცხლისფერი მიდამო!

ცისკარაძე



ბოლო ღიმილი თქვენ დაუტოვეთ

„მნათობს“

ძვირფასო მკითხველო, საქართველოს მწერლობას კი არა, საერთოდ, სამწერლობო კალამზე ხელმოკიდებულ საზოგადოებას მოულოდნელად გამოაკლდა ერთ-ერთი სიტყუაკაზმის რესტატი — პროზა, პოეზია, წერილი, ჩანახატი, მოკონება, ესკიზი, სცენარი კინოსა თუ თეატრისა, რედაქტორი რედაქტორთა უბირველები (სახელმწიფო ტიტულებს, რაც მას მიაკუთვნეს ერისა და ბერის, თუ ქვეყნის სამსახურისათვის, აღარ ჩამოუთვლი, ყველამ იცის ამის შესახებ) — ბატონი არჩილ სულაკაური.

ტირილი, ცრემლი, ტკივილი, დარდი, ალბათ, იმისთვისაა ერთი, ვისთვისაც სულ-ხორცი არის ჩვენი მწერლობა და ჩვენი არჩილ სულაკაური!

ამ პატარა წერილის სათაურის გავრძელება ასე შევიძლიათ წაიკითხოთ:

— ბატონო არჩილ, რა ქნა თამაზ წიფიფაძემ დაპირებულ ქალღმერთზე, გვაძლევს?

— რაზეა ლაპარაკი, თამაზი სიტყვის კაცია, ყოველ შემთხვევაში მე და „მნათობს“ არ გვიღალატებს, დანარჩენი შენ იცი და სტამბამ! რატომღაც ძალიან მუქარება ამ ნომრის გამოცემის დასრულება! — მითხრა ბატონმა არჩილმა და ქალღმერთის ვადაცემ-გადმოცემის მიმართვის ფურცელი გადმოშტა.

— ბატონო არჩილ, პარასკევამდე დიდი დროა, ინფორმაციას ჟურნალის გამოცემის თაობაზე წავიღებ „ლიტერატურულ გაზეთში“, მერე სტამბაში ვიქნები...

— მაგ ინფორმაციას მე წავიღებ გაზეთში, შენ კი სტამბასა და ბეჭდვას მიხედე, რატომღაც ძალიან მუქარება ამ ნომრის დასტამბვა! ისე, იცოდე, ტყუილი არ გამოგვივიდეს, ინფორმაცია მიეცეთ და ჟურნალი არ იყოს დაბეჭდილი...

— პარასკევს ჟურნალი იქნება! — ეუბასუხე და დაეშინებოდა.

... ჟურნალის გამოცემის ინფორმაცია ბატონმა არჩილმა წაიღო „ლიტერატურულ საქართველოს“ რედაქციაში იმ იმედით, რომ „მნათობი“ № 9-10 (გაერთიანებული ნომერი) ნამდვილად იმ დღეს ექნებოდა ფართო მკითხველ საზოგადოებას.

... პარასკევი დღეა, სტამბაში მივედი... სადღაც თორმეტი საათია... გაზეთში წაკითხული მაქვს ინფორმაციის ტექსტი, რომ გამოვიდა „მნათობი“ № 9-10...

... ასე იყო თუ ისე, მოვახერხე, სტამბიდან წამოვიღე სასიგნალო ეგზემპლარი, ჩავიბინე რედაქციაში და... იქ აღარაფერ არ დამხვდა.

... პარასკევი დღის შემოღამებისას სახლში მივაკითხე ბატონ არჩილ სულაკაურს... ვახშობდნენ ქალბატონი მერა და ბატონი არჩილი.

— სადა ხარ შე მატყუარა, — თბილი ღიმილით მითხრა ბატონმა არჩილმა.

— რატომ ვარ მატყუარა, ჟურნალი ხომ მაქვს ხელთ! — ეუბასუხე და ხუთიოდე ცალი ჟურნალი მაგიდაზე დავდე.

... მკითხველო, მე და ბატონმა არჩილმა წლების მანძილზე ვიმუშავეთ ერთად. წყნარ გვიქონია, ღვინოც, სიხარულიც, მაგრამ ასეთი რამ მე არ მინახავს მისგან, გაკვირვებული დავრჩი — საღებავ შეუშრობელი ჟურნალი ხელში აიღო, გულში ჩაიხუტა, მერე აკოცა და აკოცა და მითხრა: დღეს ნამდვილად ლამაზი პარასკევაა, ხომ ხედავ, როგორი გახარებული ვარ, პოდა, მე და ჩემი მერი ვვახშობთ, დაგვეწვიე, ლამაზი სიკეთისათვის თითო ჭიქა, თითო ფაჯა.

— მანქანაში სტუმრები მიზის, ნანაც იქ არის, თანაც საჭეხთან... — ცოტა შეეჭოჭმანდი.

სტუმრებიანად ვივახშმით, მითხრა ბატონმა არჩილმა და ჟურნალი თავისი ჩვეული ღიმილით ისევ ჩაიხუტა გულში.

... ბატონო არჩილ, ეს თურმე ჩვენი ბოლო შეხვედრა და თქვენი ბოლო ღიმილი ყოფილა, რომელიც დაუტოვეთ ჟურნალ „მნათობს“, მის ძველ თუ ახალგაზრდა თაობას!

ბატონო არჩილ, ყველასა და ყველაფრისათვის ღმერთი მოგაკავებ იმ დიდ სასუფეველში!

გივი სულაკაურს

არ არსებობს გარდუვალობასთან შეგუება, არასოდეს არა ხარ მზად მისთვის თვალებში ჩასახედად. მასთან ჭიდილი მხოლოდ მაშინ იწყება, როცა მოსახლენი უკვე მომხდარია...

როცა თავზარდაცემა გადაიელის, როცა დიდი გაჭირვებით შეაჩვევ თვალს საწერ მაკედონთან მიღებული სკამის სიცარიელეს, აღმოაჩენ, რომ შენი უპირველესი შემწე ამ ჭიდილში მამაა, რომელიც წაეიდა... მიხვდები, რომ ის იმიტომაც წურდა ძალიან კარგად, რომ შენ მასზე უკეთ გეწერა, რომ ამით ის ადრე, წახვლამდე გაცილებით ადრე ფიქრობდა ორთაბრძოლაზე, რომელიც გელოდა...

მამები და შვილები მუდამ ერთად არიან, ისინი არასოდეს ტოვებენ ერთმანეთს...

**ლუპა თაბუკაშვილი,
ზაალ სამაღაშვილი**

ქართული პენ-ცენტრი ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა საქართველოში პენ-ცენტრის ერთ-ერთი დამაარსებელი და სულისჩამდგმელი, შესანიშნავი ქართველი მწერალი

არჩილ სულაკაური

და თანაუგრძნობს განსვენებულის ოჯახს.

ქართული პენ-ცენტრის სახელით:

პრეზიდენტი **ლათო მალრაძე**

საპატიო პრეზიდენტი **ჭაბუა აშირქაძი**



გამოქვეყნებულ ქართულ პოეტსა და საზოგადო მოღვაწეს, რუსთაველის პრემიის ლაურეატს, ბატონ **მურმან ლევალიძეს** დაბადებიდან 75 წელი შეუსრულდა. უურნალ „მნათობის“ რედაქცია, სარედაქციო კოლეგია ულოცავს პოეტს საიუბილეო თარიღს, უსურვებს ჯანმრთელობასა და დიდხანს სიცოცხლეს.

მურმან ლევალიძე

(იუმორისა)

დაბერდა ლექსი,
მოაბიჯებს... მოკლე ნაბიჯებით,
თადარიგაინად,
მძიმედ, ფრთხილად, ჯოხზე
დაბიჯებებით.

იყო დრო — ფრენდა,
სანამ ვოფა ეტირებოდა,
თუ არ ფრენდა და —
გაფრენას ხომ ეპირებოდა...

დამძიმდა ლექსი,
მოაბიჯებს მოკლე ნაბიჯებით,
მეტე სიფრთხილით,
თადარიგით; ჯოხზე დაბიჯებებით...

კიდევ კარგი, რომ
იცის ზეცის და იცის მიწის,
საბიჯგობელი
ჯოხი აქვს და ხმარებაც იცის!

1997

დაედალე ცოლი, დაედალე — შვილი,
ცხოვრება ჩავეშხამე.
ვარ შეიდევრ ათის, ბაღლი ვარ ჩვილი,
წელს ლექსით გავიხარე,
ლამის ცხოვრება ახლა იწყება,
გათენდეს ლამის ღამე...
მე რა ღმერთი მიწვრება,
რომ არ დავიდალე!

ბ ა ლ ა დ ა

ერყინული
ზიზლირთხა

უთორ-უაბჯროდ, უდროშოდ,
უყმოდ და უხმლოდ მამაცობს —
თელავის ციხის ყუდროში
ერეკლე ჭადრაკს თამაშობს...

იერის იქეთ და აქეთი
სამეფო თოვლში ჩაფლულა,
თოვლში თეთრდება კახეთი,
თოვს დაღესტნისკენ ზღაპრულად...

მეფე ქიშხ ვტყვის სოლომონს,
სოლომან — მარჯვედ დახვდება,
სიცილთ ჰკადრებს: „ბატონო,
ქიშისგან მეფე არ კვდება!“

ერეკლე ნათქვამს უხვდება,
ულეაში ფლავი უხვდება:
„არ კვდება, მაგრამ, ვიცი მე,
ქიშისგან მეფეც სწუხდება.“

ამდენი ვაი-ვიშისგან,
ლეკის და სპარსის ჯიშისგან,
შავლონდი, ჩემო მსაჯულო,
ყოველის მხრიდამ ქიშისგან!“

თოვს ამ ოცდახუთ დეკემბერს,
თონეში შოთებს აკრავენ,
ძირს თოვლი სისხლით შეღებებს —
სამზადის კართან ტახს კლავენ.

სოლომონ ჰყვება: — „მეფეო,
რაც ლეკს კისერი სხეპეო,
რამ შავაღონა, — სახელი
შენი მთელ ვეროპს ვყვფეო...“

რაც ჯარი შექმენ მორიგე,
ველარ გვაკადრეს აკლება,
ლეკი ხომ მიერეკ-მოერეკეთ,
სპარსიც გვიბედავს ნაკლებად“...

ეს თქვა და ციხის ჭიშკართან
უცბად ჩოჩკოლი შეიქნა,
„შესდექო!“ — მეციხოვნეთა
გუნდი ერთ მუშტად შეიკრა.

ლეკი ხომ ხსენებაზეა!
ეს ვინ მოეარდა, ვინ არი?!

თელავის ციხის კარზეა
კაცი ცხენდაცხენ მყვირალი.

ბეჭში ნახმლევი შენიშნეს,
— ვინ ხარ?! — შილდელი გლეხია,
სახუეს, შილდა-ენისელს
ლეკს გლეხი წაუღეკია...

მეფე ჯაჭვს იცვამს ხაჩკაროდ,
სოლომონს — ტყავეკვემ აცვია,
შენც თავს დაგირქმევს, ჩაჩქანო,
ვერ თქვან, რომ წიგნის კაცია...

ოციოდ მხედრით გზას მოჭრის,
ცხენს მეფე გრემში გამოცვლის,
დაბადებიდან სამოციის
მორიგე ლაშქარს წამოშლის,
— შილდისკენ! ენისელისკენ! —
გააფთრებული გამოსტრის...

იერის იქეთ და აქეთი
სამეფო თოვლში ჩაფლულა,
თოვლში თეთრდება კახეთი,
თოვს დაღესტნისკენ ზღაპრულად.

ჩვენ — თვლით ფარი და ჩაჩქანი!
მტერი — ყოელის მხრით მრავალი!
ღმერთო, დალოცე ლაშქარი,
ირაკლის დროშით მავალი!

კურთხეულ იყავ, შიშველო
ხმალო, შენ უნდა მიშველო,
უბრალო, რიგით სპასაევით
მეფეც ხმალდახმალ მიმსვლელი!

ბრძნად მოუბარნი ენანი,
თითზე კბენანი რაღა დროს...
წყველიმც იყოს, — შეეძახებ. —
შენს სულს, შენს ხმალს და შენს
სახელს
ვინც საყვედური აკადროს!



მე არც ძველს ვუმღერდი „ლაღეს“ და
 არც ახალს ვუგალობ „პარაღეს“...
 მე რომ გამინათებს თვალებს,
 ეს ის საქართველო არ არის!
 მაგრამ საქართველო მოვა,
 მე გული მხნეობას მავალეებს,

გადიელის ღრუბლების ხროვა —
 ეს ხომ საქართველო არ არის!
 სული სწუხს ჭუჭყიან ქარებს,
 მკვდრადშობილ ოცნებებს ვალალებს...
 მე რომ გამინათებს თვალებს,
 ეს ის საქართველო არ არის!

1997

„სტრატეგიული ინტერესი“ როცა
 უჩნდება
 მძლავრ სახელმწიფოს სუსტიხადმი,
 სუსტი მუნჯდება,
 აქ, ნათელია,
 ინტერესი
 დაპყრობის
 ჩნდება...
 ჩემსავით სუსტი სახელმწიფოს
 მორცხვად ყუნდება, —
 ჯერხნობილ ხელი იარაღზე არ
 მიუწედება, —
 შენსავით მძლავრმა
 ეს იცოდეს,
 ვულკანზე
 ჯდება!

1995

რეკონსტრუქცია

1.
 მზე სტიქიის გადაღმა ჩავიდა,
 შენ იცდი, შენ კრთი და ღულავ...
 ქარონს გადმოუუხტი ნავიდან —
 მოგიკედ
 სიკვდილიდან, ღულავ...

ხულ დანიხქვეშ შენი ყოფნა,
 სიცოცხლისთვის შენი ბრძოლა!
 ჩემი მოწყალების დობა,
 ჩემი — შენი ხვედრით ძრწოლა!
 დრო-დრო ჯიღა ღექსით თრობა,
 ერთად — ლაყვარდებში ქროლა...
 გულზე ხელი დაიდუ და
 ამ ხალხს მოახსენე სწორად:
 ხომ გაცოცხლე! ხომ გაბრძოლე!
 ხომ, ხომ გამოგადექ ცოლად!

2.
 არ გათავდა შენთვის ომი,
 პოსპიტლებში შენი წოლა!

1997

არიან კაცნი,
კი, რომელნიც შენ ართუ გძრახვენ,
ერთ ხანს გაგვენენ და
აქამომდე შენ კაცად გსახვენ...

მაგრამ არიან
სამშობლოში დასად და დასად
კაცნი, რომელნიც
არ გთვლიდნენ და არ გთვლიან კაცად...

წიგნი, რომელიც ანათებს
და მზის ამოსვლის დარია,
ღამეს მკითხველთან არ ათვეს,
წაუკითხავად მკვდარია...

ღვას კაცი, ფიქრით ყვითელი,
ვიტრავს ჩასცქერის... ქარია...
მაგ წიგნის ნაღდი მყიდველი
უგროშ-კაპიკოდ მკვდარია...

ათასში ერთმა
შეიძლება მართლაც გიწოდოს
შენ გარეწარი
და სიკვდილით არ შევიცილოს,

უფრო მეტნი კი, —
უზერხემლო, მომწერლო-მღევხე; —
„საცოდავიო!“ —
შებრალეებით იტყვიან შენზე.

1997

ვგ საქმე ატრე ვერ ივლის!
სანამ მზე, სანამ მთვარეა,
კლასიკურის და ვერლიბრის
ეს საქართველო მხარეა...

ჩვენ ჩვენი ზვრები შევსართო,
ხვალ-ზეგ კვლავ ლექსის დარია,
ჩემო გიგო და ემზარო,
ჩემო ვახტანგ და ტარია!

1995

კვლავ მილიონობით!

ამ — რუსულენოვანი მასებიდან,
ამ — გადაჯიშებული კაცებიდან,
ამ — გადარჯულებული ბავშვებიდან, —
არ გამოქვა,

მე ვეტყვი
ვურში, —

ამ — ასიათასჯერ ასებიდან,
ამ — უსამშობლოთა დასებიდან
ხვალ მოგვევლინება არსებითად

ვვლაზე
აქტიური
რუსი!

1997

ყოველ საღამოს, აგვისტოს ბინდში,
ანრდილი დაღის ეზოში დედის —
შემოდის საზღში, ხიწვი აქვს თითში,
ზედ არ გვიყურებს — ღირსი ვართ
მეტის...

იქვე წინკარში უსალმოდ ჯდება,
აუგს არ იტყვის მოხუცი ხვედრის,
ნემსით თითს იჩხრეკს, მას შერე დგება,
თავის პაწია ოთახში შედის...

დილით ოთახი ცარიელია,
ცარიელია — საწოლი დედის...

1977



შეჭირვებული
 დღეს ბლოკადით, შანტაჟით, ალყით
 ერთი, ქართველი,
 არცთუ ისე პატარა ხალხი, —
 ვის უღალატეს
 და დაწამლულს ესერიან ისრებს, —
 გულისტკივილით
 ჰკითხავს თავის უმადურ ხიზნებს:
 თავს რომ გვიტოლებთ,
 სისხლის ძაბილს საკუთარს კმონებთ,
 ჩვენც ხალხნი ვართო,
 ესრეთ იტყვიით და ესრეთ ჰგონებთ,
 რა იქნენ თქვენი
 საჩუბარნი ანუ საჩუბნი

ციხე ტაძარნი
 საკუთარის ხელით ნაგებნი?!
 რა იქნა თქვენი
 ანა-ბანა! რომ გვიბღვეთ წვენიით,
 ბოლოს და ბოლოს
 წერა-კითხვა რა იქნა თქვენი!..
 შეჭირვებული
 დღეს ბლოკადით, შანტაჟით, ალყით,
 უუძველესი,
 არცთუ ისე პატარა ხალხი, —
 ვის უღალატეს
 და დაწამლულს ესერიან ისრებს,
 გულისტკივილით
 ჰკითხავს თავის უმადურ ხიზნებს.

1994

76 წლის ჭაბუა ამირაჯიბს
75 წლის მურმან ლმპანიძისაზან

დაებერდით, ჭაბუა,
 ვართ დაჩეხილ-დაკერებული,
 ვართ შავ დღეში და
 ვართ ნამდვილად დაბერებული,
 თეთრი დღეები
 გვაქვს კაი ხნის დამღერებული...

მთელი ცხოვრება
 ერთ ნაბიჯზე ფეხდაფეხ მოგდექ,
 მშობის, ერთობის,
 სიყვარულის ქამანდი მოგდექ...
 არ გაბედო,
 თუ ძმა ხარ, მოკდე!

მოვხუცდით, ჭაბუა,
 ვართ დაჩეხილ-დაკერებული,
 ვართ ფაიზაზად,
 ვართ ნამდვილად დაბერებული...
 მტრისთვის თვალი გვაქვს,
 მე თუ მკითხავ, დაყენებული!!!

1997

იძრა მიწა და ჩააქრო ჭრაქი,
 ღმერთო, მოხედე პოეტის ქვიტკირს...
 მიწისქვეშიდან გვესროლებ რაკი,
 იქ ქალაქს გვინგრევს, აქ სოფელს
 ვკითხობის...

ღვას მაღალ კორდზე მაღალი სახლი,
 ვისი არისო?! — გამჟღავნე იტყვის...
 იძრა მიწა და ჩააქრო ჭრაქი —
 ვერა დააკლო პოეტის ქვიტკირს.

1996

რუსეთი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

რუსეთი — მძლავრი! რუსეთი — დიდი!
ტლანქი! მოქნილი! ურცხვი და ფლიდი!

რუსეთი — მწარე! რუსეთი — ტკბილი!
შენ მაგ რუსეთთან იფავი ფრთხილი!

დაუნდობელი! ტლანქი და ფლიდი!
რუსეთი — მძლავრი! რუსეთი — დიდი!

1994

მე რომ მეგონე, თურმე ის არ ხარ,
ლალატიანო, ყრუვ და მკეპხარავ...
აღარ მიფვარხარ, აღარ მიფვარხარ,
აღარ და აღარ, ჩემო ქვეყანავ!

უმარტივესი დავიგეს მახე,
კი, უაფთრესი შემოგვფარა...
რა აბდაუბდა ორ-სამ წელს ჩმახე —
აღარ მიფვარხარ, ჩემო ქვეყანავ!

ამას რომ გკადრებ, გულს ხისხლი
სწვეთავს,
კი, ცოცხალი ვარ ვითომ ჯერხანად,
ღმერთი ხომ ზედავს, ღმერთი ხომ ზედავს,
მუხლზე ტირილით გეხვევი დედას —
„აღარ მიფვარხარ“,
ჩემო ქვეყანავ!

1994

ჯერჯერობით — ვარ!
აღარ ვიქნები!
შენს წინაპრად ხვალ
გარდავიქმნები!
ვარ! ვარ! ვარ! —
მარად ვიქნები...
ვარ და ვიქნები!
ვარ და ვიქნები!

1997



ჩვენი საუკუნის პარადოქსები

მოზონებანი

რაფიელ ერისთავისა და შიო მღვიმელის ლექსებს სკოლაშიაც გვასწავლიდნენ, და ძალიანაც მივყარდა. მათ საბავშვო თუ ეგრეთ წოდებულ სოციალური ყოფის ამსახველ ლექსებს ერთნაირად მიმზიდველსა ხდის მაღალი შემოქმედებისათვის დამახასიათებელი სისადავე და უშუალობა, ახლაც, ამდენი ხნის შემდეგ, ტკბილად გავიხსენებ ხოლმე იმ დღეებს, როცა ამ ლექსებს ვსწავლობდით...

მაგონდება, რა უხერხულობა შეექმნა მასწავლებელს ერთი სტრიქონის გამო, შე როგორც მახსოვს, „თინიას მამითა... დიდან“; მაგრამ ახლა რომ გადავათვალიერებ სხვადასხვა გამოცემა — შედარებით ძველიც კი — ლექსში ეს სტრიქონი ევლარ აღმოვაჩინე; ნუთუ სხვა ლექსიდანაა, და მე კი „თინიას მამითა დიდან“ მახსოვს! არადა, აზრის მიხედვითაც სწორედ ამ ლექსიდან უნდა იყოს, აი, ეს სტრიქონიც: „... ხან თხლის შეჭამანდს მთართმევეს, თავისკან დანამზადებსა“... მაგონი მესამე კლასში ვისწავლეოთ ეს ლექსი. როცა მასწავლებელს ვკითხეთ, „თხლის შეჭამანდი“ რას ნიშნავსო, იგი შეჩქეიფ-

და, შეწუხდა — არ უნდოდა გამოტყუილიყო, რომ მისთვისაც გაუგებარი იყო ეს სიტყვები. მალევე მოერია თავს და გამოგვიტყდა, მე თუთონაც კარგად არ ვიცო, მაგრამ, ალბათ, თხლის შეჭამანდი იქნებაო.

ან ჩვენ რას წარმოვიდგენდით, ან ჩვენი მასწავლებელი, რომ თხლე შეიძლებოდა შეჭამანდად კამოუქენებინათ; თხლეს ან თხლენაჭამს ჩვენში შერცხვენისა და თა;ლაფდასხმულ ადამიანს უწოდებენ. თხლისაგან კი ღარიბი იუჯაბის დიასახლისი ჩვენში მართლაც ამზადებდა შეჭამანდს; და თუმცა ლექსის სტრიქონში ზედმეტი მარცვლი ამკარა უხერხულობასა ქმნის, დავასკვნებით, რომ ნამდვილად თხლის შეჭამანდი იყო, და წიგნში შეცდომით „თხლის შეჭამანდი“ დაიბეჭდა.

სკოლაშივე გვიასწავლეს ვაჟა-ფშაველას, ნიკო ლომოურის, სოფრომ მგალობლიშვილის და ვიკტორინე გაბაშვილის მოთხრობები. დუტუ მეგრელის „ქინაქინა“ უკვე ვახსენე...

ეს სიკეთითა და გულითადობით გამოთბარი ლექსები და მოთხრობები ასპეტაკებენ და აკეთილშობილებენ ადამიანს. უკვე მერამდენე თაობა წამოვიდა მათი დაწერის შემდეგ; ათასობით ადამიანს ბავშვობაშივე თრთოლვით წაუ-

გაგრძელება. იხ. „მნათობი“ № 8, 9-10.

4. „მნათობი“ № 11-12.

კითხავს ან მოუსმენია და მათი ცხოველყოფილი ნათელი მთელი ცხოვრების გზას უნათებს, იქიდან გამოსული სიბოროტი სიცოცხლის ბოლომდე მიჰყვება.

რომელ კლასში იყო მაშინ, პროგრამით, გათვალისწინებული „მეფხისტყაოსანი“, აღარ მახსოვს, მაგრამ, როგორც ყველა ქართულ ოჯახში, ჩვენც პატარაობიდანვე ვიცოდით გმირების სახელები და მათი გულითადი მკვებობის ამბავი. შინა გვექონდა ქართველიშვილისეული გამოცემა, დროდადრო ზინის ილუსტრაციებს ვათვალიერებდით, და პერსონაჟების თავგადასავლებს, უფროსებისგან მოთხრობილ ამბებს, ვონებაში ამ ნახატებით ვაგებდით.

უცხოეთის მწერლობას უფრო მწივრად ვიცნობდი, ისიც უმთავრესად „ჯეჯილის“ წყალობით. ამ დიდებულა ქურნალის ცალკეული წიგნები სახლშიაც გვექონდა, და სოფლის ბიბლიოთეკაშიაც მოიძვევებოდა, კანტიკუნტად, სხვადასხვა წლის ნომრები. სხვა მასალების გვერდით აქ სისტემატურად იბეჭდებოდა უცხოეთის ლიტერატურის საუკეთესო ნიმუშები, უმთავრესად ალბატინებულები და შემოკლებული თარგმანები. დაწაფებით ვკითხულობდა ამ თარგმანებს. მიმზიდველად იყო მოთხრობილი ბერძნული მითები, ძველი საინტერესო ამბები...

სწორედ აქ წავეკითხე პომპეის დალუპების ამბავი, ანუ ამ თემაზე დაწერილი გულისშემძვრელი მოთხრობა; თუ არ შეშლებს, ბრიულოვის ცნობილი სურათის რეპროდუქციაც პირველად აქ ვნახე.

აქვე იყო საინტერესოდ მოთხრობილი ეპიზოდები დიდი კომპოზიტორების ცხოვრებიდან. ჯერ „მთვარის სონატა“ არ მომეხმინა, და მე უკვე ვიცოდი, როგორ უკრავდა მას ერთ ქარიშხლიან ღამით, ფერმერის ოჯახში, პატარა გოგონა; თვალზეც ცრემლმომდგარი

და-ძმა და დედ-მამა სულ ანთროპოლოგია უსმენდნენ. ბუხართან მჯდარი უცხო მგზავრი კი, რომელიც ქარიშხალში მოხვედრილიყო და თავი ამით სახლში შეეფარებინა, გაკვირებით შესცქეროდა მათ: იგი ვრუ იყო, და მუსიკის ბგერები არ ესმოდა; ხოლო როცა წამოღვა და ნოტებს დახედა, მასაც თვალზე ცრემლი მოადგა... მაშინღა მიხედნენ, რომ ეს უცხო მგზავრი თვით დიდი კომპოზიტორი იყო...

ახეთი ეპიზოდები სურვილს ადვილად კრავდა, თავად მოვეხმინა დიდებული ქმნილებანი; ჯერ მუსიკა არ მოვეხმინა და უკვე შეჰყავდი ამ მომხიბლავ სამყაროში.

ახეთი მადლი პქონდა ამ ყურნალებს. ერთხელ ილიკო ქურხული გვეწვია სკოლაში და იმანაც ბევრი საინტერესო რამ გვიამბო მუსიკასა და დიდ მუსიკოსებზე. მაშინ მეზუთე კლასში ვიყავი. მთელი სკოლის ჩაგვებები დიდ ხაკლასო ოთახში შეგვიყვანეს, და რამდენიმე საათის განმავლობაში სულგანაბრი უუსმენდით ამ საოცარ კაცს. კარგი მოსაუბრე იყო, რა უცხო და ზოგჯერ უჩინარი ამბები ჩვენთვის ძალიან საინტერესო გამოდგა. ყვებოდა და ამკარად ჩანდა, გახარებული იყო. ასე რომ დაგვიანებოდა. შვიდამიც სტიკის მოიმარჯვებოდა თა წაუმღერებდა. ახლაც ყურში ჩამეხმის ერთი რაკული შესტიკიროლა სახუმარო სიმღერა. თითქოს სამოთხათი წლის წინ კი არა, გუშინ მომეხმინოს.

„პატარარძალო, პატარარძალო!“

„ბატონო, ბატონო!“

„ქათმებს დოუძახე, ქათმებს დოუძახე“.

„ჯი, ჯი, ჯი, ჯი, ჯი, ჯი, ჯი, ჯი...“

„დათვალე, დათვალე...“

„ერთი, ორი, სამი, ოთხი, ხუთი, ექვსი, შვიდი, რვა...“

„გაპარულა ნაიარა.“

„ზორამ წაიანიალა...“

რა არაი დიადამთილი მყავს, ღმერთმა არ დააცალა...“

ღიღბანს გულიანად ვიცინოდით, და შემდეგ ვიმეორებდით ხიდივე, ცვდილობდით, იმავე კილოზე გვემღერა.

გული მწყდება, რომ სიმღერა ვერ ვისწავლე... მაშინვე, ერთი პირობა, ჩვენივე მეზობელს, დიონისე შევლაძეს მიმბარა. ეს მოხუცი კაცი დასწრულეული იყო, ფეხებწართმული, ლოვინად ჩაჯარდნილი; ყველა პატივის სცემდა, კეთილშობილებისა და პატიოსნების ეტალონად მიიჩნდათ. ჩვენი უბნის შერევაზე, რომელიც მის ოთახში ტარდებოდა, მოხუცს თვითონვე უთხოვია, ბავშვები მომბარეთ, სიმღერას ვასწავლი, და მეც გავერთობი, ლოგინს მიჯაჭვული კაციო. სამმა ბიჭმა დავიწვეთ სიარული, და გულმოდგინედაც შევეუღეკით სწავლას. მაგრამ არეული დრო იყო, ამის შემდეგ მალე მაშინვე დააპატიმრეს, დაიწყო მასობრივი დაჯერებები. სიმღერისათვის აღარავის ვეძალა... რამდენიმე ვაკეთილის შემდეგ თავი დაეანებეთ. ახლა მწყდება გული. ჩემებურად მაინც ვმღეროდი, მაგრამ ეს არ იყო ნამდვილი სიმღერა; რამდენადაც მომხიბლათა გურული სიმღერა, იმდენად რთული და ძნელად შესასწავლია.

უბნის კრება ვახსენე. იცოდნენ მაშინ ასეთი არაოფიციალური კრებები, ხელისუფლებისაგან დამოუკიდებლად ხელდაპობით შეიკრიბებოდნენ, როცა საერთო საქმე იყო გადასაწყვეტი — გზისა თუ ბოიარის შეკეთება იქნებოდა თუ რამე ხამელიატორო საქმე; სოფელი თვითონვე არჩედა მეზობლებს შორის დავას და თავადვე აწისრივებდა, ხელისუფლებისა თუ სასამართლოს ჩაურეღლად; მოლაპარკობით წინასწარი მოლაპარკობით, სოთლის კრება მედიატორებს გამოყოფოთა — ობიექტურ და სანდო პირებს, გონიორსა თა თარბაისელ ადამიანებს, რომელთაც შობდალავი რეპუტაცია ჰქონდათ. ისინი ყოველნაირად ცდილობდნენ, მოერიგებინათ მოდავეები — ზოგჯერ ადვილად ახერხებდნენ ამას, ხანდახან გამხელ-

დებოდა, მაგრამ საბოლოოდ უნდა დებოდა გადაწყდებოდა, ურთიერთ დათმობითა და შეთანხმებით. ამ შეაკაცებს სწორედ მედიატორებს ეძახდნენ. ვერ ვიტყვი, ძველითავე ასე უცხო სიტყვით მოიხსენიებდნენ, თუ შედარებით ახალი შემოღებული იყო ეს ტერმინი. ვინ იცის, როდიდან მოდიოდა კეთილი წესი მეზობლური მორიგებისა...

ან თუ ვინმე ობოლი და უპატრონი იყო, ასეთ კრებაზე დაუნიშნავდნენ ხოლმე მეურვეებს.

ბრძენი და კეთილი ხალხი იყო. მერე, ჩემს ბავშვობაშივე, ეს კრებები მოიშალა: ხელისუფლება უკვე უკვეით უწერებდა ასეთ „არაოფიციალურ“ შეკრებებს ემინოდით, ვერ ენდობოდნენ. ხელ შენსევეკური შეთქმულება ელანდებოდათ.

მეურვეობის ხსენებამ ერთი სახალისო ამბავი მომართა.

მეზობელ უბანში დედამამით ობოლ ვოკონას, რომელსაც პატრონი აღარავინ ღარწა, სოფელმა ორი მეურვე დაუნიშნა, ახლო მეზობლები, პატროსანი და კეთილი ადამიანები — იაკორი და ტიტკო. როცა ქალი გაიზარდა და გასათხოვი შეიქნა, საქმრო შეურნიეს. მგონი, ისიც ამგვარადვე ობლობაში გაზრდილი. მეზობლებმავე გადაუხადეს ქალს პატარა ქორწილი — მხოლოდ ახლო მეზობლები შეიკრიბნენ — და მაყრად თავისივე მეურვეები გაჰყვინ, ის ორი კაცი. ქალი გურიანთაში გაათხოვს. ეს სოფელი ჩვენგან კარგა მოშორებითაა. რაკი ბიჭიკ ობოლი იყო, დიდ ქორწილს, ბუნობრიათა, ვერც ის გადაიხდიდა. იქაც მეზობლებმა გადაუხადეს.

ჩვენი მაყრების თანახვაზე დამხვორები თურმე ერთბაშად გახალისდნენ, სიცილს ძლივს იკავებდნენ. ამას მერე თავადვე ყვებოდნენ ჩვენი მეურვეები. საქმე ისაა, რომ ეს ორი კაცი აღნაგობითა და ფიზიკური თვისებებით ანტიპოდები იყვნენ: ერთი თვალმისაკემად

მალალი და გამზდარი, მეორე — დაბალი და ჩახკენილი. ნამდვილი დონ კი-ხოტი და სანჩო პანსა. მაგრამ მზიარული განწყობილება მარტო ამას არ შეუქმნია: იმ მალალს შესამჩნევად დიდი ცხვირი ჰქონდა, მეორეს კი — არ ვიცი, დაბადებით თუ ტრავმის შედეგად — ისე გაბრტყელებოდა ცხვირი, რომ არც კი აჩნდა სახეზე, მარტო ნესტოები ამოხურცოდა; ეს მკვეთრი კონტრასტი უნებურ ღიმილს იწვევდა, მითუმეტეს ისეთ ვითარებაში, როცა უცხო ხალხში აღმოჩნდნენ, ერთმანეთის გვერდიგვერდ.

ჩვენი მაყრიონი გათვალისწინებულზე ადრე ჩასულა გურიანთაში, და სანამ სუფრას მიუსხდებოდნენ, თავის შესაქცევად ნარდის თამაში გააზურეს. ეს ჩვენი მალალი და გრძელცხვირი მაყარი ისეთი გაწაფული გამოდგა ნარდში, რომ ხელი ვერაეინ გამოურია, ყველას მოუგო, ყველა დაამარცხა. თანაც თამაში ფულზე იყო, და როგორც ასეთ დროს ხდება ხოლმე, აღარ მოეშვნენ, თავიანთი კარგი მონარდეები გამოქვბნეს; მაგრამ ნურას უკაცრავად, ერთი ხელიც ვერაეინ მოუგო. ლაღად თამაშობდა, და ასევე ლაღად ზუმრობდა, ენამახვილი იყო, ბევრი საღაღობო ამბავიც იცოდა. თანდათან პატივისცემა დაიმსახურა ამ კაცმა. ხოლო როცა მოკლებული ფული მთლიანად სიმკის გადასცა — ახალი თჯახისათვის მოჭარბებული არ იქნებო, უთხრა — ფულა მოიხიბლა...

სუფრას რომ მიუსხდნენ და სიმღერები გაჩაღდა, ახლა მეორე მაყარმა გამოიჩინა თავი: ისეთი კრინი ამოუშვა ამ ცხვირგაბრტყელებულმა კაცმა, ისეთი კრიმანჭული შემოსძახა, რომ ყველა დააჩვივია. თა ამანაც საერთო პატივისცემა დაიმსახურა. უყვართ გურიანში კარგი მომღერალი, და თუ ამისთან კარგი მოკრიმანჭულეც არის, ხომ განსაკუთრებული პატივისცემით სარგებლობს. თანდათან კაცრა ის უხერხული კონტრასტი, რამაც თავიდან მზიარული განწყობილება შეუქმნა დამზღვურებს.

პატარძლის ფასმაც ერუოღლრედ ციფსოა. მერე თავადვე ყვებოდნენ ამას ჩვენი მაყრები და გულიანად იციხოდნენ... სამწუხაროდ, რამდენიმე წლის შემდეგის მალალი კეთილი კაცი რეპრესიების მსხვერპლი შეიქნა...

მაგრამ მე შეიღწელების დამთავრებისას ჩემს განსწავლელობაზე ყვეპობდი, და სიტყვა კი გამქექცა...

სახვით ხელოვნებაში ჩემი ცოდნა, თუ მხედველობაში არ მივიღებთ „ჯეჯილში“ დაბეჭდილი სურათების რეპროდუქციებს, ორი სურათით განისახლვრებოდა. ეს სურათები კედელზე გვეკიდა და მუღამ თვალწინ მქონდა. ისინი მზათვად მოყოლია დედაჩემს. დიდრონი სურათები იყო, კარგ ჩარჩოში ჩასმული: ერთი — ლეონარდო და ვინჩის „საიდუმლო სერობის“ რეპროდუქცია, და მეორის ავტორი კი არ ვიცი, მერე არსად შემხვედრია ეს სურათი, არცერთ აღმობსა თუ მუზეუმში. ეტყობა, შუა საუკუნეების რაინდულ თემატიკას ასახავდა: ტყის განაკაფში ორი ქალი ზის, ბოშებსა გეანან, და რაღაცას ანიშნებენ ახალგაზრდა კაცს, რომელიც წინა პლანზე დგას, წილზე ჩახაბერი რქა ჰქოდა. ქალები ხელით ანიშნობენ გზისკენ, რომელიც ტყის სიღრმეში იკარგება, კაცი კი დაფრადლებულია, თითქოს რაღაც სიგნალს ეღიბს... მოხდინილი ვაჟკაცია, წყურულვამ დამშვენებული... მახსოვს. ერთხელ გაუთხოვრად შებერებული მეზობელი ქალი შემოვიდა, მიაშტერდა ამ სურათს, დიდხანს უყურა; ტუნზე თითი მიედო და თავისთვის რაღაცას ჩიფჩიფებდა, ეტყობა, სურათზე გამოსახულ პერსონაჟთა ურთიერთობას ვარაუდობდა და გონებაში სიუჟეტსა კრავდა: უყურა, უყურა და მერე თითქოს დანახვით ჩაიღაპარა — „რა ყაძახია!..“

რა იყო ასახული „საიდუმლო სერობაზე“, ეს კარგად ვიცილი ბაბუის წყალობით, მაცხოვრის მოწაფეებსაც ხათითაოდ ვცნობდი.

გაზეთების წყალობით, საკმაოდ გათვითცნობიერებული ვიყავი თანამედროვე პოლიტიკის საკითხებში. ბევრს ქონდა მაშინ სოფელში გამოწერილი გაზეთები — „კომუნისტი“, „მუშა“, „ფუნარა“... პოპულარული იყო იუმორისტული ჟურნალი „ტარტაროზი“, რომელშიაც, მახსოვს, გაგრძელებებით იბეჭდებოდა ლევარსი როზროზაძის სასაცილო თავგადასავლები, ახლა რომ ეხსენებ, არცთუ მაზვილი იუმორით დაწერილი; მაგრამ მაშინ სიამოვნებით ვკითხულობდით და ძალიანაც გვართობდა...

გაზეთებში ამოკითხული ცნობები ძალიან ხშირად რადიკალურად ეწინააღმდეგებოდა იმას, რაც შინ მესმოდა. „მენშევიკებმა გამარცხეს საქართველო“ — გაზეთ „კომუნისტში“ მსხვილა ასოებით აეწყოთ ეს სათაური, ორ გშლილ გვერდზე. დიდის გულმოღვინებით იყო ჩამოთვლილი, რა გაიტაცეს მენშევიკებმა საფრანგეთში 1921 წელს. ამ „ნამარცხის“ სიას ერთი გაზეთი — რას დაიტყვდა და ამიტომ წერილი შრიფტით დაბეჭდვდათ. შემადრწუნებელი იყო, თუკი ირწმუნებდი, რომ ეს დიდი საგანძური ერისა მართლა გაიტაცეს, უცხოურ ვალუტაზე გადაახურდავენ და იმ ფულით ახლა დროს მხიარულად ატარებენ პარიზში...

ბიძაჩემმა რომ დამინახა, ამას კვითხულობდი, გაიცინა და მითხრა:

„ნუ დაიჯერებ, რასაც მაგენი წერენ“...

ჩემი ძმა რომ თბილისში წავიდა სწავლის გასაგრძელებლად, ბიძის მართლმე დავეებოდი ყანაში — მომდევნო თაობიდან ოჯახში ახლა ყველაზე უფროსი მე ვიყავი. ვთოხნიდით ყანას ოროკში და, თოხნის დროს, იგი მიამბობდა ახლო წარსულის ტრაგიკულ ამბებს, რომლის მომსწრე თავად იყო. პოლიტიკით დიდად გატაცებული არ ყოფილა ბიძაჩემი, მაგრამ საღად აზროვნებდა, და ჩვენი პირველი დემოკრატიული ხელისუფლების მოღვაწე-

ობის შეფასებამაც არა ცდებოდა. ანუ თითქმის იმგვარადვე აფასებდა, როგორც ჩვენ ახლა, ამ სიშორიდან. მაშინ იმ ამბებიდან მხოლოდ 7-8 წელი იყო გასული, ემოციები ჯერ ისევ ცოცხალი და დაუმცხრალი იყო, და მიკვირს, როგორ ობიექტურად და პირუთვნელად აფასებდა ყველაფერს გლეხიკაცი. ახალი ხელისუფლებისაგან ხიშვრის მეტი არაფერი იცოდა — ერთი ძმა დაუხვრიტეს, მეორე ციმბირში გადაუსახლეს გაურკვეველი ვადით, ახლო სათესაეების ოჯახი დაანვრიეს, ირგვლივ მხოლოდ უსამართლობასა და ბოროტ ძალმომრეობას ხედავდა... ამიტომ, ბუნებრივია, იგი უფრო მეტი დანახებითა და გულისტკივილით იხსენებდა იმ წლებს, როცა ქვეყანა დიდი ხნის ნანატრ დამოუკიდებლობასა და თავისუფლებას ეწია. და მალევე დაკარგა დამოუკიდებლობაცა და თავისუფლებაც... ალბათ ესეც განაპირობებდა, რომ ობიექტურად, თუმცა არა მწვავე გაკიცხვით, შეეფასებინა მოღვაწეობა ქვეყნის მაშინდელი მმართველობისა...

მშვიდად, დამცხრალი ვნებებით მიამბობდა იმ მიუტყვეველ დაუდევრობაზე, იმ ვაუმართლებელ შემწყნარებლობაზე, რასაც მენშევიკური ხელისუფლების მესვეურები რუსი ბოლშევიკების ქართულ აგენტთა მიმართ იჩენდნენ. ერთადერთი, ნოე რამიშვილის პოზიცია მოსწონდა. შედგებოდა, თოხის ტარს დაეგრძნობოდა და — ახლა უკვე ისე მშვიდად აღარ — იტყოდა:

„ცხვირიდან მძარი უნდა ადინო მაკენსო, რამიშვილი ამბობდა“...

ისეთივე გაფიცებითა და მგზნებარებით იტყოდა ამას, როგორც ალბათ თავის დროზე ნოე რამიშვილი...

ისევე მიუბრუნდებოდა თოხს, და წამიერი გაფიცებაც გაუვლიდა; მცირე ხნის ღუმილის შემდეგ უკვე მშვიდად, ირონიული ღიმილით იტყოდა:

„ეორდანიამ თავისი ეტლი გაუგზავნა ციხეში ნატაშა ქიქოძეს, და მოუბო-

დიშა: ახლავა გავიგე, დაპატიმრებული რომ იყავიო“...

ეს, სხვათა შორის, დედანქმისგანაც გამიგონია. ნატალია ქიქოძე ხომ ჩვენი სოფელელი იყო, და თუკი მართლა გაუგზავნა ჟორდანიამ ეტლი ციხეში, გასაკვირი არ არის, უფრო გაკიცხვით სწორედ ეს დეტალი ხსოვებოდა...
 „პატიოსანი კაცი იყოო, მაგრამ ასეთი შეცდომები კი მოხდებოდა... აბა, აგენის დანდობა შეიძლებოდა!“.. განაგრძობდა ბიძაქმი.

გაცილებით უფრო გვიან, ასპირანტურაში რომ ვსწავლობდი, ერეკლე ტატიშვილმა მითხრა — ორნი ვისხედით მის პატარა ოთახში, და ძველ ამბებს იხსენებდა — „სანამ საზღვარს არ მოადგენ, ჟორდანიას არ უნდოდა დაეჯერებინა, რომ ესენი რუსები იყვნენ“...
 ერეკლე ტატიშვილი იმ დროს მთავრობაში მრჩევლად ჰყავდათ.

„როგორ გეტყობა, ირაკლი, რომ სოციალისტი არა ხარ! — მითხრა ერთხელ დიმიტით“, — ყვებოდა ბატონი ერეკლე, — „ლენინი მაგას იზამს?! როგორ შეიძლება ლენინმა ომი დაგვიწყოს!.. დაშნაკები არიან ეგენი, დაშნაკები გვებრძვიან“...
 ბატონი ერეკლეც მშვიდად ყვებოდა ამას.

„ისე კი, პატიოსანი კაცი იყო ჟორდანია, — განაგრძო ბატონმა ერეკლემ, — არავითარი პრივილეგიებით არ სარგებლობდა. ისევე გაჭირვებით ცხოვრობდა, როგორც მთელი ქვეყანა. ერთხელ მეუბნება: ირაკლი, დღეს ერთად ვისადილოთ ჩემთან — სოფლიდან ლობიო და ფქვილი ჩამომივიდა“...
 ეს სიტყვას მოჰყვა — ჩემს პოლიტიკურ გათვითცნობიერებულობაზე ვსაუბრობდი.

„აზნაურებიდანვე ვიცოდი მამინდელი უცხოელი მოღვაწეების ჩვენი სმენისათვის უცნაური სახელები — ჩანკაში, ჩანძოლანი, ჰუანკარე, ჩემბერლენი, მაკდონალდი... ათასნაირ ბრუნვაში იყო მოქცეული ეს გვარები: „ჰუანკარე

კვლავ უტიფრად ტყუის... „ჩემბერლენს ავიწყდება“... „ლოიდ ჯორჯი თავისას არ იძლის“... და ა. შ. ეს ფრაზები იქნებ უუსტად არ მახსოვდეს, მაგრამ ამგვარ აზრს კი ნამდვილად გამოხატავდნენ...
 „ტარტაროზი“, და ვაზეთებიც, გადაჭრელებული იყო კარიკატურებით. უწყალოდ დასცინოდნენ კაპიტალისტებს. დაძახასიათებელია, რომ ბურჟუები და კაპიტალისტები მუდამ უჩვეულოდ მსუქნები გამოჰყავდათ. ამით იმას გამოხატავდნენ, რომ ისინი მუშების მონაგარსა ჭამდნენ და სუქდებოდნენ. დასახასიათებელია, იმიტომ ვთქვი, რომ საერთოდ ასეთი მარტივი აზროვნებით აყალიბებდნენ საკუთარ, პროლეტარიატის იდეოლოგიას და ამითვე უპირისპირდებოდნენ ბურჟუაზიულს.

მახსოვს, თბილისში, თავისუფლების მოედნის კუთხეში, სოლოლაკის ქუჩის თავში, სამუიდნიოგმბროდ, დიდი ფიგურა დადგეს კაპიტალისტისა; კასრივით დამრგვალებული იყო — მუცელგამობერილი, ლოყებგამობერილი — თავზე შავი ცილინდრი ეხურა. ფიგურის უკან ტექნიკური მოწყობილობა გაეპართათ, ჩვენებური ჩამურის მსგავსი: ყურისწამლები ღრჭიალით აიწყოდა ხოლმე ვეუბა ურო და ფიგურას თავში დაეცემოდა, ცილინდრზე; ტაკუნის ხმა ახლომანლო ქუჩებში ისმოდა.

„ასე შორიდან, „დაუსწრებლად“ იყრიდნენ კაპიტალისტების ჯავრს, ასეთ მზურვალე სოლიდარობას უწევდნენ კაპიტალისტური სამყაროს ჩაგრულ მუშათა კლასს.
 არ მახსოვს, რამდენ ხანს ვასძლო ამ ტექნიკურმა მოწყობილობამ. ალბათ მალევე მოიშალა. ჯერ კიდევ ვერ იყო ტექნიკა ჩვენში სათანადოდ განვითარებული.

ერთხელ, საქართველოს გასაბჭოების საიუბილეო წლისთავზე, ვიროშილოვი ესტუმრა თბილისს. მაღალი სტუმრის პატივსაცემად, „მშრომელთა დემონსტრაციის“ დაწყებამდე, დიდი სამხედრო პარადი გაიმართა: საკუთარი ხალხის

თვალშიაც უნდა ამდღებულყო ჩვენი სამხედრო პრესტიჟი, და უცხოელი დიპლომატებისთვისაც თვალში ნაცარი უნდა შეეყარათ; ჯერ ისევ არ გაუქმებინათ უცხოეთის საკონსულოები თბილისში — გერმანიისა, იტალიისა, თურქეთისა, ირანისა... პარადს თავისუფლების მოედანზე ღებულობდნენ. ქარვასლა მგონი უკვე აღებული იყო. მთავრობის შემადგენელი ტრიბუნები პუშკინის ბაღის წინ იდგა, ხოლო უცხოელი დიპლომატებისათვის გვერდზე, დახლოებით ბანკის წინ მოეწყობა უფრო დაბალი ტრიბუნა.

ტრიბუნების სიმადლეცაც სიმბოლური მნიშვნელობა ჰქონდა.

დაიწყო სამხედრო პარადი. ჩაიარეს ჯარის ნაწილებმა, ომახიანი შეძახილებით მიესალმნენ თავდაცვის კომისარსა და რესპუბლიკის თავკაცს. ახლა სამხედრო ტექნიკა დაიძრა, აროზრობდნენ ტანკები. დიდი ქვეყნის თავდაცვის კომისარი ამაყად გადაჰყურებს მათ ტრიბუნიდან, თან შთაბეჭდილებას უზიარებს გვერდზე მდგარ ბერიას, საქართველოს კომპარტიის ცკ მაშინდელ მდივანს. ერთმანეთს შესციცინებენ, ამკარად გაზარებულები ჩანან ქვეყნის სამხედრო ძლიერების დემონსტრირებით.

და, ამ დროს, უცებ, ერთი უბედური ტანკი ოჩანი ჯორივით დადგა ზედ დიპლომატთა ტრიბუნის წინ, და ფეხი აღარ მოიკვალა — ძრავა ჩაუქრა. ამა მთელი მწყობრის მოძრაობა შეაფერხა. გადმოხტნენ ტანკისტები, დაუწყეს ჩხიკინი; ერთს ათუხთუხდებოდა ძრავა, დიპლომატების ტრიბუნას მგრელ კვამლს შეაფუტებდა და დადუმდებოდა...

ვიდაკამ მოისაზრა და ბრძანება გასცა: სხვა ტანკებმა შემოუარეს დადუმებულ ტანკს და გზა განაგრძეს... მერე, ალბათ, ცხენები მოუბეს დაზიანებულ ტანკს და გაათრიეს.

მწელი მიზახვედრი არ არის, რა გუნებაზე დააყენებდა ეს შემთხვევა თავდაცვის კომისარს, ან ჩვენი რესპუბლიკის მაშინდელ ხელმძღვანელს; არც

იმის ვარაუდია მწელი, რომ ვინაღაც დადამიანი შეეწირებოდა, ასეთ შერცხვენას ვინ აპატიებდა...

ეს იმას მოვავსოლე, რომ საბჭოთა ტექნიკის დონე ჯერ ისევ დაბალი იყო, იდეურად ბევრით გავეუსწართ კაპიტალისტებს, ტექნიკის განვითარების დონით კი ჯერ ისევ ჩამოვრჩებიდით...

ერთი სიტყვით, კარიკატურებში კაპიტალისტები ზომიანე შეტად მსუქნები გამოჰყავდათ. და კაპიტალისტების ასეთი ხატი, ეტყობა, მტკიცედ რამოყალიბდა ადამიანების ცნობიერებაში. ამან ერთი კურიოზული შემთხვევა გამოახსენა.

ეს გაცილებით უფრო გვიან მოხდა, „გამარჯვებული სოციალიზმის“ ხანაში. თბილისის პარტიული კომიტეტის მდივანი, რომელიც მხოლოდ იმით შემორჩა ისტორიას, რომ თავგამოდებით შეუტია დიმიტრი უზნაძის საქვეყნოდ აღიარებულ, თეორიას და ფსიქოლოგიის ინსტიტუტი დაარბია, დასახანად ვერ იტანდა მსუქან ხალხს. ყველა მსუქანი თაღლითად და გაიძვერად მიიჩნდა.

და აი, ერთხელ, თბილისის პარტიული კომიტეტის ბიუროს სხდომაზე გამოაქვთ რომელიღაც ორგანიზაციის საკითხი. ეტყობა, დიდი ორგანიზაცია იყო და ორი თანამშრომელი დაპირისპირებოდა ერთმანეთს; სამთვან ერთი თაღლითი იყო, მეორე — პატიოსანი. როგორც იცოდნენ ზოლმე, კომისიამ წინასწარ შეისწავლა საქმე, მომზადდა დადგენილების პროექტი, რომლის მიხედვითაც ის თაღლითი პროკურატურისათვის უნდა გადაეცათ და დაეჭვრათ, ხოლო მეორე, პატიოსანი თანამშრომელი, დაეწინაურებინათ.

საათობით ცრძელდებოდა ზოლმე ბიუროს სხდომები. ჩივილებრივ, დამით, ზოგჯერ გათენებადმე გასტანდა. გადაიღებოდნენ, გადაიქანცებოდნენ, პაპიროსის კვამლში გახვეულები. განსახილველი საკითხი მუდამ ბევრი იყო. სხდომათა დარბაზში ბიუროს წევრები და კომიტეტის თანამშრომლები იტანჯებოდნენ, გარეთ — გამომახებულია

ხალხი, ვისა საკითხიც ბიუროზე გადმოიდა.

როგორც იქნა, ამ ორგანიზაციის ჯე-რიც დადგა. იმ ორ მთავარ მოქმედ პირს გარდა, სხვებიც ბევრნი იყვნენ — მოწმეები, ორგანიზაციის თანამშრომ-ლები. სხდომათა დარბაზში შელაგდნენ გამოძახებულები. ამათ უკვე წინასწარ იცოდნენ პროექტის შინაარსი, ამიტომ ერთი მთავარი მოქმედი პირი ლაღად შევიდა, მეორე — აწურული, დაშინე-ბული. მოხდა ისე, რომ ის თაღლითი ჩხირივით გამხმარი იყო, ზოლო პატი-ოსანი — მეტისმეტად მსუქანი, ზედმე-ტი სიმსუქნისაგან ოფლი წურწურით ჩამოსდიოდა.

კომიტეტის მდივანი პირადად არ იცნობდა მათ. მსუქანი კაცი რომ დაი-ნახა ასე გაღიმებული, ემოციები ვე-ღარ დაიოკა, პროექტის წარმომდგენელ მომხსენებელს არც კი დაელოდა, ღვარ-ძლით ალტკინებულმა შეჰყვირა:

„ამას რაღა განხილვა სჭირდება! შე-ხედეთ ამ ფულიკს, ამ წურბელას, რო-გორ უტიფრად იტყანება, სულ გამო-უწოვია ხისხლი ამ პატიოსანი კაცისა-თვის... გადმოუგდია ღიბი, კანში ვე-ღარ ეტევა!.. გადაეცეს ახლავე პროკუ-რატურას!“

ზელქეითობმა სცადეს, საქმის ნა-მდვილი არსი აეხსნათ, მაგრამ მსუქანი კაცის დანახვაზე ისე ბოროტად ალტკი-ნებულყოფი თბილისის კომიტეტის მდი-ვანი, რომ ვეღარ შეებედს; თანაც, მას უკვე გვერდზე გადაედო მიწოდებული პროექტი. საკითხი ამოწურული იყო და გამოძახებული ხალხი დარბაზს ტოვებდა...

როგორ განვითარდა შემდგომ მოვლე-ნები, აღარ მახსოვს; არც იმ დროს ვი-ცოდი — ამ ამბის მხოლოდ პირველ ნაწილს ვვებოდნენ მაშინ და იცინოდ-ნენ...

გაზეთებზე ვსაუბრობდი. თავისებუ-რად საინტერესო იყო მაშინდელი გა-ზეთები, ანუ ბოლო გვერდი გაზეთებისა, სადაც წარა გვერდებისგან განსხვავე-ბით, სიმართლე იბეჭდებოდა. ბოლო

გვერდზე თვალში გვემჩაღდა მსხვილურ შრიფტით დაბეჭდილი ორი ასო — ჩ. გ. „დაიკარგა ამა და ამ ორგანიზაციის მრგვალი ბეჭედი. ჩ. გ.“... „დაიკარგა ამა და ამ მოქალაქის პირადობის მოწ-მობა. ჩ. გ.“... და ისევ: „დაიკარგა ამა და ამ ორგანიზაციის მრგვალი ბეჭედი. ჩ. გ.“... და ისევ მრგვალი ბეჭედი და ისევ „ჩ. გ.“.

ასეთი განცხადებები აურაცხელი იყო, ყოველდღე, ყოველ ნომერში. „ჩ. გ.“ კი პირველი ასოები გახლდათ სიტყვებისა — „ჩაითვალოს გაუქმე-ბულად“.

ახლაც მიკვირს, რანაირად ახერხებ-დნენ ამდენი მრგვალი ბეჭდის დაკარ-გვას, ან სად იყო ამდენი მრგვალი ბე-ჭედი!

ასევე ბლომად იყო უბედური შემთხ-ვევების ქრონიკები. ცალკე რუბრიკით იყო ეს განყოფილება, და რუბრიკასაც „შემთხვევები“ ერქვა. იუსუფბოდნენ, რომ ვიღაცამ თავი მოიწამლა, ვიღაც წყალში დაიხრჩო... და უფრო ხში-რად — „ეკვიანობის ნიადაგზე“ ქმარძა ცოლი მოკლა, ან პირიქით — ცოლმა მოკლა ქმარი. გაშლიდი გაზეთს და უნებურად მიიქცევედა ყურადღებას გა-მოკვეთილი შრიფტით აწყობილი „ეკ-ვიანობის ნიადაგზე“; იმ ქრონიკების მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, დიდი უბე-დურება ტრიალებდა მაშინ ეკვიანობის ნიადაგზე... კიდევ უფრო ხშირა იყო „მორგებული გასაღების საშუალებით“ ბინების გაქურდვა. ეტყობა, მაშინ უფრო ცვალიზებული ქურდობა იყო, ნიღ-ბიანი ყანადები არ უვარდებოდნენ ბი-ნაში ადამიანს გასაქურდავად, უფრო მშვიდობიანად აზარხებდნენ ამას „მო-რგებული გასაღების“ საშუალებით...

მაგრამ იმ ბოლო გვერდზე სხვა ქრო-ნიკებიც იყო, საინტერესო და მიმზიდ-ველი. გაზეთები მაშინ უფრო ფართოდ ამოქმედდნენ თეატრებისა და კინოს რე-პერტუარს, თხელი ხაზების ჩარჩოებში მოაქოვდნენ ზოლმე თითოეულ სპექ-ტაკლსა თუ ფილმს. ვიტყვიან და კინო-თეატრების უცნაური სახელწოდება-



ნი — „აპოლო“, „არფასტო“, „სოლეი“, „მინიონი“, „პალასი“...

ამგვარად, მე უკვე, როგორც იტყვიან ზოლმე, ფსიქოლოგიურადაც შემზადებული ვიყავი თბილისში წასასვლელად.

გულისფანტკალით მოველოდი ამ დღეს. ანდამატური ძალით მიზადავდა თბილისი, შორიდან ვეტრფოლი და მწაღერსებოლი, პატარაობისდროინდელი, როცა იქა ვცხოვრობდით, ბევრი ადარაფერი მახსოვდა. დედა მეტყვოდა, როგორ არ გახსოვს, „კახიონი“ თეატრში რომ ვიყავით — თურმე მეც წაუუვანივართ. ეს არ მახსოვდა, მაგრამ მე მზიბლავდა გაზეთების ქრონიკებში წაკითხული უცხო და უცნაური სახელწოდებანი, რომელთა აზრი არ გამეგებოდა, მაგრამ ძალიან კი მომწონდა და მიტაცებდა: „ბოკემა“, „ჩიო-ჩიო-სანი“, „აიდა“, „ტოსკა“, „ტრუბადური“... თვით ეს უცხო და უცნაური სახელწოდებანიც კი ზღაპრულ სამოსელში ხვევდა მათ.

მე წინ მელიოდა ეს ზღაპრული სამყარო...

ერთი ხული მქონდა, მანამ შინ ჩავიდოდი სურამიდან, სადაც ის ზაფხულიც, ჩვეულებრივ, მაიდასთან გავატარე. დაებრუნდებოდი, ატესტატს ავიღებდი და თბილისში გავემზავრებოდი. ძველი მტკიცე გადაწყვეტილება, ორთქლმავლის შემანქანე გავმზადარიყავი, უკვე დაიწყებული მქონდა. ახლა სალმშენებლო ტექნიკუმში შესახლელად ვემზადებოდი, რომელიც მაშინ, მგონი, ყველაზე პრესტიჟულად ითვლებოდა.

სურამიდან დაბრუნებულს, უსიამოვნო ამბავი დამხვდა: ჩვენმა უფემურმა გამგემ ატესტატი არ მომცა. თურმე, სავალდებულო შრომა უნდა შემესრულებინა კოლმეურნეობაში — აღარ მახსოვს, რამდენი „შრომა-დღე“ — და მხოლოდ ამის შემდეგ მივიღებდი ატესტატს. ადრევე რომ მცოდნოდა, ჯერ იმ სავალდებულო „შრომა-დღეებს“ მოვი-

თავებდი და მერე წავიდოდი სურამში. მაგრამ თავის დროზე არაფერი უთქვამთ. ეს ბრძნული აზრი მერე მოხვლია ვიდაცას თავში, მას შემდეგ, რაც მე სურამში წავედი. ტექნიკუმში საბუთების შეტანა კი გვიანდებოდა — იქაც, განსაზღვრული დროის შემდეგ, საბუთებს არ მიიღებდნენ. ეხვეწა დედაჩემი ჩვენს უფემურ გამგეს, ეძუდარა — ატესტატი მოგვეცი, საბუთებს გავვზავნო თბილისში, და იმ სავალდებულო შრომა-დღეებს მერე შეასრულეებს, ისე არ წაეყო. არ გატყვდა ჩვენი დრძო მუზობელი, ქვა ააგდო და თავი შეუშვირა — არც იფიქროთ, კანონს არ დავარღვევო. ბიძაჩემიც შევხვეწა, მაგრამ არა. ასე გავიდა რამდენიმე ძვირფასი დღე. საბუთების შეტანის ვადა — როგორც ეს გაზეთებში იყო გამოცხადებული — უკვე მიიწურა.

ჩვენი კოლმეურნეობის თავმჯდომარე, გვარად გოგიბერიძე, გურიის სხვა სოფლიდან იყო, ჩვენთან ცოტა ხნის წინ გადმოვიყვანილი, და ჩვენები ხეირიანად არ იცნობდნენ. მახსოვს, ცალა თვალი დაზიანებული მქონდა. ვადავწყვიტეთ, ამ უცხო კაცისთვის გვეთხოვა: წინასწარ თუ მოგვეცემა ცნობას, იმ დაწყველილ „დღეებს“ მერე შევასრულებდი, ჩვენმა ახალმა თავმჯდომარემ მოგვისმინა, იმ ცალი თვალით კეთილად გაიღიმა: „რა დიდი ხაქმე ეს არის, სწავლაში ხელს როგორ შეკუშლი ბავშვს, ცნობას როგორ დაგიჭერთ — ხმაც ისეთი რბილი და ხასიაზოვნო მქონდა — ახლა არც დავამალე მუშაობას, გასამგზავრებელია; არდადეგებზე რომ ჩამოვა, მაშინ ვამუშაოთ“, — თქვა და ისევე კეთილად გამოიღიმა.

მოგვეცა ამ კეთილმა კაცმა ცნობა, და ჯერ მელანი არც შესრობოდა, ჩვენს უფემურ გამგეს მივუბრუნინე.

სკოლის აივანზე იღვა. გამომართვა, წაიკითხა, შემომხვდა, ისევე გადაიკითხა, თავისებურად ჩაიციხა — დამცინავად, რაღა თქმა უნდა — ქალაღლი შეატრიალა, ახლა ცარიელ გვერდს უყურა ერთ-

ხანს — იქ რაღას ეძებდა, ვერ გავიგე. მე კი ამასობაში გული მეღვება — ვაი თუ, კიდევ რამე ხრიკი მომდოს! ბოლოს ფეხთორვეით წავიდა თავის კაბინეტისკენ, კარადიდან საქაღალდე გამოიღო — ნელა, ზოხინით, ლამის მთელი საუკუნე გავიდა — უკვე გამზადებული ატესტატი გამოაძრო და უკემურად გამოიწოდა: „წაიღე, მაგრამ, სულერთია, მაინც დაგვიანებულია“.

ბოროტი და ღვარძლიანი კაცი იყო. ... რა კარგია, რომ მარტო ბოროტადამიანები არ არიან ქვეყნად, კეთილი ხალხიც ხომ ყოფილა! ჩვენი ახალი კოლმურნეობის თავმჯდომარე გამახსენდა, ეს რომ გავიფიქრე, ატესტატით ხელში შინისაკენ სირბილით მიმავალმა...

მეხუთე თუ მეექვსე კლასში ვიქნებოდი, როცა ბოშა ქალმა მიმკითხავა...

დროდადრო გამოჩნდებოდნენ ხოლმე ბოშები. სკოლასთან ახლოს, ქუჩის პირას, პატარა კორდზე კარავს გაშლიდნენ. წვრილმან რაღაცებს ყიდდნენ. ერთხელ ცხენიც მოყვანათ გასაყიდად, რაღა თქმა უნდა, სხვაგან, შორეულ სოფელში მოპარული. და, რაც მთავარია, მკითხაობდნენ. შემოეხვეოდნენ ხოლმე სკოლიდან შინ მიმავალი ბავშვები. იმიტომაც დაიბანაკეს სკოლასთან ახლოს. ძვირი არ ღირდა მკითხაობა — აბაზს დაგიფასებდნენ, მაგრამ მალევე ნაპოვიდოდნენ ორ შაურამდე. შაურსაც დასჯერდებოდნენ, თუ ამასთან კვერცხებს მოუტანდი, ან ლევსა და ფორქენს. ცუდს არაფერს გეტყოდნენ, მუდამ ბედნიერ მომავალს დაგისახავდნენ.

ერთ დღეს, სკოლიდან რომ ებრუნებოდით, ბიჭებს გვიმარჩიელეს. დიდხანს დაამტერდა ჩემს ზელისგულს, ხაზებს თითი აყოლ-ჩაყოლა, შერე ჩემი საწიგინიდან წიგნი ამოაძრო და შუბლზე მომადო — მიმახვედრა, რომ ნასწავლი კაცი გამოვიდოდი. მაგრამ ეს არ ყოფილა მთავარი, ამას სხვებსაც უწინასწარმეტყველებდნენ. საგულისხმო სხვა რამე იყო: მითხრა — ანუ ვესტე-

ბითა და თავის დამტკრული რუსულ-ქართულით მიმახვედრა — რომ მე ცხოვრებაში შემხვდებოდა ერთი კეთილი კაცი, რომელიც დიდად დამეხმარებოდა და ბედნიერ გზაზე დამაყენებდა...

იმ დროს, როგორც უკვე ვთქვი, მთელ ქვეყანას ძალიან უჭირდა, და ჩვენც, მით უმეტეს, შეჭირვებულები ვიყავით — არა მარტო მატერიალურად, არამედ მორალურადაც — და ეს სიტყვები ვირწმუნე, ღრმად ჩამებეჭდა გულში, თუმცა მარჩიელობისა დიდად არც მაშინ მჯეროდა. ადამიანი იმედს ეძებს, იმედს ებლაუჭება. კარგა ხანს ვოცნებობდი, რომ მართლა გამოჩნდებოდა ვინმე კეთილი ადამიანი... და აქ ჩემი ოცნება ფრთებსა შლიდა, სხვადასხვა მიმართულებით გამიბატებდა, ანუ სხვადასხვანაირად წარმომედგინა, რა სიკეთე შეიძლებოდა ჩემთვის აღმოენინა იმ კეთილ ადამიანს.

ამას უცნაურად დაემთხვა ჩვენთვის ზავსებით მოულოდნელი ამბავი, იყო ჩვენს სოფელში ერთი განათლებული, ინტელიგენტი მანდილოსანი (სხვათა შორის, ცნობილი მეცნიერის პეტრე ელენტიის დედა) — იყვნენ ქართულ სოფლებში, და ალბათ, დღესაც არიან, ასეთი ქალბატონები. ჩვენგან მოშორებით ცხოვრობდა, მაგრამ ჩვენს ოჯახთან მეგობრობდა. ამ ქალბატონს, როგორც ჩანს, ახლობლები ჰყავდა ბათუმში და ხშირად დადიოდა იქ. ერთ დღეს ამ ქალმა ამბავი მოიტანა: ცნობილმა ბათუმელმა ექიმმა ზურაბ წერეთელმა რომ გაიგო ვასოს გადასახლება, ძალიან შეწუხდა და მთხოვა — ერთი მანახვეთ მისი ცოლ-შვილიო. დედას ურჩია, ჩასულიყო ბათუმში და მოენახულებინა ეს კაცი, რომელიც უხათუოდ დაგვეხმარებოდა. დედამ გაიხსენა, რომ იმ ზურაბ წერეთელს მართლაც ჰქონდა მეგობრული ურთიერთობა მამაჩემთან... ის კი არადა, მამაჩემისაგან რაღაცით დავალებულიც ყოფილა, როგორც ეს ჩვენმა სოფელელმა ქალბატონმა თქვა,

რამდენს ჩამოვიდოდა ეს ქალი ბათუმთან, იმდენს იტყოდა: ზურაბ წერეთელი თავს იკლავს (იცოდნენ ჩვენში ასეთი გაზვიადებული ლაპარაკი), ერთი ამ კაცის ცოლ-შვილი მაჩვენეთო; და ისევ და ისევ შეაგონებდა დედას, ბათუმში ჩასულიყო, მოეჩვენებინა ის კაცი, რომელიც ასე მოწადინებული იყო ჩვენი ნახვითა და ჩვენთვის შემწეობის აღმოჩენით. დედა არ მიდიოდა, ეს თავის დამცირებლად მიანხდა — თუკი მართლა უნდოდა იმ კაცს შემწეობის აღმოჩენა, ამას ისედაც მოახერხებდა...

იმავე ხანებში მიშეთხა ბოშამ და რაღა გასაკვირია, რომ ჩემმა ფანტაზიამ სწორედ ბათუმელ ექიმს დაუკავშირა გურკვეველი იმედები.

თბილისში სწავლის ვასაგრძელებლად რომ გადმოვედი, მერეც დიდხანს შესმოდა, როგორ თავგამოდებით მოიწვედა ჩვენს საშველად ის კეთილი ექიმი, და ვერა და ვერ მოეღწია ჩვენამდე...

საბოლოოდ მაინც მოვინახულე ის კაცი. ეს ვაცელებით გვიან მოხდა, 1944 წლის აგვისტოში, როცა ასპირანტურაში ვიყავი, და თან სკოლაშიაც ვასწავლიდი ინგლისურს. ამ დროს უკვე თარგმნილი მქონდა „რომეო და ჯულიეტა“. და არჩილ ჩხარტიშვილმა, რომელიც მაშინ ბათუმის თეატრში მოღვაწეობდა, შემომითვალა, ჩავხულიყავი ბათუმში და ჩემი თარგმანი დასისათვის წამეკითხა. ამ პიესის დადგმა გადაწყვიტა. ჯერ დაბეჭდილი არ ყოფილა პიესა, „მნათობში“ მხოლოდ 1945 წელს დაიბეჭდა. ჩავედი ბათუმში, დასს პიესა წავუკითხე, გამიფორმეს ხელშეკრულება და ფულის მისაღებად მეორე დღისთვის დამიბარეს ხელოვნების სამმართველოში.

სადამო ხანი იყო, საქმეს რომ მოვრჩი. სასტუმროში მქონდა ნომერი, ბათუმში არავის ვიცნობდი, საქმე არაფერი მქონდა, და უცებ ექიმი ზურაბ წერეთელი გამახსენდა. გადავწყვიტე, ბოლოს და ბოლოს მენახა ეს კაცი.

ეროვნული

ბათუმი პატარა ქალაქი იყო, მაგრამ იცნობდა, ადვილი მისაგნები გამოდგა.

კარი ვიღაც ქალმა გამოიღო და ვინაობა მკითხა. სადამო ხანი იყო, მაგრამ არა ბნელოდა. გავიდა რამდენიმე ხანა, და ახლა მეორე ქალი გამოვიდა, უფრო ხანში შესული, ალბათ მეუღლე ექიმი-სა. შემათვალეირა, თქმით კი არაფერია უთქვამს, ისევ გაბრუნდა. მერე ისევ ის პირველი ქალი გამოვიდა და დიდ დარბაზში შემვიყვანა. კარგა ხანს ვიჯექი, არავინ შემოსულა, მაგრამ ვვრძობდი, რომ მითვალთვალებდნენ, მამოწყებდნენ. ვინანე, რატომ მოვედი-მეთქი, მაგრამ გვიანდა იყო...

ბოლოს თვითონ ექიმი შემოვიდა, ტანმორჩილი, ბუნწულა მოხუცი კაცი. ეტყობოდა წლებს მოეტეხა და დაეპატარაებინა, მაგრამ თვალები ყმაწვილ-კაცურად მკვირცხლი და ანცი ჰქონდა. წამოუდგე. ხელი ჩამომართვა, დამსვა, გვერდზე მომიჯდა, და სანამ საუბარს გაეპამდით, გულმოდგინედ შემათვალეირა — დაეჭვებით, გაკვირვებით — რამდენჯერმე აატარა-ჩაატარა თავისი მკვირცხლი, ეშმაკური თვალები, თავით-ფეხებამდე შემისწავლა, შემამოწმა. მომეჩვენა, რომ ჩემმა ვინაობამ დააეჭვა.

თურმე მამაჩენთან მეგობრობდით-მეთქი, ისევ მე ვავტეხე ნავსი. რაღაც მითხრა, დამიდასტურა, ნამდვილად ასეაო. ოღონდ, უხადისოდ. ბოლოს, ეტყობა, დარწმუნდა, რომ ნამდვილად მე ვიყავი: რა უქნეს ამ ოხრებმაო, ესღა თქვა დანანებით; და კიდევ გაიმეორა — რა უქნეს, როგორ დაღუპესო. ეტყობა, სხვა არაფერი მქონდა სათქმელი. ისევ ვერ აეწყო ჩვენი საუბარი. უცებ თავში გამკრა — ამ კაცმა არ იფიქროს, დაზმარების სათხოვნელად ვარ მოსული-მეთქი, და დავეშურე მეთქვა, რა საქმე-ზეც ვიყავი ბათუმში ჩასული. ერთბაშად გამოცოცხლდა, თვალები აუთამაშდა. „რამდენს ვიხდიან?“ მაშინვე ეს მკითხა. ხუთი ათას მანეთს-მეთქი, ამაყად ვუპასუხე. „ეგება დათიკოს ცოტა“

კიდევ გაავადებით! პა, რას იტყვი?“
 ახლა უკვე გახალისებულმა მითხრა და
 თვალი ჩამიკრა. ამით დახმარება შემო-
 მთავაზა. დავით ღუმბაძე ივლისისმა,
 მაშინდელი ხელოვნების სამმართველოს
 უფროსი აკარაში. ახლა ის შემეშინდა,
 ამისთვის მოხული არ ვეგონო-მეთქი.
 და სიტყვა არც კი დავამთავრებინე,
 მაშინვე მოუვუჭური: „აჰ, არა, რასა
 ბრძანებთ! ხელშეკრულება უკვე გაფორ-
 მებულია, და მეტს არც მოველოდი,
 პონორარის მაქსიმუმში მომცეს“.

ახლადა მკითხა, რამდენი შეიღია
 დაერწით მამაჩვენს, რას ვსაქმიანობ-
 დით, დედა როგორ იყო...

მალევე გამოვბრუნდი; მოუუბოდიშე,
 ალბათ, მოგაცდინეთ, დრო დაგაკარგვი-
 ნეთ-მეთქი. აჰ, რას ამბობ, ძალიან გა-
 მაზარყო, მითხრა. იქნებ დარჩენილი-
 ყავი და ერთად გვევახშმავო. ეს კი, ვერ
 დაუფიცავ, გულწრფელად შემომთავაზა.
 მოვიბიზეზე, რაღაც საქმე მაქვს-მეთქი
 და წამოვედი. ქუჩაში გამოსულმა შეე-
 ბით ამოვიხსუნთქე. ნეტა რა ძალა მადგა,
 რომ მოვდიოდი-მეთქი, გავიფიქრე.

ჩემი ბოშა-მარჩიელი მაინც მართა-
 ლი გამოდგა, ოღონდ, მცირე უზუსტობა
 მოუვიდა: მან ერთ კეთილ ადამიანთან
 შეხვედრა მიწინასწარმეტყველა, მე კი
 რამდენიმე ასეთი ადამიანი შემხვდა
 ცხოვრებაში; თანაც, არა მარტო წლო-
 ვანებით ჩემზე უფროსები — ჩემივე
 ხნისაც... მაგრამ იმ დროს, როცა ამ
 ადამიანების თანადგომასა თუ კეთილ
 გავლენას განვიცდიდი, ბოშა-მარჩიელი
 და მიხი მკითხაობა არც გამხსენებია.
 ეს ახლად მომავონდა, როცა ამ სტრი-
 ქონებს ვწერ; თანაც, ექიმთან დაკავში-
 რებულმა ხალალობო ამბავმა გამახსენა.

ერთი დიდი დარდი მიმყვებოდა თბი-
 ლისში; ისე დავამთავრე შეიდწლიანი
 სკოლა, რომ კვლავ მძიმედ მაწვა გულ-
 ზე ეს საწუხარი-საიდუმლო, რაც ჩვენს

დიდ ოჯახში ყველამ ^{მეტი} მხატვრულ
 გარდა. საიდუმლოსაც მხოლოდ იმიტომ
 ვუწოდებ, რომ ჩემი მხურვალე ნატვრა
 იყო, სხვას არავის გაეგო და ყველასა-
 თვის დაფარული დარჩენილიყო.


არ ვიცი, როგორ მოხდა, მაგრამ მე
 მოუნათლავი ვიყავი. ბაბუას ამას არ უმი-
 ხელდნენ. მას არც მოაფიქრებოდა, მი-
 უნათლავს თუ ჩამიყვანდნენ სოფელში.
 ჩხუბი რომ მოგვეიდოდა, ჩემი ძმა წა-
 მომძახებდა—ურჯულო ხარ, მოუნათლავი
 ხარო. იცოდა, რომ ასე არაფერი გამახე-
 ლებდა... ვდარდობდი, ვწუხდი, ზოგჯერ
 ძილიც გამიკრთებოდა ამაზე ფიქრით,
 მაგრამ დარდს გულში ვიკლავდი.

ნეტარი ავეუსტინე ღმერთს შესჩიო-
 და, რატომ ადრე არ მომნათლეს, რად გა-
 ამრავლეს ჩემი ცოდვებით... ჩემს წუ-
 ხილს უფრო მარტივი საფუძველი მქონ-
 და — ცოდვები თუ შეიძლებოდა ამით გა-
 მრავლებულიყო, ამას ვერც მოვიფიქრე-
 ბდი — მე უბრალოდ მრცხვენოდა, რომ
 მოუნათლავი ვიყავი; და იმის შიშიც მქო-
 ნდა, რომ იმქვეყნად ჩემიანებთან ვერ
 მოეხვებოდი, მარტო დავრჩებოდი. სწო-
 რედ ამით მაშინებდა ჩემი ძმა. ჯერ ისევ
 პატარა ვიყავი. მერე და მერე, როცა წა-
 მოვიზარდე, დარდი თანდათან გამინელ-
 და, მაგრამ ჩემს მოუნათლავობას რომ გა-
 ვიხსენებდი, მაინც უსიამოვნო განცდა
 მეუფლებოდა, და კვლავ იმას ვცდილობ-
 დი, სხვას არავის გაეგო.

უსწაურად გაუბედავი ვიყავი, ბაბუა
 საც ვერ გაუშვებდი, თორემ შეიძლებო-
 და უფრო ადრე გამოსწორებულიყო საქ-
 მე. ერთხელ, გაცილებით უფრო გვიან,
 1944 წელს — უკვე ასპირანტურაში
 ვსწავლობდი — კათალიკოს კალისტრა-
 ტესაც შევხვდი, თითქმის მთელი საათი
 მესაუბრებოდა, ორნი ვისხედით მის
 ოთახში. უაღრესად სათნო და კეთილი
 მოხუცი იყო. დავაპირე მეთქვა, სათქმე-
 ლი ენის წვერზე მადგა, მაგრამ ვერ გა-
 ვუბედე; ახლა ვნანობ ამას.

მოვინათლე განსაკუთრებულ ვითარე-
 ბაში.

თბილისში, ერთადერთს, ჩემს მეგო-
 ბარს პოეტ ალექსანდრე საჯავიას გაეან-
 დე ეს საიდუმლო, მე ვიქნები შენი ნათ-



ლიაო, არც დაფიქრებულა ისე მითხრა, გახარებულმა. მაგრამ ხელსაყრელი დრო ვერა და ვერ დადგა. და, აი, 1945 წლის შემოდგომაზე, ზუვდიდის მახლობლად, სოფელ ოდიშში, პოეტის გარდაცვალების წლისთავზე, პოეტის მამამ მეზობელი სოფლიდან მღვდელი მოიწვია და მოვინათლე. ნათლია თვითონვე იყო ჩემი მეგობრის მამა.

ეს თითქოს კონფიდენციალურ ვითარებაში მოხდა, ვშიშობდი, არავის გაეგო: მრცხვენოდა, რომ აქამდე მოუნათლაი ვიყავი. და სახტად დაერჩი, როცა, თბილისში ჩამოსულს, იმავე დღეებში, მწერალთა სასახლის წინ, გზად შემხვედრი ლევან გოთუა მეუბნება: „მოინათლე? კარგია! ძალიან კარგია!“ თვალები სიხარულით უბრწყინავდა. შემატყო, არ მესიამოვნა. ალბათ იფიქრა, გამელაგუნებისა ეშინიაო, და ხმადაბლა გაიმეორა: „ძალიან კარგია! კარგად მოქცეულხარ!“ მხარზე აღერსიანად დამადო ხელი.

ალარ აუუხსენი, რომ მე სხვა რამის შიში მქონდა, და არა იმისა, რაც ალბათ მან იფიქრა.

* * *

საბუთების შეტანა არ დამიგვიანდეს-მეთქი, ვწუხდი, სხვა დაბრკოლება თუ შემხედებოდა, არც მიფიქრია. მისაღები გამოცდები ტექნიკურში კი არა, მაშინ მგონი უნივერსიტეტშიაც არ ვოფილა: მიიტანდი საბუთებს, განიხილავდნენ და ჩაგრიცხავდნენ. თუ ბევრი შემსვლელი იქნებოდა, საბუთებს გააჯიბრებდნენ: ვისაც უკეთესი საბუთები აღმოაჩნდებოდა, უპირატესობას იმას მიანიჭებდნენ. საბუთები-მეთქი, ვამბობ, მაგრამ ამდენი საბუთიც არ უნდოდა — შეიღწევის დამთავრების ატესტატი, დაბადების მოწმობა და ცნობა სოციალური მდგომარეობის შესახებ. ეს იყო და ეს. მადლობა ღმერთს, ანკეტას ჯერ კიდევ არ გავსებინებდნენ; თუ ვინმე არ ჩაგისაფრდებოდა და ძირისძირამდე არ გამოიძიებდა, ვერაინ გაიგებდა, რომ მამა გადასახლებული გყავდა. ანკეტები მგონი უფრო

მოგვიანებით შემოიღეს, როცა, სტრუქტურის მეთოდები დახვეწეს და მათი შემოღებისას სეს. აფთარივით მოგვარდებოდა იქ ერთი შეხედვით თითქოს უწყინარი კითხვა: „მშობლების საქმიანობა რეკოლუციამდე, რეკოლუციის შემდეგ და ანკეტის შევსების მომენტში“... მაგრამ, როგორც ითქვა, ეს უფრო მოგვიანებით; ჯერ ანკეტებს არ გავსებინებდნენ.

გადავეცი ჩემი საბუთები კანცელარიაში, გადაათვალიერეს და უკანვე დამიბრუნეს: ჩემი „სოციალური მდგომარეობა“ ტექნიკურის პირობებს არ მიესადაგა — სიღარიბის მოწმობა არ აღმოაჩნდა. ზემოთნახსენებ „უპირატესობას“ სწორედ ეს საბუთი იძლეოდა.

ამ მოწმობას მე ვინ მომცემდა. მართლა ქონებრივი ცენზის გათვალისწინებით კი არ იძლეოდნენ ამ ცნობას, არამედ იმის მიხედვით, თუ რა პოლიტიკური მიმართულებისა იყვნენ შენი მშობლები... რეპრესირებულის შვილს სიღარიბის მოწმობას ვინ მიაქვავებდა! ასეთ პრივილეგიას ვინ აღირსებდა! საგულისხმოა, რომ „ცნობას“ არც ეძახდნენ, „მოწმობას“ უწოდებდნენ, და ამითაც კი განუსაზღვრელად დიდ მნიშვნელობას ანიჭებდნენ. სიღარიბის მოწმობას თუ ჩაიგდებდი ხელში, გზა ყველგან ხსნილი გქონდა, ანუ ხრულფასოვანი მოქალაქე იყავი. უამმოწმობოდ ფეხს ვერ მოიცილიდი, ნაბიჯს ვერ გადადგამდი, შენთვის ყველა კარი დახშული აღმოჩნდებოდა... მაშინ ყველას პირზე ეკერა „სიღარიბის მოწმობა“: ან რომელიმე სასწავლებელში შესვლას თუ დააპირებდი, ან სამსახურში მოწმობას, ან ცხოვრებაში რაიმე ნაბიჯის გადადგმას, უსათუოდ გკითხავდნენ: „სიღარიბის მოწმობა ხომ გაქვს?“ და თუ გქონდა, ეს სრული გარანტია იყო წარმატებისა. კურორტული ის იყო, რომ სიღარიბე ჩვენში საქებური არასოდეს ყოფილა, სათაკილო უფრო იყო: ღარიბი ოჯახი ან ებრალებოდათ, და შეძლებისდაგვარად ხელს უმართავდნენ, ან დასცილობდნენ (თუ სიხარმაციისა და უქნარობის გამო იყო დატაკი და არაფრის მქონებელი).

ერქენული

ერთი სიტყვით, კანცელარიაში საბუ-
ლები არ მიიღეს...

მაგრამ ჩვენ ვიცნობდით ტექნიკუმის
დირექტორს, ქალს, რომელსაც ცოტა
ხნის წინ მოსკოვში დაემთავრებინა რა-
ღაც „წითელი სასწავლებელი“, და ამი-
ტომ პრესტიჟული სკოლის გამგებლობა
ჩაუბარებინათ. იყო ასეთი „წითელი“
სასწავლებლები, და ეს ეპითეტიც სას-
წავლო დაწესებულებათა მხოლოდ იდე-
ურ შინაარსზე კი არ მიანიშნებდა, არა-
მედ ერთგვარად მუქარის ელემენტსაც
შეიცავდა. ასეთ სასწავლებელ დამთავ-
რებულები შემდეგ „ადგილებზე“ იგზავ-
ნებოდნენ რექტორებად, დირექტორებად,
მმართველებად... ისინი თავს განუსაზღ-
ვრელი უფლებებით აღჭურვილებად
თვლიდნენ და მთელი სიმკაცრითა და
სისასტიკით ასრულებდნენ პარტიის დი-
რექტივებს, „განუხრელად ატარებდნენ
პარტიის ხაზს“... ეს ქალბატონი — ტე-
ქნიკუმის დირექტორი — ახლახან ცო-
ლად შეერთო ჩვენს ნათესავს. ქმარმა
ახალშერთული ცოლი სოფელში ჩამოი-
ყვანა და ნათესავეებსაც გააცნო. სწორედ
ამ პირველი გაცნობის დროს გადაწყდა,
რომ მე ახალდაარსებულ სააღმშენებლო
ტექნიკუმში შევიღოდი.

დამავიწყდა მეთქვა, რომ სააღმშენებ-
ლო ტექნიკუმში პირველი სკოლის ბაზა-
ზე ჩამოყალიბდა, პირველი სკოლის შე-
ნობაში იყო მოთავსებული. ეს ქალი ად-
რევე დაენიშნათ პირველი სკოლის გამ-
გედ, სანამ ტექნიკუმს დააარსებდნენ;
ადრევე გადაწყვეტილათ სწავლების დრო-
მოკმული მეთოდების შეცვლა და ახა-
ლი, კომუნისტური იდეოლოგიის დანერ-
გვა. პირველი სკოლა იდეური თვალსა-
ზრისით ვეღვაზე უფრო მოიკოტლებდა,
და მოსკოვში ახლად განათლებამიღებუ-
ლი ქალი იმიტომაც მოავლინეს აქ...

მართლაც, სულ მოკლე ხანში, ახალ
გამგებს უკვე მოესწრო სკოლის კადრებ-
ის განმენდა-გადახალისება, ძველი დეა-
წლმოსილი ჰედაგოგების ახლებით შეც-
ვლა, საერთოდ ძველი, „დრომოკმული
რეჟიმის“ შეცვლა... პირველი სკოლის
დამამთავრებელი კლასის მოსწავლეე-
ბი ჩვენს მეზობლად ცხოვრობდნენ, ვრი-

ბოდოვის ქუჩაზე, და მათგან უკვე რეკუ-
რი საუფრო სიტყვა მომესმინა ახალ გამ-
გებსა და მიხვანვე დამყარებულ რეჟიმზე.
შემდეგ თანდათანობით ამკარა ვახდა,
რომ ახალი გამგე არავის არ უყვარდა
(თუ უფრო მკაცრ გამოთქმას მოვერიდე-
ბით) — არც მოსწავლეებს, არც მასწავ-
ლებლებს და, საერთოდ, არც მთელ სა-
ზოგადოებას... ტექნიკუმში ამავე სკოლის
ბაზაზე მგონი სწორედ იმ წელს დაარს-
და, როცა მე დავაპირე შესვლა. ასე რომ,
თუ მიმიღებდნენ და ბოლომდე მივეყ-
ვლოდი, ამ ტექნიკუმის პირველი გამო-
შვების კურსდამთავრებული ვიქნებო-
დი...

მაგრამ, აგერ, მოულოდნელი დაბრ-
კოლება გადამეღობა, და ახლა დირექ-
ტორისთვის უნდა მივევმართო თხოვნით,
რათა გამონაკლისი დაეშვა და ამ ნაკ-
ლოვანი საბუთით მივეღე.

დირექტორის გარდა, კაბინეტში ორ-
ნი იყვნენ, როგორც შემდეგ ვაირკვა,
ამავე სკოლის მასწავლებლები. ერთს
საფეთქლებზე ჭაღარა ვარეოდა, რაც
მის ისედაც სანდომიანსა და სათნო სა-
ხეს შინა და ლაზათს მატებდა. ეს ვაზ-
ლდით ნიკო ჯაფარიძე, ცნობილი ჰედა-
გოგი, რომელსაც შემდგომ სოციალის-
ტური შრომის გმირის წოდება მიანიჭეს.
ამ ადამიანს ის საოცარი ხიბლი ჰქონდა,
რაც პირველივე შეხედვით მიგიზიდავს
და მის მიმართ სიმპათიით განგაწვობს.
მეორე, სავსებით ახალგაზრდა, ტანმორ-
ჩილი, სუფთად თმაგადაპარსული მოწი-
თური კაცია თურმე ჩემი საყვარელი წი-
ვნის აუტორი დავით დონდუა იყო. ის
გეოგრაფიას ასწავლიდა. უფრო მოვეია-
ნებით დაუუახლოვედი კიდეც ამ კაცს.
„დაუსწრებლად“ მიღებული შთაბეჭდი-
ლება ბავშვისა, რომ იმ წივნის აუტორი
უსათუოდ კეთილი და საყვარელი ადა-
მიანი უნდა ყოფილიყო, სავსებით ვამა-
რთლდა. ომის წლებში, პიონერთა სასა-
ხლეში, ჩემთან ერთად მოღვაწეობდა მი-
სი ცოლი, ქმარსავით დარბაისელი და
საყვარელი ადამიანი, ქალბატონი მავრა
გეგეჭკორი. ქმარი თითქმის ყოველდღე



გამოუვლიდა ხოლმე, და საშუალება
მქონდა ხშირად შევხვედროდი მას.

დირექტორმა გადაათვალიერა ჩემი
საბუთები, თავი დანანებით გადააქნია და
იქვე მსხდომ მასწავლებლებს მიმართა —
«თითქოს შესწივლა თუ მოიბოდიშა, რომ
რკინისებური დისციპლინის გამტარე-
ბელ ქალს, ახლა კანონი უნდა დაერღვია:

„წარმოგიდგენიათ! მე თვითონ ვიყავი
რომ ლარიბი ოჯახიდან არის, ვყოფილ-
ვარ ამით ოჯახში, და სიღარიბის მო-
წმობა კი არ მიუციათ“... მერე განცხა-
ლებაზე რაღაც წააწერა და გამატანა.

მე უკვე სააღმშენებლო ტექნიკუმის
მოსწავლე ვიყავი.

(გაგრძელება იქნება)



მეზარ კვიციანიძე

დედამიწა ერთადერთია

ამდენი ვარსკვლავებიდან მხოლოდ დედამიწამ ისურვა —
უშველბელი, გადამიშვლებული ცისკენ აგვეხედა.
სხვა სიკეთეს თუ ვერ იხსენებ, აღარაფერი დაგახსოვდა,
მარტო ამიტომ უნდა შეიყვარო ეს დაბზრიალებული ბურთი...
ამ ზნეს უნდა ვუმაღლოდეთ, ამან უცვალა გვერდი — გაათენა.
დალაშქვაც ნიჭია დაუღლეად მქროლაის, ზღაპრად გვაქცევს.
რა ქვაბი დაიტევდა, რაც მის ზურგზე საშინელება დულს...
წყლისა და ხმელეთის დანარჩენ ბინადრებზე აღარას ვიტყვი.
უცნაური თვისება გაქვს, ადამის შთამომავალი (შეიძლება,
ესაა, რომ გიცავს) — არ გადარდებს უკვე ამშრალი სისხლი;
არც დახედავ, ვითომ შენთან არც არაფერი აკავშირებდეს.
არ არსებობს ბოროტება, შენს მღვრიე ტვინში არ გაველოს...
სხვაგან არსად, იქ მწიფდება გესლის მწვანე, შხამიანი ნაყოფი.
ამის გამოა, ბევრი დადგომია ამ აზრს — სასტიკს, ამაზრზენს:
ველაზე საზარელი, რაც წარმოიშვა დედამიწაზე — ადამიანია...
უფრთხილდი სატანას, ამოძირკვე შური, სიძულელი; სიკეთე
ჩაინერგე გულში, დილის მადლის შესახვედრად განეშხადე...
ველოს გარუჯული მთის ძირას შუბით განკმირული გველემშაბი.
მშობელმა შენმა, ცად მორიალემ, წყალში რომ გათვიდა,
ერთადერთმა ჩაიხვია ნათლისგან დაფარული მუხის ფესვები,
იწვალა, იბრუნა, ალვის კენწეროზე დასვა ბრიალა მზე...
დახიცულ შუბლზე, საფეთქლებზე დაიხვია ნახის მწვანე რტო.
რა თვალმა დაიწუნოს გვირგვინი, მის ტანზე შემოწნული,
არ აიწონება სიმდიდრე მისი და უღვევი მწუხარება...
გვახსოვდეს, გვიხაროდეს — ვარსკვლავებიდან დედამიწა ერთადერთია,
მგრგვინავი, ღმერთის ზელით მორგვალელებული ცა რომ დაგვანახვა.

ახდრის გამოცხრობი

ჩემი მარჯვენა მუხლი ამინდის შემტყობი უტყუარი ხელსაწყოა,
უცნაური კავშირი აქვს ელვის მრისხანე მბრძანებელ ელასთან;
როგორც კი ტაროსი შეცვლას დააპირებს, ერთი დღით ადრე,
სახსარი საშინელ ტეხვას მიწყებს, ფეხის გადადგმა, მოხრა მიჭირს.
იმავე დანიშნულებისა გახლავთ მარცხენა კოჭიც, ისიც მაშინვე
აუტანლად ამტკივდება, ყოველ დაბიჯებაზე თითქოს ნემსებს მივრიანო,

თვალთვან ნაბერწყლები მცვივა, ბაგეებს ვიჭამ, ადგილზევე ვქავედობ
 მეტი კი არაფერია საგანგებო საკანში გამოსატეხად გაყვანილის წამება.
 ნაწილი ამ სატყივარს მარილებს აბრალებს, ნაწილიც — ძველ რეკმატიზმს.
 ჩემთვის რა შეღავათია, დიაგნოზი ზუსტი იქნება თუ არა. ამასთანავე,
 თავის მიხედვად, მკურნალობა არ მიყვარს, ყველაფერს სახვალიოდ ვღებ.
 ზოგჯერ ფერმიხდილი, გულშელონებული, ბალიშს მივესვენები, დაფიქრდები—
 ღირს კი ასეთ ტანჯვად ჩემი ხანმოკლე, მცირევადაიანი წინასწარმეტყველება?!
 ამავე დროს, რაც სხვებისთვის მოულოდნელი, სასიამოვნო ან უსიამოვნოა,
 მე წინასწარ ვიცი; ამდენად, არც მაკვირვებს, როცა გათენებისას,
 ფანჯარაზე ბურუსია მომდგარი, პირველი მეჩხერი წვეთების წკაპანი ისმის...

ღ ა ღ ლ ა

ძლივს იძვრის აზრი ტვინში,
 ძლივს მოძრაობს სისხლი ძარღვებში,
 ძლივძლივობით ვაღვამ ნაბიჯებს
 ვაღაუხურაჲ, ვაღაუხურებულ ფილაქანზე...
 შეჩვენება, ზანტად უელის შეჩვეულ
 წრეს —
 მოზრიალე, თაემობეზრებულ
 დედამიწა...
 ენატრობ კლდეზე დაშვებული ჭავლის
 სისველეს,

თავს ვისულელვებ, არსად შეგულება
 წასახელელი,
 რა გემოს ჩაეატან ამ უსულგულ
 ლასლასს,
 რა ძალა, რა ენით აუწერელი
 სასწაული იქნება,
 მე რომ სიცოცხლის გაუნელებილი ფინი,
 საწნახლის ღარში მოჩხრიალე მაჭრის
 გამაბრუებელი, ალესილი ხალისი
 დამიბრუნოს.

მეორე კლასი

ცემენტის იატაკზე ახალდაკლულ საკალანდო ღორივით ჩამხობილია
 უსულოდ გაგდებული, თუჯის ხორკლიანი, ვეება აბაზანა.
 გადაბრუნება რომ მოგიხდეს, წელში გაგტეხს, ძერას ვერ უხამ...
 თითქოს ისღა აკლია, ჯვალო გადააფარო, მდულარე დაახსა,
 გადგუნო და მერე, ორთქლდადენილს, ჯაგარი გააცალო,
 ააჩარიქო, აქნა, გარუჯო, ნაწილი ხვარხვალა კვამში ჩაყარო,
 ნაწილს ზერიში მარილი მოაყარო, ძველ კასრში ჩატკებნო...
 მაინც რა უბედურია ადამიანი, ყველაფერი საქმელს აგონებს.

გ ა ვ რ ი ს ი ლ ე ბ ა

ღამის დაცვარულ ფსკერზე მოარულებო,
 ვის თვალებსაც სიკვდილის რული
 ჯერ არ მიკარებია,
 რას რიალებთ ასე ტვინარეულად?!
 მინდა გაგაჩეროთ და ვითხროთ:
 რასაც თქვენ სიცოცხლეს ეძახით,
 ირიალად გადაჭრილი ტყვიის მილია
 და ვერც იგებთ, ისე მალე თავდება...
 5. „მნათობი“ № 11-12.

მარტო დარკილულ, მორკალულ ხარკეში
 კი არ ერკინებიან ერთმანეთს
 ათასჯერ ისარნაკრავი კაცი და
 მოვერცხლილ ფსკერზე დაჯრული,
 კრიალა ორული...
 ყველგან, საითაც კი გაიხედავთ,
 ნათლისა და ბნელის გამაბნაკრავი,
 დაუსრულებელი ჭიდილია.

ლაქუელი ზიპრი ნაჲს საგზობლოჲა

იმის კი მწადლა გაკება,
შენს თვალში როგორ ვნანდი,
ინოფეხებზე შემდგარი,
მოგდევდა ჩემი ლანდი.

ტკივილი, მტკავლით ავზომე
შენი განი და კიდე,
დაცვით თუ ვერ დაგიცავი,
ზედ მკერდზე დაგეცვიოე.

სულმოუთქმელი

ხტრიქონს ვკედაუ, მოვარვარე
რკინას უნაჩქუნებ უროს,
ვაჰმე, დღე არ გამოითენდა,
ლექსის მადლი მომეწყუროს.

წვეტებას და ჯაჯგურს ჩემსას
ჯობდა კბილით ქვის დატკვერა.

მფოქაჲ გულში ჩასაცემელ
მახვილს ვეგებები აქვე,
ფოველ მოქნევაზე ვუშვერ,
ჩემი მკერდით დავაბლაგვე.

არ მეშვება მძინარს, ფზიზელს,
შუბლით ვეხეთქები კედელს...
ვონი, ცეცხლში ახელილი,
წამითაც ვერ ვადავკებე.

ამბაუია საკვირველი —
გრდემლზე თავად ვდებ და ვკვერაჲ.

ნახშირდაკრულ სპილენძით,
სახე აღში აილანძა,
ჩემს დასაწვავს, დასაბუგავს,
ჩემი ხელით ვანთებ ზანძარს.

შკრაჲს ელისო ბოლქვაჲა

ღვთიურ ბგერების მდინარე თეთრი
მიედინება და ადგილზეა...
ბნელში მომწყვდეულ ხანოტო ნიშნებს

აღოცხლებს მხოლოდ მისი თითები,
მისი თვალები და ნესტოები...
ის სურნელი ედება დარბაზს.

შარდჲს ნათელი მოჲაჲლა

მზე შემოადგა უბნებად
გაშლილ-გაბნეულ თბილისს,
ძალა არ მოიძებნება,

დამკავებელი დილის,
ბალახზე მძივი ასხმულა
ცვარ-ნამის, დალოცვილის.

ცას აუხედე, არსად იყავ,
მოვარეჲ, ვერცხლის ზოდო,
ისეჲ შუალამის მოხვლას
უნდე დაველოდო.

ვერ ძლებს გული, შენი თუ არ
დაინახა ვარციო,
არ შევხედე სხივებს შენსას,
ვრილ ჰაერში გაცრილს.

უფხოოდ დარჩენილჲი

რამდენია, ვიცი, ნატრობს,
ცისთვის მაქქერინაო,
დავეგდები, ხულ არ მინდა
ქონება და ბინაო.

მახედ მექცეს თუნდ ის წამი,
ერთხელ შემახედაო,
შვება მომცეს, ამიშვებდეს
ძიწა — ჩემი დედაო.



მეც ხომ შემოდგომა ვითხრათ —
მიყვარს ყურება ცისო,
ღრუბლიანის, უღრუბლოსი,
ხან — მუქის, ხან — ბაციისო,
უძიროსი, კაცთაგან
საწვდომ-მისაბაძისო.

მეტეც — ფეხით მომივლი
ოზურგეთი, მერიია...
წელიწადებს დაიტყვდა,
ცისთვის რაც მიტყერიია.

ავტობუსი ვეჰის აჟუჰა

თუ ვინდა, რომ აღსდგე მკედრეთით,
ნაცარო და ნავლო,
საფეთქლები ხილის ზღვაში
უნდა ამოავლო.

დაიოკე შეყვირება,
აღმართხ უნდა შეყვე.

დავალვრიან შვიფობას —
ატამი და ლეღვი.

მსხალსაც, მწვანედ ჩაკიდულს,
კანი განეთლება,
ერთადერთი, საჭეოა,
შენი განედლება.

შანჯრიდან დანახული

შავკანჭება, დაგვალული
ქალი ქუჩას გვის...
მჭკნარი ფოთლები და ჭუჭყი
და კედელი ქვის.

ველაფერი უკვე ჩანახს
ანუ სიზმარს გავს,
ვირჩენია, იმ კედელზე
რომ ახლიდე თავს.

გადაღმა სანლის სანუარაჰი

შორით მატარებელი ჩანს,
მიმავალი კახეთს,
ანტენაზე კაჭკაჭები
ჭახჭახებენ მჭახედ,
თავს იფრიან საღამო ხანს,
თქვენი თვალით ნახეთ.

ორი მალლა კონწიალობს,
ორიც დაბლა დადის,
ველარე მითქვამს, ისე მინდა
მოფერება მათი,
რადაცაზე სწუხან, ვატყობ
გულისწყრომას, ქადილს.

უინაჰრია

(ცოცხალი მიცვალებული)

მესიზმრა: ვუთხარ კაცს მის თავზე —
წუხელ მომკვდარა
და მივაჩერდი მის სახეზე
წუხილს და ვარამს...
— აბა, აბაო! — თავს იქნედა,
ცრემლებიც ღვარა.
შემკრთალს, ცოცხალ-მკვდარს,
თვით ვუთხარი შე სამძიმარი,

წუგეში ვეცი და დავტოვე
ბოლოს მღიშარი.
და მიკვირს ახლა,
როგორ შეეძელ გაბეღვა ამის;
გამოღვიძებულს, იმ ცრემლების
გამომეფა ნამი.

ერთი ნაბრუნის კანაშვილზე

ეროვნული
ბიბლიოთეკა

უმანკოსა და მანკიერს,
გულს ეძალეზა შხამი,
ანკარა, მან კი არა და,
შე ვერ ვიცანი ლამის.

ვთქვი, გვირგვინები ამ საწყალს
ნეტა ვინ შემოუწყო...
პირმოკუმული დამიხვდა,
როგორც სრულიად უცხო.

უძრავად იწვა, ქათქათა
ფარდებს არ ძრავდა ქარი;
აღბათ ვერ მიხვდა, კარგა ხნის
შეც რომ ვიყავი მკვდარი.

ცივს, ხულგაცხებულს, სიცოცხლის
არა ეცხო-რა იმას;

ხელი არ აუწვევია,
იწვა, არც გამიღიმა.

ნახა ჭირი და ვარამი,
რალას გაჭრიდა წკვარამს,
არ ნანდა თვალის გამხელი,
არც ფეხზე წამომდგარა.

ის სულ არ იყო მთავარი,
შე რომ არ გამიცინა; —
კერამოსილს და უპოვარს,
ბოლოს ეღირსა ბინა.

გვერდით ღრეობდნენ, აღრეულს,
თავში რალა არ მომდის,
არავინ მიცვლის ამ სასჯელს —
ვიტანჯო სუ ბოლომდის.

306 უნდა

(ვარიანტი)

სიმწრით ფრნხილების კენტა,
გულისხეიქვა და ბნედა,
ვის უნდა შენი ლექსი,
არ მაგიყებდე ნეტა.
ვის უნდა შენი ლექსი,
სურდოს ვინ გაცვლის ტლექში...
ვის უფიცები სინდისს,
ვის ნაფეხურებს კოცნი,
მასხრად გიგდებენ უკვე.

ხელმოცარულს და მოცილილს.
მიუჯექ სადილს, ვახშამს,
ბრიყვო, ჭკვიანებს ბაძე;
სანამ გეტყვიან: აქმა!
სანამ გეტყვიან: აცე!
ეს გელოდება ნაღდად,
ან ამის უარესი;
ვერ ნახავ ქაბას, ბაღდადს,
ვის უნდა შენი ლექსი.

ბაბური მხლის ხეზე

სხედან ტოტებზე კენტად და წყვილად,
მათში, უთვალავ ბგერების ხლართვით,
ენა ვერ აღწერს, ზაფხულის დილას
რა დაჟინებით მოუხმობს ჩხართვი.

წლებგალეულო, აღხდექ, იაღე,
ერგოლა ედება ველ-მინდორს ცვრიანს,
ყურში გუბდება წრიპინ-წკრიალი,
პანგებს, გაწელილს, თაფლივით ღვრიან.

იგრძნობს ფრთოსანთა გული და ყელი
სხივს უკვდავს, წითლად გაჭიმულ იხარს,
ხმას კმენდს მამალი, ნუმდება ღვეღე,
მოისმის მხოლოდ გუგუნის მზისა.

ციოთ მოვლენილებს, უხმობთ ზეცავე,
ლაკვარდს რომ აპობს, მათი მხრებია,
ფრთებს, მოშრიალეს, შლიან, კეცავენ
და ვარსკვლავებთან ერთად ქრებიან.

მთავის უბანი

თხმელა და შქერი, გვიმრა რამდენი...
დაღარულს არა ერთგან და ორგან,
შაჟად დაშვებულს, ჩანჩქერდადენილს,
კლდეებში ნაკეთს, შევეწურებ ორღანს.

მოწმეა დიდი ქვები, დედეცა
(შეველ ხეობის ყელში, ღიაში),

აქ თვითმფრინავი მთებს შეეღეწა,
ვხედავ ნამსხვრევებს ფუზელიაფის.

კრთება ფოთლებში ცა შესაშური,
იშორებს ღრუბელს მზე პირნაბანი,
ვეერში ხვლიკების ისმის შმაშური,
წყალზე ბაყაყებს გააქვთ ტყაპანი.

ღელის სათავესთან

(ჩანჩქერი — ღილა)

მთაში შაჟად ასვეტილი,
თუალწინ მიდგას პიტალო ქვა,
გადმოკიდულ ჩანჩქერისგან
მიხი დგანდგარი და ლოკვა.

მარგალიტი კენტად, წვეილად,
რის სასახლე, რისი ვილა,
ალარაფერს ვისურუებდი,
მის ჩქერებში გამაგრილა,
ამ გულს, ნატკენს, ის აღადგენს,
მშველელია ჩემი დილა.

ყაშიერი სინარული

გარდაცვლილი მეზობლის
დაქანგებულ ჭიშკართან
(გულს ეამა) ჩამოჯდა
შაშვი ვეითელნისკარტა.

ველზე, მკერდზე ევლებოდა
ზაფხულის მზე ჩახჩახა,

ერუანტელმა დამიარა,
ისე დაიჭახჭახა.

ამორქვეფდა თითქოს წყარო,
გველესშაპის ნახვრები...
წუთით მაინც დააფეთა —
თხუნელები, მახრები.

●
იცილება, იცილება
ერთი მეორეთი,
მიკვირს, მიწას ტრიალში
არ ესხმება რეტი,

აღარ ხმება ეს ხმები,
სუნთქვის გადამკეტი,
მიკვირს, ლაფვარდს, ოქროსი,
ისევე ქარგავს მკედი.

სალამო სოფლად

მზე ჩადის და ვისმენ ჩხართვის
გალობათა ვლერას,
ურ ვიჯერებ — ველში ეროსს
რომ არ ჩაებეროს.

ფეთქავს ბუმბულწამოშლილი
სისხლის მოწოლაზე,
მარტო, გამორჩეულად ზის
სახლის კოწოლაზე.

უეღაჟეჟულჳე

ერქონული
ზიზლირთქეჟე

ცეცინათელა რო დაფრენს,
იმასაც თავის გზა აქვს,
მისდევს მიხვეულ-მოხვეულს,
ნათელი კედით დააქვს.

სიმშვიდეს დანატრებული,
შარას მივევები მტერიანს,

დაურნი სამარის ამარა,

მე ასე რამ ამრია?!

ვინც ამ ჯოჯობეთს გაუძლებს,

სხვა კაცი, სხვა მამრია.

ასხმულ ნაყოფს ვერ ვისხამ,
თითქოს ხე ვარ მეწლე,
ასეც უნდა მომხდარიყო,

მე ვილევი, მზე — ძლებს,
წლებს ვინ აუთავდება —
წელში გადამკეცლებს.

დაეკვირვებივარ, მაკვირვებს —
ასე რად ხდება ზშირად,
თავს რად იყრიან ღრუბლები

ქალაქის განაპირად,
რომელი უხმობთ ტაძარო
ან რა სიმძიმე ძირავო.

ღანრდილული ბალი გადავჳერი

მობრიალე ზაფხულისა
მეც ვიცეო წესი,
მეუბნება თეთრი თუთა,
მიწას დანავლესი.

ბრუნავს მიწა, იბრუნებს
წვეს, მისგანვე ნაწოვს,
თუთას, ტკბილით გაზეპილს,
რა ვქნა, რით მიებაძო...

ვივი

არ მწადს ედემ-სამოთხე,
არც მექა და მეღინა,
კაპოთუ, ჩამოქროლილმა,
ძილი შემაწყვეტინა.

აცის, სამტროდ მოსულმა,
სუსტი რომ ვარ მასალა;

დასრულება სიზმრისა,
კაპოთუ, არ დამაცალა.

გამეყრება სამყარო,
განუწყვეტლად მეღინი;
რა ხანია, გამოჩნდა
ჩემი ვზაჯუარედინი.

ორ ცუხსლჳა

გული დაფლითეს სიზმრებმა,
დამღალა სინამდვილემაც,
როგორც თავდება აგვისტო,
ცხოვრებაც ისე ილევა,

მაფეთებს წლების მოწოლა,
არ ვიცი, რის მოწილე ვარ,
სული წუზილმა დაღამა,
აღარ თავდება დილემა.

ცოდჳა ვარ — ვერ ვასწრებ

არ ვარ ურჩი, შენ მირჩიე,
გავარდნილი დროის ეტლო,
ნიგეზის თეთრი ღუბანივით,
ტვინი როგორ გავანედლო.

დავიმადლებ, მზერასა და
ძარღვებს ახლად თუ ჩამოქნი;
ღმერთი, რჯული, არ გიგანებ,
არ გვეონო სხვანი, ზოგნი.

ყველა გზა რომში მიდის

პროტროგა

ყველა გზა რომში მიდის, ვისაც ვინ-
დაც, ჰკითხეთ, კეტყვიან — ეს ძველი
ლათინური სიბრძნეა. ოღონდაც, ცო-
ტა არ იყოს, გაუგებარია, თუ, კერძოდ,
სად იმალება ამ პატარა ფრაზაში სი-
ბრძნე. როგორ თუ რომში? თუკი ვი-
წოდებთ დადებითი, რომელზეც
ბებერი ხელჯობიანი მათხოვარი ძლი-
ვას მიჩაჩუნებს, მაინცდამაინც რომში
მიდის, მაშინ რაღას ნიშნავს რომი?
ცხადია, არც თანამედროვე იტალიის
დედაქალაქს, სითბო-კომფორტით ასე
რომ არ ჰგავს ათას ცხრაას ოთხმოც-
დათოთხმეტი წლის თბილისს-მით
უმეტეს, ამ ყინვიან და მშვიერ დეკემ-
ბერში — და არც ლათინთა იმპერიის
სწორუპოვარ მებრძოლიას, დიდი
ხნის წინ რომ გადაეგო ისტორიის და-
საღიერზე.

მათხოვარს სწორედ ამ რამდენიმე
დღის წინ შეუსრულდა ოთხმოცდა-
ათოთხმეტი წელი, მაგრამ არ ვახსენე-
ბია ეს ამბავი. ხნირ ხალხს იშვიათად
ახსოვთ საკუთარი დაბადების დღეები,
მით უფრო, თუ სამოწყვლოდ გაუხე-
დათ საქმე განგებამ, ეგ კი არა, მეტ-
წილად თავისი სახელიც ავიწყდებათ
ხოლმე, მაგრამ ამ მოხუცს ჩინებულად
ახსოვდა, რომ სულხანი ერქვა და სა-
ერთოდაც მენსიერებას არ უჩიოდა.

ბატონ სულხანს შიოდა და საქ-
ველმოქმედო სასაღილოსკენ მიეშურე-
ბოდა რაც შეეძლო სწრაფი ნაღიოთ-
იქ ცხელი კერძი ელოდა, რომელსაც
მხოლოდ აღრიცხვაზე აყვანილ, უსა-
სოლო მოხუცებს აჭმევენ და არა ყვე-
ლა ვივინდარას. ამიტომაც იყო, რომ
როდესაც გზა ბოლო-ბოლო გაიღია და
სულხანი ცივ დარბაზში შევიდა, ერთ-
ბაშად მრავალი ეჭვიანი მზერა შეეგე-
ბა, აქაო და უცხომ ხომ არავინ გაბედა
ჩვენს სასაღილოში მოსვლაო. იცნეს,
უფრო ზუსტად, იცნეს კი არა, იგრძნ-
ეს გლაზაკებმა, აქაური რომ იყო
ახლადმოსული, ავად დაღვრემილი მი-
უბრუნდნენ თავთავიანთ ჯამებს, განა-
გრძეს სამადლო წვნიანის ხერეკა ხე-
ლისკანკალით.

ბატონი სულხანი იმ მაგიდასთან
მოთავსდა, სადაც ერთი მისი კბილა
სათვალისანი, დიდთავა, მელოტი ბერი-
კაცი იჯდა და პირწმინდად ამოსუფ-
თავებული ჯამის ფსკერზე უაზროდ
განაგრძობდა კოვზის ფბაჭუნს. თაღა-
პირველად სულხანს ყურადღება არ
მიუქცევია მეზობლისათვის, მაგრამ
ორიოდ ლუკმის შემდეგ უტაბედად მის
სახეს ჰკიდა თვალი და... იცნო.

— კაცო, შენ ის არა ხარ, რა ქვია
იმას?

ხათვალთანა ვერ გაიგონა მიმართვა ისევ თავის ჯამში იცქირებოდა და ბებრულად ცოხნიდა.

— შენ გუბნები, მოქალაქე, მომხედუე აქეთ! — ხმას აუწია სულხანმა.

მელოტმა, როგორც იქნა, თავი აიღო და უშეტყველო მხერით გამოხედ მოსაუბრეს.

— მიცანი თუ ვერა... შენც აქ ყოფილხარ?! ჰა? ხო ხარ აქ? გეკითხები შე შენ! როგორია? ხო კაია! ახლა რაღას იტყვი?!

დიდთავამ ვერაფერი გაიგო, სკლეროზით გამოფიტულ მის გონებაში ვერ აღწევდნენ ეს ნიშნისმოგებიანი აგრესიით დასმული შეკითხვები, მაგრამ ბრახმორფული სულხანი თავისას განაგრძობდა.

— ახლა მაინც თუ მიხედი, შე უბედურო, ვინ ყოფილა მაშინ ჩვენ ორს შორის მართალი? თუ მაინც ვერაფერს მიხედი, შე პირშეო... რომ მეუბნებოდი, შენი და შენისთანების ბრალია ყველაფერი, ახლა ხომ მაინც გაიგე, ჩემი კი არა, შენი ბრალი რომაა ყველაფერი, შე არაკაცო... შე ნამირადა... შე ნამუსგარეცხილო...

ბებრულმა სიანწლემ აათრთოლა სულხანი, მთელი არსებით სთხოვდა პასუხს მტერს, მაგრამ მტერი ვერაფერს მიმხედარიყო, რადგან წლებს პირწმინდად წაუშალა კაცი, შიმშილისა და სიმაძღრის აღქმალა დარჩენილიყო მხოლოდ.

სულხანმა აცახცახებული ხელით ახწია წვინანით ხავეს ჯამი და ხანამ სახადილოს მომსახურე ქალი ინცინდენტში ჩარევას მოასწრებდა, ჭარხლისა თუ ტომატის წითელი ნახარში დიდთავას სახეში შეასხა. მერე ადგა, ხელჯონი მოიმარჯვა და ამყად, გამარჯვებული სახით გაცეცალა იქაურობას.

ხათნოების სახლის საქველმოქმედო სასადილოში მყოფ უპოვარ მოხუცთაგან ზომა სულაც ვერ შენიშნა ორ გლახაკს. შორის მომხდარი უსიამოვნე-

ბა, ხოლო ვინც შენიშნა, ვერც იჩიოდა ვაუვეს თავი და ბოლო ამ ამბავს.

ჭამა განაგრძეს...

2.

ჩილეს პრეზიდენტი სალვადორე ალიენდე გენერალმა პინოჩეტმა დაამხო და მოკლა. ცხრა მთას იქით მომხდარმა ამბავმა ბატონ ვალერიანს გუნება მოუშხამა. პროპაგანდამ ამ კერძო შეთხვევაში მიზანს სრულად მიაღწია ტელევიზიამ, გაზეთებმა, რადიომ ისეთი ვნისი ატეხეს, რომ თითოეულ საბჭოთა მოქალაქეს უნდა ეფიქრა, ქვეყანა დაიქცაო. ბატონ ვალერიანს, მართალია, არ უფიქრია, ჩილეში ხუნტის გამარჯვებით ქვეყანა დაიქცაო, არც ის უფიქრია, სოციალისტი პრეზიდენტის მარცხით მსოფლიო პროლეტარული რევოლუციის საქმე ჩაფლავდებაო, მაგრამ ნერვები კი გვარიანად აუშალა და ასე ბრახიანი წავიდა სამსახურში.

საერთოდ, ბატონი ვალერიანი კლდე კაცი იყო, მედგარი, მტკიცე, ყველა ცუდბედობის გულმხნედ გადამტანი. სამოცდათხუთმეტი წლისა მარტო-მარტო დარჩა ამ ქვეყნად: ვერ ორმოცი წლის უცოლშვილო ვაჟი გამოსტაცა ხელიდან უღმობელმა ინფარქტმა, მერე ფსიქიატრიულში სამუდამოდ მიბარებული, დაბადებითგან სულით ავადმყოფი ახულიც მოუკვდა, ბოლოს ბედმალაშე მისი მეუღლეც გადაჰყვა შეილები და რდს. დარჩა კაცი მარტო — სამსახურისა და სოცურუნველყოფის სამინისტროს ანაბრად. ვერ გატეხა უბედურებამ, ოღონდ ვე იყო — ისედაც უჭურ-უჭუმები, სიბერემ ხელმთლად გაახეშეშა. თანამშრომლებს ებრალებოდათ ეული მოხუცი, მაგრამ არც ისე ძალიან, რადგან არ უყვარდათ, მერალ კაცად, ინტრიგანად, ძველი ჩამოსხმის ჩათლახად იცნობდნენ. მართლაც, ვალერიანი, რომელიც ერთ დიდ სახელმწიფო უწყებაში რიგით



მუშაკად მსახურობდა, რატომღაც თავის მოქალაქეობრივ ვალად მიიჩნევდა თვალყური ედევნებინა კოლეგათა დისციპლინისა და საქციელისათვის. ყველაზე ადრე მიდიოდა სამუშაოზე, კარში დგებოდა და დაგვიანებულ თანამშრომლებს გამარჯობას საათზე დახედვით ეუბნებოდა, აქაო და ამდენი წუთით გვიან გამოცხადებულხართ სამსახურშიო. არავინ ავალებდა, მაგრამ მაინც ხშირად შედიოდა უფროსთან და წერილად უკაკლავდა ვინ რა დაშავა, ვინ როგორ იუსაქმურა, ვინ ვის რა უთხრა. ხელმძღვანელსაც რა ენაღვლებოდა, კაი კაცი კი იყო, მაგრამ ასეთ ინფორმაციებს ხელიდან როგორ გაუშვებდა, საქმისთვის რატომ არ გამოიყენებდა? ანეკდოტად დღდიოდა ერთი შემთხვევა: ვალერიანის განყოფილებაში ლოთ-ბაზარა გვიც მუშაობდა, დაიბარა უფროსმა და უსაყვედურა: შენაო, გვიციო, სამსახურში მთვრალი ხარ ხშირადო. აჰ, არა ბატონო, იუარა გვიემ, ვინ თქვა ეგო. ინტუიცია მეუბნებო, მიუგო უფროსმა. ინტუიცია კი არა, მასეთებს ვალერიანი გეუბნებოთ, ეიცოო... თანამშრომლებში აგრეთვე ყბადაღებული იყო დამახასიათებელი გამოთქმა, რომელსაც, ვინმე და რამე რომ არ მოეწონებოდა, იმაზე იტყოდა ხოლმე ვალერიანი: „დასახვრეტი უნდა დაიხვრიტოსო“. მყისვე წარსულის აბუდითი ექო აგუგუნდებოდა ბერიკაცის ამ სიტყვებში.

მოკლედ, აი ასეთი კაცი მიდიოდა სამსახურში იმ დილას, როდესაც მსოფლიომ გენერალ პინოჩეტის მიერ პრეზიდენტ ალიენდეს მოკვლის ამბავი შეიტყო.

3.

ეს იყო დრო, როცა თბილისის ცენტრალურ მოედანს, ახლა თავისუფლებისად წოდებულს, ლენინის სახელი ერქვა. მოკავშირე რესპუბლიკის დედაქალაქს, როგორც სხვა ყოველივეს მა-

შინდელ სოციალისტურ ქვეყნებში, კქონდა საჩვენებელი, ფასადური, მტრის თვალის დასაბრმავებელი თუ საკუთარი თავის მოსატყუებელი ზიზილ-პიპილოები, რომელთა მიღმაც უამრავი საშინელება იჩქმალებოდა. ამგვარი ნიღბების როლს, პირველ რიგში, დიდი ქალაქების მთავარი ქუჩები და მოედნები ასრულებდნენ, არც ლენინის მოედანი იყო გამონაკლისი. აქ შეძლებისდაგვარად სანიმუშო წესრიგი ხუფევდა, ყოველივეს ზიმიშიმი გაქქონდა. ბელადის ძეგლს გაფორჩქნული ყვაველნარი შემორტყომოდა ირგვლივ, ასფალტს მეგზოვეები საგულდაგულოდ ჰგვიდნენ, მიწისქვეშა გადასასვლელები ნეონის ლამპრებს გაეჩახჩახებინა, ავტომანქანათა მოძრაობასა და ფეხოსანთა საქციელს რამდენიმე მილიციელი მეთვალყურეობდა.

ყოველსავე ცუდსა და ამარხენზე, რაიც პროპაგანდისტული ფასადის მიღმა არსებობდა, საზოგადო ლაპარაკი აკრძალული იყო. თვით ოფიციალური მხოლოდ იმდენს იტყოდა ამა თუ იმ სისაძგლეზე, რამდენსაც საჭიროდ მიიჩნევდა. თანაც ყოვლად დამპალსა და საყოველთაოდ გავრცელებულ ჩირქს მორიდებულად უწოდებდნენ „ცალკეულ კერძო შემთხვევებს, აქა იქ რომ ჯერ კიდევ შემორჩენიან ყოფასო“. ბოლოს კი ნებისმიერი პრობლემის განსჯას — ამგვარად შელაპაჯებულსაც კი — უცილობლად აბიარებოდა მტკიცება, რომ „ამგვარ მოვლენებს, ისედაც კანტი-კუნტს, პარტიის და მთავრობის განუხრელი ზრუნვის წყალობით სულ მალე ბოლო მოელებათო“. ეს ფრთხილი მიეთ-მოეთიცი მხოლოდ მაშინდა თუ ატყდებოდა, როცა სიბილწის მიჩქმალვა არაფრის დიდებით აღარ ხერხდებოდა. სწორედ ასე იყო, როცა ოცი წელი მალეს ახალგაზრდათა მთელი თაობების განარკომანება და რომ ვეღარ დამალეს, მერედა აკაკანდნენ მიკიბ-მოკიბვით. ასევე — საყოველთაო კორუფცია და მაქინატორობა — ხაბჭოთა ეკონომიკის ეს ძირითა-

დი, ღვიძლი ნიშან-თვისებანი წარსულის გადმონაშთ მანკიერებად და თითქოს ციდან ჩამოვარდნილ ნეგატიურ მოვლენებად შერაცხეს, აქაო, და, თუ კერძო რამ ნეგატიურია ზოგადი, თავისთავად, პოზიტიური ვახლავთო. სხვა შემთხვევებში, როცა პრობლემა არც მწვავე იყო და არც ძლიერ საშიში ხელისუფლებისათვის, მას აკრძალულ თემათა სიაში ჩასწერდნენ და ქვეყანას პირში წყალს ჩაუვსებდნენ. წლების მანძილზე ვითომც არ არსებულა საბჭოეთში პროსტიტუცია, არც ხოვრობდნენ ბოშები, არ იტანჯ-იხოცებოდნენ პოლიტიკური პატიმრები, არ ასხივებდა რადიაცია. იგივე ბედი ხვდა მათხოვრობასაც — იფენენ და არ იყენენ რა გლახაკები, ხელგაშვერილნი უპოვარნი, უსახლკარონი, უსასიონი... არა! არ ჰყავდა სესერეკას მათხოვრები...

თუმცაღა თითქოს და მართლაც — ლენინის მოედანზე, სადაც სამსახურისკენ მიმავალი ბატონი ვალერიანი ახალი გაზეთების საყიდლად წამით შეყოვნდა, მათხოვარი სწორედ რომ მეტად უჩვეულო, ღამის არ არსებული რამ იყო იმ დროს.

4.

რაც არ უნდა ეთქვა ოფიცინოს, ღვთის გლახა კლიშკა მაინც ნამდვილად არსებობდა. სახელი უბედურს მშობლებმა კლიმენტ ვოროშილოვის პატივსაცემად დაარქვეს, მერე კი ისე მალაღ დაიხოცნენ, შეიღს საკუთარ სახეთა ხსოვნაც კი არ დაუტოვეს. არა გაჩნდა კლიშკას — არც სახლ-კარი, არც აღზრდით შექმნილი კეთილი რამ ჩვევა, არც საკუთარი ეროვნების, წარმომავლობის და ენაობის ცოდნა, მოკლედ, არაფერი სახელის გარდა. არც არაფერი სჭირდებოდა ნატეხი პურისა და ჭიქა არყის მეტი. ღოთი იყო და დაბადებიდან ზეიბარი, თავს მათხოვრობით ირჩენდა.

ვერაინი იტყვის, რა უმამაა მკაცრად ყვეტინა იმ დღეს კლიშკას ლენინის მოედანზე დაჯდომა. პუშკინის სკვერთან, მიწისქვეშა გადასასვლელის კიბეზე მოკალათდა, დაიღო წინ ზინზილიანი კეპკა, გაიშვირა გამხმარი ფეხი. ზოლიანი წინდა ჩამოჰხეოდა დიდფრჩხილა ცერზე. მიაფრდნო გრანიტის კედელს თავი და მიაშტერდა სივრცის ერთ წერტილს საწყალობლად. ოდნე გახსნილი ქუთუთოებიდან საოცრად კამკამა ღურჯი თვალები მოუჩანდა. წამწამებზე მოვრძო წირბლს ჩამოედრჩო თავი.

მაჟანმა გაიღო მოწყალება, მაჟანმა — არა.

5.

სწორედ მაშინ, როდესაც აღიენდეს ამბით თუ, საერთოდ, ცხოვრებით ვაჟებულმა ბატონმა ვალერიანმა ლენინის მოედანზე ნაყიდი ახალი გაზეთები იდაყვეკვემ ამოიღო და უმცრად ღვთის გლახა კლიშკა' დაღანდა, იქვე ბატონმა სულხანმაც ჩამოიარა. იგი აღექსანდრეს ბაღში ჰენსიონერთა თავშესაყარ ადგილას აპირებდა მისვლას ტოლ-ნაცნობებთან ფეხბურთისა და საერთაშორისო პოლიტიკის შესახებ სასაუბროდ.

ბატონი სულხანი ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი იყო, უიმედო ბერბიჭა, მარტოსული, უშვილძირო და დამკვინარი. ბოლო ხანს სკოლაშიც აღარ ასწავლიდა, რადგან, როგორც მაშინ იტყოდნენ, დამსახურებულ პენსიაზე გასულიყო და მეტწილ დროს ღექსების კითხვაში ატარებდა. შინ მსოფლიო პოეზიის საუცხოო გამოცემათა კოლექცია ჰქონდა, ქართველ, რუს და ფრანგ პოეტებს ორიგინალში კითხულობდა, დანარჩენებს — თარგმანში. ჩუმრუმად, გამოქვეყნების პრეტენზიის გარეშე ფუნდამენტური ზასიათის ნაშრომსაც წერდა სამყაროს მეტაფორული აღქმის თავისე-

ბურებების შესახებ. აგრეთვე ძლიერ უყვარდა შხიან ამინდში სკამძელზე ჯდომა და თავისი თაობის დარბაისელ კაცებთან ამ მოთისა და იმ ბარისაზე ენის მოფხანა.

ახლაც ამ მიზნით მიდიოდა ადექ-სანდრეს ბაღისკენ ლენინის მოედნის გველით.

6.

კლიშკას დანახვაზე ბატონ ვალერიანს ცეცხლი წაეკადა გულზე, დიდი, მულოტი თავი ერთიანად წამოუწითლდა, სათვალეებიდან უღმობელი ელვა გამოერთა.

დაადგა თავზე მათხოვარს და უთხრა:

— არა გრცხვენია, ბიჭო!
კლიშკამ გაოცებით ამოხედა თავისი ცისფერი, კამკამა თვალებით.

— არა ვინდა, ბიძაჩემო!

— რას ქეია, რა მინდა! ჯან-ღონით სახეე კაცო ხარ, საღსალამითი ახალგაზრდა. იმის მავიერად, შრომობდე და საზოგადოებისათვის სარგებლოა მოგქონდეს, დამჯდარხარ აქ. ვაგიშვერია ხელი სასირცხოლ და თავს გეჭკრი.

— მე თქვენ თავს არ გჭკრიოთ, — ზრდილად შეეხიტვეა კლიშკა.

— სიტყვასაც რომ მიბრუნებს ეს უზრდელი, — აღშფოთებულმა ვალერიანმა ხელჯობი დირიჟორის მანერით აიქნია, — სწორედაც თავს გეჭკრი, ავს! მთელს საზოგადოებას სჭკრი ავს, სა-ზო-გა-დო-ე-ბას! — ამ სიტყვას განსაკუთრებული რიხით წარმოსთქვაამდა.

— ძია, თავი დამანებე რა, — სთხოვა კლიშკამ და ქედში ჩაყრილი ხურდა ფულის თელას შეუდგა.

ასეთმა იგნორირებამ ვალერიანი ერთიორად გააცოფა. მისი ხელჯობი დირიჟორისას აღარ ჰგავდა, ელვარებით თანდათან სააკაძის ხმაღს ემსგავსებოდა.

— აბა! ახლავე ადექი, მე შენ გელაპარაკები! ახლავე ადექი და წადი აქე-

დან! ამ ადგილის მეტი სხვაფერისა? სამათხოვროდ?! მთელი ქვეყნის დასანახად გვარცხვენ! ადექი-მეთქი, თორემ წეში ხელით გაგიტეხავ მაგ თავს.

კლიშკამ ისევე ამოხედა მოხუცს. ერთხელაც ამოაშუქა სიცისფრემ. მუდარა და უმწეობა ენთო თვალებში მათხოვარს.

ირგვლივ ცნობისმოყვარე მომცრო გუნდმა შეიყარა თავი. იდგნენ სეირს დანატრებულები და ნაირ-ნაირ კომენტარს უკეთებდნენ გლახაკისა და ბერიკაცის პაექრობას.

7.

ბატონმა სულხანმა ველარ მოითმინა და საკმაოდ თავაზიანად ჩაერთა საქმეში.

— რას ერჩი, შე კაი ადამიანო, ამ საბრალოს, — უთხრა მან ბატონ ვალერიანს, — თავისი გაჭირვება არ ეყოფა მაგ საცოდავს თუ რა? მიეცი მოწყალეობა, თუ გემეტება, და გაიარე შენი გზით, თუ არ გემეტება და ძალით ხომ არაფერს გართმევს.

ვალერიანმა ელდანაკრავივით მყის თავი ანება მათხოვარს, ახალმომხველურს მოუტრიალდა და ახლა მას დაეტკავა:

— შემეტება, თუ არ შემეტება, ეს არავის საქმე არ არის! ამ გარეწარს კიდევ სხვისი დაცვა სჭირდება! შენისთანა ვექილებმის ბრალია, მუქთათორება რომ მოგვიმრავლდნენ ქვეყანაში.

მართალია, „გარეწარი“ და „მუქთათორები“ პირადად კლიშკას შესახებ ითქვა, მაგრამ „შენისთანა ვექილები“ და საერთოდ, ვალერიანის აგრესიული ინტონაცია ამკარად შეიცავდა ღანძღვავინების მოტივს.

სულხანმა თავი შეურაცხყოფილად იგრძნო:

— მე უსაქმური არა ვარ! — იყვირა გულმოსულმა, — მე თრმოვლდათი წელია ხალხს ვემსახურები.

— მაინც რას ემსახურები? — გამომწვევად შეუბრუნა ვალერიანმა.

— რას ვემსახურები და იმას ვემსახურები, რომ ბავშვები შენისთანა გულქვა ჯალათებად არ გაიზარდონ!

— ვის უბედავ შენ! — იღრიალა ვალერიანმა, — ორმოცდაათი წლის წინ შემხვედროდი და მიიღებდი მაშინ, რისი ღირსიც ხარ!

— კი, ვიცი, ვიცი! გეტყობა რა ჩიტიც იქნებოდი ახალგაზრდობაში. კაცის სისხლს დალევი. მადლობა დმერთს, ახლა აღარა გაქვს ბეზღობის ასპრეზი.

— შე ყოველთვის მაქვს იმის ასპარეზი, რომ შენისთანა და ამ მაწანწალასთანა მკენებლები საზოგადოებას მოვაშორო, — დაიბრღვევინა ვალერიანმა.

— ვაი, ვაი, არც კი გრცხვენია ამ ხნის კაცს! იმის მაგივრად, რომ სიბერეში მაინც მოისვენო, რა ამბავში ხარ! ვინ გკითხავს, შე გადაქსებულეო, საზოგადოების სახელით (ლაპარაკს?)!

— ხმა გაიკმინდე, შე ამაზე უარესო მათხოვარო!

— ან ამას რას ერჩი, შე კაციჭამიავ! მიღვომიხარ და ჯან-ღონით საუხე ახალგაზრდა ხარო, ეუბნები. ბრმა ხარ? ტყუილა ვიკეთია მაგხელა სათვალე? ამ საცოდავ ზეიბარს გინდა თუ არა ჯველი გარდანქეშანი ხარო, რომ აძლებე, დასცინი?

— ხელიდან წახული მაწანწალაა ევ!

— მით უმეტეს, თუ ხელიდან წახულია, მაგ შენი ვირული მეთოდით გინდა გამოისწორო?!

— ვის უბედავ ვირს, შე მართლა ვირო!

— ვირიც ხარ და მის უარესიც!

მოხუცებმა ხელდახელ გაიწიეს ერთმანეთზე, გამფლელი შუაში ჩადგნენ, ატყდა ერთი დაკა-დაკა-სეირის მაცქერალთა რიცხვმა შესამჩნევად იმატა. ორი ბერიკაცის ქიშკი სასაცილოდ და უჩვეულოდ ეჩვენებოდა მაყურებელს. იჭურობა მამალთა ბრძო-

ლის არენას დაემსგავსა, უღონოდ ეჭინილები მეტისმეტად დაფეხვილები იყვნენ. გამშველებლები — მონხუბრებზე ბევრად ახალგაზრდები — არ ელოდნენ, ბერიკაცები თუ ასე ყოჩაღად მოახერხებდნენ ჩხუბს, სულხანმა ვალერიანს მუშტი მოარტყა და სათვალე ჩამოუვდო, სამაგიეროდ, ვალერიანმა ხელჯობით შუბლი დაუღილა. რომ შეხედეს სერიოზულ ვაჟკაცებთან ჰქონდათ საქმე. შუაკაცებმა მეტი ძალა გამოიღეს მებრძოლთა დასამოშინებლად (მაგრამ ისინი დამკავებელთა მკლავებიდან ვახლტომას ცდილობდნენ და ერთმანეთს მწარედ აგინებდნენ.

8.

ვინ იცის, რით დასრულდებოდა ჩხუბი, მილიციელი რომ არ გამოჩენილიყო. სახელად გურამი ერქვა, ცხრამეტი წლისა, ტანმადალი, ღონიერი, სქელკისერა, შავუღვაშა, ლოყები თურაშაული ვაშლივით ჰქონდა. სამი თვის მოსული იყო ავტოინსპექციისაში, კაი ფული დაუჯდა მამამისს ადგილი. ბიჭს ძლიერ უჭირდა სამსახური, რადგან შეძლებული ოჯახის შეიღს (კოლმეურნეობის ავტობაზის გამგე იყო მამა), ნებიერობაში გაზრდილს, ცალკე მილიციის გასამხედროვებული დისციპლინა სტანჯავდა, ცალკე ქალაქურ ყოფას ვერ ეგუებოდა, მაგრამ ცხოვრების ეს ეტაპი სამომავლო ტრამპლინად მიაჩნდა და ვაჟკაცურად იტანდა ყოველივეს. იმ დროზე ოცნებობდა, როცა იურიდიულს დაამთავრებდა, ოფიცერი გახდებოდა და ფული ჩეჩქად ექნებოდა.

ცენტრალურ პოსტებზე, მით უფრო ლენინის მოედანზე მორიგეობა ავტოინსპექტორებს არ უყვარდათ, რადგან ამგვარ გამოსაჩენ ადგილას მძღოლებს ერთ მანეთსაც უტრავინ წადლუტდა. გურამს ამ თვეში უკვე მეხუთედ ამწესებდნენ აქ. ეტყობა, ახალბედობით



აბრევებდნენ. იომენდა, მაგრამ გული ჯავრით ვესხებოდა.

„აქ კიდევ ვილატებებს ჩხუბი გაუმართაეთო“.

9.

ლენინის მოედანზე ჩხუბი კი არა, სამი კაცის თავშეყრა არ შეიძლებოდა. არც სხვაგან არსად — იმხანად ქუჩაში ადამიანთა მცირე ჯგუფსაც კი არ უნდა მიეპყრო ყურადღება, ასეთი იყო დაუწერელი კანონი, რადგან კომუნისტები იმთავითვე უფრთხოვდნენ იბრალს, რომელსაც რევოლუციისას თვით იყენებდნენ უმოწყალოდ — ბრბოს, მიტინგს, დემონსტრაციას. ამიტომაც წლების მანძილზე ფოველგვარი თავყრდობის პარადიული შიში დასწემდა ხელისუფლებას. დროთა განმავლობაში მიზეზი დაეწყვებას მიეცა, ასე რომ გურამისთვის რომ ეკითხათ, რატომო, ვერ უპასუხებდა, მაგრამ გვერდიგვერდ მდგარი სამი კაცი რომ სასწრაფოდ უნდა დაეშორებოდნენ, ეს საჭკოთა მილიციელს „ანად“ თუ არა „ბანად“ მაინც ჰქონდა დაზუთბული.

— რა ხდება? რა ამბავია აქა? — დასტკვა გურამამ და ანოჩილებული ხალხი უცერემონიოდ მისწი-მოსწია.

სახტად დარჩა: მონჩუბარი ხულიგნების ნაცვლად, უფრო სწორად, მონჩუბარი ხულიგნების როლში სამოცდაათს გადაცილებული ორი პაპა შერჩა ხელში.

დაიბნა წესრიგის მცველი. სამაგიეროდ ბატონი ვალერიანი გაახარა სახელმწიფოს წარმომადგენლის დანახვამ.

— ამხანაგო მილიციონერო! სასწრაფოდ დაამყარე წესრიგი! ახლავე დააპატიმრე აი ეს ჯიბგირი, რომელმაც სიტყვიერი და ფიზიკური შეურაცხყოფა მომაყენა. აგერ, ბატონო, სათვალეც კინალამ გამოტეხა. გარდა ამისა, ეს მათხოვარი მოაშორე აქედან. საერთოდ, რას მიკეთებს მილიცია, რო-

ცა ამ შუა ქალაქში ხალხის რეკლამის დედაქალაქის სტუმრების წინაშე ერთ სამარცხენო ფაქტს აქვს ადგილი. რა უნდა აქ მათხოვარს! ერთხელ და საშუალოდ მოვითხოვ მუქთამჭამელების საყოველთაო ლიკვიდაციას!

მილიციელი მოხუცს დაძაბული, გახევებული გამოძეგვრებით უსმენდა, ტვინის ღრჭიალით ცდილობდა გაეგო, რას ეუბნებოდნენ, მაგრამ გონში არ შესდიოდა. თითქოს ეს არა კმაროდა, ამ დროს აქოშინებულმა სულხანმა მუნდირის სახელოზე დაჰქაჩა და თავისკენ მიახედა:

— თქვენ თუ წესრიგის მცველი ბრძანდებით, ისიც უნდა იცოდეთ, ჩემო კეთილო, რომ არავის არა აქვს უფლება შუა ქუჩაში გამოდგეს, ჯოხი იქნოს, პატიოსანი ადამიანები ლანძლოს და სცემოს. მე ვთხოვთ, ბატონო მილიციელო, გაითვალისწინოთ, რომ...

არა, ამდენის აღქმა ვეღარ შესძლო გურამას ჭკუამ, ბერიკაცების ტირადებს ვერც თავი გაუგო, ვერც ბოლო, მხოლოდ ბუნდოვნად იგუშანა, რომ მისი თუ მილიციის მიმართ რაღაც პრეტენზიებს გამოთქვამდნენ. არადა ვითარება სასწრაფო გადაწყვეტილებას მოითხოვდა. გურამამ თვალები დაახამხამა და გემის საფერივით დაიბლაველა:

— დაიშალენი-იით!

ხელ-ფეხიც აამუშავა და სულ კინწისკრით დაიფრინა აქედან ბატონი ვალერიანიც, ბატონი სულხანიც, მათხოვარი კლიშკაც და სეირის მოყვარული მოქალაქეებიც. ათი წამიც არ დასჭირვებია ოპერაციას — ხელად აორთქლდა ყველა. ახარტში შესულ გურამას ერთი თავის კბილა მოცლილი სტუდენტია შერჩა ხელთ.

— დაიშალენით-მეთქი, ვის ვუბნებთ, — ახლა იმას დაუბღვირა.

— ეგ როგორ თუ დაეშალა? მართიე მამრავლებად? — ჰკითხა სტუდენტმა ღრეჭით.

გურამამ ახლავა შენიშნა, რომ შემთხვევის ადგილზე ორნიღა იყვნენ: თვითონ და ეს ხუჭუჭთმიანი ბიჭი.

ხელი ჩაიქნია:

— პო, კაი, შაყირს მოეშვი და საქმე ნახე, — მუქარით ურჩია სტუდენტს და ზურგი აქცია.

კიბის ზედა საფეხურზე კლიშკას ქუდიდან გადმოვარდნილი არიოლზე დაძვდარი სპილენძის შაურიანიღა ევლო...

10.

გადიოდა წლები. ბატონი სულხანი-სა და ბატონი ვალერიანის ცხოვრება ჩვეული რიტმით მდინარებდა. ღმერთმა ორთავეს გრძელი დღე მისცა. მარტოხელები იყვნენ და პენსიით ასე თუ ისე თავი გაჰქონდათ. ვალერიანს დამატებით ხელფასიც ჰქონდა, რადგან სამსახურიდან არავინ უპირებდა დათხოვნას.

მაგრამ დადგა ახალი დროება და დანესებულება, სადაც ვალერიანი მუშაობდა, ისე განქარდა, ვითომც არც არასოდეს არსებულებო. პენსიამაც, თთასჯიხი ინფლაციის გადამკიდემ, ჩაილურის წყალი დაღია. ვალერიანს სკლეროზმა დარია ხელი და სათნობის ხახლის მუდმივ პაციენტად იქცა საბრალო, მისი ბინა შორებულ ნათესავებს ერგოთ, თვითონ კი უპატრონოთა თავშესაფარში ცხოვრობდა გა-

მოუსვლელად. ჯანად მარსეც მარსე, მაგრამ სული მისი ხადღაც ქვესკნელსა თუ კოსმოსში გაპარულიყო რა ხანია.

სულხანს გონებაც შერჩა და პატარა ბინაც, მაგრამ მას შემდეგ, რაც პოეზიის კოლექციისა და მეტაფორული მხოფლაქმის შესახებ თავისი ნაშრომის ვარდა ყველაფერი უკანასკნელი სკამის ჩათვლით გაჰყიდა, საბოლოოდ მაინც მოუხდა ლუკმა-პურის საშოვნელად მოწყალების თხოვნა. სიონის ტაძართან იჯდა ხოლმე და ძალიანაც არ თავილობდა ამ ამბავს, სამყაროს მეტაფორული ჭვრეტისათვის მისხლებად მიანდა ეკლესიის კართან მათხოვრობა. ფილოსოფიური სიმშვიდით განაგრძობდა ცხოვრებას და მხოლოდ ერთხელ დაკარგა წონასწორობა, როცა საქველმოქმედო სისადილოში ვალერიანი დაინახა და იცნო. კი გადასხა თავზე წითელი სუპი იმ საცოდავს, მაგრამ შერე იფიქრა, ტყუილად დაეშვერ, მაინც ვერაფერს მიხვდებაო. მართალიც იყო ბატონი სულხანი.

ლუთის გლახა კლიშკა თითქმის ოცი წელია ცოცხალი აღარ არის. იმავე წელს, როდესაც მოხუცებმა მისი გულისთვის ინზუბეს, ზამთარში დათერა, თოვლში დაიძინა და აღარც გაუღვიძია.

მილიციელმა გურამმა პოლიციის კაპიტნის ჩინს მიადღია და აფხაზ სეპარატისტებთან ომში დაიღუპა რუსი სნაიპერის ტყვიით განგმირული...



თამარ ღაუშვილი

ჩემო თეთრო ანაკლია

ჩემი საბავშვო დუმს და
ლექსის დაცხრილული ფარდაც,
თითქოს გიბრუნდება ცხუმს და
თითქოს გიბრუნებდე ბარდავს...
სხვა რამით რით შეგეხიდი,
სხვით რით ძალმიძს შეგეშველო?
ჩემო სალოცავო დიღო,
ქართულო — ვაჟას ირმის შველო!
ცივ წყალს მოვართმევიდი სათიბს,

ღალამდა...

მზემან წაიხურა ბინდი ოცნების,
სისხლის წვეთებით მოინითა
ცა სხივნათელი,
ზევისი ქვეყანას შეეხიენენ
ბარბაროსები
თუ?

აიეტის ოქროსფერ კერძს
გამოსჭრებს ყელი?

ერემლის კოკა მომაქვს მხარით,
ვერცხლით მოგიჭედავ ქათიბს —
აჰა, მცირე სახსოვარი!

მტრის ტყვია და სისხლის კვალი
არ შეეხოს შენს შუბლს დიადს!

სხვით რით დაგიმშვენო მხარი?
ჩემო თეთრო ანაკლია?!

ცაო,

სიმშვიდე დედალეთისამ
შენი მალიროს,
მიწამ ქართულმა
თამარ-მეფის დროშით საროს,
ღლეს აფსუების ფეხქვეშ მყოფო
საშერვაშიძო
და უზნეობით წაბილწული
სადადიანო!

ხაქართუელო —

მზე და ჩრდილი,
ღლე და ღამე —
უამი ნოთა,
უზნეობა ფრთაგამლილი,
ნიჭს — ხაფანგი უნიჭოთა...
ჩასაფრენა მედროვეთა,

მახე, გუფეო ყოველ ბიჯზე,
გამიზნული ტყვია ნიჭზე,
ამომანთვა ენის, ზნეთა...

სუნს ვით ვაფრქვევს დილის ვარდი?
სიყვარულს თუ გიშლის ორთა!

გვაქვს გარეჯა, კიდევე კარგი,
კიდევე კარგი გვაქვს იკორთა!

მთვარე თვლემს და ჭოტი კვიის,
ღამე ბორგავს არაგვივით...
რითმის, სიტყვის, კირწიკორწას
უუსაფრდები აბრაგვივით...

მე და მთვრალი ფიროსმანა
გადაუდივართ მტკვარზე ტივით...
ქართულის მზე და ოქროყანა
ყელს მახია საბელივით.

ღმერთი ხაუბრობს ვაჭასთან
არც თუ ზეობით მთვრალი,
მოიარებით ამასაც
ეტყვის რიღით და კრძალვით;
ბულბულიც გალობს მიბნეღით,
ლულევით ორივე თვალის
(თვალდაყველქაილი გულს იქეთ

ჭაობს ყიყინებს მყვარი)
გველიც ინახავს ნატკრისთვალს
გახაქარებულად შხამის,
თავს ირთობს ბროლის თამაშით
შენ რომ დაქკარგე ღამის...
სამყაროს ბერი ლუხუმი
სჭვრეტღე გონების თვალით!

ყველა სიკვდილმა,
ჯვარცმამ, იარამ
თუ სულ შენს გულზე გადაიარა, —
თვით ხარ გაძღება განგებიანად...
დაუშრეტელი რწმენის ფიალა, —
ვინ გვავს საყრდენად,
ფიქრის ზიარად?
— ქრისტე,
მესია,
ხალხი მთლიანად!

მთა — ჩემი საყრდენი და მოიხედე!
თეთრ არავს ფეხდაფეხ მივყვები,
თრუსოს ზეობაში ქოლგებს მამველებენ
ბურქქვეშ შეფუხული ნიყვები...
ყველაფერში შესცოდო — შეიძლება,
ყველაფერში შეიძლება შესცდე:
ცახე ხამუშ-ხამუშ მზე იქნება,
ცისკარი აღმოხდება მთებზე...
მთიულებთან ვიცეკვებ და ვიანგლებ,
მთიულებთან ლექსობას ვაგებდავ,
სახვეტად წამოგყვებით თივაზე,

ცელს შუა ჩაივდებ თავმდებად...
თქვენს გვერდით ჩაწვები ნათიბში,
თქვენს რახსაც ბოლომდე ჩამოცელი,
მეც ჩავთვლემ თქვენს ნაბად-ქათიბში, —
არ შემეშინდება გამოცდის!
ვგავარ ძუძუმოჭრილ ამორძალებს:
ცულ აზრს არ გაეოვლებ გულში...
გამოტყდით:

ხომ ვერ გადაძძაღეთ
მთების სიყვარულში!

ვაი ჩვენი ჯვარცმის მცხეთა,
დაცხრილულ გორისძირო,
ორთავ ყბიდან სისხლი მწვეთავს,
რომელიღა მოვიშვირო?!
●

წვიმა...

ღმერთის სასწაული...

მაეთულები ზეცის...

ბრილიანტი მინამჭრული...

წვეთი... წვეთი... წვეთი...

(ზუსტად ასე დაწალიკდა

ზღვა... ეშერე... ტბეთი...)

თადარიგი... თადარიგად...

არ დაგისხლტეთ ფეხი...

ნისლი ქბურავს რიკოთის ქედს...

აღმართს სარკინეთის...

მეც... წვეთ... წვეთად დავეღვრები

მწვერვალს... მოწამეთის...

თბილისიდან ავტო მიძქრის
რაჭისაკენ... ღართის კართ,
გამიჩერეთ! ღვთის გულისთვის
მუხლმოყრას მთხოვს ნატახტარი!
თვალს შევაეღებ მტკვრისპირს ველებს,
ღურჯი ცრემლი გასდის ვაზებს,
გეხვეწებით გამიჩერეთ,
ვეამბორო ნადარბაზებს!

უტკივილოდ ვერც

ჯვარს,

მცხეთას,

ვერც წინამურს ვერ აუვლი,

მზის მარჯვენა წამკვეთა, —
სადა კვდები სადაური!

ფიქრი, ვითამც სანამცეცო
ელდად სისხლძარღვებში წავა...
აჟალ, შევებმები ერწოს,
მაგრამ ვის ვუტოვებ ჯავას?
აწმყოს ვუმშერ, როგორც სამზილს...

გულზე შეწყვეტილი ჯვართ,
არც დარბაზი,
აღარც ტახტი,
აღარც მეფე საფიცარი!



შალვა შაველიძის

შესყურა ბუკინისტაჟი

N-ს.

ყინვით შეთოშილ ვიტრინის მიღმა
შემთხვევით შენი შევნიშნე წიგნი,
და შემომღიმა შორიდან წიგნმა,
გამომწყვდეულმა ცხრაკლიტულს შიგნით,
იქ სადაც ასე უღმერთოდ ცივა,
და სანუგეშოდ მიხმობდა იგი:
— ნუ შიმატოვებ ამ შავბნელ სუბსში,
თუნდ მოგიზგიზე ბუხარში დამწვი,
მიხსენი თორემ პატარა სულში
უმშვიდვარესი გრიგალი დაძრწის.

ლამაზ ვდიანი ტომები ეწყო —
„სქელქურქიანი“... ირგვლივ, შენს
ირგვლივ,
და შენ კი თრთოდი მთლად ერთი ბეწო
და სიფრიფანა პაწია წიგნი.
...ეფიქრე: იქნებ ამ სქელ ტომთაგან
არ დარჩეს ერთდროს ერთი ფურცელიც,
არქივს ჩაჰბარდნენ ბნელს თვისტომთაგან,
შენ კი ბრწყინავედ ნირშეუცვლელი!

დასაფრული იმედი...

გაზაფხულის წვიმები —
ჩანგი ჩალუწილი და
ჩაწვეტილი სიმები.
გაზაფხულის მზე იყო

შენ რომ შემომღიმებდი,
შენ რომ გამშორდებოდი,
შემოდგომის წვიმები!

ტორილა

ტორილაჲ, შენი ტიტინი ტკბილი
ნეტავ საფლავშიც ჩამესმას მძინარს!
ჩამომჭიკჭიკო: — გეყოფა ძილი...
ერთად უმღეროთ გაზაფხულს მზიანს,

უმღეროთ მზეს და ყვავილთა ზეიმს,
მაგრამ უწყალოდ დაფლეთილ გულით
ხმატკბილ სიმღერას კიდევ შევიძლებ,
ვაჰ, თუ ვშუილი აღმომხდეს მგლური?!

მომაფრდენ მკერდზე ჭაღარა თავი,
ერთად დაუტყროთ გარდასულ დღეებს,
თუ სიყვარულით აღარ ვართ მთურალი
ვიღას უმღერებთ, რაღას უმღერებთ!
ჩემთან რომ იყო, კარგო, სიბერე,

და ვერც სიკვდილი ვერას დაგვაკლებს,
თუ კი კვლავ ერთად ამოვიმღერებთ,
მკვდრეთით აღვაღგენთ ყველა ლამაზ
წლებს!

ისევ უნდააში.

N-ს.

რა ვიქნებოდი ამ სამყაროში,
შენ რომ მგზნებარედ არ გიმღეროდე?
ზემოაგონების და შენ ვარემუ
სომ ვერ ვპოვებდი ჩემს ხვედრს
ვეროდეს!
ლხენად მივიჩნევ შენგან წამებას,
ბოლო ჯოჯოხეთს ლამაზ ხვედებად,

შენ რომ არ იყო, რა შენამება,
ნუგეშად უილა გამახსენდება!
მე საწუთროში შენთვის მოვედი
წავალ და შენზე ჯავრი წამყვება,
შენი პოეტი, შლეგი პოეტი,
შენთვის რომ ვკვდები, შეამაფება!

საიუბილეოდ ნათყვარი ლექსი

მადლობელი ვარ! თქვენს წინაშე
თავს მდაბლად დაეხრი,
ეკლის გვირგვინი, რომ მარგუნეთ
და არა დაფნის!
მე ზომ შეილი ვარ მრავალტანჯულ,
ბედკრული ქვეყნის
და უფრო მეტად დამმშვენდება
გვირგვინი ეკლის...
არ შენანება ყოველივე

ის, რაც გავწირე:
არც ჩემი ჩანგი სანუკვარი,
არც სიყმაწვილე.
მამულს ვუძღვენი, რაც გამანდა
უძვირფასესი,
დე, დაფნა მას ხვედეს,
ვისაც ხვედრი უმძიმს ასეთი!

1993 წ.

ისევ სიბრუნ

N-ს.

ეს მშვენიერი თაიგული,
ლამაზ ვოვონას, რომ მიუძღვნა,
ლამაზმა ბიჭმა,

წელან წუპაკმა მანანწალა, ლოთმა
მოპკრიფა,
სახაფლაოს ნაწვიმარ ვზახე,
და იაფად მიმყიდა ამ უაყს!


წიგნიერი

თუმც ალგვილია მიწის პირიდან,
იმ ადგილს ვხედავ ახლაც სიზმარში!
მთვარიან ღამით იმ წისქვილიდან,
ღიმილით მიხმობს პაპა ძვირფასი.
მამაქვს ტაბლა და ხელადით ღვინო,
ისმის ჩონგურის ნარნარი ქლერა,

და ერთად ისე ტკბილად ვღიღინებთ
მისი სიკვდილი აღარც კი მჯერა!
ზარიაულის თუმც ვახმა ვერხვი
და აღარც წისქვილს ჩაუვლის წყარო,
მათი ჩურჩული კვლავ სიზმრად მესმის
ჩემო ქიზიფო-დაუვიწყარო!

ვერ დავივიწყე
ის ცა - მიმავალ
წეროების
წივლით ხავსე,

მთრთოლვარე ხელით დაწერილი,
ის მწუხარე მამის წერილი
უკანასკნელი!



ბოსტნის ვიწრო გრილი კვალი, —
სურნელება რეჰანის, —
უღაბნოში ბედნამკრალი
ერემლი ბებერ ბენანის...

გაზაფხულზე უნაზესი
სტვენა უმოს ბულბულის...

რობაქიძის ხოფლის ჭალა,
ჩალა დასველებული,
მისი დიდი სულის ძალა,
ცეცხლი დაკვესებული.

შხამი მწარე ლენცოფისა,
ტანჯვა ნაღდი პოეტის,
ღურჯ თვალებში ცრემლი ღეთისა,
სევედა ამაოების.

გადახრილი ჭიშკრის ბოძი,
ძველი ნამოსახლარი,
ტიციანის სიტყვის კორძი,
ფეაილების ხანძარი.

უცნაური ტატოს ნიჭი,
მუხამბაზი გრიგორის,
უცაბედი სუსხი ჭინჭრის,
გასათიბი მინდორი.

ლეონიძის მწველი ლექსი, —
შეიდ მაისის გრუზუნი,

ხატი ჩვენი აკაკის და
მაღლი შოთას შირონის,
ისევ ვაყვას არაგვი და
ისევ ვალაქტიონი...

ხაღინდელი დღის ვწუხვარ აწინდზე...

მე ისე მაღალ კორტოხზე ვსახლობ,
ცა ჩვენი მწვანე ეზო მგონია,
და ვარსკვლავები
ახლოს,
სულ ახლოს
ყოველ საღამოს ჩემთან მოდიან...

ვწუხვარ აწინდზე მშობელი მიწის
და მტანჯავს ფიქრი გულში ჩაკლული,
სულში ჩიტოვით ნაღველი წივიც,
შორიდან მიცქერს მთვარე ნაკლული...

მოდიან როგორც ოქროს ჩიტები
და ჩემი ჭიშკრის ტეხენ კრამიტებს,
მე კი ყოველ წუთს ცრემლით ვივსებ,
ხეაღინდელი დღის ვწუხვარ აწინდზე...

შეგვურებ ჩუმად ჩვენს სამოსახლოს,
ღურჯი ცა ჩვენი ეზო მგონია,
და ვარსკვლავები
ახლოს,
სულ ახლოს
ყოველ საღამოს ჩემთან მოდიან...

ნოსტალგია

გახსოვს ფერმკრთალი მთვარის ნაღვეი,
თეთრი ქარების ნაქრიალები,
სავსე ჭიქაში რომ ჩაგვივარდა,
სულში რა თეთრი ენთნენ ხანთლები.

მაგრამ ეზოში არავინ დადის,
თეთრი ხალათი არვის აცვია.
და ჩიტებს გული უსკდებათ დარდით,
სარკმელთან მარტო ატმის რტო
ბრწყინავს,

მე ხანთლის შუქზე წერა მივევარდა,
შენ ჩუმად ღურჯი წიგნების კითხვა,
და აივანზე ვისხედით დიდხანს...
ვგრძნობდით მიწას და ჩხრიალა წვიმებს,
ქარი სურნელით ივსება ჩინახვს,
და თუთის შტოზე ჭიმაუდა სიმებს...

მიხედვა უნდა იმ თეთრ ყვავილებს,
მიხედვა უნდა დიდი ხნის წინათ
იქ მიტოვებულ ჩვენ სიყმაწვილეს...

იქ ახლაც თეთრი ქარები ჰქრიაან,
თეთრია ეზო და აკაცია,

თორემ ყველაფერს წაიღებს ქარი,
ცოდვა სახლის დახშული კარი...

ყვავილები

ხათუნას

ეს სტრიქონები შენ დაგიგროვე,
შენ დაგიზარდე ნახი ვარდები,
ყოველ ფურცელში ჩემს სუნთქვას
ჰკოვებ,
თუ გადაფურცელას არ დამზარდები.

მე შენს მშვენიერ სამშობლოს ვეტრფი,
ლუთიურ სინათლეს ნაზიარები,
ვიდრე ამ მიწას ვეხები ტერფით,
ჩვენს მოსიხლესთან ვერ დავზავდები...

თუმც ჭამი მიდის, თვალში ბინდდება,
სულში ვიმრავლებ ნატიფ ყვავილებს,
შენ რი.მ გიცქერი, გული მშვიდდება,
მაგონებ ნეტარ ჩემ სიყმაწვილეს...

დაუღვები წმინდა აღსაულის კართან,
ხელაპყრობილი ცრემლით, ვედრებით,
შენთვის ვილოცებ მაცხოვრის ხატთან
და საქართველოს მოვეფერები...

შეგვარებ ჩვენი პური და ღვინო...

ვიდრე სამეფო აქ იდგა ტახტი,
მასზე არ მჯდარა უცხო ბატონად...
ხალხი კი არა, ტიროდა ხატიც,
რაც რუსის ხელი დაგვეპატრონა.

მათ ჩვენებური არ სწამდათ ლოცვა,
მათ ჩვენი სულაც არ ჰქონდათ ჯაერი,
დმერთო, რამეთუ, არა გვაქვს ცოდვა,
აჴლავეც აქთილად დაგვეწერე ჯაერი.

დაგვარევიანე სიონის ზარი,
დაგვალევიანე ნაკურთხი წყალი,
გავვიდე ლურჯი სამოთხის კარი
და შენი მადლით აგვივხე თვალი.

შეგვმატე ძალა სვეტიცხოველის,
სიმშვიდე სულის გვეღირსოს ვინძლო,
შენი სიკეთით არის ყოველი,
შეგვარებ ჩვენი პური და ღვინო!..

ჩვენი სიზმარი

მწერალთა ბაღში ენახე პაოლო
თეთრ ანგელოსებს ესროდა იებს...
მერე მანაბლის ქუნა გადმოვლო,
ძლივს რუსთაველზე წამოვეწიე...

შენერდა, მშვიდად შემაელო თვალი,
მითხრა, ყმაწვილო, როგორ მიცანი...
და იქვე განდნენ კოლაუ, ალი,
ჯავახიშვილი და ტიცინი...

პაოლო ჩანდა უფრო გამხდარი,
დაღონებული სუნთქავდა მძიმედ,
და ღუმდნენ თვალში ცრემლებჩამდგარი
გაფრინდაშვილი და ლეონიძე.

სულ უცქერდა მორცხვი კარმელი,
უთოლებს ტაცებდა ქარს ცირკეიძე,
კეთილ ხატივით იდგა რაჭაძენი
და მთვარის სხივი თოქდა გამზირზე.

უცებ გაიხსნა ცა საფირონის
და ლოცვით პირჯვარს იწერდა ხალხი,
მარტოდ მობრძანდა გალაკტიონი,
გადაქანცული ღვთაებრივ სახით.

მიწიშვილს მოჰყვა თავის ჩიბისი,
და ხელს უსუამდნენ პირუტყვს ალერსით,
მერე შეაქვს ღამე თბილისის,
ორბელაინის და ტატოს ლექსი...

მე შორიახლო ვიდექი სახტად,
წუხდნენ, გრიგოლი რომ ვეღარ ნახეს,
და თვალწინ ეღვათ უწმინდეს ხატად
გადახეწილი პოეტის სახე...

გამომეღვიძა და ცოცხალმკვდარი
ერთხანს უგონოდ ვიფშენეტდი თვალებს,
მერე უეცრად გავალე კარი,
ცაზე უაზროდ ეკიდა მთვარე...



ჩვენებურები

მოთხრობები

3 ა ლ ა მ ა

ამ ხნის მოვიყარე და ვალამასნაირი არაეინ შემხვედრია. პო, პო მართალს ვამბობ, კაცია და ადამიანიო თუ ითქმის, ვალამაზე ითქმოდა. დილაშვილობისას რომ ვისურვებდა, იმ დღეს გამარჯვებული იყავი. იმხელა სითბოს და სიყვარულს შემოგაფრქვევდა, მთელ დღეს გაგვებოდა საგზლად.

მაღალი იყო, თხელი, თეთრი დაფანჩული უღვაშები ნათელს ჰფენდა მის ისედაც გასხივოსნებულ სახეს. დღენიდაგ ლურჯი გალიფე და ჯიბეებიანი ხალათი ეცვა. ყალიონს არ იშორებდა. დინჯად დატენიდა თავისავე მოწეული თუთუნით, ააფუელებდა, პირჯვარს გადაიწერდა, ცას ახედავდა, ღმერთო გვიშველე და უსათუოდ ამინდზე და მოსაეალზე დაგიწევბდა საუბარს.

შეძლებული ოჯახი ჰქონდა, ღონიერი და მსუყე, არც არავის შურდა, ღმერთმა მისცესო, ყველა ამბობდა.

დილა უთენია აიღებდა თიხს და ნაუვლიდა ვენახს. თვალითაც ეფერებოდა და ხელითაც შეილივით ნალოლიავებ ვახს. საგულდაგულოდ ამორებდა ჩალამ-კალამს. ბალახს არ გაუშვებდა, ვანი არ გამოახრჩოსო, შემხმარ ფოთოლს არ შეარჩენდა, ნიადაგ ფურჩინდა, მზე უნდა მოხედეს მტკეპანს, ბიზბილი დაუმსხვილდება, ადრე შეთვალდებაო. ფირუზის თვლებივით ასხდა ფოთლებს შაბიამანი. წელგამართულა

იდგა წაბლის ხარდნებზე აკრული მტკეპლის სიგრძე მტკეპნებით დამძიმებული ვაზი. იცოდა ვალამამ, როდის რა გაეკეთებინა და იმიტომაც ჰქონდა საქმე ლარივით აწყობილი. დღის საქმეს სახვლიოდ არ გადადებდა. ხელაღიკ დროზე იცოდა და მორედიც, დაიხურავდა თავზე კუთხეებში გამოსკვნილ ცხვირსახოცს, ამოიყენებდა აქეთ იქით თვალეპბრიალა შავტუხა შეილიშვილებს და სულ სიმღერ-სიმღერით გაატანინებდა სვრელს. მერე ყანის თავში დაედებოდა და ღიმილით გადახედავდა თავის ნაჯაფარს. ეეპ, რა ხანია მორედი აღარ იციან ჩვენმა ყანებმა. ვინაა შატრონი! ერთხელ თუ შემოუფხოცნეს სამინდს მიწა დიდი ვაჟკაცობაა. პოდა, ძლივს დგას ფეხზე ჩაყვითლებული ყანა, დიოფობს, თითო კვიჭიჭა ტაროს ძლივს იკეთებს თითო ძირი სიმინდი. ქარმა თუ წამოუქროლა კალამივით გაერთხმება მიწას მთელი ყანა. ახლა სამინდი ვილას უნდა, ნაფიდ პურს ჭმის ყველა. ეპ, წახდა დრო, წინათ ჩვენ თვითონ მოგვეყავდა პური. ჯერ ხელზე გადავარჩევდით, გავრეტხავდით და შერე ვუქვავდით. დაბლა კუთხეში რომ ჩაანთებდნენ თონეს, აქამდე ამოდიოდა გამომცხვარი პურის სურნელი, ამა?!

პო, ვალამაზე ვამბობდი, საღამოს ვორაზე უყვარდა ასვლა. იქიდან ხელისგულივით მოჩანს ჩვენი სოფელი და უხაროდა, შორიდანაც რომ გამოირჩე-

ოდა მისი ეზო-კარმიდამო. ღურჯაღ ბზინავდა შეწამლული ვენახი, ჩაშავებული იყო სიმინდის ყანა, უზარმაზარ ხეებში წითელქუდასავით მოჩანდა კრამიტით გადახურული ოდა. „ღმერთო, შენი სახის ჭირიმეო“ იტყოდა და პირჯვარს გადაიწერდა... იჯდა და ელოდა, როდის ჩამოატარებდნენ ბიჭები ნახირს, შეეგებებოდა თავის ლომას და ვიშერას. რქებზე აკოცებდა, სიყვარულით გადაუსვამდა ხელს ქედსა და შევსებულ ფერდებზე და კაციც და პირუტყვისც ბედნიერი გაუყვებოდნენ გზას სახლისაკენ.

ეკ, წახდა სოფელი, ბიძია, წახდა!... არა, კოლექტივის ბრალია ყველაფერი, რომ ამბობთ, არ არის სწორი. რავე, ლოქექტივი არ იყო მაშინ? მოვამთავრებდით ხენა-თესვას თუ არა პურის მკამდე იალაღზე გავრეკავდით ხარებს. მკათათვეში გადმოვდებოდნენ მწვემსები წვერზე და ჰე, ჰეო, რომ გადმოვვძახებდნენ, მთელი სოფელი წამოიშლებოდა და დიდი და პატარა მათ შესახვედრად ვარბოდა. მერე რა ხარები გვყავდა? ჩემი ნიშა და ყვაილა რად ღირდა მარტო. ნიშას ღურჯაღ უბზინავდა ბეწვი, შუბლზე დიდი თეთრი კილოფი ჰქონდა, ყვაილა ოქროსფერი იყო, ფარდელი. ყველას კარგი ხარები ჰყავდა ლომა და ვიშერა, კიხტა და ბუსკა, კოფა და ჯორა, ვეფანა და ღვინია. ე, ეს ერთი უღელი ხარი ჰყავს ახლა სოფელს, კოლექტივის კი არ არის, საკუთარია, მარა, შეხედე რას ჰყავს, გაღატაკული აქვთ ქედი. არ იკითხავ რატომ? მაგის უჯიშო პატრონი ქირაში ჰხდის სულს ამ საცოდაეებს, არც პატრონსა აქვს სინდისი და არც იმას ვინც ქირაობს. ქირას ვიხზი და, არიქა, რაც შეიძლება მეტი ტვირთი უნდა მოვაზიდინოო. ამ საწყალს კიდევ ენა არ აქვს და რა ქნას. კისერს შეხედე, კისერს, რას უგავს. ამას ვიზამდით წინათ? აჰ, გავგიჟონია? ის კი არა წარამარა ვუყრიდით ხელს აპურები არ უჭერდითო... ისევ გადაუხვიე სათქმელს... ჰო, ვალამაზე ვამბობდა.

ღვთისნიერი კაცი იყო ცხოვრებით, ყველა გაჭირვებულს გამკითხავი და დამხმარე. ცუდი სიბერე კი არგუნა გამჩენმა. შორს აქაურობას და, რაღაც მჭამელი გაუნნდა, ჯერ ერთი ფეხი მოჭრეს მუხლის ზევით. მერე მეორე. ერთხელაც არ დასცდენია უფლის საყვედური. იჯდა კიბის თავზე ბრგე მოხუცი, ისევ ტენიდა ყალიონს და პირჯვარს იწერდა.

ქათქათა თავსაფრის სწორებით გამოიყვლიდა გრძელ რიკულებიან აივანს მისი ცხოვრებული მეუღლე ქიონაა, გვერდით მიუჯდებოდა ჯორკოზე შემოაწყობდა შესიებულ ფეხებს და უყვებოდა მთისას და ბარისას, პატარა ბავშვივით უყვავებდა, ვაშლსა და გულაბს უთლიდა და აწოდებდა. თვალს არ ახამხამებდა ვალამა, კურცხლები რომ არ ჩამოყროდა. გაშეშებული ფხანდა თავს იქვე გაწოლილ ნაგახს, წამუტუნით რომ ეძებდა საყვარელი პატრონის ათასჯერ ანალოკ ფეხებს. იჯდა ვალამა და გაჭურებდა თავის ვენახს. უკვე თვალშისაცემად რომ აკლდა პატრონის ხელთითონ ვალამას რომ მონაგარი და პატრონი ჰყავდა, ტყუილა ნუ დაიკვხნის ვინმე, სულ ექიმები და ინჟინრები, ჩემო პატრონო, მარა იმათაც რა ექნათ. ქალაქშია ყველა. ორ სამ თვეში ერთხელ აკითხავდნენ წამალს არ აკლებდნენ, ხაჭმელს და ჩასაცმელ-დასახურავს. მამულის მოვლას კი ვერ გაწვდნენ. რა იმათი ბრალია, თვითონ ვალამა იკლავდა თავს შეილებს უნდა ვასწავლოო და...

მოკლედ თავი რომ არ შეგაწყინო, ითმინა ვალამამ ითმინა და...

— თავი მოიკლა?

— მოიკლა კი არა! ცხერის ტყავი ამოიკრა გადაჭრილ ფეხებზე, თოხს ტარი დაუმოკლა და ჩონჩალოთ აუყვებოდა და ჩაუყვებოდა ვენახს, თოხნიდა, ამა?! გიკვირს არა? გვიკვირს ჩვენც გვიკვირდა მარა ასე იყო

და... ასეა, ბიძია. ქონება და დოვლათი უშრომელად არ მოდის. ეს უნდა გავყარდეთ ესო", იტყოდა ცხონებული და

მუკში ჩაიფშენიდა ამ მარტინოს მიწას. ღმერთმა ნათელში ამყოფოს მასი სული...

მარტინოსი

ჩვენებურების თქმით, მარტინოსი შიმშილობის წლებში ტომრით ჩამოუყვანია სოფლის აფთიაქარს თბილისიდან. იდგა თურმე სადგურში მშვიერ-მწყურვალნი, ჩამოძონძილი პატარა შავყვითელა ბიჭი და ხელგაწვდილი თხოულობდა მოწყალებას, მაგრამ ვინ რას მისცემდა, ყველას შიმშილით ძვრებოდა სული.

ჩამოიყვანა და თავის წვრილშვილს ძმად მიაღებინა. არც სახელი შეუცვალა და არც გვარი. გაზარდა, დაასახლა და დააოჯახა. ერთი მარტინოსივით შეტუხა გამრჯე და დაუზარელი ვოვო მოკვარა ცოლად. იმრავლა ოჯახმა, ბარე ორი ...იანცი შეემატა სოფელს. ბედნიერი ოჯახი იყო, ყველას უყვარდა და ყველა უყვარდათ.

აფთიაქარის სიკვდილის მერე შეიღუპი თბილისში რომ გადასახლდნენ, მარტინოსი იყო იმათი სახლკარის, კენახისა და ყანის მომვლელი და მიმხედავი. კაცთმოყვარეობა, სათნოება, ღარიბის გაკითხვა, აფთიაქარის ოჯახში ისწავლა მარტინოსმა. დღესაც კარგად ახსოვთ, იმ ოჯახიდან უსასყიდლოდ რომ აძლევდნენ გაჭირვებულებს წამალს. მარტო წამალი რას უშეეღისო და ზოგჯერ პურსა და შაქრის ნატეხსაც დაუმატებდნენ ხოლმე ზედ.

ჩია ტანის იყო მარტინოსი, წელში მოხრილი. ქართულის გარდა სხვა ენა არ იცოდა და ცოტა თითქოს მაინც უჭირდა ქართულად ლაპარაკი. ზამთარ-ზაფხულ თექვის ქუდი ეხურა, „რეზინები“ ეცვა და ჯვალოს წინსაფარს არ იშორებდა. დღენიადავ თავდაღუნულად მუშაობდა: თოხნიდა, ბარავდა, სხლავდა. რასაც მოკვიდებდა ხელს, ყველაფერს გულიანად აკეთებდა, სულერთი თავისე იყო თუ სხვისი.

ერთი ძმასავით საყვარელი მეგობარი ჰყავდა მარტინოსს სიმო. მუშაობდა დალილ - დაქანცულები ხან ერთას ოჯახში მიუსხდებოდნენ ტაბლას და ხან მეორის. ორივენი სოფლის გულია და სული იყვნენ, დაუზარებლად ეხმარებოდნენ ყველას.

ერთხელ საფლავის გათხრა თხოვა მარტინოსს მეზობელმა. ეძნელა, მაგრამ უარი ვერ უთხრა: „მერე რა მოხდაო“ უთხრა სიმომ და თვითონაც თან გაჰყვა. ეს საქმეც ნამუსიანად გააკეთეს. კარგა ხნის შემდეგ მორე მეზობელმაც იგივე თხოვა, ვერც იმას უთხრეს უარი. ერთხელ ვერ თქვა უარი, მეორედ, მესამედ და ძალაუნებურად ეს მძიმე საქმე მარტინოსს დაეკისრა.

იმ დღეს დილიდან ქინქვლაყვია. მარტინოსმა სახლში საქმე ვერ გამოიხატა, კარგა ხანს იწრიალა გალიაში დამწყვდეულივით და ბოლოს მაინც სიმოსთან გადავიდა. დიასახლისმა საკეცე ესროლა ბუხართან გაწოლილ ძაღლს. ფეხაკაჭვებული ძაღლი წკაწკავით გავარდა გარეთ, კარებთან დაცუცქდა და მღურვით გამოხედა პატრონს. ქაღალა ნატყლაპარ ტაბლას სველი ჩვარი გადაუსვა და თეფშები დააწყო. ნახალში ყველი დაამტვრია, ჭადი გააფიცხა და დოქით ღვინო შემოდგა, გაღახული ძაღლი ისევე შემოიბურწა და სიმოს ფეხებთან გაწვა. სიმომ ღვინო დაასხა, „კარგად ვიყოთო“ დ ტუნთან რ ჰქონდა მიტანილი, მიტკალივით გათეთრებულს ხელიდან გაუვარდა ჭიქა და სუფრას გადაემხო. ხმა არ ამოუღია, ჩიტვით დაღია საბრალოდ სული. დიასახლისის კვიცილით დაფეთებული ძაღლი გაბმულად ფშოდა ეზოში. ორი დღე არ მოშორებია მარტინოსი სიმოს, თავთან ეჯდა, სანთელს უნთებდა და გამშრალ

საფენს უსველებდა არაფში. მესამე დღეს სახლში რომ მიდიოდა, სიმოს უფროსი შვილი გამოჰყვა და საფლავეზე ჩამოუვლო ლაპარაკი. მარტიროსმა თავი გააქნია: „მაგას ვერ ვიზამო. რაც ვინდა დამავალეთ და ეგ არ შემძლიაო“. მეორე დღესაც იგივე თქვა „მომკალით და არ შემძლიაო“ „შე კაცო, ზეზე ხომ არ დავტოვებთ მიცვალებულს“ უსაყვედურა სიმოს სახლობამ.

ძლივს აითრია წელი მარტიროსმა და სახლისკენ წაღასლასდა.

თავგამოდებით ურტყამდა წერაქეს მარტიროსი, ტარამდე ჩაჰყავდა ბარი მიწაში. დეთის მადლით რბილად იჭრებოდა მიწა და ძალიან არ გასჭირვებია. სამხრი რომ ვადაუტანა. ცოლმა მარტიროსი უკვე მეორე საფლავეში იდგა. ძლივძლივობით ყრიდა მიწას ზევით, აღამიანის ფერი არ ედო და რადაცას ბუტბუტებდა. შეშინებულმა ცოლმა შეჰკივლა „მიშველეთო“. მარტიროსმა უაზროდ ამოხედა ცოლს, ხიდან ჩამოყარდნალი ბარტყივით უმწეოდ აბჩენდა პირს, ოფლით მიწაში ახელილი გაწებილი თმა შუბლზე მიკვროდა, ცოლმა ხელი ჩააწოდა. ცალი ხელით ცოლს ჩაებლაუჭა, მეორეთი საფლავის კიდეს დააწვა, როგორც იქნა ამოყოფხდა და საფლავიდან ამოყრილ ნოტიო ბელტებზე ჩაჯდა. ქალმა აკანკალებული ხელით თავსაფარი მოიხსნა,

ოფლით გაწუწული სახეზე შეიშმარდა და უხმოდ მიუჯდა ქმარს.

კარგა ხნის მერე ძლივს მოაბრუნა ენა:

— ეს ვისია, კაცო, — საფლავეზე მიუთითა.

— ჩემი.

— შენი?! — ისევ შეჰკივლა ცოლმა.

— რა მოგივიდა, — გაღიმება სცადა მარტიროსმა, მაგრამ გახვევებული ტუჩები ვერ დაიმორჩილა.

— გაგივიდა?

წელში მოკაკულმა, ფერდაკარგულმა მარტიროსმა თავი გაიქნია.

— გამაგებინე, რა დავემართა? — განზე მიჩოჩავდა ელდნაცემი ქალი.

— ხომ ხედავ, ჩემს მეტი არავინ ყოფილა მკვდრის დამმარხავი... შე ვინდა გამითხრის საფლავს... — უცხად თათქოს მკერდში რაღაც ამკერესო, ისე იტაცა ზედ ხელი... ცოტა ხან იყურა, მერე უმწეოდ გაუღიმა აცახცახებულ ქალს.

ცოლმა სანოვაგიათი კალათა მოიწაახლოს. „არ ვინდაო“, ანიშნა მარტიროსმა.

— სახლში წაივით, რაღაც აქ მტკაეო — კუჭის თავზე მიიღო ხელი, ძლივს წამოღვა ფეხზე. ბარი და წერაქეი საფლავეში ჩატოვა, ცოლის გამოწვდილ ხელს დაეყრდნო და სოფლას გზას დაადგა.

გამთენიისას შეიცხადეს მარტიროსი.

მსტაბი

უბედური ჰყავდა გამჩენს ესტატე — ავზე ავი და ძუნწზე ძუნწი, ისეც ექცეოდნენ, როგორც ეკადრებოდა: კიტრს იმას არ არჩენდნენ ბალს, ატამს თუ ყურძენს. ის კი არა და რამდენჯერ გასაშრობად გაკიდული ჩურჩხელებიც ჩამოუხსნიათ. მარა რად ვინდა, მაინც ვერ ისწავლა ჭკუა, ავი ძაღლივით იწვა მსხმოიარე ხეხილის ქვეშ და ვერც თითონ ჰამდა და არც სხვას აჭმევდა. ზედ სახლის წინ კაკლის ხელა ნამყე-

ნი ბალი ედგა, ერთ მხარეს გიშერივით შავი ნაყოფით დახუნძლული, მეორე მხარეს კი — ჭრელით. ისე მიაღლებოდა ერთმანეთს ზეზე ნაყოფი, არავის მიუკითხავდა. ბორჯოფოზე ყოველთვის ეკლები ჰქონდა შემოხვეული, მაგრამ ზოგჯერ მაინც ეახერხებდით ზეზე აცოცებას.

ერთ ზაფხულს ისე დაიხუნძლა და ისე ბრდღეივადება ესტატეს ბალი წათელეყვითლად, რომ ნერწყვს ვეღარ



ემაგრებდით ბიჭები. აუკულიდით და ჩაუკულიდით, აუკულიდით და ჩაუკული-
დით ჩაგვირისტებულ ღობეს და გადა-
საძვრომ ადგილს ვეძებდით. ერთი ორ-
ჯერ მივესალმეთ კიდეც ეზოში მოფა-
რუნე ესტატეს, იქნებ სასწაული მოხ-
დეს და ბალზე მიგვიწვიოსო:

- გამარჯობა, ესტატე ბიძია!
- გაგიმარჯოთ.
- როგორ გიკითხოთ?
- თქვენი საკითხავი არაფერი მჭირს მე.

თქვენც არ მომიკვდეთ, ენაც არ და-
უსველებია, ერთი არ დაცდენია, ისე
ხნიერ კაცს რომ შეშვენის: მოდიო, შეი-
ღებო, შედით ხეზე, თქვენც ჭამეთ
და მეც მომიკრიფეთო.

ერთი ორი დღე კიდე დაეზურზუ-
ტობდით ესტატეს ღობესთან და მერე
გაკვიწყდა მოთმინების ძაფი.

შუალამე იქნებოდა, კლუბში კინო-
რომ დამთავრდა. ერთმა ხუთმა ბიჭმა
მოვილაპარაკეთ და ესტატეს ეზოსკენ
გავიძურწეთ. წყნარი ღამე იყო, ფოთო-
ლიც არ ფაჩუნობდა. უხმაუროდ—გადა-
ვევლეთ ღობეს და მოკუზულებმა ბალ-
ქვეშ ვდურთეთ თავი. წინა დღის ნაწ-
ვიმარი იყო და ხეხილით დაბურულ
ეზოში კიდევე არ გამშრალიყო მიწა.
ხის ძირიც ისე იყო გასლიკინებული
ვერც ფეხს ვიკიდებდით და ვერც ხელს.
ალაგ-ალაგ ხეზე მოდებული ხავსიც
დამბალიყო და წებოსავით გვეგლისე-
ბოდა ტანზე.

ერთმანეთს ვუბიჯეთ და რის ვაი-
ვავლახით ავცოცდით ხეზე. გულისპი-

რები ჩავიხსენით და გამაღმებულს ვიწყა-
რიდით უბეში ბალს თავის კინწებიან-
ფოთლებიანა. უბეები რომ დავიტენეთ,
მერე პირში ვიყრიდით ჰეშვით თაფლი-
ვით ტკბილ ნაყოფს და თავის კურკე-
ბიანა ვყლაპავდით.

- ბიჭო, რაღაცა არ მომწონს ე ბა-
ლი, — ჩუმად ჩამოგვძახა იაშამ.
- კენწეროში გავიმწარდა?
- კერწეროში კი არა, ყარს მგონია.
- ყარს კი არა ის არ გინდა? — ჩუ-
მად უპასუხა ბიჭიკონ და ჰეშვი მიიტა-
ნა ცხვირთან.

— მართლა ყარს, ბიჭებო, ეს რა ოხ-
რობაა?!

ფართხა-ფურთხით ჩამოვცვივდით ხი-
დან, კისრისტეხით გადავშპით ღობეზე
და ესტატემაც მოგვძახა:

- შეგერგოთ შვილო, შეგერგოთ, ღე-
დის რძესავით შეგერგოთ.

ის ღამე რომ მახსენდება ახლაც სირ-
ცხვილით ვიწვო. იმ უკულმართს ჩერ-
მიდან ნაგავი მოუტანია და ხის ძირზე
წაუსვამს, აბა? ჩვენ კიდე არა გვიშავდა,
პირველი იაშა აცოცდა და თათარაში
ამოვლებულ ჩურჩხელას ჰგავდა.

ვინმე რომ არ შეგვფეთებოდა გზა-
წერილით მივიძურწებოდით ღელისკენ.
კიდევე კარგა ხანს გვიტყვალაშუნებდა
ზურგებზე მათრახივით ესტატეს ძახი-
ლი:

- შაქრად... შაქრად... შაქრად...

რიფრაქამდე ვჭუჭყნიდით ღელეში
ტანსაცმელს მაგრამ ისეთ ღელეში ვიყა-
ვით, ღელე კი არა, რიონი ვერ გავ-
ვრეცხავდა.

6035 კობ

ნიკა ძიას სიკვდილი ეველას ძალი-
ან გვეწვინა, მაგრამ, სულო ცოდილი
და, მაშინვე ის გაეფიქრეთ: რა გვეშვე-
ლება, ჩვენს აგარაკებს ვინღა მოუვლი-
სო. აგარაკს დაფხავებულ, ყაზარმასა-
ვით სახლს ვეძახდით, ჩალის ფასად
რომ შევისყიდეთ ერთი შემოქმედები-
თი ორგანიზაციისაგან რამდენიმე ოჯახ-
მა. მართალია, სახლი ვერაფერი შეიღი-

იყო, მაგრამ ისეთი ნაძვნარი ვერტყა
ვარშემო, თავი სამოთხეში გვეგონა.
ხელად შევფეთქეთ სახლი თეთრად, შე-
ვალამაზეთ და ზაფხულიც ბედნიერად
გავატარეთ.

ერთი რამ კი ნამდვილად გვაწუხებ-
და, წასვლისას, ჭიქიდან დაწვებულა,
ლოვინით დამთავრებული, ყველაფერი
მიგვექონდა, წამოვიდოდით და, ისევე ჭი-

ქიდან დაწყებული, ლოგინით დამთავრებული ყველაფერი უკან მოგვეკონდა. სახლი სოფლიდან ძალიან დამორებული იყო და ხან ერთ ბინას ტეხავდნენ და ხან — მეორეს. ბოლოს ნიკა ძია მოგვეკვლინა მხსნელად. დარაჯად დაუყენეთ. თითო თუმანს ვაძლევდით თვეში და ბარგი-ბარხანის აქეთ-იქით თრევა აღარ გვეჭირდებოდა. რაკი გაქურდვის შიში აღარ გვეკონდა, ათასი რამე ავზიდეთ თბილისიდან. ფანჯრებზე ლამაზი ფარდები ჩამოვკაიდე, კედლებზე ვოპელენები გავაკარი, ძველ დივანსა და სავარძლებს ქურნალების მაგიდა მივუდგი, კუთხეში ტელევიზორი დავდგი. მოკლედ, ბინა რაღაცას დავამსგავსე.

ერთი ორჯერ ნიკა ძიას ხელშიც გავიტეხეს ბინა, მაგრამ ბევრი არაფერი წაუღიათ. მახსოვს, რა გულგახეთქილი ჩამოვრდა საწყალი ნიკა ძია თბილისში: „აღარა ღირს ჩემი დარაჯად დგომა. ეტყობა, დაებერდი; აღარც შიში აქვს ჩემი და აღარც შორიდება. არა და, რა ვქნა, გენაცვათ, ყოველ წუთას ხომ აქ ვერ ვიქნები, მეც სახლი მაქვს, ოჯახი. ღამე კი ყოველთვის თქვენს სახლში ვარ, მაგრამ ხელმრუდი და ოხერი კაცი დღისითაც ოხერია“.

მართლა ძალიან დაგვენანა ნიკა ძია. ერთნაირად გვიყვარდა ყველას: დიდსა და პატარას. ჩვენი სიყვარული მეტი რითიღა უნდა გამოგვეხატა: ერთი კარგი გვირგვინი გავუკეთეთ, ფული შევუკროვეთ, პატარა ავტობუსი დაეიქირავეთ და დაკრძალვაზე წავედით.

ნიკა ძიას სახლიდან ტირილი და მოთქმა ისმოდა:

— ნიკაა, სად მისდის ბარგი-ბარხანი, შე თვალდამდგარო მხსნა... ნიკააა, შე დოვლათიანო, შე ხელმადლიანო, ნიკააა!..

როცა ნიკა ძიას ცოლს ჩვენი ჩასვლა აცნობეს, უფრო გულსაკლავად ატირდა ქვრივი:

— ნიკაა!.. აი, შენი ქალაქელები ჩამოვიდნენ, ნიკაა.. ასდექ და შენებურად, შაზიანად, მარიფათიანად დასტრ-აღდი, კაცოო!.. ეგრე უნდა დახვედ სტუმრებსა?.. მოდით, გენაცვალეთ, ნახეთ, რა დღეშია თქვენი ნიკა ძია, თქვენი ერთგული ნიკა ძია... ვაიმე, ნიკა... შე უბედურო, ნიკა...

მოსორებით დადგმულ სკამებზე ჩამოვქექით და ქვრივის სიტყვებით გულაწუყებულემა თვლებზე ცხვირსა-ხოცები ავიფარეთ. კედელზე დაკიდებულ სურათს ავხედე. გულდია, კეთილი ღიმილით თამამად მისწორებდა თვალს ნიკა ძია. შეეცბუნდი, სურათი ჩემს გობელენზე ეკიდა. უცბად ვერა-ფერი მოვიხაზრე და ნიკა ძიას დავხედე. თითქოს მისგან ველოდი პასუხს. გულხელდაკრეფილი ნიკა ძია მშვიდად ესვენა ჩემს მეორე გობელენზე.

ფეხაკრებით გავედი ოთახიდან. ეზოში ჩავედი და უზარმაზარი სეფის კუთხესთან გაჩერდი ვაოგნებულდი.

სახლიდან ისევ ისმოდა ნიკა ძიას ქვრივის გულისგამგმირაკვი მოთქმა:

— ნიკაა... შე დოვლათიანო, შე ოჯახში შემომტანო, ხელბარაქიანო და ხელმადლიანო ნიკაა...

საწყალი ნიკა ძია... ღმერთმა შეუნდოს და გაანათლოს.

რეპორაჟი

ტროლეიბუსი ხალხითაა გაჭვდილი, შუა ზაფხულია, გაგანია შუადღე, საშინლად ცხელა და დახუთულ პერში ოფლის მომჭავო სუნი ტრიალებს. გული მერევა. კიდევ კარგი, ჩრომ ვხივარ. მივლინებიდან მოვდივარ დაღლილ-დაქანცული და ახლა აქ მხდება სული.

გაჩერებებზე ლოდინით გულგაწყალბული ხალხი ტროლეიბუსის კბეებს ეხიჩხლება და ვერის:

— ვაიწიეთ, ვაიწიეთ, წინ ადგილებია, ვაიწიეთ!

— ვაიწოეთ რა, რეზინისაა? — პასუხობენ შივნიდან.

სიცხით შეღონებული ქალები გამაღებული ინიავებენ გაზეთებს, თან თვალების ცეცებით უკეთეს ადგილებს ეძებენ გასაჩერებლად.

ვილაცამ ზედ ფურთან ჩამიხველა. ნეტავი მოხუცი არ იქნებოდეს. შიშით ავიხედე... გადავჩინი.

ხალხს ვანგებ ვარიდებ თვალს და უაზროდ ვიხედები ფანჯარაში. ასეთი საქციელი სხვებისთვისაც არ მიპატიება, მაგრამ ახლა შუბლის ძარღვს ვიწყვეტ. ისე დაღლილი ვარ, ფეხზე დგომა ნამძვილად არ შემიძლია. არა და, ასე მომიხდება, ახია ჩემზე; უკანასკნელი თუშნაანით რიკოთის უღელტეხილზე რევოლვერი ვუყიდე ჩემ ბიჭს. მთელწელი მეხვეწებოდა და ვერ ვუშოვნე. არა, შოვით როგორ ვერ ვიშოვნიდა, ყველა კომერციულ მაღაზიაში დევს ას მანეთად, მაგრამ მაგის თავი სადა მაქვს. რომც მქონდეს, მაინც არ ვიყიდი, არ მიყვარს, მეტიანარა მშობლები ზედმეტად რომ ანებიერებენ ბავშვებს. ათი მანეთი მივეცი, მაგრამ მე რომ მკითხოთ, მშვენიერია, არაფრით ჩამოუყარდება ნამძვილს.

ეკ, სახლში გამოჩროკნილი ხის თოფებითა და დამბაჩებით დავეღვდი ერთმანეთს „ქენდე ხოხ! ქენდე ხოხ!“ ისმოდა მთელი დღე ეზოებში, მერე რა ცუდები გავიზარდეთ? დღეს შეიძლება, ბევრს არ მოეწონებარო, მაგრამ, მე მგონი, არა გვიშავს, გვარიანები ვართ. ვნახოთ, ესენი როგორები დაიზრდებიან ამ ფირმა ავტომატებითა და პისტოლეტებით.

ჰო, რევოლვერი ვიყიდე და ტაქსის ფული აღარ დამრჩა. მივჩაქჩაქებ ახლა ტროლეიბუსით და თვალები მეგლიტე-ლა ძილმორულს. ეს ადგილი მაინც შეპრჩებოდეს ბოლომდე და ჯანდაბას.

ერთ გაჩერებაზე ბავშვიან ქალებს ვილაც ახმახი ამოჰყვა წინიდან და იქვე გაეხირა, გასასვლელი ამოხერგა. გაზანჯული ხელით ნიკელის სახელურს ჩამოეკადა. პერანგის მოკლე სახელი ნახევრად უფარავს რომანტიკული ფერის სვირინგს. „მხატვრობას“ ვერ გა-

არჩევ, ქვეშ მიწერილი ალბათ დაბადების წელი კი კარგად ჩანს ხემა ხნისა.

ეტყობა, დიდხანს ვაჩერდებოდი ხელზე, არ მოეწონა. ჯერ ჩემ წვრილ მკლავებს ააყოლ-ჩააყოლა დამცინავა მზერა, მერე ხელი დაჭიმა და გლობუსივით ამოგდებულ კუნთს დაუწყო თამაში. ფეხზე ძაფგამობმულ კალიახავიო დახტოდა ზედ ჩემი დაბადების თარიღი.

— ჩადიხართ? — ჰკითხა ვილაც ბავშვიანმა ქალმა. არც კი ვანძრეულა!

— უკაცრავად, გამატარეთ! — გაუმეორა ქალმა:

ამრეხილად გადმოხედა და შეტი არაფერი.

— გაატარეთ ქალი, — უთხრა ჩემს გვერდით მჯდომმა დარბაისელმა კაცმა.

— წადი შენი...

— გაატარე ბავშვიანია, — ხმას აუწია შეურაცხყოფილმა კაცმა.

— შენ სიცოცხლე ხომ არ მოგბეზრებია, ბიძაჩემო, — დანა შეათამაშა ხელში ახმახმა.

ტროლეიბუსი გაისუსა, გვერდით მჯდომმა უმწეოდ გადმოშვედა. შემეცოდა, მამაჩემის ხნის იქნებოდა.

— ნუ გეშინიათ, — წაეწურეწულე.

ახმახს ჩემი თანაგრძნობა არ გამოპარვია. ერთხელ კიდევ გადმოშვედა დამცინავად და ისეთი რამ მაკადრა, კაცისგან არ მოითმინება, თორემ ნამძვილად არ გაუყუადრებდი თავს.

— ხმა არ გასცეთ, — გადმოგილაპარაკა გვერდზე მჯდომმა.

— არ აჰყვე, შეილო, არ აჰყვე, — მომესმა უკნიდან შეშინებული ქალის ხმა.

ამან რატომღაც უკურეაქტია გამოიწვია ჩემში. წამოვდექი და ჩიქურ წავედი წინ. ჯიბიდან რევოლვერი ამოვიღე. დაუმიხინე. შეშინებული ხალხი აქეთიქით მიაწვდა ტროლეიბუსის კედლებს. ქალები კიოდნენ და გაზეთებს იფარებდნენ თავებზე.

მეტოქე უცბად გაფითრდა, თვალები გადმოკარკლა, ქვედა ფბა ჩამოუყარდა, აცახცახებული ხელიდან დანა გაუყარდა.

— ჩაიხადე შარვალი! — რაღაცის ახსნა დამიწყო ბლუკუნით, რაღაცას მოხოვდა, მაგრამ მე აღარაფერი მესმოდა.

— ჩაიხადე შეთქი! — დაეუღრიალე და ოდნავ მიუვახლოვდა.

მუხლებქვევით ჩაცურებული შარვალი კოჭებთან დაიგორგლა.

— შებრუნდი.

უსიტყვოდ შებრუნდა ტყვესავით ხელბანაწეული.

ჩასველებული ტრუსი გაბზეკილ უკანალზე მიჰკვროდა.

— გააღე! — კარზე ეანიშნე მძღოლს. რამდენჯერმე გაიღო და დაიკეტა მონჯღრეული კარები.

ოდნავ უკან დაეიხიე და მიიღო ძალითა ეხეთქე წიხლი. ხელები ისე გა-

იშვირა წინ, თითქოს სავსებით გადახტაო და ჩახდილი შარვლით ფეხებდაბორკილი ზღართანით დაეხეთქა ვაზონში.

მძღოლმა კარი დაკეტა და სასწრაფოდ დაძრა მანქანა.

კრინტი არავის დაუძრავს. შეეტრიალდი და ჩემ ადგილას დაეჯექი. რევოლვერი ისევ ხელში მქონდა ჩაბლუჯული, ოფლიანი თითები ზედ მეწებებოდა.

— შეინახე, — ჩამჩურჩულა გვერდიან მჯდომმა. ხიფათს არ გადაეყარო.

— ტარების უფლება თუ არა გაქვს დამაღე, — მირჩია ახლა მეორემ.

— მაქვს, — დაეაქნიე თავი და ჯიბეში ჩავიდე ბრძოლაგადახდილი ჩემი ბიჭის უკვე ნამდვილი რევოლვერი.



შველა სჭირდებათ!

არაფერი: ქარი, ცა,
დღეს მჩქეფარება, —
რომ თუნდ წამით შეიძლო
სულის შეფარება.

არაფერი: ზღვები, მზე.
რუ. ნახირი. ველი —
რომ თუნდ წამით გამოდგეს
მზერის შემხიზვნელი.

არაფერი: ღრუბელი, ტყე,
მთა, გზა, წინართ რხევა, —

რაზეც წამით მოხერხდეს
ფიქრის გადახვევა.

არაფერი — იმედად,
არაფერი — ხატად,
არაფერი — შველად ან
რწმენის შესამატად.

რაც გარს მოჩანს, მათგან დღეს,
ალარაფერს ველი:
თვით მათ შველა სჭირდებათ
დაუყოვნებელი!

სკვდიანი მუსიკა

მოვდგომია უეცრად უცნობი ბურუსი კარს,
ჩამოირხა მთებიდან სევდიანი მუსიკა.

დავიწყების ფერი კრთის ნაცნობ ზეანთებიდან,
სევდიანი მუსიკა ჩამოირხა მთებიდან.

თითქოს ხმლის ხიდადეს მკვიდრი ფუძე მოერყა,
სევდიანი მუსიკა მთებიდან ჩამოირხა.

რად მოგადგა უეცრად უცნობი ბურუსი კარს?
მთებიდან სევდიანი ჩამოირხა მუსიკა.

ზღვამ დაიძინა

ზღვამ დაიძინა, ქარიშხალმა გადაიარა,
დაწყნარდა სივრცე, ტალღათ სრბოლამ დაიწყო კლება,
მიდამო ფერთა სრულ სიმშვიდეს შეეზიარა,
მხოლოდ ნიაიე ზღვის ზედაპირს ნელა ევლება;

უკანასკნელი სუსტი ტალღა შორს მისრიალებს,
თითქოს დამთარდა სივრცეებთან ზავის დადება,
მაგრამ სიღრმეში, შეუმჩნეველად რაღაც წრიალებს...
და მომავლისთვის სხვა გრივავი კვლავ ემზადება...



020886661 68268
ირაკლი სამსონაძე

020886661 68268

იქ, სადაც ღვარად მოედინება...

ფანტაზია თემაზე — „სადაც ღვარად მოედინება რძე და თაფლი“.

კინემა სან ნაწილად

მოქმედი პირნი:

მოსე — 75-77 წლის.

ცაცა — მოსეს გარდაცვლილი შვილის მეუღლე. 46-48 წლის.

დათიკო — მოსეს ძმა. 63 წლის.

სულხანა — მიხი შვილი. 34 წლის.

აბესალოში — მოსეს ნათესავი. 43-44 წლის.

ბალოდი — მოსეს ნათესავი. 57-60 წლის, რკინიგზელი.

ბიძინა — მოსეს ოჯახის მოყვარე. 55 წლის.

მარინა — მოსეს მეზობელი. 40 წელს მიტანებული.

თამარი — მიხი ქალიშვილი. 22 წლის. ერთ-ერთი რელიგიური სექტის წევრი.

აცი ვიოლინოს ფუტლიარით —

კრუპიე ბიჭი.

კრუპიე გოგო.

სამივე მოქმედება მოსეს კახინოში მიმდინარეობს

პირველი ნაწილი

ქველი სარდაფი

სურათი პირველი: კრუპიე ბიჭი,

კრუპიე გოგო.

ჩაბნელებული სცენა. მხოლოდ მაგიდაზე ანთებული სანთელი გამოსცემს მცირე შუქს. მაგიდასთან კრუპიე ბიჭი დგას. ჯინსის პერანგი აცვია. ბანქოს შლის. მეორე ოთახიდან ანთებული სანთლით ხელში კრუპიე გოგო გამოვს. მასაც ჯინსის ქვედაკაბა აცვია.

კრუპიე გოგო — (ბიჭს მიუახლოვდა) — ეტყობა ავარიას!

კრუპიე ბიჭი ბანქოთია გატაცებული. უმასუსოდ ტოვებს გოგოს.

კრუპიე გოგო (სკამზე ჩამოჯდება) — შენ მაინც გამეცი ხმა! ხომ იცი, ვერ ვიტან უშუქობას... (შიხედ-შიხედღავს) ამ სარდაფსაც ერთი ფანჯარა არა აქვს.

კრუპიე ბიჭი — სარდაფს რა ფანჯარა უნდა ქონდეს.

კრუპიე გოგო-მართალია... (პაუზა) თითქოს აკლდამაში ვიყოს; როგორც რომელი და ჯულიეტა. (ეცინება)



რატომ არ მივმართავთ ერთმანეთს მათ-
საკით... „ო, ჩემო ტკბილო სიყ-
ვარულო, ჩემო მეუღლე“.

პრეზიმი ბიჭი — ჩვენ კვინძაობთ...

პრეზიმი გოგო — ამ საუკუნის ღი-
რხეული ექსპონატი ხარ...

პრეზიმი ბიჭი — ვარ. რატომაც

არა ვარ. მოსემ ღამის მუზეუმად გადა-
აქცია კაზინო და თანამედროვე ექსპონა-

ტებიც შემოაგდო. ისე კი, მე თუ შეკით-

ხავ, არც არაფერი იცვლება... ამასწი-

ნათ წაფიკითხე: რევოლუციისდროინ-

დელ საფრანგეთში, იაკობინელების

მმართველობის დროს, ერთ-ერთ საღო-

ნში უმადლესი წრის ქალები იკრიბებო-

დნენ... შემდეგ მიდიოდნენ ამოთხრილ

სამარებსთან და სიკვდილის ცეკვას ას-

რულებდნენ... ნაღდი თანამედროვე კლი-

პია... თითქოს ვხედავო...

პრეზიმი გოგო — დმერთო, რა იქ-

ნება, მოვეცენ შუქი..

წაშით სარდაფი განათდება და ისევ ჩა-

მომხედდება. კრუპიე ბიჭი და კრუპიე

გოგო ერთმანეთს გადახედავენ.

პრეზიმი ბიჭი... აბა, კიდეც ცადე-

პრეზიმი გოგო — დაიცა, ჯერ არა...

(პაუზა. მოეშადა) ღმერთო!..

(იციანის) არა,ჯერ არა... (იციანის) ნუ

მიყურებ!... ხინათლე ჩაირთვება.

პრეზიმი გოგო—(ტაშს შემოკრავს)

— აი, ხომ ვთხოვე... ხომ ვთხოვე, არა?!

პრეზიმი ბიჭი — კარგად უნდა

შეგამოწმოს კაცმა... (იციანის)

პრეზიმი გოგო — მართლა, ხომ

ვთხოვე?!

კრუპიე ბიჭი — თხოვე, თხოვე.

პრეზიმი გოგო — (გამოსაცვლელი

ოთახისაკენ გაემართა) — რა კარგი გრძ-

ნობაა. თითქოს ტირში ვისროლე და სა-

თამაშო კურდღელს გაეარტყი... ჯერ

თვის დაუდგამო). მის უკან შიშველი ქა-

ლის ქანდაკებასა და დიდ ქოფანში მწვე-

ნე, მსუფეფოთლებიან, ვგზობიკურ მცე-

ნარეს. ბიუსტის მარჯვნივ ფარშეეანგის

ფიტული დგას, მის თავზე კი აფრიკუ-

ლი ნილაბი დაუკიდათ. ვგზობიკური

მცენარის მხარეს ბუდას საკმაოდ მოზრდი-

ლი ქანდაკება და ძველგვიპტური რე-

ლიეფური მხატვრობით მოხატული ქო-

თანია. ქოთნის თავზე, აფრიკული ნილ-

ხის ხაპირისპიროდ, სპეციალურად მოწ-

ვობილ თაროზე ოსირისის ხისგან გაკე-

თებული გამოხახულეა დაუსუნებიათ.

კედელზე ბევრი თაროებია. ერთ-ერთ-

ზე უშველებელი იაპონური მარაო გაუ-

შლიათ. სხვა თაროებზე შამაკაცისა და

ქალის ბიუსტებსა და მოწნულ კალათებ-

ში ხელოვნურ ღამაზ ვეკვილებს ვხე-

დავთ.

თაროების ხიღრმეში და კედელზე ბე-

ვრი დიდი თუ პატარა სარკვა.

სცენის მარჯვნივ ერთმანეთის მივოლე-

ბით ორი მომრგვალებული მაგიდა

დგას. მაგიდებზე მწვანე მუდი გადაუკ-

რავთ. თითოეულ მაგიდასთან ხუთ-ხუთი

უზურგო, მრგვალი ფორმის სკამია.

მხარმარცხნივ მავურებლისთვის უზი-

ლავი ორი ოთახია. ერთი ოთახი კრუ-

პიეებისთვის არის განკუთვნილი, მეორე

კაზინოს პატრონისათვის. ორივე ოთა-

ხის ღია კარში ფონებიანი ფარდები ჩა-

მოუკიდათ. გარეხაშყაროდან ჩამოშავა-

ლი 10-12 საფეხურიანი დახვეული კი-

ბის მოაჯირსა და კრუპიეების ოთახს

შორის დარჩენილ ადგილას მადალ პიე-

დისტალზე ნაპოლეონის ბიუსტი დგას.

აქა-იქ აღმოსავლურად მოხატულ ლა-

რნაკებს ვხედავთ. სარდაფის თითქმის

რისა თუ თეატრის ფოიეს სხვადასხვა ნიუანსების უცნაურ შერწყმას უფურცბ, ფერთაგან სჭარბობს: წითელი, შავი, სპილენძისფერი და ხასხასა მწვანე.

კრუპიე ბიჭი გამოხატული ოთახი-სკენ მიმავალ გოგოს თვალს გააყოლებს, ისევ ბანქოს მიუბრუნდება.

პრუპიე ბიჭი—(პაუზის შემდეგ)—
 ისე, კაცმა რომ თქვას, ერთობ სასაცი-
 ლო მდგომარეობაში აღმოჩნდით...
(თან ბანქოს შლის) რატომ ვიცვლით
 ტანსაცმელს ვერაფრით გავიგე... და-
 თიკოს და ცაცას ვოველდღე ჩამოყავთ
 წამლებით გამოლენებული მოსე და
 ჩვენც ვოველდღე გვიწევს კაზინოს და
 ზურვა. რომ იცოდეთ, აბესალოში სერიო-
 ზულად არის დათიკოზე აღუდებული...
 ცოფები ყარა ამასწინათ... მართლაც, აღ-
 არც მუშაობა, აღარც აღარაფერი **(ეცინე-
 ბა)** ამით თავშიც ქვა უხლიათ, მაგრამ
 მე ჩვენი ამბავი მაფიქრებს. მაქასუხე,
 რატომ ვიცვლით ტანსაცმელს! რა
 გვრჯის! თავზე ბრიოლინს ვისვამ... რა-
 ლაც სულელურ პეპელას ვიკეთებ, და-
 თიკომ და ცაცამ კი მაინცდამაინც აქ
 უნდა ჩამოვივობრძანონ მოსე დასამინე-
 ბლად... ვერ გავიგე: შინ ვერ იძინებს
 ეს კაცი? აქვე, ორი სართულით შალღა:
 არ არის ამათი ბინა? დიდი უცნაური
 ხალხია... **(ხანმოკლე პაუზა. ბანქოს
 შლის)** იმაზეც მაღლობელი უნდა იყო
 თუ დაიძინა... რამდენს ვაიღვიძებს,
 ციური ხმები ესმის... დაწვინონ, ბარემ,
 საციყეთში და ის იქნება... კაცი, ბიბლიო-
 რი მოსე ვარო, გაიძახის, ამაზე მეტი
 რა უნდა თქვას... ჩვენ კი ტანსაცმელს
 ვიცვლით და კრუპიეების სამოსში გამო-
 წყობილნი ქორიებივით დაგვიფართ წინ
 და უკან... მართლაც, მსახობებივით არ
 ვემზადებით? პეპელა-ველსაბამი... ლა-
 ქის ფეხსაცმელები... თავზე ბრიოლი-
 ნი... **(ეცინება)** ქორიები ვართ... არა,
 ქორიები არა. მასხარები... პაიაცო, კლო-
 უნ **(იციინის)** თუმცა არა, არც მასხარები
 ვართ, წამყვანები ვართ, კონფერანსიე...
 არ მოგწონს, კონფერანსიე?!

ოთახიდან კრუპიე გოგო გამოდგა. შავი
 ფერის ქვედაკაბა; შავლექსიდანა
 ლაქის ფეხსაცმელები და თეთრ პერანგ-
 ზე შავი, უსახელო ვილქტი ჩაუცვამს.
 პატარა ფორმის პეპელა-ველსაბამი გა-
 უკეთებია. თავის შავიდასთან მივა. შავი-
 დაზე შემოდებულ ხელნანთას ხსნის,
 საპუდრეს ამოიღებს.

პრუპიე გოგო — გამოუჩნდება
 ბოლოსდაბოლოს ამ კაზინოსაც ნამდ-
 ვილი პატრონა და მერე ავბუშავდებით.
 იქამდე პეპელაც უნდა გაიკეთო და ბრი-
 ოლინიც უნდა გადაისვა.

პრუპიე ბიჭი—არ მიყვარს ბრიო-
 ლინი. **(ხანმოკლე პაუზა)** მაგრამ ვველა-
 ზე უფრო, აბესალოში რომ კარაქიან ჩა-
 ის სვამს იმას ვერ ვიტან. მუქ ჩაიში
 ყვითელი ცხიმი პატარ-პატარა კუნძუ-
 ლებად დაცურავს... აბესალოში კი ამ
 ამაზრუნენ სითხეს ნელ-ნელა, დავემოვ-
 ნებით მიერთმევს.

პრუპიე გოგო — აბესალოში ცი-
 ხეში ნახდომა კაცია, იცის თავი როგორ
 შეინახოს. შენ კი ბრიოლინის გადასმა
 მოგიწევს.


პრუპიე ბიჭი — დღესაც თუ არ
 ეძუშაუვბთ, რაში მჭირდება ბრიოლინი,
 ვერაფრით გავიგე.

პრუპიე გოგო — ფონისთვის, ფო-
 ნისთვის გვეჭირდება. კონფერანსიე თუ
 ხარ, კონფერანსიე იყავი. **(წამოღდა)** ნუ
 მიფურებს, არ მიყვარს! **(ზურგს შეაქცევს
 ბიჭს. ასე იპუდრავს სახეს).**

პრუპიე ბიჭი — აბესალოში და და-
 თიკო მაგრად დაეჯახებთან ამ კაზინოს
 გამო. შენი აზრით, ვინ გაიმარჯვებს?

პრუპიე გოგო — არ ვიცი. შენ
 როგორ ფიქრობ?

პრუპიე ბიჭი — არც მე ვიცი; არც
 მინდა ვიცოდეთ და საერთოდაც, მე მხო-
 ლოდ და მხოლოდ კონფერანსიე ვარ.
 ჩემი საქმე წარდგენაა: აი, მოსე, ერთ
 დროს ძლიერა კაცი, დღეს ჭკუიდან გა-
 დამცდარი მოხუცი, რომელსაც ციური
 ხმები ესმის. აი, ცაცა, მოსხეს გარდაც-
 ვლილი შეილის მეუღლე, მთელი დღე
 ლეიბებს ბერტყავს. **(გოგოს მოხედა)** მა-



როლა, რას ბერტყავს ამდენს?! უკაცრავად, როლიდან გამოვედი. აი, დათიკო... (გოგოს შეათვალიერებს) შენ რა, ახალი ფეხსაცმელები გაცვია?

პრუპიე გოგო — მაღლობა ღმერთს! შენიშნა... ხან ჩაუვარე, ხან ავდექი.

პრუპიე ბიჭი — შენიშვნით კი შევნიშნე, მაგრამ ვიზღებამეთქი, ხომ არ მოთქვამს.

პრუპიე გოგო — რა ხაზიზღარი ხარ! აბა, რა მიხდება? ვერ ვიტან დაბალქუსლიანს. რით ვერ გაიგე, ვერ ვიტან, ვერ ვიტან, ვერ ვიტან!!!

(ხელს აიქნევს) მეც ვუსმენ რა! (გამოსაცვლელი თახისკენ წავა)

პრუპიე ბიჭი — რა დავემართა! (ოცინის) გეხუმრე. აღარც ვიხუმრო ამ ღმერთების პანთეონში?! (ოცინის) პირადად მე, უპვე აღარა ვარ დარწმუნებული, რომ კაზინოში ვართ. მართლა, მართლა! თავის დროზე კი კაზინო ვერქვა. მაგრამ ახლა უპვე აღარ ვიცი სადა ვართ. იქნებ, მართლაც მუზეუმში ვართ, იქნებ ღმერთების პანთეონში. იქნებ თეატრში ვართ, ან იქნებ სწორედ ასეთი სამყაროს შექმნა უნდოდა მოსეს, ვერ ვაგვიგო — სად ხარ, ვინა ხარ, — აღამიანი თუ ექსპონატი. თუ არ ვიხუმრეთ, მართლა ექსპონატებად ვიქცევით... შენ კი მეტუტები... (ხაილენძის აბსტრაქცია ჩაირთვება. ბიჭი ფურადღებას მიაქცევს)

რალაცა დაემართა სპეცფექტს! (მიუახლოვდა) თავისით ირთვება... რა შეიძლება იყოს? აი, ახლა თავისით გამოიერთო. არ დამავეიწყო, აბესალომს ხელოვნის მოვანა უნდა ვთხოვოთ! (იხვე მაგდას მიუბრუნდა. ბანქოს შლის) შენ რაც გინდა, აქაურობას ის დაარქვი, აბესალომი ან დათიკო რომ მზამზარეულზე მოვლენ ეგ კი ცხადია. მოსეს აღარც ვრიდებიან. მისი თანდასწრებით, ხმაშაღლა აცხადებენ ამ კაზინოზე პრეტენზიას. შეიძლება აქაურობა პატარა რეს-

ტორნად გადააკეთონ, ან კაფედ, ან რა ვიცი, საფუნთოშედ. ჩვენ კი უმუშევრები, ხელგაწვდილნი მოვაკითხავთ და სამუშაოს ვთხოვთ — იქნებ ოფიციალტი გვირდებათ? ან ასე-მზარეული ხომ არ ვნებათ? კარგად ვაკეთებთ ომლეტსა და სუპხარჩოს. არა, ჩვენ არ გვინდა სუპხარჩოს სპეციალისტი — გვიპასუხებენ ისინი, — ჩვენ ხაშის პროფილით ვმუშაობთ. არც კონფერანსიე გვირდებათ? ვიკითხავთ ჩვენ უბედურები. — კონფერანსიე მითუმეტეს არ გვკვირდება... გვიპასუხებენ ისინი და ჯახ, ცხვირწინ მოგვიხურავენ კარს. (ხანმოკლე პაუზა) შეიძლება მოსეც იმიტომ ჩამოვადის აქ ყოველდღე, რომ ეშინია ღირვით ხიზნად არ იქცეს საკუთარ სამეფოში. რითი არ არის სამეფო? მე თუ მკითხავ, ზოგიერთი სამეფო ჩვენს კაზინოზე პატარაც კია... სამეფო! სამეფო კი არა, მთელი სამყაროს ბუტაფორიაა. ვერ ხედავ, იაპონური მარაოდან დაწვებული, მარლბოროს ფირმის საფურფლით დამთავრებული ყველაფერი აქაა შემოყრილი. ან ეს ბოუსტები აიღე... პროფილში გინდა თუ ანფასში... ფრანგული სკოლა... კლასიციზმი... სამეფო, სადაური, სამეფო, მიელი ბუტაფორიული სამყაროს პრეზიდენტი იყო მოსე. ახლა კი ციური ხმები ესმის საწყალს. ამას წინათ, ჩემივე ხელით დადგმული უნდა მოვზარო, გაიძახოდა. ვერ გაიგებ, როდის რა ჭკუაზეა, ეგ უბედური. ჩვენც იძულებულნი ვართ კაზინო დაეხუროთ, რომელი კლიენტო აიტანს გიჟის გამოხტომებს თამამეს დროს. იქით აბესალომი დულდება... აქეთ ცაცა ლეიბებს ბერტყავს. ჩვენ კი უკანასკნელი დევენერატეზივით ვიცვლით ტანსაცმელს, ვშლით კარტს, მე თავზე ბრილიანს ვისვამ; შენ მაღალქუსლიანი ფეხსაცმელებით კოწიაობ, ლამაზდები ერთი სიტყვით... (ბანქო გაშალა) ეი, ყვავის ქალბატონო! მართლაც, რას ლამაზდები ამდენი ხანი?!

გამოსაცვლელი ოთახიდან კრუპიე გოგო გამოვა.

კრუპიე გოგო — რა დამიძახე?!

კრუპიე ბიჭი — (იციანს) — რა დაგიძახე?

კრუპიე გოგო — რომ დაგიშვებ ამ აფრიკულ ნიღაბს, შერეც იკითხე რა დამიძახე. გამომიწინდა ესეც... (ხელს მოუქნევს ბიჭს)

კრუპიე ბიჭი — (მოქნეულ ხელს იღაყვს ახვედრებს) — აფრიკულ ნიღაბს თავი დაანებე, რომელიღაც აფრიკული ტომის ღმერთია, არ გაგიწყრებს, შეიძლება მაიმუნად გადაგაქციოს, ან იმაღ, რა ქვია? ხო, კაკაღუღ...

კრუპიე გოგო — ყვავის ქალბატონს ნუ მეძახი.

კრუპიე ბიჭი — (გამოსაცვლელი ოთახისკენ გაემართა) — აბა, კახინოში სხვა რა დაგიძახო...

კრუპიე გოგო — დამიძახე რა უორც მაშინ მეძახდი... ზუმრობით ხომ მეძახდი ჯულის... (პაუზა) სულაც, შენი მოყვანილი ვარ აქ! (ბანქოს შლის მაგიდაზე. პაუზის შემდეგ) რატომ ვერ შედგა ჩვენი წარმოდგენა?... დირექტორი რეჟისორს აბრალებდა, რეჟისორი დირექტორს, ჩვენ კი როლებს ვსწავლობდით. როლები კი ვისწავლეთ, მაგრამ წარმოდგენა ვერ შედგა. შერე, ერთხელაც, აქ მომიყვანე, როგორ მოვიხიბლე აქაურობით, თითქოს თეატრში დაებრუნდი. ახლა კი ყვავის ქალბატონს მეძახი. კმ... ყვავის ქალბატონი... (ხანმოკლე პაუზა. ბანქოს შლის) იცი, რას გეტყვი! მართლაც მსახიობი ვარ მოწოდებით. აუცილებლად ვიღაცის როლში უნდა ვივრძნო თავი. როცა ამ ტანისამოსს ვიცვამ და ჩემს მაგიდასთან ვდგები, მეჩვენება, რომ ბედისწერას ვთამაშობ. ბედისწერა ყველაზე უფრო მშვეილია... მაგრამ ამ სამშვეიდეს, სიცივეც ახლავს თან. ამასწინათ, ერთი მთახავით კაცი ამხიბრდა, ვინდა თუ არა „ტროიკა“ უკლებს „სტრიტსო“. თვითონაც იცოდა, ტყუილად რომ ჩხუბობდა, მაგრამ აღუ-

ლდა, თავი ვერ მოთოკა, ეტყობა სუსტი ნებისყოფა ქონდა, ან მართლაც მძინარე და წყდებოდა იმ თამაშით. შენ კი ჩვენ მშვეიდ თაუდაჯერებას ბედისწერას სიცივეც შევურიე ხმაში — ჩვენ ორმოცდათორმეტიათი კალოდით ვთამაშობთ, ბატონო, აქ სტრიტი უკლებს ტროიკას, გნებავთ კიდევ დავაროგო თუ არა მეთქი. უნდა გენახა, ამხელა კაცი როგორ დაბატარავდა, დაჩიავდა, დაილია... შემებრალა კიდევ, მაგრამ როლიდან ხომ არ გამოვიდოდი. (ხანმოკლე პაუზა) ზოგიერთი შენს დასანახად, თითქოს ღირსეულად აგებს, მაგრამ საკმარისია თავის თაუთან მარტო დარჩეს და გალახული ბავშვივით უეცრად გასაცოდაუდება... როცა ჩვეულებრივი სამოსი მაიცვია, მეც მათსავით უმწეო გოგოსკად ვვრძნობ თავს. შერე ჩვენ მივდივართ, შენი სიტყვებით რომ ვთქვათ, შიგადაშიგ ვქინდაობთ, შიგადაშიგ ტელევიზორს ვუცქირით და ისეთი ჩვეულებრივები ვართ, ისეთი ჩვეულებრივები... (ხანმოკლე პაუზა) რა კარგა იყო ჩვენს თეატრში! სიცოცხლით სავსენი, სიყვარულით სავსენი... (ხანმოკლე პაუზა) არა, რაღაცა უნდა მოვიფიქრო... იცი, რა უნდა ჩავიცვა ჩემი მაღალქუსლებიანი და სკუპ, პირდაპირ შენს ლოგინში ამოვივო თავი, იქ კი მრავალფეროვნებისთვის ჯულიეტას სიტყვებით მოვმართო: „ოი, რომეო, ო, რომეო, რად ხარ რომეო?“ (ნაბიჯების ხმა. კრუპიე გოგო მონოლოგს შეწყვეტს)

ზურათი მეორე: მოსკე, დათიკო, ცაცა, ბიძინა, კრუპიე გოგო, შემდეგ კრუპიე ბიჭი.

მოსკეს მარჯვენა ხელში ვერცხლით მოვარაყებული ხელჯოხი უჭირავს, მარცხენათი დათიკოს ხელს ვერდნობა. წინ ბიძინა მოდის, მათ უკან ცაცა.

ბიძინა — ...აქ ფრთხილად! ფრთხილად, ცოტა...

დათიკო — ნუ ფაციფუცობ, მიჭირავს.

კრუპივი გოგო — სავარძელი გამო-
ვიტანო?

ღათიკო — თქვენ რატომ, ბიძინა აქ
არ არის? ბიძინა, მიდი! **(ბიძინა მოსეს
ოთახში გაეშურა)**

ღათიკო (მოსეს) — მოსე, აქ დაჯ-
დები თუ, შენს ოთახში გაგიყვანო?
მოსე!

მოსე — ჰა... **(მოსედავს)**

ღათიკო — საით გირჩენია, შენს
ოთახში თუ აქ?

**(ბიძინა მოსეს ოთახიდან ბორბლებიან
სავარძელს გამოაგორებს)**

მოსე — წინ მივეიძლოდა უფალი,
დღისით ღრუბლის სვეტში გზის ხაჩ-
ვენებლად, ღამით ცეცხლის სვეტში
გზის გასანათებლად, რათა დღისითაც
ვევლო და ღამითაც...

ღათიკო — კარგი, აი, აქ დაჯექი!
მოსე! **(ღათიკო და ცაცა სავარძელში
სკამენ მოსეს. ცაცას მიმართავს)** დაიძი-
ნებს ახლა!

მოსე — საღამოობით მწერების გუნ-
დი ახნელებდა ცას, ალიონზე ციური
მანანა ეფინებოდა ჩვენს კარებს...

**ღათიკო და ცაცა სავარძელს
გააგორებენ.**

ბიძინა — ჩემი დახმარება არ ვინ-
დათ?

ღათიკო — მანდ იყავი **(მოსეს ოთა-
ხისკენ მიღიან)**

ბიძინა — **(თვალს გააყოლებს. კრუ-
პივი გოგოს მიმართავს)** — რა კაცი იყო!
ეხ, მისი შვილის სიკვდილის მერე, თი-
თო-თითო აგურს რომ გამოაცლი დიდ
შენობას, ხომ იცი, რომ ჩამოიქცევა აღ-
რე თუ გვიან აუცილებლად... ასე დაე-
მართა მაგასაც... ვოველდრე თითო-თი-
თო აგური აკლდებოდა... ახლა, ხომ ხე-
დავ. ამ ბოლო დროს, ბიბლიას კითხუ-
ლობდა სულ ხაწყალი, გამოვიდა ოთა-
ხიდან და დიდი მოსე ვარო გამოაცხა-
და... რა გინდა, რომ ქნა... **(იციანის)** ერ-
თხელ, რა ვქენი, თუ იცი... მომივლის
ხოლმე ასე... სადღაც მიდიოდა მოსე...

თეთრი კიტელი ეცვა. აზიანდა...
წივივით იყურება აქეთ-იქით... მაშინ
მეფე იყო, კაცო... მართლა არწივივით
იცოდა გადმოხედვა... მე მაგისი ჩემო-
დანა მიჭირავს... ხო, გამახსენდა — რე-
ვიზიაზე მიდიოდა, მთავარ რევიზორად
მუშაობდა მაშინ რძეში და თაფლში...
მოკლედ, ჩავსვი, ჩემო ბატონო, დავა-
ბინავე ჩემოდანი, ამოვიღე ჯიბიდან კა-
მფეტი და ხალხის გასაგონად ვუბნები:
— ა, ბიძია, ამ კამფეტს ხომ გაძლევ?
ჭკვიანად თუ იმგზავრებ და არავის არ-
აფერს დაუშავებ, რომ ჩამოხვალ კიდევ
მოგცემ კამფეტს მეთქი... **(იციანის)** იმ
წუთას შემოვიცალა ხალხი — იფიქრეს,
გიჟიყო. მოსეც ვერაფერს მუხუნება ხა-
ლხის თანდასწრებით, მართლა გიჟად არ
ჩამთვალონ... უხმოდ ჩამოვიდა აუტო-
ბუსიდან... ჩამოვედი მეც, მაგრამ რა
მოვეცოცხე თუ იცი! **(იციანის)** მომკლავ-
და ნადღად... მე და მაგისი ცხონებული
ბიჭი ვსაყირობდით მაგ ამბავზე რამ-
დენს... ისე, შენ ვველაფერი კაი ავიხ-
დეს, როგორც მოსეს ვიფობა აუხდა...
უბედურს ამას... მაშინ კი ნამდვილი მე-
ფე იყო, გენაცვალე... ზუსტად ათი წე-
ლი არ გამოკარა, გამახსნა, ასე
ვთქვით... მერე, რის ვაივაგლახით, შე-
ნი ჭირიმე, შენ გენაცვალეთ ისევე გა-
დმოხვედა... **(იციანის)** ეხ, ახალგაზრდა
კაცის ჭკუას რა უუთხარი მე... მართლა,
კამფეტის ხსენებაზე: აი, მიირთვი!
(კამფეტს აწვდის)

კრუპივი გოგო — მაღლობთ, თქვენ
მუდამ კამფეტით მიმასპინძლებდით.

ბიძინა — არ დამიღია ჩემმა ცია-
ლამ სახლში პატარა ბავშვი და გინდა
თუ არა, სულ კამფეტი მაქვს ჯიბეში.
მიირთვი, მიირთვი, კონახურია.

კრუპივი გოგო — მაღლობთ, ჯერ
არ მინდა, მერე.

**მოსეს ოთახიდან ღათიკო და ცაცა გა-
მოვლენ.**

ღათიკო — **(კრუპივი გოგოს)** — თუ
არ შეწუხდები, ბორჯომი ან თუნდაც
ჭიქა წყალი.

კრუპივი გოგო — ახლავ.

ოთახიდან კრუპიე ბიჭი გამოვა. თეთრ პერანგზე შეპულა გაუკეთებია. შავი ფერის უსახელო ვიდეტი, შავი შარვალი და ლაქის შავი ფეხსაცმელები აცვია. თავზე ბრილიანი გადაუსხამს. ხელში ბორჯომის ბოთლი უჭირავს.

კრუპიე ბიჭი (გოგოს ანიშნებს) — არ ვინდა, მომაქვს.

გამარჯობათ!

ღამიძე — იცოცხლე!

ბიჭი — (კრუპიე ბიჭს კამფეტს მიაწვდის) — ხამაგიეროდ, კონახური მიირთვი!

კრუპიე ბიჭი — მადლობთ. (კამფეტს მავიდაზე დადებს).

ღამიძე — (კრუპიე ბიჭს მიმართავს) — ისე, თქვენ ნუ მიწვეთ, მაგრამ ამ მშვენიერი ვოკონას ხელით მორთმეული უფრო შესაძლებელია... (იციანის) მბატოლო, თუ რაიმე ისეთი ეთქვი... ცხადია, ვხუმრობ.

კრუპიე ბიჭი — არა, რას ბრძანებთ.

ღამიძე — ხუმრობით კი ვხუმრობ, მაგრამ გულწრფელიც ვარ... არც უშავისობაა...

ბიჭი — (შვეთრად გამოხატული აქცენტით) — В каждом шутке доля правды!.. (იციანის).

კრუპიე ბიჭი — (არ ხიამოენებს მისი სიცილი. უფრო ამიტომ) — ვაგიჟდება აბესალომი.

ღამიძე — რა ვაგიჟებს? (ხრათი რეაქცია)

კრუპიე ბიჭი — აი, მოსებუ! ვეღარ ვმუშაობთ და ...

ღამიძე — (ცაცას მიხედავს) — კაცო, ეს კაზინო მოსესი არ არის? (ხანმოკლე პაუზა) ცაცა, ხომ არ მეშლება რამე?

ბიჭი — რა უნდა გეშლებაოდეს, დათო...

ღამიძე — ვინ არის აბესალომი? სად არის, აბა, მანახეთ. იქნებ აუღადა და დაეღობოვა მოსესს, მაშინ გასაგებია. წინააღმდეგ შემთხვევაში, არ შესძის... (ფაცასკენ) მეშლება?

ბიჭი — არა, დათო... (ფაცასკენ) მეშლება...

ღამიძე — რა მაგრამ, კაცო, ლოგიკა ხომ არსებობს. კაზინო მოსესია.

აბესალომი დაქირავებულია. ახლა, აბესალომი აუადმყოფ კაცს წილს გამოჩინა, ეგ სხვა სალაპარაკოა... მაგაზე მერე ვილაპარაკოთ... მაგრამ მე ერთი რამე არ შესძის. მოსე თავის ფართზე, თავის ტანჯვა-წვალებით შექმნილ სამყაროში დასასვენებლად ჩამოდიოდა და აბესალომი წინააღმდეგ იყო? რა შუაშია აბესალომი?! აბესალომი კი არა, ამ აუადმყოფ კაცს რა ვუყოთ, ის არის საფიქრალი. რა ვქნათ, ცაცა მითხარი!

ბიჭი — უფროსი კაცი შენა ხარ, დათო, კეკეა შენ გეკითხება, როგორც იტყვი, ისე ვაგაკეთოთ...

ღამიძე — გეტყვი, რასაც ვფიქრობ. გეტყვი... (ხანმოკლე პაუზა) აღარ არის დასაძალი რომ ჩემი საწყალი ძმა... მოკლედ გასაგებია... მკურნალობას საჭიროებს... ამას მე ვიღებ ჩემს თავზე... მოსეს არაფერი არ მოაკლდება. მაგრამ, მე, ჩემო ცაცა, აბესალომის ხელისშემყურედ შენ ვერ დაგტოვებ. არ ვენდობი აბესალომს და მორჩა... (ჯობიდან რაღაც საბუთს იღებს) აი, მეურვეობის საბუთი. ახლა, კანონიერი მემკვიდრე, ანუ...

ბიჭი — (ხელებს გაახვავებს) — მე ნუ გამრევ, მე არაფერ შუაში ვარ... შენ და აბესალომი, შენ და აბესალომი გაარკვეით.

ღამიძე — მაგას რა მნიშვნელობა აქვს. ვინდა ჩემს ბიჭზე, სულხანაზე გადავაფორმოთ? მთავარია, რომ ერთ ოჯახად ვიქნებით... (ხანმოკლე პაუზა) მოკლედ ჩვენი ბიჭი, ამ საბუთით ხელში წავა სანოტარო კანტორაში, წერილს მიგიწერ, ბიჭი, ჩემი კაცია იქ... (კალმისტარს ამოიღებს უბიდან, წერილს წერს, თან საუბრობს) ყველაფერი მოხდება ოფიციალურად, კანონიერების ფარგლებში. უკანონობა, მაიმუნობა და ყანალობა აბესალომის საქმეა. მაშინაც ვაფრთხილებდი, მაშინ, თმებით რომ ითრია

ცხოვრებამ: ახსალომ! მეამბოხე სული გაქვს, რასაც შენ აკეთებ, არაღის შერჩენია, არც შენ შეგვრჩება შეთქი. არ დამოჯერა. მერე რა, რომ ხელისუფლების წარმომადგენელი ვარ, მერე რა, რომ ბიძაშვილის შვილია, ნათესავს კი არა, საუკაცო საქმეზე შვილს არ დავეხმარები... (ცაცას მოხედა) რა ვქნათ, ცაცა მოვიქცეთ ასე, თუ ტყუილად ვწერ ამ წერილს?

ცაცა (ერეში ადგება თვალზე) — პირველად რომ შემომიყვანა ჩემმა ქმარმა ამ ოჯახში, ჩემი ცაცა გოგო იქნებო, მითხრა... უბედური ეგ... უბედური... მოსეს შერქმეულ სახელს ვატარებ დღემდე. ხომ გახსოვთ, ჩემი ქმარის გინება, — შენი უცხოტომელი დედაო — რომ მეტყოდა... მოსე შკაცრად გადახედავდა ხოლმე... შენც იცი, დათიკო, მამაჩემს არ უნდოდა ეს ქორწინება, მაგრამ მოსეს ეინ რას გაუბედავდა. მომხეზია ხელი და ჩემი ცაცა გოგო იქნებო მითხრა. მოსე იყო ჩემი დამცველი, ჩემი მამა და ჩემი ნათლია... სიკვდილი რა, უკვე ასაკშიც არის, მაგრამ სიგიჟე?! საწყალი ეგ, საწყალი... უბედური...

დათიკო (ბიძინას გაუნჯის წერტილს, ბიძინა გამოართმევს) — კარგი, აბა, მოდი ჩემთან... მოდი, გენაცვალე... მომეცი ხელი... შენ რომ მოსეს რძლია გაუწიე, ქალიშვილი ინატროს კაცმა... ასე ვიყოთ... ასე, ერთ ოჯახად...

ცაცა — საწყალი... საწყალი... სიკვდილი რა... მაგრამ სიგიჟე?! ეხ...

დათიკო — ნუ ამბობ მაგ სიტყვას... მოველება ვეღლაფერს... ცალკე პალატა... ცალკე ექიმი... მოველება, დამიჯერე, მოველება...

ცაცა — წავალ. (თვალს იმშრალვებს) ლეიბები მაქვს აივანზე გამოფენილი... მარინასაც გააფრთხილებ, ნემსის ვაკეთების დროს არსად გაუხვიოს... ხომ იცი, უყვარს ვახვევა-გამოხვევა... (მიდის).

ბიძინა — ცაცა! იქ, სამხრეთულში ჩინთა დავდევი... ცილამ ცილამ... საწებელი გამომატანა შენთვის.

ცაცა — მაღლობთ, ჩემო ბიძინა... (კიბს აუყვ. თვალს მიუფარა.)

ბიძინა — ისე, მართლა ცოდვა ქალია ეს ცაცა, კაცო... შვილიც არ დარჩა ამ უბედურს... უფრე მოსეს ოცდაოთხი საათი, რავარია... მერე, წესიერი ქალი, პატიოსანი... სულ ახალგაზრდა დაქვრივდა, მაგის ადგილას, ქალი თუ არ გაბოზდებოდა, კაცს მაინც გაიჩენდა... აპაპაპა... ბოლომდე პატიოსან ქალად დარჩა... (იცინის) კი, ასე ავინებდა მოსეს ბიჭი, შენი უცხოტომელი დედაო... ასე იცოდა ცხოვრებამ... ცაცას მამა მაგ ქორწინებას გადაყვა, რომ იცოდე შენ... მოსესაც ვერაფერი გაუბედა... აქეთ ქალიშვილის დარდი კლავდა... დედამისიც მაგას მიგვა მერე... რა უკავს ახლა ცაცას უცხოტომელის?!

დათიკო — ნახე ის წერილი. ცოტა გაკრული ხელი მაქვს, გააჩვენე მისამართს?

ბიძინა — დათიკოს ვენაცვალე. შენ ხელს როგორ ვერ გაეარჩე... (პაუზა) დათიკო... (პაუზა) ჩემს საქმეზეც რომ შეგეარა, გადაიღო ძალიან, დანიშნავენ ვილაცას და რა ვქნა მერე, რა ვუყო ამ ჩემს დამშეულ ბავშვებს...

დათიკო (ხელს ჩამოიხედავს სახეზე) — ხო, ხო... აუცილებლად... (პაუზა) ასე გავაკეთოთ, შენ წადი ნოტარუსთან, მე ჯერ მოსეს ამბავს გავარკვევ. მერე შენს საქმეზეც გამოვივლი და აქ შევხვდეთ...

ბიძინა (ველს გაიწვდენს) — დათიკო, ა, შეხედე!... შემხედე, როგორ ვიხიო... ა, ასე...

დათიკო (ვეინება) რად მინდა შენი ველის გაწვდენა...

ბიძინა — არა, მომისმინე... შეიძლება, მაგათ, კვალიფიკაცია არა აქვსო ვითხრან... დათიკო, შენ არ უნდა გაკადრონ... შენ, შენ არ უნდა გაკადრონ და სხვას კი... პირადად მოვაყენებენ, იცოდე, შეურაცხყოფას, ჩემს კვალიფი-

კაციაზე თუ ვაკადრეს სიტყვა... ასეთი საქმეები გაუკეთებიათ?... შიშასუხე!.. ა, შემხედვე, დათიკო, კიდე ასე გეხვეწები!.. (ყელს გაიწვდენს).

დათიკო - კარგი, კარგი...

ბიძინა - ხო, დათიკოს ვენაცვალე, ხელისუფლება შენა ხარ და, კაცობა შენ არ გეშლება...

კიბეზე აბესალომი ეშვება.

სურათი მისამი: დათიკო, აბესალომი, ბიძინა, კრუპიე ბიჭი და კრუპიე გოგო თავთავის მაგიდებთან ბანქოს შლიან და საუბრობენ, მაგრამ მათი ხმა მკუერებლამდე ვერ აღწევს. შეიძლება ითქვას, ისინი მეორე პლანზე არიან

დათიკო (ხალისიანად) - აბესალომი!

ბიძინა - აბესლომს ვაუმარჯოს! აბესალომი ცუდ გუნებაზე ჩანს. მძიმედ ესალმება დამხედურებს.

დათიკო - როგორა ხარ, აბესალომი!

აბესალომი - ცაცა შემხვდა... მოსე ჩამოვიყვანიათ...

დათიკო - ხო, ჩემს სარდაფში მინდაო... რას იზამ, ავადმყოფი კაცია.

აბესალომი - მერე, ავადმყოფების აღვილი არ იცით, სად არის? რამდენი ხანია გაჩერებული ვარ... კაზინოა, სავიყეთი ხომ არ არის, არა?!

დათიკო - დავაწვენთ, აბესალომი, როცა იქნება...

აბესალომი - როდის, მაინც, როდის დავაწვენთ... თუ არა და ექიმების მეტს რას ვიცნობ, მე დავაწვენ სულაც...

დათიკო - კარგი მეთქი, ხო... ყავს მაგ კაცს პატრონი... ზედმეტს ნუ იტყვი...

აბესალომი - რა ზედმეტი, რის ზედმეტი! უნდა ვიმუშაო თუ არ უნდა ვიმუშაო, გამავებინე!..

დათიკო - როცა საჭირო იქნება იმუშაებ, როცა არ იქნება საჭირო, არ იმუშაებ...

აბესალომი - (დააკვირდა) - ეახ!.. შენ უნდა გადამიწვევითო არა, როდის ვიმუშაებ და როდის არა?!

დათიკო - აბესალომი, მახე ნუ შელაპარაკები!..

აბესალომი - აბა, როგორ უნდა გელაპარაკო... რა, მმართებს შენი რამე, თუ რა... რა ენითაც შენ მელაპარაკები, მეც იმ ენით ვპასუხობ... მითხარი, მმართებს შენი რამე? მითხარი კაცურად, ერთ რამეში დამჭირდი, შე კაი კაცო, და მაშინაც არაფერში გამომადექი... ბიძად შეკუთენი, ვითომ...

დათიკო - შენ სტილიაგობას დააბრალებ...

აბესალომი - რა სტილიაგობას?

დათიკო - რას და ამხელა საქმეზე მიდიოდი და მხრებამდე თმა გქონდა გაშვებული... იმ პენსიონერმაც ამოვიცნო... სტილიაგობა არ არის?

აბესალომი - აი, იმ პენსიონერის დედაც და ვისაც კიდე საპენსიო ასაკმა მოუკაკუნა, იმათი დედაც, თუ მაინცდამაინც ჩემი ვინება ვინდა გაიგო... ვითომ არ იცი, რაზეც მაქვს ლაპარაკი... მე მართალი კაცი ვარ, დათიკო, ზოგიერთებივით არ დავმელაკულობ... პირდაპირ გეუბნები, ამ კაზინოში სისხლა მაქვს ჩაღვრილი, ხომ გაიგე!.. მე რომ არა, მოსეს ქუნა შეჭამდა... ჩემი ავტორიტეტით, ჩემი ავტორიტეტით...

დათიკო (აწვევტიანებს) - რა ავტორიტეტი... რას წარმოადგენ ბოლოს და ბოლოს...

აბესალომი - მე რას წარმოვადგენ?

დათიკო - ხო, შენ... რას წარმოადგენ, რას ბაქი-ბუქობ... სულ დაკარგე ზრდილობა?

აბესალომი (მიდის) - ვანახებ, რასაც წარმოვადგენ!!!

დათიკო - მასეთი ლაპარაკით ბევრს ვერაფერს მოიგებ, აბესალომი!

აბესალომი - (შემოტრიალდა. ეი-დეჰ უფრო გაცეცხლებული) - მოგება-წაგებაზე შენმა სულხანმა იაროს თავის ღუქანში, ჩემს ცხოვრებაში მოგება-წაგებაზე არ მივლია, სიმართლით ვიარე...

დათიკო - სულხანთან რა ვინდა, რა, ვაჭარი რომ არის? რა მოხდა მერე...

აბესალომი (აწვევტინებს) — ხო-
და, სულხანამ იაროსმეთი მოგება-წა-
გებაზე, მე კა ჩემი გზით ვივლი... მე
რაც მეკუთვინის, ჩემია, ამ სიმართლით
ვიარე და ამ სიმართლეს თავსაც შევა-
კლავ...

ბიძინა — როგორ გეკადრება, აბე-
სალომს ვენაცვალე!...

აბესალომი (მოუტრიალდა) — ეს
ვინ არის? შენ ვინა ხარ, საერთოდ...
მოდი, მომხედე ერთი, იქნება გიცნობ
და უცებ ვერ გაგიხსენე!... შენ ის არა
ხარ, ერთხელ, ღოდნაშო რომ მომიტა-
ნე... ხომ არ მეშლება?! გახსოვს, რა პა-
სუხი გაგეცი, შე მართლა ღოდნაშო,
შენა... ჩამერია ესეც...

დათიკო — აბესალომ! თავს წაა-
გებ, აბესალომ!...

აბესალომი — იცი, რას გეტყვი,
დათიკო... შენი ტაბელური იარაღის მე
არ მეშინია... იარაღზე თუ მიდგა, გაუ-
ბიცა უდევს ქუჩას ჯიბეში... ასე მით-
ქვამს მე შენთვის... **(მიდის)** ჩემს პრინ-
ციპზე უარს ვერაფერს მათქმევინებს...
რაც მე მეკუთვინის ჩემია, სადაც მე ვარ,
იქ მე უნდა ვიყო... დამიხსოვრეთ ერთ-
ხელ და საშუალოდ... **(ხკამს ფეხს ში-
არტყამს)** ჩამოეთესლებიან ვიღაც ღო-
დნაშოები... **(მიდის)**

ბიძინა — **(მას შემდეგ რაც აბესა-
ლომი გავიდა)** — ნათესავი შენ არ იყო-
დე! **(გადააფურთხებს)** შევარცხვინე შენი
კაცობა!.. რა მაკადრა, თუ გაივსე?

დათიკო — **(წამოღება. პაუზის შემ-
დეგ)** — მაგან რა იცის, რა ხდებოდა
ჩემს გულში მაშინ, ფეხი რომ
წაუცდა... არ დამიჯერა. არ დამიჯერა
და ცხვირიც წაიტეხა. ახლა მოკლედ
იკრეჭს თმას, მაგრამ, სამწუხაროდ, მა-
ინც „სტილიაგა“ დარჩა... „სტილიაგას“
ხელში, გაუბიცა კი რა... **(საათზე დაი-
ხედავს)** წავედი, ბიძინა, როგორც ვით-
ხარი, ისე გააკეთე. აქ შევხვდებით.

ბიძინა — კი, დათიკოს ვენაცვალე.
შენი ხათრით, ჩემო დათიკო, თორემ
შვილებს ვფიცავ...

დათიკო (მიდის) — **(კარგად ნუშქი
ვრნეთ მაგაზე... შიშლინოთქა)**

ბიძინა — დათიკო! **(დათიკო მოხე-
დავს. ბიძინა ველს გაიწვდენს)** ა, ხე-
დავ?!
დათიკო ხელს ჩაიქნევს, მიდის.

ბიძინა — **(კრუპიე ბიჭს მოუტრიალ-
და)** — უზრდელი ვე... ვინაა, გელაპარა-
კები მე შენ, აბესალომი?! რას ემართლე-
ბა დათიკოს? ერთი ნაქურდალი, ნახიშ-
ტარი, ყოვლად გათანხირებული პირო-
ვნება. მიპასუხე, თუ კაცი ხარ, რას
ემართლება დათიკოს.

კრუპიე ბიჭი — **(უხერხულ მდგომა-
რეობაში ვარდება)**... მე ვერაფერს გე-
ტყვიო.

ბიძინა — მართალი ხარ. ეს ოჯახის
საქმეა, მაგრამ რა იყო ახლა ეს, რა სა-
ქციელი იყო, ფეხის მირტყმა სკამზე.
მოდი და დამარტყე ბარემ... მაგრამ ნა-
თესავი მაგან არ იცის და გახრდა მაგას
აკლია... მე მეძახის ღოდნაშოს... მე თუ
ღოდნაშო ვარ, მაგი ნაბიჭვარია სუ-
ლაცი!... დიახ, დიახ, ნაბიჭვარი... არ
იცი, მაგათ ოჯახში რა მოხდა? აბესა-
ლომი დაბადებული არ იყო, ისე წავიდა
მამამისი სახლიდან. წავიდა და სურათი
არ დატოვა თავისი სახლში, რატომ,
გვეითხები?! ბავშვმა არ უნდა იცოდეს,
მამა როგორ გამოიფურება? სახლში კი
არა, ნათესავებს დაუარა კარდაკარ,
სადაც თავისი სურათი ნახა, ყველა მო-
ხიკა და ისე წავიდა კაცი... ვითხრა, რა-
ტომ ქნა ასე! **(მაგიდაზე გადაიწვია)** და-
თიკოზე იეჭვიანა... **(უფრო ხმადაბლა)**
დათიკოს და აბესალომის დედას შორის.
ხანამ ის ქალი გათხოვდებოდა, იქამდეც
ყოფილა რაღაცა... ცხრაშეტი-ოცი
წლის იყო მაშინ დათიკო, რკინას კუნტ-
და... შეიძლება აბესალომი დათიკოსიც
კია... აბა!.. ხომ ჩამოგვავს ისე? ვერ ამს-
გავსებ?! **(წელში გასწორდა)** მე მეძახის
ეს ღოდნაშოს... ვყოფილიყავი მამამისი
აუპურელებდი ერთი ქამრით... **(პაუზის
შემდეგ)** ვანა რა, მე რა ჩემი შვილი
შვილიდან ერთი დათიკომ დამიბინაუ.
და ერთიც აბესალომმა... მაგრამ სიმა-

როლე მიყვარს მე... ხომ ვარ პატივსაცემი აბესალომისაგან, მაინც სიმართლეს ვიტყვი! გათახსირებული კაცია აბესალომი... აი, ასე... მოატყუა მოსე! ჩაუჯდა წილში!.. მოსე თავის ჭკუაზე ყოფილიყო, მაგას ახლოს გაიკარებდა? ამ ცხოვრებას რა ვუთხარი, რკინასაკოთ კაცი ხელისხატარებელი შეიქმნა. არწივით იცოდა აქეთ-იქეთ გადახედვა... ახლა?! ეხ... (პაუზა) ამასწინათ რა კათხრა, თუ იცი?! (იცინის) მოკონსულე და მომიხმოს ასე, — თითისდაქნევით, პივედი. საზარდულქვეშ ამომიდე ხელით... (იცინის) კი გამკრა თავში ცუდად, მაგრამ ვერ მივხედი ვერ, მერე, რომ გამიმეორა, ბიძინა, მოდი საზარდულქვეშ ამომიდე ხელით და რომ ვკარი მიწას ფეხი, ორ წუთში სახლში აღმოვჩნდი... (იცინის) მოსეს ბებერ კვერცხებში თუ არ ამოვდე ახლა ხელი... (იცინის. გადამდები სიცილი აქვს, გოგო-ბიჭიც აყვება სიცილში) ცუდად ნუ გამიგებ... ბიძად მერგება... ფეხს დაგბან ადამიანურად თუ მეტყვი სიტყვას, მაგრამ ამან ნამეტანი მოითხოვა... (იცინის) ჩემთვის ვიფიქრე, გეყოფა, მოსე, რაც შენი ჩემოდნები მაქვს ნათრევი, ის იკმარეთქო... (იცინის) საიდან მოიტანა ეს საზარდულქვეშ...

პრუპიმ ბიჭი (იცინის) — ეგ ბიბლიიდან არის, აბრაამმა თხოვა თავის მორჩილს ერთგულების დასამტკიცებლად.

ბიძინა — მივხედი, მივხედი მერე, რაღაც მაგისთანა რომ იქნებოდა... ბიბლიის კითხვა გააჩადა ამ სიბერეში და... ეხ, მოსე, მოსე... მისი ბიჭის ამბავზე დაემართა ეს სივიფე... წარმოიდგინე, დიდი, მაკარი შენობა, აძრე ყოველდღე თითო-თითო აგური, ხომ დაანგრევ ბოლოს, ჩამოგვექცევა ხომ თავზე... მოსესაც ასე დაემართა... დარდმა და ფიქრმა შეჭამა... უყვარდა ძალიან, ლაღად ზრდიდა... ისიც აწყვეტილი კაცი იყო ცხოვრებული, ქეიფი უყვარდა, რაღაცას რომ ჩაითქვამდა, არ არხეობს არ გაეკეთებინა. ცაცაც ასე მოიყვანა, მოკრა სად-

ღაც თვალი და სანამ არ მოიტაცა, ვერ მოსხენა იქამდე... მას მერე ცაცაც კონების მეტი ქმრისგან არც გაუგია არაფერი, რატომ მოგკარი თვალიო, გაგიგია ასეთი? მარა ამნაირი კაცი იყო და... რამდენჯერ გაეაფრთხილე, რამდენჯერ, ნახვამი ნუ დაჯდები მანქანაზემეთქი, მარა, ხომ გუბნები, თავისნათქვამა კაცი იყო... დაღედა, იქეიფებდა, ჩამოუწვედა ფანჯარას მანქანაში, გაყოფდა თავს და ბოლომდე იცოდა გაზზე ფეხის მიჭერა... თავისუფლების გრივალი ვარო იტყოდა ნახვამი. ე, თავისუფლების გრივალი... უკიაზუა ახლა. ცხოვრებული... არა, არა, ამ ოჯახში დათიკოს ფასი არ დაბადებულა და არც დაიბადება, შე მგონი... (მაგიდაზე გადაიხრება) ჩემს საქმეზე ჩალიჩობს ახლა და თუ გამოვიდა... (სამჯერ გადააფრთხებს) თვალი არ ეცეს! შე ვიცი მერე თქვენი პატვიისცემა, კომფეტს კი არა... კიბეზე გელოდი ეშვება. მსუქანი კაცია, რკინიგზელის ფორმა აცვია. ხელში სათამაშო მატარებელი უჭირავს.

სურათი მართხმ: ბიძინა, გელოდი, კრუპიე ბიჭი, კრუპიე გოგო. (ბიძინა კიბეს დააკვირდა) — ამას ვის ვხედავ! გელოდის ვენაცვალე, გელოდის!..

გელრდი — გამარჯობა ბიძინა... (კრუპიეებსაც ესალმება)

ბიძინა — აი, კაცი... ნათესავი ამას არ ეშლება და ახლობელი...

გელრდი (სკამზე ჩამოჯდა) — კარგი ახლა, ნუ იცი შენ ნამეტანი... როგორა ხართ სახლში, ციალა, ბავშვები, ხომ კარგად?

ბიძინა — რა გევიჭირს, ვართ ასე: თქვენსკენ ხომ მშვიდობა!

გელრდი — მშვიდობა... (პაუზა) არველოდი ჩამოვიფვანე, ექიმს მინდა ეაჩვენო...

ბიძინა — რაღა მშვიდობა, შე კაცი, რა ჭირს ბავშვს, საღა?

გელრდი — მარიამთან დაეტოვე. სადგურთან რომ ცხოვრობს. დაიღალა ცოტა...

ბიძინა — რომელი მარიაში?

გალოდი — ნათესავია ჩვენი...

ბიძინა (თოქოს გაახხუნდა) — ვიცი, ვიცი, ვიცი... კი... ახლობლები ვართ... მერე, რა ჭირს, რა დაემართა?

გალოდი — როგორ ვითხრა, შენც კი იცი, სიბერის შვილია... მართლა აღარ მქონდა იმედი, ტყუილად კი არ დავარქვი არველოდი... სუსტი ბავშვია... ცოტა სიარულიც უჭირს...

ბიძინა — კარგი ახლა, თქვი, ამოღერდე...

გალოდი — (პაუზის შემდეგ)... ხილვები აქვს.

ბიძინა — ხილვები? შენ ბედი გქონია, ძმობას გეფიცები... მე შვიდი შვილი მყავს და ერთს არა აქვს ხილვები, მაგათი პატრონი დედა რა ვთქვი... ხალხი ფულს აკეთებს მაგაზე დღეს... მე რა ვთქვა; ამ უპატრონოების გადამკიდემ, თორემ შენ აგიწყვია საქმე... რას ხედავს, მაინც?

პაუზა

გალოდი — ცეცხლს ხედავს.

ბიძინა — (რადაც უფრო მნიშვნელოვანს ელოდა) — ... სხვა?

გალოდი — სხვა რა ვითხრა... ცეცხლს კი ხედავს. უფართოვდება ასე თვალები, ფითრდება სულ. მამა მოუკვდეს მაგას...

ბიძინა — კაი, კაი, განერდი... რა ცხვირ-პირი ჩამოგტირის, დათიკო ექიმს კი არა, გაუჩინელს გაგინენს. ჩვენც ნათესავეები ვართ, მაგრამ თქვენ მოლაღ სისხლი და ხორცი არ ხართ?

გალოდი — არ გამწირავს ღმერთი მგონია... ამ სიბერეში მანუქა და...

ბიძინა — გაგწირავს კი არა, ის არ გინდა... რადაცა შეგონა მეც... ეგ არაფერი (კრუპიუებისაკენ) ეს არის უნიკალური კაცი. ზომ არ არსებობს, ვინმეს ან ჭირში დააკლდეს ან ღზინში. დააჯდება თავის პარაოზს და მთელი რესპუბლიკის მამულებით მოგზაურობს...

(იცინის) ფულს ეს ბილეთში არ იხდის და არაფერი, რკინიგზელია. თანაც ყველა დღესასწაულზე მისალო-

ცი ბარათი გამოწერილი მანუქის ნაშთებს — ძვირფასო ბიძინა! ძვირფასო ცილა ჩემს ცოლს ჰქვია, მერე ჩემი შვიდივე შვილის სახელს ჩამოთვლის, მაგათი სახელები მე მავიწყდება, მაგ უპატრონობას, ამას ახსოვს...

გალოდი — მახსოვს! აბა, რა უნდა მახსოვდეს? (სახაცილოდ შეიცხადა)

ბიძინა — მაგაშია საქმე, ჩემო გელოდი, მაგაში...

გალოდი — მე გეტყვი შენ, რაშიცაა საქმე.

ბიძინა — მითხარი, აბა, მითხარი.

გალოდი — რა და, გიყვარდეს უნდა შენ. ნუ თხოულობ სხვისგან სიყვარულს... შენ გიყვარდეს... (გაფიცხდა)

კაცო, რა არის ამაზე იოლი, გამაგებინე ერთი!... გიყვარდეს შენ და ნუ ეტბ იმას უყვარხარ თუ არა... რატომ უნდა უყვარდე, ახლა, მაინცდამაინც, შენ ვილაცას... რატომ გინდება ეს ფიქრი თავში... აწი, შენ შეიყვარე ჯერ, შენ მიეცი მაგალითი, და იმან, თუ არ შეგიყვარა ზო, მის თავს დააბრალოს, მას აკლდება შენ კი არა... თუ არადა, იფიქროს იმანაც ასე და ზომ დალაგდება მერე ვველაფერი... რა არის, ახლა, ამაზე იოლი... (გონს მოეგო) აუპ, როგორ გაფიცხდი... სულ გამოვპრუტუნდი ამ სიბერეში... უკაცრავად... მაპატიეთ, ბიძიებო! (კრუპიუებისაკენ).

ბიძინა — კარგი კაცი ხარ შენ, გელოდი, კარგი...

გალოდი — ნუ იცი შენ ნამეტანი.

ბიძინა — სიმართლე მიყვარს მე...

გალოდი — მოსე როგორაა, ის მითხარი, ვერ გავიგე კარგი ამბავი, იმიტომ შემოვიარე ჯერ აქეთ, მოვემზადები მეტი.

ბიძინა (იცინის) — მოსემ კინაღამ უკადრებელი მაკადრებია ამ სიბერეში.

გალოდი (კრუპიუებისაკენ) — რას ამბობს ეს კაცი?

ბიძინა — რა და საზარდულქვეშ ამომიღე ხელიო. (იცინის).

გალოდი — საზარდული რაა?

ბიძინა (ხელით ანიშნებს) — კითხე მოსეს... (იციხის)

გელროდი — (ძიხვდა) — ოხ... (პაუზა) ასე არის?

ბიძინა — კი.

გელროდი — ექიმები რას ამბობენ?

ბიძინა — ... მე თუ მკითხავ, ტყუილია მაგის გამობრუნება... წამლების ქვეშ რომ არ იყოს, მთლად დაღუწავდა აქაურობას... გიჟებს ხომ იცი, როგორი ძალა აქეთ... ჩემი ხელით უნდა მოვსრა, ჩემს მიერ დადგებული — გაძიხის... რა ექიმი უშველის, ახლა მაგას... ციური ხმები ესმის... ბიბლიური მოსე ვარო, ამბობს... დათიკო კი უპირებს სააფადმყოფოში დაწვევას, მაგრამ რა ეშველება ვერ გეტყვი... აგერაა ისე, მიდი, დახედე...

გელროდი — სად, აქ?

ბიძინა — იქით, თავის ოთახში.

გელროდი — მერე, არ გაიკვებდა ჩვენს ლაპარაკს?

ბიძინა (ხელს ჩაიჭნევს) — აწი, სულერთია მაგისთვის... მარტო ის ხმები ესმის...

გელროდი — (მოსვს ოთახისკენ გაეშართა) — ბიჭო, ბიჭო, ეს რა მითხარი...

ბიძინა — (თვალს გააყოლებს. პაუზის შემდეგ) — არ მიფიქრავ რკინიგზებზე. მაგათზე გაფუჭებული ხალხი არ არსებობს... (ხანმოკლე პაუზა) გელაპარაკები, დღესასწაულს არ გამოტოვებს, ატკრიტკა არ გამოჰგზავნოს. ატკრიტკა რაა, იჭმევა ეს ატკრიტკა თუ ისმევა. დათიკოს ამის დამთხვეული არველოდი უნდოდა?

(სამ-ოთხჯერ გაისმება დაგებული, გახსროლისმაგვარი ხმა. ბიძინა შეცბა) ოხ, ცაცა, ცაცა! რა ძალა აქვს მაინც ამ გაღუულ ქალს! ეს რომ ღვიბების ბერტყვას დაიწვებს, კაცს ომი ეგონება... ე, კიდე... მანახე ერთი, რა სათამაშოა! (სათამაშო მატარებელს გამოართმევს კრუპიე ბიჭს. ათვლიერებს) ამას თუ კიდე პარაოზი აკლდა და... ოთახიდან გელოდი გამოვა.

გელროდი — ძინავს... საწყალი, კაცო, საწყალი... როგორ ჩამომხმარა ბიძინა — (სათამაშო ანიშნებს)

სად იყიდე ეს, გელოდის ვენაცვალე...

გელროდი — აქეთ, გზაზე, უნივერსიტეტში. ვპირდებოდი არველოდის ახალ მატარებელს და... ხომ კარგია?

ბიძინა — კაი ფულიც ეღირება ეს...

გელროდი — ფულს არ ენაღვლობ, რაღანდ ამისთანა ვნახე... თამაში გვაქვს მე და არველოდის... დაეჯდებით, ვითომ, მატარებელს და ემოგზაურობთ... ხან აფრიკაში ვართ, ხან ინდოეთში...

ბიძინა — მერე, თქვენი პარაოზი ოკეანეზეც დაცურავს? გემი გვეიდა, შე კაცო... (იციხის)

გელროდი — კი, დაცურავს... ჩვენი მატარებელი ცაშიც დაფრინავს, რაკეტასავით...

ბიძინა — ავიწყვიათ საქმე... ეს მითხარი, ცაცას ღვიბების მერტყვაზეც ვერ გაიღვიძა მოსემ? (იციხის)

გელროდი — ბიჭო, ბიჭო, როგორ გამხდარა, კაცო, როგორ... ავიღეთ მალა, ცაცას ნახვაც მინდა...

ბიძინა — ცაცასთან შენ ადი. მე ნოტარიუსთან უნდა წავიდე.

გელროდი — კაი აბა. (სათამაშოს კრუპიე ბიჭს აწვდის) ამას დაგიტოვებთ, ბიძიებო... მაინც უნდა ჩამოვიდე... მოსე მინდა ვინახულო... (კრუპიე ბიჭი სათამაშოს გამოართმევს) წავიდე, წავიდე... (მიდიან) რა კაცი კაცო, რა კაცი... ჩამომხმარა სულ...

კიბუხე კაცი ჩამოდის ვიოლინოს ფუტლიარით ხელში. ერთმანეთს ხედებიან. კრუპიე გოგო უცხო ადამიანის დანახვაზე გამოიცოცხდება. მისკენ გაემართება.

სურათი მხსუთი: კაცი ვიოლინოს ფუტლიარით, კრუპიე გოგო, კრუპიე ბიჭი.

პრუპიე ვოვო — არა, არა, კაზინო დაკეტილია...

პასი ვიოლინოს ფუტლიარით — ერთი წამო, მხოლოდ ერთი წამო...

პრუპიე ბიტი — დაკეტილია, ბატონო, რა ახრი აქვს ერთ წაშს.
კაცი ვიოლინოს უშტლიარით — არა, სათამაშოდ არა... (იციანის. ცდილობს გოგოს კთილგანწყობა დაიშახუროს) თქვენ, ალბათ, ჩათვალეთ, რომ სათამაშოდ ჩამოვედი, არა? მე, საქმიანი წინადადებით... დიახ... ჩემი ახალი იდეით... ნოუ ჰაუ, უცხოურად რომ ვთქვათ...

პრუპიე გოგო — გისმენთ!
კაცი ვიოლინოს უშტლიარით — უკაცრავად, მაგრამ მე აბესალომთან მომასწავლეს.

პრუპიე გოგო — აბესალომი არ გახლავთ.
კაცი ვიოლინოს უშტლიარით — სამწუხაროა... (ხანმოკლე პაუზა) ისე, აქ აბესალომი წყვეტს საქმეს?

პრუპიე გოგო — რა საქმეს?
კაცი ვიოლინოს უშტლიარით — უფროსი ვინ არის, ასე ვთქვათ...

პრუპიე გოგო — აბესალომი ერთერთი უფროსია, კაზინო კი მოსახეი გახლავთ. თქვენ რა გნებავთ?

კაცი ვიოლინოს უშტლიარით — კაცმა რომ თქვას, იქნებ თქვენც მირჩიოთ რამე. (ვიოლინოს ფუტლიარს მკერდთან მიიხუტებს) ჩემთვის ეს ახალი სფეროა მაინც... ხულ ბოლოს შხამებზე ვმუშაობდი. შხამებამდე ხელოვნების ნიმუშებს ვყიდდი.. თუმცა, მაგას რა მნიშვნელობა აქვს... უეცრად გამოჩნდა ახალი იდეა... კაზინოები მომრავლდა... მოგეხსენებათ, ერთი ფორმაციიდან მეორე ფორმაციაში ვმოგზაურობთ... მადლობა ღმერთს, ერთ ადგილას არ ვდგავართ...

პრუპიე ბიტი (აშკარა ირონიით) — რატომ და თაფლზე არ გიმუშავნიანთ?

კაცი ვიოლინოს უშტლიარით — რბის ფხვნილზე კი... თაფლზე არა... რატომ შეკითხებით?

პრუპიე ბიტი — იქნებ მოსეს იცნობთმეთქი.

კაცი ვიოლინოს უშტლიარით — მოსეს? მოსეს არა. დიახ, იმას მოგახ-

სენებლით, რომ სრულიად მოულოდნელად გამოჩნდა ეს იდეა. (გოგოლხრისეფუტლიარს ხსნის. იქიდან ბანქოს ამოიღებს) აი, ნახეთ! ჩემს იზრავლელ პარტნიორს გადაურეკე და ხულ ახლახანს მივიღე ჩარტერული რეისით, ასე ვთქვათ. იქნებ დაგაინტერესოთ! ეს კომპლექტში იქნება, სხვადასხვა ფერში. გახსენით, გახსენით, ნიმუშად წამოვიღე.

კრუპიე გოგო ინტერესით ათვალიერებს, ბანქოს მაგიდასთან მივა: ბანქოს შლის.
კაცი ვიოლინოს უშტლიარით (შიიხედ-მოიხედა) — შეიძლება დავათვალიერო?

პრუპიე გოგო (თავი არ აუღია) — კი, ბატონო!

კაცი ვიოლინოს უშტლიარით — მშვენიერად მოგიწყვიათ. ძველ შენობებსაც თავისი ხაბლი აქვთ. ეტყობა, მართლაც რომ ძველი შენობა არის, არა?

პრუპიე გოგო — დიახ, ძალიან ძველია.

კაცი ვიოლინოს უშტლიარით — ზუსტი თარიღი, აი, როდის აიგო, რომელ წელს, არ იცით?

პრუპიე გოგო — არა, ზუსტად ვერ გეტყვი. ისე კი, ძალიან ძველია.

კაცი ვიოლინოს უშტლიარით — იქნებ იცოდეს ვინმემ? სწორად გამიგეთ, ტყუილად არ ვკითხულობ. ერთი სოლიდური კლიენტი შემხვდა, ჯერ კიდევ მაშინ, მაკლერად რომ ვმუშაობდი. მოგეხსენებათ, სოლიდურ კლიენტს ერთი შეხედვით იცნობ. ხელზე ლალის ბეჭედი, ცოტა შავკვრემანი, აწონილ-დაწონილი სიტყვა-მასუხი. დიახ, ძველ შენობებს შევისყიდი, მხოლოდ ზუსტად უნდა ვიცოდე, როდის არის აგებულიო. ეტყობა, არცთუ ისე ძველი შენობების შესაღება მოუნდომეს, ასეთი კაცი კი თავის დროს უფროხილდება, ამიტომაც მოითხოვა ჯერ ზუსტი თარიღის დადგენა... აი, ასეთი უცნაურობა ჭირდა, იცით...

პრუპიე ბიტი — მე გამოვია, რომ ჯერ კიდევ მოსეს ბაბუა ცხოვრობდა ამ სახლში, მერე თითქოს ხაღდაც გადა-

ვიდნენ, მაგრამ რამდენადაც მე ვიცი, მოსემ თავის წინაპრების ბინა მიიხსნა და იბრუნა... თვითონ განსაზღვრეთ, რამდენად ძველი შენობაა, ცხადია, სარდაფიც იმდროინდელი იქნება... მხოლოდ მაშინ რა იყო ამ სარდაფში არ ვიცი... შესაძლოა, მხოლოდ სარდაფად ხმარობდნენ, შესაძლოა ღვინის წერტიც კი იყო... უფრო სწორედ, არ ვიცი, ვერ გეტყვით.

კაცი ვიოლინოს უშტლიარით

— თქვენი ჭიბრბე, იქნებ რამენაირად დამიდგინოთ. ძალიან, ძალიან სოლიდური კლიენტი იყო. ასეთთან, რომც ვერაფერი გაფიქრო, ურთიერთობაც კი სიამოვნებას გვეკრის. წყალგაყვანილობა, კომუნიკაციები კარგად მოქმედებს.

პრუპიე ბიჭი — დიახ, არაუშავს!

კაცი ვიოლინოს უშტლიარით

— ყური გეჭირათ... ოღონდ ზუსტი თარიღი... ზუსტი თარიღი... (ქალის ბუხტთან შეჩერდა) ეს აფროდიტეს ასლია, არა?

პრუპიე გოგო — დიახ, აფროდიტეს ასლი ვახლავთ.

კაცი ვიოლინოს უშტლიარით

— თუ არ ეცდები, დოქტორ შლიმანის გათხრების შედეგად უნდა იფოს აღმოჩენილი. ტროა რომ გათხარა... თუ არ ეცდები... მშვენივრად მოგიწყვიათ, გემოვნებით. აი, ოსიროსი, ძველი ეგვიპტელების ღმერთი. შესანიშნავია. დიდი სიამოვნებით ვითანამშრომლებდი თქვენთან. მიფარს ხელოვნების ნიმუშებზე მუშაობა. (სარდაფს ჩამოუარა) ნაპოლეონ, ნაპოლეონ ბონაპარტე... ყველაზე დიდი მოგზაური მოგზურთა შორის, რამდენ ფორმაციაში ატარა ხალხი და მაინც იმპერიას დაუბრუნდა. დიდი კაცი იყო.

პრუპიე გოგო — (ბანქოს აწვდის ბიჭს) — იცით, ამჯერად ჩვენ დროებით გავჩერდით. თანაც, კარტი საკმაო რაოდენობით გვაქვს.

კაცი ვიოლინოს უშტლიარით

(საქმიანად) — თვითონ ხარისხი?

მე ინფორმაცია მჭირდება, მოგვხსენებთ ახალი სფეროა.

პრუპიე გოგო — რა ვითხრათ, თქვენი კარტი ნახევრადპლასტიკურია, მთლიანად პლასტიკატის რომ იყოს, უფრო ძალიად დაროგდებოდა...

კაცი ვიოლინოს უშტლიარით

(გაცრეხილ უბის წიგნაკს იღებს) — უკაცრავად... ეს იგი, მთლიანად პლასტიკატის ჯობს, არა?! ზომა?

პრუპიე გოგო — ზომა მისაღები.

კაცი ვიოლინოს უშტლიარით

— ფასი? როგორ ყიდულობთ კარტს?

პრუპიე გოგო — ფასზე მე ვერაფერს მოგახსენებთ... მხოლოდ ხარისხზე შემოძლია ვითხრათ...

კაცი ვიოლინოს უშტლიარით

— ვახსებია. აი, რას ნიშნავს ბაზარი... ჩემთვის ვიფიქრე, ახალი იდეამეთქი, თქვენ კი რამდენი კარტი გქონიათ... კონკურენცია... ყველაფერში მძაფრი კონკურენცია... მაგრამ მე ვიცი სად შეიძლება ვნახოთ გამოსავალი. გაითვალისწინეთ, რომ პირდაპირ კონტაქტზე გავდივარ იზრავლის კაზინოებთან... ერთი ან ორი, თუნდაც ახი კალოდის გამო, მე მოგვხსენებთ, თავს არ შევიწუხებდი... ათასი, მილიონი, განუსაზღვრელი რაოდენობით... აქედან გამომდინარე დაბალი ფასები... გარდა ამისა, კაზინოს რაც სჭირდება ყველაფრის მოწოდება შემოძლია — რულეტკა, ჩიპები, თავისთავად ცხადია კარტი... რაც გნუბავთ, მე ხანგრძლივი თანამშრომლობისათვის ვარ მზად... დიახ...

პრუპიე გოგო — მოგვიანებით შემოიარეთ და ამის თაობაზე აბესალომთან ვაარკვევთ ყველაფერს.

კაცი ვიოლინოს უშტლიარით

— მოვილაპარაკეთ... (კრუპიე ბიჭს ბანქოს გამართმევს) მაღლობთ... თქვენ ძალიან ფასეული ინფორმაცია მომწოდეთ... ამ საქმეში ინფორმაციის ფლობა ყველაზე მთავარია. (მიღის)

პრუპიე ბიჭი — უკაცრავად!

კაცი ვიოლინოს უშტლიარით

— (მზადყოფნით) — დიახ!



კრუპინი ბიჭი (აშკარა ირონიით)
 — თქვენ აღრე შხამებზეც მუშაობდით, არა?

კაცი ვიოლინოს ფუტლიარით
 დიახ, რძის ფეხნილზეც...

კრუპინი ბიჭი — არა, მე შხამები მაინტერესებს.

კაცი ვიოლინოს ფუტლიარით
 — შხამები? რისი შხამები?

კრუპინი ბიჭი — რა ვიცი, ... გველის, მორიელის...

კაცი ვიოლინოს ფუტლიარით
 — ფუტკრის შხამი არ გნებათ? გამზადებული, სერთიფიკატით... კარგი პოზიციაა...

კრუპინი ბიჭი — არა, მე მაინც ეს ორი ძლიერმოქმედი პოზიცია მაინტერესებს... გველის... ჩაინიშნეთ, ჩაინიშნეთ!..

კაცი ვიოლინოს ფუტლიარით
 — იყოს, დავიმახსოვრებ. შხამებთან დაკავშირებით ბევრი ისტორია მაქვს...

კრუპინი ბიჭი — დიახ... არ დამალალოთ... აი, ეს ორი პოზიცია — გველის და მორიელის...

კაცი ვიოლინოს ფუტლიარით
 — აუცილებლად გავიკითხავ... იქნებ, თქვენც, თქვენის მხრივ, ამ შენობის აგების ზუსტი თარიღი დამიდგინოთ... ძალიან სოლიდური კლიენტი იყო, იცით!

კრუპინი ბიჭი (ირონიით) — შეცნების მხრივ, ცდას არ დაუკლებ... (ლეიბების ბერტყვის ხმა.)

კაცი ვიოლინოს ფუტლიარით (შეცბა) — ისერიან?

კრუპინი ბიჭი — არა, ბატონო, ლეიბებს ბერტყავენ.

კაცი ვიოლინოს ფუტლიარით
 — დარწმუნებული ხართ?

კრუპინი ბიჭი — გარწმუნებთ, ლეიბებს ბერტყავენ.

კაცი ვიოლინოს ფუტლიარით
 — (დამშვიდა.. კრუპიე გოგოს) თქვენ კი იფიქრეთ, რომ სათამაშოდ ჩამოვედი? არა, ბატონო, მე საქმიანი წინადადებებით. დიახ, იდეები, იდეები... კარგად გნახეთ, დროებით.

(მიდის. თვალს შეეფარება).
სურათი მუჟკსხ: კრუპინი ბიჭი კრუპიე გოგო.

კრუპინი ბიჭი (პაუზის შემდეგ) — ვინ იყო ეს გაქუცული კაცი?

კრუპინი გოგო — ეს გაქუცული კაცი გაქუცული კაცი იყო, შენს კითხვას თავად პასუხობ.

კრუპინი ბიჭი (იციის) — „რომელი დაჯულიეტაში“, რომ მეაფთოიქვე არის, იმ პერსონაჟს არ ვავლა? იმიტომაც ჩამოვედე შხამებზე სიტყვა. რომელი ხომ მისი ხელით მომზადებული შხამით იწამლავს თავს. ვინდა, გაქუცულ კაცზე მონოლოგი წაგიკითხო?

კრუპინი გოგო — მონოლოგი?

კრუპინი ბიჭი — დიახ, მონოლოგი, (ხანმოკლე პაუზა) თემა — გაქუცული კაცი. (ხანმოკლე პაუზა) გაქუცული კაცი, თუ უკაცრავად არ ვიყო ამ სიტყვაზე, გაქუცული ძალღივით დამრწის ერთი, უკვე მრავალჯგის გამოზრული ძვალის ძებნაში, და სცივა, სცივა, სცივა... და თანაც შივა, შივა, ძალიან შივა. გაქუცული კაცი ავადაა, ქრონიკული უიღბლობა სტანჯავს. ნავის გროვაში ჩამყოფს ზოლზე თავის წყლიან მსუნავ პირს და ათასნაირი სუნით გაბრუებული, თვალზედაღამებული, ისე ცივ ქუნას მისცემს თავს. არ უმართლებს საწყაღს, ქრონიკული უიღბლობა, მართლაც რომ მძიმე ავადმყოფობაა. ეძებს, ეძებს გაქუცული კაცი და ამ ძებნაში ერთ მშვენიერ დღეს შეიძლება სასაფლაოსკენაც გადაუხვიოს, ჰაერი კარგად დაყნოსოს და მისთვისაც მოულოდნელად ღია სამარესთან აღმოჩნდეს. „სიღარიბე მხდის მე თანახმას, არა სურვილი“... — ეუბნები ჩამომონძილი მეათიაქვე რომეოს და მისი ხელით მომზადებულ საწამლავს აწვდის, ო, რა ტრაგიზმია ამ კაცის სიტყვებში. თავად ცხოვრებამ მიაგლო საწყალი ღია სამარესთან... ცხოვრებამ, სურვილმა არა, ცხოვრებამ... ის ღია სამარე კი რომეოს ელოდება:

„მართლაც სწრაფია შენი შხამი მეფეთაქვე; ჩემო ტრფიალო, გაკოცებ და და ისე მოვკვდები“. (თავს ჩაქინდრავს) კვდება!..

პრუპიე გოგო (ღიმილით შესცქეროდა ბიჭს) — აი, ბრილიანით სულ სხვაა!..

პრუპიე ბიჭი — წამო... (პაუზა) წამო, წამო, ვიქინძაოთ. გინდა ამ მაგიდაზე, გინდა აფროდიტეს ფეხებთან ან ფარშევანგის კუდის ჩრდილში... ან, ან, სადაც გინდა, როგორც გინდა, ამ ფორმაში, იმ ფორმაში, ეგ სულერთია...

პრუპიე გოგო — (იცინის) — როგორც ჩანს, გაქუცული კაცი შენზე დადებითად მოქმედებს...

პრუპიე ბიჭი — დიახაც... დადებითად მოქმედებს... ვგრძნობ, რომ ახალგაზრდა ვარ, სისხლი მიდუღს, სიყვარული მწაღია, ხიცოცხლით ხავსე ვარ, (ხელს მოჰკიდებს) წამომეთქი, ვოგო, ხელოვნური ვგავილებით აგივსებ სარეცელს...

ტელეფონის ზარი.

პრუპიე ბიჭი — აი, ყველაზე ხაინტრეხო დროს უნდა დარეკოს...

პრუპიე გოგო (ყურმილი აიღო) — დიახ... დიახ... ძინავს... არა, აბესალომი არ მოხულა... არც მარინა გამოჩენილა... დიახ! (ყურმილი დაკოდა).

პრუპიე ბიჭი — ვინ იყო?

პრუპიე გოგო — ცაცა, მოხეს ამბავი იკითხა...

პრუპიე ბიჭი — თუმცა მაგას რა გამოცნობა უნდოდა... ცაცა... მე მგონი, მოხესი არ იყოს, ვგეტ ვერ არის მთლად ჭკუაზე...

პრუპიე გოგო — რატომ? რა შეატყვე?

პრუპიე ბიჭი — ამასწინათ, სრულიად შემთხვევით შევეხსნარი, აი, აქ იდგა. რაღაცას თავის შვილზე ლაპარაკობდა... ჩემი შვილი, ჩემი ვაჟაკიო... თავის თავთან ლაპარაკობდა, როგორც

გიგებმა იციან... ჩემი ამყი შეილი... ჩემი ვაჟაკიო...

პრუპიე გოგო — სად ვაჯ ცაცის შვილი?...

პრუპიე ბიჭი — მეც მაგიტომ ვამბობ... მუხლები გამიცვიდა...

პრუპიე გოგო — კარგი რა, მოგჩვენებოდა...

პრუპიე ბიჭი — არა, მართლა გეუბნები... დამინახა და ვითომც არაფერი, მოხეს ოთახში გავიდა...

პრუპიე გოგო — ნუ შელაპარაკები ეგეთ რაღაცეებზე...

პრუპიე ბიჭი (მაგიდაზე დადებულ კამფეტს აიღებს) — მაშინ, ბიძინას კამფეტით გაგიმასპინძლები... არ გინდა?

პრუპიე გოგო — ფუკ...

პრუპიე ბიჭი (იცინის) — ჩვენთვის გაწყობილი, ჯიბეში დიდხანს ნადები კოწახური, ცაცასთვის ღოღოშოს საწებელა... უცვლელი რეპერტუარია... (იცინის) ის, რკინიგზელი არ მოგეჩინა?

პრუპიე გოგო — საყვარელი კაცი... მეც მიყვარდა ბავშვობისას ეგ თამაში... ჩამოუფდებოდი ხოლმე მამაჩემს მუხლებზე და ღმერთო ჩემო, სად არ ვმოგზაურობდიო...

პრუპიე ბიჭი — ეგ თამაში ყველა ბავშვს უყვარს... ისე კი, ისეიათი ექსპონატია... სიყვარულის მისიონური რკინიგზელის უნიფორმაში... დღესასწაულებზე მოხალოც ბარათებს ავზავნის...

პრუპიე გოგო — ჩვენ, ჩვენ ვინდა ვართ, სხვებს რომ მიაღქცი...

პრუპიე ბიჭი — ჩვენ, ამჯერად, მედიცინის მუშაკები ვართ... შენ მოწყალეების და, მე მოწყალეების ძმა... იქით ოთახში კი წამლებით გამოლენებული მოხე... ისე კი, მოწოდებით, პირადად მე კონფერანსიე ვახლავარ.

პრუპიე გოგო (იცინის) — იცირა! მოდი, სპეცფექტი ჩავრთოთ და როგორც მაშინ, ჩვენს თეატრში...

პრუპიე ბიჭი — (აწყვეტინებს) — ესეც თეატრია! არ ვაგივია, რომ თეატრი ცხოვრებაა?... თუ პირიქით, ცხოვრება თეატრია... ან იქნებ ცხოვრება

ცხოვრებაა, და თეატრი თეატრია?! ან სულაც ასე ვთქვათ თეატრი კაზინოა, ან კაზინო...

პრუპიე გოგო (აწვეტილებს) — ოხ, რამდენს ღაპარაკობ! ჩართე!

პრუპიე ბიჭი (სპეციალურად მიუახლოვდა) — რატომ, ფრიად საინტერესო საკითხია...

სპეციალურად ჩართავს.

სპილენძის აბსტრაქცია ათასფრად აღვარდება.

კრუპიე ბიჭი და კრუპიე გოგო მოჯადოებულები შესცქერიან აფერადებულ სარდაფს.

პრუპიე ბიჭი — (პაუზის შემდეგ) — მე გგონია აქაურობა მუზეუმი კი არა, ცირკია..., ახლა, ამ წუთას, სრულებით არ გამიკვირდება, მაღლიდან რომ თოკი დაეშვას, ჩვენ წელზე შემოვირტყათ და როგორც ცირკში ხდება, აი, ისე აფრინდეთ მაღლა...

პრუპიე გოგო — რა კარგია... (იფინის) ისე მიყვარდა ცირკი...

პრუპიე ბიჭი — ხო... ცირკს უცნაური თვისება აქვს... მისი თალი გაცილებით მაღალი ვერცხვება, ვიდრე სინამდვილეში არის... ცასავით მაღალი, ცასავით მოუწვდომელი... იქ კი, მაღლა, ვიდაც აღმინანები გაჭიმულ ბაგირზე დადიან, შეიძლება ითქვას, დაფრინავენ... წარმოიდგინე ჩვენც რომ იქ აღმოვჩნდეთ...

პრუპიე გოგო — ხო, კარგი იქნებოდა... მხოლოდ განუმდი, ნახე, რა ღამაზია ჩვენი კაზინო...

მეორე ნაწილი

მოსე

სურათი პირველი: აბესალომი, ცაცა, კრუპიე ბიჭი, კრუპიე გოგო.

კრუპიე ბიჭი და კრუპიე გოგო თათავის მაგიდებთან ღვანანს. ბანქოს გამლით ერთობიან. კიბეზე აბესალომი ეშვება.

აბესალომი — (გოგოს მიმართავენ) — ჩაი მომიღულე!

კრუპიე გოგო გამოსაცვლელი ოთახისაკენ გაემართება.

აბესალომი (კრუპიე ბიჭს) — ვინმე ხომ არ მოსულა?

პრუპიე ბიჭი — ცაცა ჩამოვიდა, მოხეს ოთახშია.

აბესალომი — კუდიანი... (ხანმოკლე პაუზა) დათიკო აღარ მოთრეულა?

პრუპიე ბიჭი — არა.

აბესალომი — ცოტა ხანიც რომ გაეწერებულებიყავი, მისივე ტაბელური იარაღით გაუწვრიტავდი ტვინს... ძალი ეგ... შენ გგონია, მართლა მოსე ითხოვს აქ ჩამოყვანას? არ დაიჯერო! თვითონ ჩამოყავს... არ მამუშავებს... მოხეს სადღა აქვს იმის თავი, ვინმესგან რამე მოითხოვოს... მაგათ სულელი გონიით აბესალომი — თან „კრიშა“ იფოს, ამით სახურავად დაადგეს თავზე, ქუჩიდან რამე არ აკადრონ... თან საქმე აკეთოს და თან წილები უზადოს დათიკოს და ცაცას, ტრიუმფირატი მომინდომეს აქ... გამოვიდეს ერთი ისიც, ის კუდიანი... (ჯიბეს მოიხსრიაკავს) ფუჰ, შენი... სიგარეტის ყიდვა დამავიწყდა... (ფულს აწვდის) მიდი ერთი!...

პრუპიე ბიჭი — ვუაქვს, თუ ვინდა...

აბესალომი — ამერიკელი?

პრუპიე ბიჭი — ხო.

აბესალომი — მომეცი. (კრუპიეების ოთახისკენ გაიხედავს. ხმაშალდა) იმითი აადულე, გოგო, სწრაფად რომ დუღდება!

პრუპიე ბიჭი — კელოდი იყო.

აბესალომი — რკინიგზელი?

პრუპიე ბიჭი — ხო, რკინიგზელი.

აბესალომი — სულელი... დღესასწაული არ გავა, მოსალოცი ბარათი არ გამომიგზავნოს. ვის რად უნდა, თუ ძმა ხარ, მაგისი მოსალოცი ბარათები...

კრუპიე გოგოს ჭიქით ჩაი და ღამაშაქით კარაქის ნაჭერი გამოაქვს. აბესალომი კარაქს ჭიქაში ჩააგდებს, კოვზით მოურევს.

პრუპიე პოპო — ვიღაც შუამავალი მოვიდა, კარტის კალოდები ვვანახა, განუსაზღვრელი რაოდენობით შემიძლია მოგაწოდოთო.

აბესალომი — განუსაზღვრელი რაოდენობითო?

პრუპიე პოპო — დიახ.

აბესალომი — ესე იგი წინასწარ უნდა ფული... ჩააფურთხოხ... კარტს მიაქვს ბაზარი... მათხოვარი იყო, არა?

პრუპიე ბიძი — გაქუული კაცი იყო. კარტის კალოდები ვიოლინოს ფუტლიარში ეწყო.

აბესალომი — ფუჰ, შენი! ...

მოსეს ოთახიდან ცაცა გამოვა, ფეხისწვერებზე მოდის.

ცაცა — რას ვვიროდი, არ გამოვიტანდა ჩაის? რა გაყვირებდა, ძინავს კაცს.

აბესალომი — ჩემი ვვირილი კი არა, ისეა წამლებით გამოლენებული, შენი ლეიბების ბერტყვა არ ესმის მაგას.

ცაცა — ხად არის ეს მარინაც, უკვე ნემსის დრო აქვს, შეიძლება გაიღვიძოს... როგორ ვთხოვე...

აბესალომი — პედიკურშა-მანიკურშა... რამდენი ხანია არ მინახავს... რას შეება, როგორ არის?!

ცაცა — ოხ, ოხ, ოხ... მოგენატრა?

აბესალომი — რატომ ასე! ოხ, ოხ, ოხ...

ცაცა — შენც იცი...

აბესალომი — ...ოხ, ოხ, ოხ, შენს საყვარელ დათიკოს უთხარი, ჩემამდე ევ დაძვრებოდა ჩემ-ჩემად... წესიერი კაცი...

ცაცა — რატომ მეღაპარაკები ასე?! რა შუაშია, შენს საყვარელ დათიკოს... **(ერეპლი ადგება თვალზე)** ჩემიანი ვინც არის, ვველა განურჩევლად მიყვარს... ვველა, ვველა... მას მერე, რაც მოსემ ჩემი ცაცა ვოვო იქნებო — მითხრა, ვველა ჩემიანად ვიგულებო... რა შუაშია, რა შუაშია... არავის არ ვარჩევ...

აბესალომი — **(აწვევტიწებს)** — ცაცა, ცაცა! დამახსოვრე ჩემი სიტყვა, დათიკო ისეთი ძალღია, შენც მოგტე-

ხავს... სულხანა რომ ყავს, ღვეკნერატი, იმისთვისაც არ ემეტება მაგას არტორი ჩემთვის და შენთვის კი არა... ვერ ტრიუმფირატს განითავს აქ, ფეხს მოიკიდებს, მერე იმდენს მოახერხებს...

ცაცა — **(აწვევტიწებს)** — მე შეუბნე-ბი მაგას? მე რატომ მეღაპარაკები, საერთოდ, ასეთ რაღაცეებზე... როდის იყო კაცურ საქმეში ვერეოდი?... შენ და დათიკომ გაარკვიეთ თქვენი კაცური საქმე... მე, ჩემო აბესალომ, თავი დამანებეთ... ოღონდ თავი დამანებეთ და თქვენზე მლოცველი ვიქნები... სიყვარულზე თუ მიღვა, კიდე, საქმე, ძალიან მოყვარხარ, რომ იცოდე! ახალგაზრდა კაცი ხარ, საქმე თუ არის გასაკეთებელი, ახალგაზრდა კაცმა უნდა გააკეთოს. თქვენ მოილაპარაკეთ, შორებლები ხომ არა ხართ?! თქვენ როგორც გადაწყვეტთ, ისე იყოს, ბატონო... ჩემი გაჭირვება მყოფნის, მე თავი დამანებეთ რა, თქვენი ჭირიმი, მე თავი დამანებეთ...

აბესალომი — არა, ერთი რამე გამაგებინე! ხელისუფლება ვარ, ხელისუფლება ვარო, რომ გაიძახის, რა ჩემი ფეხების ხელისუფლება არის დათიკო. ერთი საშუალო დონის ძალღია... ძალღია კი გინდ ბიძად ვერგებოდეს და გინდ საკუთარი მამა იყოს, მაინც ძალღად რჩება... ხელისუფლება! აი, ხელისუფლება! აი, ხელისუფლება! **(თითს გაიშვებს)** ქუნა... შია ქუნას, გავსებულია მშვიერი ბგლებით... არ მჯდარიფავი ერთი აქ, მერე მოვიტოხა მოსეს ხელისუფლებისათვის პასუხი... დათიკოს კი ვინც შეუშინებია თავისი ტაბელური იარაღით, ის შუაშინოს, ტაბელური იარაღი კი არა, გაუბიცა უღვევს ქუნას ჯიბეში, გაუბიცა...

ცაცა — **(ხელს გააქნევს)** — ეგ თქვენი კაცური ამბებია... მე ნურაფერს გამაგებინებო... შენ და დათიკომ, შენ და დათიკომ გაარკვიეთ ვველაფერი... მე არაფერ შუაში ვარ... **(მოდის)**

აბესალომი — ხად მიდიხარ, მოდი! ბევრი რამე დაგვრჩა სათქმელი...

მამა - (უკანმოუხედავად) - ავალ, მარინას მიუვკაკუნებ, უკვე ნემსის გაკეთების დრო აქვს... (თვალს მიეფარა)

აბმსალომი (თვალს გააფლავს) - კუდიანი... ვინც შენ არ გიცნობს...

(ხანმოკლე პაუზის შემდეგ) ის, ბიძინაც, რა გამიბედა, მავ ღოღნაშო! სიტყვაში ჩამიხტა. დათიკოსთან თავი მოიწონა. რალაცას უნდა გამორჩეს და დამეღაკუღობს, დახუნსულებს დათიკოსთან. მაგისი არც ნათესაობა გამიგია და არც მოყვრობა... ღოღნაშო ვირიშვილი...

შვილი მოუწუწვევ სადღაც, ისიც მამახავით უჯიგრო. ხო, ელდეპოში, უფროსი ახლობელი კაცია. ოჯახში ღოღნაშოს ხაწებულთ არ დამდგა, ეს მართლა ღოღნაშო! ბავშვი როიალზე უკრავს... ცოლი ტელევიზორს უყურებს... ეს ახვარი კარში გამეხიზრა თავისი ბოთლებით. დაეჭინე კიდეც... ფუ, ლაპარაკიც არ მინდა... (ხანმოკლე პაუზა) თმას გაიკრიჭავდა კაცი, მაგრამ ფორასთან რივი იყო... (კრუპიე ბიჭს მოხედავს) გასაკრეჭი მაქვს, არა?

პრუპიე ბიჭი (მონუსხულივით შეხტეკრის ჩაის ჭიქას) - არა, პირიქით, დაბალზე გაქვს.

აბმსალომი - (ბიჭის მზერა დაიჭირა) - მოდი, მოსეი...

კრუპიე ბიჭი უარის ნიშნად ხელებს გაასავსავებს.

აბმსალომი - აბა, შენა ყოფილხარ... ამან გადამარჩინა ჩემს ხანატორიუმში ჭლექისაგან... სულელები ჩეფირს სვამდნენ, ჭკვიანები კარაქთან ჩაის... იცო, რა კარგია, მოდი ვახსენე!... **კრუპიე ბიჭი ხახვს მიაბრუნებს.**

აბმსალომი (ღიზიანდება, ჩაი მოხვა) - არ გინდა, ნუ გინდა... (პაუზა) მოგიჭერს ცოტა ცხოვრება და კარაქთან ჩაის კი არა, იმასაც შეჭამ, კამომ რომ ჭამა. (მოხედავს) შეჭამ, შეჭამ... არ შეჭამ და შენი აჯობებს...

კიბეზე სულხანა ეშუება.

სურათი მძორი: აბსალომი, სულხანა, კრუპიე ბიჭი, კრუპიე გოგო.

აბმსალომი (დააკვირდა, მონუსხული ხმის გარეშე) - სულხანა! სულხანა! სულხანა აბსალომს მიუახლოვდა, ერთმანეთს კონიან. მათ მისალმებაში იგრძნობა, რომ აბსალომი ზემოდან უყურებს თავის ნათესავს.

აბმსალომი - როგორა ხარ, შე დახლეს ერთხავ, რას შერები... (თითქოს ეხუშრებაო, სინამდვილეში კიდე ერთხელ აგრძნობინებს თავის უპირატეობას).

სულხანა - ვარ რა, ნელთბილად. **აბმსალომი** - კარგად ვოფილხარა გინდა!

სულხანა - იხე, რა...

აბმსალომი - რა იყო, ცუდი საქონელი ხომ არ შემოგაპარეს... (იციინს)

სულხანა - კრევი ახლა, შენებურად ნუ...

აბმსალომი - (იციინს) - რა, ხომ არა გწყინს?

სულხანა - რა უნდა მწყინდეს...

კრუპიე ბიჭი და კრუპიე გოგო მეორე პლანზე გადადიან. შესაძლოა ბანქოს შლიდნენ, ან ერთმანეთში საუბრობდნენ, მაგრამ მათი ხმა მაყურებელამდე ვერ აღწევს.

აბმსალომი - რა ვიცი, შენ და მამაშენს რა ფიქრები გიტრიალებთ თავში, რას გაივებს... იხე, თეთრი ხალათი ხომ გაცვია, გამოწვეპილი, რამე, სანინსაქციასთან ყველაფერი წესრიგში...

სულხანა - რა კაცი ხარ, შენ... (ძალიხდალად იციინს, წითლდება)

აბმსალომი - მე ის კაცი ვარ, სანინსაქცია რომ არ აწუხებს...

სულხანა - ეგ არც მე მაწუხებს, მაგრამ...

აბმსალომი - (დააკვირდა) - რა იყო, რას ვაწიფლდი... მიდი, ამოღერდე...

სულხანა - არაფერი, არაფერი...

აბმსალომი - აი, სუფთა ვაჭარი... უნდა მახვეწინო? რა მოხდა, მითხარი...

სულხანა - ვიღაც, ლაწირაკებმა შემაწუხეს ქუჩიდან...

აბსსალომი (გახალხდა) — კაი, კაცო... მართლა ლაწირაკები იყვნენ? **სულხანა** — რა ვიცი...

აბსსალომი — (გახცინა) — ხო, რა ვიცი... ცალკე როცა საუბრობდით, ვინ იცის, ჩაისველე კიდეც... ჩემთან ლაწირაკები გახდნენ?

სულხანა (თვალს ვერ უსწორებს) — მე შენ, როგორც ბიძაშვილი, ბიძაშვილს...

აბსსალომი — მომიხმინე, გაჩერდი, ვიცი რაც უნდა მითხრა... მამაშენს რატომ არ უთხარი, ამაზე გამეცი პასუხი...

სულხანა — არ იცი დათიკოს ამბავი, დააჭერინებს და...

აბსსალომი — (აწვევტივებს) — ხო, დააჭერინებს და მერე იმ ლაწირაკის ძმაკაცები ნაწლაუებს დაგაჭერინებენ ხელში, არა? მართლებიც იქნებიან... **(ხანმოკლე პაუზა)** თუმცა, შენს დუქანში ლაწირაკის შეტი არც მოვიდოდა არავინ... სადა ხარ, სანზონაში ხარ ისევ?

სულხანა — (შეუბრალებლად) — ხო, ხომ იცი, ისევ იქა ვარ...

აბსსალომი (უბიდან ტელეფონის წიგნაკს იღებს) — რას შერები, ცოლი არ მოგყავს?

სულხანა (დაიმორცხვებს) — სად ნახავ კაი ქალს...

აბსსალომი (ტელეფონის ნომერს ეძებს. თან საუბრობს) — არ გეწყინოს, ახლა რასაც გეტყვი... არ გაიბერო... **(ხანმოკლე პაუზა. ნომერი მოძებნა)** მაგრამ, ჩემო სულხან, ნაღდად სიმთვრალეში ვგაკეთა დათიკომ... **(იციანის)** უმაღლესი დაგამთავრებინა არ ივარგე, ორგანოში წაგიყვანა, არც იქ ივარგე... ეტყობა, ზეშეობიდან დახლზე ოცნებობდი... მასწავლებლისათვის კი წერდი ალბათ რეუელში, კოსმონავტობა ან პაჟარნიკობა მინდაო, მაგრამ ოცნებით დახლზე ოცნებობდი... ვერე არ იყო?

სულხანა — კარგი, რა...

აბსსალომი — რა, კარგი რა!.. დეახარ დახლთან, ჩაიცვამს თეთრი ხა-

ლათი, ვიღაც ლაწირაკებმს... **(დახსრულდება)** კვეშ იფსამ... ცოლიც ვერ მოგიყვანია. იქნებ არც გინდა ცოლი, ბიჭო...

სულხანა — კარგი რა, მართლა და მართლა... მივეპარე, რომ ვითხარი... მერე კადე, მე დახლთან არ ვდგავარ,

აბსსალომი — ტუტ... რას გაიბერე... ვაწითლდი... **(თვალი შეავლო, ელიძეა)** მოვევლება ვეღვაფერს... **(ტელეფონის ნომერს აკრიფავს)** ალო, გაუძარჯოს!! ხო, აბსსალომი ვარ. როგორა ხარ, შენ, რა ხდება ოჯახში? ხო... **(იციანის)** შენა, რაზე ვირეკავ... ერთი ჩემგებური კაცია, შენსკენ მუშაობს... არა, არა, დიდი არაფერი, ერთი პატარა დუქანი აქვს... პარკთან რომ არის. ვიღაც ნაბიჭვრებს შეუწუხებიათ... **(პაუზა. იციანის. თვალს ჩაუკრავს სულხანას)** დაიბინოს მშვიდად? კარგი, აბა... შევხვდებით... **(ყურმილს კიდეებს)** წადი ახლა, შენს დახლთან ბუხების დახატვრი ქალაქი რომ არის ის გააკარი, საღამოს დათვალე რამდენი ბუხი გამოასალმე სიცოცხლეს, მერე მიბრძანდი სახლში, ჩაწევი ლოგინში და მშვიდად დაიბინე...

სულხანა — ...მადლობა.

აბსსალომი — არაფრის... (პაუზა. აკვირდება) რატომ ვერ გაჩერდი ორგანოში, მითხარი ერთი?!

სულხანა — არ იყო საჩემო საქმე... ასე მირჩევნია...

აბსსალომი — რა თქმა უნდა, გირჩევნია... იქით მამაშენი გყავს, აქეთ მე გვევარ. აი, შენ რას გეტყვი... **(ხანმოკლე პაუზის შემდეგ)** ახლა მომიხმინე ბუმბოლა იქით იყოს... იმიტომ კი არა, რაღაცით ვალდებული რომ ხარ, უბრალოდ, კაცურად განსაჯე... მამაშენი უშნოდ უტრიალებს მოსეს... **(მოსეს ოთახისკენ გაიშვერს ხელს)** ეს კაცი ამქვეყნის აღარ არის... ნურავინ ნუ ისარგებლებს ამით... ხომ გამიგე! არ არის ეგ კაცური საქციელი... ათასი წელი არ მჭირდება მე დათიკოსთან ჩხუბი... ერთხელ უკვე მითრია თმებით ცხოვრებამ



და აღარა ვარ ციხეში შემკვლელო... თუ-
მცა, რომ იცოდე, იქაც კარგად ვიქნე-
ბი... მე თუ ვარ, კარგად უნდა ვიყო...
შენ გამიფრთხილებიხარ, დათიკო მო-
მერიდოს! მე არ შემეშლება, ვის რა პა-
ტივი ვცე, მაგრამ ტრიუმფირატს არ
დაეუშვებ... სისხლი მაქვს აქ ჩაღვრილი
და იმიტომ... ფულის გამო არა... თავს
შევაკლავ და არ დაეუშვებ...

სულხანა — კარგი რა, აბესალომ,
შენც ხომ იცი, ვეგთი ამბებისაგან შორს
ვარ... მე ჩემი ღუქანი მშაბარია და...

აბმსალომი — აი; ხედავ! ეგრევე
განზე გადაქცი... მართლა დახლის ვირთ-
ხავ შენა... **(ხელს ჩაიქნევს)** აღარ მაინ-
ტერესებს... მე ჩემი ვითხარია...

კობეზე მარინა ეშვება.
სურათი მესამე. აბესალომი, მა-
რინა, სულხანა, კრუპიე, ბიჭი, კრუპიე
გოგო, შემდეგ თამარი.

მარინა (შორიდანვე) — აბესალომ!

აბმსალომი — ჰედიკიურშა — მა-
ნიკიურშა, როგორა ხარ, ძვირფასო!

მარინა — რატომ შეძახის ეს კაცი.
ჰედიკიურშა მანიკიურშას, ვერაფრით
გავიგე... **(აბესალომს გადაკონის).**

აბმსალომი — ცვეტში ჯდება ეგ
სახელი, ცვეტში, გენაცვალე...

მარინა (ხულხანასკენ) — ამ ყმა-
წვილს არ ვიცნობ...

აბმსალომი — ეს ჩვენი ბიჭია...
დათიკოს ხომ იცნობ?...
მარინა — დათიკოს ვინ არ იცნობს.

აბმსალომი — დათიკოს ვაჟკა-
ცია...
მარინა (ხელს ჩამოართმევს სულ-

ხანს, ეცნობა) — მარინა...

სულხანაც ეცნობა. დაირცხვენს.
მარინა (ხულხანს შესცქერის) —

Боже как мило ...წითლდება...

აბმსალომი (ხულხანს) — სულხა-
ნა, მიდი, მოხვს დახედე, იქნებ ხმებს
აყვა ზეცაში... **(ხელს წაკრავს)** მიდი,
მიდი, შეაყოლე...

სულხანა მოხვს ოთახისკენ გაემართა.
აბმსალომი — ხომ კარგი ვაჟკაცი
ყავს დათიკოს?

მარინა — აბესალომ! ვეღარ უნდა
მოიშორო ეს კომპლექსი...
აბმსალომი (იციხის) — ისე, კაცმა
რომ თქვას, ჩვენი ამბავიც მაგის გამო-
მოხდა... ამისთანა გოგოსთან ამ პენსიო-
ნერ ვირიშვილს როგორ „ვაგულაუვებ-
მეთქი“ **(ხელს მოხვევს)** რა, ეგრე არ
იყო?

მარინა — რაღა გოგოსთან... რო-
დინდელ ამბებს იხსენებ...

აბმსალომი — მიდი რა, მაშინ
რომ მომიყვები — დათიკომ როგორ
გთხოვა... გამაცინე ერთი და შენი ვარ
სიკვდილამდე...

მარინა — შენ გგონია, დიდი დრო
დაგვრჩა სიკვდილამდე? როგორ დაე-
ბერდიო...

აბმსალომი — დაბერდი კი არა,
ისევე ის წიწკვი ჰედიკიურშა-მანიკიურ-
შა ხარ... მიდი, მაშინ როგორც მომი-
ყვები... როგორ გთხოვა დათიკომ? **(მა-
რინას ხელს თავის ხელში მოიქცევს).**

მარინა — რა არის სათქმელი...
(ეცინება) სულიერი დებრესია მქონდა...

აბმსალომი — ეგ არ მაინტერე-
სებს... თვითონ როგორ ვითხრა?! **(ხელს
მაგრად მოუჭერს).**

მარინა — **(იციხის)**—Это уже ком-
плексы каких-то ...შენც ხომ იცი... სახ-
ლში მართო ვიფავი... ნელა, ხელი მეტ-
კინა!

აბმსალომი — მიდი, მიდი...

მარინა — მოვიდა... ხელი მომ-
ხვია... ვერავინ გაიგებსო, მითხრა...
სულ ვერავინ გაიგებს, ახლა მე ასაკში
ვარ, ხელისშეწყობა მინდა... შეიძლე-
ბა შენც ვერ გაიგო... **(აღშფოთებით)**
რატებს მაღაპარაკებს საერთოდ...

აბმსალომი — **(არაბუნებრივად
ხმაშაღლა იციხის)** — ბიძა... ხელისუფ-
ლებათ — გაიძახის... **(ხელი შეუშვა).**

მარინა — ისეთი, განსაკუთრებუ-
ლი, არც არაფერი გაუკეთებია... **(შო-
იწინა)** მხოლოდ ესაა, რომ რაღაც
ცუდად ვიგრძენი თავი... თითქოს ...არ
მსიამოვნებს რა, ამაზე ლაპარაკი, მო-

დო, ის გავიხსენოთ, პენსიონერს რომ გამოეყოფო მანქანით... გახსოვს, მიუღია ლები ვისხედით მანქანაში, შენ საჭესთან, მე შენს გვერდით... ქუჩაზე კაცი გადმოდიოდა... თავზე ცილინდრი... კოსტუმზე რაღაც ფეტონები... ახლა ამას ღელა უნდა უკტიროს, როგორ ჩააფრინდი საჭეს... იქით წავ: საწყალი, იქით მიუყვებო მანქანას, აქეთ წამოვა, აქეთ მიადგები... როგორ დაფრთხა... ნამდვილი ნადირობა იყო... (იციანს. პუ-ჯის შემდეგ) აბესალომ, რა თმები გქონდა, რა თმები გქონდა..

აბესალომი — ხო, ის დრო ჯობდა... ახლა უკვე, სადაცაა მე გავხდებო პენსიონერი... ესენი კი... მოსეს ოთახიდან სულხანა გამოვიდა... კიბეზე თამარი ეშვება.

მარიანა — თამარი, მოდი, ღელა გე-ნაცვალოს...

თამარი — გასაღები ვერ დატოვე?

მარიანა — რა ვიცი, ნემსს გავუკეთებ და ისევ შინ წავალმეთქი... აბესალომს იცნობ... აი, სულხანი გაიცანი... (სულხანა და თამარი ერთმანეთს ეცნობიან. მარიანა სულხანს შესცქერის). Боже! как мило, как мило!.. წითლდება... თქვენ რა ზოდიაქოს ნიშნის ქვეშ ხართ დაბადებულნი?

სულხანა — არ ვიცი, ვერ ვერ-კვევი მაგაში...

თამარი — ღელა, მე წავალ...

მარიანა — (თამარის) — გავუკეთებ ნემსს და ერთად წავალთ... დაჯექი, და-ჯექი, რა... (სკამზე დასვაშს თამარის. სულხანს) დაბადების წელი მითხარი?

სულხანა — 60-იანი ვარ.

მარიანა (წამით დაფიქრდა) — ახ, ვერ თხა... ძალიან ძლიერი ნიშანია. აბესალომი იციანს.

მარიანა (აბესალომს) — რა გაცი-ნებს!.. იცი, როგორი დამთხვევებია, გავიყვები!

აბესალომი — დამთხვევები რომ არის, ე-ე-ე, (იციანს).

მარიანა (აბესალომს) — გეხსოვს, გეუბნები, თუ ვინდა დროებით მაროსკობით ვიმკითხავენ, გეტყვი რა ხე ხარ.

აბესალომი — სულხანას უმკითხა-ვე, მე უკვე მომბეზრდა...

მარიანა (მოუხვდა გადაკრულად ნათქვამს) — უსინდისო ხარ...

აბესალომი (ხელს მოხვევს) — პედიკურში - მანიკურში, ძველებურად მიყვარხარ, ეჭვი არ შეგეპაროს...

მარიანა — უსინდისო ხარმეთქი... მომეცი სიგარეტი! (სიგარეტს გამოართმევს. სულხანასკენ) რას შვრება მოსე, მართლა ციურ ხმებს ზომ არ აყვანეტაში?..

სულხანა — ძინავს.

მარიანა — სუნთქავს? იქნებ გათავ-და...

სულხანა — სუნთქავს.

მარიანა — (გამოუკეთდა ხასიათი) — მაშ, დაეკლოდით. (ნაფაზი დაარტყა) თამარი, რა ღამაზად არის აქაურობა მოწყობილი, არა? აი, იქით, იაპონური მარათა, ვეიკლები... ვეკით რომ მქონდეს, შემოვიღებდი ხელს სახეზე და თვალს არ მოვაშორებდი...

აბესალომი (კრუპიე ბიჭს მიმართავს) — ჩაურთე ჩვენს პედიკურში-მანიკურში სპეცფექტი, ბრჭყვიალა რაღაცები უყვარს...

მარიანა — მიყვარს, მიყვარს, ძალიან მიყვარს...


კრუპიე ბიჭი — მართლა, კინაღამ დამაიწყდა; სპეცფექტს რაღაცა დაე-მართა... ხანდახან თავისით ირთვება ზოლზე... ვერაფერი გავიგე... იქნებ ხელოსანი ვენახა...

აბესალომი — როგორ თუ თავი-სით?..

კრუპიე ბიჭი — აი, ასე.. წამით ჩაირთვება, ისევ გამოირთვება?..

აბესალომი — კარგი, ვნახავ ვინ-მეს... (წამოღდა) გავალ ახლა, თმა მინდა შევისწორო...

მარიანა — რატომ, ძალიან დაბალ-ზე გაქვს...



აბსსალომი — რიგი დავიკავე ფორასთან... მალე მოვალ, შენ არ მოაწყინო... (ხელს მოუცაცუნებს ლოყაზე, მიღს).

მარინა — მე რა მომაწყენს... ისე მიყვარს აქაურობა... (თამრის აბსალომზე ანიშნებს) მართლა გადასარევი თმები ქონდა, გეგონებოდა, სპეციალურად დაუხვევიაო... (სულხანასკენ) თქვენ რა სფეროში მოღვაწეობთ?

სულხანა (იმორცხვებს) — მე, ვაჭრობაში... ჩემი ღუქანი მაქვს...

მარინა — ისეთი იშვიათობაა, კაც რომ გაწითლების უნარი აქვს... მითუმეტეს, ვაჭრობაში მუშაობთ... ვგიჟდები ასეთ კაცებზე, მგრძნობიარეები არიან ძალიან... **სულხანა თავს ხრის.**

თამარი (ადრეც უნდოდა ჩარევა) — ...დედა!

მარინა — რა, დედა?... (სულხანასკენ) ჩემი ტორმუხია... (თამრისკენ) რა ვთქვი ისეთი... მამაშენსაც ეს თვისება ქონდა... (სულხანასკენ) ჩემს პირველ ქმარზე ვამბობ. ვაჭვორდი მერე, აღრთქლდა... დიახ, ეს თვისება ქონდა მასაც... წითლდებოდა... მაგრამ იხ სხვა სფეროში მოღვაწეობდა... შემოქმედებითი ნატურა იყო... თვალები ელავენ, ხახვზე საოცარი სიწითლე... Горел он щеки! არც ვამიმტყუნებია, რომ აღრთქლდა. შემოქმედებით პროცესში ვუმღიდი ხელს. მე ყველაფერი ბრჭყვივალა მიყვარს... (კრუპიე ბიჭს) ჩართეთ რა, სპეცეფექტი!...

კრუპიე ბიჭი — ახლავე...

სპილენძის აბსტრაქცია ათასფრთხ აელვარდება. მარინას თვალები უფართოვდება. მოზიბლული, დატყვევებული გამომეტყველება აქვს.

მარინა (პაუზის შემდეგ) — ღმერთო ჩემო! ღმერთო ჩემო! (ხანმოკლე პაუზა) ღმერთო, რა სილამაზეა... კაბარები, რესტორნები, ბრჭყვივალა რეკლამები... ლამპიონები, გაჩახჩახებული ლამპიონები... მანქანების მდინარე... ჯიპები, მერსედესები,

ბიუიკები, რენოები ერთ ადგილზე მდინარედ ქცეულან, თითქმის ნის ლავა მოედინებაო... ქუჩა... ხალხი... კაფეები... ჯიშთან თეთრ ცხენზე ამხედრებული პოლიციელი... შენ კი მადიხარ, მიდიხარ, სუნთქავ... ახალგაზრდა ხარ, სულ ნორჩი, სიცოცხლე ღულს... მოკლესახელოიანი, მსუბუქა კაბა გაცვია, ცხენზე ამხედრებულ პოლიციელს ეშმაკურად უკრავ თვალს... თავისუფალი ხარ, თავისუფალი, სიგიჟებდე ახალგაზრდა... პოლიციელი თვალს გაყოლებს... შენ კი მიდიხარ, იცინი... შენი კაბა მსუბუქია, იმდენად მსუბუქი, რომ ჰაერიც კი ატანს მასში... ჰაერი, თავისუფლების ჰაერს გრძნობ სხეულზე... ფრუანტელი... ფრუანტელი... და აი, უეცრად, სრულიად მოულოდნელად ხვდები მას... პრინცი... სწორედ ის პრინცი ზღაპრებში რომ არის... მაღალი, ლამაზი, კეთილშობილი, პოლიციელის თეთრი ცხენივით ჯიშიანი... ახლა უკვე ერთად მიდიხართ, ერთმანეთის სიახლოვით ხაკენი... ბედნიერნი... როგორ მოხდა თქვენი გაცნობა? როგორ და, აი, ასე — ბუნებრივად, თვალის ერთი შეველებით... თქვენ ერთმანეთისათვის ხართ გაჩენილი... მუდრო კაფე... ჭიკა შამპანური. მომღიმარი ოფიციანტი... და ისევ ათასფრად აელვარებული ქუჩა... მერსედესები, ჯიპები, რენოები... გაჩახჩახებული ლამპიონები... ბრჭყვივალა რეკლამები... შენი პრინცი შინ გაცილებს... აი, სახლიც... შენი ძვირფასი, ლამაზი სახლი... ახლა დაწვები და იოცნებებ, იოცნებებ... პირველი კონცა... გამოთხოვება... კიბეზე არბიხარ... (ლეიბების ბერტყვის ხმა). მარინა მონოლოგს შეწყვეტს. თითქოს ჩაკვდაო. ხანმოკლე პაუზის შემდეგ.

მარინა — ვამორთეთ, რა, სპეცეფექტი! (სკამთან ბრუნდება. ჩამოქდება) ხმა მეორდება.

მარინა (უკიდურესი გაწიწებით) წაილო ტვინი, ნუ, წაილო... როცა და-

ჭირდება, მარინაჟა, გენაცვალე, მოსეს ერთ ადგილას ნემსი დაარტყვი... უყურე შენც მოსეს უკანალს და ურტყვი ნემსები... ზურგსუკან კი რა ვიცი, რას არ შეძახის...

თამარი — დედა!

მარინა — დედა, დედა... უკაცრავად, ბატონო... წავალ, იაპონურ მარაოთან დაედგები, თუ ასე გაღიზიანებ... (წამოდგა. სცენის სიღრმეში იაპონური მარაოსაკენ გაემართა). სულხანასა და თამრის შორის ხანგრძლივი უხერხული პაუზა ვარდება. კრუპიე ბიჭი ბიძინას მიერ დატოვებულ კამფეტს აწვდის სულხანას. თამრიზე ანიშნებს. სულხანა კამფეტს გამოარმევს.

სულხანა — აი, მიირთვით...

თამარი — მადლობოთ... (გამოართვა) კონახურია? o

სულხანა — დახ...

თამარი — (კამფეტს ჩაიდებს პირში: პაუზის შემდეგ) — იცით, მე პოროსკოპების არ მჭერა...

სულხანა — არც მე...

თამარი — დედაჩემი ლამის ჭკუიდან შეიშალოს პოროსკოპების კითხვით... (პაუზა) მე ღმერთის მჯერა...

სულხანა — ღმერთის მეც მჯერა. (პაუზა) ალბათ ზმირად დადიხართ ეკლესიაში, არა?

თამარი — ეკლესიაში? კი, დავდივარ... (პაუზა) მაგრამ უფრო ზმირად ჩვენ ცალკე ვიკრიბებით... (თვალბეშით უცნაური სხივი გაუკრთა) ღმერთი ერთია, მეთანხმებით ამაში?

სულხანა (დაიბნა) — დიახ, რა თქმა უნდა, ღმერთი ერთია...

თამარი — ეს დიდი შეებაა, თუკა მართლაც ასე გჯერათ... შეიძლება ითქვას, რომ თქვენ პირველი ნაბიჯი უკვე გადადგით საოცარი პარკისკენ მამეალ გზაზე...

სულხანა — რა რქმა უნდა, რა თქმა უნდა, ღმერთი ერთია...

თამარი — თუმცა, იმ პარკში შეოწვევა ასე იოლი არ არის... უნდა ვააც-

ნობიერო რა დანიშნულებით მოგვადგენა ღმერთმა ამ ცხოვრებებში, აღიქმისა

სულხანა — დიახ, მთავარი ალბათ, ეს უნდა იყოს... თამრი სულხანს გადმოხვდავს. თითქოს რაღაც ვადაწ! ყვეტილება მიიღო, ხელნათას ვახსნის. იქიდან ლამაზყდიან ბროშურას ამოიღებს.

თამარი — აი, ნახეთ!.. ნახეთ, როგორი ცხოვრება ელის მას, ვისაც ხეჯერა, რომ ერთი ღმერთია... აი, აქ, ამ ლამაზ პარკში, ამ საეანეში ცხოველება და ადამიანები ერთად იქნებიან. შეხედეთ, რა ნეტარება აწერიათ ხახეზე ამ ადამიანებს... აი, ნახეთ, ლომი და კრავი ერთმანეთის გვერდით წვანან... ნახეთ, რა სილამაზეა, რა ფერებია. ყველა რასის ადამიანისათვის არის აქ ადგილი... მტაცებელი და ბალახისმჭამელა ცხოველები გვერდიგვერდ, უზრუნველად ცხოვრობენ, ერთმანეთი უყვართ...

სულხანა — რა ლამაზი გარეკანია... (ხელს გადაუხვამს ბროშურას).

თამარი — მოგწონთ, არა?

სულხანა — ძალიან...

თამარი — რატომ გეცინებათ?

სულხანა — იცით, მე სანზონის პარკთან ვცხოვრობ, იქვე ვმუშაობ... თქვენი პარკი ძალიან არა გავს ჩემსას...

თამარი — ო, ეს სხვა რამეა... თქვენც ხომ იგრძენით... მართლა მოგეწონათ?

სულხანა — ძალიან... ძალიან მომეწონა... თქვენი საუბარიც ისე ამშვადებს ადამიანს... (პაუზა) ნერვები სულ დაძაბული გაქვს კაცს... თქვენ კი... (პაუზა) საერთოდაც, მონატრებული ვარ საუბარს სულიერებაზე, ღმერთზე...

(ხანმოკლე პაუზა) ავიღეთ აქვე, კარგი ყავახანაა.

თამარი — აი, ყველაფერი მაინც ეუჭამდე მიდის...

სულხანა — არა, არა, რა შუაშია, ჭიქა ყავასთან გავაგრძელოთ საუბარი...
მარინა — ყავაო... ხად არის ყავა?

სულხანა — აქვე ავიღეთ, ყავახანაში.

მარინა — ყავა ჩემი სიყვარული...
წაიღეთ, წაიღეთ, თან გიმკითხავებთ.
თამარი — ღელა...

მარინა — კარგი, ხო, კარგი, კარ-
გი... ღელა, ღელა, ღელა, ღელა... წამო,
სულხან, ამას ვურს ნუ უკვებ...

სულხანა — თამარი, წაიღეთ არა?
თამარი (მხრებს იჩენავს) — მოხეს
რომ გაეღვიძოს...

მარინა — ასე უცებ ხომ არ გააფ-
რენს, შენც იტყვი რა...
სულხანა — არა, მართლა... წელს

ენახე, მაგრად ეძინა... სულ ცოტა
ხნით...
თამარი (მხრებს იჩენავს) — კი ბა-
ტონო...

სულხანა (გახალისდა. თამარისკენ)
— იცი, როგორ მაკლია ასეთ რაღა-
ცებზე სუბარდი... ცხოვრობ, ცხოვრობ,
არც კი იცი რისთვის...

მარინა — ვველაფერი სისულელეა...
აი, უცხოპლანეტელები გვესტუმრებიან
მალე და ისინი გვასწავლიან ცხოვრე-
ბას...

თამარი — მთავარი ევ არ არის...
მარინა — ოხ, თავი მომბებურე,
შენ თავს გეფიცები...

სულხანა — კარგი, რა, ნუ ვინხუ-
ბებთ... თამარი...

მარინა — (სულხანს შეხედა) —
შეხედე, შეხედე, როგორ გაწითლდა...
ვეილები ასე კაცებზე. მგრძნობიარე-
ები არიან ძალიან...

თამარი — ღელა!
მარინა — რა ეთქვი ისეთი...

გზადაგზა საუბრობდნენ. სულხანა
ჯერ მანდილოსნებს გაატარებს. შემდეგ
თვითონ აუყვება კიბეს. თვალს მიეფა-
რებიან.

სურათი მართლაც. კრუპიე ბიჭი,
კრუპიე გოგო, შემდეგ კაცი
ვილინოს ფუტლიარით.

მარინა — იშვიათი ტრიონა...
მე მგონი, სულხანას თამარი მოეწონა.
შენ როგორ ფიქრობ?

მარინა — (ხედავს მარინას)
(ხანმოკლე პაუზა) მაშინ ურთავს მისთვის
რი, ცაცა თავის შეიღზე ლაპარაკობ-
დაო, მართლა ასე იყო?

მარინა — ცაცა აქ იღვა.
მე კიბებზე ჩამოვდიოდი. ჩემი შეიღა,
ჩემი ამაყი ვაჟკაციო, ვური ამას მოე-
კარი მხოლოდ. შემდეგ თვითონაც შემ-
ნიშნა. შეტრიალდა და ვითომც არაფე-
რიო, მოხეს ოთახში შევიდა.

მარინა — ...უცნაურია.
(პაუზა) საგიჟეთში ხომ არა ვართ?
მართლა გეკითხები... იქნებ საგიჟეთ-
ში მოვხვდით...

მარინა — საინტერესო ახ-
რია... **(იციანს)** შეიძლება. რატომაც
არა.

მარინა — ...მე რეალობის
შეგრძნებას ვკარგავ, აი, როგორც კარ-
ტის თამაშში არის. ხელში კარტი კომ-
ბინაცია ვიჭირავს, რომლითაც აუცი-
ლებლად უნდა ითამაშო, მაგრამ რაღაც
ხმა გეუბნება, რომ წააგებ. კარტის თა-
მამაში არსებობს უიღბლობის შავი ზო-
ლი... მე შეჩვენება, რომ ახლა, სწორედ
იმ ზოლში ვართ... თითქოს ტირში სა-
თამაშო კურდღელს ვესვრი და წინას-
წარ ვიცი, რომ ავაცდენ... თითქოს ახ-
ლაც ვთამაშობთ, მაგადის მეთრე მხა-
რეს ვიღაც, უხილავი მოწინააღმდეგე
ღვას და გვეთამაშება. მისი არც ხმა
ისმის, ვერც სახეს ვხედავთ, მაგრამ იცა
არსებობს...

მარინა — ის უხილავიც ისე
არსებობს, როგორც ცაცას შეიღა,
არა?!

მარინა — იქნებ... ან კი,
რა ვიცი, მათ ცხოვრებაზე, მათ წარ-
სულზე... ჩვენ ხომ პირდაპირ თეატრი-
დან, შეიძლება ითქვას, ჩვენი პავშეო-
ბიდან მოვხვდით ამ კაზინოში... რა-
ღაცას ვამაიმუნობთ, ვხუმრობთ, იქნებ
ეს ჩვენი ფარია... არ ვიცი, დავიბენი...
შენ კი უკვე ყვავის ქალბატონს მეძა-
ხი... ნუ მეძახი ყვავის ქალბატონს... მე
მეშინია.

მარინა — გინდა, არველო-
დის მატარებლით ვაფრინდეთ?!

პრეზიმი გოგო — თავი დამანებე!
პრეზიმი ბიძი — ანდა სპეცფექტი ჩავრთოთ, აქაურობა ცირკვიო ავაბრდღვიალოთ. ბაუშობისას, ცირკის თალი ცასავით მიუწვდომელი მერვენებოდა. იქ კი ვილაც ადამიანები დაჭიმულ ბაგირზე დადიოდნენ, მე ქვემოდან შევექეროდი და ჩემთვის ვფიქრობდი, რა იქნება, ოდესმე მეც მეღირსოს ამ სიმაღლიდან ქვემოთ ჩამოხედვა-შეთქი, წარმოიდგინე, მაღლიდან თოკი დაეშვას, ჩვენ წელზე შემოვირტყაო და აუფრინდეთ!

პრეზიმი გოგო — მათხოვე სათამაშო!

პრეზიმი ბიძი — არველოდის მატარებლით გირჩევნია?

პრეზიმი გოგო — როგორ უნდა ვიმოგზაუროთ?

პრეზიმი ბიძი — როგორც ველოდი და არველოდი მოგზაურობენ. პირველ რიგში, უნდა გვეროდეს, რომ ეს მატარებელი ოკეანეშიც დაცურავს და ცაშიც დაფრინავს. მერე კი ველოგან ხსნილი გაქვს გზა: ზღვებზე, აქაფებულ მდინარეებზე, მიწაზე, ცაში და ექვე, მოუხვავთ აქედან! თან რა ვქნათ, იცი?!

პრეზიმი გოგო (გახალისდა) — რა, რა ვქნათ?

პრეზიმი ბიძი — ჩვენი თეატრიც ავიტაცოთ... ეს პატარა მატარებელი ჩვენც დაგვიტყვს და ჩვენს თეატრსაც...

პრეზიმი გოგო — ხო, ხო... (იციხის) მე კი იქ ჩუღლიეტას მონოლოგს წარმოეთქვამ... კაპულეტების ბაღი... ჯულიეტა ღია სარკმელში... დამე... პატარა, წმინდა გოგოს აღსარება დიდ სიყვარულზე... „ოი, რომეო, ო, რომეო, რად ხარ რომეო“. კიბეზე კაცი ეშვება ვიოლინოს ფუტლიარით ხელში.

პაცი ვიოლინოს ფუტლიარით — შეიძლება? (შეცბა) ხელი ხომ არ შეგიშალეთ?!

პრეზიმი გოგო — მობრძანდით... კაცი ვიოლინოს ფუტლიარით — იციო, იციო, მე უფრო დაწვრილებით გამოვიკითხე, და აღმოჩნდა, რომ კარტს მი-

აქვს ბაზარი... დიახ... ასეფიქრამუ ხელბა ხოლმე... არასწორი ინფორმაციები სულ ტყვილი ხარჯებიც გარანტირებული გაქვს... მოგვხსენებათ, ჩარტერული რეისით მივიღე კარტის ნიმუშები... ესეც ფული ღირს... მაგრამ, სამართლე ვითხრათ, ვერაფრით ვერ მოვისვენე... და აი, ისევე ახალი იდეა... ნოუ ჰაუ... (ვიოლინოს ფუტლიარს მკერდთან მიიკრავს) სულ ვფიქრობდა, რა აკლია ამ სარდაფს, რა აკლია-მეთქი და როგორც ყველაფერი გენიალურად ეს იდეაც უბრალო შემთხვევამ მიკარნახა... ლეიბების პერტყვა... დიახ, როგორც ნოუტონს ვაშლმა, მეც ასევე მიკარნახა ჩემი იდეა ლეიბების პერტყვამ... (ვიოლინოს ფუტლიარს ხსნის) კაკკასიური ხანჯალი... ქართული სკოლა... ვაქკატური იერი... ზოგადკაკკასიური ხასიათი. იშვიათი ელვარება... ძალიან მოუხდება აქაურობას...

პრეზიმი ბიძი — უკაცრავად! კაცა ფუტლიარით (გაშორეკვა) — დიახ!

პრეზიმი ბიძი — თქვენ ფოკუსნიკი ხომ არ ბრძანდებით?

პაცი ვიოლინოს ფუტლიარით — არა, ფოკუსნიკი არა, ისე კი ილუზიონისტთან მიმუშავია... მტრედების პარტიას ვთავაზობდი... არ აიღო... თავის თავს დააბრალოს თუ არ აიღო... დიახ... ისევე ხანჯალს დაუბრუნდეთ. მოგვხსენებათ, ერთი ან ორი, თუნდაც ახი ცალი ხანჯლის გამო თავს არ შევიწუხებდი... მე საქმიანი წინადადებით გეახელით — დაფანანება თქვენი, ხანჯლების უცხოეთში გატანა ჩემი... ათასი, მილიონი, განუსაზღვრელი რაოდენობით... აქ ვყიდულობთ ჩვენ ფულზე, იქ ვყიდით მყარ ვალუტაზე...

პრეზიმი ბიძი — ერთი წამით შეგაწვევტინებთ... ძალიან საინტერესო პოზიციას ვეთავაზობთ, მაგრამ აქაურობა მალე კომერციულ ტუალეტად გადაკეთდება, მე მგონი...

პაცი ვიოლინოს ფუტლიარით — ტუალეტად? შესანიშნავი იდეაა. ჩემს ჩებ პარტნიორს გადა-



ვერსკაც და რაც ამ პიკანტური დაწესებულებისთვის არის, ასე ვთქვათ, საჭარო, იქიდან მივიღებთ პარტიებად... შესანიშნავი აზრია... თუკი ბაზრის მოთხოვნილება არის, რატომაც არა?

კრუპი ბიჭი - დიახ, მაგრამ ეს მაინც პერსპექტივაშია... რეალურად მე შხამები მაინტერესებს.

კაცი ვიოლინოს უშტლიარით - თქვენ გველის შხამი ვნებათ, არა?

კრუპი ბიჭი - თუნდაც მორიველის იყოს...

კაცი ვიოლინოს უშტლიარით - არა, მორიელი გამორიცხულია, პრინციპში გველის შხამიც დიდი პრობლემა გახდა. ფუტკრის არ ვნებათ? ოღონდ სერთიფიკატის გარეშე...

კრუპი ბიჭი - წამლავს?

კაცი ვიოლინოს უშტლიარით - როგორ არ წამლავს, გენაცვალე, წამლავს კი არა, ადგილზე ათავეებს კაცს... ახ, თუმცა ახლა გამაზხენდა...

შხამის პატრონი თელავში წავიდა, ბებია ვარდაცვლია... იქნებ თაფლა ვნებათ, ორასგრამიან ქილებში?

კრუპი ბიჭი - თქვენ ხომ თაფლზე არ მუშაობთ?

კაცი ვიოლინოს უშტლიარით - ყური მოვკარი, იცით... არ ვნებათ?

კრუპი ბიჭი - არა, მაღლობთ...

კაცი ვიოლინოს უშტლიარით - (სკამზე ჩამოჯდა. მოიწვინა)... ცოტა ხანი დავისვენებ თუ შეიძლება.

კრუპი ბიჭი - დაბრძანდით, დაბრძანდით... ცუდად ხომ არა ხართ... (ბორჯომს დაუსხამს) აი, მიირთვით...

კაცი ვიოლინოს უშტლიარით - მაღლობთ. თქვენ ძალიან გულისხმიერი ხართ... (წყალო მოხვა) მთელი დღე დადიხარ, დადიხარ... დაიღლები კაცი, აბა რა იქნება... (ამოსუნთქა) როგორც ვატყობ, ზანჯლის იღებ ვერ ავიტაცათ...

კრუპი ბიჭი - რატომ? დატოვებთ... იქნებ აბესალოში დაინტერესდეს...

კაცი ვიოლინოს უშტლიარით - თქვენ ასე თელთქუნსული კრუპი ბიჭი - დიახ, რატომაც არა. მშვენიერი აზრია...

კაცი ვიოლინოს უშტლიარით - (გახლისდა) - მომეცით... (ხანჯალს გამოართმევს. ერთ-ერთ თაროზე შემოღებს) აი, აქ... ნაზეთ, როგორ უხდება... თანაც ეს ზოგადკავისიური ელვარება თავის სიტყვას იტყვის... აქ ჩვენს ფულზე, იმ მყარ ვალუტაზე... ასე, მოულოდნელად მინდება ხოლმე ახალი აზრები, ლეიბების პერტყვა... სროლის ასოციაცია... კავკასიური ხანჯალი... მე მგონი. მივაგენი... მე მგონი... (კრუპი ბიჭს) ამ სარდაფის თაობაზე რომ ვთხოვეთ, ხომ ვერ დამიდგინეთ?

კრუპი ბიჭი - ზუსტად ვერა... ისე კი, ნამდვილად ძალიან ძველი შენობაა... შეგიძლიათ ასე გადასცეთ თქვენს კლიენტს...

კაცი ვიოლინოს უშტლიარით - არა... ასეთ სოლიდურ კლიენტთან, მხოლოდ ზუსტი მონაცემებით შეიძლება მისვლა... არასერიოზულად გამიჯნდები... მაინც, ყური გეჭიროთ... ზუსტად როდის, რომელ წელს არის აგებული... ასე მოითხოვა, ყველას თავისი უცნაურობა ახასიათებს, მოგეხსენებათ...

კრუპი ბიჭი - ჩემის მხრივ, ცდას არ დაეკლებ... **კაცი ვიოლინოს უშტლიარით** - კარვით, მაშინ დაგტოვებთ... (ხანჯალზე უთითებს) ეს იყოს. აქ მერე შემოვივლი და აბესალომს ვნახავ... წესით, უნდა გაამართლოს... არ არას ურიგო აზრი... ნამდვილად არ არას ურიგო აზრი... (მიდის).

კრუპი ბიჭი - იქნებ, დაგესვენათ ცოტა... **კაცი ვიოლინოს უშტლიარით** - არა, არა... სად მცალია... საქმეები... დროებით, კარგად ვნახეთ... (კიბეზე ადის. ბიძინა შეეჩვენება).

სურათი მხსოვი: ბიძინა, დათიკო, კრუპიე ბიჭი, კრუპიე გოგო, შემდეგ ველოდი.

ბიძინა — ვინაა ეს კაცი... ნათესავი ხომ არაა ჩვენი? რაღაც მეცნობა.

კრუპიე გოგო — საწყალი კაცია.

ბიძინა — ჩემზე საწყალი კაცია არ მეგულება მე. მაგრამ დათიკომ კაი ამბავი თუ მომიტანა, მერე ნახეთ თქვენ ჩემი პატივცემამ... კოწახური კი არა, მე ვიცი მერე... არ გამოჩენილა ხომ დათიკო?

კრუპიე ბიჭი — არა.

ბიძინა — ესაუბრებ: ალბათ ჩემზე... (ხანმოკლე პაუზა). კარგი წინათგრძნობა აქვს. კუჭის აწინაღობა ვიცი ხოლმე ამ დროს. კაი პასუხს მოიტანს დათიკო. დაუწყებენ ახლა ისინი, კვალფიკაცია არა აქვს, ის არა აქვს, ეს არა აქვს, მაგრამ დათიკო რისი დათიკოა მაგათ თუ სიტყვაში არ აჯობა. დათიკო არის კაცური კაცი... არ შეეშლება მაგას ჩემთან. მოსეს არ გაუღვიძია?

კრუპიე ბიჭი — ძინავს ჯერჯერობით.

ბიძინა — (ხელბს მოიფშენიტავს) — ესე იგი ძინავს... (იციანის), რაც მე მოსეს ჩემოდნები მითრევი, ახლა საზარდულქვეშ ხელის ამოდებაც მომთხოვა... (იციანის) ისე, დიდი უსინდისო ხალხი ვია, ჩვენში დარჩეს... სანამ ახალგაზრდა იყო, ჩემო ბატონო, მეფობა და კაი ცხოვრება არ დაუკლია, რძეში და თაფლში მუშაობდა მთავარ რევიზორად... იმერთიც წყალობდა და ასე იყო, ა. (ყელთან გაიტარებს საწვევებელ თითს) ახლა, მოზუცდა და ამ ვიფობაშიც აქეთ მასწავლის ტკუას... მტრედმა ღუ-ღუ მითხრა, დიდი მოსეს სული გადმოვიდა ჩემზე და ახლა ღვთის სასუფეულის დასაბრუნებლად ახალ ომს ვიწყებო, გამოაცხადა... გამაგიჟებს ეს ხალხი... ყველგან მეფობა როგორ უნდათ, კაცო... ახლა იქ უნდა მითრევიოს ჩემოდნები... (იციანის) ეხ, მოსე, მოსე... სულ მისი შვილის ამბავზე დაემართა ეს სიგიჟე, მაგ საცოდავს... მოსეს

ბიჭი დიდი აწყვეტილი დააჯღებოდა მანქანას, ნახევარქრამტქმა უნდა, ჩამოწევედა ფანჯარას, თავისუფლების გრიგალი ვარო, იტყოდა და ბოლომდე მიატყურდა გაზზე ფეხს. გიჟდებოდა მოსე შვილზე. ფიქრმა და დარდმა შეჭამა, თორემ მაგას რამე თუ მოურეოდა არ მეგონა, ისეთი მაგარი კაცია იყო... რას მიშვრება ეს კუჭი... კაი ამბავს მოიტანს დათიკო... (ხანმოკლე პაუზა) ამასწინათ, მოსე კარგად იყო მშინ, ჩემთვის უცნობ კაცს ერთი მანქანა მწყერი გამოუგზავნია მოსესთვის. სად მოინადირა მაინც ამდენი... მოსემ, მწყერის დანახვა არ შემთხლიათ და, მთელი ნანადირევი მე გამომატანა... რა გემო ჩავატანე, რომ იცოდე, რა გემო ჩავატანე... ვგიჟდები მწყერზე... თქვენ არ ვიყვართ?

კრუპიე ბიჭი — კი, რატომაც არა...

ბიძინა — ოხ, რა იყო... რომ შეიწვევა, ხომ იცი, რომ შეიბრაწება... ხო, ხო!!! მწყერს მე ძვლიანად ვჭამ, მაგალითად... აუპ, რას მიშვრება, კაცო, ეს კუჭი... ა, რა ვთქვი, დათიკო! (კიბზე ჩამომაველი დათიკო შენიშნა). ღაბიძკო (კიბზე დაეშვა. ბიძინას მიუახლოვდა) — რაო, ბიძინა, გააკეთე რაც ვთხოვე?

ბიძინა (უბიძან საბუთს იღებს) — აბა, რისთვისაა ბიძინა... (მიანწვდის).

ღაბიძკო (საბუთს ათვალერებს) — ყოჩაღ... რად უნდა ამას ტაბელური იარაღი... აი, აქ წერია ყველაფერი... საავადმყოფოს ამბავიც მოვაგვარე...


ბიძინა — კი, ხომ?! მოავაგრებდი, აბა, რა იქნებოდა...

ღაბიძკო — აქ ჩემი ბიჭი ხომ არ ყოფილა, სულხანა...

კრუპიე ბიჭი — იყო. მარინასთან და თამრისთან ერთად გავიდნენ ყავის დასალევად.

ღაბიძკო — გაუკეთეს მოსეს ნემსი?

კრუპიე ბიჭი — არა, ძინავს ჯერჯერობით... მალე მოვალთო...



დათიკო — ზოგ რამეში კი არ ტყუ-
ის აბესალომი... ვერ არის მთლად და-
ლაგებული ეს ჩემი ბიჭი... რა დროს
მარინა იყო... ჩამოწერილი საქონელი...
ყავახანაში კი არა, ვიცი მე სადაც გა-
ვეშვებ მაგას... სულელი ეგ...

ბიძინა — რას ამბობ, დათიკო, სულ-
ხანა რომ ბიჭია... შესაშური ახალგაზრ-
დაა.

დათიკო — კმ... შესაშური. (ხან-
მოკლე პაუზა) ისე, აბესალომსაც რომ
გონია, არც მთლად ისეა საქმე. სულ-
ხანა დღესაა ასე თავჩარგული, იშოვას
თავის საშოვნელს და აბესალომი შე-
იძლება კარის დარაჯადაც კი დაიყენ-
ოს... დახლთან დგომაც შეუძლია და
შეჯორებასაც უძლებს... მაგაშია მაგის
ძალა... ფულზე დგას... ძლიერი ფეხვა
აქვს.

ბიძინა — დათიკო!

დათიკო — ხო, ბიძინა...

ბიძინა — (ხევა რამის კითხვა უნ-
და) აბა, საავადმყოფოს ამბავი გარკ-
ვე ხომ...

დათიკო — კი... დავაწვენთ ხეალ-
ზეგ.

ბიძინა — ჩემ საქმეზეც ხომ არ გა-
მოვივლია?

დათიკო — კი, გამოვიარე...

ბიძინა — მერე, დათიკოს ვენაც-
ვალე, რა გითხრეს?

დათიკო — არ გამოვა მაგ საქმე,
ბიძინა! ღმერთია მოწამე, ცდა არ და-
მიკლია, მაგრამ კვალიფიკაცია არ ყოფ-
ნისო...

ბიძინა — ...მომკალი და ისაა.

დათიკო — რა ვქნა, ტყუილს ხომ
არ გეტყვი.

ბიძინა — დათიკო... დათიკოს ვენა-
ცვალე, დისპენერობას რა კვალიფიკა-
ცია უნდა... ვილაცას რაღაცას გამოუ-
წერ და ორ კაპიკს ჩაგიდებენ ზიბეში...

(ხმაძალა) მაგათი შეცდენილი ვარ
სულაც... დავრჩებოდი ჩემს სოფელში
ბოლოსდაბოლოს. გინდა თუ არა, ჩამო-
დი ქალაქში, დააჯექი ტროლეიბუსს
და ბინასაც მოგცემ, საჭმელ-სასმელ-
საც მოგცემ, იმრავლე - იხარეო... ჩა-

მოვედი, ბატონო... ავერა ვარ, ა... მარ-
ტო მე კი არა ვარ, ცოლი...
შვიდი შვილი კიდე ჩემი... ტროლეი-
ბუსით ვარჩენ ამდენ სულს, მე შენ
გელაპარაკები. მიპასუხე ერთი... დის-
პენერობას რა კვალიფიკაცია უნდა, და-
თიკო, არ გადამრიო... რა დღეში ჩა-
ვარდი, კაცო, იქით გაყიდული სოფე-
ლი და აქეთ, ქალაქში, დამშუული ბავ-
შეები... შვიდი შვილი რომ მყავს, მაგი
არაფერია?

დათიკო — კვალიფიკაციას, ჩემო
ბიძინა, ბავშვების კეთებაში არ იძლე-
ვიან...

ბიძინა — მადლობთ, დათიკო, მად-
ლოთ. არ მეგონა ნამდვილად... შენგან
არ მეგონა... არც ისე შორებლები ვართ,
ჩემი ვაჭირვება გულთან არ მიგეტა-
ნა... არ მიიტანე გულთან და იმის ბრა-
ლია...

დათიკო — ...უყურე ახლა ამას.

ბიძინა (მიდის) — კი, კი, მახეა...
ვინც აღამიანურად დამელაპარაკება,
ფეხს დავბან იმას, გელაპარაკები მე
შენ... უგულობა არ მიყვარს მე... რა
შუაშია — ბავშვების კეთებაში არ იძ-
ლევიან კვალიფიკაციასო. — რა თქმა
ეს. ნათესავის და ახლობელის ბუხარა
არ მიკეთებია, ჩემს ბუხარს ვუკლიდი...
რატომ გადაიკარგა აბესალომის მამა?
ისე გადაიკარგა, სურათი არ დატოვა
თავისი ოჯახში... ან კი მამა იყო? ხალ-
ხი იმასაც...

დათიკო — (მაგიდაზე დაარტყა ხე-
ლი) — ხმა!!!

ბიძინა — (მიდის, შეცბა, მაგრამ
ინერციით ისევ გამოხატავს უკმაყოფი-
ლებას) — ხმა კი არა, დამანებე თა-
ვი, თუ კაცი ხარ...

დათიკო — მოდი აქ!

ბიძინა (ადგილზე შედგა) — რა
იყო, რა ვთქვი ახლა ისეთი...

**დათიკო (თითოს დაქნევით იხ-
მობს)** — ბიძინა!

ბიძინა — (დათიკოს ნებას ემორ-
ჩილება. თუმცა, ინტიმარსაც არ იტყვის)
ა, ბატონო, მოვედი... (მიუახლოვდა).

დათიკო — გააღე პირი!...

ბიძინა — რა ვთქვი ახლა, ისეთი...
 ღათიკო — პირი გააღე..

ბიძინა — რატომ, კაცო, რა ვთქვი...
 არაფერი არ მითქვამს...

ღათიკო — გააკეთე, რასაც გეუბ-
 ნები...

ბიძინა — რატომ, კაცო...

ღათიკო — მაინტერესებს, რამხე-
 ლა ენა გაქვს... ჰე... (ნიკაპში წაკრავს
 ხელს). ბიძინა პირს გააღებს. დათიკო
 ჩაატკრდება. ჯიბეში ჩაუყოფს ხელს.
 ქალღმერთს გახვეულ კამფეტს ამოაც-
 ლის. ასევე გაუფიქრებლად ჩაუღებს
 პირში. ხელს წაკრავს ისევ ნიკაპზე.
 ბიძინა პირს მომუწავს.

ღათიკო — სტომატოლოგთან ვერ
 წახვალ? რა დღეში გაქვს კბილები...
 (ფულს ამოიღებს. ბიძინას ჩაუღებს ჯი-
 ბეში) სტომატოლოგთან წადი... იმ-
 კურნალე და მერე მოდი... ხომ გამიკვ?
 ბიძინა თავს დაუქნევს. შეტრიალდება.
 მიდის.

ღათიკო — (კრუპიებს მიმართავს)
 — ახეა, წყალობ, ჯახირობ... ბიძინას-
 ნაირების გამო საკუთარი თავი გავიწი-
 ყდება კაცს, მადლობელი მაინც არაფერ
 არ არის (კრუპი გოგოს) ჭიკა წყალო.
 გენაცვალე! (კრუპი გოგო პორჯომს
 ჩამოასხამს ჭიკაში. დათიკო მოხვამს)
 მადლობთ (ჩაიცინა) გელოდის თუ არ
 ჩავთვლით, ყველა შენგან თხოულობს
 რაღაცას... მაგრამ გელოდის მოხალხო-
 ცი ბარათებიც ვის რად უნდა, ვერაფ-
 რით გავიგე. ეტყობა ღმერთმა სხვის
 სამსახურად გაგვანინა მე და ჩემი ღი-
 დი ოჯახი. ვანა რამედ გვერგება ბი-
 ძინა, მაგრამ მაინც ეპატრონობ, მაინც
 ვაღლებულად ვთვლი თავს... ჯერ მო-
 ხეს ჩემოდნები დაქონდა... მერე მაგის
 შვილს ავიღა... ის კი სხვანაირი ბიჭი
 იყო, ამოჩემებული ქონდა — თავისუფა-
 ლი კაცი ვარო.. მე რომ მკითხო, თავ-
 ვისუფალი კაცი კი არა, შლეგი იყო,
 ასევე შლეგურად მოკვდა ცხონებული...
 ჩემი ძმაც მისი სიკვდილის შემდეგ შე-
 იცვალა... იცით, რა კაცი იყო მოსე?!
 მართლა მაგარი კაცი იყო... ჩვენს ში-
 რის ასაკობრივად დიდი სხვაობაა, მაგ-

რამ კარგად მახსოვს, მაშინვე მომი-
 ვით ვაცისკროვნებული ზახე, როცა მკა-
 სემ ბაბუაჩემის სახლი დაიბრუნა... იმ
 დღიდან მოხეს სიტყვა ჩვენს ოჯახში
 კანონად იქცა. ასეც გრძელდებოდა
 იქამდე, სანამ მის შვილს ის უბედურე-
 ბა არ შეემთხვა... მერე კი, დღით-დღე
 იცვლებოდა ჩემი ძმა, ჯერ სიტყვაძუნ-
 წი გახდა, მერე საქმეზე ვულისაცრუებ-
 შევამჩნიე, მერე თითქოს გამოცოცხლ-
 და და ეს კახინო ღმერთების ბიუსტე-
 ბით გამოტენა, მერე ისევ ჩაიკეტა თა-
 ვის თავში, საქმეზე ხელი აღმო და მა-
 შინ გამოჩნდა სწორედ ახსალიმიც...
 ბოლოს, საერთოდ აღარ გამოდიოდა
 თავისი ოთახიდან. იჯდა და ბიბლიას
 კითხულობდა. ეხ, მძიმე ტვირთია კა-
 ცის ცხოვრება, მაგრამ კაციც იმისაა,
 ტვირთი ზიდოს. (წამოღდა). მარინა ყა-
 ვახანაში წავიდა, არა?

პრუპი ბიჭი — დიახ, მალე მო-
 ვალთო.

ღათიკო — ეტყობა, მარინას არ
 იცნობთ, ჩემი ხელით თუ არ მოვიყვა-
 ნე, სანამ ყავახანის ყველა კლიენტს
 არ უმკითხავენ, იქამდე ფეხს არ გად-
 მოდვამს... (საათზე დაიხედა) მოსე კი
 სადაცაა გაიღვიძებს... (მიდის) კიბეზე
 გელოდი ჩამოიღის.

ღათიკო — გელოდი, ჩემს მოს-
 ვლამდე აქ იყავი, მოხემ თუ გაიღვიძა,
 შეიქცეი... მალე მოვალ.


ველოდი — რას გავდა, კაცო, ბა-
 ძინა. ფერი არ ეღო სახეზე. ხომ მშვი-
 დობაა?

ღათიკო — არაფერი ისეთი. ამ
 გახსენებაზე, შენ გეცოდინება, რად
 გვერგება ჩვენ ბიძინა?

ველოდი — ბიძინა.. ახლობელია,
 კი... კი, როგორ არა... დედამისის მა-
 შინაცვალი და ბაბუაჩემი ნათელმბრონ-
 ში იყვნენ... კი, როგორ არა, ახლობე-
 ლია...

ღათიკო — კარგი აბა... ახლობე-
 ლი ყოფილა... (მიდის).

სურათი მეექვსე: ველოდი, მოსე, კრუ-
 პი ბიჭი, კრუპი გოგო.



ბელორდი (კრუპიე გოვოს) — ტელეფონი მომართო, ბიძია... (ტელეფონის აპარატს გამოართმევს. ნომერს კრიფავს, თან საუბრობს) შევეხმებინება ჩემს ბიჭს, რას შერება, როგორაა, პირველად წამოვიყვანე ამხელა გზაზე, სუსტი ბავშვია და მეშინია მაინც... ალო... ალო, მარია! ხო, გელოდი ვარ. არა, მარია, მოსე ვერაა კარგად! ვერა. ხო... როგორაა ჩემი ბიჭი? (იცინის) კაი, კაცო, ასე მოგიშინაურდათ? ხო, აბა, გისმენ, მითხარი!.. (ხანმოკლე პაუზა. უსმენს. შემდეგ აღშოთობით) მეც მაგას არ ვლაპარაკობ! რა არის ამაზე იოლი?.. რა უნდა ამას! გიყვარდეს შენ, შენ გიყვარდეს და ნუ კითხულობ იმას უყვარხარ თუ არა... რატომ კითხულობ საერთოდ... რატომ გინდლება ტვინში ეს აზრი, რომ შენ უნდა უყვარდე ვიღაცას... გიყვარდეს, შენ გიყვარდეს და იფიქროს იმანაც ისე, ამის შერე ხომ დალაგდება ყველაფერი... რა უნდა ამას. ამაზე მარტივი, არის რამე?.. (შეტბა მიიხედ - მიიხედა) მაპატიე, შენი ჭირიმე, დაებერდი, ეტყობა, სულ გამოვპრუტუნდი... რა მანუბებს ერთი, გამაგებინა, — ხო, მარია, ხო გენაცვალე... დამალაპარაკე ჩემი ბიჭა. (კრუპიეებისკენ) მაპატიეთ, ბიძიებო, გაცხარდი ცოტა... (იცინის) მე მკითხულობდა თურმე... მარიათან უთამაშია, მაიმუნს მაგას... (ყურმილში) ხო, არველოდი! როგორ ხარ, მამა! ხო, მამა, კი, კი... კი, შეილიო... არველოდი! რა ვიცი, თუ იცი? გამოიცანი... ცივა... (იცინის) კიდე ცივა... (იცინის). დათბა ახლა... (იცინის) ო, მამა, ხო!!! აბა, რომ შეგბირდი გიყიდი თქო... ხო, მალე მოვალ... კაი, აბა... კარგი... (ყურმილს კიდებს. ბედნიერი ღიმილი აქვს) ხან შოკოლადი მითხრა, ხან მამალო... ისე უნდოდა ახალი მატარებელი, რომ ვერ წარმოიდგინა, მართლა თუ ვუყიდიდი... (ხანმოკლე პაუზა) ახლა, ცოტა სასაცილოდ ქანწარ თქვენთვის, ხო, ბიძიებო? არველოდის ხნის შეილიშვალი უნდა მყავდეს მე, მარა ასე მოხდა... სიბერეშია თუ ისე, ღმერთმა კი მანუ-

ქა და... ამის იმედი მაქვს, ახლა ხომ აღარ დამლუპავს... არ ხდებოდა... ცო... არადა, შემაშინა ბავშვმა მალე... გაიწვინა თავისი პატარა ხელი და ცეცხლი, მამა, ცეცხლიო... ვაფთორდა სულ... თვალები გაუფართოვდა... მამა მოუკვდეს, მაგას...
მოსმს ხმა — გელოდი!
ბელორდი — (შეტბა. ხმადაბლა) — გავაღვიძე?
მოსმს ხმა — გელოდი!
ბელორდი — მოვდივარ, მოხე!... გელოდი მოსეს ოთახისკენ გაეშურა.
კრუპიე ბიჭი — გაიღვიძა.
კრუპიე ბოზო — ცაცას ხომ არ დავეურეკათ.
კრუპიე ბიჭი — შენ მოწყალების და არა ხარ? ვაფრენინე რა კაცს თავის გემოზე...
კრუპიე ბოზო — მართლა არ დელეწოს აქაურობა...
კრუპიე ბიჭი — მოსე რისი დამლენჯავია, სიარული უჭირს — თავის ფეხით... ნახე, კიდევ ჩაირთო სპეცფექტი!.. (სპეცფექტი მალე გამოირთვება) აი, ახლა გამოირთო... არა, რაღაცა ჭირს ნამდვილად...
**გელოდის მოსე გამოიყავს ბორბლე-ბიანი სავარძლით... მოსეს პლედი აფარია. მუხლებზე ხელჯოხი უდევს. გამოიჩინებული ჩანს, შეიძლება ითქვას, ავრესიულიც...
მოსმ (გზადაგზა) — შენ მარცხნივ დამიდგები, არველოდი მარჯვნივ, ხელს დამიჭერთ, რომ არ დამეღალოს. მე ჩემს კვერთხს შევმართავ და ერთიანად დავაქცევთ ამერებსა და ამთორეთებს... მეომარია უფალი, უფალია მისი სახელი, ისაა ანი და პოე და მეც ღვთის სასუფეველის დასაბრუნებლად ახალ ომს დაიწყებ... მე მოსე ვარ!!!
ბელორდი — კი, მოსე, კი...
მოსმ — ხმა, კრინტი!!! (პაუზა) მტრედმა მითხრა... შემოფრინდა ღია სარკმელში, ღუ-ღუ, ღუ-ღუ — ასე გააკეთა და იმწუთას მიეხვედი ვისი სულიც გაღმოვიდა ჩემზე... ჩემი ხელით დაინაცრება, რასაც აქ ხედავ... მე უნ-**

და გაგანთავისუფლოთ მამონისაგან... ადრე მეც მამონის მსახური ვიყავი, მაგრამ მტრედმა ღუ-ღუ, ღუ-ღუ, ასე გააკეთა და იმწუთას მივხვდი, ვისი სულიც გადმოვიდა ჩემზე... შენ მარცხნივ დამიდგები, არველოდი მარჯვნივ, მე კვერთხს მიემართავ და... სად არის აბა, ჩემი ბიჭი? მიპასუხე, სად არის?! **(ხანმოკლე პაუზა)** ოქროს ხბოს სამსხვერპლოზეა დაკლული... ყველა, ყველა, ვისაც შენი თვლით ხედავ, ყველა ოქროს ხბოს მსხვერპლია... მან წაგვართვა შვილები, მან გვასვა სისხლი... **(ხანმოკლე პაუზა)** კერძი უნდა დაიქცეს... უნდა დაილეწოს! **(ხმას დაიდაბლებს. მოხედავს)** მოულოდნელად უნდა დავეცხოთ თავს... არავეინ არ უნდა გაიგოს, გავსებულა აქაურობა მამონის მოციქულებით... **(პაუზა. დაჭკვებით შეხედავს კელოდის)** არ უთხრა არავეინ, თორემ ნემსს გაგაკეთებენ იცოდე...

გელოდი — არა, მოსე, არ ვერცხვი არავეინ...

მოსე — ხო, არ უთხრა... ბიძინამ მომატყუა, არ ვერცხვი არავეინო და მოციქულებს უთხრა — **(ხმას დაიდაბლებს)** გავსებულა აქაურობა მამონის მოციქულებით... ნემსი აქვთ ... დავსჯი ბიძინას... მე, შენ და არველოდი, ჩვენ სამი დავიწყვებთ ახალ ომს... სად არაბ აბა, ჩემი შვილი? მითხარი, სად არის, აბა?! სად მიდის ჩვენი სული?! არ გაფიქრია?! ვის სამსხვერპლოზეც დაიკვლება, იმასვე რჩება ჩვენი შვილების სულიც... ოქროს ხბო თავის მსხვერპლს უკან ითხოვს... მაგრამ... **(პაუზა)** მე მოსე ვარ... მე გაგანთავისუფლებთ კერპისაგან... შენ მარცხნივ დამიდგება, არველოდი მარჯვნივ, ჩვენ სამნი დავიწყვებთ ახალ ომს...

გელოდი — ომი რად გინდა, მოსე, გვიფარდეს ერთმანეთი და...

მოსე (ბებრულად ქირქილებს) — არა, არა, არ გცოდნია შენ... ხანამ არ დავამხობთ აშურებსა და აშთორეთებს, ხანამ კერპს არ დავცემთ, იქამდე უფლის წყევლაა ჩვენზე... კერპის მონები ვართ, მაგრამ მე გამოვიყვანთ თქვე-

ნი მონობის სახლიდან... **(მეომარე უფალი, უფალია მისი სურვილი, სურვილი მარჯვენით დაიქცევა კერპი, ღუ-ღუ, ღუ-ღუ. — ასე გააკეთა მტრედმა და იმწუთას მივხვდი, რაშიც ჩყო საქმე... უფლის მადლშია ჭეშმარიტების შეცნობა, ჭეშმარიტების შეცნობაში ნამდვილი თავისუფლება, თავისუფლებაში კი, თავად უფალი... ხედავ, როგორი წრე შეიკრა? ისაა ანი და პოე, პირველი და უკანასკნელი, უფლით ვიწყვებით და უფლით ვმთაერდებით (ხმა გაიმკაცრა)** მაგრამ წრე გაწყვეტილია... სადაც ოქროს ხბო დგას, იქ წრე ვერ შეიკვრება... სასუფეველი დაკარგულია... აქ მხოლოდ როკვის ხმები ისმის... გამოართვეს ცაცას და მარინას სამკაულები, ჩამოასხეს ოქროს ხბო და ახლა როკავენ...

გელოდი — ...მოსე! მოდი, წავიდეთ ჩემთან. **(ხანმოკლე პაუზა)** დაეჯდეთ მატარებელს და ჩემთან წავიდეთ... ხან აქაური ვთქვათ, ხან იქაური... მარტო კაცი ხარ შენ...

მოსე (ქირქილებს) — მოსე მარტოკაცი უნდა იყოს, აბა, როგორ გინდა... გამაცინე გულიანად... **(ხმა გაიმკაცრა)** რა მინდა შენთან, ხანამ აქოქროს კერპი დგას... რა უნდა გაეაკეთო შენთან! ბუხართან დავჯდე! **(ხმამაღლა)** მე მოსე ვარ!!! მე თუ ბუხართან დავჯექი, ვინ გაგანთავისუფლებთ... უდაბნოა მთელი სამყარო... უდაბნოში მივდივართ დღემდე... ოქროს ხბო დგას უდაბნოში. **(სპილენძის აბსტრაქცია თავისით ირთება. კაზინო სქელი, ვითოვლა მტვრით გაივსება. მოსვს მონოლოგში თავიდან აგრესიული ხმები ისმის, თანდათან ეს მონოლოგი თხრობაში გადავა)** კერპი თავის მსხვერპლს უკან ითხოვს... უნდა დაილეწოს, დანაცრდეს... უდაბნოა მთელი სამყარო... კოცონი ანთია... დიდი უდაბნო... მზე... დიდი მზე... ბიძინა მატლდასეული მწყრის ხორცილთ სკდება, მისი ჯალაბი კი ციურია მანანასაგან გამომცხვარ ხშიადებს ნთქავს. ოქროს ხბო. ოქროს ხბოთან დიდი კოცონი... მზე... სასაზე მიკრულა

და არავინ არის მომგერიებელი... ტან-
ჯულ-წამებული ვიქნებით მთელი სი-
ცოცხლე და კაუზზე შეგვშლის ხანაზა-
ობა, რასაც ჩვენ თვალწინ დავინახავთ...
დაუწყებთ ჭამას ჩვენი მუცლის ნა-
ყოფს, ჩვენი ვაყებისა და ასულეების
ხორცს, რომლებიც მოგვცა უფალმა,
ჩვენმა ღმერთმა... დილით ვიტყვი
— ნეტავ დილა იყოს.

კობეზე დათიკო და ცაცა ჩამოდიან.

ცაცა — (მოსე შენიშნა) — მარინა,

შენ არ გაიხარო, მარინა...

მოსე — მოციქულები! მოციქულები!

დათიკო — დამშვიდდი, მოსე... არ

მოვალ, დამშვიდდი!

მოსე — ოქროს ხბო უნდა დაიქ-
ცეს... დაილწოს...

დათიკო — სად ხედავ, მოსე, ოქ-
როს ხბოს, დამშვიდდი!

**მოსე — (სპილენძის აბსტრაქციის-
კენ გაიშვებს ხელჯოხს) აი, ოქროს
ხბო... დანაცრდი და დაიქეცე, დანაცრ-
დი და დაიქეცე... გელოდი! გელოდი!**

მარინა და თამრი გამოჩნდებიან.

ცაცა — (მარინას) — სადა ხარ. შე-
იძლება ახე...

**მარინა — (ანქარებულად მიეშურე-
ბა მოსეს ოთახისკენ) —** აქა ვარ, აქა
ვარ...

მოსე — არ მომეკარო, მე მოსე
ვარ! დაგსჯი...

**დათიკო — (მოსესკენ გადადგამს
ნაბიჯს) —** არა, მოსე, არ მოვდივარ,
არა...

**მოსე — (დათიკოსკენ მიმართავს
ხელჯოხს) —** გომბეშოებით მოვწყლავ
მთელს შენ ქვეყანას, გომბეშოება
აფუთფუთდებიან ნილოსში, ამოვლენ
და შეესევებიან შენს სახლს, შენს საძი-
ლე ოთახს, შენს საწოლს, შენს თონე-
ებსა და შენს ვარცლებს... ხელი არ
მახლო... მონები, ბინძური მონები... მა-
მონის მოციქულები... ხელი!

**დათიკო — (მიუახლოვდა, ხელი და-
უჭირა) —** მარინა, ჩქარა!

მოსეს ოთახიდან მარინა გამორ-
ბის. ნემსი უჭირავს. გზადაგზა, ანქა-

რებულად ამოწმებს წამლის ღირსს.

მოსე — მატლდასეულ... ხე...
მენ... როკავენ... დიდ კოცონთან როკა-
ვენ... ჩემივე ხელით დავეცემ, ჩემი ხე-
ლით დადგმულს... გელოდი! გელოდი!
ხელი გამიშვი! მოსე ვარ... მე მოსე
ვარ... სად არის ჩემი შვილი? ბინძურა
მონები... უფალი გადავიხდის... უფალი
ჩემთანაა... მე მოსე ვარ... არ გაბედოთ
ნემსი... ნემსი არ გაბედოთ... გელოდი!
უფალი ჩემთანაა... შვილო, სადა ხარ,
შვილო!!! არ გამიკეთოთ ნემსი... გელო-
დი! უფალი... შვილო!!! ნემსი არ გამი-
კეთოთ... შვილო, შვილო, სადა ხარ,
შვილო!!! არ გინდათ, რა, ნემსი!.. არ
გამიკეთოთ ნემსი!..

მარინა მოსეს მკლავისკენ დაიხ-
რება.

მესამე ნაწილი

მსხვერპლშეწირვა

**სურათი პირველი: მარინა, თამ-
რი. შემდეგ ხულხანა, კრუბიე გოგო და
კრუბიე ბიჭი მეორე პლანზე.**

მარინა (ცოტა ნახვამი ჩანს) — რა
კარგი იყო ყავახანაში... დათიკო რომ
არ დაგვეცემოდა თავზე, ახლაც იქ ვიქ-
ნებოდით.

თამრი — ხო, იქნებოდი... რა თქმა
უნდა...

მარინა — (თამრის მოხედა) — რა
იყო, რა ტუჩებს მიბზუებ, რა მოხდა?

თამრი — არა, რატომ, კარგი იყო,
სულხანასთან კონიაკის ბრუდენშაფტზე
სმა... ხომ გაფრთხილებდით, მოსეს არ
გაეღვიძოსმეთქი...

მარინა — (იციხის) — სულხანა...
როგორ იფრინა დათიკომ... (იციხის)
ამხელა კაცი ბავშვივით დასაჯა... სად
გაუშვა? ხო, ხო, ერთ ადგილას გაუშვა.
წესიერ ოჯახებში ასეთ ადვილს არ ახ-
სენებენ... ისიც, როგორ ბავშვივით იყო
კედელთან იტუზული... გაწითლდა... გა-
იბერა... (იციხის).

თამრი — სასაცილოს სრულებით
ვერაფერს ვერ უხედავ...

კიბზე სულხანა ეშვება. სულხანა და
თამარი ერთმანეთს შეეჩეხებიან.

თამარი (სულხანას) თქვენ ხა
ზონის პარკთან ცხოვრობთ, არა?

სულხანა — დიახ...

თამარი — აი, იმ ლამაზ პარკში, ან
სავანეში თქვენ და თქვენისთანები ვე-
რასოდეს მოხვდებით... აი, ასე... მე არ
შევიშვებთ...

სულხანა (დაბნეული) — ბატონო?

თამარი — რაც გაიგე... (მიდის).

სულხანა — (მარინას მიუახლოვ-
და) — ...რა დაემართა?

მარინა — ეს კიდე მე შეკითხვბა...

სულხანა — რა მოხდა? დავაშავე
რამე?

მარინა — (ირონიით შესცქერის)
— რატომ დაბრუნდი? დათიკომ, მე
მგონო, სულ სხვა მიმართულებით გაგი-
შვა...

სულხანა — (წითლდება) — იცის
ხოლმე მაგან ასე... უხერხულად გამოვი-
და რაღაც...

მარინა — Молокосос!

სულხანა — მარინა...

მარინა — დათიკო ჩემზეც გელაპა-
რაკა? თქვი!.. მე ხომ ვხედავ, თქვი!..
უბნის პედიკურმა - მანიკურმა არი-
სო, არ ვითხრა: ამოილე ხმა... ღმერთო
ჩემო, როგორ მეზიზღებით ყველანი...
როგორ... როგორ მეზიზღებით... ჩემი
თავიც მეზიზღება... (თავზე შემოიჭრს
ხელს) რა კონიაკი დამალევიან... ჩემი
თავი ყველაზე მეტად მეზიზღება...

სულხანა — (მარინასკენ გადად-
გამს ნაბიჯს) — არა, შენ კარგი ხარ...

მარინა — თავი დამანებე... вып-
шет сейчас... წადი, რა... (თავს ჩარგავს
ხელებში).

სულხანა — (ჭოჭმანის შემდეგ,
თავზე გადაუსვამს ხელს) შენ კარგი
ხარ... შენ... ძალიან კარგი ხარ... მე
მინდა, ჩემზე არ იფიქრო ცუდად... ცუ-
დი არა ვარ... მე... (ხანმოკლე პაუზა)
შენთვის ყველაფერს გაეაკეთებ... რაც
არ უნდა მთხოვო, ყველაფერს შეგიხ-
რულებ... სულ დამახული ვარ... შენთან
გაუხალისდი... ბრუნდენწაფტზე სიყვარუ-

ლის სადღეგრძელო შეესვით... რა უნდა
გი იყო... მე... (ხანმოკლე პაუზა) უნდა
სურვილების შესრულება მინდა... ბინა-
საც ვიჭირავებ... ლამაზად მოვიწყობ...
სამსახურიდან პირდაპირ შენთან ამო-
ვალ... იცი, რა ლამაზად მოვიწყობ...

მარინა — (თავი აიღო. ეცინება)
ბინა დაგულებული გაქვს უკვე?...

სულხანა — კი... რამდენი ხანია...
კი, როგორ არა... ორთახიანი, თავისა
ავეჭიო...

მარინა — (იცინის) — ხანზონის
პარკთან ახლო არის?

სულხანა — პირდაპირ პარკს უყუ-
რებს... ჩემი სამსახურიდან ორ ნაბიჯ-
ზეა.

მარინა — (ირონიით) მერე ამ-
დენი ხანი თავისუფალია, ის ბინა?

სულხანა — მარინა!.. მე მინდა შე-
ნი სურვილები შევასრულო... რა გინდა,
მითხარი... (ჯიბში წაიღებს ხელს. ფუ-
ლის დასტას ამოიღებს. მაგიდაზე დაუ-
დებს) აი, ფული... მე ბევრი ფული
მაქვს.

მარინა — ...Ах, как это по-купечес-
ки!

სულხანა — რაც გინდა იფიდე...
რაც გინდა... მე...

მარინა — ფული მოაშორე... (მკაც-
რად).

სულხანა — (აღელვებული) არა...
არ მოვაშორებ... ფულია ყველაფერი...
მე ბევრი ფული მაქვს... არც მამამებს,
არც აბესალომს არ დაესიზმრებათ იმ-
დენი მაქვს... პატარა ბიჭი არა ვარ...
ბევრი ფული მაქვს...

მარინა — (ისტერიკის დონეზე)...
ფული მოაშორე. выпшет сейчас მოაშო-
რე!.. მარინა ჯერ მარჯვენა ხელით
გააწნის სილას. შემდეგ ორივე ხელით
ურტყამს. სულხანა ერთხანს უხმოდ
ღვას. ხელებს დაუჭერს მარინას. გულ-
ში ჩაიკრავს. მარინა მოეშვა.

სულხანა — შენ ჩემთვის მარინა
იქნები... ჩემი მარინა... ფული არის,
მარინა, ყველაფერი... მერწმუნე... ფუ-
ლი! ოღონდ ჩემი იყავი... მარტო ჩემი...

არც დათიკოსი, არც აბესალომის... მარტო ჩემი იყავი. ყველაფერს, ყველაშენს სურვილს შევასრულებ... მე ბევრს ფული მაქვს... არა ვარ პატარა ბიჭი... მამაჩემი მკაცრად მზრდიდა... დღემდე სივარტესაც კი არ მაწვეინებს მასთან... აბესალომი დახლის ვირთხას მეძახის... აღარა ვარ პატარა ბიჭი... ბევრი ფული მაქვს... არც დათიკოს, არც აბესალომს არ დავისზმრებთ იმდენი მაქვს... მხოლოდ შენ მჭირდები... შენ მინდიხარ... მე... მე არა ვარ ცუდი... ჩემთვის მარანა იქნები... ისე ლამაზად მოვაწყობ ამ ბინას... ფერად ტელევიზორს დავდგამთ... ხომ იცი, აი, დისტანციური რომ არის... ტახტზე წვეზარ, განძრევაც არ გინდა, ისე ვადართავ და ვადმორთავ... მხოლოდ პულტი უნდა მიუშვირო... ცხოველები თუ გიყვარს, ფუმფულა, ბეწვიან კატას ვიყიდი... მე არ ვაწყვინებ, ხიმშივლე მიყვარს... სანამ შენთან ამოვალ, ბახარში ვაივლი ხოლმე... შენ კი დამელოდები... წაიდე თ ხანზონაში, არ არის ხანზონა ცუდი უბანი, აი, ახლავე წაიდე... იმ ბინასაც განახებ...

მარინა — (თავს გაინთავისუფლებს)

— ფული მოამორე.

სულხანა — (ფულს ჯიბეში ჩაიღებს) — როგორც მეტყვი... შენ როგორც ვინდა...

მარინა — ახლა, წადი...

სულხანა — სად წაიდე... უშენოდ არ წავალ... ჩემთვის მარინა იქნები... უშენოდ, არა...

მარინა — წადი, რა, გული მერევა, ადამიანი არა ხარ?

სულხანა — მაშინ მანქანაში დაგელოდები... რამდენ ხანსაც ვინდა, იმდენ ხანს დაგელოდები!

მარინა — (მოშორება უნდა) — კარგი, წადი, წადი...

სულხანა — თუ ვინდა დილაძდე დაგელოდები...

მარინა — წადი, ხო, წადი...

სულხანა — მივდივარ... შენი სიტყვა კანონია... მივდივარ... (მიდის) ოღონდ გელოდები, იცოდე... (თვალს მიეფარა).

მარინა — ხო, მიდა, შეფრე... დურაკ неотесанный, მიდის... (ხანმოკლე პაუზა) მე ხომ ვიცი, ეს დაკომპლექსებული დევენერატი დათიკოსაგან და აბესალომისაგან თავის დაღწევას ცდილობს და ამიტომ ვჭირდება... მამაკაცად უნდა თავი იგრძნოს... თავსას თუ მიიღწია, გაიბერება, სადღესასწაულო ბუშტივით გაიბერება, გაწითლდება... (ღეიბების ბერტყვის ხმა. მარინა უკმაყოფილოდ აიხედავს მაღლა. ხანმოკლე პაუზა) ჩემი პირველი ქმარიც წითლდებოდა. თვალები უცნაური შუქით ელავენ, სახეზე საოცარი აღმაფრენა... როგორ განვიცადე მაშინ მისი გაუჩინარება... ის კი არა, ახლაც, ამდენი ხნის შემდეგ მასთან შეხვედრაზე ვფიქრობ... თითქოს რაღაცის იმედი მაქვს... თითქოს რაღაც აუხსნელს უნდა აეხდოს ფარდა და მერე ყველაფერი კარგად იქნება... (ღეიბების ბერტყვის ხმა) Боже, какая агрессия. ((ხანმოკლე პაუზა) სულხანას ღუქნის საწყობში ალბათ ნესტისა და დამპალი ხახვის სუნი დგას... (იციის) მე წარმოუდგენივარ ხანზონის პარკის დედოფლად... მორყეული სკამები, დაჩხილი ხეები, მაწანწალა ძაღლები, შმორის სუნი, მე კა დედოფლის გვირგვინით თავზე... მელოდოს... дурак... ყველას კომპლექსები ჭამს... დათიკოს აბესალომის, აბესალომს დათიკოსი... ხელი მატკინა, როგორ გთხოვდა დათიკოლო... როგორ მთხოვდა და დათიკოს როგორც ეკადრება ისე... — ვერავინ გაიგებს, სულ ვერავინ გაიგებს, შეიძლება შენც ვერ გაიგოო... (იციის) თვითონ აბესალომის ნაკლები ავადმყოფია? საჭეზე იყო ჩაფრენილი, ვილაც ფეტონებიან პენსიონერზე მანქანით ნადირობდა... тоже дурак! ...ხელი მატკინა... სულხანას კი ორივეს კომპლექსი ჭამს... მე ვჭირდება... მაგან რა იცის, მაგ სულელმა, ჩემი ხანით რამხელა კომპლექსს აიკიდებს... აღარა ვარ სულელი ვოგო... უკვე ვიცი, როგორ უნდა მოექცე ასეთ დევენერატებს... მაგრამ არა, Не внавать этому, ...არავინ არ მჭირდება, სულ არავინ...

(ხანმოკლე პაუზა) რა უცებ გარბას დრო... სულ ვიღაცის ლოდინში... ხანამდვილეში კი მთელი ცხოვრება ცაცას ლეიბების ბერტყვა ვესმის, რეალური მხოლოდ ესაა. (თვალები აუწვლიანდა) წავალ, იაპონურ მარაოსთან წავალ, თორემ ავტირდება... Ей, Боря, ავტირდება!.. (ხეცის ხიდრმეში, იაპონური მარაოსაკენ გაემართა).

კრუპიე ბიჭი და კრუპიე გოგო საუბარს შეწყვეტენ. კიბეზე ჩამოშავალ კაცს მიაკიევენ წურადლებას.

სურათი მკორმ: კაცი ვიოლინოს ფუტლიარით. კრუპიე ბიჭი, კრუპიე გოგო, შემდეგ მარინა.

კაცი ვიოლინოს ფუტლიარით (გალიმებული)—რა საოცარიც არ უნდა იყოს, ისევე მე და ისევე ახალი იდეით!

კრუპიე გოგო — იცი, აბესალომმა კიდევ გაგახსროთ...

კაცი ვიოლინოს ფუტლიარით ხამწუხარია... ვერაფრით ვერ მოვინებლეთ ეს კაცი... (ვიოლინოს ფუტლიარს მიიხუტებს შკერდთან) მაგრამ, რაც მთავარია, იდეა მოვიზებლეთ... ბაზარი და იდეა. მხედველობაში მაქვს ახალი, ცინცხალი იდეა განუყოფელი მცნებები... მთავარია იდეების ხიმრავლე, თორემ ხაწყისი თანხა ყოველთვის მოიძებნება.

კრუპიე ბიჭი — თქვენ ადრე ბრძანეთ, რომ ინფორმაციის ფლობა მთავარი...

კაცი ვიოლინოს ფუტლიარით — დიხ, რაღა თქმა უნდა, მაგრამ ინფორმაციის ფლობა იდეის გარეშე?! კავიკია ამის ფასი... აი, სულ ასეა... ვიღაცა რაღაცას იტყვის და... ნიუტონის და ვაშლის არ იყოს... რა შუაში იყო კავკასიური ხანჯალი... (იციანს) მიაკიქს იარაღს ბაზარი... ვის რაში სჭირდება კავკასიური ხანჯალი... პერმინგები, გაუბიციები, მაკაროვები... ბოლოსდაბოლოს თერმობირთვული იარაღი, ჩემო ბატონო... კავკასიური ხანჯალი გუშინდელი იდეა იყო, მეტსაც ვეტივით, გუ-

შინწინდელი... კმ... ქართული სოფელი... ზოგადკავკასიური ხახიათი, იშვიათი ელვარება, სასაცილოა, თქვენ ნუ მომიკვდებით... ერთი სიტყვა, მხოლოდ ერთი სიტყვა იყო ხაჭირი და ჩემი ტვინიც მომენტალურად ამუშავდა... როგორც შეგპირდით, ჩემ პარტნიორს გადავურეკე და... (ვიოლინოს ფუტლიარს ხსნის (საპონი! Туалетное мыло! ძაღლის ქონის შემცველობა მისაღებად ნორმალური, იშვიათი არომატი... ერთი, ორი და ასი კი არა, ათასი, მილიონი, განუსაზღვრელი რაოდენობით... აქედან გამომდინარე დაბალი ფასები... ჩვენ, ასე ვთქვათ, ხანგრძლივი თანამშრომლობისათვის ვართ მზად...)

ხეცის ხიდრმიდან მარინა გამონდება. კაცს აკვირდება.

მარინა — (პაუზის შემდეგ) ამას აქ რა უნდა... ჩემი პირველი ქმარი!

კაცი ვიოლინოს ფუტლიარით — (საპონი ხელში შეაცოვდა) მარინე!

მარინა — (თვითონაც დახეულია) — აქ რა ვინდა? (პაუზა) ...ამისათვის აორთქლდი?!

კაცი ვიოლინოს ფუტლიარით — ...რა გაგებით, აუორთქლდი?

მარინა — პირდაპირი გაგებით... (მიუახლოვდა, საპონს გამოართმევს. დასცქერის) მიპახუხე, ამისათვის აორთქლდი? (შეხედავს) ვინა ხარ?

კაცი ვიოლინოს ფუტლიარით — (საპონს გამოართმევს, ვიოლინოს ფუტლიარში ჩადებს. ხელშეკრავს გამოხდებს მარინას, კრუპიებს მოხედავს) — უკაცრავად, ოჯახური ამბები... მოგვხსენებათ... ბოდიში...

მარინა — (შესცქერის. ხელს შეახებს სახეზე) ...ვინა ხარ? რა ღაგე მართა? (იციანს) ღმერთო ჩემო, რა სასწაულები არ ხდება... ქვეყანაზე... (ხანმოკლე პაუზა აკვირდება). შენ მესაფლავებს გუხარ...

კაცი ვიოლინოს ფუტლიარით — რა შუაშია მესაფლავე...

მარინა — (იციანს) — არ ვიცი... იმათ აქეთ ხოლმე ასეთი ჩამქრალი ხა-



ხეები... ღმერთო ჩემო, ღმერთო ჩემო... (იციან) აქ რა ვინდა? რა, საპონს ყი- დი? (ხახუზე შეახებს ხელს) სად წავი- და ეს ყველაფერი... ვიოლინო რა უყი- ვი... ვინა ხარ?

კაცი ვიოლინოს ფუტლია- რით — შენ, მარინე, არ იფიქრო, აი, ახლა რასაც ფიქრობ, არ იფიქრო... ესეც შემოქმედებაა. იცი, რამდენი იდე- ები... მივლინებები... ბიზნესი... ბაზარი... ესეც თავისებურ შემოქმედებით მიდგო- მას თხოულობს... ნიჭი უნდა ...მე .. (პაუზა) მე დავიღუპე, მარინე... ყოფა... ყოფა... ყოფამ ყოფა მიტირა... ხომ გვი- კვირდა, მარინე... ხომ გვიკვირდა... შენ არც კი იცი, წავედი და ქორწილში დაეუ- კარი... მერე, რადანდ ხალტურაზე ვუა- რავ, ბარეც ვახსნილად ვიმოქმედებეთი- ქი... ბიზნესი... ბაზარი... ყოფა... ყო- ფამ ყოფა მიტირა... მე დავიღუპე, მარი- ნე. ღმერთო, რა ძნელი ყოფილა შუამაე- ღობა... ყველას თავისი წიკი აქვს, ყვე- ლა თავის გამორჩენას ეძებს, შენ კი შუაში დგახარ, ხან აქედან მოგარტყა- მენ, ხან იქიდან... არადა, რა იდეები, რა პროექტები ვერ განხორციელდა... გრანდიოზული, მარინე, გრანდიოზული პროექტები... მე კი სულ თქვენზე უფიქ- რობდი... თქვენთვის მინდოდა... აი, ახ- ლა ვიშოვნი რაღაცას და მერე მივალ- მეთქი, ვფიქრობდი... თამრი, ჩემი ვო- გო... რამხელა იქნება ახლა... (უბისკენ წაიღებს ხელს) თქვენი სურათი უბით დამაქვს... განახებ... (უბიდან სურათს იღებს), აი, ნახე!.. ყოველდღე თქვენზე უფიქრობდი...

მარინა — საკმარისია... მე წავედი . (თითქოს რაღაც გადაწყვეტილება მი- იღო).

კაცი ვიოლინოს ფუტლია- რით — რადანდ შევხვდით... რადანდ უკვე შევხვდით... ნუღარ დგომორდებით, მარა- ნე, ყველაზე უფრო შეხვედრა მიჭირ- და... ისევ ვიოლინო... ჩვენი თამრი... შენ, მე... ღმერთო, რა ცხოვრება მქონ- და... ნუღარ დგომორდებით... ყველაფერი თქვენთვის მინდოდა... ასე გამოვიდა... რას იზამ... ახლიდან დავიწყოთ... ისევ

ვიოლინო... მარინე, მე დავიკარგე, უშენოდ დავიკარგე... სად წავედი... რა ვქნა?!

მარინა — ხახუფლოზე წაიღი... შე- ნი ადვილი იქაა...

კაცი ვიოლინოს ფუტლია- რით — მოიცა... მოიცადე, სად გექე- ბი, მითხარი... იმედს ნუ გაღამიწურავ...

მარინა — ხანზონის პარკის დე- დოფლის ნომენკლატურული თანამდ- ეობა შემომთავაზეს...

კაცი ვიოლინოს ფუტლია- რით — რა ნომენკლატურული... რა თა- ნამდებობა, სად მიდიხარ... აი, ახლა, ამ წუთს გამინდა ახალი იდეა... არ წახ- ვადე, მომისმინე... სად მიდიხარ, მარი- ნე!

მარინა — ...ხანზონაში, ხანზონაში მივდივარ... (მოხედა) გაკმაყოფილებს ჩემი პასუხი? (ხანმოკლე პაუზა) სულ დაბლა და დაბლა... თუმცა, ამასაც თა- ვისი ხიბლი აქვს... როცა უფსკრულში ვარდები, სიბერეს ვეღარ გრძნობ... ჩემ- თვის ყველაფერი გარკვეულია, ხანზონა предел моих мечтаний (კრუპიე ბიჭს მიმართავს) გეთაფვა, იაპონური მარაო კარგად შეინახე, მალე ვიყიდი... (ქმარ- ყოფილს) მშვიდობით, ძვირფასო! (მი- დის) ხანზონისკენ პერი, პერი... სულ- ხანა, შენი ყველაზე დიდი კომპლექსი მოდის... იაღა!.. (მიდის).

კაცი ვიოლინოს ფუტლია- რით — (გზად მიმავალს) მარინე! ერთი შანსიც, მხოლოდ ერთი შანსი დამიტოვე... მე უკვე ვიცი, რაც უნდა ვაკეთო... მა- რინე!.. (მარინა თვალს მიეფარა, კრუ- პიეებისკენ) მართლა ვიცი... მუდმივი ბაზარი... სიკვდილ-სიცოცხლის მარა- დიული თემა... ჩვენ, ასე ვოქვით, ყვე- ლანი სიკვდილის შვილები ვართ... ბა- ზარი მუდმივად მუშაობს... გამოთხო- ვება სიცოცხლესთან უმაღლესი ევრო- პული სტანდარტის დონეზე... მაკარა ფრაკი... სვედიანი მელოდია, ცოცხალი შესრულებით... არა, მენდელსონი არა- ვითარ შემთხვევაში. გაცვდა... იქნებ პაგანინი... შეიძლება, რატომაც არა... ახ, ღმერთო ჩემო, მარინე... ენით მ-

რიკონე, ცოცხალი შესრულებით... გენიალურია... ეს ხომ თავად ბუნებამ გადაგვიწყვიტა ასე, მე და ბუნება ერთ ბაზარს მოვემსახურებით... (კიბისაკენ გაემართა) ვიცი, ეხედავ, უკვე დანამდვილებით ვიცი... იდეა, იდეა... მთავარი იდეაა, საწყისი თანხა მოიძებნება...

პრეზიდი ბიჭი — უკაცრავად, ხანჯალი გრჩებათ!

პაცი ვიოლინოს ვუტლიარით — ხანჯალი ჩემი ფრუზენტა იყოს... იდეა თქვენს კაზინოში გაიმინდა... ნოუ პაუ... კარგად გნახეთ.

მშვიდობით... (მიდის) (ხანმოკლე პაუზა).

პრეზიდი ბიჭი — აი, გაქუცულმა კაცმა სასაფლაოსკენ გადაუხვია... კიბეზე ბიძინა ეშვება. რამოდენიმეჯერ უკან მოიხედავს.

ხურათი შესამე: ბიძინა, აბესალომი, კრუპიე ბიჭი, კრუპიე გოგო.

ბიძინა — ნამდვილად ჩვენი ნათესავია ეს კაცი... მახსოვს, საიდან მახსოვს? ნაცნობი სახე აქვს ძალიან... (კრუპიე გოგოს) ახლა, ჩემი გოგო, სასწრაფოდ, ჩაი... აბესალომი მოდის... ჩაი და კარაქი... კარაქიანი ჩაი უვგარს აბესალომს... ჩქარა, ჰე, ცოცხლად. კონახური ჩემზეა... (კრუპიე გოგო ოთახისკენ გაემართა, კრუპიე ბიჭს მიმართავს) აბესალომი არის კაცური კაცი... დამახსოვრებ ჩემი სიტყვა... კაცურად ნათქვამი, ვისაც ესმის, კაციც ის არის... (იციანის) ამასწინათ, ბავშვი მომიწყო ელდემოში... მივაკითხე ოჯახში. პატარა ძღვენი, პატარა ამბავი. ხომ იცი, ფურადლება, მადლობა, ზრდილობა, არ გვეშლება ჩვენ ამისთანა... ნაბაზუსევი დამიხვდა... უწნოდ წავეხუმრე რადაცა... ნაბაზუსევი კაცს ჩემი ზუმრობა უნდოდა? რომ დამიბრიალა თვალები, მომელავსმუთქი ვიფიქრე... რა მოეცოცხე, რომ იცოდე... (იციანის) მაგრამ სამართლედ მიყვარს მე, რაც აბესალომმა ამ კაზინოში სისხლი ჩაღვარა, რაც მაგას შრომა ქონდა... რა უნდა ერთი დოქტორი, გაშავებინე თუ კაცი ხარ... რა უნდა, რა? ვინაა დათიკო, რას წარმო-

ერკენული

ადგენს: ერთი საშუალო ელდემოში... ლია... ჩემს ცხოვრებაში არასოდეს არ მიყვარდა ამ პროფესიის ხალხი... ა, ბატონო, აბესალომი... დაველაპარაკე კაცურად და კაცურად გამიგო... რატომ თუ იცი? კაცია კაცური და იმიტომ... ფეხს დაგბან, ფეხს დაგბან, გელაპარაკები, ვისაც კაცური სიტყვა ესმის... არ მებარება მე... (ბიძინა კიბეზე ჩამომაგვალ აბესალომს შენიშნავს, ხამამღლა) იმითი ააღუდე, ჩემი გოგო, სწრაფად რომ ადუღებს!

აბესალომი — (სკამზე ჩამოჯდა) ნუ ფაციფუცობ, იცის იმან თავის საქმე...

ბიძინა — როგორც იტყვი... (ხანმოკლე პაუზის შემდეგ) აბესალომ, შემიხედ! შემიხედე, როგორ ვთხოვ... ა ასე! (ყელს გაიწვდენს) ასე, ჩემო აბესალომი!...

აბესალომი (იციანის) — ბიჭო, შენ ყურებში დონდამო ხომ არ გიდექს... ვითხარი, არა, ერთხელ... ვიცნობ... ჩემს სიტყვას ფასი აქვს... იმას კი არ ვგავარ, პენსიონერ ვირიშვილს...

ბიძინა — ხო, ხო... მართალი ხარ... ძალდი, ბატონო, ძალდად დარჩება...

აბესალომი — ენა გააჩრე! ის ვინ იყო, სიტყვაში რომ ჩამიბტა...

ბიძინა — შემაცდინა, ბატონო, არ იცი, რა მელაძუცაა? შემაცდინა! რა ვქნა ახლა, მითხარი და მოგიკედეს ბიძინა...

აბესალომი — მელაძუა ნაღდად არის... მაგაში მართალი ხარ...

ბიძინა — ო, ხო, ხო... შენ რა იცი კიდე, შენ რა იცი...

(კრუპიე გოგოს ჭიქით ჩაი, ლამბაქით კარაქის ნაჭური გამოაქვს. აბესალომი კარაქს ჩაის ჭიქაში ავადებს, კოვზით მოურევს)

აბესალომი — მე ბევრი რამე ვიცი, მაგრამ მოჯდება ყველა თავის საჯლომზე და ამით დამთავრდება ყველაფერი...

ბიძინა — ისე, კაცმა რომ თქვას, შენი ბრალიცა... ცოტა ადამიანურად გაშეცი ხმა და ფეხს დაგბან, გელაპარაკ-



კები, არ მეზარება მე... დათიკოსთან რა მინდოდა საერთოდ, ნათესაობაზე თუ მიღვა, შენთან უფრო ახლოს ვარ მე, ვიდრე დათიკოსთან... თქვენი განაყოფი, ხო...

აბმსალომი — (აწვევტინებს) აუჰ... მორჩი, ახლამ...

ბიძინა — რატომ, კაცო, არ უნდა ვიცოდეთ ერთმანეთისთვის ვინ ვართ, რა ვართ...

აბმსალომი — რა გინდა? გინდა, ახლავე დაეუკუკევირდე? (კრუპზე ბიჭს) მომაწოდე ტელეფონი!

ბიძინა — შენ გენაცვალე, აბესალომ, საქმის გაკეთება თუა, ასე უნდა გააკეთოს კაცმა... ერთი თვე, სრული ერთ... თვე მაწანწალა დათიკომ აქეთ-იქეთ...

აბმსალომი — (უბის წიგნაკში ექებს ტელეფონის ნომერს) ღოღნაშოს ხომ აღარ ამოიტან! (იციინს).

ბიძინა — შენ ეგ საქმე გამოკეთე და მე ვიცი შენი პატივეცმა... აბესალომ, თუ დაგიწყეს ახლა, კვალიფიკაციაზე ლაპარაკი, იცოდე, პირადად შენ გაყენებენ შეურაცხყოფას... არ უნდა გაგიბედონ მაგი... შენ, შენ არ უნდა გაგიბედონ, თორემ სხვას კი... რა კვალიფიკაცია უნდა დისკენრობას... ამისთანები გაუკეთებიათ? სად შეცალა შე კვალიფიკაციისათვის, შეიღ-შეიღი ბავშვის პატრონს...

აბმსალომი — (ხელის მოძრაობით აჩუშებს) — ალო!

ბიძინა — აბესალომს შესეკერის. მისდაუნებურად ველს გაიწვდენს. ამ პოზაში უსშენს საუბარს.

აბმსალომი — ალო! გამარჯობა, გენაცვალე... აბესალომ ბიძია ვარ... ხო... მამა არ არის, შეილო? სად არის? კაი, გენაცვალე... რომ მოვა, სამსახურში ვარ და დამირეკოს... კარგი, აბა...

ბიძინა — თქვენ, მთლად, ოჯახებით ყოფილხართ ახლობლები... ბავშვებით, ცოლებით... მისვლა-მოსვლა, კი, ხომ?!

აბმსალომი — კი, ახლობელი კაცია.

ბიძინა — სად მქონდა ჭკუა... რა ვირის ტვინი მაჭამა დათიკომ, რა მინ-

დოდა დათიკოსთან... შენ გენაცვალე... შენი ბიძინა, პატარა დანაშაული მამის დღვის შენთან, მაგრამ გამოვიხსიდი, თუ გყოფილვარ კაცი...

აბმსალომი (გეონება) — რა დანაშაული მიგიძღვის?!

ბიძინა — კი, ჩემო აბესალომ, კი... ვალიარებ! შემაძვინა დათიკომ, შემაძვინა მაგ ძაღლმა... მაგრამ კაცი ხარ და გამიგებ კაცურად... შენი ვარ აწი და შენ იცი...

აბმსალომი — რა იყო, რა მოხდა?

ბიძინა (ხანმოკლე პაუზის შემდეგ) — არ ვიპირებს დათიკო შენ კაი საქმეს... ჩემი დასაწვავი ხელით გადავეცი ნოტარიუსს მეურვეობის საბუთი... დაამოწმა, მე შეონი...

აბმსალომი — რა დაამოწმა?

ბიძინა — გადააფორმა მაგან უკვე შეონია, ეს ფართი... აგერა ხარ შენ და გეუბნები... მაგრამ...

აბმსალომი — მერე?

ბიძინა — რა მერე?!

აბმსალომი (წამოღვა) — მერე, აქამდე სად იყავი, შე მართლა ღოღნაშო...

ბიძინა — არაა ჯერ გვიანი, აბესალომს ვენაცვალე...

აბმსალომი — (მოუახლოვდა) — სად იყავი მეთქი, სად, შე ახვარო კაცო...

ბიძინა — (შემცბარი) გვიანი არაა, აბესალომ...

აბმსალომი — რა არ არის გვიანი... (მარცხენა ხელს საფელოში ჩააქვლებს) რა არ არის გვიანი, მიპასუხე!

ბიძინა — მე...

აბმსალომი — (დაარტყამს) — ხმა!

ბიძინა — აბესალომ!...

აბმსალომი — (დაარტყამს) — ხმა... მითხარი ახლა... მითხარი, შე ღოღნაშო, რა არ არის გვიანი... მიპასუხე, ხმა ვამეცი!

ბიძინა — მე...

აბმსალომი — (დაარტყამს)—ხმა!

ბიძინა — აბესალომ...

აბსსალომი — ხმა, შენი... (გამეტებით ცემს) ტრიუმფირატს არ გავაჩითინებმეთქი და ესენი სურათოდ მტეხავენ ეს ახერები... ჩემს ზურგსუკან დამელაკუდობთ, არა!... იმას ხომ მოვკლავ, იქამდე შენ გავათავებ, შე მათხოვარო... მისამართი? ნოტარიუსის მისამართი?! (ბიძინა გაუგებრად ჩიფჩიფებს რაღაცას) დათიკოც იქ ავღია?... უხ, შენი ღოდნაშო... (ბიძინა დაფარდება. აბსსალომი წიხლებით სცემს. კრუპიე ბიჭი გაშველებას შეეცდება. აბსსალომი ახლა მას მიხწვდა ქეჩოში... იარაღი ამოიღო.) შენც ამათთან იქნები შეკრული... მოდი აქ, მოდი... ლამაზ ფერებში ხელაე ცხოვრებას, არა?! იცი, რა არის ცხოვრება? უმამოდ რომ იზრდები, მამაშენი სახეზეც რომ არ იცი როგორია, ის არის ცხოვრება... ათი წელი მკაცრ რეჟიმში რომ მოიხდი სასჯელს, ის არის ცხოვრება... შენ სახეს მიბრუნებ, კარაქიანი ჩაი არ გიყვარს არა, ტვინს გავიხვრეტავ, შენაბიჭვარო!.. დღიე, შენი! (ჩაის ჭიქას ტუნჯბთან მოუტანს) ახლაც სახეს მიბრუნებ! დღიე! კარაქიანი ჩაი კი არა, იმას გაჭმევ, კამომ რაც ჭამა... დღიემეთქი! კომწიაობენ, დამელაკუდობენ... დაიმახსოვრეთ, აბსსალომი არის აქ!!! ნაბიჭვრები ესენი... (მიდის) უჩემოდ ვერავინ შემოდგამს ფეხს... აბსსალომი თუ არის, კარგად იქნება, თქვენ კი მათხოვრებად დარჩებით, თქვე ღოდნაშობო, თქვენა!.. (მიდის) კრუპიე ბიჭი ერთხანს გაოგნებული დგას. ჩაის ჭიქას შეხედავს. გულისრევის შეგრძნება უჩნდება. სცენის სიღრმეში გარბის, თვალს მიუფარება. კრუპიე გოგოც მას გამოეკიდება. ორიოდ წუთის შემდეგ წვალებით წამოიწვეა ბიძინა.

ბიძინა — (პაუზის შემდეგ)... გამლახებს, მცემს... მე თუ ცემა მკლდა და... დაიწვას, ღმერთო, შენი სამართალი... მე და ჩამი ცილა მთელი ცხოვრება იმის ფიქრში ვართ, ბავშვები რით დავაპუროთ, რა ჩაეცვათ, როგორ გავიტანოთ თავი... აბა, ბიძინა!

აბა, მიდი!.. აბა, გენაცუდელქუნაღლმევიდე, ბატონო! რომ შიშვენიერად შეღმერთბადლო, რას აჩენდიმეთქი-ვეკითხები ცილას... თავისით ჩნდებოდნენო-მასსუხობს. რა პასუხია, (ღმერთო, მითხარი ერთი!.. რჩენა არ უნდათ? ყბის მოხაქნევი რამე, არ უნდათ? მთელი დღე, მთელი დღე ცარიელი მაცივრის კარის ჯახუნია ჩემს ოჯახში... დიდიდამ დაწყებული პატარათი დამთავრებული ვველამ იცის არაფერი რომ არ დევს მაცივარში... მაინც, კაცო, მაინც გამოადებენ, შეიხედავენ, მიაჯახუნებენ, გამოადებენ, შეიხედავენ, მიაჯახუნებენ... რავარი საყურებელია, ღმერთო, მითხარი, ერთხელ გამეცი ხმა!!! მიხარია ჩემს შვილებს მეზობლები ცხვირმოუხოცავენ რომ ეძახიან? მიხარია, ასეთი რომ ვარ?! ერთხელ არ უნდა მკითხო, რა გიჭირს ბიძინა, რა გილზინსო?!, რა მიჭირს, ბატონო, და დიდი ბოდში შენთან, მაგრამ ასე გეტყვი, უბეშად-გუშია!.. გესმის ჩემი! გუშია!.. ტყეში დაუღვივართ მთელი ოჯახი და ღოდნაშოს ვკრეფთ... ამით გავაკე თავი... ვეღარ ვუყურებ უკვე, გულს მირევს, ბატონო, გულს მიძმარავს... დღესაც სალაპარაკოა მოსეს მწვერი ჩემს ოჯახში... დღესაც ვეახსოვს იმის გემო... რა იყო, რა დღესასწაული იყო... ხორცი იყო, გესმის, ღმერთო ხორცი... თუნდაც სუნდაკრული, თუნდაც მწყრის, მაგრამ ხორცი!.. (ხანმოკლე პაუზა)... მომატყუეს, გამლახეს. ყველამ მე მომატყუა... ჩამოდი ქალაქში, მითხრეს, დააჯექი ტროლეიბუსს და კაის გაჭმევ, კაის ვასმევ, კამ ბინას მოგცემ, იმრავლე-იხარეო... მონური შრომა მქონდა სოფელში, მაგრამ იქ ჯობდა მაინც... რა ვქნა ახლა, რომ გავვიდე სოფელი!.. რა ვქნა, ამ მშიერ ქალაქში, ღმერთო!.. (წამოღება) მაგრამ არა ხარ შენ ღმერთი... (შარვალი დაიფერთხა) გუჭია ღმერთი... მასეა შავი... (ნაბიჯი გადადგა. შეჩერდა) ამომჩრეველი არავის არ ჭირდება? მარტო მე კი არა ვარ, ცოლია ჩემი და შვიდი



შვილი კიდევ ჩემი... არ შეიძლება ვი-
ლაცას არ ჭირდებოდეს... ვეჭვანთ
რამე და... (მიდის) ეხ, მე თუ ცემა მა-
კლდა... (კიბეზე ავა, თვალს მიუფარე-
ბა). ერთხანს სცენაზე სრული სინუშა.
კიბეზე დათიკო ჩამოდის. ხარდაფს მო-
ათვალისკრებს. ტელეფონის ყურმილს
აიღებს. ნომერს აკრიფავს.
სურათი შეოთხე: დათიკო, კრუპიე, გო-
გო, შემდეგ ცაცა.

ღამიძე — ცაცა! დათიკო ვარ. რა
დღეშია აქაურობა. არეულ-დარეუ-
ლი... სისხლი... უპატრონოდ... რა ვი-
ცი, ვერავის ვერ ვხედავ... ხო, სისხ-
ლი... ჩამოდი, მოხედე... (ყურმილს კი-
დებს). სცენის ხილრმიდან კრუპიე გო-
გო გამოჩნდება. დაბნეუ უშწურო
გამოშვებულა აქვს:

ღამიძე — თქვენ აქა ხართ? რა
ხდება, რა ამბავია?
კრუპიე გოგოს თითქოს არც ესმის და-
თიკოს ხმა.

ღამიძე — რა მოხდა? (პაუზის
შემდეგ)

პრუპიე გოგო — (უფრო თავის-
თვის) ჩვენ არაფერში არ ვერევი...
მხოლოდ ვამხელება უნდოდა... ის
კი... ჩვენ ზომ განზე ვდგავართ... გა-
შელება უნდოდა... სხვა არაფერი... არ
მესმის... (დათიკოს ამოხედავს) აუცი-
ლებელი იყო?

ღამიძე — (მიიხედ-მოიხედა, ხე-
ლი მოხედა გოგოს) დამშვიდდი, გე-
ნაცვალე, დამშვიდდი... აბა, რა მოხდა,
მომიყვები... ცოტა გაიღიმე... არ ვიზ-
დება ნამტირალევი სახე... ისეთი ლა-
მაზი გოგო ხარ... თუ არ ვინდა, ნუ
მომიყვები, მხოლოდ დამშვიდდი... გა-
იღიმე! არაფერიც არ მომხდარა...
(კრუპიეების ოთახისაკენ მივავს გოგო)

პრუპიე გოგო — მე ყურებზე ვი-
ჭერდი, ხელებს... მაგრამ ვიჭერდი,
მათი ხმები კი მაინც მესმოდა... (ერთ-
ადგილას შედგა). რატომ? მე არ მეს-
მის, რატომ უნდა იყოს ასე?

ღამიძე — ამ კითხვაზე პასუხის
გამცემი ჯერ არ დაბადებულა, გენაც-
ვალე... წამოდი აქეთ, იქ ვისაუბროთ...

შენც უფრო დამშვიდდები, უნდა
როთ... ბევრი ვისაუბროთ... (მი-
ვავს) საუბარში აღამიანი მშვიდდება...
თუ არ ვინდა, ნუ მომიყვები, სხვა რა-
ლაცებზე ვილაპარაკოთ... სალაპარა-
კოს მეტი რა არის... ისე მიყვარს, შენ
რომ ჭიქა წყალს მომაწვდი ხოლმე...
ისეთი კარგი გოგო ხარ... ისეთი ლამ-
აზი... არ ვიზდება ნამტირალევი სა-
ხე... იქით, წამო... იქ ვისაუბროთ...
(მიიხედ-მოიხედა) მე უკვე ასაკში
ვარ, ხელის შეწყობა მჭირდება... მე
ჩემსას ვეჭვები, შენ შენსას იტყვი და
ასე... შენისთანა გოგონებს რომ ვხე-
დავ, სიბერე მაიწყდება... აქეთ, გე-
ნაცვალე... შენ ნუ გეშინია... ვერავინ,
ვერავინ გაიგებს... სრულებით ვერა-
ვინ გაიგებს, შეიძლება შენც ვერ გა-
იგო...

დათიკოს კრუპიეების ოთახში შეყავს
გოგო. კრუპიე გოგო უშწურო სახით მი-
ყვება დათიკოს... თითქოს მისი სიტყვ-
ები არც ესმისო.

კიბეზე ცაცა ჩამოდის. ხელში იატა-
კის საწმენდი ტილო უჭირავს. ტილოს
იატაკზე დააგდებს. ხარდაფს ათვალის-
კრებს.

ცაცა — (პაუზის შემდეგ) რას
დაუმსგავსებიათ აქაურობა... პირუტ-
ყვები... პირუტყვის დოღია, ოჯახი კი
არა... (დაიხრება. იატაკს წმენდს) ბა-
გაში უნდა დააბა, ბაგაში, საქონელი-
ვით... ამათ რა იციან რას ნიშნავს
ოჯახი... მხოლოდ ვინება იციან... მე
თავისუფალი კაცი ვარო, იტყოდა ჩე-
მი ქმარი და ვინებას მოაყოლებდა,
შენი უცხოტომელი დედაო... უცხო-
ტომელი კი არა, სხვა სამყაროს შვი-
ლი ვიყავი, თვითონაც იცოდა, იმიტომ
მაგინებდა ასე... მოძალადე იყო, მოძა-
ლადე, თავისუფალი კაცი რა მოსატა-
ნია, მოძალადე იყო... თერებოდა... მი-
ლშიც კი სახმელის ობშივარი ასლიო-
და... საქონელივით, საქონელივით ბა-
გაში უნდა გამოამწყვდიო ამათი ჯიში
და, ჯილაგი... ოჯახი რასაც ეთქმის,
მამაქემის ოჯახს ეთქმოდა... მოსე მა-

მას ფეხის ფრჩხილადაც არ ღირდა, მაგრამ ძალია მოსეს ხელში იყო მამინ... **(წამოდგა)** მოსემ წამართვა მამანები... არ უნდოდა მამას ეს ქორწინება, მაგრამ მოსეს ვერაფერი გაუბედა... მეც იმ დღიდან დავკარგე მამამისი ძალის, მისი ყოვლისშემძლეობის რწმენა დავკარგე... მისი მამობა დავკარგე... თუმცა, მე კი არა, მან დამკარგა... მე რა შუაში ვარ, თვითონ მამანები შეეგუა, რომ მისი ერთადერთი ქალიშვილი, ვიღაც პირუტყვებმა მოტყუებით მოიტაცეს... გააუპატიურეს... სახელიც კი შეუცვალეს... **(ხანმოკლე პაუზა)** შეეგუათ ვამბობ, რას შეეგუა, სწორედ ამის გამო გაუსკდა გული... მამანებს კი დედაჩემიც ძალე მიყვა... მე რა, გული რომ გაუსკდა... ერთი გაბრძოლება, მაინც გაებრძოლა... თავისი შედრწუნება ერთხელ მაინც ხმამალა გამოეხატა... რაღაცა ალამით დაეტოვებინა ჩემთვის... მარტო შემატოვეს ამ პირუტყვებს... ჩემი მამამთილი ბიბლიური მოსე ვარო, გაიმახის. ის თუ ბიბლიური მოსეა, მე ვკვირდები თაგან მოტყუებით ხელსგამოყოლილი სამკაული ვყოფილვარ... **(დაიხრება, იატაკის ტილოს აიღებს. დააქვრდება)** ამათი სისხლი საქონლის სისხლია... ამათი ხმა საქონლის ზმუილი... ამათი ქცევა საქონლის ქცევა... **იატაკის საწმენდ ტილოს თვალს მოაშორებს)** მახსოვს, მამანემის სახლში დიდი მისაღები ვკვინდამისაღებში შავი როიალი იდგა. მახსოვს კედლის საათი და მოხატული თეფში თაროზე... ლამაზი მწვემის ეხატა თეფშზე... როგორ მიყვარდა ის მწვემის... თუმცა, მიყვარდა კი ოდესმე? რა უნდოდათ, რას მერჩოდნენ, — ვყოფილიყავი ჩემს მშობლებთან, ჩემს შავ როიალთან, ჩემს ლამაზ მწვემსთან... სახელიც კი წამართვეს... ცაცა შემარქვეს... ამათი ცაცა ვავხლი... პირუტყვები... ყველაფერი წამართვეს პირუტყვებმა... **(თვლები აუკიაფდა)** მაგრამ შეილი კი დამრჩა... **(პაუზა)** იმან გადამატანინა ამდენი დამცირება,

იმან გამაძლებინა... ჩემი შურისძიება... ჩემი ამაყი ვაჟაც **მეც** ზღაღღაღა... სულელებს, ერთუჯრედიანებს უკვირთ, როგორ გასძლო ახალგაზრდა ქვრივმა მოსესთანო... გაძეული კი არა, ამ დღის მილოდინით ვსულღამულობდით მე და ჩემი შვილი... ეს დღეც დადგა... მოსე! ჩემი თვალთ ვხედავ, როგორ დანაჩანაკდი და დასნეულდი... ამას ველოდი ამდენი ხანი... ახლა, ყოველი დღის გათენება ჩემთვის ზეიმია, ჩემი თვალთ ვხედავ, როგორ ზიზარ საუარძელში, — მოხუცი, უმწეო, პირდაფრენილი, თვალბმული ცოცხალი ღეში... შენს სიბერისაგან აქერცლილ პირისახეს ყოველდღე ჩემი ხელით ვეხები... არ მოვშორდები, მოსე, არასოდეს არ მოვშორდები... საავადმყოფოშიც თავზე დაგადგები, იქაც შენთან ვიქნები... სულელები, ერთუჯრედიანები კი იმას იტყვიან, რძლობაც ასეთი უნდაო... რაც უნდათ ის ილაპარაკონ... შენ ჩემთვის საჭირო ხარ, მოსე. შენ მე მჭირდები... ღამეებს გაგითენებ, თავს შემოგვევლები, რომ რაც შეიძლება დიდხანს გიცქიროთ მე და ჩემმა შვილმა... შურისძიება... ნამდვილი თავისუფლება შურისძიებაშია, ის არის ყველაზე მათრობელი გრძნობა, ის არის საკვებიცა და პაერიც...

(კიბეზე აბესალომი ჩამოდის. კრუპიევის ოთახიდან დათიკო გამოვა. ერთმანეთს შენიშნავენ. შეყონდებიან, შუაში ცაცა დგას. იატაკის საწმენდი ტილო უჭირავს ხელში. ერთხანს სამივენი ამ მდგომარობაში რჩებიან.)

აბესალომი — (პაუზის შემდეგ) — წაიდე თუ დათიკო, სიტყვა მაქვს სათქმელი...

დათიკო — აბესალომი, რატომ ვჩხუბობთ მე და შენ, ზომ არ იცი? **(ეცინება)** კარგ რამეს ვატყვი, გაგიციდება... მე მგონი, ბიძინას გამო ვჩხუბობთ. ვის ჩემოდანს დაიჭერს ხელში ბიძინა, აი, ამის გამო ვჩხუბობთ... ვითომ ის არის ჩვენი მსახური, არ დაი-



ჯერო, ჩვენ ვართ ბიძინას მსახურები...

აბესალომი — წავიდეთ, დათიკო! **დათიკო** — წავალთ, აბესალომ, წავალთ... რა გეჩქარება... **(იციხის)** არა, ამაზე გამეცი პასუხი, მართლა ხასაცილო არ არის, ორმა ჩვენისთანა ბიჭმა ერთი ბიძინა ვერ გაიყოს... ვინდა, მეოთხედ ბიძინას ჩამოვიჭრი... აი, ასე, კარაქივით...

აბესალომი — არა, შენი სასწორი ცუდად წონის...

დათიკო — აქამდე კარგად წონიდა, ვინაცვალე და ახლა რა დაემართებოდა... შენ, ეტყობა, გაჭირილი დათიკო უფრო ვაწყობს არა, აბესალომი! ე, შენ რა იცი, რა იცი, როგორ ტიროდა ჩემი გული მაშინ, ფეხი რომ წავიცვალა... არ იყავი თმებით სათრევი კაცი, მაგრამ არ დამიჯერე... მაშინ რომ ჩემთვის ყური გვგდო...

— **აბესალომი** — მაშინ რომ შენთვის ყური მეგდო, ახლა აბესალომი კი არა, სულხანა ვიქნებოდი... მე კი, სიმართლე გითხრა, მიწოდდა ყველაფერში შენთვის მომებაძა... შენ არასოდეს არ იქნებოდი სულხანა, არც მე არ შემძილია სულხანა გაუხდე...

დათიკო — ხო, ყველაფერი ვაცილებით რთულია, ვიდრე ერთი შეხედვით ჩანს... ჩვენ ხომ ერთი სისხლი და ხორცი ვართ, აბესალომ... შენც ხომ იცი, ჩემს ხელში ვაიზარდე... ტყუილად მადანაშაულებ უყურადღებობაში, მაშინ ვერაფრით დაგეხმარებოდი...

აბესალომი — ერთხელ, მახსოვს, ჩვენთან მოხვედი სტუმრად... შე პატარა ბიჭი ვიყავი... დედაჩემმა სადილი გააწყლო... შენ ხელი დაიბანე, კოსტუმი გაიხადე, თან მე მუხუძრებოდი რაღაცას... ორი იარაღი გვკიდა აქეთ-იქით... ისეთი ძალა მოდიოდა იარაღის ტარიდან, ისეთი მძიმე ძალა... შენც იმხელა ჩანდი, ბუმბერაზივით... მაშინ ვიფიქრე, ალბათ, მამაჩემიც ასეთი იქნებოდამეთქი... შენ რა იცი, რას ფიქრობს პატარა ბიჭი, ვისაც ხაკუთარი

მამა სურათზეც არ უნახავს... ყველაზე ძლიერს ამოარჩევს დამრჩეს ნაჭერებს, რომ მამამისიც ასევე... მამაჩემმა მე შენ ამოვირჩიე... გგონია იმისთვის დამჭირდი, რომ მისჯილი წლები დაეკლოთ? ორ იმდენს გაუძლებდი კიდევ... აბესალომი სადაც არის, კარგად იქნება... იმისათვის მჭირდებოდი, რომ არ გაუბოროტებულიყავი... მამაჩემი მჭირდებოდა...

დათიკო — აბესალომი! აბესალომი! რას გვიშვრება ცხოვრება... როგორ გვათამაშებს... როგორ დაგვეცინის... ჩემო კარგო ბიჭო, ნუ ვინზუბუბო, ნულარასოდეს ნუ ვინზუბუბო... **(ცაცამ იატაკის ხაწმენდი დააგდო. დათიკომ ცაცას მოხვდა)** აი, მითუმეტეს, ცაცამ მანდილი ჩაგვიგდო შუაში...

— **აბესალომი** — წავიდეთ, დათიკო... ვილაპარაკოთ!...

დათიკო — მოდი ჩემთან, ახლოს მოდი... მოდი გაკოცო!!! (სულ პატარა იყავი, ახლა კი რამხელა კაცი ხარ... **(ხელს მოხვევს, ერთხანს თვალბში შესტკერიან ერთმანეთს. შემდეგ გადაეხვევიან. ურთიერთს წელის არეში მოუტარებენ ხელს, იარაღს მოხინჯავენ)**

დათიკო — წავიდეთ?
აბესალომი — წავიდეთ.

დათიკო — წავიდეთ, ბატონო.
ხელისეღვანებასეულები მიდიან, გზადაგზა საუბრობენ.

დათიკო — მაშ, ჩემი სასწორი ცუდად წონის. არა, აბესალომ?

აბესალომი — კი, ცუდად...
დათიკო — გცნობ... გცნობ, ჩემო კარგო, შეამბოხე სული გაქვს, როგორც პატარა ბიჭობაში გქონდა...

ესაა, რომ თმებს სტილიავასავით აღარ ატარებ, ეტყობა ჭკუა ისწავლე სანატორიუმში.

აბესალომი — სანატორიუმში კაცი გაუხდი...

დათიკო — მე კი ისე გელაპარაკები, თითქოს მართლაც პატარა ბიჭი იყო. რატომ მეოთხედი?... უფრო

იოლი არ იქნება, ბიძინა შუაზე რომ გაეჭრაო...

აბმსალომი — არა, შუაზე გაჭრილი, არ მინდა...

ღამიძე — (შეღვა) — აბესალომ, კარგი სიტყვა მოთქვამს, ნახევარი ბიძინა შენია, ცალი ზელი მაინც დარჩება ჩემოდნის დასაჭერად. ერთი ცალ-ხელა კაცი მეც ზომ მინდა, ასე არ არის?

აბმსალომი — არა, შუაზე გაჭრილი არა...

ღამიძე — შენ მართლაც დაკაცებულხარ, ჩემო ბიჭუნა, ვის რად უნდა შუაზე გაჭრილი ბიძინა. მთელი რაა და შუაზე გაჭრილი რა უნდა იყოს... მამ, ხავენსიოდ გამაძწეხე, არა, აბესალომ?

აბმსალომი — წავიდეთ, გარეთ ვილაპარაკოთ.

ღამიძე — წავიდეთ ბატონო... კიბუხს აუყვებთან თვალს მიეფარებთან.

ცაცა — (თვალს გააყოლებს. პაუზის შემდეგ) — ვინ არის დათიკო... ვინ არის აბესალომი... ვინ მიგდიხ ერთი ან მეორე... რა უნდათ, რა მტლაშა-მტლუში ამიტყხეს... რას ეცილებთან ერთმანეთს? ჩემი შვილის სამემკვიდროს?! ვერ მოგართვით... ვერა!!! ქმრისგან მყავს... მან დამიტოვა... ნაბიჭვარი კი არ არის, ჩემი ქმრის კანონიერი შვილია, მოსეს ღვიძლი შვილიშვილია... საცოდავი, ერთუჯრედიანი, პატარა კაცუნები... რა იციან ვისთან აქვთ საქმე, ჩემს უკვდავ შვილთან... ჩემს ვაჟკაცთან, ჩემს შურისძიებასთან... ის არის მეფე... ის არის ფარაონი... ის არის ღმერთი... ესენი კი, პატარა, ერთი ბეწო კაცუნები, ბინძური ხელებით ცდილობენ მის სამემკვიდროს წაუოტინონ? ვერ! მოგართვით, ვერ მოგართვით!!! ჩემი შვილია აქაურობის ერთადერთი მემკვიდრე... ნაბიჭვარი არავის ეგონოს... ჩემი ქმრისგან დამრჩა... მოსეს ღვიძლი შვილიშვილია, ის დაადგება ამ ქვეყანას ლამაზ ლევა ღრუბლად... ის გადაფარავს ამ მთებს, ამ მინდვრებს... ის

ამიტაცებს მალა და მის გვერდით მამოფებს... ის მომანიჭებს... ვეკლავებას და უსასრულოთ ერთად ვიქნებით...

იარაღის გასროლის ხმები.

ცაცა — (ხმადაბლა)... ისვრიან! ავე ისვრიან! (უფრო ხმადაბლა) ფარაონმა გაიღვიძა... (თვალუბში ავადმყოფური სხივი ჩაუღვა) ნახეთ, რა ლამაზია... რა ამაფი... (ხმადაბლა) ფარაონმა გაიღვიძა... აქეთ, კაცუნებო, ფარაონმა გაიღვიძა! შეხედეთ, რა ლამაზია!!! გაახილეთ თქვენი წირბლიანი თვალები და დატკბით ნამდვილი მეფური სიდიადით! ისვრიან! ავე, ისვრიან! ჩვენ ვცოცხლობთ!!!

ქრება შუკი.

— **სურათი მუქი**: კრუპიე ბიჭი, კრუპიე გოგო. შემდეგ კაცი ვიოლინოს ფუტლიარით.

სცენის სიღრმიდან კრუპიე ბიჭი გამოვა. ხელში ანთებული ხანთელი უჭირავს. თავის მაგიდასთან მივა. სან თელს მაგიდაზე დადებს. ბანქოს შლის. გამოსახვეული ოთახიდან კრუპიე გოგო გამოვა. მასაც ანთებული ხანთელი უჭირავს. კრუპიე ბიჭს მიუახლოვდება. (ორივეს ისე აცვია, როგორც მოქმედების დასაწყისში, ბიჭს ჯინსის პერანგი, გოგოს ჯინსის ქვედაკაბა)

პრუსიმი გოგო — ეტყობა აუარიია...

კრუპიე ბიჭი ბანქოთია გატაცებული. უპახუნოდ ტოვებს გოგოს.


პრუსიმი გოგო — (სკამზე ჩამოჯდა) — შენ მაინც გამეცი ხმა... ხომ იცი, ვერ ვიტან უშუქობას... (მიიხედ-მოიხედავს) ამ სარდაფსაც ერთი ფანჯარა არა აქვს...

პრუსიმი ბიჭი — სარდაფს რა ფანჯარა უნდა ქონდეს...

პრუსიმი გოგო — მართალია... (პაუზა) თითქოს აკლდამაში ვიყოთ... როგორც რომეო და ჯულიეტა. (იფინის) რატომ არ მივმართავთ ერთმანეთს მთხავით... „ო, ჩემო ტკბილო, სიყვარულო, ჩემო მეუღლე!“

პრუსიმი ბიჭი — ჩვენ ვქინძობთ.

პრუსიმი გოგო — ამ საუკუნის ღირსეული ექსპონატი ხარ.



კრუპინი ბიჭი — ვარ. რატომაც არა ვარ... მოსემ ღამის მუხუშად გადააქცია კაზინო და თანამედროვე ექსპონატებიც შემოაგდო. ისე კი, მე თუ მეთხავ, არც არაფერი იცვლება. ამასწინათ წავიკითხე, რევოლუციის დროინდელ საფრანგეთში, იაკობინელების მმართველობის დროს, ერთ-ერთ სავლონში უმადლესი წრის ქალები იკრიბებოდნენ, შემდეგ მიდიოდნენ ამოთხრილ სამარესთან და სიკვდილის ცეკვას ასრულებდნენ... ნაღდი თანამედროვე კლიბია... თითქოს ვხედავო.

კრუპინი გოგო — ღმერთო, რა იქნება, მოგვცენ შუქი!

წამით სარდაფი განათდება და ისევ ჩამოხვდება. კრუპინი ბიჭი და კრუპინი გოგო ერთმანეთს გადახედავენ.

კრუპინი ბიჭი — ...აბა, კიდევ ცალე!

კრუპინი გოგო — ღაიცა, ჯერ არა... (მოეშხადება. პაუზა) ღმერთო! (იცინის) არა, ჯერ არა... (იცინის) ნუ მიყურებ... ღმერთო, რა იქნება, მოგვცენ შუქი... (ხანმოკლე პაუზა) ამ დროს ინთებოდა ხოლმე... (ხანმოკლე პაუზა) ღმერთო!..

(კრუპინი ბიჭს მოხედავს. დაბნეული გამოშვებული აქვს)

კრუპინი ბიჭი — ...ყოველთვის არ გაამართლებს.

კრუპინი გოგო — როგორ არ გაამართლებს... ახლა ვთხოვ და შუქიც აუცილებლად მოვა... აი, ახლა... ღმე...

კრუპინი ბიჭი — (აწყვეტინებს) — არა, ყოველთვის არ გაამართლებს... (ხანმოკლე პაუზა) ჩვენ დაემარცხდით... რომეო და ჯულიეტა ცხედრებთან ომში დამარცხდნენ... ჩვენ კი სხვის ომში წამოგვავლეს ხელი...

კრუპინი გოგო — რა უცნაურად ღაპარაკობ... რას ქვია დაემარცხდით... აი, ახლავე ვთხოვ და შუქიც მოვა... ღმერთო, ღმერთო, რა იქნება, ღმერთო!...

კრუპინი ბიჭი — (თვლი მოავლო სარდაფს) — ეს ბუტაფორიული სამყაროც ისე დგას წამლებით გამო-

ღენებელი მოსეს უღონო მუხუშებზე, როგორც კაცობრიობა პირველ ცოდვებზე, იღვიძებს, ჩხუბობს, უძრავს, უძრავს, კი აძინებენ... აძინებენ... დიზინი იცვლება, არსი რჩება. სხვის ომში დამარცხებულთა ბიუსტები... შეიძლება ისინიც კრუპინები იყვნენ. ამ ცხოვრების კრუპინები... თავისი თამაშით არასოდეს უთამაშაით... ვიღაცის კაზინოსთვის თამაშობდნენ... ან იქნებ ამ ღმერთებს ჩაგვაცილეს ბნელ სარდაფში, როგორც ნივთებს აყოლებენ მიცვალებულს... ერთადერთი ცოცხალი, თავისი ნება-სურვილით მოქმედი კი ჩვენი სპილენძის (აბსტრაქციაა. სხვა, ყველაფერი ერთ ყალიბშია მოქცეული... იქნებ ნაოლეონივით დიდი ადამიანებიცა და ჩვენისთანა პატარა მსახიობებიც სხვის კაზინოში, სხვის თამაშს ვთამაშობთ...

კრუპინი გოგო — რა უცნაურად ღაპარაკობ... ჩვენ ხომ მოსეს კაზინოში ვართ... აი, მაგიდა... საფერფლეები... ყველაფერი ნაცნობია... (სარდაფს მოაქვებს თვალს)... რატომ ბნელა ასე! საავადმყოფოს ბნელ დერეფანს გავს... არა, ის ფარშავანგის ფიტული არ არის, ღამის ფრინველია... ბიუსტები... სიცივე ამ ბიუსტებიდან მოდის... ჩვენც ბიუსტებად უნდა ვიქცეთ? უნდა გავცივდეთ?! მითხარი — არა... თქვი — არა...

კრუპინი ბიჭი (მიუახლოვდა. მკერდში ჩაიკრა) — არა... ჩვენ მხოლოდ და მხოლოდ კრუპინები ვართ...

კრუპინი გოგო — ხო, ხო, კრუპინები... ჩვენ კრუპინები ვართ... ერთმანეთი გვიყვარს, ერთმანეთს ვაძობთ... ჩვენ ერთი სხული ვართ. ერთი სამყარო გვაქვს... შენ კონფერანსიეს თამაშობდი, მე ბედისწერას... არავის ვეხებით, ცალკე ვდგავართ... რატომ, რატომ ცივა ასე? ღმერთო, რა იქნება, მოგვცენ შუქი ღმერთო!

მადლიდან ორი თოკი დაეშვა.

კრუპინი ბიჭი უწარაღებას მიაქცევს.

კრუპინი ბიჭი — თოკი... (გახალი-ხეხული) ცირკში ვართ... აღრეც გე-

უბნებოდი, აქაურობა ცირკიაშეთი... წამოდი, წამო... (ხელს ჩახჭიდებს გოგოს, წაიყვანს). ბავშვობისას ცირკის თალი ცასავით მაღალი, ცასავით მიუწვდომელი შეჩვენებოდა... იქ კი, მაღლა, ადამიანები გაჭიმულ ბავირზე დადიოდნენ, დაფრინავდნენ... ჩვენც მაღლა ავიჭრებით...

პრუპიმი გოგო — (დაბნეული იღიმება) — ვთხოვე, ხედავ, ვთხოვე!.. რა კარგი გრძნობაა. თითქოს ტირში სათამაშო კარდელს ვესროლე და ისიც ამოძრავდა... ხომ ვთხოვე?!
ორივემ დაიპაგრა თოკი.

პრუპიმი ბიჭი კრუპიე გოგოს გადმოხედა)... მთავარია გვეროდეს. თვლები დახუჭვე... (პაუზა) ოკლა...

ნელა მოსწყდებიან მიწას.

პრუპიმი გოგო — ...ჩვენ მიეფრინავთ! მართლა მიეფრინავთ!

პრუპიმი ბიჭი — ხომ(გუუბნებოდი, მთავარია გვეროდეს და არველოდის პატარა მატარებლითაც გაფრინდებიშეთი...

პრუპიმი გოგო — მე მსუბუქი ვარ... მე მიეფრინავ...

ჩაირთვება სპილენძის აბსტრაქცია, კაზინო ლამაზად აფერადდება.

პრუპიმი გოგო — რითი მიეფრინავთ... ღმერთო, რა მსუბუქი ვარ... ჩვეულებრივი თოკია?

პრუპიმი ბიჭი — რა მნიშვნელობა აქვს... მავას რაღა მნიშვნელობა აქვს. მთავარია რომ, ექეპეი!... ჩვენ მოვწყდით, მიწას მოვწყდით!!! აი, მოსეს კაზინო! წითელი საფერფლები, სისხლის ლაქებს ვავს, მწვანე მუდი კი წყალმცენარეს... მეწამული ზღვა... უდაბნო... ჭიანჭველები... უამრავი, მოფუსფუსე ჭიანჭველები... ჩვენ კი მაღლა, სულ მაღლა, აი, იმ მნათობისკენ... ექეი, იმ მნათობისკენ!!!

რომიოს ტამსტი: სხივმოთინარე, ანგულოზო, კიდევ თქვი რამე! შენ ამ ღამეში იმგვარადვე აფრქვევ სინათლეს, როგორც ფრთოსანი, მოელვარე ვარსკვლავი ცისა, ზანტად მაგალი დრუბლებით რომ დაცურავს ცაში,

ხლო მოკვდავი ხასობით მას შესცქერიან.

პრუპიმი გოგო.


ჯულიმტას ტამსტი: თი, რომეო, თ, რომეო, რად ხარ რომეო? მამა უარყვივ, დაჰკმე გვარი, გამოიცვალე, მგერამ თუ არ გსურს, სიყვარულის მომეცი აღთქმა, რომ შენი ვაგზდე, აღარ შერქვას მე კაპულეტი. (კრუპიე გოგო ხელს გაიწვდეს. აღტაცებული) თეატრი! ჩვენი თეატრის შენობაც დაფრინავს... ხედავ, რა ბზრიალბზრიალით აიჭრა შორეული ვარსკვლავებისაკენ... იქნებ ის ვარსკვლავებიც თეატრის ლამაზი შენობებია... გაჩახჩახებული, გაბრწყინებული თეატრის შენობები... არველოდი! ვერ დაინახე, არველოდიმ ჩაგვიქროლა!!! ხელში სათამაშო მატარებელი ეჭირა... არველოდი! არველოდი!!! ჩვენც იქით, იქით! ჩვენი კამკამა თბილი მნათობისაკენ.

პრუპიმი ბიჭი — ღედამიწა ისეთი ყოფილა, როგორც ძველ ხალხებს წარმოუდგენიათ... მხოლოდ სპილოებზე კი არ დგას, მძინარე მოსეს მუხლებზე დევს მყუდროდ ძმოდრმავეული თეფშით... აი, ოდნავ გადახრილა კიდევ... მოსე, თეფში გაგიტყდება, მოსე!!

პრუპიმი გოგო — (იცინის არა, ღედამიწა მრგვალია... ღედამიწა ბატიბუტის შეკრულ გუნდას ვავს... შეხედე, მართლა როგორა ვავს! იმ ცირკში ბატიბუტებსაც ვიდიან? (იცინის)

პრუპიმი ბიჭი — აქ არაფერს ვიდიან... არც არაფერს ვიდილობენ, ექეპეი იმ მნათობისკენ... ჩვენი კამკამა, თბილი მნათობი...

პრუპიმი(გოგო — მაღლა, სულ მაღლა!!! გაბრწყინებული თეატრის შენობები... ნეტარება... სიმსუბუქე და ნეტარება... არველოდი! მე მიყვარს არველოდი! არველოდი მიყვარს... არველოდი!!! ქრება შუქი. სრული სიბნელე. ცოტა ხანში მცირე ვანათება, კრუპიე გოგო და კრუპიე ბიჭი იატაკზე სხედან.



პრუპინი გოგო - (თავს აიღებს)...
სადაც ჩავარდით (პაუზა. ოთახს თვალი მოავლო) არა! არა! აქ არა!!! რა მონდა, მითხარი, თითქოს ერთი წამით მოგვეცეს შუქი და ისევ ბნელ ოთახში დაგეტოვებს, სად ჩავარდით!

პრუპინი ბიჭი - ...არველოდი მოკლეს!..

პრუპინი გოგო - ღმერთო, ღმერთო, რა იქნება, მოგვეცემა შუქი, ღმერთო!.. არ მინდა... აქ არა... ჩამირული, უცხო ქალაქია... საავადმყოფოს ბნელ ღერუფანს გაავს... აქ არა, ღმერთო, აქ არა!.. სად მოვხვდით? სადა ვართ? რა დროა? მითხარი, ხმა გამეცი!.. რატომ, ღმერთო, რატომ, რატომ, რატომ ცივა ასე!!!

პრუპინი ბიჭი - არველოდი მოკლეს. (ხანმოკლე პაუზა) გაიხსენე, ყველაფერი გაიხსენე!

პრუპინი გოგო - მახსოვს... ყველაფერი კარგად მახსოვს... ხომ ხედავ, მე ვგრძნობ, ვხედავ, მესმის... დათიკო და აბესალომი ერთმანეთს ესროდნენ... ტყვიები... მძიმე ტყვიები... გელოდი ბავშვთან იყო ჩაჩოქილი... ცალი ხელით მისი თავი ეჭირა, მეორე ხელით კი, თითქოს ფრთამოტეხილი ფრთველიაო, აი, ასე, მოუქნელად ეძებდა ქვაფენილზე საყრდენს. არველოდის ღია თვალები ჰქონდა და შუბლზე მესამე საზარელი თვალივით აჩნდა ნატყვიარი. ხომ ხედავ, მე ვგრძნობ, მე მახსოვს... (მე ცოცხალი ვარ... რატომ, რატომ, რატომ უნდა იყოს ასე... ჩვენ ხომ განზე ვიდექით, არავის საქმეში არ ვერეოდით... ჩვენი სამყარო გვექონდა, ვხუმრობდით, სულ ვხუმრობდით... აქაურობას ხან საგიჟეთს ვადარებდით, ხან მუზეუმს, ხანაც თეატრს... ყველაფერი იცვლება... აქ ყველაფერი იცვლება... ფარშევანგის ფიტული ღამის საშინელ ფრინველად იქცა... წითელი საფერფლეები სისხლის ლაქებად, ეს კაზინო ჩამირულ, უცხო ქალაქად... მიპასუხე, სადა ვართ? რატომ, რატომ, რატომ ცივა ასე, ღმერთო! ნუთუ

ჩვენც ბიუსტებად უნდა ვიქცეთ... აღარ ვივარდით, აღარ ვისუნთქავთ... ვაგეტოვებ... ნუთუ ჩვენი უსუნთქვე, გულისფეთქვა, არსებობა მარადიული მონობის ვალიბში უნდა ჩამოიხსნას... თაროზე შემოიღოს, გაცივდეს, მტკერი დაედოს... ან კი სადა ვართ? სად! კაზინოა თუ ჩამირული, უცხო ქალაქი... მიპასუხე, სად მოვხვდით?!

პრუპინი ბიჭი - არ ვიცი... არაფერი არ ვიცი... (არც მაშინ ვიცოდი, ჩვენი ბავშვობის თეატრიდან სად ამოვყავით თავი. არც ის ვიცოდი, ვინ ვიყავით - კრუპიები, კონფერანსიები თუ მახსარები... სულ სხვა როლი გვერგო... ჩვენ სულ სხვა როლი გვერგო... ხელი წამოვავალეს და... გაიხსენე, გაიხსენე - სროლის ხმა... ქუჩისაკენ მეწეოდა რაღაცა... ოღონდაც ის ცხიმის კუნძულები არ მვერძნო... ის სახიზლარი გემო... შენც მორბოდი... ზურგსუკან შენი ხშირი სუნთქვა მესმოდა... მხოლოდ ერთხელ ვიგრძენი მძაფრი ტკივილი...)

პრუპინი გოგო - მახსოვს... ხომ ხედავ, მე ყველაფერი მახსოვს... გული გამაღებთ მიცემდა, სადაც ველთან, აი, აქ... კიბეებიც მახსოვს... რაღაცისაგან, რაღაც ძალიან ჭუჭყიანისაგან განთავისუფლების სურვილი... კიბეები... გულისფეთქვა... გელოდი ბავშვთან ჩაჩოქილიყო. ცალი ხელით მისი თავი ეჭირა, მეორეთი კი ფრთამოტეხილი ფრინველივით მოუქნელად ეძებდა ქვაფენილზე საყრდენს. ბავშვს ღია თვალები ჰქონდა და შუბლზე მესამე საზარელი თვალივით აჩნდა ნატყვიარი... შენ ღეიცი, მოწყვეტით ღეიცი... მერე კი ტკივილი... ტყვია მძიმეა... იკბინება...

პრუპინი ბიჭი - (წამოღვა. მაგიდისკენ გაემართა) იქნებ ჩვენც ცხედრებთან ოშში დაემარცხდით... ხელი-ხელგადახვეული დათიკო და აბესალომი, სადღესასწაულო ბუშტივით გაბერილი სულხანა, მარინა დედოფლის გვირგვინით თავზე, ყელგაწვდილი ბიჭინა... იქნებ ისინი ფეხდატეხილი, მო-

ცეკვავე ცხელრები არიან, ჩვენს ღია სამარესთან სიკვდილის ცეკვას ასრულებენ, დაფაფის მავიერად კი ცაცის ლეიბების პერტყვა ისმის... (მაგიდაზე წამოჯდა. პაუზის შემდეგ) მე მიუხედი ვინცა ვართ... (ახლა ჩვენ იმ ბავშვის თვალები ვართ, ვისი სახლიდანაც დღესასწაული წავიდა, ორ თვალს შუა კი მესამე სახარელი თვალივით იტყირება ნატყვიარი... სად გავიღვიძებთ? ისევ მათთან? ჩვენ ვინ ვიქნებით? (ხანმოკლე პაუზა) ნახე, მოქუფრულ ცახე მიღეული ვარსკვლავი მოჩანს. ღამის ფრინველმა გადაგვიფრინა... მოსეს ძინავს, ჩვენც დავიძინოთ... (წამოწვა) დაწვი, ასე უკეთესია - (გულზე ხელები დაიკრიფა)

პრუპიე გოგო - ...რა მსუბუქი ვიყავი, ახლა კი ისე დამიმძიმდა ქუთუთობი. (ფეხსაცმელებზე დაიხედავს) რატომ მაცვია დაბალქუსლიანი; ვინ ჩამაცვა? მე ხომ არ მივეარს... (კაზინოს მოაუღებს თვალს) არა, ჩვენ არ ვიქცევით ცივ ბიუსტებად... ეს არ არის ჩვენი სისხლის ლაქები, წითელი საფერფლებია. არა, არა, ჩვენ არ ვიქცევით ცივ ბიუსტებად... ისევ მოსეს კაზინოში ვართ, ჩაძირულ უცხო ქალაქში კი არა, მოსეს კაზინოში... რა მსუბუქი ვიყავი, ახლა კი ისე დამიმძიმდა ქუთუთობი... რატომ? მეწვეა თავისკენ მაგიდა? (ფეხსაცმელებზე დაიხედა) ვინ ჩამაცვა დაბალქუსლიანები? მე ხომ არ მივეარს... (ხანმოკლე პაუზა) თუმცა, რა მნიშვნელობა აქვს... (წამოდგა, მაგიდისკენ გაემართა. ერთ ალგილას შედგა, მალა დაიხედა) ...როგორ დამშორდა ჩემი თბილი მნათობი,

როგორ გაცივდა, მიილია... (მეტი მდგა, ზეცაში არველოდის მთაწარეებზე შუბლზე არანაირი ნატყვიარი არ ანდა... იქნებ არველოდმ ავეიტაცოს მალდა... სულ მალდა, ჩვენი თბილი, კაშკაშა მნათობისკენ... (ოთახს მოავლო თვალი) არა, ეს არ არის ჩვენი სისხლის ლაქები, წითელი საფერფლებია. (მაგიდაზე ჩამოჯდა, მაგიდას დახედა) არც ეს არის კუბო... ჩემი მაგიდაა, მე ხომ ვიცი, ჩემი მაგიდაა, კუბო არ არის (პაუზა) სად გავიღვიძებთ? სად გავახელთ თვალს? ჩვენ ვინ ვიქნებით? (პაუზა) იქ, მალდა, სულ მალდა, ზეცაში არველოდი მიფრინავდა... (მაგიდას დახედა. წამოწვა. გულზე ხელები დაიკრიფა)

სცენის ხილრმიდან კაცი გამოჩნდა ვიოლინოს ფუტლიარით ხელში. შავი ფრაკი აცვია. სკამებს (გაასწორებს. გოგო-ბიჭს თავთან ხანთლებს აუნთებს, ერთხანს დააცქერდება, ვიოლინოს ფუტლიარს მკერდთან მიიკრავს. შემდეგ სარდაფს მოაუღებს თვალს.

კაცი ვიოლინოს ფუტლიარით - რამდენი წლის იქნება, მაინც, ეს შენობა? გამოურკვევა. ჩაახველებს. ფუტლიარიდან ვიოლინოს ამოიღებს, ისევ ჩაახველებს. უკრავს.

სცენაზე გაურკვეველი ღანდები შემოეწყობიან, მაგიდის გასწვრივ ჩამწკრივებულ სკამებზე ჩამოსხდებიან, თითქოსდა მდუმარედ ელიანო გოგო-ბიჭის გავიძებას.

ხეულიანი მელოდია.

(5/III-1995 წ.

შარდა



სულიერი სწორება დღევანდელ საჭმოს საქართველოში მხატვრული ლიტერატურის სრქეში

წერილი, რომლის თარგმანსაც აქვე ვთავაზობთ მკითხველს, ეკუთვნის გამომჩინელ ქართველ მეცნიერს გრიგოლ ფერაძეს (1899-1942), რომლის სახელიც მხოლოდ ბოლო დროს ვახდა ცნობილი ჩვენი საზოგადოების ფართო ფენებისათვის.

გრ. ფერაძემ 1918 წელს დაამთავრა თბილისის სახულიერო სემინარია და შევიდა ახლად გახსნილ თბილისის უნივერსიტეტში, (აქედან კი 1921 წელს ცოდნის გასადრმაველად გერმანიაში გაემგზავრა. 1926 წელს დაამთავრა ბონის უნივერსიტეტის ფილოსოფიის ფაკულტეტი, 1927 წლის დეკემბერში მოიპოვა ფილოსოფიის მეცნიერებათა დოქტორის ხარისხი. კითხულობდა ლექციებს ბონის, ოქსფორდის, ვარშავის უნივერსიტეტებში. ბოლო წლებში ვარშავის უნივერსიტეტის პროფესორი იყო. აქ მოუსწრო მეორე მსოფლიო ომმა. 1942 წელს გერმანელმა ფაშისტებმა შეიპყრეს და ოსვენციმის საკონცენტრაციო ბანაკში მოათავსეს, სადაც მან თავისი ნებით შეცვალა მრავალშვილიანი მამა და მის მაგიერ დაიღუპა გაზის კამერაში. მისი სახელი აღბეჭდილია მემორიალურ დაფაზე ვარშავის უნივერსიტეტში სხვა პროფესორ-მასწავლებლებთან ერთად, რომლებიც მეორე მსოფლიო ომში დაიღუპნენ.

გრიგოლ ფერაძე დაიღუპა ხრულიად ახალგაზრდა, მეცნიერული მუშაობის

გაშლისა და ავადების ასაკში, რომ დახლოდა, უთუოდ ბევრის გაკეთება შეეძლო მშობლიური ქართული მეცნიერებისა და კულტურის სამსახურში, მაგრამ რაც მოასწრო, ისიც საქმარისა მისი სახელის უკვდავსაყოფად.

გრ. ფერაძის კვლევა-ძიების ძირითადი სფერო თეოლოგია იყო, მაგრამ ის არ ყოფილა ერთი რომელიმე დარგით ვიწროდ შემოფარგლული მკვლევარი და მისი მეცნიერული ინტერესები საკმაოდ მრავალმხრივია. მისი წინამდებარე წერილიც ამის დამადასტურებელი შეაფიო მაგალითია.

როგორც ამ წერილიდან ჩანს, მკვლევარი ცდილობდა ყოფილიყო საქართველოში მიმდინარე ლიტერატურული პროცესების კურსში და ინტერესით ადევნებდა მათ თვალს. იმ პირობებში, როგორშიაც იმყოფებოდნენ გრ. ფერაძე და მისი თანამემამულენი საზღვარგარეთ ჩვენი საუკუნის 20-30-იან წლებში, ეს არ იყო იოლი საქმე. ამას ავტორი თვითონვე ხაზგასმით აღნიშნავს თავისი წერილის დასაწყისში.

მიუხედავად ხირთულებისა, მკვლევარს შესაძლებლობა მიეცემა ბონის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტში ვაცნობოდა უურნალ „მნათობის“ 1926-1981 წლების ნომრებს და ამ მცირედის მიხედვით უცდია წარმოედგინა იმდროინდელი „საბჭოთა საქართველოს სულიერი სურათი“.

20-იანი წლების ჟურნალი „მნათობი“, როგორც ვრ. ფერაძე აღნიშნავს, მართლაც „კარგად ასახავს საბჭოთა საქართველოს სულიერი ცხოვრების სურათს“. ეს იმით აიხსნება, რომ იმ დროს „მნათობი“ იყო ერთადერთი სკელტანიანი ყოველთვიური სალიტერატურო ჟურნალი საქართველოში. მართალია, გამოდიოდა ორიოდე სხვა ჟურნალიც, მაგრამ ისინი იბეჭდებოდა არარეგულარულად, მცირე ფორმატით, ამასთანავე გამოხატავდა ვიწრო ლიტერატურულ დაჯგუფებათა ინტერესებს და ამიტომ სრულად ვერ ასახავდა „სულიერი ცხოვრების სურათს“.

ჟურნალ „მნათობის“ განსაკუთრებული როლი და მნიშვნელობა ქართული ლიტერატურის განვითარების პროცესში კარგად ჩანს ვრ. ფერაძის წინამდებარე წერილიდანაც, სადაც ავტორი იძულებულია მთელ ქართულ მწერლობაზე იმსჯელოს მხოლოდ „მნათობის“ ფურცლებზე დაბეჭდილი პროდუქციის მიხედვით, მაგრამ მაინც ახერხებს დაკვიხატოს იმდროინდელი ქართული მწერლობის საკმაოდ რელიეფური სურათი და წარმოგვიდგინოს სხვადასხვა თაობისა და სხვადასხვა მრწამსის მწერალთა თითქმის ვეღა თვალსაჩინო წარმომადგენელი: პოეტებიდან — გ. ტაბიძე, კ. მაყაშვილი, ალ. აბაშელი, ი. გრიშაშვილი, პ. იაშვილი, ტ. ტაბიძე, ვ. გაფრინდაშვილი, ს. ჩიქოვანი, რ. გვეტაძე, კ. კალაძე, კ. ლორთქიფანიძე, ფ. ნაროუშვილი, პროზაიკოსთაგან — მ. ჯავახიშვილი, კ. გამსახურდია, დ. ხულიაშვილი, დ. შენგელაია, ალ. ჭვიშვილი, კრიტიკოსთაგან — მ. კახიანი, ბ. ბუაჩიძე, გ. ქიქოძე, პლ. ქიქოძე, მ. გოგიბერიძე და სხვ.

წერილში მოცემულია არა ერთი მწერლის შემოქმედების ან ცალკეულ ნაწარმოებთა სხარტი და მკაფიო ანალიზი, რამდენადაც ეს შესაძლებელი იყო ავტორის ხელთ არსებული მცირე მასალის მიხედვით. გამოთქმულია მეტად საკულისხმო შენიშვნები ცალკე-

ულ ნაწარმოებებზე თუ მწერლებზე, ლიტერატურულ და სოციალურ პრობლემებზე.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ქართული პოეზიის ნიმუშები, რომელთაც წერილში საკმაოდ დიდი ადგილი ეთმობა, ადეკვატური სიზუსტით არის თარგმნილი ვრ. ფერაძის მიერ. ამავე დროს მათში ჩანს შთარგმნელის პოეტური ნიჭი.

ვინც ვრ. ფერაძის ამ წერილს გულდასმით წაიკითხავს, უთუოდ შენიშნავს, რომ მისი ზოგიერთი ფრაზა პირდაპირ წინასწარმეტყველური აღმოჩნდა, ასე, მაგალითად, განიხილავს რა მ. კახიანის წერილს „იდეოლოგიური ფრონტი“, ვრ. ფერაძე შენიშნავს: „რაცდენ კალაძეზე ნათქვამია, რომ ის ტროცკისტია, ამავე დროს ცნობილია, რომ ეს იარლიფი მას შეიძლება სიცოცხლის ფასად დაუჯდეს“ მართლაც ასე მოხდა და რაცდენ კალაძე რეპრესიებს ემსხვერპლა.

წერილის ბოლო ნაწილში ავტორი ეხება ქართული ეკლესიის მდგომარეობას ბოლშევიკების ხელში — „ბოლშევიკებმა ძალიან ბევრი ქართველი მღვდელი დახვრიტეს, მათ შორის ერთი მსცოვანი მიტროპოლიტი, ნაზარი, ჩემი ყოფილი მასწავლებელი ხახულიერო სემინარიაში, აწამეს და დახვრიტეს, მაგრამ — რაგინდ მიიმეც იყოს ჩემთვის ამისი თქმა — მათი სისხლი ეკლესიისათვის ნაყოფიერი თესლი არ იქნება (მოხარული ვიქნები, თუ მე ეცდები და ვინმე საწინააღმდეგოს დამიმტკიცებს)“.

ამ შემთხვევაში კი ვრ. ფერაძე მართლაც შეცდა და მისი ხიტყვები არ გამართლდა: ნაზარი მიტროპოლიტის და სხვა წამებულთა სისხლი უნაყოფოდ არ დაღვრილა. ისინი ქართულმა ეკლესიამ წმინდანებად შერაცხა. მათთან ერთად ქართველ წმინდანთა გუნდს შეუერთდა გრიგოლ ფერაძეც — ფაშისწმის წინააღმდეგ ბრძოლაში დაფერფლილი მეცნიერი.

მიუხედავად იმისა, რომ დღეისათვის ზოგი წიგნის მალაზიის საშუალებით ან განსაკუთრებულ შემთხვევაში საკონსულტაციო მეშვეობით შესაძლებელია ყველა გამოსული წიგნის, ასევე გაზეთებისა და ჟურნალების მიღება საბჭოთა საქართველოდან, ქართული წიგნების რიცხვი უცხოეთში მაინც ძალიან მცირეა. პროფესორ ჰაინ. გოუსენის ქრისტიანულ-ადმოსავლეთმცოდნეობითი ბიბლიოთეკა ბონში და გერმანული ადმოსავლეთ ევროპის ინსტიტუტები ბერლინსა და ბრესლაუში ძალიან ღარიბია ქართული წიგნებით. უკეთაა საქმე ოქსფორდის საქვეყნოდ ცნობილ „ბოდეის ბიბლიოთეკაში“. იქ ქართული წიგნების შესაძენად საკმაოდ დიდი ფონდია უორდროპების ოჯახისა და იმით ისევე იძენენ ახალ ქართულ გამოცემებს. სამწუხაროდ; ყველაფერი ოქსფორდშიც არ არის. ქართულ გამოცემა. სამწუხაროდ; არსად არა აქვთ.

ვისაც სურს მიმოიხილოს და შეაფასოს საქართველოს სულიერი ცხოვრება და შემოქმედებითი საქმიანობა, ის იძულებულია ამისათვის მთელი ადმოსავლეთ ევროპა მოიაროს და თითქმის ყველა ბიბლიოთეკაში მოზაიკის მსგავსად შეაგროვოს მასალა. სურათი, რა თქმა უნდა, სრულყოფილი ვერ იქნება, რადგან ბევრი რამ აკლია, ამიტომ შედეგებიც მთლად უაქველი არ არის. არსებობს საშიშროება, რომ ზოგი რამის განზოგადება ხდება, მაგრამ მაინც ძალიან საინტერესოა თუნდაც ამ მცირედის საფუძველზე დავინახოთ საბჭოთა საქართველოს ახლანდელი სულიერი სურათი¹.

ქართული ყოველთვიური ჟურნალი „მნათობი“, ჩემის აზრით, კარგად ასახავს საბჭოთა საქართველოს სულიერი ცხოვრების სურათს. კიოხვის დროს დამაინტერესებდა პირველ რიგში იმან, თუ რას მოითხოვს ოფიციალური ბოლშევიკური კრიტიკა პოეტებისა და მწერლებისაგან და როგორ ასრულ-

ბენ ისინი ამ მოთხოვნას. ნსკლკში ვნელოვანი პოეტები და მწერლები, რომლებიც მხოლოდ წერის ტექნიკას ფლობენ, მაგრამ თხზვის და პოეტური ხედვის ნიჭი არა აქვთ და, რა თქმა უნდა, ყველაფერს აკეთებენ, რასაც მათგან მოითხოვენ, მე დიდად არ მაინტერესებს. მე პირველ რიგში მაინტერესებდა ის პოეტები და მწერლები, რომლებიც, ჩემის აზრით, მართლაც ნიჭიერები არიან და რომლებსაც თავიანთი ბეჯითი შემოქმედებითი საქმიანობით და შრომით ქართული კულტურის სფეროში რაიმეხთვის მიუღწევიათ.

კრიტიკაში ზემოხსენებული წლებიდან (1924-1931) ძირითადად ორი ავტორი გამოირჩევა: მიხეილ კახიანი და ბენიტო ბუაჩიძე².

ისინი პოეტებისაგან მოითხოვენ, რომ ჩაღვნი მსოფლიო რევოლუციის სამსახურში და შრომასა და შემოქმედებაში მიჰყვანონ კომუნისტური პარტიის მითითებებს. მათ უნდა ასახონ ქვეყნის ინდუსტრიალიზაცია, მექანიზაცია და ელექტრიფიკაცია და უმღერონ ამას. მათ უნდა მოუწოდონ „ყველა პროლეტარს“ „მსოფლიო კაპიტალიზმის“ წინააღმდეგ ბრძოლისკენ და დაგვიხატონ კომუნისტური რევოლუციის გმირები — რომლებიც „თავისუფლებისათვის“ ბრძოლაში დაიღუპნენ. პოეტები იყოფიან ორ ჯგუფად: 1. მგზავრები, რომლებიც ამაყად და თავდაჯერებით მიაბიჯებენ ბოლშევიკური რევოლუციის გზაზე და 2. თანამგზავრები, რომლებიც, მართალია საბჭოთა ხელისუფლების მტრები არ არიან, მაგრამ ვერ ვერ განთავისუფლებულან „ბურჟუაზიული შეხედულებებისაგან“... არის პოეტების მესამე ჯგუფიც, როგორცაა კ. გამსახურდია, ვალერიან გაფრინდაშვილი, იოსებ ვრიშაშვილი და კოტე მავაშვილი, რომლებიც უკვე დაიღალნენ და დროს ვეღარ ესადაგებიან. რომანტიკოს გროშაშვილის ლექსები მიჩნე-

ულია „ეროტიკულ-პორნოგრაფიულად“ მავაშვილის — ერთ-ერთი საუკეთესო ქართველი ლირიკოსისა და მართლაც კულტურული პიროვნების ლექსები — „მსუბუქი ჟანრის პოეზიად“.

ფები უნდა აუწყო ბოლშევიკურ დროს! დროსთან ერთად უნდა იარო! — ისეთია მთავარი მოწოდება.

პოეტი ალ. აბაშელი თავისი გარდაცვლილი მეგობრისადმი მიმართულ ლექსში „წერილი ნოე ჩხიკვაძეს“ ვითარებას ასე გვიხასიათებს:

მაგრამ დღეს სხვაა ჩვენი პაერი —
დაეცა ლოცვა და პოეზია,
შოკვდა ბრწყინვალე ძველი შაირი
და ახალს ჩრდილი შემოსია.
გაგვიკვირდება: ლექსს რად არ
შველის,

რომ კვლავ ამაღლდეს რჩეულ
ხარისხად,—
ციდან ქუხილი ბარათაშვილის,
შთიდან ვვირილი ვაჟას ხარისა?³

ახლა ქუხილი არ ისტამბუბა,
ხარი არ ჰვეირის მაღალ შთებიდან,
ლექსი დაადრნო წვრილმა ამბებმა,
ამონაწერმა გაზეთებიდან.

(ქურნალი „მნათობი“ 1927, №2)

ამაზე ბ. ტონი მ. კახიანი წერს: „როგორც ჩანს, ავტორი უკმაყოფილოა, რომ ჩვენ ამჟამად არ ვებუქვით ვოველგვარ ანტიისაბჭოთა აბლაუბდას და აბაშელის ლექსების ნაცვლად ვაფასებთ სხვა მასალას, რომელიც ვაცილებით უკეთ ასახავს საბჭოთა ვოფაცხოვრებას. უნდა ითქვას, რომ ეს აბაშელი უკანასკნელ დრომდე მუშაობდა სახელგამში, (იმყოფებოდა საბჭოთა ჯამაგირზე“.

პოეტები რომ დაიმორჩილონ, ცილისწამებასაც კი მიმართავენ. მეორე პოეტზე — რადენ კლამბეზე ნათქვამია, რომ ის ტროცკისტია; ამავე დროს კარგად ცნობილია, რომ ეს იარლიყი

მას შეიძლება სიცოცხლის ფასად დაუჯდეს!

ეროტიკული
ასეთი ბატონების წინაშე უკმაყოფილო
საც, რაც მთავარია, წარმოდგენაც არა
აქვთ ჰემმარიტ პოეზიაზე. ქართველი
პოეტები ქედს არ იხრიან და მათ მწვავე
ბრძოლას უმართავენ. ამავე დროს
ისინი გარკვევით აღნიშნავენ თავიანთ
სამართლეს ძალაუფლებით მოსილითა
წინაშე. ქართველი პოეტები მტკად
თავმოყვარენი არიან და ძალიან ძველი
კულტურის მემკვიდრენი, რომ მხოლოდ
„ავიტკალიტერატურამდე“ არ
დაეშვან და დემიან ბედნისთან ან შიი-
კოვსკისთან ერთ საფეხურზე არ დად-
გნენ. ქართველ პოეტებს მუდამ თავის
ხალხთან უნდათ ყოფნა და არავითარ
შემთხვევაში არ სურთ ისეთი ლიტე-
რატურის შექმნა, რომელსაც მხოლოდ
მცირე ხნით არსებობა უწერია. ძალა-
უფლების მქონეთ ისინი პირში მიხ-
ლიან, მაგალითად, შემდეგ სიტყვებს:

„მუშა მძლავრია, მაგრამ მერწმუნეთ,
ისიც გრძნობს მგონის სიტყვის
სიმძიმეს!

ბატონი მიხეილ ჯავახიშვილი თავის
რომანში „შავი კლდე“ სხვათა შორის
ამბობს: „დეე მათ (მუშებმა) ჩუსტები
დააკერონ, ქუხები მოკირწყლონ, ან
მოუდანზე გავიდნენ და ჩექმები წმინ-
დონ, — პოეტი მათ საქმეში არ ერევა.
მამ ნურც ისინი შემოიჭრებიან ჩვენ
სამფლობელოში თავიანთი ცოცხებით
და თავიანთი საღვისებით და ბირდა-
ბირებით“

„(მნათობი“, 1929, №7).

სხვა მხრივ ძალიან კომუნისტურად
განწყობილი პოეტი კონსტანტინე ლო-
რთქიფანიძე წინააღმდეგია იმისა,
რომ „როგორც სხვებმა ბიბლიის ენით
გალექსოს ცაკის დაღვნილება, ან
კომპარტიის დირექტივებით დაიწვოს
უშნოდ ვადამღერება“, როგორც ამას
მიხვან მოითხოვენ (იხ. „მნათობი“
1929, №7).

დიდი და თვითმყოფადი იდეა — სემუზაროდ, ეს იდეა რელიგიიდან არ იღებს სათავეს — აძლევს ამ ადამიანებს გამძლეობის ძალას იქ, სადაც ისინი ბედმა დააყენა, ან სადაც თვითონ ისურვეს დგომა:

დავდგეთ იქ, სადაც ქარიშხალია და სისხლიანი დგას ანგელოსი, ახალ გრივალებს ვწირავთ სიცოცხლეს ჩვენ, პოეტები საქართველოსი!
(გალ. ტაბიძე, „მნათობი“ 1927, №10)

მათ ასეთი იდეა და ძალა უნდა მოძებნონ, თორემ როგორ შეიძლება იარსებონ ასეთ დროსა და გარემოში, სადაც ლოცვა და პოეზია დაეცა და სადაც „კულტურული“ დაკმაყოფილება ბოლშევიკური საგაზეთო ცნობების პოეტური შეფასებით ხდება!

ერთ მათგანზე ეს დამანგრეველი დრო — ტექნიკის შეჭრა და სულის განადგურება — უდიდეს შთაბეჭდილებას ახდენს: (

მოვარდა ქარი ცეცხლის ფაფარით, დასწყვიტა ცაში ყველა სიმები, გარდაიცვალა ძველი ზღაპარი და გადაფრინდნენ სერაფიმები. სივრცე დაეთმო შაფერთიან გველებს, ცაში ავარდა რკინის აფრები, და პროპელერმა მწუხრის ანგელოზს მოულოდნელად მოსწყვიტა ფრთები

(ა. აბაშელი, „მნათობი“, 1931, №1-2).

აბაშელი მძიმე და უძილო ღამეებში ამოწმებს თავის თავს:

ციცხლში უეცრად გადასხვაფერდა ძველი ფიქრები და იმედები, და იღუნება ბორკილთან ერთად წარსულ დიდების თეთრი სვეტები...

ეს არის აღსარება ადამიანისა, რომლის ბედიც მჭიდროდაა დაკავშირებული ხალხის ბედთან. ის ხსნას ლოცვასა და პოეზიაში პოეებს. მან შეთხზა

შესანიშნავი, გულის სიღრმეიდან ამომაველი ჰიმნი ყოვლადწმინდესს, რომლის მშობლისადმი, რომლის გულშიც მშობნოდ შეიძლება ვამისწიროვებ. ვალაქტიონ ტაბიძისა და კ. ლორთქიფანიძისათვის პოეზიაა, რაც მათ სიზარულს ანიჭებს და რაც გაზეთებს გადაჰპარებს:

წარმავალია ქვეყნად ვოველი, წარუვალაი ლექსის დიდება!
(გ. ტაბიძე)

პოეზიას დიდი მისია აკისრია იმ დროს, როცა ტექნიკა ისეა განვითარებული, რომ „ადამიანს გულის ნაცვლად რკინა აქვს შეკრდში და ცაში ვარსკვლავების ნაცვლად შავი მფრინავი მანქანებია“:

მაშინ ლექსს მიაშურებენ და ლექსი გადაარჩენს მსოფლიოს!
(კ. ლორთქიფანიძე)

გრიშაშვილი, რომელსაც თანამედროვენი სდვენიან და უკიჟინებენ, ამბობს: (

მე შეიძლება ვერ ვწერდე ისე, როგორც შეპფერის ახალ დროებას, — ამიტომ უნდა მწხველტღეთ სადგისებს და თანამგზავრებს კულში მოვება?!
(„მნათობი“, 1930, №1)

იგი ნუგეშსა და სიმშვიდეს საქართველოს დედაქალაქის, მსოფლიოს ერთ-ერთი უძველესი ქალაქის, თბილისის ისტორიის კვლევაში პოეებს:

ვმუშაობ ჩემთვის ნუშად და ყუნად, ვუძებ არხივში ყვითელ ციტატებს, ო, ნუ აივდებთ ჩემს ნიჭს აბუნად, რომ დღეს ლექსები აღარ მიტაცებს
(„მნათობი“, 1930, №1).

მ. ჯავახიშვილი სასიამოვნო და კეთილშობილ მოვალეობად მიიჩნევს ენის მოვლას: „ყოველი შეგნებული მოქალაქე მოვალეა თავის ენა კულტად გაიხადოს“ („მნათობი“, 1929, №1).

პოეტი კარლო კალაძე, პოეტ რაფაელ კალაძის შვილი, მიუხედავად კომუნისტებისა და ინტერნაციონალიზმისა შინაგან კავშირს გრძნობს თავის დედაენასთან, რომელიც ასობით ათასი მისი წინაპრის სისხლით და ზორციით არის ნაკვები და ნასაზრდოები:

უნდა მოებრუნდე სიმძაფრით ისევ,
დედის კალთაში ვინ დაბერდება?! —
დედაო მიწავ, ფეხს რომ გაბიჯებ,
ვეგრძნობ მაშა-პაპის ძელები იმტერევა!
(„მნათობი“ 1926, №2)

გაფრინდაშვილს ამ ტრაგიზმის მიზეზად დიდი ქალაქი მიაჩნია მისი მისწრაფებით სიამოვნებისა და ცივილიზაციისაკენ, — და სიმშვიდეს ბუნების წიაღში ეძებს:

წყველი ივოს დიდი ქალაქი,
ჩემგან ვით ციხე უარყოფილი.
მე მირჩევნია ქუჩას ჭალაქი —
ჩემი სამშობლო არის სოფელი.
და ციხარტყელს სჯობია კინოს,
წრდილს სახლებსას — ჭადარის
წრდილი,
აეტომობილის მჭკვავ სირინოსს
სჯობს უსათუოდ ურმული ტკბილი.

(„მნათობი“ 1927, №2)

ცოცხალ ქართველ პოეტთა შორის უდიდესმა, დიდი კულტურის ადამიანმა წინასწარმეტყველმა, კოტე მყაშვილმა თავისი ხალხის ტრაგიზმი გულის სიღრმემდე იგრძნო და განიცადა:

ცრემლი... არა, სისხლი მდის!...
ტვინი კვნესის, გული ჰკოდებს,
ხედა აყრის მათ რუხ ლოდებს,
ცივად მოსთქვამს სიო შთის...
ცაზე მხოლოდ დამე კრთის,
ვეძებ ხასვენს მიწის მკერდზედ!
ვეძიებო მძიმედ ერთადერთზე:
მოკვდა მთვარე, მოკვდა მზე!
გვირგვინს ამკობს ძვალთა ბზე...⁵

(„მნათობი“ 1921, №1-2)

მან წაიხედა თავისი ხალხისა და მისი ისტორიის ყველაზე დიდ სიღრმე-

ებში და ირწმუნა, რომ ამ რეკონსტრუირი აღზნების შემდეგ აღდგომის ტურული მოღვაწეობის პერიოდი, როცა ხალხის გონების ყველაზე ღირებული ნიმუშები, მისი ტრადიციები ისევ ძლიერად იმოქმედებს. ის მიმართავს ერთ ახალგაზრდას, რომელიც ახლა თუმცა უარყოფით იციანის პოეტის მელოდიებზე, ავტორი ამ სიცოცხლს მას ცუდად არ ჩამოართმევს, რადგან „მოვა დრო, როცა ეს ყმაწვილი მომწიფდება და მასაც იგივე მელოდია შეუყვარდება“.

ამაში ჰპოვებდა ეს დიდი ადამიანი მშვიდობას და მან დაუნანებლად დატოვა ჩვენი სამყარო.

ეს მავალითები საკმარისია! — ხალხის ტანჯვამ და ტრაგიზმმა პოეტები უფრო მგრძნობიარე და დრმა გახადა. ისინი ახლა ბევრად უფრო დასერილ-ზულდნენ, ვიდრე თმის წინა პერიოდში, როცა კაცი ავიღლად ცხოვრობდა დღევანდელი დღით და უდარდელად ხედებოდა დილას.

გალაკტიონ ტაბიძემ, ყველაზე მგრძნობიარე და ნაზი განცდის ქართველმა პოეტმა, რომელიც ადრე სათუთად უმღეროდა მშვენიერ ატმის რტოს, ახლა სხვა სფერო მოძებნა, სადაც მისი ნაზი ხმა და გრძნობით სავსე გული განსაკუთრებით ძლიერ შთაბეჭდილებას ტოვებს. ესაა ბოლშევიკური ზანის მიტოვებული ბავშვები, რომლებიც ქურდ-ბაცაცათა ბანდებად შეკრულნი დაეხეტებიან ქალაქის ქუჩებში; საწყალი, მიტოვებული ბავშვი, რომელიც ყაბაზანების წინ მოწყალეობას თხოულობს; მეორე (ბავშვი, რომელსაც დიდი ქალაქის ქუჩაში მანქანა გაიტანს. ამ ბავშვების ცრემლები პოეტმა სამარადისოდ აღბეჭდა თავის პოეზიაში და ამით მხოლოდ მოგებასა და სიამოვნებაზე მზრუნველ თანამედროვეებს სილა გააწინა.

აბაშელი, რომელიც ომამდე თავის თავს უღმერთოს უწოდებდა და მაინც ნოემბრის ერთ დღეს ღმერთი იხილა თავის ტახარში, ახლა პირისპირ შე-

ზედა მას და ამ შეხვედრისა და ვან-ცლისაგან შთაგონებული შესანიშნავი სახოტბო ლექსი ვკაჩუკა.

და ბოლოს, მივაღქვი ალბათ უდიდეს ქართველ ბელეტრისტს მიხ. ჯავახიშვილს, რომელსაც პირადადაც შევხვედრეივარ 1920 წელს. მაშინ მე დამრჩა შთაბეჭდილება, რომ ის ძალიან მატერიალისტურად იყო განწყობილი. ახლა ის თავის რომანში „წითელი დიდი“ გვეუბნება: „ყველაზე დიდი გმირობანი ისტორიაში „დეკემბა“, პოეტებმა და ახალგაზრდებმა ჩაიდინეს“. მე სულაც არ ვთვლი გმირებად ქართულ მითიურ სახეებს — დეკებს, რომლებსაც ძალიან დიდი ფიზიკური ძალა აქვთ, მაგრამ ამასთანავე ძალიან გონებასუსტნი არიან. დაუფიქრებლად შევცვლიდი დეკს მღვდლით, რომელიც მოწოდებულია თავისთვის და საზოგადოებისთვის რაღაც ზეადამიანური მოიშოქმედოს. მაგრამ ბატონი ჯავახიშვილი ჭეშმარიტი პოეზიის სამყაროს დიდად დაშორებული არ არის.

უსამართლობა იქნებოდა რომ არ შეხსენებინა ყველაზე ნიჭიერი იმ პოეტთა შორის, რომლებიც კომკავშირის კალთიდან გამოვიდნენ, — ბატონი კონსტანტინე ლორთქიფანიძე. ის თავის პოეზიაში მთლიანად — ხან შეგნებულად, ხანაც შეუგნებლად — ვანიცდის რუსი რევოლუციონერი პოეტის სერგეი ესენინის გავლენას. მან დღემდე ვერ გადალახა ეს გავლენა. მაგრამ მაინც არ შეიძლება ის ესენინთან ერთ საფეხურზე დავაყენოთ, და სახელდობრ ერთი სრულიად მარტივი მიზეზის გამო: ესენინი ძირფესვიანად იყო დაკავშირებული თავისი ხალხის რელიგიურ და ლიტურგიკულ ცხოვრებასთან და ვანცდებთან, ის მთლიანად იქიდან ამოდიოდა. ესენინი რევოლუციას უყურებს ბედისწერის პოზიციიდან. ქრისტე, ყრმა იესო, ხატიდან, ღვთისმშობლის ხელიდან, ჩამოეშვა, რათა დაეხმაროს ღარიბ ბიჭს მარტინს, რომლის მამაც თავისუფლებისათვის ბრძოლაში დაეცა. და დიდი ტრა-

გიზში: იესო ეცემა, მაგრამ მესამე დღეს აღდგომა აღარ არსებობს!

ასეთი საფხებით რექტორები სიხშირე კომა და რელიგიური გაშუქება რევოლუციისა, დაყრდნობილი რუსი გლეხის ღვთისმოსაობისა და რელიგიურობაზე, აძლევდა ესენინს დიდ ძალას და აღმაფრენას.

საიდან უნდა ქონოდა ეს ძალა ბოლშევიკური კომკავშირიდან მოსულ პოეტს, პირმშოს ათეისტი ქართველი ინტელიგენციისა, რომელიც უკვე მე-19 საუკუნიდან მოყოლებული, ღვთის რწმენის უქონლობასა და რელიგიურ გულგრილობაში ხედავდა თავის კულტურულ სიმწიფეს!

კ. ლორთქიფანიძე ძალიან კარგად სწვდება ესენინის ზოგად ლირიკულ-რომანტიკულ და ბუნების აღწერის მხარეებს, მაგრამ მისი არსის სიღრმე-მდე ვერ აღწევს. ის რომ ჩასწვდომოდა ესენინის სრულ სიღრმეებს და მისი ძალის წყაროს, მისთვის თავისი ხალხის (ქართველების) თავისებურებანი უნდა დაეპირისპირებინა და მაშინ არა მარტო დაძლევდა ესენინს, არამედ თავისი ხალხის კულტურის ისტორიაშიც სამარადისო ადვილს მოიპოვებდა. ამჟამად კი ლორთქიფანიძის ნაწერები — თუმცა უფრო ლამაზი და ფაქიზია, ვიდრე ქუჩიშვილისა — მაინც ერთგვარი „პლაკატური ლიტერატურაა“, რაც დისანანია, რადგან ის, ჩემის აზრით, უაღრესად ნიჭიერია.

კომუნისტური მთავრობა დიდ ფურადლებასა და მზრუნველობას იჩენს მხატვრული ლიტერატურის მეორე დარგის — პროზის მიმართ. ქვეყნდება მრავალი რომანი, რომლებიც აღწერენ თანამედროვე ცხოვრებას ან წარსულს. ზოგიერთის გადაკითხვისას მე მრჩება შთაბეჭდილება, რომ ცენზურა 1932 წლამდე არც ისე მკაცრი იყო. ნებას რთავდნენ, ბევრი რამ დაეწერათ და

ბევრსაც ბეჭდავენ. ეს ფაქტი უკვე საკმარისად მეტყველებს იმის სახარვეზოდ, რომ ცდილობდნენ პროზის დონის ამაღლებას. მწერლები გასამრჯელოს იღებდნენ და ყველაფერი სახელმწიფო ხარჯით იბეჭდებოდა¹. ეს დიდ ხელმეწიფობას ნიშნავდა ქართული მწერლობისათვის, რადგან ქართველს საზოგადოდ არ უყვარს წიგნის ყიდვა, თუმცა უყვარს კითხვა².

ქართველ ცოცხალ რომანისტს მწერლებს შორის უდიდესი ალბათ მიხეილ ჯავახიშვილია, რომელიც მეტწილად ქართველ მთიელთა ცხოვრებას აღწერს.

კომუნისტი ამ მწერალთა ნოველებში, რასაკვირველია, ყოველთვის ჭკვიანია, ბრძენი და სერიოზული! ის არ ფიქრობს საკუთარ თავზე. ამ დროს კი ეს ის ხალხია, რომლებიც ცდილობდნენ შეეწყვიტათ ოჯახური ცხოვრება, ცოლისგან შეექმნათ პლატონური რესპუბლიკის ქალი, შვილებისაგან კი — უპატრონო ქუჩის ბავშვები. დემა შენგელაია ასე აღწერს ამ პოეტებს: „ხალგაამთან ხეების ძირას დგანან პოეტები და ჰედაგოვები, პონორარის მოლოდინში (ეჯიბრებიან ერთიმეორეს ცინიზმში და ამბობენ ძველ ანეგდოტებს“ („მნათობი“ 1927, №1). მაგრამ ამ პოეტთა სახეები ნაზი და სათუთია და სქესობრივად სუფთა და უმანკოა. მაგალითად, მწერალ სულიაშვილის¹⁰ ერთ-ერთ ნოველში ვინმე გვრიტიშვილი, რომელიც ალბათ დაუფიქრებლად მოკლავდა ადამიანს, დახატულია სხვა მხრივ ქალწულებით უმანკოდ! მე არ მესმის, კომუნისტები, რომლებსაც სურთ მათი გმირები სინამდვილეს შეესაბამებოდნენ, როგორ იტანენ სრულიად ჩვეულებრივი, ზემარნობიარე რომანტიკოსისათვის დამახასიათებელ ასეთ შეღამაზებას. ამ ბოლშევიკებს უკეთესი გემოვნება აქვთ? სინამდვილეში მათმა პარტიამ ვერავითარი ჭეშმარიტი გმირები ვერ შექმნა, რომლებიც თავიანთ არსებობას მიუძღვნდნენ იდეას, რომ კარგები ყოფილიყვნენ

და კარგებად დარჩენილიყვნენ დამამარცხებელი კეთისათვის ეცხოვრათ დამამარცხებლებს. მაგრამ აქვე არიან სხვა ადამიანებიც, რომლებიც დგანან ამ ბოლშევიკური მკვლელების, დამნაშავეებისა და ყაჩაღების, „კარიერისტებისა“ და თავზე ხელაღებულების უკან. საბჭოთა პოეტებსა და მწერლებს საერთოდ აკლიათ დიდი და ძლიერი წარმოსახვითი სამყარო. მათთან არ ჩანს არავითარი ცდა, დუმილით, დაფიქრებით და დინჯი თვითშემოწმებით, ასევე ბეჯითი და სერიოზული სწავლით მიადწიონ რაიმე დიდს. მათ წარმოადგენს არა აქვთ. ჭეშმარიტი კულტურისა და პოეზიის ნამდვილ წყაროებზე, რომლებიც აღაფრთოვანებდნენ დანტეს, გოეთეს და შექსპირს. ისინი ვველანი დღევანდელი დღით ცხოვრობენ, ძალიან ბევრს წერენ და პატივმოყვარულად ისწრაფვიან სახელისაკენ!

მაგრამ რაშია კომუნისტები სიხარულს პოულობენ და თავიანთი არსებობის მიზანს ხედავენ, ესაა ტექნიკა-ბოლშევიკური მეცნიერება და ტექნიკა! მეცნიერების ქვეშ მათ ესმით ტექნიკის თეორიები, და ტექნიკა თვითონ არის პრაქტიკული ხორცმცხხმა ამ თეორიებისა. ტექნიკამ, კომუნისტების გაგებით და მისწრაფებით, უნდა დაიკაოს რელიგიის ადგილი. აქედან უკვე ჩანს, რომ ამ ადამიანებს რელიგია სჭირდებათ! პირდაპირ (მსხვერპლშეწირვა სრულდება ამ ტექნიკის საკურთხევლების წინ, გამოუცდელ ახალგაზრდას უეცრად ვლევენ, მაგალითად, თავისი მთის სამყაროდან, რათა ქალაქში „კულტურას“ აზიარონ! ის ტაქსის მძღოლი უნდა გახდეს¹¹. ეს ფაქტი ნათლად გვიჩვენებს, რომ არ ერიდებიან გამოუცდელი ადამიანები ტექნიკის შესწირონ. ეს დამახასიათებელია კომუნისტებისათვის და ძალიან ეწინააღმდეგება ქართველის ნაღდ ბუნებას,

რაც სინამდვილეშია და უცხოელებსაც შენიშნული აქვთ. ქართველს არაფერი უცხო არ უკვირს, ის ამაყია და ყოველთვის თავის თავში დაჯერებული¹². საბჭოთა საქართველოს პოეტების შემოქმედებაში კი, როგორც რილკესთან და პოფმანსტალთან, ვხედავთ დიდი ქალაქის უკანა ეზოების ჭლექიან ბავშვებს, რომლებიც გაფართოებული თვალებით შეჰყურებენ ხის ყვავილს და ქალებს, როგორც პარიზელ Mistinguetten ვერლენთან „de tout étonnées“ — ასე გამოდიან ეს გამოუცდელი ადამიანებიც — ალტაცებით, მოწიწებით, წმინდა მოკრძალებითა და შიშით — ტრაქტორების, ავტომობილების, ელნათურების, რადიოგადაცემების, ტელეფონის და სხვა ამგვარების მიმართ. ჩანს, რომ ისინი შინაგანად არ არიან ამ საგნებს შეჩვეული და ჯერ ვერ „მოუნელებიათ“ ისინი. ეს აღმომჩინები ჰგვანან ცხოველს, რომელსაც ზამთრის ძილით ეძინა, უცებ გველეშა და მზის შუქმა დააბრმავა. მათ მანქანების და სხვადასხვა ხელსაწყოების აღმოჩენაში, შექმნასა და განვითარებაში არავითარი წვლილი არ შეუტანიათ. ამიტომ ვერ გაუგიათ ტექნიკის არსი და მისი მონები ხდებიან. ტექნიკა მათ რელიგიად იქცევა: ისინი ვერაფერს ხედავენ და ვერაფერს ხედებიან! ღმერთსაც ვერ ხედავდნენ და არ ესმოდათ! ყოველთვის რაიმეს გონებით მიუწვდომელს ეთაყვანებოდნენ და განადიდებენ. (ამაზე მაღალ საფეხურს ისინი, სამწუხაროდ, ჯერ არ იცნობენ.

თბილისის მახლობლად დიდი ელექტროსადგური ააგეს. ცარიზტული რეჟიმის დროს ამას, რა თქმა უნდა, არ გააკეთებდნენ. ეს ტექნიკის მიღწევაა და მეტი არაფერი. დიდ ქალაქს, როგორც თბილისია 300.000 მცხოვრებით, სჭირდება დიდი ელსადგური. ბოლოს და ბოლოს ვეროპაში ასეთი ელსადგურები ასობით და ათასობით შენდება, მაგრამ არავის არ მოსდის თავ-

ში ამასთან დაკავშირებით პილიგრამთა მხვლელობა მოაწყობს საქართველოში კი დღეს ეს სულ სხვაგვარად!

ერთი კრიტიკოსი, პლატონ ქიქოძე ერთ ავტორს, გერონტი ქიქოძეს, დანაშაულად უთვლის, რომ ის მე-9 საუკუნეში აშენებულ (ჯვრის მონასტერს თავის მონუმენტალობით და კულტურით უფრო მაღლა აყენებს, ვიდრე იქვე გვერდით ახლად აგებულ ელექტროსადგურს („მნათობი“ 1929, №1, გვ. 132). მეორე პოეტი ამ ელექტროსადგურს სვეტიცხოვლის საპატრიარქო ტაძარს ადარებს (ი. მოსაშვილი, „მნათობი“ 1927, №7), ე.ი. ტაძარს, სადაც ქართული კულტურის აკვანი იდგა, სადაც ქრისტეს წმინდა კვართია დაკრძალული და სადაც ანგელოზები საქართველოს მოქცევის დამეს დედამიწაზე დაეშვნენ. არ არის საჭირო ისტორიის ცოდნა და ამ ამბების დაჯერება; მაგრამ პოეტს ხომ უნდა ჰქონდეს რაღაცის წვდომის უნარი და რაიმე კავშირი ზენა სამყაროსთან. როგორც ოდესღაც ფსალმუნთა დიდი ავტორი მე-8 ფსალმუნში უმღეროდა სამყაროს, ასე უნდა უმღეროს, ბოლშევიზმის მოთხოვნით, ყველა პოეტმა ტექნიკას და იმ ხალხს, ვინც ბოლშევიკური ტექნიკისათვის იღვწის. „დროს უნდა მიჰყვი!“ — და პოეტებიც ასე იქცევიან. მათ სურთ მისდიონ დროს იმის მაგივრად, რომ უფრო ღრმად ჩაიხედონ დროში და მისი სიღრმიდან ყველაზე ღირებული და ყველაზე სულიერი წარმოაჩინონ. დროს მიჰყვებიან, მაგრამ უფრო ნატიფი და უკეთესი პოეტები დიდ საგონებელში არიან, გამოადგება თუ არა ეს ხალხს და კურთხეული იქნება თუ არა.

რამდენი ირონია გამოსჭვივის ერთ-ერთი უკეთესობილესი პოეტის პაოლო იაშვილის შემდეგი სტრიქონებიდან:

მივმართავ იმათ, ვინც ახლა მძმობენ და სამუდამოდ არიან დროსთან,

შემოუწერით თამაშად ღობე
შემოქმედების პატარა ბოსტანს.

(„მნათობი“ 1981, № 4)

ვევლაფერი ჩქარა ხდება! ძალიან
ბევრის მიღწევა უნდათ მოკლე დროში,
მაგრამ ამ შეჯიბრის იქით უშინაარსო
და უსულო ცხოვრება დგას. ადამიანს
სასოწარკვეთილება იპყრობს და ბო-
ლოს გრძნობები ისე უუხემდება, რომ
მისთვის დღე და ღამე სულ ერთია! (

აქ დიდი ხანი არვის პქონია, —
უჩქაროთ, თუ ცოტა შემოგვეხანა,
და არის წამი, როცა გვეგონია,
რომ სასაფლაოს ჰგავს ეს ქვეყანა.

ვაშობ: იჭვებმა თუ არ მომშხამეს —
კარგია ქვეყნად დღეცა და ღამეც!

(ხ. აბაშელი, „მნათობი“ 1927, №8)

მეორე პოეტი, ტ. ტაბიძე, ხედავს,
რარივ სუსტი არიან ადამიანები იმი-
სათვის, რომ განახორციელონ დიდი
მიზანი, რაც კომუნისტებმა დაისახეს,
სახელდობრ — მთელი ძველი სამყა-
როს განადგურება! ისინი ხომ იკარუსს
ჰგვანან, რომელიც საფრენად ისწრაფ-
ვოდა, მაგრამ საამისოდ კი მხოლოდ
ცვილის ფრთები პქონდა. ტაბიძეს სხვა
არა უნდა რა, გარდა იმისა, რომ თა-
ვისუფლად და უზრუნველად იაროს
როგორც მოხეტიალე მომღერალმა
სახლიდან სახლში და იმღეროს:

დღეს მეც ხომ ვაქვბ ინდუსტრიის
ქარს,

მეც მინდა ძველი ქვეყნის დაღეწვა.
ხანთლის ფრთა პქონდა მაშინაც იკარს

და გული ფრთაზე მალე დაეწვა.

...

მე შეხარბება მართლა მესტვირე,
არხენას ლექსით რომ გამოზრდილა.

(„მნათობი“ 1927, №8)

და ბოლოს, რელიგიის საკითხებთან
ზრმად დაკავშირებული პოეტი კ. გა-

მსახურდია თავის ნოველში „მეც
იოსები“ ერთ მტვირთავ შემოქმედებ-
ბა: „ეს ქვეყანა, ჩემო იოსებ, სიზმარსა
და ოცნებას უყვრია და თუ ადამიანი
ოცნებისაგან გამოერკვა, მასაც ისეთივე
დაღუპვა მოეღის, (როგორც გამოფ-
ხიზლებულ მთვარეულს... შორს არაა
ის დრო, როცა მანქანა ლუკმა პურს
წაართმევს იმავე ადამიანს, როცა ვო-
ველ ჩვევანს შენი კურტანი მოენატ-
რება“ („მნათობი“ 1930, №1, გვ. 170).

ტქეციის რელიგიის დონემდე აყვა-
ნის და ყოველგვარ სულიერ ღირებუ-
ლებათა გაუფასურების გამო ხდება
დიდი დაპირისპირება ორ თაობას
შორის, მამებსა და შვილებს შორის.
მამა გლეხია, შვილი კი — უკვე დიდი
ქალაქის წარმომადგენელი. ქართველი
გლეხი ჯერ კიდევ გაუნათლებელია,
საბჭოთა საქართველოს დიდი ქალაქის
მკვიდრი კი ყოველი საშუალებით ის-
წრაფვის თანამედროვე კულტურისაკენ
დიდიქტიკური მატერიალიზმის გაგე-
ბით. ეს საშინელი და შეუბრალებელი
ბრძოლაა. ძველ თაობას არ სურს თა-
ვი დამარცხებულად ცნოს და წვევლის
და მემკვიდრეობას ართმევს ახალ თა-
ობას, და რადგან სუსტები არიან საამი-
სოდ, რომ ქრისტიანული ღირებულე-
ბები შეინარჩუნონ, წინაპართა წარმარ-
თობას უბრუნდებიან. მე ასეთი ორი
ლექსი ჩაეინიშნე. პირველი ეკუთვნის
პოეტ რაყელენ გვეტიძეს და ჰქვია „წვი-
მიან დღეს“. მამა სწერს წერილს თა-
ვის ვაჟს, რომელიც ქალაქში ცხოვ-
რობს და ვირს უმღერის. მამას, რო-
გორც ჩანს, სრულიად არ ესმის შვი-
ლის საქმიანობა და არც სურს გაიგოს.
ის თავს გრძნობს შვილისგან მიტოვე-
ბულად და დაუიწყებულად და პასუხს
ითხოვს მისგან. ის ისე გაბრაზებულია
თავის შვილზე, რომ სურს მემკვიდრე-
ობა ჩამოართვას. ეს გლეხი მკვიდრო-
დაა დაკავშირებული თავის კერძაბთან.

მას ვენახი ან ძროხა უფრო აწუხებს, ვიდრე ის, რომ გლეხებმა სოფლის მოთავედ ამოირჩიეს: (

ხალხმა მოთავეთ (ამომირჩია, მაგრამ შინ ვზივარ, ძროხა გვეყვს მაკეთ...

თუ დედაშენიც მალე მოშირნა, იქნება მაშინ გეწვიო მაქეთ. მაგრამ სანამღი ვნახავთ ხროთმანეთს, ნუ გეწვიინება, თუკი სწერ ვირზე, — ჩვენც გვიპასუხე, თორემ ღმერთმანი, სხვას მივეცემ მამულს, ან ავსჭრი ძირზე.

(„მნათობი“ 1926, №2)

ორ თაობათა შორის ეს ბრძოლა კლასიკურად აღწერა მეორე პოეტმა — ღრიდონ ნაროუშვილმა თავის ეთიკურ ლექსში „კორღანი“. მამა შვილის გავლენით ყველა წმინდანის ხატს ნაკელის გროვაზე ყრის, მაგრამ მაინც არ სურს ცხენის თავის ქალის ჩამოხსნა ჭიშკრიდან:

შინ მთელი დამე ედავებოდა
თავბრუდასხმული შვილი მამასა.
— მამა, მითხარი, როდის ჩამოხსნი
ჭიშკარზე ცხენის თავის ქალასა...
— სანამ ცოცხალვარ და თემშარაზე
უცხო გაივლის თუ მეზობელი...
თვალის ძალა მწამს, ის ანადგურებს
მტრულად ანთებულ თვალის ძალასა,
ბრძენმა დაკიდა, მე არ ჩამოვხსნი
ჭიშკარზე ცხენის თავის ქალასა.

(„მნათობი 1980, №4)

ამის მერე მამა აგდებს შვილს საბლიდან, თვითონ კი მიდის (ღუქანში, ხადაც თავის მეგობრების საზოგადოებაში ნაფარეულს (ღვინის სახეობა) სვამს და ამ ღვინის ჭიქით წყველის შვილს:

ღღეს ჩემს გულშია გაძეფებული
საკუთარ მიწის ხარწმუნობა.
მიწას საპურეს თუ სავენახოს
მენაც ვყოფი, შენ არ მჭიროდე,

კარგი იქნება არ დამენახო,
კარგი იქნება დამიტროღეს
მეგობრებმა
(„მნათობი“ 1980, №4)

ეს არის მშობლიური კერია და ტრადიცია, დაკავშირებული ამ კერისათან. ამ ოჯახურ ტრადიციებს პატივს სცემს ერთი ლექსის პერსონაჟი ძველი მუშაკი, რომელიც სხვა მხრივ მზადაა კარგი და სანიმუშო კომუნისტი იყოს. გულახდილი საუბრისას ის ეუბნება თავის შედარებით ახალგაზრდა „ამხანაგს“:

თუ დაივიწყე შენი ოჯახი,
შენი ბავშვობის სიხმარი მუქი,
წამოგეწევა ხადმე ქარბუქი —
გაგანადგურებს,
ღედ-მამის კერას
დაუბრუნდები
შუბლშერცხვენილი.

(ფ. ნაროუშვილი, „ორი მისამართი“, „მნათობი“ 1929, № 11-12)

ბოლოს ძალიან საგულისხმოა დავაკვირდეთ, როგორ ეკიდებიან ბოლშევიკურ საქართველოში ისეთ დიდ კულტურულ ორგანიზაციას, როგორცაა ეკლესია, ჩემი ინფორმაციის ამ მონაკვეთს წინ წაუშემდგარებ მოკლე ისტორიულ ექსკურსს. ქართული ეკლესია ბერძნულ-მართლმადიდებლურია. მისი მრევლი დაახლოებით 2 მილიონს ითვლის და მიეკუთვნება ე.წ. ისტორიულ ეკლესიებს, ე.ი. ისეთ ეკლესიებს, რომელთაც ქრისტიანული დოგმები და საეკლესიო წესები (წეს-წესობილება) დიდ ეკუმენისტურ კრებებზე შეიმუშავეს. მისი აყვავების ზანა დაახლოებით მე-8 საუკუნესა და მე-13 საუკუნის პირველ ნახევარს შორისაა მოქცეული. საქართველოს ეკლესია დამოუკიდებელი გახდა 693 წელს. ქვეყნის რუსეთთან ნებაყოფლობით შეერთების შემდეგ (მე-19 ს. დასაწყისში) საქართველოს ეკლესიის დამოუკიდებლობა რუსეთის მთავრობის მიერ გაუქმებულ იქნა და სანაცვლოდ შეიქმნა „რუსე-

თის ყოვლადწმინდა სინოდის“ პროვინცია. სინოდი ყოველგვარი საშუალებით ცდილობდა ქართული ეკლესიის რუსიფიკაციას. რუსული მმართველობის მთელ მანძილზე ქართულმა ეკლესიამ დაკარგა მჭიდრო კავშირი თავის ხალხთან და დაემცრო მისი წვლილი ფართო მასების რელიგიური აღზრდის საქმეში. რუსეთის რევოლუციის შედეგად ქართული ეკლესია კვლავ დამოუკიდებელი გახდა რუსეთის სინოდისაგან. ბოლშევიკების შემოჭრიდან (1921 წ. მარტი) მოვალებული ჩვენ უკვე მეოთხე პატრიარქი გეგავის¹³. შეიძლება ვთქვათ, რომ საქართველოს ეკლესიის მმართველობა ბოლშევიკური თავდასხმის დროს, თუკი მოქნილობას გამოიჩინდა და თავის სასარგებლოდ გამოიყენებდა საშინელ დევნას ძველი რუსული მთავრობის (მხრავ, შეძლებდა ასე თუ ისე თვითდამკვიდრებას. მაგრამ ეკლესია სრულიად მოუშზადებელი იყო კომუნისტურ სახელმწიფოში მუშაობისათვის. ამასთანავე, დამოუკიდებელი რო გახდა, ეკლესიამ ხელიდან გაუშვა შესაძლებლობა, ხალხის მასებში ეხროლა დიდი ღოზუნგი, აღეფრთოვანებინა ისინი და მოეწოდებინა თანამშრომლობისათვის. ჩემი აზრით, ეს დიდი ღოზუნგი უნდა ყოფილიყო: დაუბრუნდით ძველ ქართულ ეკლესიას! უნდა ვისწავლოთ, რომ აღვადგინოთ არსი და თავისებურება საქართველოს ძველი ეკლესიისა! ეს ხალხის მასებზე დიდ შთაბეჭდილებას მოახდენდა. სინამდვილეში კი ჩვენი პატრიარქები თავიანთ გამოსვლებში რუს ეგზარქოსებს ბამავდნენ, ნაცვლად იმისა, რომ მისაბადი ნიმუში ძველ ქართულ ეკლესიაში ეძებნათ. ამას დავამატა ისიც, რომ საქართველოს ეკლესიამ ემიგრანტებთან მოლაპარაკება გამართა და ნაციონალური და პოლიტიკური საკითხები დააყენა წინა რიგში, იმის მაგიერ, რომ თავის მუშაობაში (დიდი კრიზისის პერიოდში მაინც) მხოლოდ ეკლესიის და სახარების სფეროთი შემოფარგულულიყო. ბოლშევიკებმა ძალიან

ბევრი ქართველი მღვდელი დახვრიტეს, მათ შორის ერთი მსტოვანი მატროპოლიტი, ნაზარი, ჩემი ყოფილი მასწავლებელი სასულიერო სემინარიაში, აწამეს და დახვრიტეს, მაგრამ — რაგინდ მძიმეც იყოს ჩემთვის ამისი თქმა — მათი სისხლი ეკლესიისათვის ნაყოფიერი თესლი არ იქნება (მოხარული ვიქნები, თუ შე ვცდები და ვინმე საწინააღმდეგოს დამიმტკიცებს). რა თქმა უნდა, აღმოსავლეთში ეკლესია და ხალხი მჭიდროდაა ერთმანეთთან დაკავშირებული. ეს ერთობა დიდი ძალა და ხაყრდენია როგორც ეკლესიისათვის, ისე თვით ხალხისათვისაც. მაგრამ ისტორიაში არის (ხოლმე ძალიან მძიმე გამოცდის ეპოქა, როცა ეკლესია მხოლოდ საკუთარი რწმენის საკითხებით უნდა შემოიფარგლოს. ასეთ დროს ის უნდა იყოს მხოლოდ შიშმაჟალი თავის ხალხსა და ქრისტეს შორის, რომელიც ჯვარს აცვა, აღესრულა და მესამე დღეს აღდგა როგორც მხსნელი და მაცხოვარი მთელი კაცობრიობისა. პატრიოტებს კარგად უნდა ესმოდეთ ეს საკითხები და არ უნდა მოითხოვდნენ ეკლესიისაგან იმას, რამაც შესაძლოა ეკლესიის რღვევას შეუწყოს ხელი.

საქართველოს ეკლესიის სასახელოდ მინდა კიდევ აღვნიშნო, რომ ის დღემდე ერთიანი დარჩა და ერთგულია თავისი წინამძღვრისა. ამასობაში რუსეთში სხვადასხვა მართლმადიდებლური ეკლესია შეიქმნა. მეორეც, სტატისტიკის მიხედვით საქართველოში 1935 წელს ჯერ კიდევ იყო 391 მღვდელი (1921 წელს იყო 1531, იხ. შახმატოვი, ზაპისკი ბეზობონიკა: უღმერთოების გაზეთი, ლენინგრადი, 1932, გვ. 70). ამისგან განსხვავებით, რუსეთში 42000 მღვდელიდან 1936 წელს მრევლში მოქმედი იყო მხოლოდ 1200. საქართველოს ბევრად მაღალი პროცენტი აქვს. თუ ამასთანავე იმასაც გავითვალისწინებთ, რომ რუსეთში ახლა კომუნისტური იდეების ზოგი მთავარი წარმომადგენელი ქართველია, დავინა-

ხავთ, რომ ხალხი მაინც მჭიდროდ არის დაკავშირებული თავის ეკლესიასთან.

ბოლშევიკურ ლიტერატურაში რელიგია ოპიუმთანაა შედარებული („მნათობი“ 1930, №1, გვ. 160). რელიგიის განსაღვენად ორგანიზებას გაუკეთეს ხელოვნებს. უწინარეს ყოვლისა სჯერათ, რომ ამ მხრივ დიდ როლს შეასრულებს კინო („მნათობი“ 1926, №10-11, გვ. 237-240). მთავარ მიმართულებას ამ ბრძოლისას (ან დენისას, რადგან ეკლესიას თავდაცვა არ შეუძლია) განსაზღვრავს ბატონი მ. კახიანი: „ჩვენ რელიგიას მხოლოდ მაშინ გავანადგურებთ, თუ გვემართება მეცნიერულ განმანათლებლურ მუშაობას გავაჩაღებთ და ამისთვის დავერაზმავთ ქვეყნის საუკეთესო ძალებს... ყოველდღიური გამოცდილება გვიჩვენებს, რომ ეკლესიის დევნას მოხელეთა მხრივ მოსდევს ქალების და კაცების ორგანიზაციების შექმნა. ვალიბდება საეკლესიო გუნდებიც კი ქართულ ეკლესიებში“ („მნათობი“ 1930, №7, გვ. 125).

ბოლშევიკური მმართველობის დროს ქართულ ენაზე გამოქვეყნდა მეცნიერული ანტირელიგიური, ლიტერატურაც. ერთ ასეთ ბროშურას ამაყი სათაური აქვს: „მეცნიერება და რელიგია“.¹⁴ მისი ავტორია ვინმე ბატონი მ. გოგიბერიძე, რომელსაც, როგორც ჩანს, გერმანიაშიც კი უსწავლია. ეს ანტირელიგიური ლიტერატურის ქართულ ენაზე გამაერცელებელი მე მაინც პატიოსანი კაცი მგონია. თავის წერილში „ვალა ბახტაძის ხსოვნას“ („მნათობი“ 1930, №11-12, გვ. 5-12) ის წერს: „ერთი წლის წინათ ვალა სასტიკათ გამოხდა ცხოვრების უღმობელმა კანონებმა. მას ლოკინზე მიჯაჭვულს და საავადმყოფოს ოთხ კედელში დამწყვდეულს უეცრათ მისი ერთადერთი პატარა გოგონა მოუკვდა. საშინელი იყო მისი მდგომარეობა. მე ამაზე დიდი ტანჯვა შეიძლება არც შენახოს... და ამ შავი კოშმარების ერთ-

ერთ ღამეს ვალამ უეცრად უცნაური ხმით მომმართა: „ნამდვილად შენ ხარ? ნელის ტანჯვის შემსუბუქება შეუძლია რწმენას, რელიგიური ადამიანი შეიძლება უფრო ადვილად ურიგდება უბედურებას“. — გაჩუმდა და მთელი საათი უხმით, უაზრით იფურეზდა. სინემე მანვე დაარღვია: „უბედურება ისაა, რომ ვიცი ხარწმუნოების არარაობა, ყოველივე ნუგეში რომ სისულელეა. ყველაფერი რომ გათავებულია, რაღაც უფრო ძლიერად ვიტანჯები ამ ცოდნის გამო...“

როგორც ვხედავთ, ჩვენი ბატონი გოგიბერიძე პატიოსანი კაცი ჩანს და ღვთის განგება იხებებს, რომ მან თავის საუკეთესო და უახლოეს მეგობრებზე მეცნიერულ-საგანმანათლებლო მუშაობის შედეგები საკუთარი ხელით მოიმკოს. ვინ იცის, იქნებ ჩვენ იმახაც მოვესწროთ, რომ მან თვითონ გამოახწიროს თავისი ახალგაზრდობის დროინდელი შეცდომები მოწიფულობის ასაკში!

როცა პოეტი ვალაკტიონ ტაბიძე წერს:

**„ფური უღე, რას ამბობს მღვდელი,
ის ხომ უფლის ენით ლაპარაკობს“.**

ხოლო ვინმე მეწისქვილე, სახელად ბესარიონი, სახალხო კრებაზე ამბობს: „ღვდელი კიდო უმფრო ტყუილა მოღაზე. ბერი ფეხზე ეფიანს იბამდა, კიი კაცი გამოვიდო, სახში ღამე კი ბარიშა ყავდა და კატლეტებს ჭამდა“.¹⁵ — ეს ნიშნავს, რომ პოეტიც და ეს უბრალო მეწისქვილაც რელიგიაში შინაარსსა და ფორმას ძალიან ზუსტად განასხვავებენ ერთმანეთისაგან. შინაარსის საწინააღმდეგო მათ არაფერი აქვთ, ისინი ებრძვიან ფორმას, — ცხოვრებას, რომელიც სახარების წესებს და ეკლესიის ნორმებს არ შეესაბამება.

ახლა საქართველოში მტკიცე ტრადიციად იქცა, რომ ვისაც თავისი რევოლუციური აზროვნების დამტკიცება უნდა, რათა ამით კარიერა გაიკეთოს, თავისი სოფლის სამრევლო ეკლესიას

ანგრევს. ხელოვნებისა და ბუნების ძეგლთა დაცვის ჟურნალი (!), რომელსაც განათლების სახალხო კომისარიატი გამოსცემს, სავსეა ასეთი ბარბაროსული მოქმედების საბუთებით! მე რამდენიმე ნიმუშს ამოვკრებ იქიდან (ჟურნალი ტ. 2, თბილისი, 1925). ცნობა რაჭიდან: ა) ძველი შესანიშნავი ეკლესია ამბროლაურში, აშენებული ქართული მეფის ვიორგის მიერ მე-16 საუკუნეში, მთავარ ვალევანთან ერთად დანგრეული იქნა ადვილობრივი კომუნისტური კომიტეტის თავმჯდომარის — სერაპიონ ლანჯაიძის მიერ. ბ/ კომუნისტური პარტიის ყოფილი თავმჯდომარის არქიფო კაციტაძის მითითებით, სოფელ ხოტკეში ეკლესია სახურავი, შემდეგ ახალმა თავმჯდომარემ მთლად დაანგრია. ეს ეკლესია ცნობილი იყო თავისი ძველი ფრესკებით ვ) სორის ეკლესიიდან გაიტანეს ძველი ეტრატები და შესახვევ ქალაქად გამოიყენეს ისინი სოფლის „კოლპერატივში!“ თვითონ ეკლესია,

რომელიც მდიდარი იყო ფრესკებით ციხედ გადააკეთეს! და ამის გამოცხადებულ როგორც ვხედავთ, მხოლოდ ეკლესიები კი არ ინგრევა, ძველი ხელნაწერებიც ნადგურდება.



შექმებს თუ ვერა ეს სულიერად მდიდარი, მაგრამ მძიმედ ნატანჯი ქრისტიანული მრევლი საქართველოს რაიმე გამარჯვების მოპოვებას, ამას ახლო მომავალი დაგვანახვებს. ამჟამად ეკლესია თანამედროვეებს მაინც ძლიერ დანგრეული და დათრგუნული ეჩვენებათ. (

ერთ დროს შრიალებენ დიდი ჩინარები, თოვლიანი მთა შეფურად ბრწყინავდა!

მხოლოდ ეკლესია აღარ დგას
ძველებურად!
(გალ. ტაბიძე, „მნათობი“, 1926, № 10-11).

დაიწერა 1936 წელს.

თარგმნა თამარ ჭუმბურიძემ

შ ე ნ ი შ ე ნ ი შ ი:

1 ბონში 1922 წ. სექტემბერში მცირე ხნით ყოფინას დავამუშავე იქაურ აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტში დაცული ქართული ჟურნალი „მნათობი“ (1926-1931 წწ.). ეს ჟურნალი გამოდის თბილისში 1924 წლიდან დღემდე. იქიდან ზოგი რამ ჩავინიშნე ჩემთვის. რაკი მაშინ გამოქვეყნებაზე არ ვფიქრობდი, გვერდები არ ჩამინიშნავს და ზოგიერთი ლექსის ადგილი ახლა ზუსტად არ შემძლია მიუეთითო. ლექსები ამ ჟურნალიდან თარგმნილია ჩემ მიერ.

2. გათვალისწინებულია ორი წერილი: 1. შიხ. კახიანი, იდეოლოგიური ფრონტი: „მნათობი“, №7, 1929, გვ. 124-135; და 2. ბენიტო ბუაჩიძე, ქართული მხატვრული მწერლობა: „მნათობი“, №1, 1930, გვ. 143-173.

3. ბარათაშვილი და ვაჟა-ფშაველა მე-19ს. ყველაზე მნიშვნელოვანი ქართული პოეტები არიან.

4. კ. გამახურდია, ჩვენ ყველა ქართველ მთავრობას გვერდში დაუდგებით: „მნათობი“, №2, 1926.

*ამ ადვილს ახლავს გამოცემლის შემდეგი კომენტარი: ჩვენ რომ გერმანიამაც სრულიად კეთილად ვართ განწყობილი არამარქსისტული, კარგი მუშათა პოეზიისადმი, აქ ამის აღნიშვნა შედგებად მიგუანია“.

(მთარგმნელი).

5. პოეტი აქ გულისხმობს ბოლშევიკების მიერ ნაწამები ქართველების ძეგლებს.

6. 1920 წ. მე, ქართველი არმიის ჯარისკაცმა, ჩემი ერთი მეგობრის, ჯა-

ვახიშვილის ცოლისძმის, ხელით გა-
კუგზავენ მას გასაცნობად ჩემი ერთი
პატარა წერილი შთის ხალხის რელი-
გიურ წეს-ჩვეულებათა შესახებ. პასუ-
ხად მივიღე, რომ ახლა ადამიანს რე-
ლიგიური საკითხების ნაცვლად ეკო-
ნომიკა უნდა აინტერესებდეს.

7 ესე იგი 1931 წლის ბლომდე.

8. მე თვითონ ვთარგმნე ვერძანულად
ერთი პატარა, მაგრამ ძალზე დამახა-
სიათებელი ნოველა სხვა ქართული
რომანტიკოსისა, ვახილ ბარნოვისა —
„გველის ზეიმი“, რომელიც ჯერ არ
გამოქვეყნებული.

9. საინტერესოა მოვისმინეთ ამის
შესახებ თავის დროზე ერთადერთი ქა-
რთული გამოცემლის თომა ჩიქვანა-
იას მოხაზრება: „ქართული, როცა ის
ვისიშე თხოვნით იძულებული ხდება
წიგნი იყიდოს, ისეთ პოზას იღებს,
თითქოს დიდ ქველმოქმედებას მწეო-
დეს... ქართულს არ აქვს ინტელექტუ-
ალური და ესთეტიკური მოთხოვნილე-
ბები... ამიტომ ჩვენში წიგნის გამოცე-
მა — ეს ერთგვარი თავის განწირვაა,
ეს დიდი ვპირობაა. კაცი ან მთლად
ხულები უნდა იყო, ან ღრმად უნდა
გკონდეს გამჯდარი სიყვარული შენი
ხალხისა, რომ ქართულ ენაზე უბრა-
ლო ბროშურა გამოცე“ (წინათქმა კე-
კელიძის ნაშრომისა „ქართული მწერ-
ლობის ისტორია“, II, თბილისი,
1924).

10. ბატონ სულიაშვილის ნოველაში
კვირის ვარიც კი — გვირგვინი —
მიანიშნებს ამ სიწმინდეზე.

11 შუად. საყურადღებო ^{არქივი} ^{ქართული}
თველი ფუტურისტი პოეტის ^{სიმონ}
ნიქოუანისა — „ღამისთევა ხახმატში“.

12 ქართველების ერთ ძალიან საყუ-
რადღებო დახასიათებას მე წაეწედი
ქალაქ კონსტანტინოპოლის წეს-ჩვეუ-
ლებათა აღწერაში (Reisebuch II,
Frankfurt a.M. 1609) 1579, გვ. 36,
რომელიც ხასხლის მოძღვარს შვაი-
გერს (Schweigger) ეკუთვნის: „ქართ-
ველები წარმოსადგეი და ძლიერი ხა-
ლხია! მოშავო-ფავისფერი კანით, ისინი
უშიშარი მებრძოლები არიან. ისინი
ისე დადიოდნენ ქალაქში, თითქოს
დიდი ხანია მისი მოქალაქენი ყოფი-
ლიყვნენ, არავის არაფერს ეკითხებოდ-
ნენ, არაფერს ყურადღებას არ აქცე-
დნენ და არ უკვირდათ, როგორც ჩვენ
გჩვენებია ხოლმე, როცა უცხო ხალხ-
თან მივდივართ და მის წეს-ჩვეულე-
ბებს გაკვირვებით ვუყურებთ და პა-
ტივს ვცემთ“.

13. 1917 წ. 12 მარტიდან, ეკლესი-
ის დამოუკიდებლობის აღდგენის დღი-
დან, საქართველოს ეკლესია უკვე მე-
ხუთე პატრიარქს ითვლის: 1. კირიო-
ნი, გარდ. 1919 წ. 2. ლეონიდე, გარდ.
1921 წ.; 3. ამბროსი, გარდ. 1927 წ.; 4.
ქრისტეფორე, გარდ. 1929 წ. ახლანდე-
ლი პატრიარქი კალისტრატე ცინცაძე
ეკლესიას განაგებს 1982 წლიდან.

14. 76 გვერდი, თბილისი, გამოცემ-
ლობა „სრომა“, 1929, ფასი 40 კაპიკი.
მე ამ ნაშრომს ვიცნობ რეცენზიით
(„მნათობი“ 1929, № 8-9).

15. ჭეიშვილი, ბრიგადელის დღიური.
„მნათობი“ 1930, №7. გვ. 189-215.



გიორგი ლეონიძე

ბევრი დასდევდა ბლოკნოტითა და ავტოკალმით, დაძაბული უსმენდა, მარჯვედ იჭერდა, ხარბად ნთქავდა და კომენტართა თუ უკომენტაროდ აფიქსირებდა მის ყოველ სიტყვას, ყოველ მოძრაობას, ცდილობდა, არ გამოჰპარვოდა, არ დაჰკარგოდა არცერთი ნიუანსი... მე ეს იშვიათად ჩამიღვნიო, რადგან ერთი წუთითაც არ გამკარებია ფიქრი იმაზე, რომ სითბოდ და სიყვარულად ანთებულნი, სიცოცხლის სიმბოლოდ ქცეულნი ეს დიდი კაცი ოდესმე მოგონებად იქცეოდა.

არიან აღამიანები, რომლებიც თავიანთი კოლორიტული გარეგნობითა თუ ამოუწურავი სულიერი ენერჯით თითქოს ტაბუს აღებენ ამქვეყნიურნი ყოფის წარმავლობას და მარადიულ სიცოცხლეზე ოცნებას განასახიერებენ.

უამრავი მოგონება და ფოტოსურათი, რამდენიმე ფერწერული და ორი სკულპტურული პორტრეტი ინახავს გიორგი ლეონიძის გამოსახულებას, მაგრამ ვაი, რომ ყოველგვარი ქაღალდი, ტილო, ქვა თუ ბრინჯაო უძღურია მისი სხივმფენი სახის აღსადგენად!

არ ვიცი, როგორ გამოიფურებოდა სიჭაბუკეში. ამის თაობაზე ძალზე ბუნდოვან შთაბეჭდილებას გვიქმნის ფოტომასალა, ხანშიშესულს კი ენით უთქმელი, გამოაოცნებელი მშვენიერება ახლდა. მართალ პირისახეზე ცისკრის გამჭვირვალე ნისლივით გადახდიოდა ლაგვარდოვანი ნათელი. ის, უბრალოდ, ცისფერთვალა კი არ იყო, ცისფრად იყურებოდა,

მოწმენდილი ცის ფონზე თუ შეხედავდი, ისეთი გრძნობა გეუფლებოდა, თითქოს თვალბუდეებში ზეცა ჰქონდა ჩასახლებული. ამ ზეცის სიღურჯე ედგა სულშიც და ეს შინაგანი შუქი იღუმალის სხივით ანათებდა მის უზარმაზარ, ვაჟკაცურ, ერთი შეხედვით, თითქოს მოუქნელ სხეულს.

მისი მზერა საოცრად ჰგავდა მისსავე შეხედულებას ცხოვრებაზე, მის მახლობლად სავსებით ჩვეულებრივი საგნები და მოვლენები პოეტური ელფერთით იმოსებოდა, სულს იღვამდა და თავისიკებური, ამბღლებული, შეიძლება ითქვას, ლეონიძისეული ნიშნით ჯიღღოვდებოდა. ეს იშვიათი თვისებაა, ოდენ რჩეულთა ხვედრი. ამ თვისების ყველაზე ავტორიტეტული მეუფე საქართველოში, ალბათ, დიდი ვაჟა იყო, მან ეს განმი ნათელმირონით უანდერძა თავის ხელდებულს.

დიდებული პოეტი და მოაზროვნე, მოქალაქე და მამულიშვილი, ყველა ვაჭირვებულის შემწე და ქომაგი, თავისთავში უცნაური მარმონით ათავსებდა შეუღარებელ ვაჟკაცობასა და ვასაოცარ სიფაქიზეს, მოვლენათა ჭვრეტის სიღრმისეულ უნარსა და გამოაოცნებლად ბავშურ გულუბრველობას. ის იყო დიდი ბავშვი, ერთი თბილი სიტყვით ძალზე იოლად რომ მოინადირებდი; და იყო დიდი რაინდი, სხვისი დახმარების გზაზე საკუთარ ტყავს რომ არახილდეს გაუფრთხილდებოდა, ავტორიტეტულ ფუნქციონერებთან ნაცნობობას არასოდეს

შემოინახავდა თავისი პირადი სათხოვე-
რისათვის. ამაზე ხიამოვნებით დაშთთან-
ხმება ყველა, ვისაც ერთხელ მაინც უნა-
ხავს, რა თავგამოდებით ურეკავდა მი-
ნისტრებსა თუ რაიკომის მდივნებს, რა
გულდასმით სთხოვდა, უხსნიდა, ანა-
ბუსებდა, — ამა და ამ კაცს ესა და ეს
დამსახურება აქვს, ესა და ეს უჭირს და
უთუოდ უნდა დაეხმარო, ვითომ პირა-
დად ჩემთვის გაგიკეთებიაო ხიკეთ.

მას კი არ ებრალებოდა (იგი ამას არ-
ავის აკადრებდა), მთელი გულით უყვა-
რდა გაჭირვებაში მყოფი, ხალისით, და-
უსზარებლად, დაუმადლებლად და უანგა-
როდ უწევდოდა ყველას დახმარების ხელს.

მისი კაბინეტის კართან გამუდმებით
იღვა მთხოვნელთა უგრძესი რიგი. ყვე-
ლას გულისყურით უსმენდა, ისე კი არა,
დღევანდელი ფუნქციონერები ცარიელი
თვალებით რომ მოგანერდებიან და
გრძნობ, ერთი სული აქვთ, როდის მო-
ვიშორებენ თავიდან. თითოეულის სატ-
კიკარი გულთან მიჰქონდა, ანუკეშებდა,
ურჩევდა და თუ დახმარებას ვერ შეძ-
ლებდა, საშინლად იტანჯებოდა, თან მი-
ამიტად უკვირდა, რატომ არ გაკეთდაო
ეს საქმე.

ყველა ინსტანციის, ყველა თანამდუ-
ბობის პირის კაბინეტისა თუ სახლის კა-
რი ღია იყო მისთვის და პოეტიც, თა-
ნასოფლელი გლეხებისა თუ ქალაქელი
ნაცნობ-უცნობის ამალით, დადიოდა მა-
თთან. ამ ამაღაში ხშირად მეც ვერი-
მეც ბევრჯერ მიმიღია მონაწილეობა ამ
„წმინდა ლაშქრობაში“ და უზომო ნე-
ტარება მიგრძნობია იმის გამო, რომ თი-
თქმის ყოველთვის გამარჯვებით მთაერ-
დებოდა სიმათლის ძიების ეს ტრიუმ-
ფალური ოდისეა.

სამწუხაროდ, დღეს ცოტა ვისმე თუ
შემორჩა ამგვარი უანგარო შემწეობის
ნიჭი და სურვილი! ამიტომ სულაც არ
იქნება გადაჭარბებული, თუ ვიტყვი, რომ
გიორგი ლეონიძის სახით ყველა მამუ-
რალმა და ტვირთმძიმე ქართველმა თა-
ვისი ჭირის დიდი მოზიარე და გულშე-
მატკივარი დაკარგა.

შვილობილს შეძახდა, და მართლაც,
მშობლიური ამაგი დამლო.

სახელით არასოდეს მომპარტყელი,
შვილოო ან პატარძელუღვრე, [დღ მუხტო]
რძელის ხსენებაზე თვალებს მინჯდა
ნარევი სიხარული ელერებოდა, თითქოს
ფიქრში ცოცხლდებოდა მშობლიური სო-
ფლის მფეთქავი ხსოვნა, მწვანე ზერე-
ბისა და ოქროვანი ყანების მათრობელა
სურნელი, ორლობებში ჩამდგარი გაყუ-
ჩებული შუადღის ხიბლი.

ხშირად დაეკავდი თან, მიაბზობდა, მი-
ხსნიდა, მიზიარებდა... ვგრძნობდო, ჩე-
მი სახით რაღაც მშობლიურს იგულვ-
და ახლოს, პატარძელის მიწიდან აღ-
მოცნებულს, იქაური გარემოს მცნობ-
სა და მოყვარულს. ჩემი სახით რაღაც-
ნაირ იდუმალ კონტაქტს ამყარებდა ბა-
ვშობაში დარჩენილ განცდებთან და
ფიქრებთან.

მისი პოეტური ცხოვრების ბევრმა
მნიშვნელოვანმა მომენტმა გააიარა ჩემს
თვალწინ, მაგრამ, ალბათ, როგორც მის
ბევრ ნაცნობ-მეგობარსა და თავყანის-
მცემელს, ვერ ისევ მიჭირს ამ მომენ-
ტების მოგონებებად ქცევა, გარდასულად
მიხსნევა, რადგან ჩემს ფიქრში, ჩემს წა-
რმოსახებაში ეს ბუშპერაზი პოეტი და
აღამიანი ვერ ისევ ცოცხლობს ხელშე-
ხახები, ნამღვილი, ჯანმრთელი და უწ-
ნებელი, სიცოცხლეზე უზომოდ შეყვა-
რებული, მარად შთაგონებული, ჭაბუკა-
რი ხალისით აღხავე. ისევ გარკვევით
მესმის მისი შეუდარებელი ბუბუნა ხმა;
ფიქრის იდუმალი თვლით ვერ ისევ
ეხედავ მის ღეთაებრივად წმინდა, უც-
ნაური შუქით განათებულ უბადლო ცი-
ხფერ თვალებს. მისი უუცარი ავადმყო-
ფობა და სამგლოვიარო ცერემონიალიც
ისე აღვიქვი, როგორც კომპარული სი-
ხმარი, რომლის გავლენის ძალა პოე-
ტის დიდი და მშვენიერი სიცოცხლის
თვლისმომჭრელ ხიკამკამში ჩაინთქა.

ამ წერილს გიორგი ლეონიძის ცხოვ-
რებისა და შემოქმედების მეცნიერული
ანალიზის პრეტენზია არა აქვს. ის წა-
რმოადგენს იმ წარუშლელ და სულში
ვერდატყულ შთაბეჭდილებათა გამჟღა-
ვნების ცდას, გიორგი ლეონიძის მხატ-
ვრული მემკვიდრეობა რომ ახხივებს.

ერთ მხატვრულ ფენომენს იშვიათად შეუთავსებია იმდენი საპირისპირო თვისება, რამდენსაც გიორგი ლეონიძის პოეზია ითავსებს. ლეთაებრივი სიმაღლე და მიწიერი, ადამიანური ლტოლვანი; პირველი თივლის სინაზე და გოლიათური ძალმოსილება; ღრმა ღირიზმი და ეპიური თხრობის სიცხადე; სულისშემძვრელი სიფაქიზე და პირველყოფილი სიცხოველით აღბეჭდილი ვნება; ასოციაციური ხილვები და მკვეთრ, ნათელ სახეებად ჩამოქნილი უაღრესად ხელშესახები პლასტიკური ხატები; ხალხური მეტყველებისათვის დამახასიათებელი დიდი უბრალოება და ფრაზის კლასიკური სიმკვრივე, — აი ის, რაც ეგზეზიმ ნიშანდობლივია მისი პოეზიისათვის.

ლიტერატურულ სამყაროს გიორგი ლეონიძე პირველი მსოფლიო ომისა და რევოლუციის აღმავლობის წლებში მოველიანა, ამიტომ, ბუნებრივია, ამ მნიშვნელოვანმა საზოგადოებრივ-პოლიტიკურმა მოვლენებმა გარკვეული გავლენა მოახდინეს მისი მსოფლმხედველობის ჩამოყალიბებაზე.

ლექსის წერა ადრეულ ასაკში დაიწყო. იმავედროს თერგდალეულთა ტრადიციული თემები აღელვებდა, მათი სატკივარი სტაკიოდა, ილიას, აკაკისა და ვაჟას მოტივები ხშირადებოდა მის ჭაბუკურ, დაუდგარ მელოდიაში, მაგრამ ძალე მოეძალა მოდერნიზმის გავლენა, როგორც გამოუცდელ, შეოცნებე ამაწვილს — ტრფობაში გაწაფული მაცდური ლამაზმანის ხიბლი.

ლექსის სტიქიით აბოიქრებულ მის შთაბეჭდილებიან ბუნებას ორი საცდური იზიდავდა თანაბარი ძალმოსილებით: ერთი მხრივ, პოეზიის ტრადიციული, მამაკაპური მადლი და, მეორე მხრივ, სიმბოლიზმის გამომსახველობით საშუალებათა არაორდინალურობა, ბუნდოვან ზმანებათა სამყარო. ფესვები ეროვნულ წიაღში მყარად ჰქონდა აადგმული, მისი წარმოსახვის ნედლ რტოებს კი მოდერნიზმის სიო ანანავებდა. მერე ისევ ფესვის ძარღვმა იმძლავრა, მშობლიური ნიადაგიდან უხვად შეწოვილი

მაცოცხლებელი ღერიტით გაჯლითა მისი მოძალებული პოეტურ რეაქტივობა. ამთავითვე უნდა ითქვას, რომ მისი პოლიზმით გატაცება პოეტისათვის არც შემთხვევითი მოვლენა ყოფილა და არც ცოდვიანი ნაბიჯი, როგორც ამას ქართული სალიტერატურო კრიტიკა ირწმუნება. მისი მტკიცებით, გიორგი ლეონიძემ ახალგაზრდობისა და გამოუცდელობის გამო გაიზიარა სიმბოლიზმის — ამ „მომაკვდავი, გაზრწნილი იმპერიალიზმის პირმშოს“ — მავნე გავლენა; ამას ხელი შეუწყო ეპოქის შავ-ბნელმა კითარებამაც, რამაც ჭაბუკა შემოქმედლამის უფსკრულის პირას მიაყენა (ს. ჭილაია, შ. რადიანი, გ. კალანდაძე და სხვები). ამ აზრის საილუსტრაციოდ თითქმის ყველა კრიტიკოსს გიორგი ლეონიძის ისეთი სტროფები მოაქვს, ნატამალიც რომ არ ანინათ სიმბოლიზმის გავლენისა. დეკადენტური განწყობილების ყველაზე აშკარა და მკაფიო გამოვლინებად კრიტიკოსები ამ ლექსების სვედიან, მინორულ ტონსა და საწუთროს ხანმოკლეობაზე ჩივილს მიიწვევენ, თითქოს ცხოვრების წარმავლობის სვედა მარტოოდენ მოდერნისტული მისტიკრიების თვისება იყოს.

გიორგი ლეონიძემ, მართლაც, ვანიცადა სიმბოლიზმის კეთილისმყოფელი გავლენა. რაც საძრახისი კი არა, საამაყოც არის, მაგრამ უხერხულობას ქმნის ის ფაქტი, რომ ამ გავლენის დადასტურებას ზემოთ ჩამოთვლილი კრიტიკოსები იქ ეძებენ, სადაც ის ყველაზე ნაკლებად, ან სულაც არ იგრძნობა. აი, რამდენიმე მაგალითი:

1. ჩამოკრავს წამი და გამიელვებს პირმახვიანი სიკვდილის ცელი, უსაზღვრო სოფელს მოწყნელები ისევ, ვით შემოდგომით ვერხვის ფურცელი.

მე წავალ იქით, სითაც მოვსულვარ, ხად იმყოფება ბინა სულისა და ამ მიწაზე დარჩება მხოლოდ ობოლი ცრემლი სივარულითა.



2. პე, გულმა ჩემმა ვერონ შეიტბო,
ვერ შეიყვარა, ვერ შეითვისა,
კაუნით დამწვარს და ამღლებულს
ჯერ არ უგრძნია აღერსი სხვისა.
ისიც იღერე, თუ ასე ადრე
ვით შთავსახა გულს შემოდგომა...
და სხე.

ჯერ ერთი, ეს ლექსები გაცილებით ადრე, 1914-15 წლებშია დაწერილი, ე. ი. მანამდე, ვიდრე გიორგი ლეონიძე სიმბოლისტურ თეორიებს გაიზიარებდა, და მეორეც, ამ სტრიქონთა შინაარსობრივ მხარეს მკითხველი გულისხმობს რომ მიაღწევებს, სულ იოლად მიხვდება, რომ ეს სვედა სხვა არა არის რა, თუ არა სავსებით ბუნებრივი და გასაგები სულიერი მდგომარეობა, ზოგჯერ კონკრეტული მიზეზით, უფრო ხშირად კი უმიზეზოდ რომ შეპოჭავს ნორმალურად მოაზროვნე ყველა ადამიანს და, მით უფრო — პოეტურ ნატურას. განა ძნელია იმის მიხვედრა, რომ ამ სტრიქონებს ძველი წიგნის კიდევსმეყვითლებულ ფურცლებში ჩარჩენილი გამხმარი ყვავილებისა და ჩვენს უახლოეს წინაპართა საოჯახო ალბომებში გულმოდგინე კალიგრაფიით ჩაკირკიტებული გულისამაწყვებელი ლექსების გამაბრუნებელი სურნელი უდის, მოკრძალებული, ძნელად გასამხელი და შეპარვით ნათქვამი სიყვარულის გამჭვირვალე სვედით აღბეჭდილი, რომანტიკული იდუმალების სამოსში გახვეული. რა შუაშია აქ რომელიმე იზმი, როცა პოეზიით აღზეკვებული სული, როგორც ცეცხლიან შთავგონებას, ისე ელტვის და ეწაფება სიყვარულის მშვენიერ სვედას, ხშირად ბავშვურად მიაშიტ, დიმილისმომკერულ პრიმიტიულ ფილოსოფიურ ტრაქტატებად რომ იფრქვევა და „ყვავილნარის“ დიალოგებით, პასუხად მხოლოდ ჩუმ ოხერას ან თანაგრძნობიან მორცხვ დიმილს მოითხოვს?! ამგვარი სტრიქონების ავტორი სიკვდილს თუ ნატრობს, ეს იმას ნიშნავს, რომ მთელი არსებით სწყურია სიცოცხლე; სულიერ სიყვარულზე თუ მოთქვამს, მამასადაძე, პირთამდეა ხავე თანაგრძნობის მომლოდი-

ნე ხასიებით; თუ მარტოობას უწივის, რაღა თქმა უნდა, გულის კანკალებს სულს ავედრებს სატრფოს, ე. ი. რაღაც ამღლებულს, თეატრალურს, არტისტულსა და შთამბეჭდავს ელტვის. ეს პოეტური სულის მშვენიერი თვისებაა, დრამატულის, ჭარბად ემოციურის საბურველით შემოსილი, სიყმაწვილის გარიყრაფზე რომელი ჩვენგანი არ აცნობია სიყვარულის საბრძანებლიდან წამოქროლილ ამ უნიადაგო სვედის ხილს, დაუტყველი გრძნობის, მორავი სიჭაბუკის ნაპერწყლიანი შუქი რომ ახლავს?! რა საამოდ მტკიცეული და სხეებისაგან ღამაზად განსხვავებული ჩანს მაშინ ეს სვედა, შემდეგ, წლების ბარიერს მიღმა, წამით რომ გაგახსენებს თავს, სულში შეუღარებელი ხიბლით გაიელვებს და გამაბრუნებელი საამით გაგიცოცხლებს გარდასულის სურნელს!

საკითხავია, პოეტს, და ისიც ძალზე ახლავაზრდას, რომლის შთამბეჭდილებიანი ბუნება უკიდურესი სიმძაფრით აღიქვამს სამყაროს, სიმბოლიზმით გატაცების გარეშეც რატომ არ უნდა შევძლოს ჩივილი იმაზე, რომ, სამწუხაროდ, ჯერ კიდევ არ წაუღეკავს სიყვარულის მეწყერს? ამ ასაკში მთელი მისი არსება ხომ სწორედ ასეთი „მსხვერპლისათვის“ არის გამზადებული, როგორც ნახამთრალი ყამირი — გუთნის მახვილი პირისათვის?! სიმბოლიზმთან მისასვლელი გზა განა მხოლოდ სვედისა და მარტოობის ბეწვის ხიბზე გადის? ან სიმბოლიზმი მარტოოდენ სვედიანთა კორპორაციაა? მის ლექსებს არ შემოუნახავს შემოდგომის ბურუსივით შედედებული ის სვედა და სუნთქვისშემკერული შინაგანი ტკიული, გალაკტიონის ღრმად ინტიმურ ლირიკას რომ ახაიათებს. გიორგი ლეონიძის პოეზია თვით სიმბოლიზმის გაუღენის პერიოდშიც კი ნათელი, ჯანსაღი განწყობილებების პოეზიაა, სიცოცხლის ღვრიტით გაყვლითალი და მოზვიმე, სწორედ ამიტომ უპოქის ის ატმოსფერო, გიორგი ლეონიძის მანიორული განწყობილების წყაროდ რომ მიიჩნევენ კრიტიკოსები, სვედითა და უამედობით ვერ მოთენათავდა

ვეზომ სიცოცხლისუნარიან და აქტიური გენებით დამუბტულ შემოქმედს. საზოგადოებრივი ცხოვრებაც იშვიათად ყოფილა ისე სისხლსავსე, მოძრაი, ქმედითი და პერსპექტიული, როგორც ამ პერიოდში იყო. გარდაქმნის მოლოდინში ირგვლივ ყველაფერი შფოთავდა, ბორგავდა, ბობოქრობდა, იბრძოდა და, რაოდენ ბუნდოვანი და კონკრეტულად დაუზუსტებელიც უნდა ყოფილიყო მისი მოსალოდნელი შედეგი, ის, როგორც სიახლე, მაინც თავის მაცდურ წიაღში ისრუტავდა ყველას, ვინც ვერ ვგუებოდა ცხოვრების სტატიკური ერთფეროვნებისა და შემოქმედებით სამყაროში შაბლონად ქცეული შეზღუდული იდეურ-თემატური სტანდარტების მარწმუნებს. გიორგი ლეონიძემ უთუოდ ამ მიზეზითაც მიიღო და გაიზიარა სიმბოლიზმის იდუმალად მფეთქავი უჩვეულობა და კოსმიური მოძრაობის რიტმი, რასაც ქართული ლიტერატურული კრიტიკა უკანასკნელ ხანებამდე მას „ცოდვიან ნაბიჯად“ უთვლიდა.

გასაკებია, რომ საბჭოური კრიტიკის მცდარი მეთოდი, რომლის მიხედვითაც, ე. წ. სოციალისტური რეალიზმის პროკრუსტეს სარეცელზე იზომებოდა შემოქმედის ავტარგი, გარკვეული საზოგადოებრივ-პოლიტიკური ვითარებით იყო ნაკარნახევი. სამწუხაროდ, ეს პოზიცია საერთოა კრიტიკოსთა დიდი უმრავლესობისათვის, 30-იანი წლებიდან მოყოლებული, იმ დრომდე, ვიდრე ჩვენმა ლიტერატურისმცოდნეობამ, ბოლოს და ბოლოს, არ გადალახა ათეული წლების მანძილზე მყარად დამკვიდრებული ეს ლამის დანაშაულებრივი პოზიცია.

გიორგი ლეონიძე „ცისფერყანწელთა“ გუფს ოფიციალურად 1918 წლიდან დაუახლოვდა და მალე მისი აქტიური წევრიც გახდა. ეს პოეტის მოდური გატაცებით არ აიხსნება. ამ პერიოდში სიმბოლიზმი არც ერთადერთი მოდერნისტული მიმართულება იყო და არც — ყველაზე გავლენიანი. ათიანი წლებიდან რუსეთშიც უკვე საკმაოდ ფართოდ გავრცელდა უადრესად ორიგინალური და უჩვეული სიახლით გამორჩეული ლიტე-

რატურული მიმდინარეობა, კერძოდ, სიმბოლიზმი, რომლის საწყისებს წარმოადგენდა სიმბოლისტიკთან უხედვით და რომელსაც ახალ ვითარებაში საკმაოდ მიმზიდველი საცდური გააჩნდა, თუნდაც იმ მხრივ, რომ საკუთარი პრინციპებს რევოლუციის გვემებთან შეხამებას შეეცადა. ამასთან, მასში, მართლაც, შეიტანა რევოლუციური ხული ვლ. მაიაკოვსკიმ, რომელმაც საკუთარი მაგნიტური არე, საკუთარი თანაუარსკვლავედი შექმნა. მისი მწვერვალისაკენ მიმავალ ბილიკს, წარმატებით თუ წარუმატებლად, ბევრმა შეუბედა. ამგვარი ცდუნება არც ქართველი ახალგაზრდა პოეტისათვის უნდა ყოფილიყო მოულოდნელი, მით უფრო, რომ სწორედ ჩვენი გულისგული გრძნობდა და ითავისებდა ამ დიდი პოეტის ფესვებში გაფონილ ქართული მიწის მადლს, და მაინც, გიორგი ლეონიძეს ფუტურიზმისაკენ არახიდეს გაქცევა თვალი, არახიდეს გაუზიარებია მისი ექსცენტრული სულისკვეთება, სიმბოლიზმის ცისფერ ლაგვარდს კი ნამდვილად მიაპყრო მეოცნებე მზერა, სხვა ქართველ პოეტებთან ერთად, დიდი გატაცებით დაემგზავრა „დაწვევლილი პოეტების“ „მთვრალ ხომალდს“, რომელიც ზუსტი კომპასით კი არ მიისწრაფოდა კონკრეტული მერიდიანისაკენ, არამედ ზეცის უსაზღვრო სივრცეებს ელტვოდა ყოფიერების ქაოსიდან თავდახალწევად. ამ პერიოდისათვის ჩვენში ყველა, ვისაც ჭეშმარიტი პოეზიის მეტ-ნაკლები მირონი ეცხო, სწორედ სიმბოლიზმს მიეკედლა და მისი ცისფერი წიაღიდან მონაბერ გამაბრუებელ სიოს მიაგება ფრენამოწყურებული მკერდი.

სიმბოლიზმი ცისფერყანწელებს მართოდენ გარეგნული ბრწყინვალეობით არ იზიდავდათ. ამ ლიტერატურულ მიმართულებას ის დამატვევებელი შინაგანი ხიბლი, მოვლენათა პოეტური წედომისა და შთაბეჭდილებათა მხატვრული უკუფენის ის გასაოცარი ძალა ჰქონდა, ზოგჯერ ერთად რომ ითავებდა სიტყვის, ფერისა და მუსიკალური ბერის იდუმალ მნიშვნელობათა სიმდიდრეს, მასში სიღრმისეულად იყო შენახული პოეტუ-

რი მეტყველების საშუალებათა უსახ-
დერობა, წარმოსახვის შეზღუდვაი სი-
ვრცე, უხილავის, ყველასათვის ვერა-
სანახის წვდომის სტიქია, რისკენ სწრა-
ფვაც აღრევე გამოავლინა გიორგი ლე-
ონიძემ:

**მე დავემხობი შუალამისას,
უხილავს იქნებ ღოცვით ვსწვდებოდე.
და თუ ვერ ვპოევებ, ვერღურ ყივილით
ძიების გლოვას მეუბნებოდე!**

ეს და სხვა მსგავსი ლექსები 1915-16
წლებშია დაწერილი, მაშინ პოეტს ჯერ
კიდევ არ ჰქონდა მიღებული სიმბოლის-
ტური ნათლობა, მაგრამ მისი სული უკ-
ვე ეძიებდა გაცილებით რთულსა და შე-
უცნობელს, ვიდრე ხილული სამყარო
იყო, თავისი პრაქტიკულ-კონკრეტული
მოუღწევბით, და აი, პოეტური შთავო-
ნების პორიზონტზე თანდათან გამოჩნ-
და ახალი ცდომილი, უცნაურად მოკაშ-
კაშე ახალი პლანეტა, მშვენიერების ახ-
ალი საუფლო, სიმბოლოების, იეროგლი-
ფებისა და მინიშნებების აურაცხელი გა-
ნძით დაზენიული, ეგზომ ძალუმად რომ
იზიდავდა შემოქმედებითი ცეცხლით ან-
თებულ, სიახლის ხილვას დანატრებულ
ხარბ მხერას. ლიტერატურულ ასპარე-
ზზე მყარად ფეხმოკიდებული დაშტამ-
პული, პრიმიტიული, მეტყველების სტი-
ლის ვერდით, ჯადოსნური ფერებით
გამოიკვეთა ოსკარ უაილდის გაფაქიზე-
ბული ესთეტიზირებული სამყარო, გა-
მორჩეული ორიგინალური მხატვრული
ნოუანსებითა და დამატყვევებელი რაფი-
ნირებული მანერით, და რა არის ვასი-
კარი ან საძრახისი იმაში, რომ მას ასე
ხარბად დაეწაფა გიორგი ლეონიძის შთა-
ბეჭდილებიანი ბუნება?! ჯერ კიდევ
1915 წელს ჟურნალ „თეატრი და ცხო-
ვრების“ 51-ე ნომერში იგი გატაცებით
წერდა ოსკარ უაილდზე:

„ის სილამაზის მოციქული იყო და
ბედნიერი, რადგან ეზიარა მშვენიერების
ბარძამში. ის მხოლოდ სილამაზით სუ-
ლღემულობდა, მან არ იცოდა ტანჯვა
მიწისა, რომელიც მხოლოდ მაშინ შეი-
ცნო, როცა მის არისტოკრატულ ხელ-

ებს გადაეკვლო ციხის ბორკილებს, რად-
კი ის პეპელა იყო, სიცოცხლეზე უფრო
რომლისთვისაც უცხოა სვედა მიწისა და
რომელიც უფრო დიდი სველით იტანჯე-
ბი. მას თიბათვის ყვეაილს ვაღარებ სი-
ნახათ, მაგრამ მასვე ვეძახი ამირანს,
რომელიც კავკასიონის მთებზე კი არ არ-
ის მიჯაჭვული, არამედ უფრო უსაშინ-
ლეს — ერთფეროვანი ცხოვრების მქერ-
ღზე“.

სწორედ ცხოვრების ერთფეროვნე-
ბის ბორკილთა დაწვევტის წადილი აახ-
ლოებს და სულიერად ანათესავებს გი-
ორგი ლეონიძეს ოსკარ უაილდთან, რო-
მელსაც მან ლექსიც უძღვნა:

**„და მეც ვეძებ სილამაზეს,
გამოძახილს ცისკრის ხმებში,
შუადღისას მზის წირვაში,
ღამით მთრთოლავ ყვავილებში,**

**შენც გლოცულობ და შენსავით
კაცთა შორის დავად ობოლად,
სული შენი თავს შევრება
უკვდავების მახარობლად.“**

მშვენიერების ამ სარკმლიდან ჰერეტ-
დნენ და აღიქვამდნენ სიმბოლისტ პოე-
ტთა მხატვრულ სამყაროს თუ მიწშიდ-
ველი უცნაურობით აღბეჭდილ მათ პი-
როვნულ ბუნებას ცისფერყანწველები,
მათ შორის, გიორგი ლეონიძეც. ეს
იყო იმდროინდელი ლიტერატურული
პროცესის სავესებით ლოგიკური შედე-
გი. საბედნიეროდ, ამ ბოლო ხანებში
ჩვენს ლიტერატურისმცოდნეობაში რა-
დკალურად შეიცვალა სიმბოლისმის
დღემდე დაკანონებული ფორმულირება.
უ რა ითქვა მისი სიმამხინჯის, სიკდი-
ლის, ამორალიზმისა და ფორმალიზმის
ამოლოგიად! გამოცხადების გამოზნულ-
ად მედარ ტენდენციებზე.

ხომ ფაქტია, რომ ჩვენ სიმბოლის-
ტურ-დეკადენტური დაჯარქით არა მხო-
ლოდ იმას, რაც სტილური თუ მსოფლ-
მხედველობრივი თვალსაზრისით, მარ-
ილად, მივსადაგებოდა ამ მიმართულების
ბუნებას. არამედ ბევრ ისეთსაც, რაც
უბრალოდ, ზუსტად არ ესადაგებოდა

ე. წ. სოციალისტური რეალიზმის მკვეთრად კანონზომიერებულ პრინციპებს, კალკის წესით არ იმეორებდა გამოსახვის მიხედვლ მანერას.

ჭაბუკი გიორგი ლეონიძე თვინიერი მორჩილებით არ გაკვეა წინასწარ შემუშავებული სქემებისა და ფორმულების ათვისების მარტივ გზას. მისმა ნათელმა გონებამ უმაღლ გაანალიზა ის ფაქტი, რომ ერთბაშად მინახვლა თურგდაღუელთა სულიერი ცეცხლი, ახლები კი შორს ვერ წავიდნენ. ეპიგონობის ქაოსში გაქარწყლდა ნამდვილი პოეზიის მადლი. თითქმის არაფერი იქმნებოდა ახალი. ეპოქის მოტიანილი შიშველი იდეურობა შეურაცხყოფდა არტისტიზმის ტრფიულ მუზას და, აი, ამ დროს ცისფერყანწელთა დახვეწილი გემოვნება და ღრმა ერუდიცია იქცა იმ სულისმიმტაც ედემად, გვერდს რომ ვერ აუქცევდა ლექსების საგზლით დატვირთული, ოლიმპოს მწვერვალისაკენ ლაღი ნაბიჯით მიმავალი ვერც ერთი ღირიკული მგზავრი. ამ თვალსაზრისით, ცისფერყანწელებს ცოდვა კი არა, სწორედ რომ მადლი მიუძღვით ქართული პოეზიის წინაშე. მათ ხომ ბოლომდე არც გაუზიარებათ სიმბოლიზმის უკიდურესობანი! მხოლოდ დროის ქარიშხლით მოღვნილ მდარე პოეზიის ნიადვარს გადაუღობეს დახვეწილი ოსტატობის ჯებირი და ქართულ მხატვრულ სიტყვას, ერთი მხრივ, აღუდგინეს ტრადიციული სიმადლე, ხოლო, მეორე მხრივ, შესძინეს მსოფლიო კლასიკის სტანდარტებთან ვატოლების უფლება და შესაძლებლობა. ჩვენში სიმბოლიზმი ხომ არც გამოვლენილა მთელი თავისი უკიდურესობით! ოქროს კოსკიდან მომზირალი მზეთუნახავივით, ის ქართველ პოეტებს მხოლოდ თავისი თვალსაშობიკრელი ხიბლით ეჩვენა, მხოლოდ შინაგანი მშვენება გამოამზებურა, რომ უფრო მეტად დატყვევებინა „მთვარის უკანასკნელ მიჯნურთა“ მთრთოლვარე გულები. აკი ამბობდა ტიციან ტაბიძე, — საქართველოში ცისფერ ვევილს ღერო წითელი ჰქონდა. ქართვე-

ლებსათვის ცა და მიწა არასოდეს არ გაყრილანო.

გიორგი ლეონიძის პოეზიაში სიმბოლიზმის კეთილისმყოფელი გავლენის შედეგად იყო გამომსახველობითი სისტემის, მეტყველების სიმდიდრისა და ლექსიკური მასალის სიუხვის სასიკეთოდ გადასხვაფერება. მან, ისევე, როგორც სხვა ქართველმა სიმბოლისტებმა, ვერ მიიღო აბსტრაქციის ის წესი, მაღალ მატერიებზე ზოგადფილოსოფიური მსჯელობის ის ბუნდოვანი ზერხები, თითქმის ერთნაირად რომ გამოვლინდა ყველა სხვა ქვეყნის სიმბოლიზმში. ამ მამდინარეობით უკიდურესი გატაცების წლებშიც კი გიორგი ლეონიძის ღირიკა ქართული ატმოსფეროთი ხუნთქავდა. მისი სახეობრივი ხატებიც ეროვნული გარემოს სურნელს აფრქვევდნენ, ქართული მარნის ნოტიო ჰაერით იყენენ გაუღვნილნი.

გიორგი ლეონიძე არასოდეს განდგომია საზოგადოებრივი მნიშვნელობის პრობლემებს, უბრალოდ, გამოსახვის უფრო რთულ და საინტერესო, უფრო მრავალწახნაგოვან ფორმებს ეძიებდა, თორემ სხვაფერიც მის სულში ყოველთვის ეროვნული განგამის ზარი რეკდა, ხოლო მის თვალში მარტოოდენ ერისათვის თავდაუზოგავი შრომა ფასობდა ჭეშმარიტი ღირსებით, ამიტომაც ვეზომ ეთაყვანებოდა დიდი ილიას განუზომელ ღვაწლს მამულის წინაშე.

ერის სამსახურის ილიასეული შეგნება იქცა გიორგი ლეონიძის პირადი თუ შემოქმედებითი ცხოვრების წესად. საინტერესოა ის ფაქტი, რომ 1912 წლიდან მოყოლებული, ლექსების პარალელურად, ქართველი მკითხველი ეცნობა მის საისტორიო, სახელოვნო, სალიტერატურო თუ პუბლიცისტურ წერილებს. თხუთმეტი წლის ჭაბუკი, ჯერ ისევე უმწიფარი აზრები და გაურკვეველი გრძნობები რომ უნდა აფორიაქებდეს, 1914 წელს „თეატრსა და ცხოვრებაში“ ბეჭდაეს წერილს — „ქართველი ღედა“, ს.დაც საკმაოდ პროფესიონალურად და კომპეტენტურად ეხმაურება ერის მომავლის ძიების ილიასეულ პოზიციას.

ქართველი დედის თემას შემდეგ არაერთხელ დაუბრუნდა პოეტი. მარტო ის რად ღირს, რომ ღირიკული პოემით — „ფორთოხალა“ — ქართველ დედათა მხატვრულ გაღვრვას კიდევ ერთი უცნაური შუქით მოკამკაშე მონუმენტური ფიგურა შესძინა. ამ სახის სრულყოფის წადილს, გარდა ეროვნული ტრადიციისა, პოეტს საკუთარი დედის შარავანდედიანი ანრდილიც შთაავონებდა.

გიორგი ლეონიძის ღირიკის მთლიანობაში წარმოდგენისას განსაკუთრებული სიმკვეთრით ჩნდება ერთი თვალშისაცემი მომენტი, თავისი ულოგიკო ბუნებით ამ გენიალურ ქმნილებათა ჭეშმარიტ დამფასებლებშიც კი გამოჩნეული ტყვილით რომ აღიქმება, განსაკუთრებით დღეს, როცა ჩვენი შეგნება ძალმოპრვიების გავლენით ჩაღვრებულნი სქენებისაგან გათავისუფლდა და ახლო წარსული ობიექტურად გააანალიზა. მხედველობაში მაქვს ტენდენცია, რომელიც ახასიათებს ოცდაათიანი წლების შემდგომ შექმნილ გიორგი ლეონიძის ლექსებს, რომლებშიც, რასაც უნდა ეხებოდეს პოეტი, — წარსულსა თუ აწმყოს; რაც უნდა იყოს მისი ლექსის თემა, „ვეფხისტყაოსანი“ თუ „დედა ენა“; ყვავილი თუ მდინარე, წელიწადის დრო თუ სიჭაბუკის სიმღერა, — უმეტეს შემთხვევაში ფინალი მაინც ერთი, წინასწარდასახული მიზნისაკენ მიემართება: ლექსი იქცევა „ახალი ცხოვრების შემოქმედის“ აღმატებულ ქებათაქებად:

განუზომელია „ვეფხისტყაოსნისა“ თუ „დედა ენის“ მნიშვნელობა, მაგრამ ამ წიგნების ერთი უდიდესი ღირსება მაინც ის არის, მათ სტალინი რომ კითხულობს.

რა არის ეს — მრწამსი თუ ნიღაბი?!

იმ ურთულეს ვითარებაში არც ერთი იყო საძრახისი და არც — მეორე. ოციანი წლებიდან მოყოლებული, ჩვენს მწერლობაში, ისევე როგორც, საერთოდ, მთელ ე. წ. საბჭოთა ლიტერატურაში, იშვიათად თუ გადაურჩა ვინმე კომუნისტური იდეალების ზეპქტიური პროპაგანდისა და მის მიღმა ნაგულისხმევი ჯოჯოხეთური შედეგების საბედისწერო

გავლენას. ამ მხრივ გამონაკლისს მხოლოდ ის თითო-ორიოლა შემთხვევა წარმოადგენდა, ვინც პრინციპის ერთგულება უდიდესი თავგანწირვის ფასად ან არასრულფასოვნების ნიღბით შეძლო. ვიორგი ლეონიძე კი ევრასოდეს მოირკვებდა ნიღაბს. მისი ხალასი, უღაბრიონთო ბუნება ევრავითარ მიტმასნილ როლს ევრ ივუებდა. ის ხომ არასოდეს მერვეობდა ორ პოზიციას შორის! მაქსიმალიზმი — მიღება ან უარყოფა, — აი, მისი კრედო! იგი კატის ფრთხილი ნაბიჯით არ ეპარებოდა სათქმელს, მიზანს ყოველთვის ევფხვის ნახტომით ეუფლებოდა და მთელი არსებით იმსჭვავლებოდა სათქმელის სიცხადით. ასე მიიღო მან თავის დროზე რევოლუციური სინამდვილეც. („ლეონიძე ამ დღეებს უღარაჯვ“, — მიმართავდა საკუთარ პიროვნებას 1926 წელს). ესეც არ იყო, ის ხომ მარტო პოეტი არ ყოფილა, მნიშვნელოვანი საზოგადო მოღვაწეც იყო, მკვლევარი და მეცნიერი, დიდი მოქალაქე და შეუდარებელი მამულიშვილი, ყველა ეროვნული საქმის თავკაცი, ამიტომ მის ნათელ სახეზე ყველაზე უფრო ოსტატურად მორგებული ნიღაბიც დაკარგავდა გავლენის ძალას. დიახ, მას სწამდა, რასაც წერდა, მაგრამ ისიც კარგად ესმოდა, რომ ყველაფერი არ შეიძლება ჩაითვალოს ჭეშმარიტ პოეზიად; რომ ეპოქისათვის ნაბიჯის გასწორების უციღურესი ტენდენცია, პოეტი-ტრიბუნის საგიტაციო სიტყვა, დეკლარაციული პათოსი, ლოზუნგის სიმშრალე და ტრაფარეტულობა ახშობდა ლექსის პოეტურ სუნთქვას, იმ ინტიმს, სულის უშორესი შრეებიდან წრფელი განცდები რომ უნდა ამოატივტივოს და გარესამყაროს სუბიექტურ შეგრძნებას საყოველთაო მნიშვნელობა მიანიჭოს. მან იცოდა, რომ ამგვარ ლექსში სული კი აღარ ღაღადებდა სერაფიმების ღვთაებრივი პანგიით, არამედ ტრიბუნაზე ავარდნილი ენთუზიასტი გაქიოდა დროის ნაკარნახევ სავალდებულო სათქმელს. დიახ, იცოდა, მაგრამ ამის აუცილებლობაც სჯეროდა ისევე ქვეყნის საკეთილდღეოდ. ეს იქიდანაც ჩანს, რომ ამ, ერთი შეხედვით, აღ-

ტაცებული პანეგირიკის ინტონაციურ ნიუანსირებაში იღვრება მინც იგრძნობა დამორგუნველი ძალდატანება, გვერდუქცევი აუცილებლობის სულისდამამძიმებელი განცდა, პოეზიის მშვენიერი სამყაროდან უცარი ბიძვით რომ გამოვაძევებს და ცოდილ მიწაზე ჩამოვასახლებს, ამიტომაც ჩანს დღეს ეს ლექსები ასე ხელოვნური, ძალით მოხმობილი შთაგონების უგემურ ნაყოფად, თუმცა შიგადაშოგ მინც გაილეკებს ხოლმე სახეობრივი ხილვის მარგალიტები, რომელთა ბრწყინვალება ისევ ე. წ. იდეურობის ნისლით იბურება:

**ახლა ხალხების ძმობა გულიდან
ერთ ამოკვეთილ ღარზე წავიდა,
შთერალი ვართ ძმური სიყვარულითა,
როგორც მაისის მიწა მწვანითა.**

ამ სიმპტომატური პროცესის თვალნათლვ წარმოდგენის მიზნით, განვიხილოთ, თუნდაც ლექსი „ვეფხისტყაოსანს“, რომელშიც ვერ უცნაურად გვატყვევებს პოეტის მეტაფორული ჯადოქრობა, ხოლო შემდეგ გულდასაწყვეტად გვეჩოთიერება ლექსის ხელოვნური ფინალი.

„ვეფხისტყაოსანზე“ იმდენი რამ თქმულა და დაწერილა, რომ ამ ლექსთან პირველი შეხვედრისას, სათაურთან პაუზას რომ გააკეთებ, უცებ უნდობლობის ტალღა გადაგივლის, რაღა უნდა ითქვასო ახალი ამ წიგნზე, მერე კი სიამოვნებით დაიჯერებ, რომ გიორგი ლეონიძემ ფრიად საკადრისი გვირგვინი დაადგა ეროვნული პოეტური გენიის ამ დიდებულ გამობრწყინებას.


**ხელში ავიღებ, გაკოცებ,
კიდევ ჩაკოცნი, ჩაკეპერი...**

ასე დინამიურად იწყება ლექსი და ლირიკული გმირის ეს სულმოუთქმელი განცდა უკვე მიგვანიშნებს იმაზე, რომ პოეტის შთაგონების წყაროდ ქცეულა რაღაც ძალზე სანუკვარი, სათაყვანო და მსასოივარი, რომელთან მიახლოვებაც ზომიერი, მშვიდი ვრძნობით არ ხერხ-

დება. აქ თითქოს აღარ უკმრთნებდნენ მოქმელი სიტყვა – „გაკოცნი, ჩაკეპერი“ – სიყვარულსაც ნიშნავს და მოკრძალებულ თავიანთცემასაც. ასე შეიძლება აკოცო ხატს, დედას, შვილს, მონატრებულ მშობელ მიწას, მაგრამ „კიდევ ჩაკოცნი, ჩაკეპერი“ – უკვე სულ სხვა რამაა, აღერისისა და მოფერების უკმარობის ნიაღვარია, თავშეუკაცებელი, დაუოკებელი ფინია, ყველასი და ყველაფრის სიყვარულს რომ ითავსებს. ამას მოსდევს ძარღვიან პოეტურ სახეთა მთელი სიმდიდრე, სულის ცეცხლით აღზევდილი შესხმა, სადაც თანაბარი ძალით დომინირებს შუქების ობიექტის მხატვრულ-ესთეტიკური და ეროვნულ-პატრიოტული ფენომენი, თან ეს იმგვარად არის მიღწეული, რომ სახეობრივი ხატები დეკლარაციული მომენტით არ იზრდილება. პოეტური მეტყველების ეს მალალი რეგისტრი უსახლვრო აზრობრივ სიერცეს გადაშლის, სადაც ნატიფი ხაზებით ცოცხლდება ერის ისტორიაც და მისი საარსებო თუ შემოქმედებითი პოტენციალიც:

**წიგნი კი არა, ერგოლა ხარ
ჩამოქაფული ჩანქერის.
წიგნი კი არა, ბალი ხარ
ოქროს ცვარჩამოწვეთილი,
გამლილი ბაირალი ხარ,
ლექსის ფრთა გაუცვეთელი.
წიგნი კი არა, დილა ხარ,
ქართველი ხალხის ნათელი,
გულის ფეხებში ვინახავ,
გულში ხარ გამონათალი.
გკითხულობენ და გმღერიან
ღხენით გულამერცხლებულნი,
შენგან ჰკავს ხალხის სიცოცხლეს
სიკვდილი ღამარცხებული.**

აქ ლირიკული გმირის ხილვათა ნამდვილობა ზუსტად შეესატყვისება მკითხველის ემოციურ რეაქციას. აზრისა და განწყობილების ეს სასწაულებრივი თანხვედრა ხელშესახებს ხდის, ერთი მხრივ, ეროვნული ყოფის ტრაგიზმს, ხოლო, მეორე მხრივ, ამ ტრაგიზმის პოეტურ



სამოსელს, ქართულ ხასიათში ნადუღა-
ბებულ მხატვრულ რეფლექსიას.

საუკუნეთა წყვილად ახოდა ამ გენი-
ალური წიგნის კამკაში ნათელი, ბევ-
რჯერ გაძარცვეს საქართველო სულით
ხორცამდე, მაგრამ ეს ფასდაუდებელი
განბი დარჩა წაურთმეველი, რადგან ამ
წიგნს სახიზრად მღვიმე და გამოქვაბუ-
ლი არ უძებნია, ბინად არწივის ფრთა
და კერიის ნაცარი ჰქონდა დაგულბუ-
ლი. წვედენენ და არ იწყებოდა, სპობდ-
ნენ და არ იხპობოდა, დევნიდნენ და არ
იღვენებოდა, რადგან თავისუფლების
წყურვლითა და ბრძოლის ვინით იყო
ნაკები მისი შეუკალი ციტადელი:

**შენ ხმალის ტარზე გეწერა
ანდერძი ოქროსხმოვანი:
„სჯობს სიცოცხლესა ნაზრახსა
სიკვდილი სახელოვანი!“**

რა ქსოვდა სტრიქონთა ამ თილისმას,
თუ არა ცისკრის კამკაში, „ხეთა ხმა,
ზეკათა დგრიალი“, ქალის მშვენიერი წა-
მწამი და ვეკაცის გმირული მკერდი?!
მას „წერდა ხალხი მხედარი, ბრძოლით
გულამოკირული“, ამიტომაც დღემდე
გრძელდება რვა საუკუნის მიღმა დაწ-
ყბული დიდებული სიმღერა. მისი
ბრძნული შეგონება ღვთიური მაღლივით
დადიოდა კარიდან კარზე, მტკივნის ია-
რას უშუშებდა, მოღბინეს ღბინს უს-
კცებდა, მიჯნურს ნუგეშად ევლინებო-
და, ხოლო ლაშქარს – დაუმარცხებელ
წინამძღოლად; განსაცდელის ეამს ხელ-
ში შთავონებით გვაძლევდა ხმალს,
ბრძოლის წადილს გვიღვიძებდა, ვაძა-
რჯვების რწმენას გვიწერებდა. ამ ხე-
ლისატყმა სიტყვამ, ამ ზღვარდაუდებე-
ლმა სიბრძნემ, ამ სულიერმა და ინტე-
ლექტუალურმა ნათელმა გაღაღაბა ერ-
ოვნული ზოგად, მსოფლიო სივრცეებს
დაეუფლა და „ჩამოურიგდა ქვეყანას,
როგორც დიდი მზის ნაწილი“. მას ვე-
ლგან იმედითა და სასოებით უღებენ კა-
რებს. ეს საკაცობრიო წიგნი ერის უკუ-
დაუების დასტურია, წინაპართაგან ნაა-
ნდერძევი სინდისია, ეამთასვლის მსა-
ნერალი ხელი რომ ვერ შეეხება.

ხომ ძნელია ერთ ლექსში ამდენის წა-
ტევა და ისიც – ძალზე მარტყუნსკის
რად, ისე, ლექსის კანონის მიხედვით
რძები რომ არ დაირღვეს, მისი ღირ-
კული სამოსი რომ არ შეიღახოს?! ვი-
ორეი ღვინიძე შესანიშნავად ახერხებს
ამას და მაინც უმთავრესი და უმნიშვნე-
ლოვანესი სათქმელი ბოლოსათვის აქვს
შემონახული:

**გაქანდი, ოქროს დიელო,
გაცდები ქვეყნის ნაირსა,
შენ, დედანემის მზითველო,
ფარ-ხმალო მამაპაპისა!**

ამ სტროფით დავეირვეინდა სულის
სიღრმიდან ეულკანივით ამოფრქვეული
ალტაცება. დედის მზითველი და მამა-პა-
პის ფარ-ხმალი ხომ წმიდათაწმიდაა, თა-
ვისებური ტაბუ რომ ადევს, იოლად და
ხელწამოსაკრავად რომ არ იხსენება,
რადგან მის შინაარსშია შენახული პი-
როვნების ღირსება და სინდის-ნაწილი.

ეს არის პოეტის გრძნობათა აძოთეო-
ზი, სადაც ლექსს უთუოდ წერტილი უნ-
და დაეხვას, რომ მისგან მიღებულმა
შთაბეჭდილებამ არსად წაიბორძიკოს,
რომ სულიერი კათარზისის გზაზე არა-
ვითარი დაბრკოლება აღარ განდეს,
მაგრამ... სწორედ აქ იწყება ის, რაც
უმაღ შეაფერხებს წვენ აღზევებულ გა-
ნცდას და უსიამოდ გვაფხიზლებს ეგზა-
ლტაციის ამ ფერადოვანი ზმანებიდან:

**რომელ გმირს ხელთ არ სჭერისხარ,
ვის გულში არა ელაჯი?
ვინც ნაკებობით მტკიცობდა,
როგორც თმოგვი და გელათი!**

**მაგრამ რა ხანატრელი ხარ,
რა აესებული ყელამდი,
როდესაც ხელში ავიღებს,
ღამით გკითხვლობს პელადი.**

განა შეიძლება იმის შორეული ვარა-
უდიც კი, რომ ამ შესანიშნავი ლექსის
პირველი ნაწილის ავტორმა არ იცოდა,
რა როლს შეასრულებდა ამ პოეტური შე-
დევრის მხატვრულ სრულყოფაში ეს ე-

ორე ნაწილი? რა თქმა უნდა, იცოდა, მაგრამ ამის აუცილებლობაც მყარად სწამდა, ხოლო ამ რწმენას უსასტიკესი პოლიტიკური სიტუაცია კარნახობდა.

ანალოგიური ტენდენციას გამოქვეყნებული ლექსში „დედა ენა“.

ჩვენი ყრმობის წიგნში ვარდნაბად ფურცლად ჩართულა „დედა ენა“, ჩვენ ხიყმაწვილეს ოქროსხშიან სიმებად რომ ამოხლართვია მისი შუქი, იავნანას ნიავს რომ მოჰყვა ჩვენს სმენამდე და აკვანზე მგალობელ ფრინველად შემოგვიჯდა, მაისის ვარდებით მორთული ბილიკით მოგვიტანა ყრმობის სურნელი.

ლირიკული ხილვისა და პოეტური მეტაფორების ამ საოცრებას ისეთივე ფი-

ნალი მოხდევს, როგორც ^{ერქვენული} ~~როგორც~~ ^{ჩვენი} ~~ჩვენი~~ ტფოსანს“:

**ამ წიგნიდან გაბრწყინდა
ქართლის დიდი მთიები,
პირველ ფურცელს გაშლიდა,
გამოხატულს იებით... და ა. შ.**

აქ ნუგეშად ისღა რჩება, რომ ამ უკიდურესი ტენდენციის მსხვერპლი მართოდენ ვიორგი ლეონიძე არ ყოფილა. ეს ხარეუხი საერთოა ოცდაათიანი წლების თითქმის ყველა ე. წ. საბჭოთა მწერლისათვის.

თუ ზემოთ ნათქვამი ღრმად არ ვირწმუნეთ, ობიექტურნი ვერ ვიქნებით ამდენი ლირიკული შედეგის ავტორის შეფასებაში.





საქართველოს მწერალთა კავშირი 1917—1997

(მთავარმოვლენათა ქრონიკა)

1938 წელი

— რუსთაველის იუბილეს შუქი 1938 წელსაც მოეფინა, მაგრამ კიდევ უფრო შორეულ წლებს გაჰყვა ზაფხად 1937 წლის საშინელებანი!

და მაინც დაუბრუნდეთ ჩვენს სიამაყესა და ჭირსა შიგან გამამაგრებელ რუსთაველს:

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტმა 10 ათას ვეზემპლარად გამოსცა სასაჩუქრო (ჯიბის, 7 სმX11 სმ) „ვეფხისტყაოსანი“.

რუსთაველის იუბილეს აისახა შალვა ნაგუნავას 5-ნაწილიან დოკუმენტურ ფილმში „შოთა რუსთაველი“, რომელშიც შემონახულია ფირზე აღბეჭდილი ბევრი ცნობილი ქართველი და სხვა ერის მწერალი და მეცნიერი.

— 28 წლის ი. აბაშიძე ინიშნება ფურნალ „ჩვენი თაობის“ რედაქტორად (1938-39).

— როგორც „ლიტერატურული საქართველო“ წერდა (№ 10), გამოჩნდა მწერალთა ახალი თაობა, რომელთა შორის პოეტებიდან ყურადღებას იქცევდნენ ირაკლი აბაშიძე, შალვა ამისულაშვილი, ანდრო თევზაძე, გიორგი კალანდაძე, რევაზ მარგიანი, ალექსანდრე საჯაია, ლადო უბილაყა, გაბრიელ ჯაბუშანური; ბელეტრისტებიდან — ვრიგოლ ნიქოვანი, ლავრენტი ჭიჭინაძე, კოტე ზიმშიაშვილი.

აბრილში მათ მწერალთა კავშირში შემოქმედებითი ხალამო გაუმართეს, დე-

კემბერში კი პრეზიდიუმმა მოსკოვს, ახალგაზრდა მწერალთა ერთობიან სემინარზე მიავლინა ლადო ავალიანი, შალვა ამისულაშვილი და სევერიან ისიანი.

— მწერალთა კავშირი ჯერ კიდევ ეძებდა თავის ორგანიზაციულ-სტრუქტურული აგებულების ოპტიმალურ ვარიანტს, ხელმძღვანელობის სწორ ფორმებს, მწერალთა საერთო კრებაზე კ. ნარკვიანმა გამოთქვა მოსაზრება — საჭირო არაა სექციები, ლაბორატორიულ მუშაობას სამდივნომ უხელმძღვანელოსო;

ს. კლდიაშვილი — „მწერლები თავიანთ საწარმოო დაზგას დაუბრუნოთ“. დღეისათვის მწერალთა კავშირში 180 კაცი შედის, აქედან სამი მეოთხედი საბჭოს წევრია, 28 — პრეზიდიუმისა. რა საჭიროა ამდენი მწერალი პრეზიდიუმსა და საბჭოში (ეს საკითხი შემდეგ წლებშიც არაერთხელ აღძრულა).

31. VIII — კ. ნარკვიანის საქართველოს კომპარტიის პირველ მდივნად დანიშვნის გამო მის ნაცვლად იმავე დღეს მისივე წინადადებით მწერალთა კავშირის პრეზიდიუმზე პ/მგ მდივნად (1938-39) დაამტკიცეს ალიო მამაშვილი.

3. IX — საკავშირო მწერალთა კავშირის პრეზიდიუმმა შექმნა სსრკ ხალხთა, მათ შორის ქართული ლიტერატურის კომისია პეტრე პავლენკოს ხელმძღვანელობით: მიკოლა ბაჟანი, პეტრუს ბროვკა, ვიქტორ გოლცევი, ბორის პასტერნაკი, ნიკოლაი ტიხონოვი, როგორც „ლიტერატურნაია ვაზეტა“ აღნიშნავდა, (1938. № 42), მანამდე მხოლოდ აპარატის ავადსახსენებელი ნა-

ციონალური სექტორის მეშვეობით ხორციელდებოდა კავშირი ეროვნულ ლიტერატურებთან.

15. X – ნ. ბარათაშვილის გარდაცვალების 93-ე წლისთავზე და განჯიდან თბილისში, დიდუბის პანთეონში გადმოხვენების (1893. 25. V) 48 წლის შემდეგ, ქართველმა ხალხმა „მერანის“ ავტორი ხსოვნის კვარცხლბეკზე კიდევ ერთი საფეხურით ამაღლების ღირსად სცნო და მის ნუსტს მთაწმინდაზე მიუწინა ბინა, ეტყობა, პარტიის ცკ-მ და შინსახკომმა, ისევე როგორც 1935 წელს ვაჟა-ფშაველას გადასვენებისას, შვერალთა კავშირს, მის კომისიას ახლაც ურჩიეს – საჯაროობას მიუვრიდეთო. ამის გამო იყო, რომ გადასვენება დილის 8 საათზე ჩატარდა. ამის შესახებ შედგა სათანადო აქტი („ლს“. 1938. № 25; „ლიტერატურული მატრიანე“, 1940 წ. 1-2. გვ. 481).

21. XII – ხელოვანთა სასახლის დარსებიდანვე (1921) მწერალთა კავშირის საზრუნავთა შორის ერთ-ერთი იყო კლუბისა და ბიბლიოთეკა-სამკითხველოს მოწყობა. ეს ორი დაწესებულება თანდათან ფაქტობრივად კლუბისათვის სათავეების გამოთავისუფლებისა და სახსრების გამოყოფის კვალობაზე. რამდენიმეჯერ კიდევ ეუწყა საზოგადოებას კლუბის ვახსნა. ბოლოს, 1938 წლის მიწურულს, მან მიიღო საბოლოო სახე – კლუბ-ბიბლიოთეკისათვის განთავისუფლდა სასახლის თითქმის მთელი პირველი ხართული და მწერალთა კლუბის სახეიპო ვახსნა, რა თქმა უნდა, ი. სტალინის დაბადების წლისთავს დაუკავშირეს. ამ ზეიმში მონაწილეობა მიიღეს მწერლებმა, მსახიობებმა, მომღერლებმა. მიუწყო ქანდაკებისა და მხატვრობის გამოყენა.

23. XII – გაიმართა გალაკტიონ ტაბიძის სალიტერატურო მოღვაწეობის 30-ე წლისთავის აღსანიშნავი საღამო. ამ თარიღს შესაფერისად გამოეხმაურა „ლიტერატურული საქართველო“ (№ 31).

წლის განმავლობაში:

– თბილისაპკოს დაუდგენილ ფეხსმეპის პანთეონის გაუქმება (შტკ. შპი) ქმრვე მიმხვდარან – ეს არ ივარგებსო და პანთეონის ნაცვლად თავისი დადგენილება გაუუქმებია (1939. II. IV).

– ელადიმირ მაიაკოვსკის ხსოვნის აღსანიშნავად ფილარმონიის დარბაზში გამართული საღამოს შემდეგ ბაღდათში მწერლებმა: გრიგოლ აბაშიძემ, კარლო კალაძემ, ალიო მაშაშვილმა, ილო მოსაშვილმა, მიქელ პატარიძემ, ბესო ელენტიმა, სიმონ ჩიქოვანმა მონაწილეობა მიიღეს ხზლომაში, რომელზეც დამსწრეთა სახელით გამოცხადდა მოთხოვნა – ბაღდათსა და მის რაიონს მაიაკოვსკი ეწოლოსო.

ჯერ კიდევ 1930 წელს პროლეტმწერალთა ასოციაციის ერთდროულ „დამკრულ ვახუთში“ (18. V) მოითხოვეს: დაბა ბაღდათის მაიაკოვსკი დავარქვათო. კი იფიარა კ. გამსახურდიამ – ქართველი მწერლის სახელი არ დარქმევიარცერთ ქალაქს და ბაღდათს რას ვერჩითო, მაგრამ... სსრკ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1940 წლის 13 აპრილის დადგენილებით სოფ. ბაღდათს დავარქვა მაიაკოვსკი, ბაღდათის რაიონს – მაიაკოვსკის რაიონი.

„ბაღდათის ფუნქციად ინტერნაციონალიზმის პოლიფონად ყოფნა იქცა. ინტერნაციონალიზმის სახელით ბაღდათი გაფიქრეს“ (ჯანსუღ ღვინჯილია, „ლს“. 19. № 11).

– 1938 წელს დახვეტილ ეროვნებით ებრაელ ქართველ მწერალს გრიგელ ბააზოვს სამ ტომად ჩაფიქრებული ჩვენი ებრაელების ცხოვრების ამსახველი რომან „ფეთხაინის“ მხოლოდ პირველი წიგნის დამთავრება დასცალდა.

1939 წელი

– საკ. კ(ბ) მე-18 ყრილობაზე (1939. 10-12. III) იოსებ სტალინმა რამდენიმე თბილი სიტყვა გაიმეტა საბჭოთა ინტელიგენციაზე. ამის საპასუხოდ ინტელიგენციის საქალაქო კრებაზე კ. გამსახურდიამ, შ. დადიანმა და ა. მაშაშვილ-

მა აღნიშნეს ქართული ინტელიგენციის, კერძოდ, მწერლების თანადგომა ახალი ქვეყნის მშენებელ ქართველ ხალხთან („ლს“, № 13, 14).

— აგვისტოში ფართოდ გამოეხმაურნენ 1000 წლისთავს სომეხი ხალხის დამპყრობლებთან მრავალსაუკუნოვანი ბრძოლის ამსახველი ეპოხის „დავით სახუნელის“ შექმნიდან.

25-29. IX — 1932 წლის შემდეგ განვიღო პერიოდში შემოქმედებითი და ორგანიზაციული მუშაობის შეჯამებას, მომავლის გეგმების დასახვას ეძღვნა მწერალთა ყრილობა, რომელმაც მოისმინა მოხსენებები ა. მაშაშვილისა — კავშირის მუშაობის შესახებ, შ. დდიანისა — სტალინის სახე ქართულ ლიტერატურაში, ს. ჩიქოვანისა — ქართული კრიტიკა, ი. მონაშვილისა — ლიტფონდის მუშაობის თაობაზე („ლს“. № 28-30).

მწერალთა კავშირის ხელმძღვანელმა ა. მაშაშვილმა განაცხადა: „ჩვენი მწერლობა და მისი ორგანიზაცია გზადაგზა იწმინდებოდა იმ მტრული ელემენტებისაგან და მოვლენებისაგან, რომლებიც ნიღაბაფარებით მოკალათებული იყვნენ რა ჩვენს ორგანიზაციაში, ხრწნიდნენ და ატალახებდნენ მას. გაქრნენ და განადგურდნენ კონტრრევოლუციონური ტროცკიზმის აგენტები ჩვენს მწერლობაში ტოროშელიძეების, დემეტრაძეების, ბუაჩიძეების, ქიქოძეების და სხვათა სახით“.

მართალია, ა. მაშაშვილს თანამდებობა აეკლებდა, მაგრამ არა მგონია იოლად ეთქვა — განადგურდნენო. ამის უკან ბევრ რამეში შემცდარი ინტერნაციონალისტები, მამა-პაპის საფლავთა და არაპროლეტარულ მწერალთა მაგინებლები იდგნენ. მაგრამ ისინი მაინც აღამიანები იყვნენ, ხოლო ქართველთა სათაფრანგებელი სახელები — მიზეზილ ჯავახიშვილი, ტიციან ტაბიძე, პაოლო იაშვილი რომ არ ახსენა (თუ მისი მოფიქრებული იყო). — ეს უკვე დიდი გამბედაობა იყო და ა. მაშაშვილის პიროვნებას კარგად ახასიათებს.

კლასობრივ ბრძოლებზე, „ხალხის მტრებზე“, „გამყიდველ-მოლაღატებზე“, კომუნისტ ბელადებზე დაწერილი ნაწარმოებები, რომლებიც ამ ყრილობაზე საქმიად ახსენეს, მედროვეობის ნაყოფი და უმთავრესად უნიჭოებაა.

ხოლო ისეთი ნაწარმოებები, როგორცაა იმ წლებში შექმნილი ტ. ტაბიძის „მე ყანალებმა მომკლეს არაგვზე“, „თამუნია წერეთელს“, „ლეკსი მკვფერი“, „ანანურთან“, „მამ გამარჯვება“, პ. იაშვილის „პოეზია“, „თბილისი“... გ. ლეონიძის „ნინოწმინდის დამე“, „სიმღერა პირველი თოვლისა“, „მევირალობა“, „ყიფაღის პაემანი“, „ოლე“, მ. ჯავახიშვილის ისტორიული რომანი „არსენა მარაბდელი“, კ. გამსახურდიას შორეულ საუკუნეში გათამაშებული დრამის („დიდოსტატის მარჯვენა“) თუ მწერლის თანამედროვე ცხოვრების არანაკლებ მწვავე მოვლენების ამსახველი („მთვარის მოტაცება“) რომანები; „თავადის ქალი მაიას“ ავტორის ლ. ქიქელის უკვე ხსენებული რომანი საკოლმეურნეო ცხოვრებაზე და ნოველები „აღმასვირ კიბულან“, „პაკი აბბა“, — ღღესაც გვაღელვებს და ჩვენს შთამომავლებსაც მიხიბლავს.

დრამატურგიიდან შეიძლება აღინიშნოს ი. ვაკელის „პარაკუნე ჭიჭიშვილი“ და პ. კაკაბაძის „კოლმეურნის ქორწინება“.

მრავალი წლის დამბულობის შემდეგ ს. ჩიქოვანის პირით მწერლებისადმი ფრთხილ მიდგომაზეც ითქვა: „კრიტიკოსებისათვის უდიდესი სიფრთხილე და სიფაქიზეა საჭირო, იგი ეხება იმ ტკივილებს თუ აღტაცებას, რომელიც შემოქმედს დიდი განცდებისა და შემოქმედებითი მუშაობის შემდეგ თავის მხატვრულ სახეებში გაუმღაფრებია. უნდა მოვახსენოთ, ეს დიდ გამბედაობასაც მოითხოვს და იგი დიდად საპასუხისმგებლო საქმეა“.

საკავშირო მწერალთა კავშირის ვამგეობის პ მგ მდივანმა ალექსანდრ ფადეევმაც კოლეგიალობის, მუშაობაში უპარტიოების ჩაბმის, უნდობლობის მოსპობის აუცილებლობას გაუსვა ხაზი.

ყრილობაზე გააკრიტიკეს ა. მამაშვილი, კოლევიალურ მუშაობას ვერ ახერხებს (ბ. უღენტო), ყოფილობას იჩენსო (დ. შენგელაია). ის არჩევნების შედეგად გამგეობაში ვერ მოხვდა, რამაც რესპუბლიკის ხელმძღვანელობა მოულოდნელი სიმნელებების წინაშე დააყენა. ა. მამაშვილის გამაგებამ ა. ფაღვევის გაოცებაც გამოიწვია. ჰკითხეს რჩევა და მისი ლოცვა-კურთხევით პ/მგ მდივანად ახალგაზრდა, 30 წლის ი. აბაშიძე აირჩიეს (1939-1944). აქ როლი ფირიმში, მწერალთა შემოქმედებით სახლში დაწყებულმა მათმა პირადმა ნაცნობობამაც ითამაშა. ი. აბაშიძის გარდა პრეზიდენტში შევიდნენ: შ. დადიანი, ს. ეული, ი. მოსაშვილი, შ. რადიანი, ლ. ქიაჩელი, ს. ჩიქოვანი (ავრუთე ლ. კვიციანი და ხ. ფლიკვი).

— შემოდგომაზე მოსკოვში ლიტერატურის ინსტიტუტში ორთვიან კურსებზე მიავლინეს ახალგაზრდა პოეტები მამია ვარშანიძე და ილია კაკაჩავი.

— საგურამოში ექსპლოატაციაში შევიდა მწერალთა შემოქმედებითი სახლი (ილიახული, 1936 წელს მწერალთა კავშირისათვის გადაცემული), რომელიც მოქმედებდა 1951 წლამდე.

1940 წელი

— პრაქტიკაში სულ უფრო მკვიდრდებოდა ლაბორატორიული მუშაობა — დაუბეჭდავ ნაწარმოებთა კითხვა-განხილვა. 27 იანვარს მოეწყო გ. ტაბიძის ახალი ლექსების განხილვა. პოეტმა წაიკითხა „რატომ ეძახიან საქართველოს პოეზიის მხარეს“, „წარწერა წიგნზე „მანონ ლესკო“, „ვიკონებ ყრმობას“.

7-8. II — გამგეობის პლენუმმა ბ. უღენტის პირით მწერლებს მოუწოდა მწერალთა კავშირის მუშაობაში მეტად ჩაებოთ. პრეზიდენტმა თვითკამაფოფილებას იჩენს, მწერლების აქტივიზაციითა და აპარატის გადემოკრატოლებით მეტის გაკეთება შეეძლო; მწერლების ერთ ნაწილს არ სურს სერიოზული განხილ-

ვის საგანი გახადოს თავიკი, ნაწარმოებები. იშვიათად იმართებენ უმჯობესი ბევრი ნაწარმოები შეუფასებელი რჩევათ („ლს“, № 6).

პლენუმზე ერთ-ერთ საკითხად იდგა ახალგაზრდა მწერლების კონფერენციის მოწვევა.

— ასეთ კონფერენციაზე მრავალი დღის განმავლობაში ახალგაზრდები იმენდნენ ლიტერატურისა და ხელოვნების ოსტატების მოხსენებებს, რჩევა-დარიკებებს.

ამ წელს მეორე ასეთი თათბირიც მოეწყო 17 ოქტომბერს. ამ თათბირებში მონაწილეობა მიიღეს შალვა ამისულაშვილმა და იოსებ ნონეშვილმა თბილისიდან, აღექსანდრე ბეგაშვილმა (ხილნალი), რევაზ ასავემა (ცხინვალი), ვრიგოლ იმედაძემ და მიხეილ კაკიტელაშვილმა (ქუთაისი), მამია ვარშანიძემ (ბათუმი).

31. III — აღინიშნა აზერბაიჯანელი პოეტისა და ჰუმანისტის ნიზამი განჯევის დაბადების 800 წლისთავი.

— ივნისში საქართველოში ჩატარდა აკაკი წერეთლის დიდი იუბილე. გაიმართა პოეტის დაბადების 100 წლისთავის აღსანიშნავი საღამო (27. VI) და გამგეობის საიუბილეო პლენუმი (23. VI), რომლის მუშაობაში მონაწილეობდნენ სტუმრები საბჭოთა კავშირის სხვადასხვა რესპუბლიკებიდან. მოხსენებები: აკაკის მსოფლმხედველობა (შ. რადიანი) აკაკი და ქართული საბჭოთა ლიტერატურა (ა. მამაშვილი), აკაკის პოეზია (პ. ინგოროყვა), აკაკი როვორც სიტყვის ოსტატი (ლევ. ასათიანი). ქართველი მწერლები და სტუმრები სხვიტორში დაესწრნენ აკაკის სახლ-მუზეუმის გახსნას (25. VI).

30. X-2. XI — მწერალთა საქალაქო თათბირმა იმსჯელა მწერალთა კავშირის მუშაობასა და ამოცანებზე. მომხსენებელმა, მწერალთა კავშირის პ/მგ მდივანმა ი. აბაშიძემ აღნიშნა სწორხაზოვნება, გაუბრალეობა და პრიმიტიულობა ს. თავაძისა და ხ. ეულის პოეზიაში, უჩვეულო მეტაფორების, ეპითეტების, გაუგებარი სახეების გამოყენება ს. ჩიქოვანთან, გა-



აკრიტიკა ა. მამაშვილის, ლადო ასათიანისა და მირზა გელაიანის ზოგიერთი სატრფიალო ლექსები. ი. აბაშიძე ა. მამაშვილის ლექსებზე (სტენოგრაშიდან): „ზოგჯერ მის ლექსებში ვგრძნობ უხაქმურობას“, „იბეჭდება ასეთი უხაქმური ლექსი“ (დამსწრე — „ქარგი ლექსია ხვათა შორის“; ა. მამაშვილი — „სიყვარულზე აკრძალულია ლექსის დაწერა?“) ჩვენი საბჭოთა პოეტები უნდა იბრძოდნენ აქტუალური იდეებისათვის. სვენ არ გვაქვს უფლება, რომ გოგოებს დაუწიოქოთ“.

პოეტისათვის ასეთი საჩინოო რჩევებს მიცემას ი. აბაშიძეს მწერალთა კავშირის ზელმძღვანელის თანამდებობა აძულებდა, თორემ პოეტ ი. აბაშიძეს ამ დროისათვის თავად ჰქონდა დაწერილი მშვენიერი სატრფიალო ლექსი „პირველი თოვლის სიმღერა“.

საქართველოს კომპარტიის მდივნის (აგიტაცია-პროპაგანდის დარგში) ილია თაყაიძისაგან კი ვახაკვირი არ იყო ამავე პლენუმზე სატრფიალო ლექსების დაწუნება და მწერლებისათვის ასეთი გეზის მიცემა: „ჩვენი მწერლები მარქსიზმ-ლენინიზმის პოზიციაზე დგას, ამ ფაქტმა მრავალ მწერალს სწორი გეზი მისცა დაწერა აღფრთოვანებული, გულწრფელი ლექსები, მოთხრობები და პიესები ლენინზე, სტალინზე, ჩვენი ქვეყნის მოწინავე ადამიანებზე“.

თანამდებობამ ი. აბაშიძეს მწერლებისათვის კიდევ ერთი უხერხული რჩევის მიცემა დაავალა. კერძოდ, მან, მხედველობაში ჰყავდა რა კ. გამსახურდია, განაცხადა: კრიტიკამ არ თქვა თავის დროზე, ამიტომ შე ვუბნები — თავისუფალი ფანტაზიით არაფერი არ იქმნება, ვველაფერი, რაც შექმნილია, დაკვეთით შეიქმნაო.

კომუნისტური დაკვეთა კი როგორი იყო, წინა აბზაცში მოგვახსენა ი. თაყაიძემ. ხოლო ამ დაკვეთით შექმნილი ნაწარმოებები რომ დღეს არავის ახსოვს, ესეც ფაქტია.

— ამ წელს გამოცემლობა „ფედერაცია“ გადავიდა. ახალ მისამართზე, მწერალთა ხანოვის გამზირი, № 181 („ლს“, 1940, № 32).

1941–1945 წლების ომი და მწერალთა კავშირი

1941 წელი შედარებით მშვიდობიანი ლიტერატურული ცხოვრებით დაიწყო (რამდენადაც შეიძლება მშვიდობიანი ყოფილიყო 1937–38 ტრაგიკული წლების შემდეგ):

ხსრკ სახკომსაბჭოს მარტის დადგენილებით ახლად დაწესებული (1940) სტალინური პრემიები მუენიჭათ გ. ლეონიმეს პოემისათვის „ბავშვობა და ყრმობა“ და ლ. ქიანელს რომანისათვის „გვადი ბიგვა“.

აბრილში განახილეს თედო ხახვიას „ზატოვანი ხიტყუბისა და თქმების“ წიგნი და ი. ლისაშვილის რომანი „ლადო კეცხოველი“...

იმართებოდა შემოქმედებისა და ხსოვნის საღამოები.

20 ივნისს, მწერალ კვვენი პეტროვის თანხლებით საქართველოში ჩამოსული ამერიკელი მწერალი (ჟურნალ „ლაიფის“ ახლად დანიშნული კორესპონდენტი მოსკოვში) ერსკიან კოლდუელი შეხვდა ქართველ მწერლებს, შემდეგ მკაში წასვლა უსურვებია და ი. აბაშიძეს კახეთში, ხირსაში წაუყვანია...

28 ივნისს უნდა აღნიშნულიყო მიხაილ ლერმონტოვის გარდაცვალების 100 წლისთავი.

წინ კიდევ მრავალი შემოქმედებითი ღონისძიება იყო, მაგრამ ქართველი ხალხის მწერლებისა და მწერალთა კავშირის მშვიდობიანი საქმიანობა დაარღვია ომის დაწყებამ...

23. VI — ორშაბათს, მწერალთა კლუბში გაიმართა მიტინგი („ლს“, № 26; „კომუნისტი“, № 147), რომელზეც კ. გამსახურდიამ განაცხადა: „ქართველი ხალხი, რომელიც დიდ ისტორიულ ბრძოლებში მუდამ დიდი რუსი ხალხის

ერთგული მოკავშირე იყო, მით უფრო ახლა გააახვევებს ბრძოლის უნარს იმისათვის, რომ წინი სამშობლო გამარჯვებულად გამოვიდეს", შ. დადიანმა კი მწერლებს მოუწოდა: „ღღეს, უფრო მეტად, ვიდრე ოდესმე, წვენი სიტყვა უნდა რაზმავედს მსხებს თავდაღებული შრომისა და ბრძოლისათვის“.

მწერლების საერთო მიხწრაფება კარგად გამოიკვეთა ა. აბაშელის ამ სიტყვებში: „კალამო! მხოლოდ შემუსვრა მტერთა! — გადავიწყვე სხვა ყველაფერი“.

იმავე ღღეს პრეზიდიუმმა იმხველა მწერლებისა და მათი ორგანიზაციის მუშაობის ომის შესაფერისად გარდაქმნაზე.

24. VI — კალაქციონი წერს ლექსს „მამულა, სიცოცხლე!“.

ჯერ კიდევ 1928 წელს გამოდის კრებული „წითელი არმია მხატვრულ ნაწარმოებებში“, 1930 წელს კი მწერალთა ფედერაციის პრეზიდიუმმა შექმნა სამხედრო კომისია, რომელშიც შედიოდნენ: კალე ბობოხიძე (კომისიის პ/მე მდივანი), კალაქციონ ტაბიძე, სიმონ ჩიქოვანი და არმიის წარმომადგენლები. კომისია ხელს უწყობდა ნაწარმოებების შექმნას პატრიოტულ თემებზე, კრებულების გამოცემას, შეხვედრებს წვეამდებლებთან, სამხედრო ნაწილებთან, სამხედრო მომზადების კურსების შექმნას, სადაც მწერლები სწავლობდნენ იარაღს და ემზადებოდნენ საველე რედაქციებში სამხედრო კორესპონდენტებად და ჟურნალისტებად მუშაობისათვის.

ივლინი

— „ლიტერატურულ საქართველოში“ (4. VII), რომელიც ომის სიღუბნირემ ორგვერდიანად აქცია, გამოქვეყნდა ა. მამაშვილის 25 ივნისის დაწერილი „სიმღერა გამარჯვებისა“.

— ქვეშეითის მწერალთა ბვარჯიხე სეზონი არ ვაიხსნა „ომის კამპანიაში“ მწერლები არ წავიდნენ დასასვენებლად“.

— მწერალთა კავშირში ჩამოყალიბდა სააგიტაციო-საბრძოლველო ბიურო, რომლის წევრებსაც პრეზიდიუმმა მოვკიანებით (3. IX) ასე გაუნაწილა ფუნქციები: ს. ჩიქოვანი (თავმჯდომარე), ვვალეზოვა კავშირი პრესასთან), შ. დადიანი (კავშირი თეატრსა და ესტრადასთან), ი. მისაშვილი (ურთიერთობა კინოსა და რადიოსთან), ხ. ეული, ხ. წვერაჟა (ბიუროს მდივანი, კავშირი არმიის ნაწილებთან, კლუბთან). ამ ბიურომ მწერლები მიამაგრა გაზეთების რედაქციებს, ოფიცერთა სახლს, სახკინმრეწვს, რადიოს, თბილისის ვაგზლის სააგიტაციო პუნქტს, არმიის ნაწილებს...

16 — მწერალთა კავშირმა პლებანოვის კლუბში მოაწყო ანტიფაშისტური ლიტერატურული საღამო.

— „ლიტერატურულ საქართველოში“ გამოჩნდა მოკლე და სხარტი სააგიტაციო თითოებრივიანი ლექსი-ლოზუნგები.

აპრილი

— მწერლებმა დაიწყეს თავდაცვის ფონდში პირადი დანაზოგი ფულისა და ობლიგაციების შეტანა, თბილი ტანსაცმლის შეკრობვა (ლხცსა, 8-1-891).

19 — „კომუნისტში“ დაიბეჭდა რ. გვეტაძის ლექსი „გმირულად დაღუპულ შალამბერიძეს“.

24 — იქვე გამოქვეყნდა ჭაბუკი პოეტის, არასრული 17 წლის ხუტა ბერულავას „ამხანაგო მიშაკოვ, ძმარ შალამბერიძე!“, რომელიც მალე სიმღერად გახშიანდა.

— „მწერალთა ნაწილი გადის სამხედრო მომზადების კურსს: სწავლობს სამწყობრო საქმეს, შაშხანას, ყუმბარის ტვირტნას, იერიშზე მისვლას... მალე დაიწყებს მომზადებას საბრძოლო იარაღით“ („ღს“, 1941, № 38; № 41 — რუბენ აკოფოვის ფოტო).

საქართველო

I — გამოხვლას იწყებს მწერალთა კავშირის მრავალტრიანო ნაბეჭდი კვლევის გახეთი „ლახვარი“ (სარედაქციო კოლეგია: ი. აბაშიძე, ა. მამაშვილი, ხ. ჩიქოვანი).

5 — „ლს“ მოწინავედან: „საქართველოს მწერალთა აქტივის ერთი ნაწილი უკვე წავიდა წითელ არმიამ; მწერლები წაივინდნენ პოლიტმუშაკებად, მეთაურებად, ნაწილითა გახეთების თანამშრომლებად. მაგრამ მწერალთა უმეტესობა, ძირითადი მასა თავის საკუთარ შვიდასთანა და სწორედ აქ არის საჭირო ჩვენი სამწერლო ორგანიზაციების მუშაობის იმგვარად მოგვარება, რომ იქნებოდეს მებრძოლი ნაწარმოებები.

უფრო უნდა ჩაეკაბათ რედაქციების, რადიოკომიტეტის, სახკინმრეწვის მუშაობაში“.

— „ლს“ (№ 39) აქვეყნებს ლ. ქიანელის ნოველას „მამა და შვილი“.

— ამ წელს მწერალთა კავშირმა, ქართველმა მწერლებმა ომის დროს მშობლიური კერიდან აყრილი მრავალი მწერალი შეიკვლეს:

მოსკოვიდან — ანა ანტონოვსკაია (რომელიც ახალგაზრდობაში აქ ცხოვრობდა და შემდეგში მრავალტომიანი რომანი „დიდი მოურავი“ შექმნა საქართველოს ისტორიიდან), ეიკენტი ვერესაევი (აქ თარგმნიდა „ილიადასა“ და „ოდისეას“, წერდა „მოთხრობებს წარსულზე“, რომელიც წიგნად თბილისში გამოვიდა 1942 წელს), ადრე საქართველოში ნაცხოვრები რიურიკ ივნიევი, ალექსანდრ ფევრალსკი (შემდეგში დაწერს წიგნს „მოთხრობით საქართველოზე“), მანამდე საქართველოში ნამყოფი, აქაურობას შეთვისებულ-შეგვარებული ვახილი კამენსკი (აქ წერდა პოემას ერმაკზე), ივან ნოვიკოვი (აქ დაწერა წიგნი „ბუშკინი სამხრეთში“);

ლენინგრადიდან: ვლადიმირ ორლოვი (რომელსაც ქართველი ცოლი ჰყავდა);

უკრაინიდან: იური კარსკი (შემდეგში აქ დარჩა სამუდამოდ);

ასევე თბილისს შეაფარეს რედაქციის სეთში მცხოვრებმა ჩვენმა კლასიკურმა ლელებმა ნატო ჩხეიძემ, ელიზბარ ანანიამვილმა, ვლადიმერ ტატიშვილმა.

1942 წელი — იანვარში მწერალთა კავშირის პ/მგ მდივანი ი. აბაშიძე წერდა („ლს“, № 2): „ჩვენი კრიტიკის თვალსაზრისით მუშაკები ვიორგი ნატროშვილი და ლექსანდრე სულავა იმ დიდი ცეცხლის შუაგულში იბრძვიან, სადაც უშუალოდ იწრთობა და იჭედება ჩვენი ქვეყნის გამარჯვება გერმანიის პირისხილიან ფაშიზმზე. ისინი წაივინდნენ ფრონტზე როგორც მწყობრის მებრძოლი მეთაურები, როგორც მოქმედი არმიის სახელოვანი ჯარისკაცები.

წითელი არმიის რიგებში იმყოფებიან მწერლები: დემნა შენგელაია, შალვა რადიანი, ა. ვომიაშვილი, კალე ბობოხიძე, ახალგაზრდა მწერლები: მირზა გელოვანი, შ. ამისულაშვილი, კ. ხიმშიაშვილი, ა. სიჭინავა, ი. ჩხაიძე...“

მწერალთა კლუბში გაპართულ (16) ახალგაზრდობის ანტიფაშისტურ საღამოზე გერონტი ქიქოძის მოხსენების შემდეგ იოსებ ნონეშვილმა წაიკითხა ლექსი „ქართულის დიდება დაიკვთა“. გამოვიდნენ ლადო ავალიანი, ლადო ასათიანი, მარიკა ბარათაშვილი, კლავდია დევდარიანი, ანდრო თევზაძე, ვიორგი კალანდაძე, რევაზ მარგიანი, მიხეილ მრეველიშვილი, გრიგოლ ჩიქოვანი. საღამოში მონაწილეობა მიიღო ახალგაზრდა კომპოზიტორმა დავით თორაძემ.

— მოსკოვთან გერმანელების განადგურების ერთი თვის შემდეგ ი. აბაშიძე, გ. ლეონიძე და ა. მამაშვილი მოსკოვს გაემგზავრნენ დალენილი, გაპარტახებული ქალაქების, სოფლების, მიწისაგან აღველი რკინიგზის სადგურების გველით. მათთან ერთად „მიემგზავრებოდნენ მიხაილ ხვეტლოვი და ირაკლი ანდრონიკოვი, რომელთაც თბილისში ევაკუაციაში ჩამოვეყანათ ცოლ-შვილი და ახლა ისევ მოსკოვში ბრუნდებოდნენ ჯარის ნაწილში გამოსაცხადებლად“ (პი-

რეველსთვის საქართველო ცოლის, მეორისთვის — მამის სამშობლო იყო).

ქართველმა მწერლებმა მონაწილეობა მიიღეს 1942 წლის იანვრის საკავშირო პლენუმში, დაათვალიერეს მოსკოვის ოლქის განთავისუფლებული რაიონები, ესტუმრნენ ვორელი მაიორის ვახივის ძირითადად ქართველებით დაკომპლექტებულ ჯავშნოსან მატარებელს (ვ. ლეონიძე, „ვახივის ჯავშნოსან მატარებელზე“, „ლს“, 1942, 15. II; ი. აბაშიძე, „მოსკოვი 1942“, „ლს“, 1982, № 3).

— ომის სასტიკ დღეებში საერთო სამწერლო და კულტურულ ცხოვრებასაც ექცეოდა ყურადღება. 1942 წლის 10 აპრილს მოეწყო ს. ნიქოვანის ლექსების ციკლის „დავით გურამიშვილის“ კითხვა-განხილვა, დეკემბრის მიწურულს — მრავალდღიანი დისკუსია კ. გამსახურდიას „დავით აღმაშენებელზე“, რომელიც აღიარეს „სანიშნუი ისტორიულ რომანად“, „ქართული პროზის მიღწევად“ (შ. ნუცუბიძე, ბ. ფლენტი). ამ წელს აღინიშნა ნ. ბარათაშვილის დაბადების 125 და დ. გურამიშვილის გარდაცვალების 150 წლისთავი.

კიდევ ერთი საკვირველი ფაქტი — თბილისში 22 მაისს გაიხსნა შოთა რუსთაველის ძეგლი: „დამთავრდა ძეგლის აწევა და კვარცხლბეკზე დადგმა. უახლოეს ხანში დაიწყება მუშაობა ძეგლის და მისი მომიჯნავე ფასადების ტერიტორიის გასაფორმებლად. ძეგლის გარშემო ბაღი გაშენდება, ძეგლის წინ მოაჯირის ორივე ფრთაზე დაიდგება ვეფხვის ქანდაკება“ („კომუნისტი“, 1942, 23. V).

მაგრამ მთავარი საზრუნავი მაინც ომი იყო:

— ივნისში კავკასიის დამცველ 414-ე ქართულ დივიზიას ეწვივნენ მწერლები შ. დადიანი, ა. თევზაძე, კ. ლორთქიფანიძე, ს. მთვარაძე, ი. მოსხაშვილი, რ. ქორქია.

— როცა მტერი კავკასიონს მოუახლოვდა, 23 აგვისტოს რუსთაველის თეატრში გამართულ ამიერკავკასიის ხალხთა ანტიფაშისტურ მიტინგზე კ. გამსახურდიამ თქვა: „სამარცხენიო უღელს მო-

ნობისას არასიღეს არ შურთოდება პროგრესული კაცობრიობა“ (შ. ნუცუბიძე, „გურამიშვილი მოეწოდეს ვ. ქიქოძემ, სამედ კერლუნმა (ახერბაიჯანი) და ნაირი ზარიანმა, იოსებ ორბელმა, დერენიკ ლემირკიანმა (სომხეთი).

— ჩრდ. კავკასიაში ბაქსანისა და ჩეგემის ხეობაში დისლოცირებულ 312-ე ქართულ დივიზიას ესტუმრნენ ი. აბაშიძე, ა. მამაშვილი, ს. ნიქოვანი, სწორედ აქ, სოფ. ფსიხოდში აჩვენეს მათ სამიო საფლავი, სადაც განისვენებდნენ პოლიტიკელი ი. შუბითიძე და ბატალიონის მეთაური კაპიტანი მ. ბუზაძე, რომელთაც ი. აბაშიძე იცნობდა გორიდან (სადაც ეს დივიზია ჩამოფალიდა).

ი. აბაშიძემ იმ დამით ნაღნიკის ახლოს ტყეში დაწერა ლექსი „კაპიტანი ბუზაძე“, რომელიც 4 ხექტემბერს დაიბეჭდა ამ დივიზიის ვახეთში „წინ, გამარჯვებისაკენ“, მალე კი ხიმღერად გახმურდა „ლურსმანაშვილის გმირობასთან“ ერთად.

— 1942 წელს „ფედერაციაში“ ისევ გამოცემა კრებული „სამშობლოსათვის“, აგრეთვე „ქართული პატრიოტული პოეზიის ანთოლოგია“ (ლევან ასათიანის რედაქციით), წიგნები — გ. ტაბიძის „მშობლიური ჩემო მიწა“ ა. აბაშელის „გმირული დღეები“, ს. კლდიაშვილის „ომის კანონი“.

— როცა მაისში კავკასიონისაკენ გაფორებით გამოჭრილი ვერმანელები ხექტემბრისათვის მთავარ ქედს მოადგნენ, ხელთ იგდეს უღელტეხილები და ზოგი კიდევ ვადმოღახეს, — 12 ხექტემბერს „ლს“ ბეჭდავს ა. აბაშელის ლექსს — მოწოდებას „არ მოუშვა, დაკარგი!“

1943 წელი — ამ კრიტიკულმა დრომ მწერალთა კავშირის ცენტურის გაკაცობა უკარნახა (თითქოს მკაცრი არ იყო) და გამგეობის მოთხოვნის შესაბამისად პრეზიდიუმმა წინა წლის 12 დეკემბერს შექმნა სარედაქციო კომისია, რომელსაც ვეალებოდა მწერალთა კავშირის გამომცემლობის მიერ წარდგენილ ყოველ განხილულ ნაწარმოებზე წერილი-

ბთი დასკვნის გამოტანა მისი გამოცემის მიზანშეწონილობის თაობაზე.

საბოლოო გადაწყვეტილებას პრეზიდენტმა იღებდა.

ამ სარედაქციო კომისიაში (ანუ ერთგვარ შინა ცენზურაში) შედიოდნენ: ლეო ქიანელი (თავმჯდომარე), აკაკი გაწერელია, გიორგი ლეონიძე, პესო ფლენტი, გეორგი ქიქოძე, ალექსანდრე ქუთათელი, დემნა შენგელია.

კომისიის მდივნობა შთავსებით დაეწავლა მწერალთა კავშირის შტატის მუშაკს მწერალ კლავდია დევედარიანს.

კომისიას დაუყოვნებლივ მიეცა სამუშაო. მწერალთა კავშირის პრეზდიუმმა (ესწერებოდნენ: პ/მე მდივანი ი. აბაშიძე, შ. რადიანი, ს. ჩაქოვანი და კომისიის თავმჯდომარე, ამავე დროს პრეზდიუმის წევრი ლ. ქიანელი) მწერალთა კავშირის გამომცემლობის დირექტორის რ. გვეტაძის თანდასწრებით განიხილა: „გამომცემლობა „საბჭოთა მწერლის“ მიერ გადმოგზავნილი ლაღო ასათიანის ლექსების კრებულის „წინაპრების“ დაბეჭდვის შესახებ სარედაქციო კომისიის დასკვნა“ და დაადგინა — „უარყოფილი იქნეს სარედაქციო კომისიის დასკვნა ლაღო ასათიანის ლექსების წიგნის გამოცემის შესახებ.

წიგნი არ გამოიცეს“.

ოქმს ხელს აწერენ მწერალთა კავშირის პ/მე მდივანი ი. აბაშიძე და სხდომის მდივანი იროდიონ ქაქუჩიანი (ლხცსა, 8-1-942-2).

ამ დადგენილების თანახმად დაჭრეს დაბეჭდილი წიგნის თითქმის მთელი ტირაჟი (გარდა საავტორო ცალკებისა).

29. I — პრეზდიუმმა კიდევ ერთი წიგნის — ლაღო ავალიანის ნოელების კრებულის გამოცემაზე შეიკავა თავი.

— 23 ივნისს გარდაიცვალა ლაღო ასათიანი (დაკრძალეს ვაკის სასაფლაოზე, 1968 წელს გადაასვენეს დიდუბის პანთეონში). მას 1937 წელს ანტისაბჭოთა საუბრების ბრალდებით დედის დაპატიმრება-დაკარგვასთან და უკურნებელ სენითან ერთად სიცოცხლე იმანაც მოუხწერა, რომ დაუჭრეს დაბეჭდილი წიგნი,

რომელიც ზოგიერთ მეტიმეტად ფიზიკურად თანამოკალმეს ომის შემდეგ დაბეჭდვის სათვის შეუფერებლად ეჩვენა.

— ნელ-ნელა დაიწყო მწერლების დაბრუნება ფრონტიდან. აი, ჩამოვიდა 1941 წლიდან ფრონტზე ნაყოფი, დაჭრილი ოცმეთაური გ. ნატროშვილი. „ლს“ (№ 19-23) აქვეყნებს მის „ფურცლებს ხაფორნტო დღიურიდან“, წიგნად გამოდის მისი „დასაუღეთის ფრონტზე“. მაღლე იმ, 1938—1941 წლებში მწერალთა კავშირის მთავარი ლიტერატურული გაზეთის რედაქტორის შოადგილად ნამოღვაწარი, სათავეში ჩაუდგა და 20 წელიწადს ხელმძღვანელობდა გაზეთ „ლიტერატურა და ხელოვნებას“, რომელიც 27 ოქტომბრიდან გამოსვლას იწყებს „ლიტერატურული საქართველოს“ ნაცვლად და ისევ 4-გვერდიანი ხდება.

კიდევ რამდენიმე ფაქტი 1943 წლის ლიტერატურული ცხოვრებიდან:

— ქ. ანაპაში მდგომ 414-ე ქართულ მხროლველ დივიზიას ეწვია გ. ლეონიძე. იქ დაწერა ლექსი „ქართველ მეომრებს“ და წაიკითხა ნაწილებში. იქვე, ტაშანის ნახევარკუნძულზე უცნობი ქართველი მეომრის ლევანის საფლავის ნახვამ შთააგონა ცნობილი ლექსი „არ დაიდარლო, დედაო“.

— „ლიტ. და ხელოვნებაში“ (№ 9) გამოქვეყნდა ქ. გამსახურდიას წერილი „ტეტელონური სიმშავე“: „ახლოდება ფაშისტი არამზადების განკითხვის დღე. ჩვენი ქოჩორა ბიჭების სისხლი უნდა ვახლევიანოთ ფაშისტი კანდალებს, სახრჩობელა არ ასცილდება ბერლინელ ყაჩაღებს, რომელთაც თავს მოგვახეივს ეს საშინელი ომი“.

— ნოემბერში ოპერის თეატრში გაიმართა გ. ტაბიძის დაბადების 50 და სამწერლო მოღვაწეობის 35 წლისთავის აღსანიშნავი საღებო საღამო. „ლიტ. და ხელოვნებაში“ საიუბილეო ნომერში გამოაქვეყნა პოეტის ლექსები: „იმ დღეებს ძეგლი უნდა აუგო“, „ეწერ ვინმე მესხი მეღვინე“, „სამშობლოს დროშა ფრიალებს“ და პატარა მისალმება, რომელსაც ხელს აწერენ ი. აბაშელი, გ. აბ-

ამიძე, ი. აბაშიძე, ი. გრიშაშვილი, ვ. ლეონიძე, ს. ჩიქოვანი.

— ლექსებში „კომუნისტში“ დაიბეჭდა გ. აბაშიძის პოემა კავკასიის დაცვაზე „ძლევის ქედი“; მოუწო (25. XII) ფრონტიდან მებრძოლთა მიერ გამოვზაინილი ლექსების კითხვა. ლექსები შეურჩევია გ. ტაბიძეს, რომელსაც „კომუნისტის“ რედაქციაში უკისრია ფრონტიდან გამოვზაინილი ლექსების რედაქტირება.

1944 წელი — სიმღერებად გახშირდა ახალგაზრდა პოეტების ხ. ბერულავასა და ფრ. ხალვაშის ლექსები ომის გმირ მებრძოლებზე ჭიჭიკო ბენდელიანზე და ისრაფილ ჯინჭარაძეზე.

22-23. II — საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილ წევრებად აირჩიეს კ. გამსახურდია, გ. ლეონიძე და გ. ტაბიძე („კომუნისტი“, 1944, № 40).

— პლენუმზე (20-23) საქმაოდ მკაცრად გააკრიტიკეს მწერალთა კავშირის ხელმძღვანელობა:

გ. ქიქოძე — „ჩვენს ლიტერატურულ ოჯახს გადახალისება სჭირდება, უფრო მოქმედი და ნიჭიერი ელემენტების წინ წამოწევა, უფრო ორგანიული დაკავშირება ჩვენი ხალხის პოლიტიკურ და საზოგადოებრივ ცხოვრებასთან“.

დ. შენგელაია — „იმის გამო, რომ მწერალთა კავშირის ხელმძღვანელობამ ვერ შექმნა ხალი ატმოსფერო პრინციპული კრიტიკისათვის, ფეხი მოიკიდა წუნმა და ხალტურამ მხატვრული შემოქმედების თითქმის ყველა ფანრში, ფეხი მოიკიდა მეტად რთული პრობლემების უაღრესად იოლი და ზერელე გადაწყვეტის პრაქტიკამ ჩვენს ისტორიულ რომანებსა და დრამებსში“.

კ. გამსახურდია — პრეზიდიუმის მუშაობა „აუცილებლად მოითხოვს, რომ მოისახოს მწერალთა წრეში ხელოვნურად შექმნილი რეპუტაციების დაპირისპირება ნამდვილი მწერლობისათვის“.

ყოველივე ამის შედეგად შეიცვალა ერთპიროვნული ხელმძღვანელობა, ისევ შექმნილ თავმჯდომარის თანამდებობაზე აირჩიეს ს. ჩიქოვანი, (მუშაობდა

1951 წლამდე), პ/მ მდივნად კ. ჯიბლაძე („ლბ“, 1944, 21.12.1944).
— ახალი ხელმძღვანელობის მიერ აპრილში გამართული თათბირიდან:

ს. ჩიქოვანი — „მწერალთა კავშირი უნდა გადაიქცეს იმ კერად, სადაც უნდა ხდებოდეს მწერალთა შემოქმედებით ინდივიდუალობის გამოვლინება, სადაც უნდა იქმნებოდეს საზოგადოებრივი აზრი მხატვრულ ნაწარმოებზე. მწერლის ინდივიდუალობის გამოვლინება, მისი თვითონული ნაწარმოების შეფასება არ უნდა დარჩეს მართო კრიტიკოსების საქმედ, მხატვრულ კრიტიკას ხელი უნდა მოჰკიდონ ჩვენმა პოეტებმა, ჩვენმა პროზაიკოსებმა და სხვა ვანრის მწერლებმა. ერთი-მეორის შესწავლა ხელს შეუწყობს ჩვენს შემოქმედებით ზრდასაც, გააძლიერებს აზროვნების უნარს, ააძლიერებს კვალიფიკაციას“.

პლენუმისა და აპრილის თათბირის გადაწყვეტილებათა შესასრულებლად პრეზიდიუმმა განიხილა „მნათობის“ რედაქციის მუშაობა და აღნიშნა სარედაქციო კოლეგიის ხუხტი საქმიანობა, მთელი მუშაობის დაკისრება ორ-სამ პასუხისმგებელ მუშაკზე. ასეთი განხილვა განმეორდა 1945 წლის ივნისში.

1945 წელი — 19-20 ოქტომბერს გამართა ნ. ბარათაშვილის გარდაცვალების 100 წლისთავის აღსანიშნავი საღამო, გამგეობის პლენუმზე კი პოეტის შემოქმედების მრავალმხრივი ანალიზი წარმოადგინეს. ამ თარიღთან დაკავშირებით საქართველოს სახკომსაბჭოს დადგენილებით თბილისში მუხრანის ქუჩას, ხიდს, კალიაევის აღმართს და ვორის პედინსტიტუტს პოეტის სახელი ეწოდა.

გახშირდა ომისდროინდელი მწერლობის, მისი დანაკარგების შეფასება.

ჯერ დანაკარგებზე.

სასტიკმა ომმა ბევრი იმედის მომცემი მწერლის სიცოცხლე იმსხვერპლა, „მათგან მხოლოდ მირზა გელოვანის სა-

მარვა ცნობილი. ბრიანსკის ხანძარმოკლებულ ნაძვანარში დაიკარგა სვეტიცხოველის კვალი. სვეტიცხოველში შეწყდა ვიორგი ნაფეტვარიძის გულისძგერა. ღაღო უბილა და ია ჩხაიძე ქერნის ტრაგედიაში შეიწირა. ამ ომში დაიღუპნენ შალვა იოსელიანი, სანდრო ფლენტი, დავით პატატაშვილი, ნიკოლოზ კოპალიანი, ასლან ყონიაშვილი, მინელი ფოფხაძე. მათგან ყველაზე უფროსი — ალკა ხულა და სურ უმცროსი ვაჟია ფხოველი“ (ნ. ავაშივილი, ვითარებებიდან ვპირნი ძველად, „რს“, 1974, № 8).

სამწუხაროდ იყო სხვა დანაკარგებიც.

ქართველების ნაწილში მათ შორის მწერლებში წარმოიშვა იმედი — იქნებ ჩვენი ჩამყლაპავი იმპერია მკორე იმპერიამ დაანგრიოს და ჩვენი განთავისუფლების შანსი განჩნდესო. ამ იმედით 1941 წელს შეთქმულათგან სხვა საუკეთესო ქართველებთან ერთად დახვრიტეს უკვე აღიარებული ახალგაზრდა მწერლები კოტე ხიმშიაშვილი და ვიორგი მიგვაშვილი, აგრეთვე ვიორგი ქადაგიძე და თურმან შანშიაშვილი.

7-7 წელი მიუსაჯეს საკმაოდ ცნობილ მწერლებს, პოეტ ვიორგი კალანდაძეს და დრამატურგ კიტა ბუაჩიძეს (სწორედ ომის წინ მარჯანიშვილის თეატრში დაიღვა მისი პიესა „მკაცრი ქალიშვილები“).

სამშობლოს ბედზე ფიქრისა და ზრუნვისათვის მოსპეს აღამ ბობღიაშვილი (აღვანელი).

ომის თუ შემდგომ წლებში კიდევ რამდენიმე მწერალი კარგა ხნით გადაკარგეს რუსეთისა და შუა აზიის კატორღებში: ჭაბუა ამირჯიბი, მარი აბრამიშვილი, ღაღო ბალიაური, ალექსანდრე ბეგაშვილი, ოთარ კანდელაკი, რამაზ კობიძე, ვივი მალულარია, შალვა მჭედლიშვილი, ოტია პაჭკორია, ალექსანდრე სიგუა, რამდენიმე იმედის მომცემი ახალგაზრდა შემოქმედი...

ტყველანამყოფობისათვის გატანჯეს: ბიძინა აბულაძე, მირიან აბულაძე, ღაღო ხულაბერიძე (მისი პირველი წიგნის

„ვირიძის ღამეების“ შესაგინდად გამზადებული ტირაკი დაწვეს) (ს. მანუჩიანი, 1991, № 6).

ემიგრაციაში ყოფნისათვის აწვალეს: ოთარ ნიჯავაძე და ლევან ხაინდრაკი.

— ოპისდროინდელი მწერლობის შეჯანებას ეძღვნა მრავალღღიანი დისკუსია (1945. 19-28. III) და გამგეობის პლენუმი (1945. 23-25. VII).

დისკუსიაზე პოეზიის შესახებ აღინიშნა: „ომის პირველ პერიოდში, რომელსაც სამშობლოს დაცვას და მოხსენებელ მტერზე გამარჯვების მისწრაფებას ერთსულენად გამოხატავდა, უმთავრესად ე. წ. დეკლარაციულობის, ამაღლებული, მომწოდებელი პათეტიკის დღი აჩნდა. შემდეგ, როცა პოეტები ფრონტზე გაემგზავრნენ, თოფის წამლის სუნი იყნოსეს, შეიქმნა უფრო მაღალმხატვრული ნაწარმოებები. სწორედ ფრონტზე ნანახმა შესძრა და უშუალოდ განცდილმა შეაქმნევინა გ. ლეონიძეს „არ დაიღარღო, დეღო“, ი. აბაშიძეს „კახიანი ბუხაიძე“ (რომელსაც მღერთან ფრონტზეც და ზურგშიც), „როცა ბრანდუნურგს უახლოვდები“, ა. მაშაშვილის „მყინვარი“, დ. გაჩეჩილაძის „ძაბილი უკვდავებისა“. ამ დღეების გამაფრებულმა პატრიოტულმა გრძნობამ წარმოშვა ს. ჩიქოვანის „ვიინა სიქვა“.

გამგეობის პლენუმზე კი მოიხმინეს ს. ჩიქოვანის მოხსენება „ქართული ლიტერატურა 1944—1945 წლებში“, რომელშიც პოეზიაზე ითქვა: „ჩვენმა პოეზიამ ჩამამულო ომის პერიოდში განიცადა მხატვრული აზროვნების განვითარება, მხატვრული სახეების პლაკატური ფორმადან იგი თანდათან ჩვენი სინამდვილის დრმა ღირიულ ასახვას შეუღდა, განთავისუფლდა „ლუბოკის“ იერის პლაკატური აზროვნებიდან, იგი განვითარდა და მიიღო სრულყოფილი პოეტური სახე“; ყურადღება გამახვილდა პროზის ნამორჩენილობაზე, მომხსენებელმა და საქართველოს კომპარტიის ცკ-ის მდივანმა პეტრე შარია ამინიშნეს ისტორიული თემებით ვატაცება, ზოვიერთ პოე-

ტაა შემოქმედებაში (ა. მაშაშვილი, ვიქტორ გაბესკირია) უსაგნო ლირიკის თავისხენა, სხეუბთან — პოემის დაქვეითება (ს. შანშიაშვილის „ღელა“).

კ. გამსახურდიას წერილს „თანამედროვე რომანისათვის“ („ლხ“, 1945 აპრ.-მაის-ივნისის ნომრები) მწერალთა კავშირის პ/მგ მდივანი გ. ჯიბლაძე გამოეპასუხა წერილით „ანტრაქტების „ფილოსოფია““ („კომუნისტი“, 1945, № 147), რომლის სათაურშივე იგრძნობა შეურაცხყოფელი დამოკიდებულება მწერლისადმი (სიტყვა ფილოსოფიის ბრჭყალებში ჩასმა).

კ. გამსახურდიამ „კომუნისტი“ რედაქტორს გაუგზავნა პასუხი. თვითონ კი საჯაროდ თქვა სიტყვა. ცხადია, სიტყვა მწვავე იქნებოდა ამის გამო მწერალთა კავშირის პრეზიდიუმს კ. გამსახურდიას თავის სხდომაზე მიუწვევია. მან პრეზიდიუმს წერილი გაუგზავნა:

„ტფილისი, 1945. 15. 08.

საქართველოს მწერალთა კავშირის პრეზიდიუმს:

როგორც ვადმოძეხ, პრეზიდიუმს ნდობება დღეს მიეწვევ კრებაზე.

I. საერთოდ, როცა ვნებაზე ჩემი თქვენს კრებაზე მიწვევა, ვთხოვთ მიიღოთ მხედველობაში, რომ მე ჩემი დრო წინასწარ განაწილებული მაქვს, რადგან საკმაოდ დატვირთული ვახლავართ.

II. უნდა ვაცნობოთ ჩემი გაოცება და გულისწყრომა, რომ თქვენმა მდივანმა გ. ჯიბლაძემ ჩემთან შეუთანხმებლად დანშნა ჩემი მოხსენების გამო კამათი, პრესაში გამოაცხადა და ხალხი შეაწუხა ამოდ.

III. მოქ. ჯიბლაძესთან კამათი მე არც ისე მუხალისებოდა. იგი პირველი დამესხა იქვე ჯერ პლენუმზე (1945. 23-25. VII. რ. კ.), მერე პრესაში „უსუფთაო ხელათმანებით“ ბრძოლა დამაბრალა. ამის ს.პასუხოდ გავახსენე: „ახეთი ბრძოლის რესაში დაუსაბუთებლად ვადა-

სროლისათვის ნება მიბოძეთ, რომ ვიხსენებ გ. ჯიბლაძეს, რომ ინტელექტუალური ხელიგნური დამოკიდებულება დავმოპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა“.

ვარეშე ამისა მე არაფერი დამიბრალდება მისთვის. ჩემი სიტყვის ანაბეჭდი ინახება ჩემს არქივში და თუ მოვესურებათ, გაახლებთ. პარტიისცემით კონსტანტინე გამსახურდია.

P.S. თუ სხვა რაიმე განმარტება გნებავდეთ, ორი-სამი დღით ადრე შემითანხმოს სამდივნომ. კ. გ.“ (ლხსა, 8-197-61).

1946 წელი

წინა წელს „ზნამიაში (№ 10) გამოქვეყნებულ ვიქტორ შკლოვსკის სტატიას კ. გამსახურდიას რომანზე „დიდოსტატის მარჯვენა“ („გოსლიტიზდატი“, 1944) და „დავით აღმაშენებელი“ („ნოვი მირ“, 1944-45; „სოვეტსკი პისატელ“) წამოყენებული იყო უსაფუძვლო და ქედმაღლური პრეტენზიები:

„გამსახურდიას რომანები კარნაკტილია, სტუმართმოყვარე არაა, რომანში „დიდოსტატის მარჯვენა“ რუსეთი სულ არ არის ნახსენები“;

„რუსეთი არ უნდა ზრუნავდეს ადგილის მოსაპოვებლად გამსახურდიას რომანებში, ეს ადგილი მას ისტორიის მიხედვით ეკუთვნის“.

მკატრი და სამერთლიანი იყო კ. გამსახურდიას ვრცელი პასუხი, რომელიც 1946 წელს დაიბეჭდა „ნოვი მირში“ (№ 4-5) და „მნათობში“ (№ 5-6): „არც რუსულ, არც ქართულ, არც სომხურ და არც ბერძნულ წყაროებში რუს-ქართველთა შორის რაიმე ურთიერთობის ნიშანწყალიც არ არსებობს ამ საუკუნეებში“ და რა ვასაკვირია, რომ „დიდოსტატის მარჯვენაში“ რუსეთი არ მუხსენებიაო.

— ამ წელს განზრახული იყო უკანასკნელ შიღ წელიწადში ნატარბული მუშაობის შეფასება. ამას ეძღვნა სამი წინასაერილობო დისკუსია და ახალგაზრდა

მწერლების კონფერენციები (16. II და II. III).

— გაზაფხულზე ს. ნიქოვანმა და სხვა ქართველმა მწერლებმა ჩვეული ყურადღება გამოიჩინეს ქართულ პარნასზე გამოჩენილი ახალგაზრდა იმედის მომცემი პოეტის ანა კალანდაძისადმი.

მწერალთა სასახლეში მოწყობილ ლექსების კითხვა-განხილვაზე (25. V) პათეტიკისა და პლაკატურობის ხმაური დაფარა ქალიშვილი პოეტის ანა კალანდაძის საოცრად ადამიანურმა, ხმადაბალმა, ჭეშმარიტი უნებებით აღსავსე შელოდობამ, საოცრია, მაგრამ ფაქტია: ომით დაღლილი და მისი სისასტიკით გაუხეშებული ხალხის წიაღში იბადებოდა ეს შელოდობა.

ახალგაზრდა პოეტის ლექსები მოიწონეს დ. ბენაშვილმა, ლ. ქიაჩელმა... გახეთმა აღნიშნა პოეტის წარმატება და გამოაქვეყნა მისი 13 ლექსი.

ამ წელს ერთგვარ ლიტერატურულ მოვლენად ჩაითვალა ახლად ჯარისკაცის ფარაჯაგახდითა — ვახტანგ გორგანელის, მურმან ლებანიძის, ოთარ ჭვლიძისა და თეიმურაზ ჯანგულაშვილის ერთობლივი პოეტური კრებულის „ხალამურების“ გამოხველა.

— მალე (15. IX) ანა კალანდაძის ლექსებს საბჭოთა სათვალეებით დაუწყვეს ჩხრეკა. ცნობილი რუსი მწერლების ანა ახმატოვას, მიხაილ ზომინენკოსა და სხვების საღანძღავი სსრკ კომპარტიის ცკ-ის II აკვისტოს დადგენილების („ჟურნალების „ზვეზდისა“ და „ლენინგრადის“ შესახებ“) და კვ ცკ-ის მდიუნის ანდრეი ჟდანოვის მოხსენების („მნათობი“, 1946, № 9-10) გამოსახმარებლად მწერალთა ფრილობის წინ „კომუნისტში“ (1946, 5. IX) დაბეჭდილ წერილში „ჟურნალი „მნათობი“ სერიოზულ გაუმჯობესებას საჭიროებს“ ანა კალანდაძესაც გადაწყდნენ: მოწინავე იდეებით არ ხელმძღვანელობს, დეკადენტური მოტივების ტყუილობაშიაო.

რამდენიმე დღეში გამართულ (7-10. X) მწერალთა ფრილობაზე კი საქართველოს კვ ცკ-ის მდიუნმა პ. შარიაშვილმა განაცხადა: „ობიექტურად სრულიად გა-

უმართლებელია ის ხეხნაც, რაც ამ ახალგაზრდის ვარშემო შეუქმნე უფრო რთლებლად მიმანია ისიც. მტკიცე ურთულობაზე ასე ბევრი ილაპარაკეს მის ვარშემო“. ხოლო გ. ჯიბლაძემ კალანდაძის ლექსები წიგნიდანა მოსულიო.

ფრილობაზე მწერალთა კავშირის თავმჯდომარის ს. ნიქოვანის საანგარძო მოხსენებაში შეჯამდა ომის დროინდელი ქართული მწერლობა. ს. ნიქოვანმა და პ. შარიაშვილმა საყვედური გამოთქვეს — თავი იჩინა ისტორიული თემებით გადაჭარბებულმა გატაცებამ პროზასა და დრამატურგიაში, სუსტმა ნაწარმოებებმა თანამედროვე თემებზეო. უსავსო და უიდეო ლექსების შექმნისადმი მიდრეკილებაში დაადანაშაულეს კოლაუ ნადირაძე („ლიბილი“, „ზღვის პირას“), ა. მამაშვილი, გ. შატბერაშვილი („შუადღე“, „დიდ ხელებს“), მიხეილ ქვლივიძე („ქარი და ისინი“, „ორნი“). მათთვის ბრალის დადება რეზოლუციის პროექტში შეიტანეს. მაგრამ ამ პროექტის დამტკიცებას დიდი წინააღმდეგობა შეხვდა.

მიუხედავად იმისა, რომ პ/მ მდიუნს გ. ჯიბლაძეს წამოცდა ცკ ბრძანების: „თქვენ იცით, რომ სასტიკო ბრძანება სწარმოებს ხელმძღვანელ ორგანოებისა და ჩვენ არ შეგვიძლია ეს უფურადღებოდ დავტოვოთ“ (სტილი დაცულია).

კიდევ ერთი მარცხი მოუვიდა ოფიციალურ ხაზს: გამგეობაში, რომელიც განსაზღვრული იყო 35 კაცით, არ მოხდნენ მწერალთა კავშირის თავმჯდომარე ს. ნიქოვანი, ბ. ჟღენტი და პ/მ მდიუნი გ. ჯიბლაძე (ამ უკანასკნელმა 67 კაციდან ყველაზე მეტი, 31 წინააღმდეგი მიიღო).

კ. ლორთქიფანიძე ხელადვე შეეშველა ხელმძღვანელობას — გამგეობის წევრთა რაოდენობა სამი კაცით გადიდდესო. ცკ-დან მოუარდნილი პ. შარიაშვილი შეიქმნა საკმაოდ გულახდილად ეთქვა: ცკ-ს ეს არჩევნები არასწორად მიანია, ის ხალხი არ აირჩიეთ, ვისაც ცკ ენდობა, ცკ თანახმაა გამგეობის გადიდებაზე, მაგრამ წვეილი არ შეიძლება და შეეჩერდეთ 37-ზე, თუმცა ცკ-ს წყინს,

რომ გ. ჯიბლაძე არ გადიხო (ლხცსა, მ-1-1047-22).

მესამე ყრილობის მიერ შექმნილმა გამგეობამ აირჩია 9-კაციანი პრეზიდიუმი: ს. ჩიქოვანი (თავმჯდომარე), ა. გომიაშვილი პ/მგ მდივანი (1946-50), ი. აბაშიძე, კ. გამსახურდია, გ. ლეონიძე, ი. მოხაშვილი, გ. ნატროშვილი, დ. სულაიაშვილი, ლ. ქიანელი.

„მნათობის“ რედაქციის არაერთგზის გაკრიტიკებას ახლადარჩეული გამგეობის სხდომაზე მოჰყვა მისი პ/მგ რედაქტორის (ა. მაშაშვილი) შეცვლა — ამ თანამდებობაზე დაინიშნა (1946-53) ი. აბაშიძე.

— ი. ვრიშაშვილი აირჩიეს პოეტ-აკადემიკოსად.

— მესამედ დააბატონრეს ლევან გოთუა. ის შორეულ კატორღაში დიდი ხნით სწორედ იმ ეროვნული სულისათვის გაგზავნეს, რითაც ომის დროს მარჯანიშვილის თეატრში დადგმული მისი პიესე „პი „შეფე ერეკლე“ და „დავით აღმაშენებელი“ სულდგმულობდა.

აქვე უნდა ითქვას: 40-იან წლებში დაიდგა პიესები „ტირიფის ქვეშ“ გრიგოლ ბერძენიშვილისა და „კამთაბერის ასული“ მიხეილ ჯაფარიძისა.

— 1946 წლის სტალინური პრემია მიენიჭა ს. ჩიქოვანს პოემისათვის „დავით გურამიშვილი“ და ლექსებისათვის „ვინა ხოქვა“, „ქართლის საღამოები“ და სხვ.

1947 წელი

— მწერალთა კავშირის ხელმძღვანელობა ურადლებას აქცევდა ომის გამო შეფერხებულ ლიტერატურულ ურთიერთობათა გამოცოცხლებას. სამდივნომ საგანგებოდ იმსჯელა ლიტერატურული ურთიერთ კავშირის აღსადგენად ბალტიისპირეთსა და მუზიკელ რესპუბლიკებთან.

ამავე ურთიერთობათა განმტკიცებისთვის უნდა შეეწყო ხელი იანვარში განახლებული საკავშირო მწერალთა კავშირის ქართული ლიტერატურის კომისიის, რომელშიც შევიდნენ: ვიქტორ ვო-

ლცევი (თავმჯდომარე; მასზე შემოწმებული მწერალთა სასახლეში, ნსდომის დროს კ. გამსახურდიამ იქვა: ქართული მწერლობა იჯარით აქვს აღებული), პაველ ანტოკოლსკი, ვლადიმირ დერეჟინი, სემიონ ევკენოვი, ნიკოლაი ზაბილოცი, ალექსანდრ კონეტკოვი, ვიორგი ლომიძე, ვიორგი მლივანი, ზორის პასტერნაკი, ნიკოლაი ტიხონოვი და ალექსანდრ ფერალსკი (თავმჯდომარის მოადგილე).

ამ წელს საქართველოს ეწვია ამ კომისიის ორი წევრი: პ. ანტოკოლსკი და სსრკ მწერალთა კავშირის გამგეობის გენერალური მდივნის მოადგილე ნ. ტიხონოვი. მათთან ერთად ჩამოვიდა ახალგაზრდა პოეტი ალექსანდრ შევიროვი, რომელიც პირველ ნაბიჯებს დგამდა ქართულ პოეზიის თარგმნის გზაზე.

1947 წელს ახალგაზრდა მწერალთა პირველ საკავშირო თათბირზე (მოსკოვი, 3-10, III) პ. ანტოკოლსკის სემინარში ქართველ პოეტებთან რევაზ მარგიათან, იოსებ ნონეშვილთან და ვიორგი ხალუქვაძესთან მოხვედრილ და მათთან დაახლოებულ ა. მეფიროვს სემინარის ხელმძღვანელმა სასიხჯად ქართველ პოეტთა ლექსები ათარგმნინა.

საკავშირო თათბირის მსგავსმა თათბირმა (კონფერენციამ), ჩვენთანაც რომ გამართეს 17-19 მაისს, თავი მოუყარა და გამოაჩინა ქართული მწერლობის ახალი ცვლა, რომელშიც გარდა ომისა და მის შემდგომ 1946 წელს ნახსენები ახალგაზრდა მწერლებისა, შედიოდნენ: ამირან აბშილავა, ვასო გვეტაძე, ელენე დიდიშამიშვილი, მამია ვარშანიძე, ლადო სულაბერიძე, არჩილ სულაკაური, შალვა ფიორნხიძე, ემელიან ქურდიანი, ოთარ ნხეიძე.

ამ კონფერენციის შემდეგ პრეზიდიუმმა შექმნა ახალგაზრდა მწერლებთან მომუშავე კომისია, რომელსაც სხვადასხვა წლებში ხელმძღვანელობდნენ: ვიორგი შატბერაშვილი, გრიგოლ აბაშიძე, სიმონ ჩიქოვანი, კარლო კალაძე, ვიორგი ლეონიძე, შოთა ნიშნიანიძე, მორის ფოცხიშვილი, ჯანსუღ ჩარკვიანი, ლაშა თაბუკაშვილი, ზაურ კალანდია, ვიგო აღზაზიშვილი.



ს. ჩიქოვანის ცნობილი მზრუნველობა ახალგაზრდა მწერლებისადმი არ გამოცხადდა მის მიერ კრიტიკულ მიდგომას და იმის პირდაპირ თქმას, რაც მას საჭიროდ მიაჩნდა. ამის მაგალითი: ახალგაზრდა მწერალთა თაობირზე თბილისში (21. V) ს. ჩიქოვანმა მიღწევების აღნიშვნასთან ერთად ტაქტიკა და სიფრთხილით საგულისხმო შენიშვნებიც გამოთქვა ანა კალანდაძის, ი. ნონეშვილისა და სხვათა პოეზიაზე („ლზ“, № 20, 23, 24).

— ამ წელს აღინიშნა „ხვეზღისა“ და „ლენინგრადის“ შესახებ პარტიის დადგენილების ერთი წლისთავი.

დაუკავშირა რა ს. შანშიაშვილმა ამ ამბავს თავისი წერილი „ტალანტები და თავიანთი მკვლელები“ („ლზ“, № 19), განაცხადა: ვეცდები პოეზიაში გამოვამზეურო უიდეოება, რომელსაც პანევირითობით გატაცებული ჩვენი კრიტიკოსები (მხედველობაში ჰყავდა ბ. ელენტი და შ. რადიანი) ხშირად ვერ ამჩნევენო და მაგალითები მოიტანა ვ. ტაბიძისა და ი. გრიშაშვილის პოეზიიდან.

შკატრი იყო ბ. ელენტის პასუხი: „ს. შანშიაშვილს არასოდეს განუცხადებია პროტესტი, როდესაც სალიტერატურო კრიტიკას ფრიად გადაჭარბებული პანევირითობა მიუძღვნია პირადად მისთვის, როდესაც „ცამდე აივანეს“ მისი მეტად სუსტი პიესა „სამნი“ და ახლაც ესოდენ აქებენ „ხევისბერ ვოჩას“, რომელიც რატომღაც ხანდრო შანშიაშვილის პიესად არის გამოცხადებული!“

ვკვიტივინებენ ვალაკტიონისა და ი. გრიშაშვილის ქებას. ჩვენ არ უარყოფთ, რომ მათ ჰქონდათ დეკადენტური ლექსები, მაგრამ მერე არ დაბრუნებთან, შანშიაშვილმა კი ძველი პროტიკული ლექსები ახლანდელ რჩეულში შეიტანაო („ლზ“, 1947. №28).

5-7. IX — ზემოხსენებული დადგენილების წლისთავთან დაკავშირებით გამეოების პლენუმზე ს. ჩიქოვანის ვრცელ მოხსენებაში აღინიშნა ზოგიერთი ნაწარმოების ნაკლი: გააკრიტიკეს

კ. გამსახურდიას მოთხრობა ომზე „ვერცხლის ბუკვი“ — დასრულებული ვაუღენა ამჩნევიანო.

კ. გამსახურდია ისედაც ვალიზიანებული იყო 1945 წელს „ზნაშიაში“ ვ. შკლოვსკის ქედმაღლური მოთხოვნით: რუსეთი არ უნდა ზრუნავდეს ადგილის მოსაპოვებლად კ. გამსახურდიას რომანიანებში, ეს ადგილი მას ისტორიის მიხედვით ეკუთვნისო, აგრეთვე ბ. ელენტის სტატიით — „მაგნე წიგნი“ — მის ნოველებზე („ლზ“, 1946. № 45);

ასევე უსამართლოდ მოექცა კ. გამსახურდიას საკავშირო მწერალთა კავშირის გენერალური მდივანი ა. ფადეევი, როცა ამ წელს, ა. ჟდანოვის მოხსენებისა და ცნობილი დადგენილების წლისთავზე ვაუკრიტიკა 1916-29 წლებში დაწერილი და ასევე დიდი ხნის წინ, 1930 წელს გამოსულ წიგნში „მარტენა თვალთ“ შეტანილი ნოველები.

ცხადია, კ. გამსახურდიამ არც ა. ფადეევს უთხრა მადლობა. მას ისიც აღიზიანებდა, რომ ამაში შინაურთა ინტრიგებს ხედავდა. აი, რა თქვა მან პლენუმზე ამის თაობაზე: მოსკოვში ყოფნისას, ომის დროს „ჩემთან დარეკა და მოვიდა „ნოვი მირის“ რედაქტორი და მოთხრა, რაღაც წიგნები გქონიათო. დავით აღმაშენებელი“ მხად მქონდა და მივეცი. ხუთი კაცი დამისახელა: მე მათ შევეკითხე გამსახურდიას თუ იცნობთ-მეთქი, მიპასუხეს არაფერი დაუწერიანო. ასეთი დამოკიდებულება ხაერთოდ კოლეგისადმი შეუძლებელია“ („ლზსა, 8-1-1101-38).

კ. გამსახურდიამ ს. ჩიქოვანს უხაგვეღურა — ჩემი ძველი ნოველები აღბათ შენ წაუკითხე ფადეევს, თორემ იმან რა იცისო.

ამ პლენუმზე თავის დაცვის გარდა რომანისტმა სხვა რამეც თქვა ხელიწუფლების გამაღიზიანებელი და ეროვნული მწერლობის დასაცავი:

„ღამაზასიათებელია ის კურიოზიც, რომელიც მწერალთა კავშირის ბათუმის წარმომადგენელმა გვიამბო, ტიხონოვის ხელმოწერილი შეკითხვები რომ მოდის აჭარული ენის შესახებ და მოსკოვურ გამოცემლობაში რუბრიკებიც რომ არსებულა „აჭარული ენის“ შესახებ. ეს ყოველივე უნდა თქმულიყო და უნდა იყოს მწერალთა კავშირის უშუალო მზრუნველობის საგანი“.

მაგრამ კიდევ უფრო გაბედული რამეების თქმა წინ იყო:

„არავითარი „საბჭოური ლიტერატურა“ — სოვეტსკაია ლიტერატურა არ არსებობს, არსებობს საბჭოთა ლიტერატურანი“;

„მწერლის პიროვნება არაა დაცული ჩვენში. ეს არ მიკვირს: იქ, სადაც ნაციონალური ენის კულტი არაა, არც მწერლისადმი უპატივცემულობის გამო ისჯება ეინზე“.

როცა საბჭოთა რუსეთის იმპერია იმის ცდაში იყო, ეროვნული ლიტერატურები ერთიან საბჭოთა ლიტერატურად ექცია, თანდათან მოესპო ეროვნული ენები და რუსული ენა გაეპატონებინა, — ცხადია: არ მოეწონებოდათ კ. გამსახურდიასაგან სიმართლის თქმა. მართლაც, ის დატუქსეს.

პარტიული ფუნქციონერი პ. შარია: „ძალიან კარგი საქმეა ეროვნული კულტურის და ნაციონალური დროშით გამოხვლა, მაგრამ ნაციონალურ კულტურას ჰყავს თავისი მედროშე, ეს არის ჩვენი პარტია და ხელისუფლება და მთელი ქართველი ხალხი, მისი ინტელიგენცია. მისი მწერლობა. ნუ გაიფიქრებთ თქვენს მოღვაწეობას აი იმ კულტურასთან და პიროვნულად ნუ იკისრებთ ეროვნული კულტურის მედროშეობას. ამ მედროშეთ თქვენ არ გამოდგებით“.

ამ დემაგოგიის გარდა რა იყო მოხალღნელი კომუნისტა ფუნქციონერისაგან, მაგრამ დემაგოგობას მუქარაც მოაყოლა და ეს უკვე საშიში იყო:

„რასაც მე ვლაპარაკობს უნდა იყოს თქვენი გაფრთხილება რომ ეს გზა არ მივიყვანთ კარგ შედეგამდე. ეს ნოველები ყოველად მიუღებელია“.

— სიმკაცრეს სხვა მწერლებიც ვერ ასცდნენ. აი, ერთი მაგალითი: საქართველოს კომუნისტთა ხელმძღვანელის კ. ჩარკვიანის კაბინეტში დაკითხვა მოუწვევს ვ. ქიქოძეს — იმ დროისთვის, გერმანელები თუ თბილისს აიღებდნენ, მთავრობა გქონიათ შედგენილი და თავმჯდომარედ შენ უნდოდიო...

აი ასეთ პირობებში უხდებოდათ მწერლებს ცხოვრება და შემოქმედებითი მუშაობა!

ამ პლენუმზე კ. გამსახურდიას გამოხვლა ორი დღის შემდეგ (10. IX) პრეზიდენტზე მსჯელობის საგნად გახადეს. მას ა. გომიაშვილმაც და ს. ჩიქოვანმაც დაარიგეს ჭკუა. კ. გამსახურდიას სიტყვიდან: მეშინია, ჩემს მაგივრად თქვენ არ მოვადგეთ ჩრდილი, — ამიტომ პრეზიდენტიდან გამოიყვანეთ.

— ქართული პროზის ჩამორჩენილობის გამოსწორების მიზნით დაშვებულ იქნა გამოხვლისი და „ლიტერატურა და ხელოვნებაში“ დაიბეჭდა დიდტანიანი მოთხრობები თინა დონეაშვილის „ვერ მივატოვებ“, მიხეილ მრვეიშვილის „ზარატანთ ვერა“ და რაფდენ ვეკატაძის „ცხოვრება იწყება თავიდან“.

— 1947 წლიდან პოეტი ალიო მამაშვილი საკმაოდ პოპულარული ფსევდონიმის ნაცვლად თავის ნაწარმოებებს ნამდვილი გვართ — მირცხულავა — აქვეყნებს. ამის თაობაზე წერს ლექსს „გამოსთხოვება ფსევდონიმთან“.

1948 წელი

ა. მირცხულავას ამ ხანებში შექმნილია ლექსმა „არ გამოვინო დაფაზურნის პანგი ველური“ ზოვიერთ ფახეულობათა გადასინჯვის საკითხი დააყენა. როდესაც მომღერალმა როსტომაშვილმა ამაზე განგაში ატეხა („ლხ“, №19) — დაფაზურნას ხელს ნუ

ერაყთო, ამავე გაზეთში (№22) დაიბეჭდა ღ. შენგელაიას წერილი „ზურნა და ღუღუკი“, რომელმაც სცადა ფეფლაფრის კალაპოტში ჩაყენება.

უცხო სხეულთათვის თავზე ზედმეტმა ხელის სმამ, მეტისმეტი დარღვიმანდული სულგრძელობის გამოჩენამ ის ქნა, რომ 80-იან წლებში მწერლობა აყვირა – სულსა და ხორცს ნუ გაკაინტოებთო (ა. ხულაკური, „ლს“ 1987, №5).

23-24. I – კვლავ მოეწყო დისკუსია წინა წლის მხატვრული ლიტერატურის შესახებ. როგორც სხვა ღონისძიებებზე, ამ დისკუსიაზეც ოფიციალური ხაზით გეზმციემული მოხსენების მთავარი საზრუნავი ის იყო, რომ მწერლები მთლიანად თანამედროვე თემებისაკენ შემოებრუნებინათ, სოციალისტური რეალიზმის ჩარჩოებში მოექციათ.

ვინც ამ მოთხოვნებიდან გადაუხვევდა, ის გამულმბული ჯვარდინი ცეცხლის ქვეშ მოექცეოდა. მაგალითად, ამ წელს კვლავ განახლდა იერიშები კ. გამსახურდიას წინააღმდეგ „ლიტ. და ხელოვნებაში“ (№12) შ. რადიანმა 20-30-იანი წლებისათვის დამახასიათებელი სიმკაცრით გააკრიტიკა იგი.

„მთვარის მოტაცებაში“ ს. ჩიქოვანმაც დაინახა დეკადენტური სკოლების რეციდივები. ამაზე ილაპარაკა მან აბრილის პლენუმზე.

შედეგად პლენუმის ანგარიშში ითქვა: „ვინაიდან გაურბოდა პრეზიდიუმში კოლეგიალურ მუშაობას, არ ესწრებოდა პრიზიდიუმის სხდომებს და არ ღებულობდა პრეზიდიუმის წევრისათვის შესაფერის მონაწილეობას საკითხების გადაწყვეტაში, აგრეთვე იმისათვის, რომ როგორც საჯარო გამოსვლებში, ისე პრესაში დაბეჭდილი წერილებით დაამტკიცა, რომ მისი თვალსაზრისი ხშირ შემთხვევაში არ შეესაბამება იმ ხაზს, რომელსაც მწერალთა კავშირის ხელმძღვანელობა უნდა ატარებდეს საკავშირო კ. ცკ-ის 1946 წ. 14 აგვი-

სტოს ისტორიული დადგენილების მიმდევ. – კ. გამსახურდიას მიმართული მოიყვანა პრეზიდიუმის შემადგენლობიდან“.

– პრეზიდიუმი წმინდა სამწერლო-შემოქმედებით პრობლემებზე ზრუნავთან ერთად იძულებული იყო ასეთი საქმეებიც გადაეწყვიტა: მისი დადგენილებით დაბადების 50 წლისთავზე ღ. ბერიას 11-გვერდიანი მისალმება გაუგზავნეს (ღბცხა 8-2-53ხ).

– 1948 წლის სტალინური პრემია მიენიჭა ს. შანშიაშვილს პიესისათვის „არსენა“, „კრწანისის ვმირები“, „იმერეთის ღამეები“ და გ. ლეონიძეს კინოფილმ „ჯურღაის ფარის“ სცენარიისათვის.

– ე. ასტვაცატუროვი და ე. პოლუმორდვინოვი ამიერიდან მწერლობაში ცნობილი არიან როგორც ე. ქარელიშვილი და ე. ზედგინძე.

1949 წელი

– საქართველოს კომპარტიის XIV ყრილობაზე მწერალთა კავშირის თავმჯდომარემ ს. ჩიქოვანმა თავის სიტყვაში ხაზი გაუსვა მწერალთა ორგანიზაციის ძალისხმევას პროზის ჩამორჩენილობის დასაძლევად. აღნიშნა, რომ 1947-48 წლებში ერთგვარი ვარდატეხის მიჯნად იქცა პროზის განვითარებაში. ამ წლების მიღწევად მან დაასახელა ღ. ქიანელის „მთის კაცი“, მ. მრევლიშვილის „ხარატაანთ კერა“, ღ. შენგელაიას „წითელი ვაჟაი“ (წ-1), ო. ჩხეიძის „ურწყავი“, თ. დონცაშვილის „ვერ მივატოვებ“, კ. ლორთქიფანიძის „უსახელო მალღობზე“, გ. ნატროშვილის „დასავლეთის ფრონტზე“, რ. გვეტაძის „ცხოვრება იწყება თავიდან“, კ. გამსახურდიას „დავით აღმაშენებელი“ (წ-11). 1947 წელს საბოლოოდ გახრულებული „ბესიკი“ ა. ბელიაშვილისა...

— გრძელდებოდა წინა წლებში დაწვებული ზრუნვა ქართული დრამატურგიის განვითარებისათვის: შეჯამდა წინა წელს გამოცხადებული კონკურსი, გაიცა მხოლოდ მეორე პრემიები: კ. კალაძე — „სოფლის ხაშო ხალამოები“, გ. შატბერაშვილი — „მეშვიდე ჭაბურღილი“ (ვერცერთმა ვერავითარი კვალი ვერ დატოვა. ამის მიზეზი უკონფლიქტობის თეორიაც იყო)

— ვინაიდან საგურამოში გადაწვდა

ი. ჭავჭავაძის სახლ-მუზეუმის ტოტალური გაუქმდა საგურამოს მწველდრომში მოქმედებითი სახლი და მომავალი 1950 წლიდან იგი გადატანილ იქნა ქვიშხეთში, მწერალთა დასახვენებელ სახლში.

21-22. XII — ტრადიციად ქცეული გამსვლელი პლენუმი გორში ამჯერად საიუბილეო იყო — სტალინის 70 წლისთავს ეძღვნა.

— 1949 წელს მწერალთა კავშირში 200 წევრი იყო.

ვაგრძელება იქნება



დახმარება რომ გვეწოდება, განვიმარჯვებდით

(1924 წლის აჯანყება და ქართული პოლიტიკური
კვიბრაცია)

1924 წლის 28 აგვისტო საქართველოს ისტორიაში უაღრესად ტრაგიკული და იმპეროროულად ამბულეული თარიღია. ეს არის დღე სამშობლოს თავისუფლებისათვის გულანთებულ მამულიშვილთა დიდი ამბოხისა. შეიღ ათეულ წელზე მეტი გვაშორებს ამ მოვლენას, მაგრამ დრო და წლები ვერ ჩრდილავენ იმ ნათელ იდეას, საქართველოს პატრიოტ შვილებს უთანასწორო შერკინებისკენ რომ უბიძგა.

1921 წლის თებერვალ-მარტში ხაბჭოთა რუსეთის ჯარის ნაწილებმა დაამხეს საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა და ბოლო მოუღეს ჩვენი ქვეყნის დამოუკიდებლობას. საოკუპაციო რეჟიმის წინააღმდეგ შეიარაღებული ბრძოლის იდეა საქართველოში ამ ფაქტიდან ახლო ხანებში დაიბადა. 1922 წლის გაზაფხულზე ამ მიზნით სპეციალური ორგანო — „საქართველოს დამოუკიდებლობის კომიტეტი“ (იგივე „პარიტეტული კომიტეტი“) შეიქმნა, რომელმაც შეიმუშავა გამოსვლის მომზადებისა და აჯანყების მოწყობის გეგმა. დამპყრობლის წინააღმდეგ ქართველი ერის ბრძოლას აგულაინებდა და იმედს მატებდა ქართული პოლიტიკური ემიგრაცია, რომელიც უცხოეთში აწარმოებდა დიპლომატიურ და სხვა მუშაობას დახმარების მისაღებად.

1924 წლის აჯანყებამ მარცხი განიცადა. დიდძალი ქართველის სიცოცხლე შეიწირა მამულის დახსნის კეთილშობილურმა იდეამ. კომუნისტურმა ზელისუფლებამ სასტიკად იძია შური ამბოხებულებზე და არა მარტო მათზე. მერე თვითონვე შეაფასა მომხდარი და იგი „მენშევიკურ-კონტრევოლუციურ აჯანტიურად“ მონათლა, რასაც ათწლეულების მანძილზე კვერს უკრავდა საბჭოური ისტორიოგრაფიაც. დასავლეთში კი ამ მოვლენას იმთავითვე თავისი ნამდვილი სახელი ეწოდა, როგორც ქართველი ხალხის შეიარაღებულ აჯანყებას ეროვნული თავისუფლებისა და სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობისათვის.

უკანასკნელ ხანს ჩვენშიც ითქვა მართალი სიტყვა აგვისტოს აჯანყების თაობაზე. გამოქვეყნდა ნ. კირთაძის ვრცელ დოკუმენტურ მასალაზე დაფუძნებული მონოგრაფია, ვ. ცხოვრებაძის, ვ. გურულის, რ. ვრძელიძის, ვ. ბენიძის, ა. და პ. სურგულაძეების, ვ. შარაძის, ა. მუჯირის, მ. მაცაბერიძისა და სხვათა პუბლიკაციები, მაგრამ, მიუხედავად ამისა, ჯერ კიდევ ბევრი რამ არის დასადგენ-დასაზუსტებელი. ამ მხრივ ინტერესმოკლებული არ უნდა იყოს ახალი საარქივო წყაროები, რომლებიც მოვიძიეთ საქართველოს სახელმწიფო ცენტრალურ საისტორიო არქივში დაცულ ჰარვარდის უნივერსიტეტის ბიბლიო-

თუკის ფონდში (საქმე № 1081). ეს არის ოქმები საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ემიგრანტული მთავრობის სხდომებისა, რომლებიც უშუალოდ აჯანყების მომდევნო დღეებში და შემდეგი თვეების განმავლობაში იმართებოდა პარიზში და იხილავდა ამ მოუღწეველანათან დაკავშირებულ საკითხებს. ოქმები შედგენილია სხდომების მდივნის, ფინანსთა და ვაჭრობა-მრეწველობის მინისტრის კ. კანდელაკის მიერ. დოკუმენტების ავთენტიკურობა ეჭვს არ იწვევს, ვეღა მთავანი ზელმოწერილია მთავრობის თავმჯდომარის ნ. ჟორდანიას და სხდომის მდივნის მიერ.

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის პირველი შეკრება, რომელმაც საქართველოში მომხდარი აჯანყების შესახებ იმსჯელა, 1924 წლის 7 სექტემბერს გაიმართა. მის მუშაობაში პოლიტიკურ პარტიათა წარმომადგენლები ს. კელია, გრ. ვეშაპელი (ეროვნულ-დემოკრატები), ს. ფირცხალავა (სოციალ-ფედერალისტი), ი. გობიქია (ესერი) და რ. არსენიძე (სოციალ-დემოკრატი) მონაწილეობდნენ. სხდომას საქართველოს დამფუძნებელი კრების პრეზიდიუმიც დაესწრო ნ. ჩხეიძისა და ე. აფაიშვილის შემადგენლობით; მოწვეული იყო, აგრეთვე, გენერალი გ. მახნიანი-აშვილი.

ცოტა მოგვიანებით, 1924 წ. დეკემბერში პარიზში ჩავიდნენ ჩუკას საპრობილეს გადარჩენილი აჯანყების რიგი ზელმძღვანელები — სპ. ჭავჭავაძე, ქ. ჩოლოყაშვილი, გ. წერეთელი (ჭიათურის გამოსვლის მეთაური) და სხვ. 20 დეკემბერს ისინი საგანგებოდ მიიწვიეს მთავრობისა და საქართველოს დამოუკიდებლობის კომიტეტის დელეგაციის შეერთებულ სხდომაზე. ნ. ჟორდანიას მთავრობის სახელით მიესალმა აჯანყების მეთაურებს, შემდეგ მოისმინეს მათი ინფორმაციები. ამ სხდომაზე რაიმე დადგენილება არ მიუღიათ.

მთავრობის მომდევნო სხდომა, რომელიც ასევე ჩვენთვის საინტერესო სა-

კითხს მიეძღვნა, 1925 წ. თებერვალში-დგა. ამჯერად სხდომაზე მონაწილეობდნენ ჩამოსულ ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის წარმომადგენელს, აგვისტოს აჯანყების ერთ-ერთ ორგანიზატორს და უშუალო მონაწილეს შ. ამირჯიბის მოუხმინეს და მისი ინფორმაცია „ცნობად მიიღეს“.

ამის შემდგომ აღნიშნულ თემაზე მთავრობას კოლეგიალურად აღარ უმსჯელოა, თუმცა აჯანყება და მისი შედეგები დიდხანს იყო პოლიტიკური ემიგრაციის ყურადღების ცენტრში. 1925 წ. ამ საკითხზე სპეციალური ნაშრომი გამოაქვეყნა ნ. ჟორდანიამ სათაურით „რა მოხდა?“ თავისი აზრი გამოთქმის ირ. წერეთელმა, გრ. ვეშაპელმა, რ. არსენიძემ და სხვ. ვრცლად ეხება აჯანყების თემას აღ. ასათიანიც თავის წიგნში „ძველი და ახალი მემკვიდრეობა“ (ვალანტიანი, 1928 წ.).

1924 წლის აგვისტოს აჯანყება და მასთან დაკავშირებული რიგი მომენტები დიდხანს იყო სოციალ-დემოკრატიულ და სხვა ოპოზიციურ პარტიებს შორის დავისა და პაექრობის საგანი. ადგილი ჰქონდა ურთიერთბრალდებებს და სხვ. ბევრი რამ გაურკვეველი დარჩა. ჭეშმარიტების დასადგენად კვლავაც დიდი კლუვა-ძიებაა საჭირო.

რიგორი იყო ემიგრაციაში მყოფი მთავრობის დამოკიდებულება აჯანყებისადმი? იზიარებდნენ თუ არა აჯანყების იდეას სხვა პოლიტიკური პარტიების ზელმძღვანელები? რა დახმარებას მიუღოდა დამოუკიდებლობის კომიტეტი უცხოეთიდან, ვინ პირდებოდა დახმარებას და რამდენად რეალური იყო იგი? ვის უნდა გადაეწყვიტა გამოსვლის საკითხი? — ამ და ზოგ სხვა საინტერესო კითხვებზე პასუხს იძლევა ქვემოთ წარმოდგენილი საარქივო მასალა, რომელიც პირველად შემოდის სამეცნიერო ბრუნვაში.

დოკუმენტები ქვეყნდება დილის სტილის დაცვით და მცირეოდენი შემოკლებით.



საქმე № 1081

ოქმი (№ 1)

მთავრობის სხდომის 7, IX, 1924 პარიზი

დაესწრნენ: მთავრობის თავმჯდომარე ნ. ჟორდანიას და წევრები: ნ. რამიშვილი, ე. გიგუშვილი და კ. კანდელაკი. დამფ. კრების პრეზიდიუმი: ნ. ჩხეიძე და ე. თაყაიშვილი; პარტიათა წარმომადგენლები: სპ. კეღია, გრ. ვეშაპელი, ს. ფირცხალავა, ი. ვოპერია და რ. არსენიძე; გენერალი მახნიასშვილი.

მთავრობის თავმჯდომარე მოახსენებს სხდომას, რომ დღევანდელი არანვეულებრივი სხდომის მიზანია გაცნობა იმ მდგომარეობის, რაიცა შეიქმნა საქართველოში, იმ ზომების, რომელიც მთავრობამ გადადგა და ახლოებული მუშაობის გეგმის შემუშავება.

ნ. რამიშვილი აკეთებს მოხსენებას: მიღებულს სტამბოლიდან ტელეგრამებს კითხულობს. არ შეიძლება ითქვას, რომ ეს ამბები სრულიად მოულოდნელი იყო ჩვენთვის, მაგრამ ყოველ შემთხვევაში, ამჟამათ ამას არ მოველოდითო. მართალია, ხალხის სულიერი განწყობილება, როგორც მუდამ იწერებოდნენ, მეტად მოკიშული იყო, პარიტეტული კომიტეტიც სხვადასხვა დროს იწერებოდა, რომ სამზადისში იყო გამოსვლისათვის, მაგრამ მრავალი მუშაკების დაჭერის შემდეგ, იმ გეგმის მიხედვით, რომლის გარეშე ჩვენ შეუძლებლათ მიგვანდია გამოსვლა, ამჟამათ არ იყო მოხალოდნელი. რა მოხდა, რამ დააჩქარა, არ ვიცი. ამიტომ, ტელეგრაშიდან ჩანს, რომ გზები შეკრულია, ტელეგრაფი არ მუშაობს, ალბათ, ცნობები დაწერილებით არ მოგვდის. ერთი ცხადია — რომ გამოხვლას ნამდვილი ხალხისნური ხასიათი აქვს. იღებს თუ არა მონაწილეობას აზერბაიჯანში, მთა, ყუბანი, სომხეთი — არ სჩანს. უამისოდ კი არაა იმედი გამარჯვების. ყოველ შემთხვევაში, ფაქტია, ძლიერი გამოსვლები იყო. ჩვენ ყოველი დონე 13. „მთაბი“ № 11-12.

უნდა ვიხმართ, რაც შეიძლება საკმაოდ და ნაკლები მსხვერპლით ვებისთვის.

მთავრობამ გადადგა შემდეგი ზომები: გაუგზავნა ტელეგრამები — მაკლონაღღს, ბრიტანეთის პრემიერს, ერიოს, საფრანგეთის პრემიერს, ვოტას — ნაციონალიზის თავმჯდომარეს და ლივის ცნობილ მოღვაწეებს. ჩვენ ვითხოვთ ჩვენს კონფლიქტში ჩარევას და არბიტრაჟით საქმის გათავებას. დაახლოებით ასეთივე ტელეგრამა გაუგზავნა ირ. წერეთელს — ინტერნაციონალისათვის. გარდა ამისა, ჩვენ გადავდგით კიდევ ერთი ნაბიჯი, რომელსაც პრაქტიკულ მნიშვნელობას არ ვაწეროთ, მაგრამ, უფიქრობთ, მომავლისათვის ამასაც ექნება მნიშვნელობა. გაუგზავნა ტელეგრამა სოფნარკომს მოსკოვში, სადაც აუწეროთ გარემოებას, რომ თვით იციან, საქართველო სხვის პატონობას ვერ აიტანს და არბიტრაჟით გადაწყვეტილთ საქმე 7 მაისის 1920 წ. ხელშეკრულების ნიადაგზე. შეიძლება იხიცი, რომ ეს ტელეგრამა იმათ დიდათ გამოიყენონ, მაგრამ ამას ვერ შეუშინდებათ. ჩვენ ტელეგრამა აქაც შევიძლია გამოვიყენოთ.

დიდი უბედურებაა, რომ უფულოთა ვართ. მივიღეთ ზომები, მაგრამ რა გამოვა ენახოთ...

სპ. კეღია: მთავრობას რაკი ცნობები პქონდა, რომ შესაძლებელი იყო გამოსვლები, თადარიგი თუ იყო — უფლით ან იარაღით დახმარების.

ნ. რამიშვილი: ჩვენ არაერთხელ მივეციწერა, სპეციალურათ ჩამოსული კაციც იყო პარიტეტულ კომიტეტის და მასაც გვაცანით მდგომარეობა — რომ ჩვენგან ახლა არავითარი ფულით ან იარაღით დახმარების იმედი ნუ ექნებათ. პოლიტიკური სიტუაციაც ასეთია, რომ ვერაფერს ვიშოვიდით; რომ შესაძლებელი იქნებოდა ყურადღების ჩვენდამი მიპყრობა მხოლოდ, თუ ამიერკავკასია იქნებოდა განთავისუფლებული. ამიტომ იყო ჩვენი შეხედულება, რომ საქართველოს მასშტაბით მხოლოდ გამოსვლა ყოველად დაუშვებელი იქნებოდა ყოველ მხრივ.



პრ. ვეშაპაძე: შარშან მოწოდება რომ იწერებოდა ჩვენი ერისადმი, აქ იყო ლაპარაკი ტექნიკურ სამზადისზე. ამ მხრივ გაკეთდა რაიმე?

ნ. რამიშვილი: რეალურს ვერა ფერს მივალწვიეთ, მხოლოდ დაპირება კი გვექონდა, რომ თუ ძალაუფლებას ხელში ჩაივადებდით — გვექნებოდა დახმარება. თუ ეს მოხდა, ახლაც გვაქვს ამის იმედი.

სპ. ქაშია: ახლა ნუ გავაგრძელებთ კამათს, რა იყო გამოშვებული მიზეზები გამოსვლების ან ვინ იყო. ფაქტის წინ ვართ. ამას გაუწიოთ ანგარიში და იმის კეთილად დაგვირგვინებისათვის ვიზრუნოთ. მიხდა მხოლოდ განაცხადო, რომ ზოგი იქედან მოსული ცნობები მაქვს — თითქოს მთავრობა თუ მთავრობის კერძო წევრები აქედან ისეთ წერილებს იწერებოდნენ, რაიც ხალხს წააქეზებდა.

ნ. შორღანიძე: როგორც აქ უკვე თქვეს, საქართველოდან აქ პირდაპირ ჩამოვიდა კაცი, არა სტრატეგიულ საკითხებზე მოსალაპარაკებლად, არამედ მოსახსენებლად, რომ მშათა ვართო. ჩვენ ჩვენი მხრივ მას დავაპარეთ ჩვენი შეხედულება და აუწერეთ ჩვენი მდგომარეობა. დაუშვებლად მივკანონდა საქართველოს მომზადებით დაკმაყოფილება, მთელი კავკასია — განსაკუთრებით აზერბაიჯანი და მთა ჩვენთან ერთად უნდა ყოფილიყვნენ. უამისოდ ვერავითარ მიზანს ვერ მივალწვივით. თუ კავკასიის გულს აქეთ ხავსებით მოვსწევრდით მთელ ტერიტორიას რუსეთს, მაშინ ევროპაც უსათუოდ მიაქცევდა ყურადღებას ასეთ დიდ ფაქტს.

ნ. რამიშვილი: ამ საკითხს წვეტება პარიტეტული კომიტეტი, ადგილობრივ, ე. ი. ყველა პოლიტიკური პარტიები. აქედან ჩვენ ვერავითარ დადგენილებას ვერ მიეწერდით, ადგილობრივ პარტიების და მომენტის შეფასება მათი საქმე იყო. ამას ვერც ერთი პარტია ვერ იკისრებდა და ახლანდელი გამოსვლები იმას მოწმობს, რომ აქ ერთსულოვნება არსებობს. შეიძლება ისინი შეცდნენ მეზობლებში, არ ვიცით. იქნებ მო-

უცდლოთ გარემოების გამორკვევას და იქედან ცნობებს. რაც შეეხება ვიწროების საკითხს: ამის შესახებ მიწერილიცა გვექონდა, კაცებსაც დაუბარეთ — რომ არც ფულით და არც იარაღით ჩვენ ახლა მშათ არ ვიყავით. ამის გამო ისინი საყვედურსაც კი გვეწერდნენ, მაგრამ ჩვენ ეუთვიდით, ფული ასეთი მომენტისათვის გადადებული იყო, მაგრამ რომ არაფერი მოხდა, შემდეგ ხანდახან მათვე გადაეზახნა. პასუხისგებას ჩვენ მათთან მაინც ვიზიარებთ.

პრ. ვეშაპაძე: ამოწმებს, რომ სხვა პარტიების შეხედულებაც აქ ის იყო, რომ საქართველოში უნდა გადაწყვიტილიყო გამოსვლის საკითხი და არა აქ...

დადგინილია: მთავრობის მიერ საქართველოდან აჯანყების ცნობების მოსვლის გამო გადადგმული ნაბიჯები მოწონებულ იქმნას; მიღებულ იქნას ზომები საქართველოში კაცების გასაგზავნად; არჩეულ იქნას ბიურო პროპაგანდის გასაძლიერებლად: 1 — ე. გეგეჭკორი, სპ. კელია, ი. გობეჩია — ამ საგანზე ფული დაიხარჯოს არსებულ თანხებიდან...

მთავრობის თავმჯდომარე

ნ. შორღანიძე

სხდომის მდივანი

კ. კანდელაკი

ოქმი (№ 29)

მთავრობის და ხლკ (საქართველოს დამოუკიდებლობის კომიტეტის) დელეგაციის შეერთებული სხდომის 20. XII. 1924 პარიზი

დასწრებანი: ნ. ჭორღანიძე, ნ. რამიშვილი, ე. გეგეჭკორი, კ. კანდელაკი, სპ. კელია, ი. გობეჩია, ს. ფირცხალაია, აკ. ჩხენკელი.

სამართმელოდან ჩამოსულნი:

სპ. ჭავჭავაძე, კ. ჩოლოყაშვილი. გ. წერეთელი, ს. წერეთელი, შ. ბერიშვილი და ოფიც(ერი) მამალაძე.

მთავრობის თავმჯდომარე: ეს სამი წელიწადნახევარია საქართველოში ბევრი ამბები მოხდა. მე მინდა ორ გარემოებას მივაქციო ახლა ყურადღება, ყოველივე კი რაც ჩვენში მოხდა ისტორიის და მომავალი გამოკვლევის საქმეა. პირველი გარემოება. როცა საქართველოს ოკუპაციის შემდეგ ჩვენ აქეთ გამოვეგზავნეთ, სამშობლოში დარჩენილია შორის პირველ ხანებში ერთგვარი რყევა, ძიება იყო; არ იყო გარკვეული ხაზი და ზოგი რაღაც *modus vivendis*-აც დაეძებდა, რომ შეგუებოდა საბჭოთა წესწყობილებას. ამ დროს ერთმა კაცმა თავისი კონებით გადასწყვიტა, თუ რა ენით შეიძლებოდა ლაპარაკი ბოლშევიკურ ტელისუფლებასთან, რომ მათ წინააღმდეგ საჭიროა მხოლოდ ძალის დაპირდაპირება, საჭიროა იარაღის ხელში აღება. სხვადასხვა აზრის შეიძლება იყოს კაცი ასეთ გამოხვლაზე, მაგრამ ერთი რამე კი უდავოა: მან რამდენიმე კაცით შესძლო დიდი ხნის განმავლობაში თავის შენახვა, არა მარტო თვითონ, არამედ მთელი ვჯუფით. ეს ამტკიცებს, რომ მას ჰქონია არა მარტო მოხერხება, არამედ ჭკუაც. ეს ადამიანი იყო ბატონი ჩოლოყაშვილი და მე მთავრობის და დელეგაციის სახელით მივესალმები მას და ვუსურვებ კვლავ შერჩენილეს მას მხნეობა საერთო საქმისათვის.

მეორე. ჩვენში აჯანყება მოხდა და ამ აჯანყების მეთაურნი აქ იმყოფებიან. ჩვენი მტერნი ხმებს ავრცელებენ, თითქოს ჩვენ ვგმობდეთ მათ საქციელს, რადგან იგი არ გათავდა გამარჯვებით. თუ იგი არ გათავდა გამარჯვებით ეს მებრძოლთა ბრალი არ არის, ამის მიზეზები სხვაგან უნდა ვეძიოთ. დაფასება აჯანყების შედეგების არ შეიძლება მხოლოდ ახლოებულ შედეგებით ავხსნათ, არამედ ამ გარემოების შორეული შედეგებითაც. ერთი ცხადია: ეს არ ყოფილა „პუტჩი“, არამედ იყო ნამდვილი ხალხოსნური გამოსვლა, რომლის მსგავსი ჩვენს ქვეყანას დიდი ხანია არ ახსოვს. ეს იყო დიდი გამოხვლა უცხოეთის უღლის წინააღმდეგ. მივესალმები ჩვენი კოლეგიის სახელით აქ დამსწრე მეთაურთ და ვუ-

სურვებ, მომავალში მათივე მხნე-მოსიყვნილებით ჩვენი ხალხის ცხოვრებულების საქმე გამარჯვებით დაბოლოებულიყოს.

სპ. ჭავჭავაძე: მე შემიძლია მოგახსენოთ მხოლოდ იმის შესახებ, რაც მე ვიცი. მე ვიყავი სამხედრო კომისიაში და პარიტეტული კომიტეტის სახელით არ შემიძლია ვილაპარაკო და შეიძლება ყოველივე არც კი ვიცოდე. მე დიდხანს არ ვმუშაობდი და ასე ვთქვათ, უბრალო შეთვალეურე ვიყავი ყოველივე იმის, რაც ჩვენში ხდებოდა. ერთხანს ხალხს ეგონა, რომ ბოლშევიკები რასმე მისცემდა მათ. ეს იმედი არ გამართლდა. არ გამართლდა არც იმედი იმისა, თითქოს მართლა ფედერაცია გადაარჩენდა. დაუნწყეს დევნა ინტელიგენციას, ოფიცრობას, სოფლად თავადაზნაურთა შემდეგ გლეხობასაც, რამაც გლეხობა და ყოფილი თავადაზნაურობა ერთიმეორეს დაუახლოვა, გააერთიანა. 15 სამხედრო ცენტრის წევრების დახურვამ საშინელი შთაბეჭდილება მოახდინა ყველაზე უკმაყოფილება დიდათ გაიზარდა ყველა წრეებში. ამ სამი წლის განმავლობაში ხალხში სურვილი იყო აქტიური ბრძოლისა. ამას ალღო აუღო ქ. ჩოლოყაშვილმა და ამით აიხსნება ის, რომ იგი ამდენხანს თავისი რაზმით თავს ინახავდა, თუმცა იგი ბანდიტათ გამოაცხადეს ბოლშევიკებმა, მაგრამ ეს არაფრიდან არ სჩანდა, რომ ვერც გამცემლობით, ვერც ძალით იგი ვერ შეიპყრეს. — წინადადება მიცეს საზღვარგარეთ გახვლის, მაგრამ არც ამან გასჭრა. მას დიდი გავლენა ჰქონდა, განსაკუთრებით აღმოსავლეთ საქართველოში.

როცა მე სამხედრო კომისიაში მუშაობაზე დავთანხმდი, ჩემი შეხედულება იყო, რომ საჭირო იყო მზადება გამოსვლისათვის, მაგრამ მხოლოდ მაშინ, როცა ამის მომენტი დადგებოდა. როცა პარიტეტულ კომიტეტში უკვე დაიწყეს ლაპარაკი გამოსვლის შესახებ და მე დამახახველეს ხელმძღვანელად მთელი კავკასიისათვის, მე უარი განვაცხადე. მე რეალურ ძალას, გარდა ჩოლოყაშვილის ვერ ვხედავდი. პარიტეტულ კომიტეტის



ნაკლი ის იყო, რომ აქ იყო ერთდამიპაუე დროს პარტიული და სამხედრო მუშაობა. თითოეული წვერი ყველაფერს თავის პარტიას ეკითხებოდა. ეს კი ხელს უწყობდა გამცემლობას, რადგან საკითხები ვარეთ ვადიოდა. ჩვენ ვეჭონდა კავშირი აზერბაიჯანთან, მთასთან და ჩრდილოეთ კავკასიასთანაც. არ იყო ხანდო სომხობა, მაგრამ ეს არ გამართლებულა საეხებით, რადგან სომხების მოსახლეობა ჩვენს მხარეზე მიიღეს ფაზახის მაზრაში. მეზობლები ჩვენ გვთხოვდნენ ინსტრუქტორებს. ოსები ჩვენი წინააღმდეგია, რადგან ჩვენ მათ დამოუკიდებლობას არ ვსცნობდით, ნაწილი აფხაზებისაც.

როცა საკითხი პრაქტიკულად დადგა გამოსვლის შესახებ, მე მოვხსოვრე პარტიულ კომიტეტს კონკრეტულად დასახელება, თუ რიხი იმედი ჰქონდათ. მათ მითხრეს: ინგლისი ვეპირდება დიპლომატიურ ჩარევას, რომ ვერც [ერთი] რუსის ჯარისკაცი ჩვენში ვერ გამოიგზავნოსო, საფრანგეთიდან მივიღებთ ფულს და იარაღსო, პოლონეთიდან და რუმინიდან იქნება საზღვრებზე ჯარის დემონსტრაციაო, ოსმალეთი დაიჭერს ნეიტრალიტეტსო და სხვ. ესთხოვე საბუთები, მაგრამ საბუთები რამ ვერ მიშოვეს; ესთხოვე საზღვარგარეთ გამოშვება, რომ დავრწმუნებულიყავი — რასაც ამბობდნენ. მითხრეს, ეს შეიძლებოდა, მაგრამ დავგაიანებული არიხო. მე ხელმეორედ განვაცხადე ხელმძღვანელობაზე უარი, მაგრამ მაინც იბუღებულე შევიქენი შემდეგ დაეთანხმებულიყავ, რადგან გამოსვლები მაინც მოხდებო — მითხრეს.

რადგან ხმა აჯანყების შესახებ მუდამ იყო, ბოლშევიკებს აღარ ხჯეროდათ, ხოლო ჯუღელის ჩავარდნის შემდეგ საბჭოთა საწინააღმდეგო მზადებამ იმატა. პირველათ დაგვემილი იყო გამოხვლა 19 აგვისტოს, მაგრამ აჯანყების გეგმა ჩავარდნილი იყო, ჯარები ტფილისში (აქ ერთი სიტყვა არ იკითხება) დააგროვეს და ჩვენი გეგმაც, რომ ტფილისი ჩაგვეგლო წინათ ხელში, დაიშალა.

შემდეგ შემუშავდა მეორე კავშირი: პროვინციიდან უნდა დაეწინაურებინათ არ იყო კარგი, რა თქმა უნდა, მაგრამ პარიტ. კომიტეტში დარწმუნებული იყვენენ, რომ ხალხის გაჩერება შეუძლებელი იყო.

არ დარწმენილა სოფელი, სადაც არ მომხდარიყოს ბრძოლა და ძალაუფლება ხელში არ ჩაგვეგდო; ვანსაკუთრებით ძლიერი იყო მოძრაობა გურიასა და სამეგრელოში.

დასკვნა: ორგანიზაცია არ იყო დამაკმაყოფილებელი. პარტიული და სამხედრო მუშაობის არევა ხელს უშლიდა საქმეს; ძალიან ზიანი მოგვიტანა პირველი გეგმის ჩაშლამ; საზოგადოთ გამცემლობა იყო; მიუხედავათ ამისა, მთელი პროვინციები ჩვენს ხელში იყო; და დახმარება რომ გვეკონოდა ჩვენ ვევიმარჯვებდით.

შეკითხვები:

მ. გვამყაშვილი: რატომ არ მოეწყო კავშირი აზერბაიჯანთან და მთასთან?

ქ. როლოყაშვილი: ისინი გვთხოვდნენ ინსტრუქტორებს და ჩვენ ვერ მივაწვდინეთ, ჩავარდა აგრეთვე აზერბაიჯანის ხელმძღვანელი.

ი. გომეზია: თქვენ თუ დაესწარიო პარიტ. კომიტეტის სხდომას, როცა გადასწყდა გამოსვლა და თუ იყო იქ განმეორებული დახმარების იმედის შესახებ.

სპ. ჭავჭავაძე: დიახ, დაესწარიო და გამოთქმული იყო.

სპ. კედიბ: როცა პირველი გეგმა ჩაიშალა, ხელმეორეთ რათ გადაწყვიტოთ გამოსვლა?

ქ. როლოყაშვილი: მიტომ, რომ ხალხის გაჩერება არ შეიძლებოდა.

ს. შირცხალავა: სოც. ფედერალისტებს მართლა არ მიუღიათ მონაწილეობა?



სპ. ჭავჭავაძე: მათ წარმომადგენელმა პარიტ. კომიტეტში განაცხადა წინააღმდეგი ვართო, მაგრამ ადგილობრივ მაინც იღებდნენ მონაწილეობას.

მ. გეგეჭკორი: რა იყო თქვენი ამოცანა? თქვენ წინიდანავე მოულოდით დახმარებას, თუ ვერ უნდა დაგეცალათ ამიერკავკასია.

სპ. ჭავჭავაძე: დიახ, დახმარებას მოველოდით თუ კი დაეცლიდით საქართველოს, მაგრამ პროვინციები მთლიანად ჩვენს ხელში იყო. დახმარება რომ გვექონოდა, გაეიზარებოდით.

სპ. კეღია: საზოგადო ხურათი ისეთია, რომ სადაც უარი იყო, იქ თქვენ კერაფერი გააკეთეთ.

ქ. ჩოლოყაშვილი: არა, ბრძოლა იყო — მანგლისის მიმართულებით, ტფილისის ახლო, ხელს გვიმლიდა პატრონების უქონლობა.

სპ. კეღია: პატრონები თუ არ გქონდათ, რისი იმედით გამოდიოდით?

სპ. ჭავჭავაძე: ჩვენი პირველი პლანი სწორი იყო. ვერ ტფილისი უნდა აგველო და არსენალში ვიშოვიდით პატრონებს. როცა ეს გვემა ჩაიშალა, დაერთით უპატრონოთ, ხოლო გამოსვლის აუცილებლობა მაინც ძალაში დარჩა, ხოლო სხვა გეგმით.

ბ. ჟირაძე: რაც ბ. ჭავჭავაძემ მოგახსენათ აღმოსავლეთის შესახებ, ქ. ჩოლოყაშვილის რაზმის თაობაზე, სხვაა. ჭიათურაში ბრძოლა იყო, მოკლულებიც იყო. ვერ გაუმგზავდით, რადგან პატრონები გვეგონა ექნებოდა ბოლშევიკებს და არ აღმოჩნდა. უპატრონოთ ვიყავით. — იმედი თუ იყოთ: დამოუკიდებლობის კომიტეტის თავმჯდომარედან ახსნილი ვიყავი, რომ ცოცხალი ძალით დახმარების იმედი სრულებით არ უნდა გვექონოდა. ხოლო თუ ამიერკავკასიას საქსებით ვაეწმენდით, მაშინ შესაძლებელი იყო დახმარების მიღება ფულით და იარაღით. — გადადება თუ შეიძლებოდა? რასაკვირველია, შეიძლებოდა, მაგრამ მაინც დიდი მსხვერპლი მოყვებოდა.

ქ. ჩოლოყაშვილი: მუცხეთაშიც არდნენ დამ. კომიდან, რომ ქაქულა ეჭურუხე პაში ისეთი შთაბრძნობა, მეტ ყურადღებას მოგვაქცევსო.

6. რამიშვილი: სად ვითბრუნებთ თქვენ, რომ დახმარებას თავიდანვე უნდა მოელოდითო.

სპ. ჭავჭავაძე: პარიტ. კომიტეტში. მე აგრეთვე დიდხანს ვულაპარაკე ე. ჯუღელს და იმიდანაც ასეთი შთაბეჭდილება მივიღე.

6. რამიშვილი: დარჩა პარტიული ან დამოუკ. კომიტეტის ორგანიზაციები?

ბ. ჟირაძე: ზოგიერთ ადგილებში დარჩა.

6. რამიშვილი: დამ. კომიტეტს ვუკვლავნ პქონდა ორგანიზაციები?

ბ. ჟირაძე: კახეთში არ ქქონია. ქქონდა იმერეთში, სამეგრელოში. აღმოსავლეთ საქართველოში (კახეთში) იყო მხოლოდ ჩოლოყაშვილის ორგანიზაცია.

6. შორღანი: როგორი იყო სხვა ერების დამოკიდებულება პროვინციებში?

ქ. ჩოლოყაშვილი: ადგილობრივ თათრები, რუსები და ზოგან სომხები ჩვენთან იყო. ბორჩალოს მაზრაში სულ ამოწყვეტეს ქართველობა სომხებმა.

სხდომის თავმჯდომარე
6. შორღანი
სხდომის მდივანი
ქ. კანდელაკი

ოქმი (№ 33)

მთავრობის და დ.კ. დელეგაციის შეერთებული სხდომის
5. 1. 1925. პარიზი

დაეხმარებინ: 6. შორღანი, 6. რამიშვილი, ე. გეგეჭკორი, ქ. კანდელაკი, სპ. კეღია, ი. გობეჩია, ს. ფირცხალავა, შ. ამირეჯიბი და აკ. ჩხენკელი.

შ. ამირეჯიბის მოხსენება

შ. აშირაძე იმის შესახებ, რომ იგი არ ყოფილა წევრი დამ. კომიტეტის, მაგრამ ესწრებოდა სხდომებს, როგორც პარტიის წარმომადგენელი 1922 წლიდან და შემდეგ 1923 წ. მეორე ნახევრიდან. თავიდანვე გეზი დამ. კომის მოქმედების აქტიური იყო. წინათ აჯანყების იდეას ზოგიერთი პარტიის წარმომადგენელი არ იზიარებდა, მაგრამ ბოლოს გველა შეთანხმდა, რომ ეს აუცილებელი იყო. წინათ იმედი ჰქონდათ ქართული ლაშქრის მომხადების და იმაზე დაფრთხილების, მაგრამ ეს რომ არ შედგა, იდეა აჯანყების ხალხში იქმნა გადატანილი. 1923 წ. დამლევს იმდენად მომწიფდა იდეა აჯანყების, რომ დამ. კომ-მა კაცი გამოგზავნა უცხოეთში, რომ გაეგო აზრი აქაურების. გამოგზავნილმა კაცმა ის აზრი ჩამოიტანა, რომ აჯანყება შესაძლებელია, ხოლო დახმარებას ჯარებით არავისგან არ უნდა მოველოდეთ, იქნება დაგვეხმაროს ვინმე ფულით და იარაღით, მორალური დახმარება კი უსათუოდ იქნება, მაგრამ ამისათვის საჭიროა შეიქმნას ახალი status quo და 3-4 კვირა მაინც უნდა გაეძლიოთ. ასეთი აზრით რომ ჩამოიტანა, მზადება აჯანყების მეტის ენერჯით დაიწყო. ამ დროსვე ჩამოვიდნენ დაახლოებით ბ. ჩხიკვიშვილი და ვ. ჯუღელი. რადგან რეალურად აქედან არაფერი დახმარება მოგვედიოდა, ფულის საჭიროება კი დიდი იყო, მე მივინდოდა ამ საგანზე ბ. ჩხიკვიშვილთან ლაპარაკი, მაგრამ ვერ მოვასწარი.

ჯავახიშვილი¹ და ანდრონიკაშვილი² გადმომცეს, თითქოს მაკონანდლის ნათქვამი იყო, რომ თუ რამე ხელის მოსაკიდებელი საბუთი მომეცა, შემძლია დახმარება გავიწიოთო. ჩვენ ეს გავიგეთ, თითქოს საკმარისი იყო გამოხელა

1 იასონ ჯავახიშვილი — ეროვნულ-დემოკრატი, დამოუკიდებლობის კომიტეტის მდივანი.

2 კოტე ანდრონიკაშვილი — სოციალ-დემოკრატი, დამოუკიდებლობის კომიტეტის ბოლო თავმჯდომარე.

და დახმარება იქნებოდა. მაგრამ მისი ჩვენ არავითარი ინფორმაცია არ გვეცემოდა. რაკი დიდი ხანია ვეშაღდეთ აჯანყებისათვის, ბოლოს გამოხელა აუცილებელი შეიქმნა და გამოვედით კიდეც.

6. შორდანიას შეკითხვა: ჩამოსულ კაცმა ზეპირად გადმოგცათ აზრები, როცა ჩემს წერილს, სადაც გარკვეული იყო თუ რა პირობებში შეიძლებოდა გამოსვლა, არ დაუჯერებ?

მ. გვამჭავროვის შეკითხვა: რა დააბარეთ თქვენ გამოგზავნილ კაცს? დააბარეთ თუ არა, შევიძლიათ მთელი კავკასიის გაწმენდა, ვარდა ბაქოსი, რომელსაც შემოურტყით? რომ თქვენ ხელში იქნება თითქმის მთელი ბრონევიკები და ჯავახიანი მატარებლები? რამდენ ხანს შევეძლოთ ვაჩერება ძალაუფლების ფოველგვარ დახმარების გარეშე?

სპ. კედიას შეკითხვა: ვისი ნაზვა დააბარეთ გამოგზავნილ კაცს პარიზში?

შ. აშირაძე: რა თქმა უნდა ნ. ყორდანიას წერილს ანგარიშს გაუწევდით, გვემაც ისეთი იყო, რომ მთელი კავკასიის მასშტაბით უნდა მომზადარიყო აჯანყება; მაგრამ აზერბაიჯანში პროლოკაციამ შევეშალა ხელი. მთაში კაცები გვეყვდა გაგზავნილი და ჩავარდა. თუ მაინც გამოვედით, იმიტომ, რომ შენერება შეუძლებელი იყო, ისეთი სულიერი განწყობილება იყო ხალხში. ჩვენ ვგრძობდით — ჩვენგან აჯანყება საჭირო, აჯანყებით და შემდეგ დაგვეხმარებიან, თუნდაც მარტო საქართველო იყოსო. კერძოდ, მეც ასე ვფიქრობდი. — გამოგზავნილი კაცისთვის რა იყო დაბარებული? რასაკვირველია, კავკასიის მასშტაბით გამოხელა, ერთი თვით გამაგრების იმედიც გვექონდა და სხვ. მაგრამ ეს ყოველივე იმედი იყო. და, სამწუხაროთ, არ მოხერხდა. გამოგზავნილ კაცს რომ ვკითხვოთ, რატომ ჩვენი პარტიის წარმომადგენლები არ ენახა, გვიამბო — გადმოგვცა: მე ვნახე ე. გ. (მ. გვამჭავროვი) და ნ. რ. (ნ. რამიშვილი), სხვებმა არ მოიხურვეს ჩემს სანახავად ჩამოსვლაო.

6. რამიშვილი: თუ იცით, რომ სოფ. ხომერიკი იწერებოდა ერთ დროს (ორი სიტყვა არ იკითხება) თუ იცით, რომ ბ. ჩხიკვიშვილს არ მიაჩნდა მომენტი აჯანყებისათვის ხელსაყრელად. ვ. ჯუღელის წერილს ციხიდან რათ არ დაუჯერეთ.

შ. ამირეჯიბი: სოფ. ხომერიკი რას იწერებოდა არ ვიცი, ვამიჯონია, რომ ბ. ჩხიკვიშვილთან ერთად ზოგიერთი მენშევიკებიც არ იზიარებდა აჯანყების საკითხს იმ მომენტში და ეს აქეთაც მოიწერეს, ხოლო რა ზომები მიიღეს არ ვიცი. ჩვენ არ დაუჯერეთ ვ. ჯუღელის წერილს, რადგან ჩუკაში შედგენილ წერილს ვერ დავეყრდნობოდით, წინათ კი ვალიკო პირიქით ამბობდა — გამოსვლა მალე უნდა მოხდესო.

სპ. კაშია, ი. გობაჩიძე აცხადებენ, რომ მათთვის არავის არ უთქვამს, რომ

კაცი ჩამოვიდა საქართველოში აზრის შეტყობაც უნდა.

მ. ბ. და ნ. რ. უპასუხებენ, რომ მან გადმოგვცა მთაწარის აზრის შეტყობისათვის გამოგზავნესო.

სპ. კაშია ეკითხება — კერძო მაინც თუ გადმოგვცეს ჩვენი აზრი.

შ. ამირეჯიბი: კერძოთ გადმომცეს, რომ თქვენ და ალ. ასათიანი წინააღმდეგ იყავით, ექსპედიცი კი მომხრე.

**სხდომის თავმჯდომარე
ნ. შორდანიძე
სხდომის მდივანი
კ. კანდელაკი**

ცალკე ფურცელზე ჩამოწერილ დადგენილებებში აღნიშნულ საკითხზე კითხვობთ: „შ. ამირეჯიბის მოხსენება საქართველოში მომხდარი აჯანყების გამო მიღებულ იქნა ცნობად“.



„კატარა კახის“ ისტორიული და ფოლკლორული წყაროები

„კატარა კახის“ შემოქმედებითი ისტორიის კვლევისას, უპირველეს ყოვლისა, დაისმის ისტორიული და ფოლკლორული წყაროების საკითხი; კერძოდ, საჭიროა იმის გარკვევა, თუ რომელი ისტორიული ეპოქა დაედო საფუძვლად პოემას, როგორია ავტორის დამოკიდებულება ისტორიული მოვლენებისადმი და ამასთან ერთად, რომელ ფოლკლორულ წყაროებს ეყრდნობოდა ავტორი ნაწარმოების შექმნისას.

სანამ ისტორიულ და ფოლკლორულ წყაროებს შევხებოდეთ, გავიხსენებთ ი. გრიშაშვილის მოსაზრებას, რომელიც მან აკაკის თხზულებათა თხუთმეტრომეულის VI ტომის კომენტარში მოგვცა: „აკაკის „კატარა კახი“ წარმოადგენს ალ. ორბელიანის ერთი პიესის გამოხმაურებას („ბატონიშვილ ირაკლის პირველი დრო“). ეს არაეის არა აქვს აღნიშნული. ჩემს ნარკვევში ეს საკითხი განხილული იქნება პოეტური ფსიქოლოგიის თვალსაზრისით“. ჩვენ უკრ მივაყენით გრიშაშვილის ამ ნარკვევს. შეიძლება, მას აღარ დასცალდა ჩინაფიქრის განხორციელება; რაც შეეხება ალ. ორბელიანის ნაწარმოებს, ეს უკანასკნელი, მართლაც, ასახავს თხუთმეტრომეულის ერთ-ერთ ბრძოლას, რომელიც თავისთავად ნეიშნის მინდორზე

მომხდარ შეტაკებაზე მოვითხრობს, თუმცა კი ავტორს ბრძოლის ველი თელავში გადაუტანია. ალ. ორბელიანის თხზულებაში სამშობლოსათვის თავდადებულთა ნუსხაში მხოლოდ დიდგვაროვნები დომინირებენ. ხოლო აკაკი წერეთელმა გმირული შემართება და მეფის ძესთან თანადგომა ძირითადად დაბალი ფენის წარმომადგენლებს სახით გამოგვცა. გრიშაშვილის მოსაზრებას დაუმატებთ იმას, რომ ალ. ორბელიანის მიერ 1862 წელს დაწერილი პიესა აკაკი წერეთელს შეიძლება გამოეყენებინათ თავისი დრამის მხოლოდ ლიტერატურულ წყაროდ.

ლიტერატურული წყაროს გარკვევის შემდეგ დგება საკითხი ისტორიული წყაროების შესახებ.

აკაკი წერეთელი ყოველთვის ღრმად ინტერესს იჩენდა საქართველოს ისტორიისადმი, მთელი თავისი სიცოცხლის მანძილზე გულმოდგინედ სწავლობდა მას და ბევრ საყურადღებო მოვლენასა თუ საკითხს თავის უკვდავ შემოქმედებაში აცოცხლებდა. მაღალმხატვრულ ფონზე მოთხრობილ ისტორიულ ამბავს იგი ფაქტობრივად თითქმის არ ცვლიდა, რაც დღესაც უფრო მეტად აღრმავებს მკითხველთა ფართო წრის დაინტერესებას მისი შემოქმედებით. რაც შეეხე-



ბა ისტორიის ქრონოლოგიურ ჩარჩოს, იგი ვრცელდება წინაანტიკური ხანიდან ვიდრე შუა საუკუნეების ბოლომდე.

ყოველი ისტორიული ნაწარმოების შექმნას აკაკი წერეთელი დიდი სერიოზულობით ეკიდებოდა, მაქსიმალურად ეცნობოდა არსებულ ლიტერატურას და საგულდაგულოდ სწავლობდა საჭირო ფაქტებსა თუ მოვლენებს. რა თქმა უნდა, აკაკი წერეთლის შემოქმედებაში არც „პატარა კახი“ იქნებოდა გამონაკლისი. დღევანდელი ამ დრამის წყაროები ტექსტოლოგიური თვალსაზრისით არ არის შესწავლილი და განხილული, მით უფრო, რომ ჩვენ ვავეცანით აკაკის სიცოცხლეში გამოქვეყნებულ „პატარა კახის“ ტექსტებს და მისი გარდაცვალების შემდეგ გამოცემულ კრებულებს, სადაც არც თვით აკაკი წერეთელი და არც მისი გამომცემლები პოემის ისტორიული თუ ფოლკლორული ქარვის ირგვლივ ცნობებს არ იძლევიან. მხოლოდ ცალკეულ საკითხებს შეხებთან შესაბამისად ისტორიკოსები და ფოლკლორისტები. ჩვენ მიზანშეწონილად მივიჩნით ამ გამოკვლევების მოძიება, შეჯერება, საკუთარი დასკვნების გამოტანა ამა თუ იმ წყაროსთან მიმართებაში და მათი ჩვენ მიერ მიკვლევული მასალებით შევსება.

ერეკლეს პიროვნებით არაერთი ისტორიკოსი თუ მწერალი დაინტერესებულა, რაც მისმა ვაჟაკურმა თვისებებმა, სამშობლოს კეთილდღეობისათვის თავდადება, აღმოსავლეთ საქართველოს პოლიტიკურ თუ საერო ცხოვრებაში მთელი რიგი დადებითი ცვლილებების შეტანამ განაპირობა. ერეკლე მეფე, ხალხის მიერ პატარა კახად წოდებული, სახალხო გმირად იქცა და ხალხის სულის ნაწილში – ლექსებში, სიმღერებსა და თქმულებებში გადაინაცვლა.

პატარა კახმა თავისი გმირული და ვაჟაკური თვისებები გამეფებამდე ბევრად ადრე, ვაწიფილობის წლებიდანვე გამოამჟღავნა სამეფო კარზე თუ მტრის წინააღმდეგ ხელნართულ ბრძოლებში. სწორედ 16 წლის ქაბუკი ერეკლეს პი-

რველ ბრძოლას ასახავს აკაკი წერეთლის ისტორიული დრამა „პატარა კახი“.

რა თქმა უნდა, „პატარა კახის“ თავდაპირველ ისტორიულ წყაროდ „ქართლის ცხოვრება“ (ქართლის ცხოვრება, დასაბამიდან მეოთხრამეტე საუკუნემდე, ნაწილი მეორე, გამოცემული უ. ჩუბინოვისაგან, სანკტ-პეტერბურღი, 1854 წ.). უნდა მივიჩნიოთ, რადგან აქ კარგად არის აღწერილი მეოთხრამეტე საუკუნის 30-იანი წლების აღმოსავლეთ საქართველოს მდგომარეობა. ამ დროისათვის ქართლის სამეფო არ არსებობდა, ხოლო 1772 წლიდან კახეთის სამეფოს განაგებდა თეიმურაზ II, რომელიც ოსმალების მოზღვაუების გამო მთელი თავისი ოჯახით ფშავეში გაიხიზნა. სწორედ „ქართლის ცხოვრებას“ იმორწმებს და ასახელებს დრამის ისტორიულ წყაროდ ისტორიკოსი, აბულ კიკვიძე სტატიის „პატარა კახის ისტორიული ქარვა“.

როგორც ნაწარმოებიდან ჩანს, დრამაში აღწერილი ბრძოლა ლეკების წინააღმდეგ ერეკლე II-ისათვის პირველი სერიოზული ბრძოლა იყო მტრის წინააღმდეგ. აკაკის ტექსტის მიხედვით იმ ადვილას, სანამ გადაწყდება პატარა კახის ბრძოლის ველზე გაშვების საკითხი, გივი ჩილოფაშვილი თეიმურაზს შემდეგნაირად უხასიათებს ერეკლეს:

„ვევლა ვხედავდით, რაც ჩვენს ქვეყანას მოადგა მტრისგან ტანჯვა და ვნება...“
 „მაგრამ გამოინდა შეურნალად გმირი...“
 „დიახ, ირაკლი! ანდამატივით გარს შემოისხა ვაწიფილკაცობა და მათ უჩვენა სამაგალითოდ პირადი ღვაწლი და მამაცობა: დაჰყო ცალ-ცალკე გუნდებად ჯარი“...
 „და მტერს, თუ სადმე შეიგულეებდა, მოულოდნელად თავს ესხმებოდა“.

ასე აღწერს მანამდე წერილ-წერილ ბრძოლებში გამოვლილი ყრმა ერეკლეს მამაცობას გამზრდელი, რომელსაც ამჟამადაც აქვს თავისი გაზრდილის იმიჯი. რა თქმა უნდა, ერეკლეს აკაკისუ-

ლი დახასიათების მიღმა არ იგულისხმება სერიოზული ბრძოლები, ამიტომაც პოემის ბოლოს აღწერილი ბრძოლა პატარა კახისათვის პირველი იყო.

ნაწარმოების დასაწყისში პატარა კახი დანაწევრებით ამბობს, რომ თექვსმეტი წელი შეუსრულდა და ჯერ კიდევ ნადირობით ერთობა. „ქართლის ცხოვრების“ მიხედვით, ერეკლე თხოთმეტი წლისა იყო „რომელმან შემოიყარა სოფლებიდან ეწია ნეშნის მინდორში და ძლიერად შემოებნენ ლეკნი“. რადგან ისტორიულადაც და ლიტერატურულ ნაწარმოების მიხედვითაც, აღნიშნული ბრძოლა პატარა კახისათვის პირველი ყოფილა, მხატვრულ ნაწარმოებში ერთი წლის ასაკობრივ სხვაობას, ვფიქრობთ, დიდი მნიშვნელობა არ უნდა ჰქონდეს.

აბელ კიკვიძე აღნიშნავს, რომ აღწერილი ბრძოლის დროს თეიმურაზ მეფე სხეული არ ყოფილა და აღნიშნულ მომენტს მიაწერს შგოსნის მიერ გმირების პოეტურ საფაროში გადაყვანას.

„ქართლის ცხოვრებაში“ მოთხრობილ კახეთის მდგომარეობას, როცა გარეკახეთი ვალეკების გზას დასდგომია და ბევრი ოსმალეთელი თავადიც გამოიწინილა, აბელ კიკვიძე უკავშირებს პოემაში ლეკან ქვაბულიძის მიერ რევაზ ბებურიშვილის ძმის მოკვლის ამბავს იმ მოტივით, რომ ეს უკანასკნელი ქიზიფში შესძლილია მტერს. ისტორიკოსის ეს მოსაზრება მისაღებია, რადგან პოემაში აღწერილ კონკრეტულ მაგალითებს მატიანის ფურცლებზე ვერ ამოვიკითხავთ; ისტორიისათვის ცნობილი მოვლენების მხატვრული ხერხებით და გამოგონილი სახეებით შევსება მხატვრული ნაწარმოებისთვისაა დამახასიათებელი, რასაც აკაკი წერეთელი შესანიშნავად ართმევს თავს.

„ქართლის ცხოვრებაში“ ნათლადაა წარმონეწილი ომში ფშავ-ხევსურების თანადგომა ერეკლე II-სთან. პოემაში კი მაღალმხატვრულ ფონზეა აღწერილი ფშავ-ხევსურების, თუშებისა და ბარელების მონაწილეობა ლეკების წინააღმდეგ ბრძოლაში, ხანიმუშოდ ტექსტიდან

მოვიტანთ შემდეგ მაგალითებს ნუწყფე: თუმი ბევრი გვევავს? — კახი: ხაშანს კაცი მეფე: ფშავ-ხევსურები? — კახი: ცხრაასიოდე! „... ასევე, თუშ-ფშავ-ხევსურების ვაეკაცობით აღტაცებული ბაადური ასე წარმოხთქვამს: „პიი, თქვენს გამწენს კი ვნაცვალე და თქვენს მარჯვენას, თუშ-ფშავ-ხევსურნი!“

აბელ კიკვიძე ლექთა ბელადის აღიხანტის მოკვლას მემკვიდრის ცნობას უკავშირებს.

დრამის პროზაულ ვარიანტში, რომელიც იოსებ გრიშაშვილმა მოიპოვა, აკაკის მოხსენიებული ჰყავს სერაქსირი, რომელიც ხელკეტებითა და ნამგლებით შეიარაღებულ გლეხთა რიგებში ლეჩქებგამობული ჯოხიანი დედაკაცების გამორჩენამ შუაშინა და პირი აბრუნებინა. თვით სერაქსირის პიროვნება სარასკარის სახელით „ქართლის ცხოვრების“ თავში — „საქართველოს ცხოვრება სეხნია ჩხვიძისა“ შემდეგნაირად წარმოგვიდგება: „ქორონიონს უკვ (1735 წ.) მოვიდა თამაზ-ხან ყარსის ქვეყანასა და იქით საქმარისი ჯარი ზვანთქრისა ქიფრულის შვილი, შვიბნენ, გაემარჯვა თამაზ-ხანს, მოკლეს სარასკარი...“ სარასკართან ბრძოლას მეფე უჭერტდა მადლობიდან, რომელიც, აბელ კიკვიძის აზრით, მალარო უნდა იყოს, გამარჯვებული ბატონიშვილი რომ ავიდა. ჩვენ აქვე დავიმოწმებთ ციტატას „ქართლის ცხოვრებიდან“: „ტყვენი და საქონელი მოსწყვიტეს უმრავლესნი და მოვიდა მალაროს გამარჯვებული...“ როგორც ვიცით, ეს პიროვნება პოეტურ ვარიანტში აკაკის აღარ გამოუყვანია.

რაც შეეხება ქალების მონაწილეობას ომებში, რომელიც ვიზიოდიც ასევე არ შეუტანია აკ. წერეთელს პოეტურ ვარიანტში, ისტორიულად ბევრჯერ იყო საქართველოში ისეთი მომენტები, ცოლები, დები, შვილები ქმრებთან, ძმებთან და მამებთან ერთად რომ გადიოდნენ საომრად ბრძოლის ველზე.

აბელ კიკვიძე წერს, რომ გივი ჩოლოყაშვილი ისტორიული პიროვნებაა იგი თეიმურაზ II-ის სახლთუხუცესი ყოფილა. „ქართლის ცხოვრების“ ომან



ტერმინების უმეტესობა უკავშირდება ამ პიროვნების გვარს: „...უღალატეს მეფეა თეიმურაზს და დაიჭირეს... ჩოლოყაშვილი სახლთუხუცესი გვი...“ აკაკი წერეთელმა კი პოემაში გ. ჩოლოყაშვილი ერეკლე II-ის გამზრდელად გამოიყვანა. სხვათა შორის, აღ. ორბელიანის ჩვენს მიერ ზემოთხსენებულ პიესაშიც ნახსენებია გვი, გვარის გარეშე, ერეკლეს გამზრდელი. საინტერესოა, სინამდვილეში ვინ იყო გვი ჩოლოყაშვილი; შესაძლებელია, რომ სახლთუხუცესობასთან ერთად მას უფლისწულის გამზრდელობაც ჰქონდა დაკისრებული, რაც „ქართლის ცხოვრებაში“ არ არის აღნიშნული. თუმცა პოეტისთვის ამას ვადამწვევტი მნიშვნელობა არ უნდა ჰქონოდა. შესაძლებელია, მან სულ სხვა წყაროებზე დაყრდნობით მიაგნო ამ ფაქტს, რასაც იგი პოემაში წარმოვიდგენს.

რასაკვირველია, „ქართლის ცხოვრება“ ერთადერთი ისტორიული თხზულება არ არის, რომელსაც აკაკი წერეთელი გაეცნობოდა, სანამ დრამაზე მუშაობას შეუდგებოდა. „ქართლის ცხოვრება“ არის ის წიგნი, რომლიდანაც ზუსტი ისტორიული მოვლენები გამოიყვანა ავტორმა. რაც შეეხება ერეკლე II-ეს, მის შესახებ ცნობები მას შეეძლო ამოკრება არაერთი ნაწარმოებიდან. აკაკის დროს არსებობდა მრავალი მხატვრული ძეგლი, სადაც ერეკლე მოხსენიებულია, როგორც ისტორიული პიროვნება, ჭკვიანი მხედართმთავარი, ნაყოფიერი ხელმწიფე, მამაცი მებრძოლი და გამჭრიახი პიროვნება. ყველა ნაწარმოების ჩამოთვლა შორს წაგვიყვანდა, მით უფრო, რომ ისინი ისტორიულ წყაროებად ვერ ჩაითვლება. აქ მხოლოდ რამდენიმეს დავასახელებთ.

ერეკლე მეორის გარდა, აკაკი წერეთელს დრამაში მოხსენიებული ჰყავს თამარ მეფე, როგორც პროზაულ, ისე პოეტურ კერსიებში, უსინათლო მოხუცი გელა თავის ქალიშვილს მოუთხრობს ქოშისგორის ლეგენდაზე. აქ პოეტი თამარს მოიხსენიებს, როგორც საოც-

რად ღვთისმოსავ პიროვნებას, რომელიც მიერ მოთხრობილი ლეგენდაში მოხუცი თამარმა ორმოცი ღლე და ღამე იმარხულა და შემდეგ ფეხშიშველა წაბრძანდა შუამთის მონასტერში. ქოშები კი ხაყურით მიწით აავსო და მებრძოლთა სისხლით მორწყულ მიწაზე დაყარა. მას მიბძებს სხვებმა და ასე გაჩნდა ქოშისგორა. აქ გვაგონდება ერთი ადგილი ბასილი ეზოსმოძღვრის თხზულებიდან „ცხოვრება მეფეთ-მეფის თამარისი“, სადაც მეისტორიე მოკვითხრობს თამარის ღვთისმოსაობის ამბავს: „ხოლო თვით წარიხანდა სამოსელნი ფერბთანი, და ფერხიე შიშველთა ფერხითა მიიწია ტამარსა ღმრთისმშობლისასა“. რასაკვირველია, ეს ისტორიული ცნობაც არ უნდა დარჩენილია აკაკი წერეთელს ყურადღების მიღმა და ჩვენ თავს უფლებას ვაძლევთ, ბასილი ეზოსმოძღვრის აღნიშნული ნაწარმოები „პატარა კახის“ ერთ-ერთ ისტორიულ წყაროდ მივიჩნიოთ.

რაც შეეხება დრამატული პოემის ფოლკლორულ წყაროებს, უნდა აღინიშნოს შემდეგი. ისტორიულ ქრონიკებზე არანაკლებ შთაბეჭდავი იქნებოდა ის მდიდარი ფოლკლორული მასალა ერეკლე II-ზე, ხალხმა რომ შემოინახა და რომელსაც სხვა ნიშნებით ერთად ასე საოუთად და გულმოდგინებით კრებდა და სწავლობდა თავისი ნაყოფიერი ცხოვრების მანძილზე აკაკი წერეთელი.

ფოლკლორისტიკაში ცნობილია, რომ თამარ მეფე და ერეკლე II გამორჩეულად გაითავისა ხალხმა და თავის საყვარულ გმირებად აქცია ისინი. ამ ორი პიროვნებისადმი სიყვარული იმდენად დიდი იყო, რომ ხალხმა მათ ლეგენდაც შეუქმნა, რომელშიც „აწამეს“, რომ ისინი „ცოცხლები არიან და, როცა გაუჭირდება საქართველოს, მიეშველებიანო“.

ყველასათვის ცნობილია აკაკის დამოკიდებულება ხალხური შემოქმედებისადმი. მდიდარ ფოლკლორულ გარემოში აღზრდილ მგოსანს ბავშვობიდანვე გამოჰყვა ზეპირსიტყვიერებისადმი დიდი დაინტერესება და სიყვარული.

აკაკი ბუერს მოგზაურობდა საქართველო-ს სხვადასხვა კუთხეში და ყოველი სიტყმობის დროს ახალ-ახალი მასალით აესებდა ხალხური სიტყვიერების საგანძურს. აკაკი არ იყო უბრალო შემკრები და პატივისცემელი ხალხური შემოქმედებისა, ის იყო ფოლკლორის მკვლევარიცა და გამომყენებელიც.

ხოლო რაც შეეხება თავის შემოქმედებაში ხალხური სიტყვიერების გამოყენებას, ეს ნათლად ჩანს მის ნაწარმოებებში. ზემოთ მოტანილ ციტატაში მიხილ ჩიქოვანი განაგრძობს: „აკაკის პოეტური ღირთეობა დიდად ენათესავება ხალხურ პოეზიას. შემთხვევითი არ არის, რომ აკაკი ხშირად მიმართავს ზეპირსიტყვიერების დამახასიათებელ პოეტურ ხერხებს“. მართლაც, მისი პოეზია გაედენთილია ხალხური მოტივებითა და ელერადობით. სწორედ ამის დასტურია აკაკის დრამაში სამ ადგილას გამოყენებული სიმღერები ყანაზე: „ყანაო, მუშაჲ ყანაო...“, „ყანაო, გულ-ხელ-გაშლილო, ქვეყნის მოკეთეჲ, ყანაო...“ და „ზედ უფლის თვალი დაგყურებს, შენი ბარაჲა ბრძანაო...“, რომლებიც მთლიანობაში აკაკის მიერ 1886 წელს დაწერილ ერთ ლექსს წარმოადგენს სათაურით: „მუშური“. მიხილ ჩიქოვანი თავის წიგნში „აკაკი წერეთელი და ხალხური სიტყვიერება“. ამ ლექსს ხალხურ მოტივებზე აღმოცენებულსა და შემდეგ ხალხშივე გადასულ ლექსად მიიხსენებს, აკაკი წერეთლის რჩეული ნაწარმოებების I ტომის შენიშვნებში (ავტორები გურამ გვერდნითელი და ემზარ კვიციანი) კი კვითხულობთ, რომ „აკაკის ლექსი „მუშური“ ცნობილ მკვლევარს კარლ ბოუხერს მოჰყავს თავის თხზულებაში „შრომა“ და რიტმი“, როგორც ქართული ხალხური შრომის ლექსის ნიმუში“. ჩვენ ამ ლექსის მსგავსი ტექსტები ხალხური სიტყვიერების კრებულებში ვერ მოვიპოვეთ. ეს ლექსი მართლაც გაედენთილია ხალხური მოტივებით და არც არის გასაკვირი, რომ მას ბინა ხალხის ზეპირსიტყვიერებაში დაედო. აქვე იმასაც დავამატებთ, რომ არანაკლებ პოპულარულია ამ დრამის

დასაწყისშივე მწვემის (ლექსი ნაწილობრივად აღებული) მიერ წარმოთქმული სიტყვები:

**„დაიგვიანეს, ჯერ არსად სჩანან!
მაგრამ სალამურს თუ მოკრა ყური,
ანდამატურის ძალით გამოსწევს
აქეთკენ მის გულს ხმა უცნაური“.**

ეს სიტყვები პოემის გასცენოურებისთანავე აიტაცა ხალხმა და უკვდავ სიმღერად აქცია. ჩვენ ისლა დავგერწნია, კიდევ ერთხელ დავიმოწმეთ მიხილ ჩიქოვანის აზრი აკაკის შესახებ: „აკაკი წერეთლის დიდი პოპულარობის მიზეზი მისი შემოქმედების ხალხურობაში არის“.

ხალხური მოტივების გამოყენების თვალსაზრისით, აკაკის პოემაში „პატარა კახი“ კიდევ ერთი ადგილი იჭირობს მკითხველის ყურადღებას, მეოთხე მოქმედებაში რევაზთან საუბრის დროს აღისკანტზე განრისხებული ლევანი ამბობს: „დავლურში მინდა გამოვითხოვო, ან უნდა მოვკლა, ან შევაკვებო!“. აკაკი წერეთლის თხზულებათა სრული კრებულის VI ტომის რედაქტორის შენიშვნებში გამომცემელი ი. გრიშაშვილი ვეამცნობს, რომ აღნიშნული სტრიქონები „აკაკის კრებულში“ 1897 წელს დაბეჭდილი პოემის ტექსტში: „ან უნდა მოვკლა, ან შევაკვებო“ შეცდომად მიუჩნევია და მიღებული კონტექსტი აუღია ერთი ხალხური ლექსიდან:

**„გამიძებ, მკლავო მაგარი,
გასჭერი, ხმალო ტიალო,
მტერი მოგვადგა კარზედა,
იქ უნდა გაგაპრიალო,
ან მოვკლავ, ან შევაკვებო,
ლანრულად როგორ ვიარო...“**

სარწმუნოა ი. გრიშაშვილის ეს მოხაზრება, აღნიშნული ხალხური ლექსის ფშაური ვარიანტი „ქართული ხალხური პოეზიის“ მეორე ტომშიც ამოვიკითხეთ:

**„ხმალს უთხრა ივანაურმა:
ხმალო, გამიჭერ, ტიალო!
მტერი მამადგა კარზედა;**

იქ უნდა გაგაპრიალო!
ან მოვკლავ, ან შე მოვკვებები,
ცოცხალმ არ უნდა ვიარო!”

თავის გამოკვლევაში მ. ჩიქოვანი საინტერესო მოსახრებას გვაწვდის აკაკის მიერ უძველესი სიმღერის „მუმლი მუხასა“ გამოყენების შესახებ, ეს სიმღერა ვახტანგ კოტეტიშვილს ზეთა თაყვანისცემის ნიშნად აქვს მიჩნეული. ბევრ ქვეყანაში, და მათ შორის საქართველოშიც, გავრცელებული ყოფილა მუხის თაყვანისცემა. შოთა რუსთაველის სახელობის ლიტერატურის ინსტიტუტის მიერ გამოცემულ „ქართული ხალხური პოეზიის“ მეათე ტომში ეს ლექსი შესულია შრომის ლექსების ციკლში. მ. ჩიქოვანის აზრით კი ლექსმა თავისი პირველდანიშნულებითი აზრი დაკარგა და ახალი გააზრება მიიღო... აკაკი მუხის შიგნით გაჩენილ მატლს ადარებს ციხის შიგნიდან გატეხვას. ... ეროვნულ-გამათავისუფლებელი იდეებით გატაცებული მგოსანი მუდამ ამ თვალსაზრისით არჩევდა ფოლკლორულ მასალებს.

აკაკის დრამის პოეტურ ვარიანტში მოცემულ ტექსტში მიხეილ ჩიქოვანის მიერ საილუსტრაციოდ ამ ლექსის ერთ-ერთ ვარიანტისაგან განსხვავებით პატრიოტული შემართება ნაკლებ თვალშისაცემია. თუმცაღა, აკ. წერეთლის მიერ მუხის სამშობლოდ აღქმა გამორიყხული არ უნდა იყოს, მით უფრო, რომ ხანამ მუშები ამ სიმღერას იმღერებდნენ, ავტორმა პოემაში თავისი სათქმელი გელას სიტყვებით გადმოგვცა:

„არა გვიშავს რა, ჩვენი ქვეყანა
ისე მაგრად დგას, როგორც რომ მუხა:
მტერი მუმლივით ეხვევა, მაგრამ
ჯერ ვერ გაახმო, თუმც შეაწუხა...“

ამასთან ერთად ჩვენ ვავეცანით დრამის პროზაულ ვარიანტს, რომელიც გრიშაშვილისეულ გამოცემაშივეა მოცემული და ამოვიკითხეთ აკაკის მიერ მეტად საინტერესოდ გადამუშავებული ვარიანტი ხალხური ლექსისა, სადაც აშკარადაა გამოხატული ავტორის პოზი-

ცია, მისი პატრიოტული შემართება, რაც იმდროინდელ ცენტრალურ მუშებზე მოუპარებოდა და, ალბათ სწორედ ცენზურის მკაცრი ჩარევის შემდეგ აკაკიმ პოეტურ ვარიანტში მოგვცა ამ ლექსის უფრო შემოკლებული და ეროვნულობის თვალსაზრისით ნაკლებად გამომწვევი ვარიანტი. სამაგიეროდ, მგოსანმა თავისი შემართება ამ ვარიანტში მაინც გამოხატა გელას პირით.

ისტორიული წყაროების განხილვისას ჩვენ ვახსენეთ აკაკის დრამაში მოხუცი გელას მიერ მოყოლილი ამბავი თამარ მეფის შესახებ, რომელიც წარმოადგენს ლეგენდას ქოშისგორის აგებისა და სახელწოდების წარმოქმნის შესახებ. ხალხურ ზეპირსიტყვიერებაში არსებობს თქმულება მდინარე რიონის გასწვრივ კონუსებური ბორცვების შესახებ, რომელიც ხალხურ ეტიმოლოგიაში „ნაქოშრის“ სახელწოდებითაა ცნობილი. აქ ჩვენ მოვიტანთ ციტატას ქსენია სიხარულიძის ნაშრომიდან „ქართული ხალხური საგმირო-საისტორიო სიტყვიერება“: „იმერული თქმულებით, თამარ მეფეს თან ახლდა ქვეითი და ცხენოსანი ქალთა ლაშქარი. ერთხელ მას ომი გამოუცხადა ირანის ძლიერმა შაჰმა. თამარმა შეკრიბა ქალთა ლაშქარი და მტრის შესახვედრად გაემართა, ზღვის მიმართულებით წვიმიანი ამინდები იყო. მებრძოლი ქალები დასვენებისას იცილებდნენ მაღალ ქოშებზე მიკრულ ტალახს, რომელიც მათ სიარულს უშლიდა, ქალთა ლაშქარი ისე მრავალრიცხოვანი ყოფილა, რომ ქოშებიდან ჩამოცვნილი ტალახით ბორცვები გაჩენილა. ამ ბორცვებს „ნაქოშარი“ ეწოდა“. როგორც ვნახეთ, „ნაქოშარი“ წარმოქმნილ ბორცვებს ანუ ვორაკებს დაარქვენ. უდავოა ის ფაქტი, რომ აკაკი წერეთელმა ნაქოშარის ისტორიაზე თავისებური ინტერპრეტაციით აავო ქოშისგორის შესანიშნავი ლეგენდა, რაც კიდევ ერთხელ ცხადყოფს აკ. წერეთლის შემოქმედების ხალხურ მასალასთან ღრმა, შინაგან კავშირს.

თამარის ლეგენდას მოხუცი გელა შემდეგი სიტყვებით ამთავრებს:

**„როდესაც თურმე პირველად სწირეს,
მაღალმა მოებმა იწყეს დრეკაო
და თამარ მეფეს, ნათლად შებურვილს,
ზეციით მოესმა ხარის რეკაო!“**

ხალხურ სიტყვიერებაში ცნობილია ვახტანგ გორგასალზე გამოთქმული შემდეგი ლექსი:

**„ვახტანგ მეფე ღმერთს უკარდა,
ციდან ჩამოესმა რეკა;
იაღბუზზე ფეხი შედგა,
დიდმა მოებმა იწყეს დრეკა“,**

თითქმის იმავე ტექსტითაა ცნობილი ხალხური ლექსი, რომელიც ვახტანგის მაგიერად თამარ მეფეს ასხამს ხოტბას:

პოემის აღნიშნულ ადგილსა და ხალხურ ლექსს შორის დიდია სიუჟეტური კავშირი, რაც უფლებას გვაძლევს დრამაში მოცემული ტექსტი ხალხური ტექსტის აკაკისეულ რემინისცენციად მივიჩნიოთ.

ხალხურ სიტყვიერებაში აირეკლა არა მარტო ისტორიული პიროვნებები და გმირები, არამედ იგი იქცა მთელი რიგი ისტორიული მომენტების, ბრძოლებისა თუ მნიშვნელოვანი მოვლენების ცოცხალ მატთანად.

ქართველი ხალხის თავდადებული ბრძოლები ლეკების წინააღმდეგ არაერთ ხალხურ ლექსსა თუ ლეგენდაში აისახა. რა თქმა უნდა, ასეთი მასალაც უნდა გამხდარიყო აკაკი წერეთლის შთაგონების წყარო, ჩვენ დავასახელებთ მხოლოდ რამდენიმე მაგალითს, რომლებიც ერეკლე ბატონიშვილის სახელთანაა უშუალოდ დაკავშირებული: „ჩვენი ბატონი ერეკლე, ერთი პატარა კახია, ჭარის ბოლოში ლეკების ჯარი შუაზე გახია“, „ერეკლე ბატონიშვილი ვანა უბრალო კახია?! საგურამოში ლეკისა ჯარ მარტომ შუა გახია“; „...ომობენ ღულღულ შვილები, ერთი ეძახის სხვასო: „თითოს შეეწირათ ოროლი ლეკთა ნახოცთა მკედარსო“. ეს და სხვა კიდევ ბევრი ფოლკლორული ნიმუში ერეკლე მეორის ლეკებთან ბრძოლის შე-

სახებ უნდა დასდებოდა საუბრისას აკაკი წერეთლის დრამატურული ნაწარმი „პატარა კახის“ — სიუჟეტურ ქარგას.

ასევე ბევრ ხალხურ ლექსში ვხვდებით ცნობებს იმის შესახებ, რომ ერეკლე მეორეს მტრების წინააღმდეგ ბრძოლებში ხშირად ედგნენ გვერდში ფშავეზელები, მთიულეები: „პირი ქანა ფშავეზესურთა, თუშები მიდგას ვახასო... იმდენს აძლევს ფშაველები, თოფის დავხვევლით კვამლსო, ხელი გაისვა აბამა, ხევსურის შვილმა, ხმალსო“; ან: „მთიულებს შემოუთვალეს ბრძანება ქალაქისაო: გვიშველეთ, მთიულთ შვილებო, ძალა დავგადგა მტრისაო...“. ან კიდევ: „დღეს ჩვენი ვადა გვხვდებას! „ჩამეწრინენ კვესურნი, ერეკლე ჩამახვევებისა“. ფშავეზესურების ომებში მონაწილეობის შესახებ ისტორიულ ცნობებზე ჩვენ ზემოთ უკვე ვილაპარაკეთ. აქ კი იმას დავამატებთ, რომ ისტორიულ წყაროებში და ხალხურ გამონათქვამებში არსებული მასალები უთუოდ თანაბარ ინტერესს აღუძრავდა აკაკი წერეთელს, როგორც სამშობლოს მხატვრულ მეისტორიეს.

აკაკი წერეთლის დრამა „პატარა კახი“ პირველად ავტორს „ირაკლი II“-ის სათაურით დაუწერია, რის შესახებაც შეიძლება ვთქვათ 1886 წელს გაზეთმა „ივერიამ“ აუწყა (№ 35), ხოლო ამავე წლის თებერვლის შუა რიცხვებში „საქენზურო კომიტეტში“ ადგენს დრამას „ირაკლი ბატონიშვილის“ სცენაზე დადგმის ნებართვისათვის“. ამ დასათაურების ვარდა საინტერესოა ის ფაქტი, რომ ამ დრამის „პატარა კახის“ სათაურით გამოხვლამდე ავტორს კიდევ ერთი სათაური მიუცია თავისი ნაწარმოებისათვის. 1887 წელს გაზეთი „ივერია“ (№ 254) აქვეყნებს ცნობას აკაკის ახალი დრამის — „გელას“ — რეპერტუარში შეტანის შესახებ. ჩვენ უსაფუძვლოდ არ ვახსენებთ პოემის ეს უკანასკნელი დასათაურება, ნაწარმოებში ერთ-ერთი მთავარი გმირი თავისი პატრიოტული ხელისკვეთებით ხომ სწორედ მოხუცებული გელაა, შეიძლება ამანაც განაპირობა ავტორის ჭოქმანი სათაურის



შერწყმას. ალბათ ბევრ მკითხველს და მკვლევარს გაუნდა კითხვა, ვინ იყო გელა. იგი რეალურად არსებული პიროვნება იყო, თუ უბრალოდ სამშობლოსათვის შებრძოლი, გმირის სახე აკაკი წერეთელმა მხოლოდ გელას მხატვრულ სახეში მოგვცა? გელას პიროვნებით ჩვენს დაინტერესებაც არ უნდა იყოს მოულოდნელი; მით უფრო, რომ არც ერთ გამოკვლევასა თუ სტატიასა მიახლოებითაც კი არ არის მინიშნებული ამ პიროვნების რეალურობაზე. რა თქმა უნდა, ჩვენ საქმე არა გვაქვს დოკუმენტურ ნაწარმოებთან და, თავისთავად, როგორც ყველა მხატვრულ ნაწარმოებში, ავტორის მხატვრული ფანტაზიით შექმნილი ამბავი თუ სახე „პატარა კახშიც“ უხვადაა. მაგრამ, ფოლკლორისტიკაში ცნობილი სახალხო გმირის – გიორგის, გელად წოდებული ნათელაშვილის, პიროვნებამ დაგვიინტერესა, მით უფრო, რომ ლექსი ამ გმირის შესახებ თვით აკაკის მიერ გამოცემულ ჟურნალ „აკაკის კრებულშიც“ კი შევიდა. ხალხურ სიტყვიერებაში ცნობილია ერეკლე მეფის თანამედროვე გმირი გელა (გელანა) ნათელაშვილი, იგივე გიორგი გელანაშვილად წოდებული, რომელიც სხვადასხვა თქმულების მიხედვით გიორგი მეფისაშვილადაც ყოფილა ცნობილი. ხოლო ფოლკლორისტიკის გამოკვლევით ეს პიროვნება გიორგი ბაზალეთელისა და კერძოების სახელათაც შესულა ფოლკლორში. ენახოთ, რას მოგვითხრობს გიორგი ნათელაშვილზე ზეპირი მატთან: „მეფე ერეკლეს დროს საქართველოში ცხოვრობდა ერთი გამოჩენილი და მეფის ერთგული გლეხი, სოფ. პაზალეთს, გელა ნათელაშვილი, რომელიც ისეთი მეფის ერთგული, დონიერი და მეომარი კაცი ყოფილა, რომ მის დროს მისებრი ბევრი არაჲინ მოიძებნებოდა საქართველოში... ნათელაშვილს სახელად სწოდებია გიორგი, რადგანაც ხაოცარი მეომარი კაცი ყოფილა და მეფის ერთგული, ამის გამო ლეკებს და თათრებს დაურქმევიათ „გელა“ (მგელა)“. შედარებისთვის მოვიშველ-

ითი ციტატები აკაკის დრამატულ ნაწარმოებში ტექსტიდან, გელა თანამედროვე ზეპირი ბოძი: „და მეტსახელად მამანაშვილი ვაფეკციობისათვის გულადი „გელა“, ხოლო ვივი ჩოლოყაშვილი ასე ახასიათებს მას:

**„გიორგი არის... გვარად ხმალაძე...
ქმეწონდა სიმხნე და მამაციობა...“
„გასაოცარი ვაფეკციობისთვის
მეტი სახელი დაარქვეს „გელა“.**

აქვე ისიც უნდა აღვნიშნათ, რომ ზემოთ მოტანილი ლექსენდა ზაქარია ჭიჭინაძეს ვერ კიდევ 1878 წელს გამოქვეყნებია, რაც აკაკი წერეთლისათვის დრამის შექმნის პროცესში ცნობილი უნდა ყოფილიყო. ჩვენ მარტო სახელუბისა და გმირული შემართების დამთხვევით კატეგორიულად ვერ დაკასხელებთ აღნიშნულ სახალხო გმირს აკაკის ნაწარმოების პირდაპირ პროტოტიპად; მით უფრო, რომ ლექსდების მიხედვით გელა ნათელაშვილი ერეკლე II-ის სიჭაბუკის დროს მოხუცებული ვერ იქნებოდა. არც მისი სიბრძნვე და ბრძოლებში დაღუპული შვილების ტრაგედია არ არის აღწერილი ხალხურ ვადმოცემებში. მიზეზი ჩიქოვანი წერს: „აკაკის გონება პასიურად როდი ითვისებდა ხალხურ პოეზიას, ის ერთხელ გაგონილს თავისებურად ვარდაქმნიდა და ახალ ელფერს აძლევდა. ამიტომაც მივიჩნევთ, რომ ხალხში სახელოვან და ხეყვარელ გმირად დამკვიდრებული ადამიანის შესახებ შექმნილმა თქმულებებმა უდიდესი ზეგავლენა იქონია მგოსანზე და მამაცი და სამშობლოს ერთგული გმირის სახე სწორედ თავისებური ელფერით დახატა ავტორმა თავის ნაწარმოებში. აქედან გამომდინარე, ჩვენ ვერ დავეთანხმებით ისტორიკოს დავით ნაკვეტიძის აზრს იმის შესახებ, რომ დრამაში გამოფანილი ხალხის დაბალი ფენების წარმომადგენელთა სახეება მთლიანად ფანტაზიის ნაყოფია და კონკრეტული მახალა პოეტს არ ჰქონდა.

დრამაში „პატარა კახი“ მხოლოდ ერთ ადგილას ვხვდებით ვინმე ტურა რამაზაშვილის სახელს, რომელიც, ტექსტის მიხედვით, მოხუც გელას რომ არ მოეკლა, ეს უკანასკნელი ლევან ქვაბულის მამას — ზაალს მოკლავდა. „ქართული ხალხური საისტორიო სიტყვების“ მე-2 ტომში მოტანილია სოსიკო მერკვილაძის მიერ ჩაწერილი ლევანდა ვინმე ტურა ქაიხოსროზე (ვანნაძე), რომელიც გამოჩენილი და მხნე ვაჟკაცი ყოფილა და ერეკლე II-ის დროს არაერთხელ უსახელებია თავი ლეკებთან ბრძოლაში. დრამის ტექსტში ტურა რამაზაშვილი ასე ხასიათდება გელას მიერ: „თუ არ მომეკლა, ჰე, ის-ის იყო ზაალს მოკლავდა ის მოღალატე“. ხალხური ლეგენდის მიხედვით კი ტურა ქაიხოსრო ცუდი სახელით დარჩა ხალხის

გონებაში თავისი ერთი უღერსი საქმის გამო, რაც ცოლის ზღვრულად სრულუბისათვის სწორედ სამშობლოს ღალატში გამოიხატა; იგი ლეკების მხარეს გადასულიყო და „აეღელეებინა დიდოელები და დახხმოდა ალაზნის გაღმა მხარეს“. როგორც ვხედავთ, გელას მსგავსად, არც ტურასთან მიმართებაში ემთხვევა მიახლოებითი პროტოტიპის გვარი, მაგრამ ამ ორივე მაგალითში ნათლად დაგვანახა აკაკი წერეთლის გენიალური შემოქმედების უნარი, ხალხური სიმდიდრე შეეთვისებინა, თავისებურად გადაემუშაებინა და რეალური თუ ხალხის გონებაში შემორჩენილი პიროვნებები და მოვლენები სრულიად ახლებურ მხატვრულ ამბლუაში წარმოეჩინა მკითხველისათვის.



ზოგიერთი ანტიკური ლიტერატურათმცოდნეობით— სტილისტიკური ტერმინის ფორმირებისათვის

(ეპიკური, ტრაგიკული, კომიკური, ლირიკული)

თანამედროვე ენაში ბერძნული და ლათინური ენებიდან შემოსული ტერმინების სიმრავლე საფოველთაოდაა ცნობილი. განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვთ ამ ტერმინებს სხვადასხვა სამეცნიერო დარგებში. ეს ტერმინები თავიანთ აქტუალობას სიტყვათწარმოების დონეზე მეცნიერების იმ დარგებშიც ინარჩუნებენ, რომლებიც უკანასკნელ ხანებში წარმოიშვა და შეიძლება ე. წ. ახალი დისციპლინები ვუწოდოთ. ამ ტერმინთა ისტორიის, ამა თუ იმ ენაში შესვლის და დამკვიდრების საკითხი ხელ სხვადასხვა ასპექტებით შეისწავლება. ჩვენს მიზანს წარმოადგენს განვიხილოთ ზოგიერთი ტერმინი ლინგვისტიკისტიკური თვალსაზრისით. ჩვენ სწორედ ის ტერმინები გვაინტერესებს, რომელსაც ტრადიციულად მივიჩნევთ და რომლებიც თავიანთი ხანგრძლივი ისტორიის მანძილზე გარკვეული სტილისტიკური ნიშნით ნიუანსირდებიან. ეს ტერმინებია ეპიკური, ტრაგიკული, კომიკური და ლირიკული. როგორც ვხედავთ, თითოეული ეს ზედსართაველი ტერმინი თავისი წარმოშობით დაკავშირებულია ლიტერატურის ცენტრალური ელემენტების წარმოშობით. „მთაბი“ № 11-12.

მოშობასთან, რომელიც აღმოცენდნენ და ჩამოყალიბდნენ ძველი ბერძნული ლიტერატურის წიაღში, მაგრამ დროთა განმავლობაში თავისთავადი მნიშვნელობა შეიძინეს და საკმაოდ გაიფართოვეს გამოყენების სფერო.

ჩვენთვის საინტერესო ტერმინების ფორმირების გზა დაახლოებით ამგვარად უნდა წარმოვიდგინოთ. თითოეულმა ტერმინმა, ვიდრე მისი ადიექტივაცია და მნიშვნელობის გაფართოება მოხდებოდა, თავის საბაზო სუბსტანტივთან მიმართებათა გარკვეული სისტემა ჩამოყალიბდა. თავდაპირველად წარმოიქმნა თავად ყანრი ლიტერატურული პროცესის წიაღში. მოხდა მისი სახელდება, შემდეგ უკვე მისი სახელწოდების ადიექტივაცია და ბოლოს ამ ადიექტივირებული ტერმინის მნიშვნელობის გაფართოება-შევიწროება.

ერთი შეხედვით, თითქოსდა ამ მარტივ მოდელს აქვს უამრავი ვარიაციები, დაწყებული იქიდან თუ რამდენად ადიექტივურია ყანრის პირველადი ფუნქცია და მასთან დაკავშირებული ადიექტივირებული ტერმინის თანამედროვე ვაგება.

ჩვენი აზრით, შერჩეული ოთხი ტერმინი ამ ვარიაციითა მთელ მრავალფე-

როვნებას გვინცნებს. განვიხილოთ თითოეული მათგანი ცალ-ცალკე.

უდიდობლად შეიძლება ითქვას, ყველაზე ძველი ტერმინი, რომელიც ლიტერატურის დიდი ფანრის აღზანიშნავად გამოიყენება არის ეპოსი. უკვე ჰომეროსის ეპოქაში ამ ტერმინს ჰქონდა საკმაოდ მრავალმხრივი ვაგება.

ჰომეროსის ეპოსში ამ ტერმინის გამოყენების ფართო არეალის მიუხედავად მისი დადასტურების ყველა შემთხვევა ორ ჯგუფში შეგვიძლია გავაერთიანოთ:

1) როდესაც ტერმინი აღნიშნავს ან უახლოვდება იმ ფანრს, რაც შემდგომში ვახლება ეპოსის სახელწოდებით ცნობილი.

2) არავითარი კავშირი არ აქვს ეპოსის მნიშვნელობასთან.

პირველი ჯგუფის საკმაოდ კარგი მაგალითი არის წარმოდგენილი „ოდისეას“ IV სიმღერის 597-ე სტრიქონში. ტელემაქე ჩადის მენელაოსთან, რათა მამის ამბავი შეიტყოს. მეფე სოხოეს ტელემაქეს დარწმუნებს, რაზედაც ოდისეესის ძე პასუხობს, რომ სიამოვნებით დათანხმდებოდა, რადგან მენელაოსის საუბრები საოცრად იმეორებდა მის სულს, მაგრამ პილოსში ელოდნენ.

აქ ეპოსი ვეხვდება მრავლობითის ფორმით და სრულიად გარკვევით აქვს თხრობის მნიშვნელობა.

მეორე შემთხვევაში ტერმინი უფრო ახლოსაა ეპოსის ცნებასთან. ეს არის „ილიადას“ XX სიმღერის 204-ე სტრიქონი. აქილევსი და ენეასი ბრძოლაში პირისპირ ხედებიან ერთმანეთს. აქილევსი აფრთხილებს ენეასს, არ ურწევს ბრძოლაში შებმას, რაზედაც პასუხად ენეასი თავიანთ წარმომავლობას შეახსენებს. ეუბნება, რომ ორივესთვის ცნობილია ხალხის მიერ მათ შესახებ შექმნილი უძველესი თქმულებანი.

ეპოსი მრავლობითის ფორმითაა წარმოდგენილი და ამკარად თქმულებებზე მიგვანიშნებს. ამ შემთხვევაში უკვე იგულისხმება ის ფორმა ადამიანთა შესახებ არსებული თქმულებებისა, რო-

მელიც იდენტურია ან ძალიან ახლოს დგას ეპიკურ ფანრთან.

ჰომეროსი ეპოსის პარალელურად მოიყენებს ცნებას აოიდე — სიმღერა, რომელიც აღნიშნავს აედის შემოქმედების შედეგს, მაგრამ ამ ცნებას უფრო ვიწრო მნიშვნელობა აქვს ჰომეროსთან, ვიდრე ეპოსს.

გულისხმობს სიმღერის თანხლებით შესრულებულ ინფორმაციას. ეპეა კი — ზოგადად ინფორმაციას, რომელიც საგანგებოდ იქმნება რაღაც მოვლენასთან დაკავშირებით. ამდენად არ არის გასაკვირი, რომ ეს უკანასკნელი ტერმინი ვახდა ეპოსის ძირითადი აღმნიშვნელი.

რაც შეეხება ტერმინთა მეორე ჯგუფს, აქ მნიშვნელობათა სემანტიკური ველი ძალზე ფართოა, მაგრამ ყველა შემთხვევაში ამოსავალი არის პირველადი მნიშვნელობა ეპოსისა — სიტყვა ან წარმოთქმული გარკვეული მნიშვნელობის მქონე ლექსიკური ფორმატივი (შინაარსი, თხრობა, ღირსშესანიშნავი სტილი, მტკიცება, მუქარა, რჩევა, აზრი, წინასწარმეტყველება, ჭორო, მდაბიო სიტყვა, მიმართვა, სურვილი, მიზანი, ჰქესამეტრით და არა მარტო ჰქესამეტრით გამართული ლექსი).

სრულიად ბუნებრივი ჩანს განვითარება, რაც ამ ცნებამ გაიარა თავისი მარტივი მნიშვნელობიდან როგორცაა, ანუ სიტყვიდან ეპოსამდე. სიტყვათა ერთობლიობით შექმნილი საგანგებო მნიშვნელობის მქონე სისტემაა.

ვერ ვიტყვი, ესმოდა თუ არა ჰომეროსს საკუთრივ ტერმინი ეპოსი, როგორც სპეციფიკური აღმნიშვნელი იმისა, რასაც თვითონ ქმნიდა, მაგრამ საკვებით ნათელია, რომ იგი საკმაოდ მიახლოებული იყო საკითხის ამგვარ გააზრებასთან, რადგან უკვე ჰომეროსის შემდეგ ძალზე მალე აღიქმებიან ტერმინისათვის — ეპიკურის საბაზო მნიშვნელობა ვახდა სწორედ ეპოსი.

საყურადღებოა, რომ არქაიკის და ადრე კლასიკის ეპოქებში ცნება ეპოსს, თუკი მას ეპოსის აღმნიშვნელად იყენებდნენ, ჰქესამეტრული ლექსით დანე-

რილ ნაწარმოებთან აიგივებდნენ, ამ თვალსაზრისით საყურადღებოა რომ პინდარე თავის ნემურ ოდაში 2,2 პირდაპირ აღნიშნავს — ჰომერიდაი რაკტონ ეპონ აიდილი — ჰომერიდები რაფსოდირებული ოდების მომღერლები.

ჰეროდოტე კიკლიკურ ეპოსს, კიპრიებს პირდაპირ უწოდებს და ა. შ. რაც გვაფიქრებინებს, რომ ტრადიცია ეპოსის გააზრებისა იმ ჟანრად, რომელშიც მოღვაწეობდნენ ჰომეროსი და კიკლიკურ პოემათა ავტორები, უკვე კლასიკურ ეპოსამდეც არსებობდა.

საყურადღებოა, რომ თუმცა ტერმინ ეპოსს, ძალზე ბევრი მნიშვნელობა აქვს, მისგან ადვილტვირებული ტერმინი „ეპიკოს“ ორგანულად დაუკავშირდა მხოლოდ ეპიკურ ჟანრს. ჰომეროსთან ეს ტერმინი არ დასტურდება. ანტიკური ეპოქის შემდეგდროინდელ ავტორებთან ეპიკური აღნიშნავს უპირატესად საგმიროს, ჰექსამეტრით გაფორმებულ ნაწარმოებს. შემდეგ თანდათანობით ტერმინის სემანტიკური ველი იზრდება, მაგრამ საყურადღებოა, რომ ამ ველის ზრდა უშუალო კავშირშია თვითონ ეპოსის მნიშვნელობის არეალის ზრდასთან. თანდათანობით ტერმინ ეპიკურს გამოიყენებენ ეპოსისათვის დამახასიათებელ ნიშანთა ერთობლიობის ან ერთერთი ნიშნის აღმნიშვნელად და თუკი ეს ნიშანი ან ნიშანთა ერთობლიობა ახასიათებს სხვა ჟანრს ან თუნდაც კონკრეტული პიროვნების მეტყველებას, შეიძლება გამოყენებული იქნეს ტერმინი ეპიკური. მაგალითად შექსპირის ტრაგედებმა დასაბამი მისცა ახალ ცნებას, რომელიც ეპიკური თეატრის სახელწოდებითაა ცნობილი.

ეპიკური, ქართული ენის განმარტებით ლექსიკონში გადატანითი მნიშვნელობით დინჯის, დარბაისელის მნიშვნელობითაა მოცემული. ამ ტერმინმა სხვადასხვა ენაში თავისი მნიშვნელობის არეალი სხვადასხვანაირად გაიფართოვა. ძალზედ საინტერესოა ამერიკული სასაუბრო ენის მონაცემები, სადაც ტერმინი აღნიშნავს საინტერესოს, უზარმაზარს, გასაოცებელს.

მაგ: the cup final was epic an epic achievement შემდეგი ტერმინი, რომელსაც ვაგონდა შევეხით, არის ტრაგიკული. მართალია, დღეს კამათი მიმდინარეობს იმის თაობაზე, თუ როგორი უნდა იყოს ეტიმოლოგია იმ საბაზო ტერმინისა, საიდანაც აღმოცენდა ადვილტვირებული ტერმინი ტრაგიკული, მაგრამ სრულიად აშკარაა, რომ ყველა იმ წყაროში, რომელზედაც ხელი მიგვიწვდება ტრაგედია ორი მნიშვნელობით ესმოდათ — დრამის სახე და თხის სიმღერა (ტრაგოს) საინტერესოა, რომ ტრაგედია და ტრაგოს დაედო საფუძვლად მრავალ ახალ სიტყვათწარმოებას (ტრაგინოს, ჰიტრაგიკოს ტრაგოდიე, ჰიტრაგოდიოჰოგოს) მით შორის არის ადვილტვირებული სიტყვა ტრაგიკოს რომელიც საბაზო სიტყვა ტრაგოს-ს ეფუძნება, მაგრამ მნიშვნელობა ორნაირა აქვს.

1) ის, რაც დაკავშირებულია თხასთან (თხისებრი, თხისადმი კუთვნილი და ა. შ.)

2) ძირითადი მნიშვნელობა ანტიკურ წყაროებში ამოდის ჟანრის სახელწოდებით და გააზრება როგორც ტრაგედია. ბერძნულში იქმნება ამის პარალელურად ნაკლებ პოპულარული ტერმინი ტრაგოდიკოს უკვე ბერძნულ სამყაროში ტერმინმა „ტრაგიკული“ საკმაოდ ფართო სემანტიკური ველი შეიქმნა. იგი დასტურდება მნიშვნელობებით ამადლებული, სიტყვაკაზმული, დიდებული, სათავგადასავლო, გადატვირთული, სერიოზული. დღეს ტერმინი მთლიანად გამოუთხოვა ამ მნიშვნელობებს, თუმცაღა იქნეს ახალს და მათი მეშვეობით იფართოვებს მოქმედების არეალს. იგი ასევე სრულიად გამოუთხოვა თავის პირველად მნიშვნელობას (თხას)

ანტიკური სამყაროდან „ტრაგიკული“ გადმოდის თანამედროვე ენებში, სადაც მისი მნიშვნელობა ახალი ნიუანსებით იცვება. ქართული ენის განმარტებით ლექსიკონში „ტრაგიკული“ დასტურდება გადატანითი მნიშვნელობით საბედისწერო, უბედური, შეპაძრუნებუ-

ლი. ძალიან საინტერესოა ამ ტერმინის მრავალმხრივი დატვირთვა, რასაც რუსულ ენაში ვხვდებით. ამისათვის არ იქნება ინტერესს მოკლებული მოვიყვანოთ მაგალითები გერმანულ-რუსული ფრაზეოლოგიური დაპირისპირებისა. იქ, სადაც გერმანელი ხმარობს *fragfsch-*, რუსი ერთ შემთხვევაში თარგმნის როგორც *болезненный*, რადგან რუსული სათვის ამ კონკრეტულ შემთხვევაში *трагичный* ძალზედ ხმამაღალი ნათქვამი იქნებოდა. (*Er nimmt die Sache sehr tragisch* — Он очень болезненно относится к этому делу).

მეორე შემთხვევაში თარგმნის, როგორც *страшно* (*Das nehme ich nicht weiter trigsch* — это по-моему не так, уж страшно).

მესამე შემთხვევაში გადმოდის გერმანულის იდენტურად — *трагическая*. *tragisches schicksal* — трагическая судьба.

ახლა განვიხილოთ ტერმინ კომიკურის საკითხი. ტერმინი კომიკური მთლიანად კომედიის ჟანრს უკავშირდება და ყველა მისი მნიშვნელობა აქედან გამომდინარეობს, თუმცა ჟანრ-კომოდია-ს სახელწოდება მომდინარეობს კომოს-იდან (შხიარული ბრბო, სადღესასწაულო სელა, ხოტბის შესასხამი სიმღერა და სხვა).

ჟანრი თავის საბაზო ტერმინს აბსოლუტურად დაშორდა და ადიექტივებული ტერმინი უკვე არავითარ კავშირში არ არის, კომოს-თან. აქაც, ისევე როგორც ტრაგედიის შემთხვევაში ადიექტივებული ტერმინი კომიკოს, ე, ონ აღნიშნავს იმას, რაც მიეკუთვნება კომედიურ ჟანრს, კომიკოს პოეტს ან კომედიას. ასევე სასაცილოს, გონებაშხველურს, სახუმაროს და სხვა. ეს მნიშვნელობები ყველა გადავიდა ევროპულ ენებშიც, მაგრამ, ჩვენი აზრით ამ ადიექტივირებული ტერმინის მნიშვნელობათა ველი კიდევ უფრო გაფართოვდა.

ტერმინ კომიკოს-ის განხილვისას, ისევე როგორც ეს უკვე გავაკეთეთ, ტრაგიკულის მაგალითზე, მიემართოს

გერმანული და რუსული ენების ფრაზეოლოგიურ შედარებას. იქ, სადაც გერმანულში არის *komisch*, რუსულში ერთ შემთხვევაში გადადის როგორც *забавный*, მეორე შემთხვევაში როგორც *смешной*.

ამ ორ ზედხარათავს შორის შინაარსობრივი სხვაობა იმდენად დიდი არ არის, მაგრამ სტილისტური სხვაობა ამკარაა *Das ist sehr komisch* — это очень забавно. *Er ist so komisch* — он такой смешной).

სხვაგან *komisch* თარგმნება როგორც *странный* — *Er ist ein komischer Kauz* — он странный мальчик.

და ბოლოს ტერმინი ლირიკული, რომლის ფორმირების გზა რამდენადმე განსხვავებულად წარიმართა, თუ აქამდე განხილული სამივე ჟანრის აღმნიშვნელი ტერმინი დასტურდება ანტიკური ეპოქის ავტორებთან, როგორც ჟანრის აღმნიშვნელი ტერმინი, „ლირიკას“ ბერძნული და ნაწილობრივ რომაული სამყარო არ იცნობს. საქმე ის არის, რომ ტერმინი ლირიკა თავისთავად წარმოადგენს გასუბსტანტივებულ ადიექტივს სიტყვიდან — „ლირა“ იგი თავდაპირველად აღნიშნავდა მხოლოდ იმ სიმღერებს, რომელნიც სრულდებოდა ლირის აკომპანიმენტით. ჩვენი აზრით, ლირიკული ჟანრის აღმოცენების პერიოდში სხვადასხვა ხასიათის სიმღერები შესრულების თუ მეტრული საზომის მიხედვით სხვადასხვა სახელწოდებით მოიხსენიებოდა. მათი, საერთო აღმნიშვნელი „პოეტიკაშიც“ არ დასტურდება. თუმცა ტრაქტატში აღნიშნულია რომ ეპოსის, ტრაგედიის და კომედიის გარდა არსებობს კიდევ მთელი ჯგუფი სხვადასხვა ხასიათის ლექსებისა. არისტოტელე არ იძლევა არც მათ განმარტავებულ ერთიან ტერმინს და არც, მათი ერთ ჟანრში გაერთიანების კრიტერიუმს.

როგორც ჩანს, ელინისტური ეპოქიდან მოყოლებული, ტერმინი ლირიკა თანდათანობით უფრო განზოგადებულ ხასიათს იღებს, თუმცა ბერძნულ სამ-



ყაროში ეანრად არ ვალიბდება. რაც შეეხება რომაულ ლიტერატურას, აქ ტერმინის განზოგადების პროცესი უფრო შორს წაიდა. „ლირიკიდან“ ნაწარმოები ტერმინ lyricus-ის თანამედროვე მნიშვნელობის დიდი ნაწილი ეფუძნება ტერმინ ლირიკის გვიანდელ გაგებას, როცა მოხდა გაცნობიერება და განსაზღვრა იმისა, თუ რა ეანრს წარმოადგენს ლირიკა. სწორედ ამის საფუძველზე წარმოიქმნა ისეთი სიტყვათშეთანხმებები როგორცაა ლირიკული პროზა, ლირიკული გმირი, ლირიკული წიაღსვლა, რაც ანტიკური სამყაროსათვის აბსოლუტურად გაუგებარია.

ლინგვისტილისტური თვალსაზრისით ლირიკული ყველაზე ნაკლებად შეიცავს იმას, რაც ინსტრუმენტანაა დაკავშირებული. მან დროთა განმავლობაში სულ უფრო და უფრო მოიპოვა პირადულის, საკუთარი მეს გამომხატველი, ინტიმურობის ხინონიმის მნიშვნელობა. აღბათ ამით უნდა აიხსნას, რომ მისი მოქმედების ველი უფრო ვიწროა.

ამგვარად, ჩვენ ძალზე მსოფლიო რმოვადგინეთ ის გზა, რომელიც ტერმინებმა ეპიკური, კომიკური, ტრაგიკული, ლირიკული განვლეს, ვიდრე მიიღებდნენ თანამედროვე ენებში დადასტურებულ მნიშვნელობებს.

საინტერესოა აღინიშნოს, რომ ამ ტერმინთა ფორმირების გზაზე მათ შეინარჩუნეს ის მნიშვნელობები, რაც ყველა ენისთვის საერთოა, მაგრამ ცალკეულ ენებში ახალი ნიუანსები შეიძინეს, რომელნიც სხვა ენისათვის შეიძლება უცხო იყოს.

ჩვენ მხოლოდ ოთხი ტერმინის ზედაპირული ანალიზი მოვახდინეთ, მაგრამ ვფიქრობთ, ესეც კი ნათელს ხდის, რაოდენ საინტერესოა ტერმინთა ფორმირების კანონზომიერების თვალსაზრისით იმის შესწავლა, თუ ტრანსფორმაციის რა გზა განვლეს ანტიკურ სამყაროში აღმოცენებულმა ტერმინებმა ლინგვისტილისტიკური თვალსაზრისით, ვიდრე ისინი გამოყენების თანამედროვე არეს შეიქმნიდნენ.



ნაოპარი ახალგაზრდობის პრობლემა

გ. ჰაუსტმანის

„ჰერბერტ ენგელმანის“ მიხედვით

გერმანტ ჰაუსტმანმა, XIX–XX საუკუნეების მიჯნის გერმანული მხატვრული ლიტერატურის ერთ-ერთმა ყველაზე პოპულარულმა მწერალმა და დრამატურგმა, შემოქმედებითი წარმატების განსაკუთრებულ სიმაღლეებს ომის თემისადმი მიძღვნილ ნაწარმოებებში მიაღწია. პირველი მსოფლიო ომის დამთავრებისთანავე ჰაუსტმანი ერთიპიორის მიყოლებით წერს ახალ პიესებს. მათში მწერალი იკვლევს იმ თემას, რომელიც რამდენიმე წლის შემდეგ წამყვან ადგილს დაიკავებს ხელოვნებაში. ეს არის წინააღმდეგობებით გახლენილი სამყარო და მასში გაჩრილი ადამიანი, რომელიც ეს-ესაა ფრონტიდან დაბრუნდა. ჰაუსტმანმა ერთ-ერთმა პირველმა მიმართა მსოფლიო ლიტერატურაში იმ პიროვნების ბედის პრობლემას, რომელმაც საშინელი ომის ხანგრები გამოიარა. დრამატურგი პირველივე პიესაში „ჰერბერტ ენგელმანი“ (Herbert Engelmann). კონკრეტულად ასახელებს მოქმედების დროსა და ადგილს – „ბერლინი, ინფლაციის ციებ-ცხელება, 1923 წელი“. მწერალი თავის გმირს, რომელსაც ომმა მშობლიური სახლი დაუნგრია, ათავსებს ბერლინის კერძო პანსიონში, სადაც ერთ ჰერბერტს შეერიალან სრულიად განსხვავებული

ბული ბუნების, შეხედულებებისა და პროფესიის ადამიანები. დრამატურგი ამ შემთხვევით შეკონსტრუქტულ პატარა სამყაროში გაპარტახებული გერმანიის ცხოვრების ერთ უჯრედს ხედავს: „რა საინტერესო იყო ბერლინი ინფლაციის ციებ-ცხელების დროს... ქალაქში თითქოს ქარბორბალა ტრიალებდა. ყოველი მესამე სახლი ავაზაკთა და გარყვნილთა ბუდე იყო. ამას ერთოდა ჩაბნელება, ქუჩის ტრანსპორტის გაჩერება, რაც უთავბოლო გაფიცვებმა გამოიწვიეს... ყველაფრის აღწერას ბალზაკი სჭირდებოდა. მაგრამ გერმანიას არ ჰყავდა ბალზაკი“¹ – ასე ივონებს მოხუცი ჰაუსტმანი ოციანი წლების ატმოსფეროს 1942 წელს.

სამაგიეროდ, გერმანიას ჰყავდა ჰაუსტმანი, რომელმაც „ჰერბერტ ენგელმანიში“ დაზატა ომისშემდგომი გერმანიის ერთ-ერთი ყველაზე მკაფიო და შთამბეჭდავი სურათი. მწერალმა ამ ნაწარმოებში დააყენა ახალი ეპოქის ძირითადი კონფლიქტი: ადამიანის ჰუმანური არსი და ის მუდმივი ანტიჰუმანური მოთხოვნები, რომელსაც ბურჟუაზიული სახელმწიფო უყენებს მას.

1. Behl, G. Zwiesprache mit G. Hauptmann. Tagebuchblätter, München, 1949, S. 88.

პასტორის ქერივის — ფრაუ ქურნიკის სახლს თავს შეაფარებენ სხვადასხვა სოციალური ფენის ადამიანები. ესენია: მუხიკის მასწავლებელი ქალი, სტუდენტი, მხატვარი, რამდენიმე ყოფილი სამხედრო მოსამსახურე, ექიმი და მსახიობი, რომლებიც ყოველდღე ღირსეული თავდაჭერით თავს იფრიან ევრუსოიდებულ „ოჯახურ მაგიდასთან“, მუსაიფობენ ძალადი წრისათვის დამახასიათებელი ტონითა და მანერით და თითოეული, გარეგნულად აღუშფოთებელ, დახვეწილ და თავაზიან ნღლაბქვეს, თავის დამახინჯებულ ზედს მალავს. ომმა ღრმა ჭრილობები მიაყენა მათ და სრულიად შეცვალა მათი წარმოდგენები. ყველაფერი თავდაყირა დადგა, მაგრამ თავის გადარჩენის ინსტინქტი აიძულებს მათ როგორმე მოერგონ და შეეგვონ ამ „სამინელ დროს“.

ბარონი მიუღინჯ დე რიბერა ხსნას მისტიკურ ხეანსებში ეძებს. იგი ზედმეტი ბარგივით იშორებს თავადის ტიტულს, რომელსაც ახალ ცხოვრებაში მისთვის მხოლოდ ხლაფორთი მოაქვს; ექტერინხარი ქილი, კაცმა არ იცის მართლა თუ, მოჩვენებით, ჭკუიდან გადადის; დოქტორი რიუკსტელი სტიოკურ გულგრილობაში იკეტება და ამბობს: „ჩემთვის სულერთია რა მოუვა დედამიწას... რამდენ ხანს იყო უაღამიანოდ და კიდევ რამდენ ხანს იარსებებს ის“² მასწავლებელი ფროილან ციმი კი მოთმინებით და უდრტივწველად ელოდება სამყაროს დასასრულს, რომელიც წინასწარმეტყველების თქმით ერთ წელიწადში უნდა მოხდეს და ა. შ.

როგორც ვხედავთ, გმირთა განწყობილება ომისშემდგომი ევროპის რეალური ატმოსფეროს პირდაპირი ანარეკლია. ესაა: უღრმესი პესიმიზმი, მისტიკისაკენ სწრაფვა, ფსიქიურ დაავადებათა ზრდა და ყოველივე ამასზე დართული შიში, სულიერი სიცარიელე და სასოწარკვეთა. ამ განწყობილებებმა

ნაითრია გერმანელი ინტელექტუალების დიდი ნაწილი ცხოვრებაში სუსტკემისადა ომტრიალში, რომელიც ყველაზე უსუსური და უხერხემლო აღმოჩნდა. ფრაუ ქურნიკის პანსიონშიც ძირითადად დაბნეული და ფუნქციონალური ინტელიგენციის წარმომადგენლები არიან, ისინი სახადილო მაგიდასთან ძველი ინერციით მალაღფარდოვანი სიტყვებით და ცნებებით ღაფობენ: „გაისმის სიტყვები: ფროიდი, ფროიდის თეორიები, აინშტაინი, რელატივიზმი, რუდოლფ შტიინერი, მისტიციზმი, სპირიტუიზმი, პინსოტიზმი, შოპენჰაუერი, ზოდლერი... ვერლენი... ბორტოტების ყვაილები, აპოკალიფსისი... ვერხანლის ხელშეკრულება“...¹ მწერალი ოდნავ შესაშინრევი ირონიით ხატავს პანსიონის სვეგამწარებულ ბინადართ, რომე უთაც თავიანთი გულგატეხილობითა და სასოწარკვეთით დანგრეული ქვეყნის აღდგენა აღარ ძალუძთ. დრომ ისინი უღმობლად გაანადგურა, ასწავლა შემგუებლობა და დაუკარგა მომავლის რწმენა.

და აი, ასეთ გერმანიაში და ადამიანთა ამ წრეში აბრუნებს ჰაუტმანი თავის გმირს — ჰერბერტს. ოდესღაც, სამშობლოს სიყვარულით გულანთებული და ჰუმანისტური ილუზიებით ხაცე ჰერბერტი, რომელსაც ოჯახში და უნივერსიტეტში გერმანიის პოლიტიკის სამართლიანობაში არწმუნებდნენ, მოხალისედ წაეიდა ფრონტზე, რასაც მოჰყვა დაჭრა, ტყვეობა საფრანგეთში, შემდეგ გაქცევა და კიდევ უამრავი სხვა განსაცდელი. მან ბევრი რამ გადაიტანა და ბევრიც გაიგო, რაც მომავალში ხელს უშლის ფეხი აუწყოს ომისშემდგომი ყოფის რიტმს და მოიპოვოს ძველი სულიერი სიმშვიდე. ომიდან დაბრუნებულს კი მხოლოდ ის მიზანი აქვს, ყველას გასაგონად თქვას ნანახი და გავონილი. სწორედ ამიტომ, ის იკეტება თავის ოთახში და გაცხოველ-

2. Hauptmann, G., Sämtliche Werke, Bd. VIII, Berlin; 1962-74, S. 329.

1. Hauptmann, G., Sämtliche Werke, Bd. VIII, Berlin; 1962-74, S. 335.

ბით მუშაობს წიგნზე, რომლის სათაურია: „უარი ომს“.

პერბერტის გარემოცვაში დადებითი გმირებიც არიან, რომელთა გულისთვის სიცოცხლე ღირს. ეს არის მშვენიერი ქალიშვილი ქრისტა, რომელზეც ავტორი თავის გმირს დააქორწინებს; აქ არიან ახალგაზრდა წველის მეგობრები ეველინა და ვერნერ ვოლდშტაინი. მწერალი შემოქმედებით ინტელიგენციაზეც ამყარებს იმედებს და მასში არა მარტო მხოფლიოს ვადამრჩენს, არამედ სულიერი ღირებულების შემნახველსაც ხედავს. ავტორის აზრით, მხოლოდ შემოქმედებითი ინტელიგენცია შეძლებს წინ აღუდგეს საზოგადოების მოძალეზულ უსულგულობას, სახელმწიფოს უზნეობას. და მაინც, მიუხედავად იმისა, რომ დრამატურგი პიესაში ერთმანეთს უპირისპირებს მაძღრებსა და მშვიერებს, უზნეობებსა და კეთილშობილებს, შეგუებულებს და მებრძოლებს, მიუხედავად უმშვენიერესი ქალიშვილის გულწრფელი სიყვარულისა და მეგობრების თანადგომისა, პერბერტი მაინც მარტოა. ფრონტის სანგრების საშინელება ომის შემდეგაც ჩარჩა მის ფსიქოლოგიურ შეგნებაში. გუშინდელი ჯარისკაცი ვრძნობს ღრმა უფსკრულს მასსა და სახლში დარჩენილებს შორის, რომელთაც ომი პირადად არ შეეხო... „რა უცნაური ხალხია ეს ომგამოვლილები“² — შენიშნავს ფროილიანი ციმი. მის ძმასაც „რაცა გაუგებარი სჭირს, სატვირთო მანქანის დანახვაზე ყოველთვის ფერი მისდის და ცივი ოფლი ასხამს. ენგელმანი კი ფოსტალიონის დანახვაზე კარგავს საქციელს და საერთოდ, ახალგაზრდა ვალიზიანებული და ფეთქებადია... ხან სიბრაზე შემოუტეკს, ხან კი მოწყენილობა“...³

ბუტმანი საგანგებოდ უსვამს ხაზს ომგადახდილების „უცნაურობას“, რომლებიც ცოცხლები კი დარჩნენ, მაგრამ მაინც სისხლიანი წარსულის ანარეკლი

აძვეთ. მშვიდობიან ყოფაშიც მშვენიერად ბუნებრივი საგნები თუ, ^{სისხლის} ^{წველი} ^{წველი} მოვლილი ადამიანებისათვის განსაკუთრებული მცნებებია, რომლის მნიშვნელობა მხოლოდ მათ იციან. პერბერტისათვის ფოსტალიონი არის მის მიერ ნადენილი ბოროტმოქმედების ხსოვნა, რომელიც დაკავშირებული იყო ომის წლების მძიმე სულიერ ტრავმასთან. კეთილშობილ ოჯახში აღზრდილ პერბერტს, რომელსაც სძულდა ომი და სისხლი, სანგრებში კაცის კვლა ასწავლეს. და აი, სახლში დაბრუნებულმაც გააგრძელა იგივე საქმე — მოკლა ფოსტალიონი, ოღონდ, არა შემთხვევით, ან თავდაცვის მიზნით, არამედ შეგნებულად; თავს დაესხა წინასწარი განზრახვით, როცა მას ჩანთით ფული მიჰქონდა. ფოსტალიონის მკვლელობა სწორედ ის სოფეტური ღერძია, რომელიც დრამის ინტრიგის საფუძველს წარმოადგენს.

პიესის პირველივე სცენარში იქმნება კონფლიქტი: ფრაუ ქურნაიკის პანსიონში ახალი მდგმური მოდის — სამოქალაქო ტანსაცმელში გადაცმული მათორი ქოლრაუში. მის, ვითომცდა, უმნიშვნელო შეკითხვებში, რაღაც საიდუმლო დაეალების კონტურები იკვეთება: ცხოვრობენ თუ არა სახლში მამაკაცები; ვინ არის დიასახლისისთვის პერბერტი, რომელიც მათი საუბრის დროს გამოიწნდება. ენგელმანს პირველივე შეხვედით ახალმოსულისადმი ანტიპათიის ვრძნობა გაუწნდება. მათ მხოლოდ ოთახის სხვადასხვა კუთხიდან შეხედეს ერთმანეთს, დალაპარაკებაც ვერ მოასწრეს და აი, კონფლიქტის პოლუსები უკვე წარმოიშვა. ახალმოსული იკავებს სწორედ იმ ოთახს, რომელშიც პერბერტი აპირებდა სამუშაო კაბინეტის მოწყობას. იგი დოღარებით უხდის დიასახლისს ქირას და ამით თავის სასარგებლოდ წვეტს მის მერყეობას. აქ ავტორი ხაზს უსვამს იმ უფსკრულს, რომელიც ფულიან ქოლრაუშია ოა ნახევრად მშვიერ ენგელმანს

2. Hauptmann, G., იქვე, S. 336.

3. Hauptmann, G., იქვე, S. 337.



შორის არსებობს. ენგელმან-ქოლრაუშის მთავარ სიუჟეტურ ხაზში ერთიანდება კონფლიქტის გარეგანი და შინაგანი მხარეები, რომლებსაც მთელი მოქმედების ზამბარა უყრიათ. ესენია: მკვლელობის ისტორია და კონფლიქტის შინაგანი არსი — ყოფილი ჯარისკაცის ტრაგიკული შეჯახება რეალურ ცხოვრებასთან.

ქოლრაუში პიესაში მარტო საიდუმლო პოლიციის მაიორი კი არ არის, რომელმაც კრიმინალური საქმე უნდა გამოიკვლიოს, არამედ იგი არის ოფიციალური დამსჯელი, მკაცრი და შეუბრალებელი მამბარი, სიმბოლოა იმ მთავრობისა და ხისტკმისა, რომელმაც ადამიანთა უსამინელებს სახაკლაოზე პერბერტს ჯერ მკვლელობა ასწავლა და ბოლოს იმავე დანაშაულისათვის დევნა დაუწყო.

პირველი მოქმედების ფინალში ცალკეული მოტივები ერთ კვანძად იკერება, რაც მთავრდება ქოლრაუშის განცხადებით: „სახლში ცხოვრობს ადამიანი, რომელზეც მართლმსაჯულების მახელი დაეშვა!“¹ მეორე მოქმედებას გმირის შინაგან სამყაროში შევეყვართ. ჩვენ ვიგებთ, თუ რა გამოუვალ ხასოწარკვეთასა და დაუსრულებელ დარდში ჩამირულა მისი სული, რა საშინელი კომპარები სდევნიან მას ლამბაობით და როგორი, უფრო საშინელი აზრები უტრიალებენ თავში სიფხიზლის დროს: „ეჰ! მარტო სიზმრებში რომ იფოს საქმე... მე ორმოც თუ, ორმოცდაათ შეტაკებაში მივიდე მონაწილეობა და კაცის კვლასა და ტყავის გაძრობაში ისე გავიწაფე, რომ ხანამ ცოცხალი ვარ, არახოდეს დამაიწყდება...“² და კვლავ, უკვე ქმედითად და არა მინიმუმებით, წინ წამოიწვეს ფოსტალიონის თემა.

თავის სატრფო ქრისტასთან სეირნობისას პერბერტი ქუჩის მეორე მხა-

რეს შენიშნავს ფოსტალიონის მკვლელებსა წარმოუდგენელი რამდენიმე მთელი სხეულით ცაცხებს, გამოსცემს საოცარ ხმებს, და შემოიღობს თვლების ტრიალითა და პირზე კაფომიდგარი, გულწასული ეცემა ძირს... დამწუნრებული მოწმეები სიბრაღულით დასცქერიან საცოდავ პერბერტს: „ეს ომის ფსიქოზია... ომის ისტერია“ — უკეთუბენ კომენტარს მომხდარ ფაქტს და თავის გზით მიდის. გონსმოსული პერბერტი, იურიდიული ფაკულტეტის ყოფილი სტუდენტი, რომელიც ვითომ პროფესიული დავალების შესრულების მომენტში გახდა ცუდად, დარცხვნიით იმართლებს თავს ქრისტასა და გამვლელების წინაშე: „ხანდახან მეჩვენება, რომ მეც იურისპრუდენციის მსხვერპლი გავხდები და მეც ჩამითრევეს კრიმინალური პროცესები... ეს არც ისე შეუძლებელია... ამ ნერვიულ დროს პოლიცია თვითონაც ნერვიული გახდა...“¹ მესამე მოქმედებას თითქოს სიმშვიდე მოაქვს გმირის სულში. ის ცოლად ირთავს საყვარელ ქალიშვილს და ქალაქგარეთ ატარებს თავლობის ბედნიერ თევებს. მას ხანდახან მაინც ეწვევიან შავი ფიქრები, ომის მოგონებები და აღიარებს, რომ არავითარი აზრი არა აქვს რაიმეთი აღფრთოვანებას, რომ ვველაფერი მოჩვენებითი, ფუჭი და წარმატალია: „ადამიანი ჯერ წევს, მერე ზოხვას იწვევს, შემდეგ სიარულს და ღობე-ფორეს ედება მანამ, ხანამ ისეთ რამეს არ ისწავლის, რითაც თავისი არსებობის პურს მოიპოვებს... მერე კი იწვევს ცხოვრებას, სიცოცხლით ტკობას, თანდათან აღწევს დასახულ მიზნებს. და ბოლოს... ადამიანი ეცემა და კვდება“.² თუმცა პერბერტს კვლავ არ სჯერა ბედნიერი მომავლისა, მაგრამ მის სახლში მცირე ხნით მაინც დაისადგურებს სულიერი წონასწორობა და კეთილდღეობა.

1. Hauptmann, G., Sämtliche Werke, Bd. VIII, Berlin; 1962-74, S. 344.
2. Hauptmann, G., იქვე, S. 348.

1. Hauptmann, G., იქვე, S. 363.
2. Hauptmann, G., იქვე, S. 366.

შეგვარებული წყვილის იდილიური ცხოვრება დიდხანს არ გრძელდება. ავარაკზე ჩამოდიან მაიორი რიდელი და ქოლრაუმი დაპატიმრების ორდერით ხელში. „ბედნიერებიდან უბედურებისკენ“ ამგვარი მოქცევა, რომელიც ნაწარმოების კულმინაციური სიუჟეტია, დამახასიათებელია კლასიკური კანონებით ავებული პიესისთვის. ყველაფერი, რაც შემდეგ ხდება, უკვე უბედურებაა. სამხილის უკმარისობის გამო ციხიდან განთავისუფლებული გმირი ვეღარ უბრუნდება ასეთი გაჭირვებით მოპოვებულ „ბედნიერების ილუზიას“, სულიერ სიმშვიდეს. უკვე მეოთხე მოქმედებაში ჰერბერტი სრულიად გამოფხიზლებულია და აბსოლუტურად შეცვლილია მისი შეხედულებები და პატრიოტული განწყობილებები. მან დაინახა მშართველი წრეების სიყალბე და თვალთმაქცობა, უფსკრულში გადაეშვა ყველა მისი ადრინდელი ჰუმანისტური წარმოდგენა, რეალურად დაინახა ევროპის და განსაკუთრებით ახალგაზრდობის ტრაგიკული მომავალი. ის დარწმუნებულია, რომ მის, ჯერ კიდევ არდაბადებულ შვილსაც სიკვდილი ელოდება ახალ მსოფლიო ომში, რომელიც უკვე მზადდება სტალინიზაციისთვის ვაცხარებულ ფაცი-ფუცში. ამიტომ შრომის დაუღალავად თავის წიგნზე, ჩქარობს, რომ მალე გამოხტეს ის და ამით ხელი შეუწყოს მომავალი ომის თავიდან აცილებას, რომელიც უკვე პორი-ლონტზე ჩანს.

ჰერბერტის კამათი პანსიონის მდგომარეობთან, ფაქტობრივად, მისი შეჯახებაა იმათთან, ვინც ახალი ცხოვრების ტონს საზღვრავს, ვინც ხელს უწყობს მისი ნორმებისა და კანონების ჩამოყალიბებას, შეჯახებაა იმ ძალებთან, რომლებმაც სულ ცოტა ხნის წინ სანგრებში სასიკვდილოდ გაუშვეს ათასობით ადამიანი. ჰუმბტმანმა უდიდესი ხელოვნებითა და სულისშემძვრელი რეალიზმით დახატა ფრაუ ქურნიკის პანსიონში ყველა ის ნერვიული კრუნ-

ნხეა და კონფუსია, რაც კრიტიკონში პერიოდის ვერმანიაში შექმნილი „თავისებური სასტუმროს“ მცხოვრებლებს შორის ისეთებიც არიან, რომლებიც უკვე მზად არიან „სისხლიან მტერთან“ მომავალი შეტაკებისათვის. სტუდენტი რიუბჰამენი, რომელიც გარდასული ომის დროს მეტისმეტად ახალგაზრდა იყო და ვერ მიიღო მასში მონაწილეობა, ომში მხოლოდ რომანტიკასა და პეროიკას ხედავს და ოცნებობს ახალ ომზე; მაიორ ქოლრაუმს ომმა არსებობის შესანიშნავი პირობები შეუქმნა. თუ ის ადრე, ანუ მშვიდობიანი ცხოვრების დროს წერილი ჩინოენიკი იყო და მცირე ხელფასით ძლივს გაქონდა თავი, ეხლა ამერიკული დოლარებითა აქვს ჯიბე გამოტენილი, უფრო მეტიც, მაღალ თანამდებობაზე ოცნებობს: „არავითარი სურვილი არა მაქვს სამუდამოდ ჩაერხე საიდუმლო პოლიციამში“¹ — ამბობს ის და თავის მომავალს გვემავს, მაიორ რიდელს კი ომი სწყურია, რადგან მხოლოდ ერთი საქმე — „ომობანა“ ხელეწიფება. ომის დროს ის კაცად გრძნობდა თავს, საჭირო ფიგურა იყო, მშვიდობიანი ცხოვრება კი მისთვის მოსაწყენი, გახანგრძლივებული შევბუღებაა, რომლის დროს მას კაცმა უნდა გამოსტაცოს ყველა სიკეთე, რაც გააჩნია, რაზეც ხელი მიუწვდება: „დღეს მომეცით საჭმელი, სასმელი... მამხიარულეთ, რადგან ხვალ უკვე მკვლარი ვიქნები“² — ასეთია მისი ცხოვრების კრედი. მაიორი, რიდელი, რომელიც ქოლრაუმის შემწევობით გახდა საიდუმლო პოლიციის აგენტი, მაინც განსხვავდება თავისი კოლეგისგან: „ის მზიდავს და თან განმიზიდავს... ხანდახან მის სახეზე ადამიანური გამომეტყველება აირეკლება ხოლმე და სწორედ ეს ბალებს ჩემში გაურკვეველ შიშს“³ — ამბობს მასზე ჰერბერტი. რიდელის აღ-

1. Hauptmann, G., Sämtliche Werke, Bd. VIII, Berlin; 1962-74, S. 357.
2. Hauptmann, G., იქვე, S. 339.
3. Hauptmann, G., იქვე, S. 352.



ქმამი პარმონიულად ერწყმიან ერთმანეთს ომის სიკეთის რწმენა, მისი აუცილებლობა და მისი შინაარსის ჰუმანურობა. სწორედ ეს შეხამებაა უფრო სახიფათო, ვიდრე ომის მომხრეთა ღია პათოსი. ჰერბერტის „გაურკვეველ შიშს“ იწყებს მისი ცინიკური ღიმილი, როცა მაიორი, მისი წიგნის სათაურს „უარი ომს“ წარმოსთქვამს: „თქვენ ასევე წარმატებით შეგეძლოთ გეთქვათ: „უარი ხბოს კატლენტებს!“ იქნებ რიდელის ამ ცინიზმში და რიუზ-ჰამენის აღფრთოვანებულ პატრიოტიზმში ხედავდა ჰაუპტმანის მოახლოვებული ფაშინზიმის ლანდებს? პაციფიზმი, რომელსაც ასე კაცხავდნენ ომის დროს, მისი დამთავრების შემდეგ მრავალ შემთხვევაში „კარგ ტონად“ იქცა. გერმანიაში კი მან ფეხი ვერ მოიკიდა, რადგან მეტისმეტად ძლიერი იყო შოვინისტური ბანგი, რომელსაც გერმანელთა ძირითადი ნაწილისთვის დაეხმობდა გონება და მეტისმეტად მძაფრი იყო დამარცხებით გამოწვეული ტივილი. შვერალი „ვევლაფრის თავიდან დაწყების“ მხადეფონიაში მთელი ვეროპის ცხოვრების ახალ წრეს ხედავდა, რომლის დასასრულს უფრო საშინელი შედეგები მოჰყვებოდა.

თავისი „სულიერი მარტოობისათვის“ ჰერბერტი ბრალს სდებს არამარტო მაგიდასთან მის გვერდით მსხდომთ, არამედ მთელ გერმანიას, მთელ ცივილიზაციას. გმირს ის ცოცხად რომ არ ჩაედინა, ამ გაუბედურებულ ქვეყანაში, მისი არსებობა ისედაც ტრაგიკული იქნებოდა.

„ჰერბერტ ენგელმანის“ დაწერიდან ათ წელზე მეტი ხნის შემდეგ ბ. ბრეხტი აქვეყნებს ომის თემისადმი მიძღვნილ ნაწარმოებს „დედა კურაჟი და მისი შვილები“, რომლის გმირმა ისე შეიწოვა ომის აბსურდული ლოგიკა, რომ მშვიდობიან ცხოვრებაშიც სრულიად ბუნებრივად იყენებდა მძარცველისა და მკვლელის ხელობას. ის ომის დამთავრების შემდეგაც იმას აკეთებდა, რაც ომის დროს ასწავლეს და რისთვისაც

მას აჯილდოვებდნენ და წიგნებს წაუკითხავდნენ. იგივე საქმისათვის კი მშვიდობის დროს მართლმსაჯულებას გადასცეს. კაცის კვლა მისთვის „სავმირო საქმეების ჩადენის“ წყურვილი კი არ არის, არამედ ფსიქოლოგიური ტრავმის შედეგი, რომელიც ომში მიიღო.

ჰერბერტმა ფოსტალიონი მოკლა უცნაური ბნელის დროს, როგორც მას ხანდახან ემართება ხოლმე და რომლის დროსაც ის, ფაქტობრივად, შეურაცხადია. აშკარაა ფიზიოლოგიურმა მოტივმა ჰაუპტმანის ბევრი მკვლევარი დააბნია. მათ ეს გმირის ტრაგედიის ამწწურავ ფაქტორად მიიღეს და დრამა ნათვალს მწერლის XIX–XX საუკუნეების მიჯნის ნატურალისტური ძიების გავრძელებად. თედაპირველად, თითქოს ეს მართლაც ასე ჩანს. როგორც ჰერბერტის მამის მკვობრის სიტყვებიდან ვიგებთ, ბიჭი თურმე ბავშვობაში ეპილეფსიის შეტევებისგან იტანჯებოდა...

მგარამ, ჩვენი ღრმა რწმენით, ამ ნაწარმოებში ჰაუპტმანი ბიოლოგიურ ფაქტორს სრულიად სხვა მნიშვნელობას ანიჭებს. ვიდრე მას პიესებში „მზის ამოსვლის წინ“ (1889), „შერიგების დღესასწაული“ (1889) და „ვირთაგვები“ (1910) ჰქონდა. დრამატურგი ამკარად გვაგრძნობინებს, რომ ჰერბერტი ახალ შულრაცხად მღვთმარეობამდე და მამახადამე. ბოროტმოქმედებამდე მიივანეს არა ფიზიოლოგიურმა გადახრებმა, არამედ საზოგადოებრივმა სიტუაციამ და ომის გაცვეთილებმა. დრამატურგის შემოქმედების მკვლევარი რ. ფილდერი ფიქრობს, რომ „ჰერბერტ ენგელმანი“ მწერლის სოციალური დრამების პირდაპირი გავრძელებაა, რომლის ბოლო ნიმუშია „ვირთაგვები“. მას ამ ორი ნაწარმოების საერთო ნიშნად ის მიანინია, რომ მათში გამოყვანილია ადამიანი „დევნილი ისე, როგორც მონადირე დევნის თავის მსხვერპლს, მკვდარი ან-

I. Fiedler, R., Die späten Dramen G. Hauptmanns, München, 1954, S. 27.

ტიპუმანური სახელმწიფო მანქანისაგან და საკუთარი სინდისისაგან“...¹

ამ ორი პიესის ატმოსფეროში მართლაც არის რაღაც საერთო. „ვირთაგვების“ გმირის — ფრაუ იონის ისტორიაც ისევე ვითარდება, როგორც პერბერტისა ბერლინში. ჯერ კიდევ 1910 წელს მწერალმა ბერლინის შესახებ თქვა, რომ ის ავონებდა მას სხვენს, ან სარდაფს, სადაც ადამიანისადმი მტრულ არსებებს — ვირთაგვებს დაუხადებურებიათ. ორივე დრამისათვის საერთოა სამყაროს ადამიანისადმი მტრული დამოკიდებულების თემა. „ვირთაგვების“ ბერლინი მხოლოდ ფონია, რომელზეც ნატურალისტური შეფერილობით დახატული ხანშიშესული უშვილო ქალის ცხოვრება თამაშდება. „პერბერტ ენგელმანში“ კი ბერლინი არის კონფლიქტის ერთ-ერთი პოლუსის სიმბოლო. თუ ნატურალისტური ძიების პერიოდში ჰაუპტმანის გმირები ბიოლოგიური ბედისწერის ძალისგან ვერ ითავისუფლებენ თავს, „ენგელმანში“ ის უპირველესად სოციალური არსებაა და მის მიერ ჩადენილი დანაშაული ომის ნაყოფია, მისი აბსურდული ლოგიკის გაგრძელებაა. პერბერტის ტანჯვის მიზეზი მარტო ფოსტალიონის მკვლელობა კი არ არის, არამედ განვლილი გზის სიმძიმე, რომელმაც წარუშლელი დაღი დაასვა მის შემდგომ არსებობას. ფოსტალიონის ისტორია რომ არ ყოფილიყო, მას სხვა უბედურება შეემათხვეოდა, რადგან მისი ბუნება ვერ ეხადებოდა, ვერ ერგებოდა ახალი გერმანიის ცხოვრების წესს. ის არის ბრძოლის ველიდან დაბრუნებული ახალგაზრდა — „უცნაური“ თაობის წარმომადგენელი, განადგურებული სულიერად და ფიზიკურად და განწირული შემდგომი ცხოვრებისათვის“.¹ ეს სიტყვები, რომლებიც მწერალმა პიესის დასაწყისში თქვა, ნაწარმოების აზრობრივ ლაიტმოტივად იქცა. შეუძლებელია „ნორმალური ცხო-

ვრების“ აწყობა, რადგან ^{მედიცინის განვითარების} ^{კარდულორია} ^{კატისტროფა, რომელიც უკვე აისახება} პიესის გმირების ბედსა და სურვილებში. ჰაუპტმანის „უცნაური ადამიანები“ არიან ჩვენთვის კარგად ცნობილი „დაკარგული თაობა“, რომელიც ლიტერატურაში 20–30-იან წლებში შემოვიდა ჰემინგუეის, ოლდინგტონის, რემარკისა და სხვათა ნაწარმოებების გმირების სახით. ვიდრე ტერმინი „დაკარგული თაობა“ გაჩნდებოდა, ჰაუპტმანი რამდენიმე წლით ადრე აღწევს მათ თავის განსაზღვრას — „უცნაური ადამიანები“, რომელიც ომგამოვლილი თაობის ტრაგედიის იმავე არსს გამოხატავს და აღბეჭდილია იმავე ნიშნებით. ეს ის თაობაა, რომელსაც უკვე გაჩაღებული ომის წინაშე არჩევანი აღარ დარჩა და ვინც ისე ჩაყარეს ხორცსა, კვებ მანქანაში, რომ დაფიქრებაც კი ვერ მოახწრო. მათი მომდევნო თაობა მტრისმეტად ახალგაზრდა იყო იმისათვის, რომ გაეცნობიერებინა ეპოქა, შეეცნო თავისი დრო და მხოლოდ ამის შემდეგ განესაზღვრა საკუთარი პოზიცია, მოეძებნა თავისი ადგილი გათამამებულ ტრაგედიაში. სისხლიანი მოვლენების შუაგულში ჩაყარდნილმა და შემთხვევით გადარჩენილმა ახალგაზრდობამ, იქიდან სულ სხვა დამოკიდებულება გამოიტანა სამყაროსადმი: „ჩემთვის სულერთია, რა არის მშვიდობა, ყველაზე ძალიან ის მინდა ვიციოდე — როგორ ვიცხოვრო“ — ამბობს ჯეიკ ბარნსი, ჰემინგუეის გმირი 1926 წელს. ამ კითხვაზე პასუხს რამდენიმე წლით ადრე ჰაუპტმანის პერბერტიც ეძებს, რომელიც მბრალდებლური სიტყვით მიმართავს თავის გერმანიას: „სამშობლომ, ჩემმა სამშობლომ, რომელიც თავდავიწყებით მიყვარდა, რომელსაც შეეწირე ჩემი ცხოვრების საუკეთესო წლები, მიუძღვენი ჩემი სიცოცხლე და ჯანმრთელობა, სამშობლომ, რომლისთვისაც ვიზვიებოდა ჩემი სული, გულ-

ვრილად მომხიბვლია სასოწარკვეთისა და სიღარიბის მორევში“³ გვირის ამ გულუბრველო სიტყვებში ხამშობლოს უმადურობის შესახებ თვით მწერლის გულუბრველობაც ჩანს. ჰერბერტის შემდეგ ლიტერატურაში მოსული არცერთი გმირი, არც ოლდინგტონის ტონი კლარენდონი, არც ჰემინგუეის ჯეიკ ბარნსი და არც რემარკის რობერტ ლოკამპი არ საყვედურობენ სამშობლოს, რადგან მათ კარგად იციან, ვინ ატრიალებს ომის მანქანას.

ომის შემდგომ წლებში ძალიან გააქტიურდა ნეორუსოსეული მოტივი — ბუნებასთან შერწყმა და ცივილიზაციის ცოდვებისგან განწმენდა. ჰაუპტმანიც ხსნას ბუნებაში, სივყარულში, ვაკცევაში ეძებს: „მართალია, ქორწინება არ არის გამოსავალი, არ არის ის ქვეყანა, სადაც შეიძლება თავს უშველო... მაგრამ, როცა ამაზე ვფიქრობ, მე ვფიქრობ ფერმაზე, ოჯახზე, ბედნიერ მომავალზე, სულ ერთია სად, ოღონდ კი ევროპაში არა“...⁴ მაგრამ, ავტორი მკაცრია გმირის ბედის გადაწყვეტის დროს: მისი გადარჩენა არ შეიძლება იმ სამყაროში, სადაც ყველა ერთმანეთის მტერია. და აი, აგარაკზე, ქალაქისა და დროის ხმაურს განრიდებულ ჰერბერტს, საყვარელ მეუღლესთან ქორწინების პირველივე თვეებში წასწვდება ბედისწერის მსახვერელი ხელი — მას აპატიმრებენ მკვლელობის გამო.

„ენგელმანზე“ მუშაობის წლებში დრამატურგს მაინც ესახებოდა ოპტიმისტური ფინალი: ჰერბერტი მეუღლეს გაანდობს თავის დანაშაულის და ამგვარი მონანიებით ცდილობს დაიწყოს ახალი ცხოვრება. ამ იმედის მომცემი ნოქით ამთავრებს მწერალი პიესის იმ ვარიანტს, რომელიც მან 1924 წელს დაწერა. 1941 წელს კი, უკვე მეორე მსოფლიო ომის დროს, განხდება პიესის ახალი ფინალი, რომელიც ენგელმანმა

რცე წლით ადრე იწინასწარმეტყველებს გმირს ღალატობს მხეცობა უკანმდევლობა, რომელიც აუცილებელია წინასწარმეტყველების გასაზრებლად. ის ომის შემდგომ გერმანიაში ვეღარ იკიდებს ფეხს და თავს იკლავს.

ახე ამთავრებს ჰაუპტმანი ენგელმანის ისტორიას მისი დაწერიდან პრაქტიკული წლის შემდეგ, თუცა ავტორმა უკვე თავიდან იცოდა დრამაში დასმული კითხვის პასუხი. იგი 1924 წელსაც ხვდებოდა, რომ ჰერბერტს ვერ უშველის ვერც სიყვარული და ვერც მეგობრობა, რომელიც ასევე ვერ შეელოდა მის შემდეგ მოსული „დაკარგული თაობის“ ბევრ გმირს. როგორც ვხედავთ, „დაკარგული თაობის“ პრობლემა, რომლის აღმოჩენად გერმანიაში რემარკს აღიარებენ, პირველად ჰაუპტმანის „ჰერბერტ ენგელმანში“ დაისვა.

აღსანიშნავია, რომ ამ დრამას, რომელიც 1924 წელს დაიწერა, უცნაური ბედი ხვდა წილად. იგი გამოქვეყნდა მხოლოდ მწერლის კარდაცვალებიდან ექვსი წლის შემდეგ (1952 წ.). 20-იან წლებში ჰაუპტმანს ხშირად საყვედურობდნენ წარსულში გაქცევის და თანამედროვე პრობლემებისთვის თავის არიდებას. მის საქალაქში კი იღო „ენგელმანი“, პიესა, მიძღვნილი თანამედროვე გერმანიისა და იმ საკითხებისადმი, რომლებიც, საერთოდ, ადამიანის წინაშე იდგა. 1941 წელს მწერალმა ფინალის კიდევ ერთი ვარიანტი შემოავთავაზა, რომელიც არ ცვლიდა არც კონფლიქტის ძირითად არსს და არც მისი აგების ლოგიკასა და ვალდებულებას. ჩვენთვის გაუგებარია მიზეზი, რომელმაც მწერალს დასრულებული ბრწყინვალე ნაწარმოები ვერდზე გადაადებინა და საწერი მაგიდის უჯრაში შეანახინა, როგორც მწერლის სულიერი მეგობარი და მისი შემოქმედების მკვლევარი კ. ბელი ივონებს, „მწერლის მიბრუნება პიესისადმი გამოიწვია მისი გამოქვეყნების სურვილი, მაგრამ პუბლიკაცია მაინც ვერ შე-

3. Hauptmann, G., იქვე, S. 353.

4. Hauptmann, G., იქვე, S. 348.

დგა, რადგან მასში დასმული პრობლემატიკის გამო ეს 1941 წელს შეუძლებელი იყო. მწერლის უსაფრთხოებისათვის მეტისმეტად სახიფათო იყო გამალეული მეორე მსოფლიო ომის წლებში ცენზურისთვის მოვეგონებინა პირველი გადახდილი ომი და მის მიერ მოტანილი უბედურება.¹ ისღა გვრჩება ვიკითხოთ, რატომ იღო დამთავრებული პიესა მეორე მსოფლიო ომამდე მწერლის ქალაქდებსა, ჩანახატებსა და ნაწყვეტებს შორის? ან, რატომ არ ჩათვალა ის დრამატურგმა 20-იან წლებში გამოქვეყნების ღირსად? იქნებ ყოველთვის უნდოდა, მაგრამ დიდი და არსებითი მიზეზი უშლიდა ხელს მას ამ სურვილის განხორციელებაში? ერთი კი უკველია: ის გარემოება, რომ თვითონ ავტორს არ ხურდა პიესის გამოქვეყნება, მოვეიანებით საკმაოდ უაზრო გადაწყვეტილების მიზეზი გახდა — პაუპტმანის არქივის მფლობელებმა, მისმა შვილებმა, ნაწარმოები „დასამთავრებლად“ დრამატურგ კ. ცუკმაიერს გადასცეს. იგი უმძიმესი ამოცანის წინ აღმოჩნდა: მას ზორცი უნდა შეეხზა პაუპტმანის მიზნებისთვის და გაეფართოებინა 20-იანი წლების ომისშემდგომი გერმანიის ატმოსფერო. პიესის გამოცემათა ორივე ვარიანტის (1952 და 1959 წ.წ.) შედარებისას დავრწმუნდით, რომ ცუკმაიერმა „ჰერბერტ ენგელმანში“ მეტისმეტად თვითნებური და არცთუ მორგებული ცვლილებები შეიტანა. მან პიესა დაუახლოვა 1945-იანი წლების გერმანიის თანამედროვეობას, შეცვალა ჰერბერტის პროფესიაც. ის უკვე სტუდენტი-იურისტი კი არ არის, არამედ ფიზიკოსია, როგორც ბევრმა კრიტიკოსმა აღიარა, პაუპტმანის პიესა სრულიად არ საჭიროებდა ასეთ „გათანადროულობას“. იგი წარმატებით გაიფლერებდა მეორე მსოფლიო ომგადახდილ გერმანიაშიც. თვითონ ცუკმაიერის ახ-

რც თითქმის ასეთივე იყო: „ჰერბერტ ენგელმანი“ ერთი რომელიმე მსოფლიო პიესა კი არ არის, არამედ ზოგადსაკაცობრიო ტრაგედიაა, თუმცა, აქ დაფიქსირებულია მაკროდ განსახლვერული ეპოქა.² საქმე მხოლოდ ისაა, რომ პაუპტმანთან ზოგადსაკაცობრიო კონკრეტული ფაქტებისა და მოვლენების განზოგადებით მიიღწევა, ცუკმაიერი კი მის ამ ხარისხში აყვანას ნებისმიერი ეპოქიდან აბსტრაქტიზების გზით ცდილობს, რაც, თავის მხრივ, ომის აბსტრაქტიზებულ გაგებას იწვევს. „პაუპტმანის დრამატურგიულ კონცეფციაში, — ამტკიცებს ცუკმაიერი, — ომი, ძირითადად, „მოიარას“ ბნელი და ბრმა ძალების გაგებით აღიქმება, რომელიც მსხვერპლს მორევში ითრევს და მას გარდუვალი ბედისწერის ყულფით ახრჩობს“.³

ჩვენ ვერ დავუთანებთ გერმანულ რეჟისორს ნაწარმოების ამგვარ ინტერპრეტაციაში, რადგან „ჰერბერტ ენგელმანში“ მინიშნებითაც კი არ არის ის აზრი, რომ ომი გარდუვალი იყო. გათამაშებულ ტრაგედიაში ბრალი მიუძღვით არა კაცობრიობის მტანჯველ, უხილავ ბედისწერას, არამედ, ქვეყნის სახელმწიფო მმართველებსა და მათი სურვილების ბრმა აღმსრულებლებს. ეს კარგად ესმით ჰერბერტსაც და პიესის იმ გამორებსაც, რომლებიც შორს დგანან საზოგადოებრივი პრობლემებისაგან. ამასვე ზოწმობს ფრაუ ქურნიკის ცინიკური „მატერიალიზმი“, როცა ამბობს: „მადლობა ღმერთს, რომ ვაფიშვილი არა მყავს, თორემ ჩვენი იმპერატორი, ალბათ მის ცხედარს მომიბრუნებდა უკან“!

მწერალმა თავის თანამედროვეებს დაანახა ომის სოციალური ფესვები და არა ბედისწერის გარდუვალობა. პიესა-

1. Behl, C. F. W. Aufsätze, Briefe, Tagebuchnotizen, München, 1981, S. 102.

2. Zuckmayer, C., Meine Neufassung eines Hauptmann—Dramas (Herbert Engelmann), in: FAZ, März, 1959, № 53, S. 15.

3. Zuckmayer, C., იქვე S. 16.

1. Hauptmann, G., Sämtliche Werke, Bd. VIII, Berlin; 1962-74, S. 327.



ში ადგილი არა აქვს დროის აბსტრაქციასაც. აქ არის „მკაცრად განსაზღვრული ეპოქა“. მასში და მხოლოდ იმ რული ეპოქა“. მასში მხოლოდ იმ დროს ხდება ომიდან დაბრუნებული ახალგაზრდის ტრავედია. მართალია, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ეს ისტორია განზოგადებულ აზრს იძენს, მაგრამ გადავიტანთ თუ არა მას სხვა დროში (რაც კ. ცუკმაიერმა გააკეთა), დრამა ყოველგვარ აზრს კარგავს, რადგან მისი ძალა სწორედ იმ ისტორიულ კონკრეტულო-

ბაში, 20-იანი წლების გერმანიაში მდგომარეობს. „პერბერტ ენგელმანსი“ ვერცხლზე მსიქარი, ჩვენი აზრით, „დაკარგული თაობის“ აღმოჩენაა, რისი პიონერობაც სამწუხაროდ, უმართებულოდ სხვას მიანიჭრეს. ეს განაპირობა მხოლოდ იმ ფაქტმა, რომ დრამა დროზე არ გამოქვეყნდა. ეს ფაქტი უკვალოდაა გამქრალი კ. ცუკმაიერის გადაკეთებულ ვარიანტშიც, რამაც ნაწარმოებს ობიექტური ღირებულება დაუკარგა.

გერჰარტ ჰაუპტმანის „მაგნუს ბარბი“ — ქაზოგრიოზის ყველაზე მწარე ისტორია

პირველმა მსოფლიო ომმა ძველი მხატვრული იდეალების კრახი გამოიწვია. მან ხალხი იაფ საზარბაზნე ზორცად აქცია და ამ მასობრივმა სიკვდილმა გააუფასურა ცალკეული ადამიანის სიცოცხლე. თუ XIX საუკუნის ყურადღების ცენტრში იდგა ადამიანი, როგორც ისტორიის მამოძრავებელი ძალა — ადამიანი „დიდებული და საოცარი“, ეხლა მან დაკარგა თავისი ბრწყინვალეობა და მნიშვნელობა.

ომის წინა და ომისდროინდელ საშინელ ეპოქაში, კვამლში გახვეულ ევროპაში დაიბადა ახალი ხელოვნება — ექსპრესიონიზმი, რომლის თვალწინ სამყარო წარმოჩნდა, როგორც მოუწესრიგებელი და საშიში ქაოსი. ექსპრესიონიზმიც სამყაროს დახაბამად ადამიანს აღიარებდა, ისიც გამსჭვალული იყო მის მიმართ სიყვარულითა და თანაგრძნობით, მაგრამ, ამავე დროს, იგი მას თავის განუშეორებელ ინდივიდუალობას ართმევდა. ეს მიმდინარეობა იყო XX

საუკუნის პირმშო, ხოლო მისი კმირი იყო მასა.

აღსანიშნავია, რომ სამყაროს ურბანისტულ ქაოსში ექსპრესიონისტები ვერ ხედავდნენ ცალკეული პიროვნებისათვის განვითარების შესაძლებლობას და ამიტომ მათ ნაწარმოებებში ხდებოდა მისი ნივთიერება, პიროვნების დათრგუნვა, რის წინააღმდეგაც თითქოს ისინი იბრძოდნენ. ხელოვნების იმ წარმომადგენლებმა, რომელთა ესთეტიკური იდეალები XX საუკუნემ ჩამოაყალიბა, ექსპრესიონიზმი ვერ მიიღეს. ეს ახალი მიმართულება ვერც გერჰარტ ჰაუპტმანმა, იმ პერიოდის ერთ-ერთმა ყველაზე პოპულარულმა მწერალმა და დრამატურგმა მიიღო, რომელმაც წარმატებით შეითვისა ნატურალიზმისა და სიმბოლიზმის მონაპოვრები. ნატურალიზმისგან მან აიღო მოვლენის დეტერმინირება, ხოლო სიმბოლიზმისგან კი სამყაროს განზოგადებული აღქმისაკენ სწრაფვა.



ამ წლების გერმანიის ოფიციალური ხელოვნება მიუღებელი და უცხო იყო პაუტკმანისათვის. ის ვერ შეეგუა ვერც იაფფასიან გასართობ ლიტერატურას და ვერც გერმანულ სცენაზე „Heimatlidung“-ის მოძალებას, რომელიც საუკუნის ბოლო წლებში დაიწყო და თავისი ხაზგასმული ნაციონალიზმით ფაშიზმის წინამორბედს წარმოადგენდა. ამ პერიოდის ნაწარმოებებში პაუტკმანი არ აწარმოებდა კლასობრივ წინააღმდეგობათა ანალიზს, არ მიმართავდა უშუალოდ თანამედროვე გერმანიის ყოფას. პოლიტიკური კონფლიქტების გამწვანების პირობებში და სოციალური პრობლემების სიჭარბეში მან შეგნებულად აუარა გვერდი ამ პრობლემატიკას და მიაშურა ისტორიულ, ლეგენდარულ, მითოლოგიურ და ზღაპრულ სამყაროს.

ექსპრესიონისტების შემოქმედებაში პაუტკმანი ზედადა დრამის პოლიტიკურ პროკლამაციად გადაქცევის საშიშროებას, რაც მისთვის მიუღებელი იყო. მიუხედავად პოზიციათა ამ სხვაობისა, ექსპრესიონისტებისაგან საკმაოდ შორს მდგომი პაუტკმანი, მაინც ბევრი მათგან სწორედ მათთან იყო დაკავშირებული. ბურჟუაზიული სინამდვილის კრიტიკა, ცხოვრების შექანხმისა და ომის წინააღმდეგ პროტესტი ანათესავებდა უკვე ხანში შესულ მწერალს ახალ მიმართულებასთან, რომელიც გერმანულ ხელოვნებაში უმაღლესად მალა იქცა.

ომის თემისადმი მიძღვნილმა პირველმა პიესამ „მაგნუს გარბემ“ (Magnus Garbe), რომელშიც პაუტკმანმა XIV საუკუნის გერმანიის ცხოვრების ერთი მომენტი, და კერძოდ, წმინდა ინკვიზიციის ერესთან ბრძოლა ასახა, უეჭველია XX საუკუნის დასაწყისის მოვლენებს მოჰფინა ნათელი. დომინიკანელ ბერთა ორდენისა და პაპის ლოცვა-კურთხევით წარმოებულმა მასობრივმა ხასამართლო პროცესებმა ეშმაკთან წილნაყარ „კუდიანებზე“ ბურგომისტრ მაგნუს გარბეს ქალაქმდეც მოაღწიეს. უმშვენიერეს, აყვავებულ და თავისუფალ ქალაქში შემოიჭრა საშინელი ბნელი ძალა — ფანტიკოს იეზუიტთა ბრბო, რომელსაც

წინ მოუძღოდა „აჟად თვალგამოკლავარ“ ბერი. აბრიალდა ინკვიზიტორს დრონი, რომელზეც დაიფრთვლა სრულიად უდანაშაულო ურიცხვი მსხვერპლი.

პაუტკმანმა მისთვის ჩვეული ხელოვნებით დაკვიზატა მოძალებული ფანტიზმის ვაჟღენით მასის ბრმა ძალად, ბოროტების მანქანად გადაქცევის შემადრწუნებელი სურათი. ეკლესია, რომელსაც მწერალი აქამდე ნაკლებ ყურადღებას უთმობდა, ეხლა მისი დაკვირვებული შესწავლის საგნად იქცა, რადგან სწორედ კათოლიკური და პროტესტანტული ეკლესიის ლოცვა-კურთხევით იღვრებოდა XX საუკუნეში შეომარ სახელმწიფოთა მოქალაქეების სისხლი. ძალმომრეობისა და შეუბრალებლობის ამ საშინელ ატმოსფეროში პაუტკმანს ყველაზე მეტად ცალკეული ადამიანის პოზიცია აინტერესებდა. „პროვინცია ისტორიის შავნული ძალების პირისპირ“ — აი, პრობლემა რომელსაც ეკლესიის მწერალი პირველი მსოფლიო ომის წლებში დაწერილ ნაწარმოებებში. პიესის მთავარი გმირები მაგნუს გარბე და მისი შეუღლე ფელიცია მტკიცედ და ღირსებით ეწინააღმდეგებიან მოძალადეებს. მართალია, ისინი იღუპებიან, მაგრამ მათ გვარსა და სიცოცხლეს გააგრძელებს ციხის წვედიაღში დაბადებული მათი ვაჟი — გადარჩენილი გერმანიის სიმბოლო, რომლის არსებობას არა აქვს დასასრული.

მსოფლიო უბედურების მასშტაბების ზრდა პაუტკმანს დაარწმუნებს, რომ ცალკეული პროვინცია უძღურია, მისი წინააღმდეგობა უსუსურია და თავიდანვე დასაღუპადაა განწირული. „მაგნუს გარბე“ — კაცობრიობის ყველაზე მწარე ისტორია — ასე უწოდა დრამატურგმა თავის პიესას ერთ-ერთი მონახაზის თავფურცელზე. ამ ნაწარმოების შექმნასა (1915 წ.) და გამოქვეყნებასთან (1942 წ.) დაკავშირებით კრიტიკოსთა ერთი ნაწილი მას გერმანელი მწერლის ადრეულ შემოქმედებას მიაკუთვნებს, მეორე კი „გვიან პაუტკმანს და ორივე მხარე ერთნაირი აღფრთოვანებით აღნიშნავს „მაგნუს გარბეს“ პრობლემატიკის აქტუალობასა და სიმწვავეს. გამოთქმისა



კრიტიკისი პ. შაიერი, რომელიც ტრაკედიას მიაკუთვნებს პუბლიკის შემოქმედების 40-იან წლებს და უარყოფს მასში დასმული პრობლემატიკის თანაფარდობას თანამედროვეობასთან, ანუ გერმანიაში ნაციონტების ბატონობის ხანასთან; „როცა პუბლიკის მიმართაჲდა ისტორიულ მასალას ტრაკედიასი „მაგნუს გარბე“ და კომედიასი მინეზინგერ ულრის ფონ ლიხტენშტაინზე, საქმე გვექონდა მხოლოდ ისტორიულ კოლორიტთან, ან რაიმე საინტერესო თემატიკასთან და არა ისტორიის თანამედროვეობისადმი მისადაგებასთან, რასაც ადგილი ჰქონდა „ფეიქრებსა“ და „ფლორიან გეიერში“ — წერს ის.

ტრაკედიასი მოთხრობილი ისტორია, რომელიც XVI საუკუნის გერმანიის ცხოვრებას ეხება, კანონზომიერად აღიქმებოდა პუბლიკის თანამედროვეების მიერ და დღესაც აღიქმება, როგორც მეტაფორული ქარაგმა ფაშისტურ გერმანიაზე. რეფორმაციის ეპოქა და 1525 წლის გლეხთა ომი მწერლის ყურადღებას რამდენიმე ათეული წლის განმავლობაში იპყრობდა. მან 1892-94 წლებში იმოგზაურა იმ ადგილებში, სადაც ეს ტრაკედია დატრიალდა და საგანგებოდ შეისწავლა ბენზენის, ქელერის, კორნელიუსისა და ფრიზის შრომები ამ პერიოდის გერმანიის ისტორიაზე. XVI საუკუნის პირველი ნახევრის მოვლენების ზედმიწევნით ცოდნამ მწერალს საშუალება მისცა შეექმნა სამი უმძიმესი დრამა „ფლორიან გეიერი“, „ანაბაპტისტები“ და „მაგნუს გარბე“, რომელთაგან პირველი ეხება გლეხთა სახალხო აჯანყებას, მეორე — მიუნსტერის კომუნას, ხოლო მესამე — ინკვიზიციას. იმისათვის, რომ ობიექტურად და სწორად შევაფასოთ მწერლის ეპოქული „ფლორიან გეიერიდან“ „ანაბაპტისტების“ გავლით „მაგნუს გარბემდე“, ჩვენ მიზანშეწონილად მიგვაჩნია უფრო დაწვრილებით განვიხილოთ თითოეული დრამის შექმნის ისტორია, რადგან ისინი ერთი ჯაჭვის სამი ერთმანეთზე გადაბმული რგოლია.

დრამა „ფლორიან გეიერი“ რომლის ცენტრალური გმირია გლეხთა მოძრაობების ერთ-ერთი წინამძღოლი, გამოქვეყნდა 1895 წელს. მისი პრემიერა შედგა 1896 წელს, რასაც წარმატება არ მოჰყვა და რამაც ავტორს მძიმე სულიერი ტკივილი მიჰყენა. „მე მაშინ ტყუილბრალოდ ვცდილობდი გერმანული ხალხური ხულის გამოფხიზლებას „ფლორიან გეიერით“ — სინანულით თქვან მან 1912 წელს ვენაში თავის სათუბილეო სიტყვაში.

მიუხედავად წარუმატებლობისა, პუბლიკის მიხედვით არ მოუწია ამ კოლიზიებით საესე ეპოქას და ჩაიფიქრა კიდევ ერთი პიესა, რომლის გმირი უნდა გამხდარიყო თომას მიუნცერი, ანუ „უფრო ისეთი ვინმე, რომელიც არ იდგა ისტორიული მოვლენების წინა პლანზე“.

მან დრამა „ანაბაპტისტების“ პირველი მონახაზი ჯერ კიდევ 1901 წელს გააკეთა. დრამის შემონახული ფრაგმენტები, რომელიც მწერალს დაუმთავრებელი დარჩა, წარმოდგენას ვეძღვევენ პუბლიკის ინტერესზე რეფორმაციისადმი და მასთან დაკავშირებული მოვლენებისადმი. „ანაბაპტისტების“ ცალკეული ფრაგმენტები გამოქვეყნდა ჯერ გაზეთში „Der Tag“ 1905 წელს, შემდეგ ჟურნალში „Die Jugend“ 1909 წელს და პოლს 1937 წელს ჟურნალში „Die neue Rundschau“. ამ ნაწარმოების თავდაპირველი სათაური იყო „იან ფონ ლაიდენი“ (Jan von Leiden) და „წმინდა ხალხი“ (Das heilige Volk). ფრაგმენტები სრული სახით შეტანილია პ. მასის რედაქციით გამოცემულ პუბლიკის თხზულებათა კრებული მე-8 ტომში.

მწერალი მოქმედების ადგილად ირჩევს ქალაქ მიუნსტერს, სადაც გაიმარჯვა 1532 წლის რეფორმაციამ და სადაც 1534-35 წლებში შეიქმნა მიუნსტერის კომუნა. დრამაში მოქმედ პირებად გამოყვანილია გერმანელი და ნიდერლანდელი ანაბაპტისტები, რომლებიც აჯანყებულ ხალხთან ერთად იბრძოდნენ ეპისკოპოსისა და ქალაქის პატრიციატის წინააღმდეგ. ნაწარმოების ცენტრალუ-



რი ფიგურაა მელქიორ პოფმანი, ამ მოძრაობის იდეური სულისჩამდგმელი და წინამძღოლი, რომელიც ჯერ ლუთერის სულისკეთებით ქადაგებდა, შემდეგ კი ზურგი აქცია მას. აქვეა იან ფონ ლაიდენი, რომლის სახელსაც უკავშირებს მწერალი ჰაუნსტერის კომუნის ისტორიის ვეულაზე სიხლიან პერიოდს: „სახრავლო იანი! თუ ადრე გამუღმებით მას ღვენიდნენ, ახლა თვითონ იქცა მოსამართლედ და ჯალათად. იგი ამ მისიას უდიდესი ხიამოუნებით, ავხორცულად და შურისძიებით ასრულებს. მახვილი, რომელიც ყოველთვის სიკვდილით ემუქრებოდა მას, ახლა თავად უჭირავს ხელში“...¹ პატივმოყვარეობა, ვერაგობა და გახრწნილება — აი, ის ძირითადი თვისებები, რომლითაც შეამკო დრამატურგმა გმირი. თუმცა, ჰაუპტმანმა 1937 წელს აღიარა, რომ „გადააჭარბა მისი სახის ასე მუქ ფერებში დახატვის დროს“.² ანაბაქტიცტების ბრძოლა მწერალს არ მიჰნდა მჩაგვრელების წინააღმდეგ მიმართულ სოციალურ ამბოხებად, არამედ, როგორც „ერთი ვეულაზე ბნელით მოცულ პაროქსიზმად, როგორც კი ოდესმე სცილნია გერმანიას“.³

1901 წლის გაზაფხულზე იტალიაში მიმავალი ჰაუპტმანი საგანგებოდ გაჩერდა ნიურნბერგში, რათა საკუთარი თვლით ენახა შუახაუკუნეების დროინდელი წამების კამერები და ეგრძნო მამინდელი ატმოსფერო. იმავე წლის ივლისში მან მოხაზა დრამის „ბურგომისტრი შულერი“ (Bürgermeister Schüller) გეგმა, რომელზეც 1909 წელსაც მუშაობდა. დრამატურგმა ტრაგედიის პირველი სცენები დაწერა 1914 წლის აპრილში სანტა მარგარიტაში (იტალია), რომელსაც ცოტა მოგვიანებით „მაგნუს გარბე“ უწოდა. ეს სახელი მან წაიკითხა ერთერთი მალაზიის ფირნიშზე გერმანიაში მოგზაურობის დროს. ტრაგედიაზე მუშაობა ავტორმა დაამთავრა 1915 წლის ივლის-სექტემბერში თავის საზაფხულო აგარაკზე ანეტენდორფში, ჩამოთვლილი ფრაგმენტები, რომლებიც მოხერხებულად შეი-

წოვა „მაგნუს გარბემ“ შეიძლება შევხვდეთ ჩნით ამ ტრაგედიის საფუძვლებში. თავდაპირველად ჰაუპტმანმა ჩაიფიქრა ისეთი დრამა, რომელიც გააგრძელებდა მის შემოქმედებაში სიმბოლისტური დრამა-ზღაპრების ხაზს. 1898 წლის 19 ივლისის ჩანახაზში მოქმედება ხდება XVI საუკუნის მეორე ნახევარში, ხოლო 1902 წლის 28 ნოემბრის ვარიანტში XVII საუკუნეში. ორივე ფრაგმენტს საფუძვლად უდევს ერთი სილუზიური ღვეენდის მოტივი — „ქალაქის ბურგომისტრის თავისი მეუღლისადმი უსახვერო სიყვარულის ისტორია“. პიესაზე მუშაობის დროს თანდათან შეიცვალა ჩანაფიქრი, სიყვარულის თემამ უკან გადაიწია, ხოლო წინ წამოვიდა გერმანიაში ინკვიზიციის მიერ დატრიალებული ტრაგედია, რაც უფრო ესადაგებოდა პირველი მსოფლიო ომის პერიოდში მწერლის სულიერ განწყობილებებს.

ტრაგედიის მოქმედება ხდება გერმანიის ერთერთ თავისუფალ ქალაქში 1530 წელს. თარიღი იმითაც დასტურდება, რომ მოქმედ გმირად გამოყვანილია რეალური ისტორიული პირი — ნიდერლანდელი მხატვარი იან ვოსარტი (1478—1533). კრიტიკოსი ე. ჰილშერი დრამის მოქმედების ადგილად ქალაქ როტტერგს ასახელებს,⁴ მაგრამ როგორც თვით მწერალი განმარტავდა, მას არ ჰქონდა არჩეული რომელიმე კონკრეტული გერმანული ქალაქი. იგი მხოლოდ იმას ცდილობდა, რომ მაქსიმალურად დამაჯერებლად დაეხატა XVI საუკუნის გერმანიის ისტორიულ მოვლენათა მხატვრულად განზოგადებული სურათი.

დრამის მოქმედება ვითარდება მთავარი გმირის, მაგნუს გარბეს გარშემო. ერთერთი გმირის სიტყვებით: „ისეთი კაცი, როგორც მაგნუს გარბეა, ას წელიწადში ერთხელ იბადება“. ის ვეულას უყვარს, რადგან გამუღმებით ზრუნავს თავისი ქალაქის მცხოვრებთათვის და ბევრს აკეთებს მათ საკეთილდღეოდ. ნაწარმოებზე გმირები ორ დაპირისპირებულ ბანაკად არიან გაყოფილი: სიკეთის, სამართლიანობის, კაცთმოყვარეობის ბანაკად და ბოროტების ბანაკად. პირველს



მიეკუთვნებიან თვით ბურჟოიისტრი მაგნუს გარბე, მისი მეუღლე ფელიცია, მხატვარი იან ვოსარტი, მუნიციპალიტეტის წევრი დოქტორი კორნელიუს ანსელო, ქალაქის ექიმი იოჰან ვიკი, მეღვინე ეკარტი და სხვ. მეორე ბანაკის წარმომადგენლები არიან ჯალათი ადამი და მისი ხელქვეითნი: პერგი და პანცი, დომინიკანელი ბერები ტომასი, რაინდჰოლდი და სხვ. ამ მკვეთრად დაპირისპირებული ჯგუფების ურთიერთობაში ძვეს მწვავე დრამატული შეჯახების საფუძველი. დრამა შედგება სამი მოქმედებისაგან, რომელთაგან თითოეული დამოუკიდებელ და დამთავრებულ პატარა დრამას წარმოადგენს თავისი კანძის შეკვრით, კულმინაციითა და გახსნით. სამივე მოქმედება გაერთიანებულია საერთო კონფლიქტით, რომელიც თანდათანობით ღრმავდება. დრამის პარალელებით აგების პრინციპი იწვევს თითოეული მოქმედების ტრაგიზმის ზრდას, რაც დრამატურგის ერთ-ერთი მხატვრული ხერხია.

პირველი მოქმედების დასაწყისში ფელიციას მოახლესთან საუბრიდან ვიკებთან, რომ იგი ელოდა მხატვარ იან ვოსარტს, რომელმაც მისი სურათი უნდა დახატოს. ფელიციას, რომელიც ფეხმძიმეა, შინაგანი დამბულობა, ბუნდოვანი ღელვა და მოუსვენრობა ეტყობა. აღვლევებულია მხატვარიც. ის დაბნეულია და შემამჩნევად უკანკალებს ფუნჯი ხელში. ქალაქის შესახებ დაობას და მოქმედ პირთა განწყობილებას კიდევ უფრო ამძიმებს „შემამფოთებელი შავი ფერი“. მას იწვევს ეკლესიის წინ მოედანზე დასთებული კოცონის კეამლი, შავი ყორნების ფრთები, რომლებიც ჩხავილით თავს დასტრიალებენ მოედანს და ცაზე უცაბედად გამოჩენილი შავი ღრუბლები. შემფოთება უფრო ძლიერდება, როცა გმირები შეიტყობენ ქალაქში დომინიკანელი მამა ვისლანდის ჩამოსვლას. პაპის წმინდა ტრიბუნალმა თავისი „შავი სასამართლო“ უნდა გამართოს ქალაქში:

„ე! ჩვენი მოსამართლეები, მიუხედავად თავიანთი განსწავლულობისა, იმუ-

ლებულნი არიან მღვმარად აღვიწინ თვალი ფანატიკოს ბერებს, ვინც მათი გამშაგებული ეძგერების თავიანთ მსხვერპლს და ვითომ სასამართლო პროცესს უწყობენ მათ მოწმეების, მტკიცებისა და დამცველის გარეშე. თითოეულ ბრალდებულს, რომელიც ოდნავ მაინც შეიბღალა საიდუმლო დასმენითა და ცილისწამებით თავს კვეთენ, სახრჩობელაზე ჰკიდებენ, ან საშინელი წამებით სიკვდილის პირას მიყვანილს, ბნელ კაზმატებში ზდიან ტანჯულ სულს“ — რისხვით ამბობს გარბე. ქალაქი შემზარავმა შიშმა მოიცვა. „ბრბო გადიარია! დღისით-შხისით, ხალხს ვველგან ათასგვარი საშინელება ელანება“ — დამატებს ექიმი ვიკი. ვველაფერ ამას სტიქიური უბედურებაც ემატება — შიშისილი და გადამდები ავადმყოფობა.

ქალაქის ცხოვრების შემამჩნუნებელი სურათების დახატვისას კავუტმანი ვერდნობა ისტორიულ ლიტერატურას, სადაც მკვლევარები ამ პერიოდს აღწერენ, როგორც ყოველგვარი ზეციური სასწაულებისა და არანეულებრივი მოვლენების ხანას. მაგალითად, ქალაქის მცხოვრებნი ცაზე შეამჩნევენ უზარმაზარ ცეცხლოვან სფეროს, რომელიც მაცხოვრის ტაძრის გუმბათს შეეხება. სასწაულებრივია უცაბედად ამოვარდნილი საშინელი ქარიშხალიც, რომელსაც წვიმა არ მოსდევს თან. ყოველივე ამას გაბოროტებული ბრბო „კუდიან“ ქალებს აბრალებს და ცდილობს მათ ხელში ჩაგდებას. კოცონზე უკვე დაწვეს ოთხი „უბედური ცოდილი“, დაიჭირეს დორიოთა მაილინიც, დალაქ პანს მაილინის ცოლი, ცხრა შეილის დედა, რომელსაც ბრალი დასდეს კუდიანობაში. „იგი უპატიონესი ქალია მთელს ქალაქში, — ამბობს მასზე დოქტორი ანსელო — ვინ იცის რამდენი უძილო ღამე გაუთენებია საბრალი ქალების თავთან და უმსუბუქებდა მათ მშობიარობის ტკივილებს. ახლა კი, მათივე შეილები დასდევს და ქვებით, კეტებითა და ნაჯახებით ნადირობენ მასზე“¹⁰ და სწორედ ამ ამავდარმა, მაგრამ სიკვდილის შიშით თავზარდაცემულმა ქალმა ჩვენება მისცა მა-

გნუს გარბეს მეუღლის ფელიციას წინააღმდეგ, რითაც დრამის პირველივე მოქმედებაში გადაწყდა მისი ბედი. შეიკრა ავბედითი წრე — ტრაგიკული დასასრული გარდუვალია.

მეორე მოქმედებას გადავყვართ ქალაქგარეთ, ბურგომისტრის ვენახში, სადაც გარბე მშვიდად ესაუბრება მეღვინე ეკარტს. შემორბის აქომინებული დომინიკი, რომელიც საშინელ ამბავს მოიტანს: „მთელი ბაზრის თვალწინ, მთელი ქალაქის დასანახად, წარჩინებულთა, მუნიციპალიტეტის წევრების და სენატორების წინ, რომლებიც რატუმის ფანჯრებთან გულხელდაკრეფილი უყურებდნენ, თუ როგორ წამოაგდებ ჩემი კეთილი ქალბატონი ლოვინიდან, ნახევრად შიშველი სახლიდან გამოათრიეს და გაგიჟებული ბრბოს დრიალის თანხლებით ციხეში წაიყვანეს.“¹¹ მეგობრები ცდილობენ გარბეს გამხრევატყვას, მაგრამ ის გულწასული ეცემა მიწაზე.

მესამე მოქმედება ციხის საკანში ხდება. აქ უკვე მთავარი მოქმედი ვამირია ჯალათი ადამი თავისი ხელქვეითებითა და დომინიკანელი ბერებით. წინა ორ მოქმედებასთან შედარებით აქ პიესის ენა ხაზგასმულად უხეშია და „აქი ძაღლების“ ენას გამოხატავს. ფელიციას ბრალს სდებენ „კუდიანთა მარულაში“ მონაწილეობაზე, რის გამოც ის უნდა შოკედეს. მისი მოახლე კი იმედიახად ამბობს: „არ შეიძლება ზეციური სასჯელი შეეხოთ ეკლესიის ასეთ ერთგულსა და მორჩილ შეილს“.¹² გარდუვალი საშინელი დასასრულის შიშის გრძნობა იპყრობს არა მარტო სრულიად უდანაშაულო ქალს, არამედ მაგნუს გარბესაც: „მკედარი უკეთესად არის, ვიდრე ცოცხალი. ყველაზე ბედნიერი კი ის არის, ვინც საერთოდ არ დაბადებულა.“ — ამბობს სასოწარკვეთილებამდე მისული ბურგომისტრი. ამ აზრის განსამტკიცებლად ავტორი დაწვრილებით აღწერს დომინიკანელი ბერების ტომასისა და რაინჰოლდის საქციელს. ისინი დახცინიან და მახზარად იგდებენ ფელიციას ახალშობილ ვაჟს, ზურგს აქცევენ მას, როგორც ეშმაკის ნაშიერს: „ისინი ჩვილის

სხეულზე ემბდნენ „ეშმაკის ბეჭედს“, რომელსაც თითქოს სატანურ ბეჭედს უწოდებენ მიმღვერებს. თუ რამდენიმე წუთი ხალს იპოვიდნენ, ზედ ქინძისთავს არკობდნენ და აკვირდებოდნენ გამოვიდოდა თუ არა იქიდან სისხლი, თუ არ გამოვიდოდა, ეს იმის ნიშანი იყო, რომ ეშმაკი-ტანილი ეშმაკეული იყო“.¹³

აღსანიშნავია, რომ დრამაში ერთი-დაიგივე ამბავი სხვადასხვა მოქმედ პირთაგან სრულიად განსხვავებულად აღიქმება, იმისდამიხედვით, თუ რომელ ბანაკს ეკუთვნიან ისინი. მაგ. ჯალათი ადამისთვის „ცეცხლოვანი სფერო“ გოჯობეთის სიმბოლოა; იან გოსარტი კი მასში ღვთის წყალობას ხედავს და გარბეს ვაჟიშვილის დაბადებას უწინასწარმეტყველებს. ისტორიკოსი ი. შერი, რომელმაც რამდენიმე შრომა მიუძღვნა გერმანიაში ინკვიზიტორთა საქმიანობის აღწერას, წერს: „ჯადოქართა“ დევნას არსად არ მისცემია ისეთი საშინელი სახე, როგორც გერმანიაში. აქ იყო ადამიანის შემღალი გონების ყველაზე მახინჯი ნაყოფის გამოვლინება. სწორედ გერმანელმა დომინიკანელმა ბერებმა შპარენჰერმა და ქრემერმა დაწერეს ცნობილი „კუდიანთა ურო“, რომლის პირველი დათარიღებული გამოცემა 1487 წელს მოხდა. მასში მოცემულია მითითებანი „კუდიანთა გასასამართლებელი პროცესების“ ჩატარების თაობაზე. ბერმონაზონთა უეცრობას და უღმობლობას წინასწარგანზრახული ბოროტბაც ემატებოდა“¹⁴ — წერს ის.

ჯალათის თანამემწენი ვერგი და პანცი, რომლებიც რელიგიის სახელით მუსრს ავლებენ ეკვმიტანილებს, შხად არიან „ბორბალზე მიაღურსმონ თვით ქრისტე თავისი თორმეტი მოციქულით, თუ ეს მათ რამდენიმე ზედმეტ ფლორინს მოუტანს“. ციხის პნელ საკანში გარბე დაკვირვებით უსმენს გარედან შემოსულ ურმის ბორბლების ჭრიალს: „ეს, გლეხებს შეშა მოაქვთ ერეტიკოსების დასაწევაად“ — უხსნის მას ციხის მსახური. „არა! ეს ბერებს ქალაქიდან გააქვთ ის ნაძარცვი, რომელიც მათ ერე-

ტიკოსებს წაართვეს“¹⁵ — დარწმუნებით პასუხობს ვარბე.

ნაწარმოებში აღწერილმა შემზარავმა სურათმა, რომელიც ავტორმა უხადო ოსტატობითა და შთაბეჭდლობით დახატა, თომას მანს აიქმეინა შემდეგი სიტყვები: „ზეთგადასხმული და ისე დამწვარი ერეტიკოსი — ოცდოთხი ფლორინი; ცოცხალის ოთხად გაგლეჯა 15 ფლორინი, მახვილით თავის მოკვეთა ან ბორბალზე გაკვრა — ათი ფლორინი, ოთხი ერეტიკოსის ცოცხლად დაწვა — 30 ფლორინი. მარტო ინკვიზიციის ჯალათის გერვის ყურის დაგდება, რომელიც თავის მონაგებს ითვლის, საკმარისი იქნება დაბეჯითებით ეთქვას, რომ პაუტმანი, როგორც პოეტი და ადამიანი, ვარკვეული აზრით, თავის თავში ატარებს კაცობრიობის მთელ სისხლიან ისტორიას, მათ შორის გერმანულისაც; ის ეწამება და იტანჯება საკუთარ სისხლსა და ხორცში იმგვარად, როგორც სხვა არაყინ“¹⁶.

ამ ნაწარმოებით მწერალი ცდილობდა იმის დადგენას, თუ როგორ ახერხებდა ინკვიზიცია საუკუნეების განმავლობაში მთელი ხალხებისა და სახელმწიფოების მორჩილებაში ყოლას და მათი ბედის განსაზღვრას. მისი აზრით, „ბერთა სამოეების“ ძირითადი მიზანი იყო „ჯოჯოხეთის კოცონის ცეცხლის“ შიშით შეეხოვით და მორჩილებაში ჰყოლოდათ ხალხი. ამ უბედურების მთავარ მიზეზად ის იქცა, რომ არ იყო ერთობა ქალაქებს, სათავადოებსა და ხალხებს შორის. წერილად დაქუცმაცებულ სახელმწიფოში არ არსებობდა გამაერთიანებელი ძალა, რომელიც შეკრავდა მათ საერთო მტრის წინააღმდეგ საბრძოლველად. „ჩვენ მეტისმეტად მოვლუნდით... გვეზარება ლოგინიდან წამოდგომა მაშინაც კი, როცა მტრის მუშტი უზრახუნებს ჩვენი მეგობრის კარს“ — ამბობს ვარბე. მას ინკვიზიციის წინააღმდეგ ბრძოლაში რეალურ და დასაყრდენ ძალად „ამაყი და თავისუფალი ქალაქელები, მეომრები და გლეხები“¹⁷ მიაჩნია. მაგრამ, ყველაზე გადამწყვეტ მოქმედში, ძალმომრეობისა და ბოროტების განსა-

ზიერება — გისლანდთან ბრძოლაში — შეშინებული და დაბეჩავებული ხალხი ვერ რდით არ დაუდგება მას და ბოლოს, ვარბეც შევბენელი ძალების ისეთივე მსხვერპლი ხდება, როგორც ბევრი სხვა მისი თანამოქალაქე.

რ. რომერის სამართლიანი შენიშვნით: „ხალხი აქ გამოყვანილია, როგორც ორიენტაციადაკარგული ბრძო, ვინიერებას მოკლებული აღრიალებული მასა, რომელიც რეაქციის ხელში დამანგრეველ ძალად იქცა.“¹⁸ განსაკუთრებული სიკვარულითა და სიმამითაა დახატული მაცნუს ვარბეს სახე. მწერალმა საგანგებო მონღომებით შექმნა უაღრესად დადებითი გმირი, რომელსაც დიდი ამოცანები დააყისრა. ვარბეს ხასიათი მისმა ცხოვრებამ განსაზღვრა. იგი დაიბადა და აღიზარდა მორწმუნეთა ოჯახში. მამამისი ეპისკოპოსის მოურავი იყო, რომელსაც ის „რწმენითა და ერთგულებით ემსახურებოდა“. ვარბეს ლაღმა ბავშვობამ კენახებსა და მინღერებში გაიზინა, უსაზღვროდ უყვარდა თავისი ხალხი, ქალაქელები, ღარიბები და მდიდრები, რომლებიც მასთან იყვნენ შეზრდილი და ისინიც სათანადო პატივს მიაგებდნენ საყვარელ ბურგომისტრს, „ალმერთუბდნენ“ და „ღარიბთა მამას“ უწოდებდნენ მას. ვარბე ისევე სჭირდებოდა ხალხს, როგორც მას ისინი, და მათ ვარბე არც თვითონ შეეძლო არსებობა. პაუტმანმა ვარბე იდეალურ ჰიროუნებად დახატა. მას მეტად საპატიო და ძნელი მისია ჰქონდა — თავისი მოქალაქეების ცხოვრების გაუმჯობესებისათვის ზრუნვა. მაგრამ, შესწევდა კი მას ამ მისიის შესრულების ძალა?

ხალხი თავის ბურგომისტრს სამსონს უწოდებს და ისიც ისეთივე ევოლუციას განიცდის, როგორსაც ბიბლიური გმირი, რომელმაც ფილისტიმილებთან გამარჯვებით გაითქვა სახელი. სამსონის მსგავსად ვარბეც მძიმე გამოცდას გადის. თუ აღრე ის ხალხს, თავის თანამოქალაქეებს „პატრონად“ მიაჩნდა, ეზლა ისინი მის ბორბალზე გაკვრას ითხოვენ, აფურთხებენ და „ქურდს, მოღალატესა და კუდიანის სატრფოს“ ეძახიან.

თავისი ხალხის ამკვარი გარდასახვით შეძრწუნებული ვარბე სინანულით ამბობს: „მე ის კაცი ვარ, რომელიც მოთმანებითა და სრული მორჩილებით ველიდი ამშორებულ საკანში როდის მოიღებდნენ მოწყალეებს და ეშაფოტზე ამიყვანდნენ. ვაი, რომ ჯერ კიდევ ცოცხალი ვარ ამ აყროლებულ მშორებს შორის, წყველი მკვლელების ბუნაგში, სადაც ასე საშინლად სჯიან და აწამებენ უფლის ანგელოზებს.“¹⁹ ჰაუპტმანი დრამაში „უფლის ანგელოზად“ ფელიციას სახავეს, რომელიც უფრო „წმინდანია“, ვიდრე რეალური, ცოცხალი ადამიანი. იგი ძველი ბერძენი ტრაგიკოსების „სტიოკურ“ გმირს მოგვაგონებს. კრიტიკოსი ი. გრეგორი ფელიციას უწოდებს „ჰაუპტმანის ყველაზე სრულყოფილი ქალის სახეს.“²⁰ ტრაგედიის შესამე მოქმედების რემარკაში ვკითხულობთ: „მისი სახე ტკივილებს დაუმაზინებია, მაგრამ მაინც მშვენიერია, წმინდა ქალწულივით რაღაც სინათლეს აშუქებს“. ფელიციას პერსონაჟით ჰაუპტმანს სურს დაადასტუროს ის ჭეშმარიტება, რომ „ადამიანის სიდიდე მძიმე გამოცდით მოწმდება“. უმანკო ფელიციას აწამებენ ხუნდებით, ჰკრავენ ჯაჭვებით, დაღავენ გახურებული შანთებით, მაგრამ ის ჯიუტად ღუმს და ერთი სიტყვითაც არ ადასტურებს მოწმეთა ცილისწამებებს.

ჰაუპტმანი ყოველთვის განსაკუთრებული მონდომებით ცდილობდა ჩაწვდომოდა ტანჯვის არსს. მხატვარ კეტე კოლვიციის აღბრუნება „დამშვიდობება და სიკვდილი“ (Abschied und Tod) მწერალმა წინასიტყვაობაში „წმინდა ტკივილი“ (Das heilige Leid, 1923) უწოდა. მას სწამდა, რომ ტანჯვა ყოველის შემძლეა და თავისი ფორმით ისეთივე მრავალხანოვანია, როგორც თვით ცხოვრება. მაგრამ, ყოველგვარი ტანჯვიდან მწერალი გამოყოფს ერთს, „ყველაზე ძლიერსა და ამადლებულს, იმას, რომელშიც ერთნაირად მონაწილეობენ სული და სხეული. ტანჯვის ასეთი ფორმა თავის სრულყოფილ გამოხატულებას დედობაში იძენს.“²¹ — ამბობს ის.

ტრაგედიის მთავარი გმირები უმეტესად (magno — ძლევამოსილი) და (felice — ბედნიერი) თავიანთ სახელებს ტარებენ როგორც ირონიას. მაგრამ, გმირების სახელებში მიმაღული ირონია მიეკუთვნება არა მათ, არამედ იმ საზოგადოებას, რომელიც ბედნიერებისთვის გაჩენილ ადამიანებს საშუალებას არ აძლევს მიიღონ ეს ღვთის წყალობა. ფელიციას სიკვდილით დასჯის წინა დამეს მაგნუს ვარბეს საყვარელი მეუღლის მონახულების ნებას რთავენ. შემშარავია მისი სიმწროთ აღმომხდარი ყვირილი და ღვთისადმი საყვედურით მიმართული სიტყვები: „თუ ქრისტიანობა ჩვენი ერთადერთი იმედია ცხოვრებაში, მაშინ ჩვენ ყველა ურჯულოზე ურჯულონი ვყოფილვართ“...²² და შემდეგ: „არ არსებობს არაერთი ღმერთი... არსებობს მხოლოდ ეშმაკი“.²³ ამ სასოწარკვეთილ სიტყვებში ჩანს ავტორის მაშინდელი ღრმად პესიმისტური განწყობილებანი, რაც გამოთქვა კიდევ თავის მეგობარ ბელთან საუბარში.²⁴ ვიდრე ჯალათები ფელიციას კოცონზე დაწვას მოასწრებენ, ის მეუღლესთან ერთად ციხის საკანში კვდება, რაზეც ჯალათი ვერგი იტყვის: „ნიძლავს დაუღეს, რომ ისინი უკვე სასუფეველში არიან“. ჯალათის სიტყვები სიმბოლურად ბოროტებაზე სიკეთის გამარჯვებას და იმ დიღემის გადაჭრას ნიშნავს, რომლის წინაშეც ვარბე იღვა: „ან ზეცაში ღმერთი არ არის საერთოდ, ან ზეალვე ნემთან ერთად იქნება სამოთხეში“²⁵ — უბნება ის ფელიციას. თუ ისინი „ცად ამადლდნენ“, მაშასადამე ღმერთი არის და ის კეთილია, რასაც გუნდის სიტყვებიც ადასტურებენ: „აქედით სახელსა ღვთისასა, აქედით მონანი ღვთისა, აქედით ღმერთსა, რამეთუ კეთილ არს...“²⁶

ამ ფინალით ჰაუპტმანი გამოხატავს თავის რწმენას სამართლიანობისა და სიკეთის გამარჯვების შესახებ. იგი ამას იმითაც ამტკიცებს, რომ ვარბეს ვაჟს სიცოცხლეს შეუნარჩუნებს. ქალაქის მაგისტრატის და ექიმი ვიკი მას მალულად გამოიყვანენ ციხიდან და გადაარჩენენ, რადგან „ვაი, ვერმანული ქალაქების

თავისუფლებას... ვაი, მთელი გერმანიის თავისუფლებას, თუ გარბეს ვვარი შეწყვეტს თავის არსებობას“.²⁷ მწერალმა ახალშობილს რომაული ეკლესიის ხელყოფისაგან ქვეყნის დაცვის მიხია დააკისრა. ნიშანდობლივია, რომ პაუტმანი-სთვის ბავშვი ყოველთვის „განახლების სიმბოლო“ იყო. ის თავის საშობაო სიტყვაში (Weinachten) 1908 წელს ამბობდა: „მომწიფებული ხული ორი მიმართულებით აგრძელებს განვითარებას: უკან ახალგაზრდობისკენ და წინ სიბერისკენ... მწერალი, რომელიც სიბერისკენა მიმართული ყველაფერში განახლების სიმბოლოდ ბავშვს ხედავს“.²⁸

ჯალათი ადამი, ვერგი და ჰაინცი ფელიციასა და მაგნუსის გვაძებს მაინც მითრევენ კოცონზე დასაწავად, რათა დააკმაყოფილონ ფანტიკურად აღტყინებული ბრბოს მოთხოვნა, მაგრამ სახამართლომ ეს განაჩენი უფრო მსუბუქი სახეულით — ჩამოხრჩობით შეცვალა. ეს უკვე იმის ნიშანია, რომ ინკვიზიცია დასუსტდა ძლიერი ხულის წინაშე და ფელიციამ და მაგნუსმა მორალურად გაიმარჯვეს მასზე. 1939 წელს პაუტმანი პ. ზურკამისადმი წერილში წერდა: „მაგნუს გარბე“ გამოხატავს კათოლიკური ეკლესიის დაბრმავებას ჯადოქრობის მანით, ბოლო ინკვიზიცია მის სხეულზე მისსავე წინააღმდეგ მიმართული ბაღამით ხავე მუწუკია“.²⁹

ჩვენი დასკვნები ნაწარმოების შესახებ უფრო დამაჯერებელი იქნება, თუ „მაგნუს გარბეს“ თავდაპირველ მონახაზს მის საბოლოო ვარიანტთან შევადარებთ. პირველ ვარიანტში დრამა ზუთმოქმედბიანი იყო — თითოეული ორ სცენად და მთავრდებოდა ფელიციას კოცონზე დაწვით და გარბეს ქალაქიდან განდევნით, რაც ინკვიზიციის სრულ გამარჯვებას გამოხატავდა. ტრაგედიის ბოლო ვარიანტში კი, პირიქით, მარცხდება ბოროტება, ფანტიზმი და იმარჯვებს ჰუმანიზმი, ნათელი მომავლის რწმენა: „ცხოვრება ყოველთვის ბრძოლაა და ვინც ის დაიწყო მანვე ბრძოლით უნდა გამოვიდეს ვის ეკლიანი და გრძელი გზის ყოველი მტკაველი ზღვის სანაპიროზე ქვიშახა-

ვით ურიცხე მტერს დარჩენულში“.³⁰ — ამბობს გარბე. *ЗНАКОМСТВО*

ალსანიშნავია, რომ ტრაგედია პირველად დაიდგა 1956 წლის 4 თებერვალს დოუსელდორფში, მისი დაწერიდან 27 წლის შემდეგ: თეატრალურმა კრიტიკამ მადალი შეუფასება მისცა მის გასცინურებას: „ეს არის ბრწყინვალე პიესა, რომელიც პახუზობს თანამედროვე თეატრის ყველა მოთხოვნას“ — წერს თეატრალური კრიტიკოსი იოზეფ ვრეგორი. მამ, რითი აიხსნება ტრაგედიის ასეთი უიღბლო ისტორია, რომელიც დრამატურგის ერთ-ერთი საუკეთესო რეალისტური ნაწარმოებია? თვითონ ავტორი 1939 წლის 9 იანვარს კ. ბელისადმი წერილში წერს: „მაგნუს გარბე“ მარტო ერთხელ დაიდგმება ბადენ-ბადენში და ისიც მხოლოდ მოწვეული მაყურებლის წინაშე. მე ვერ გავუბედავ მის თეატრალურ რეპერტუარში შეტანას“.³² ხოლო ბელის დღიურების 1941 წლის 6 აგვისტოს ჩანაწერში ვკითხულობთ: „მას ხურდა, რომ სამალავში ახე დიდხანს შემონახული თავისი ტრაგედია ინკვიზიციაზე „მაგნუს გარბე“ მხოლოდ თხზულებათა სრულ კრებულში ებილა. პაუტმანი ფიქრობდა, რომ ამ გზით ის ნაკლებად მოხედებოდა ცენზურის თვალს და აღარც თეატრებს დასდებდნენ ბრალს ტენდენტური პიესების დაღმაში“.³³

კ. ტანკის შეკითხვაზე, თუ რატომ არ დაიდგა აქამდე „მაგნუს გარბე“ სცენაზე, მწერალმა თავი აარიდა პირდაპირ პახუსს და მიუღო: „მამინ, შენც იგივე დავემართებოდა, რაც შენს ცოლს“³⁴ როგორც ცნობილია, კ. ტანკის შეუღლება ამ ნაწარმოებს ისეთი მძიმე შთაბეჭდილება მოუხდენია, რომ კითხვის დროს გული წახვლია. შემდეგ დაუმატა: „მიხი დაწერა კი აუცილებელი იყო... ტრაგედია მაინც ტრაგედიაა“.³⁵

უკვე სრულიად ნათელია, რატომ არ გამოქვეყნდა ან არ დაიდგა ეს ტრაგედია უფრო ადრე. პაუტმანს უშინოდა, რომ ფანსისტები „მაგნუს გარბეს“ თავიანთი მიზნებისთვის გამოიყენებდნენ და მიმართავენ მას ეკლესიის წინააღმდეგ. რ. მიხაელისის აზრით: „ტრა-

გედია დაწერისთანავე არ გამოქვეყნდა იმიტომ, რომ მწერალს არ სურდა ომის პერიოდში (ივლისხმება I მსოფლიო ომი) თავისი ქვეყნისათვის მიემღვნა „კაცობრიობის ყველაზე მწარე ტრაგედია“, ხოლო გამოქვეყნების შემდეგ, 1942 წელს სცენაზე არ დაიდგა იმიტომ, რომ კვლავ ომი იყო“.²⁶

ტრაგედიაში სრულიად აშკარად იგრძნობა პარალელები მასში აღწერილ მოვლენებსა და პირველი მსოფლიო ომის დროინდელ, მოგვიანებით კი ფაშისტურ-

რი გერმანიის ცხოვრების მანძილზე იმდენად თვალსაჩინო იქნა, რომ მწერალმა კვლავ გააბედა მისი გამოქვეყნება, რადგან ამას აუცილებლად მოჰყვებოდა მძიმე რეპრესიები მის მიმართ. მეორე მსოფლიო ომის დროს კი უკვე მხოლოდ პაუპტმანი საბოლოოდ დარწმუნდა „მაგნუს გარბეს“ გამოქვეყნების აუცილებლობაში. ეს იქნებოდა მისი ხმამაღალი პროტესტი ფაშიზმისა და ომის წინააღმდეგ და იმ დროს რწმენის გამოხატულება, რომ ბოროტებას ბოლო მოეღება.

გამოყენებული ლიტერატურა

1. Mayer, H., Das dramatische Werk G. Hauptmanns—In: G. Hauptmann. Ausgewählte Werke, Brl., 1962, Bd. IV, S. 556.
2. Hauptmann, G., Sämtliche Werke, Bd. VI, F M, Brl., 1962-1974, S. 695.
3. Heuser, F. W. J., G. Hauptmann. Zu seinem Leben und Schaffen, Tübingen, 1961, S. 42.
4. Hauptmann, G., Sämtliche Werke, Bd. VIII, F M, Brl., 1962-1974, S. 830.
5. Hauptmann, G., იქვე, S. 848.
6. Hauptmann, G., იქვე, S. 699.
7. Hilscher, E., G. Hauptmann, Berlin, 1969, S. 319.
8. Гауптман, Г., Пьесы, М., 1959, стр. 242.
9. Гауптман, Г., იქვე, стр. 252.
10. Гауптман, Г., Пьесы, М., 1959, т. 2, стр. 271.
11. Гауптман, Г., იქვე, стр. 248.
12. Гауптман, Г., იქვე, стр. 240.
13. Гауптман, Г., იქვე, стр. 281.
14. Шерр, И., История цивилизации в Германии, М., 1975, стр. 390.
15. Гауптман, Г., Пьесы, М., 1959, т. 2, стр. 285.
16. Манн, Т., Собрание сочинений в 10-ти т-ах, т. 10, М., 1960, стр. 495.
17. Гауптман, Г., იქვე, стр. 285.
18. Rohmer, R., Hauptmanns Dramatik heute — Theater der Zeit, Berlin, 1962, № 10, S. 72.
19. Гауптман, Г., Пьесы, М., 1959, т. 2, стр. 298.
20. Gregor, J., Der Schauspielführer. Stuttgart, 1954, Bd. III, S. 3.
21. Hauptmann, G., Sämtliche Werke, Bd. VI, Fr. M., Brl., 1962-1974, S. 942.
22. Гауптман, Г., იქვე, стр. 297.
23. Гауптман, Г., იქვე, стр. 301.
24. Behl C. F. W., Über „Magnus Garbe“, Theater und Zeit, Düsseldorf, 1956, № 5, S. 11.
25. Гауптман, Г., Пьесы, М., 1959, т. 2, стр. 298.
26. Гауптман, Г., იქვე, стр. 306.
27. Гауптман, Г., იქვე, стр. 310.
28. Hauptmann, G., Sämtliche Werke, Bd. VI, Fr. m., Brl., 1962-74, S. 914.
29. Hauptmann, G., Ausstellungskatalog, Brl., 1962, S. 314.
30. Гауптман, Пьесы, М., 1959, стр. 314.
31. Gregor, J., G. Hauptmanns „Magnus Garbe“, Theater und Zeit, 1956, № 6, S. 117.
32. Hauptmann, G., იქვე, S. 315.
33. Behl, C. F. W., Zwiesprache mit G. Hauptmann, Tagebuchauszeichnungen, München, H. 8, 1947, S. 28.
34. Tank, K. L., G. Hauptmann in Selbstzeugnissen und Bilddokumenten. Hamburg, 1959, S. 120.
35. Tank, K. L., იქვე, S. 121.
36. Michaelis, R., Der Schwarze Zeus. G. Hauptmanns zweiter Weg, Berlin, 1962, S. 320.

დავით ჩქოტუა და გაზეთი „დროება“

ქართველი ხალხის საზოგადოებრივი ცხოვრებისა და სულიერი კულტურის განვითარებაში თავისი ისტორიული მნიშვნელობით განსაკუთრებული ადგილი უჭირავს გახული საუკუნის 60-70-იან წლებს. იგი მდიდარია არა მხოლოდ უაღრესად მნიშვნელოვანი სოციალური მოვლენებით, არამედ კულტურისა და ლიტერატურის არაჩვეულებრივი განვითარებით, ერის ნაციონალური შეკნებისა და საზოგადოებრივი ცხოვრების გამოცოცხლებით.

ამ განახლებული ცხოვრების იდეური შთამაგონებელი და მედროშენი იყვნენ ქართველი სამოციანელები: ილია ჭავჭავაძე, აკაკი წერეთელი, ნიკო ნიკოლაძე, ვიორგი წერეთელი და სხვა თავდადებული მოღვაწენი, რომელნიც ქართული კულტურის ისტორიაში თერგდაღეულთა სახელით არიან ცნობილი.

აღნიშნულ პროცესებთან ერთად, ბეჭდვითი ორგანოების საქმიანობის აღმავლობამ გარკვეული როლი შეასრულა მებრძოლი, ეროვნული, პუბლიცისტიკის ჩამოყალიბების საქმეში.

ქართული პუბლიცისტიკა, როგორც გარკვეული განრი, XIX საუკუნის 50-იანი წლების პერიოდიკაში, კერძოდ, ივანე კრეხელიძის ჟურნალ „ციხესკარში“ ჩამოყალიბდა. მაგრამ იგი დაიბოდა „ციხესკარის“ წინა დროის პრესის ფურც-

ლებზე. ქართველ პუბლიცისტთა პირველმა თაობებმა საჭირო საქმე გააკეთეს და საკუთარ ფიქრებსა და ოცნებებთან ერთად თავიანთი დრო-ვამის ცოცხალი სურნელიც შემოგვინახეს.

ჩვენი მიზანია, ვაჩვენოთ დავით ჩქოტუას, როგორც მიმდინარე პროცესებში აქტიური მონაწილისა და ამ ეპოქის სულისკვეთებით მსუნთქავი მოღვაწის სახე, სახე დაუცხრომელი მწერლისა და პუბლიცისტისა, რომელმაც შესამჩნევი კვალი დააჩნია ქართულ აზროვნებას, ჩვენს მწერლობას.

„დავით ჩქოტუა მე-19 საუკუნის ქართული კულტურის ერთ-ერთი თვალსაჩინო წარმომადგენელია. ის იყო პირველი სწავლული აფხაზთაგანი, რომელმაც განათლება რუსეთის უმაღლეს სასწავლებლებში მიიღო და ერის აღორძინების დიდ საგანმანათლებლო ახპარეზზე უშურველი მოღვაწეობით ისახულა თავი“ (ს. ცაიშვილი, „აფხაზი მწერლისა და მეცნიერის გახსენება“, გაზ. „კომუნისტი“, 1982 წ., 10 იანვარი, გვ. 3).

სამწერლო სარბიელზე პირველი გამოჩენისთანავე მან დიდი ავტორიტეტი მოიპოვა თანამედროვეთა შორის.

დავით ჩქოტუამ თავისი მოღვაწეობა პუბლიცისტური წერილებით დაიწყო. 70-80-იანი წლების პრესაში მან გამო-

აქვეყნა ფილოლოგიური, ისტორი-
ულ-ეთნოგრაფიული წერილი. იგი,
სრულიად ახალგაზრდა, ოდერიდან და
პეტერბურგიდან საქართველოში აგზავ-
ნიდა მრავალმნიშვნელოვან სტატიებს
და სამართლიანად მოიხვეჭა ნიჭიერი,
განათლებული, ჟურნალისტის სახელი.

დავით ჩქოტუას პუბლიცისტური წე-
რილები, ფილოლოგიური და ისტორი-
ულ-ეთნოგრაფიული გამოკვლევები უმ-
თავრესად იბეჭდებოდა „დროებაში“,
„სასოფლო გაზეთსა“ და ჟურნალ „კრე-
ბულში“.

დავით ჩქოტუას მიერ გაზეთ „დროე-
ბაში“ გამოაქვეყნებული ნაშრომები უმ-
თავრესად სოციალურ, ეროვნულ და სა-
განმანათლებლო საკითხებს ეხება. გაზე-
თის თანამშრომელს — დ. ჩქოტუას — და-
კისრებული ჰქონდა მის ყოველ ნომერ-
ში „რუსეთის ამბებისა“ და „ნარევის“
კუთხის მომზადება, ზოგჯერ მოწინავე
სტატიების დაწერაც. ეს არც ისე იოლი
საქმე იყო. ფიზიკური გონება, ფართო ერუ-
დიცია, სინამდვილის მოვლენების სიღრ-
მისი უნარი და ჩქოტუას ხელს უმართავდა, ეწე-
რა მტკიცე ნულ სოციალურ და ეროვნულ
საკითხებზე და მკითხველი საზოგადოე-
ბის ცნობის წადილი დაეკმაყოფილებინა.

„დროების“ პირველი ნომერი 1866
წლის 4 მარტს გამოვიდა. მისი დაარ-
სება ეროვნულ დღესასწაულად იქცა. ეს
იყო პირველი ევროპული ხასიათის გა-
ზეთი ქართულ ენაზე, რომელსაც გარ-
კვეთილი პოლიტიკური მსოფლმხედვე-
ლობა ჰქონდა და, რომელიც ახალი თა-
ობის დემოკრატიულ მისწრაფებებს ემ-
სახურებოდა. გაზეთში თანამშრომლო-
ბდნენ: ვ. წერეთელი, ს. მესხი, ნიკო ნი-
კოლაძე, დავით მიქელაძე, აღ. ყაზბეგი,
ილია ჭავჭავაძე, აკაკი წერეთელი, პ.
მელიქიშვილი, ვასილ პეტრიაშვილი,
ივ. მანაბელი, პ. უმიკაშვილი, ა. ფურ-
ცლაძე, დ. ჩქოტუა და სხვები.

„დროების“ არსებობის პირველ
წლებში, მაშინ, როდესაც ძალიან უჭ-
ირდა გაზეთს თვითდამკვიდრება, რე-

დაქტორს ერთგული დახმარების უწყვეტი
დავით ჩქოტუა.

პირველი სტატია, რომელიც „დროე-
ბაში“ გამოაქვეყნა ახალგაზრდა მკვლე-
ვარმა, განათლების საკითხებს ეხებოდა
(დ. ჩქოტუა, განათლებაზედ, „დროება“,
1870 წ., 17 (29), 11, № 28, გვ. 1-2).

ავტორი, აღნიშნულ სტატიაში, სვამს
განათლების აუცილებლობის საკითხს
და გვევლინება ხალხის კათოვითცნობიერ-
ების დიდ პროპაგანდისტად. განათლე-
ბაში იგი ხედავს ხალხის, ერის მომა-
ვალე ბედნიერი ცხოვრების საფუძ-
ველს. ერის განათლებული შვილების,
სწავლულების პირველ მოვალეობად. დ.
ჩქოტუას ცოდნის პროპაგანდა მიიწინა.
მათ უნდა უჩვენონ თავიანთ შვილებს
გზა სიბნელიდან სინათლისაკენ, რომ
„ჩქარა დატოვონ თავისი ბნელი ცხოვ-
რების ქერქი. მაგრამ ნათქვამია: „სტუ-
მარი წყალს ვერ მიაგნებს, თუ მასხინ-
ძელი არ ჩაუძღვია“, — აღნიშნავს ავ-
ტორი. ეს ახე უნდა იყოს, — განაგრ-
ძობს პუბლიცისტი, — მაგრამ საქართ-
ველოში სწავლა — აღზრდის საქმე
ჯერ კიდევ ვერ დგას სითანადო სიმაღ-
ლეზე, ჩვენი სასწავლო დაწესებულებები
თავიანთ საქმეს ვერ უძლებებინაო. ამ
საქმეში განსაკუთრებით სკოლას ადა-
ნაშაულებს ავტორი, რადგან მტკიცედ
სწამს, რომ სკოლაში ხდება მოზარდის
სულიერი, იდეური და ფიზიკური ზრდა-
განვითარება... პირიქით კი ხდება, ამით
გულნატკენი დ. ჩქოტუა იქვე განაგრ-
ძობს: „მე ბევრჯერ მქონია შემთხვევა,
მელაპარაკნა ზოგიერთი სასულიერო და
სასოფლო სკოლების ყმაწვილებთან და
მუდამ შემინიშნავს, რომ ამ სასწავლე-
ბლებში იმათ არა თუ არ გახსნიათ აზ-
რი, არამედ ის ნიჭიც დაუკარგავთ, რო-
მელიც შესვლის დროს ჰქონიათ. იმათ
არ შეუძლიათ გამოთქვან ქართულად ან
რუსულად ერთი აზრიათი წინადადება.
მათ ლაპარაკზე დაკვირვებულ კაცს ეგ-
ონება, სუსტად გაზეპირებულ რასმე
კითხულობენო. ამისთანა აზრის დამა-
ხინჯების ახსნა ადვილია“.

დ. ჩხოტუა ამ უბედურების მთავარ მიზეზად მიიჩნევს იმას, რომ ყმაწვილებს არა აქვთ უფლება, ცოდნა მშობლიურ ენაზე მიიღონ. ისინი მხოლოდ მათთვის უცხო რუსულ ენაზე სწავლობენ და მშობლიურიც ავიწყდებათ. ავტორი ილაშქრებს მაშინდელ სასწავლებლებში გამეფებული სქოლასტიკური მეთოდის წინააღმდეგ. ეს მეთოდი მასალის გახეობრებამდე იყო დაფუძნებული და მოსწავლეებს სულიერად ამახინჯებდა, სწავლაზე გულს უცრუებდა. რასაკვირველია, ასეთ სკოლადასრულებულ ყმაწვილებს ცხოვრებაში გზის გაკაფვა გაუჭირდებოდათ, სულიერად დამახინჯებულებს ირგვლივ ვოველივე შეგზარებათ და ვერ გაუძღვებოდათ თავიანთ ხალხს განათლების გზის მანქვრებლად. დ. ჩხოტუა აღფრთოვანებას ვერ მალავს იმის გამოც, რომ „საზოგადოება არ აქცევს ამას ყურადღებას და არ ეძებს არც მის მიზეზს, არც მის მოსახსოებელ საშუალებას!“

ავტორის აზრით, ამ საქმით, პირველ რიგში, მშობლები უნდა დაინტერესდნენ. მაგრამ სამწუხაროა ის, რომ „ჩვენი მამები უყურებენ განათლებას, როგორც უწინ უყურებდნენ ყმებს, ე. ი. როგორც საკუთარ ნივთს, რომელსაც გაყიდიან და შესჭამენ, როცა მოშივდებათ“. რასაკვირველია, ეს სრულიად უსაფუძვლოც არაა, — განაგრძობს პუბლიცისტი, — „განათლებამ ყველას თავის რჩენის საშუალება უნდა მოუტანოს, მაგრამ ასეთი განათლების დაფასება იმას ჰკავს, ვინმე რომ ამბობდეს: „მე მისთვის დავიბადე, რომ სადილ-ვახშამში ვჭამო“.

დავით ჩხოტუა შეუბრალვებლად გამოიღოს ღუარსაბ თათქარიძეების წინააღმდეგ, რომლებიც სწავლა-განათლებას აბუნად იგდებდნენ. პუბლიცისტი ამთრახვებს „კოჭისეული“ განათლების შესწუვრებას და ხაზს უსვამს ჭეშმარიტი განათლების საზოგადოებრივ მნიშვნელობას.

როგორც ამ სტატიის მიმოხილვიდან ჩანს, დ. ჩხოტუა თავისი ეპოქისათვის

მეტად აქტუალურ საკითხებს ეხებოდა. უმთავრესი ღირსება ის არის, რომ მის შინაწევრებში აღზრდა-განათლების უფლო კავშირი ხალხის ეკონომიკურ-პოლიტიკურ მდგომარეობასთან. აქვე დ. ჩხოტუამ მწვავედ დააყენა ქართული ენის უფლების საკითხი სკოლასა და საზოგადოებაში.

დ. ჩხოტუას შემდგომი სტატია გამოქვეყნდა ვახუთ „დროების“ 1870 წლის 37-ე ნომერში (დ. ჩხოტუა, უცხო ენის მოქმედება ხალხის აზრის გახსნაზე, ვახ. „დროება“, 1870., 18 (30) — IX, N 37, გვ. 3-4).

დ. ჩხოტუამ წერილში მეცნიერულად დაასაბუთა მშობლიური ენის მნიშვნელობა ერის საზოგადოებრივ-სულიერ ცხოვრებაში. იგი, აქაც, ნათლად ამკვლავებს თავისუფალი მსჯელობისა და აზროვნების უნარს, ფართო ვრუდიცაა.

ავტორი ცდილობს, გამოარკვიოს აზრის, არსის, პრაქტიკისა და ცნობიერების ურთიერთმიმართულების საკითხი. ადამიანის ფიზიოლოგიის ბრწყინვალედ მცოდნე, საერთო კანონებიდან გამომდინარე ამტკიცებს, რომ ადამიანის ტვინი ისევე მოძრაობს და იღვლება მუშაობის დროს, როგორც სხეულის სხვა ნაწილები. ტვინის ვარჯიშზე არის დამოკიდებული, ისევე როგორც სხეულის სხვა ორგანოების ვარჯიშზე, პიროვნებისა და საზოგადოების „აზრის გახსნილობაც. განსხვავება ის არის, რომ კერძო პირების აზრის გახსნას უნდება მხოლოდ და მხოლოდ რამდენიმე წელი, მაშინ, როცა ხალხის აზრის გახსნას უნდა საუკუნეები და ათასი წლები. ხალხის ტვინი არის გახსნილი შესაბამის იმ სიბრძნისა, რომელიც გამოიხატება მის ენაში, ანუ ხალხის ენა არის გამოიხატველი მისი ვონებითი გახსნილობა“. ერის ვონებუაგახსნილობისა და ენის სრულყოფისათვის საჭიროა ცხოვრების პირობების გაუმჯობესება, კულტურისა და განათლების აუცილებლობის შეგნება. წინააღმდეგ შემთხვევაში ერი ვანწირულია დასაღუპავად.

მშობლიური ენის ჩამოყალიბების ორ ეპოქას გვიხასიათებს ავტორი. პირველი ის ეპოქაა, როცა ხალხი ცხოვრობს ველური ცხოვრებით, ხუთი გრძნობის შემწეობით, როგორც ცხოველი. ამ დროს ხალხის ენა უმთავრესად ბუნებრივი მოვლენების, გრძნობების აღმნიშვნელ სიტყვებს შეიცავს. აქედან გამომდინარე ენაც ღარიბია. მეორე ეპოქა იმ დროიდან იწყება, როცა ერის ისტორიული ცხოვრება განვითარების მიღალ საფეხურებს აღწევს.

დ. ჩქოტუას აზრით, ყოველი მოდგმის და ყოველი საუკუნის შემდეგ ხალხის ენა მდიდრდება; ენის სიმდიდრე ერის აზრის სიმდიდრის მანუენებელია. რაც უფრო ღარიბია ხალხის ენა სიტყვებით, ისე უფრო ღარიბია ზნეობრივი და გონებრივი განვითარება. ენა იზრდება როგორც ხალხი, რაც უფრო დაწინაურებულია ხალხი თავის ცხოვრებაში, ისე უფრო მდიდარია მისი ენა აბსტრაქტული სიტყვებით... ამიტომ უცხო ენაზე განათლების მიღება, ჭეშმარიტად აზრის გახსნა არის შეუძლებელი ერისათვის, თუ ჯერ მშობლიური ენა არ შეუთვისებია კარგად.

ერის ცხოვრებაში მშობლიური ენის საკითხს დ. ჩქოტუა არაერთგზის შეხება, როგორც საენათმეცნიერო სტატიებში, ისე პირადი მიმოწერის დროს. 60-70-იანი წლების მოწინავე ინტელიგენციის წარმომადგენლების დარად, დ. ჩქოტუაც არ უარყოფდა უცხო ენის დაუფლების აუცილებლობას, მაგრამ ამ პროცესს ამართლებდა მხოლოდ მაშინ, როცა ყმაწვილი დაუფლებული იყო საფუძვლიანად მშობლიურ ენას.

„ახალი ცხოვრების შენება“, „საქართველოს მომავლის ახალი გზების ძიება“ დ. ჩქოტუას პუბლიცისტური, პოლემიკური და კრიტიკული წერილების წამყვან თემად იქცა.

გამორჩეული პუბლიცისტური მანერით არის შეთხზული წერილი სახელწოდებით „ტყიბულას თაობაზე“, რომე-

ლიც ავტორმა „დროების“ მარტოვი 35-ე ნომერში დაბეჭდა. შიშალი მარტოვი

სტატია მიმართულია იმერული დიდებულების აგიაშვილებისა და კანდელაკების წინააღმდეგ. მათ სურდათ, იაფად, ჩაღის ფასად, ტყიბულის ქვანახშირის მდიდარი საბადოები მიეყიდათ გადამთიელი რუსი საქმოსნის ნოვოსელსკისათვის. ავტორი აღმფითებულა ჩვენი მემამულეების უეცობის, დაუფიქრებლობისა და სიხარბის გამო.

დ. ჩქოტუას ამ სტატიას გამოეხმაურა და მხარი დაუჭირა ნიკო ნიკოლაძემ. 1870 წელს ჩვენმა სასაქადლო პოეტმა აკაკი წერეთელმა გამოაქვეყნა წერილები, სადაც დაასახუთა ტყიბულის საბადოების, ჭიათურის მარგანეცის დაცვის, დამუშავებისა და გამოყენების აუცილებლობა.

ნიჭიერი პუბლიცისტი დ. ჩქოტუა გახუთ „დროებაში“ აქვეყნებს მრავალმხრივ საყურადღებო ეთნოგრაფიულ წერილს სახელწოდებით „ორი ჩვეულება აფხაზეთში“. აღსანიშნავია, რომ სტატია ორ ფელეტონად დაიბეჭდა. ნიშნდობლივია, რომ გახუთში, ისე როგორც იმ დროს ქართულ ლიტერატურაში ხერთოდ, ნარკვევის ფანრობრივი ვარკვევა ჯერ კიდევ არ არსებობდა, ამიტომ ამგვარი ნაწარმოებები იბეჭდებოდა რუბრიკით „ფელეტონი“.

სტატიის ავტორი ცდილობს, გავგარკვიოს ადამიანთა საზოგადოების ისტორიაში ტრადიციებისა და ჩვეულებების წარმოშობისა და მათი მნიშვნელობის საკითხებში. მისი მართებული მტკიცებით „ბევრი ისეთი ჩვეულებაა დარჩენილი ხალხის ცხოვრებაში, რომლის უწინდელი აზრი და მნიშვნელობა ახალ დროში ჩვენ არ გვეხმის, რომელიც თითქმის სასაცილოდ და სამახარაოდ მიგვანნია, მაგრამ ცოტა რომ დააკვირდეს კაცი, ნახავს, რომ მათში გამოხატულია ხალხის ცხოვრების პირობები, რომელთა ქვეშ დაუწყია მას თავისი ცხოვრება“ (დ. ჩქოტუა, ორი ჩვეულება აფხაზეთში, 1872., N30, გვ.3).



არც ერთი ზნე, ჩვეულება, წესი, სჯული შემთხვევით არ წარმოშობილა და მათ ღრმა ისტორიულ-ეთნოგრაფიული საფუძვლები მოეპოვებათ, — ეს აზრი კარგად ესმოდა დ. ჩქოტუას. მან იცოდა, რომ ესენი ცნობიერების ფორმებია და უშუალოდ ხალხის მატერიალურ ცხოვრებას უკავშირდებიან. იგი სვამს კითხვას: „მართლაც, რა არის ჩვეულება?“ და იქვე განმარტებას იძლევა: „ჩვეულება არის ხალხის ანუ კერძო — პირის ცხოვრების შედეგი, არის კვალი, რომელშიაც აღბეჭდილია წარსული ცხოვრების პირობები, მამასადავად შეხაძლო საქმეა, რომ ამ ჩვეულების შემწევობით, რამოდენაც არის წარმოდგინოს კაცმა ის წარსული ხალხის ცხოვრების სურათები, რომელნიც შთანთქმულან საუკუნეთა სიღრმეში“ (დ. ჩქოტუა, ორი ჩვეულება აფხაზეთში, 1872., N30, გვ. 3).

დ. ჩქოტუას ესმის, რომ, როცა წეს-ჩვეულება არ ემყარება რაიმე მყარ და ერთიანი ღირებულების პოზიციას — ვეღვა, ვისაც კი იმპროვიზაცია არ ეზარება, თავისუფლად ურევს ხელს ამ უპატრონო სფეროში და ამით ხელსაყრელი ნიადაგი იქმნება მამა-პაპათა გონიერული ტრადიციების გაყალბებისა და დამახინჯებისათვის. ამას ადვილი რომ არ ჰქონდეს, პუბლიცისტი ცდილობს, შეეხოს აფხაზი ხალხის ორ ჩვეულებას: გამზრდელობასა და სტუმრობა-მინდობას. ეს ორი ჩვეულება ვაერცლებული ყოფილა აფხაზეთსა და ნაწილობრივ სამეგრელოს ყოფაში.

„დ. ჩქოტუასათვის თვითმიზანი კი არ არის მშობლიური აფხაზი ხალხის ჩვეულების ჩაწერა, არამედ იგი (ჩვეულება) წარმოადგენს ცხოვრების გაცოცხლების საშუალებას, წარსულის გაგების საფუძველს“ (ო. ჭურღულია, დავით ჩქოტუა, სოხუმი, 1969., გვ. 46).

ერთი გარემოებაც აუცილებლად უნდა გავითვალისწინოთ: მე-19 ს-ის მე-2 ნახევარში ეთნოგრაფია მსოფლიო მასშტაბით აღიარებული იყო ჩამორჩენილი ხალხების „სოციალურ განათხარ-

თა“ შეცნობად. მისი მეოხებით ცდილობდნენ კაცობრიობის მოდელის დადგენას, თან იგი ხალხების დამონების დროშად გადააქციეს. ცარიზმმა ადლო აულო ამ მეტად პრაქტიკულ შეცნობებს და უცხოელ სწავლულების მეშვეობით, აბორიგენების დონეზე სწავლობდა მრავალათასწლოვანი ცივილიზაციის მქონე ხალხებს, მათი არასრულფასოვნება დაემტკიცებინა და მონობაში ყოფნა როგორმე გვემართლებინა. ქართველი სამოციანელები და მათი უმცროსი თანამედროვე დ. ჩქოტუა სხვაგვარად ფიქრობდნენ, სწორად აფასებდნენ იმპერიის შესვეურთა კერავ ზრახვებს. რათა პატარა ხალხები, რაც შეიძლება მალე ჩაეყლაპათ და მოენელებინათ, მთავარ იარაღად უძველეს თვითმყოფად კულტურას იყენებდნენ, რომელიც საამაყო ისტორიასთან ერთად, ეთნოგრაფიულ ყოფაშიც უზეად მკლავნდებოდა.

დ. ჩქოტუას სწამდა, რომ ყოველგვარ პირობებში შეიძლებოდა ჭეშმარიტების შენარჩუნება. ამის დასტურია მისი კეთილსინდისიერად შესრულებული ეს ეთნოგრაფიული წერილი.

პუბლიცისტი მართებულ შეფასებას აძლევს ამ ორ ჩვეულებას. მისთვის ისინი უცხო არ იყო, რადგან დავითი აფხაზეთის შვილი იყო: „ეს ორი ჩვეულება არის ზნობითი კანონი ხალხისათვის აფხაზეთში და სამურზაყანოში. აქ შეიძლება უღალატოს კაცმა ყოველივეს, მაგრამ არასოდეს ამ ორ ჩვეულებას“ (დ. ჩქოტუა, ორი ჩვეულება აფხაზეთში, 1872 წ., N30).

ავტორი ვრცლად მიმოიხილავს გამზრდელის როლსა და მნიშვნელობას სოზოვადობაში. მისი აზრით, გამზრდელი არის ზნობითი ნათესავი მიულის ოჯახისა და გვაროვნობისა.

დ. ჩქოტუა ცდილობს, გამზრდელობა და სტუმრობა-მინდობის ისტორიული ფესვები ეძიოს, გაარკვიოს მათი წარმოშობის სოციალური საფუძვლები. ზოგიერთი მისი დებულება მიუღებელია, მაგრამ ფაქტია, რომ სტატია მე-

ტად საფურადღებოა და ხეთონოგრაფიო თვალსაზრისით მეტად საინტერესო.

ქართულ სამოციანელთა ერთ-ერთი ბრწყინვალე წარმომადგენელი, მრავალმხრივი შემოქმედი აკ. წერეთელი შეუხო ძიძაობას, ვმანწიელის გამზრდელთან გაბარების, გამზრდელის როლს, მისი უმაღლესი დანიშნულების თემას თავის ნაწარმოებებში. მან მოთხრობაში „ნემი თავკადასავალი“ დაახლოებით ისე აღწერა ახალდაბადებულის სოფელში გაბარების, ძიძაობის წარმომართისა და მნიშვნელობის საკითხები, როგორც დ. ჩქოტუამ თავის წერილში. „კახრდილი გამზრდელის ოჯახთან არის შეკავშირებული უწმინდესი ხალხისათვის კავშირითა. ის ამ ოჯახისათვის არ არის გარეშე არის, რომელიც მოხულა თავის სარჩენად. სხანს, რომ ამ ჩვეულებას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ხალხისათვის... ასეთი დამოკიდებულება არის გავრცელებული უფრო თავად-აზნაურსა და გლეხებს შუა. ამასთან ის არის შესანიშნავი, რომ ყოველი კაცი ცდილობს იმ კაცის შვილის გაზრდას, რომელსაც უფრო გავლენა და ძალა აქვს თავის ქვეყანაში... მაშასადამე ის ეძებს ძალას, რომლის შემწეობით მას შეუძლია დაიფაროს თავი... რასაკვირველია მტაცებლებისა და უკანონობისაგან“ (დ. ჩქოტუა, ორი ჩვეულება აფხაზეთში, 1872., N 30).

მეორე ადამ-ჩვეულებას, მინდობას დ. ჩქოტუა ასე გვიხასიათებს: „რომელიმე გლეხი, რომელსაც მებატონემ გაუჭირვა საქმე უკანონობით, ან მეზობელმა — შურით, ტოვებდა თავის ადგილს მალევე და ენდობოდა ვისმე ძლიერ კაცს, რომელსაც შეეძლო მისი დაფარვა მდევრელებისაგან. ამ შემთხვევაში ბევრი მათგანი იხსნიდა კიდევაც საუკუნოდ თავს მებატონისგან“ (დ. ჩქოტუა, ორი ჩვეულება აფხაზეთში, 1872.,

N 30). ავტორის აზრით, მინდობა კარგად მოწვეული ყოფილა უკანონოებში წესრიგებელი ცხოვრებით. დ. ჩქოტუა აქვე ავითარებს იმ აზრს, რომ ეს ორი ჩვეულება საფუძვლად დაედო ბატონყმობის წარმოებას საქართველოში, რა თქმა უნდა ეს გულუბრყვილო მტკიცებაა.

მოცემულ წერილში ავტორმა გამოაშკარავა თავისი უკომპრომისო დამოკიდებულება ბატონობისადმი, როგორც ხალხის მწავერელი, დამონებელი წყობილებისადმი. იგი, ნაშრომის ბოლოში, ამბობს: „საქართველოს მუდამ ჰყოლია ახი მეფე, ათასი მთავარი და ლეგიონი თავადები, რომელთაც გამოსწოვეს სისხლი და ტვინი საქართველოს ისტორიულ ცხოვრებას“ (დ. ჩქოტუა, ორი ჩვეულება აფხაზეთში, 1872., N 30).

ამ იდეებით სულდგმულობდა და ამგვარი მსოფლმხედველობის მატარებელი იყო დ. ჩქოტუა. ეს წერილი პეტერბურგში არის დაწერილი და ამკარად ეტყობა მას, იმ დროს აქ მოღვაწე ქართველთა იდეური გავლენა.

დ. ჩქოტუამ კარგად იცოდა, რომ წესჩვეულებათა დაგმობა ან მისაღების დანერგვა, მხოლოდ მათ მთლიანობაში ჩვენებითაა შესაძლებელი. მას სურდა მკითხველისათვის გაეცნო ეს ორი ჩვეულება, რადგან დ. ჩქოტუამ შეიმეცნა, რომ აუცილებელია ვიცოდეთ საქართველოს ყოველი კუთხის ყოველგვარი წესჩვეულების არსი და მნიშვნელობა.

დ. ჩქოტუა, როგორც ენახეთ, გაზეთ „დროების“ პუბლიცისტი-კორესპონდენტი გამოირჩევა მიმდინარე საზოგადოებრივი ცხოვრების მოვლენებზე დაკვირვებით, თემატიკის მრავალფეროვნებითა და დიდი ნაყოფიერებით.

დ. ჩქოტუას პუბლიცისტური სტილის უმთავრესი ღირებულება ინტიმურობა და გულმტკიცუნელობაა.



ვაჟა-ფშაველას პროზა „ნაკადული“

ვაჟა-ფშაველას საბავშვო მოთხრობათა დიდი ნაწილი „ნაკადულში“ გამოქვეყნდა. 1904 წლიდან მოყოლებული (ამ წელს გამოვიდა „ნაკადულის“ პირველი ნომერი). თითქმის ყოველ ნომერში იბეჭდებოდა მისი ლექსი ან მოთხრობა. „ნაკადული“ გამოდიოდა მცირეწლოვანთათვის და მოზრდილთათვის ცალ-ცალკე. ვაჟა თვითონვე ითვალისწინებდა ასაკს, თუ „ლექსის სამწვეფოს“ მცირეწლოვანთათვის დაიწერა, „ბუნების მეგობრები“ მოზრდილებს ეძღვნება.

„ნაკადული“ ის ჟურნალია, რომელიც მეოცე საუკუნის ოციან წლებამდე, ხელს უწყობდა ფაწვილთა გონებრივი და სულიერი ძალების განვითარებას. ჟურნალის რედაქტორებმა, ჯერ მარიამ დემურიაძემ, შემდგომ ნინო ნაკაშიძემ, კარგად უწყობდნენ ვაჟა-ფშაველას რა წვლილის შეტანა შეეძლო ფაწვილთა სულიერი თუ გონებრივი ძალების ჩამოყალიბებაში. ისინი სთხოვდნენ მწერალს, უფრო მეტი ეწერა ბავშვებისათვის. „ნაკადულის“ კარი გაიხსნათვის მუდამ ღია იყო. თუმცა, ზოგჯერ გაუნაწილებიანთ კლდე.

„ნაკადულის“ სარედაქციო კოლეჯია დასაბუჯლად მასალას ერთად არჩევდა ხმამაღლა კითხულობდნენ ჩარმოდგენილ ლიტერატურას.

ერთხელაც სარედაქციო კოლეჯიის წევრს ვალოდია ლორთქიფანიძეს მეტად ჯახირ-ჯახირით დაუწყია ზელნაწერის კითხვა, თან კითხულობდა და

თან კომენტარს ურთავდა თურმე, არ ვარგა და ეს არის, თან როგორი ხელითაა დაწერილი, კშმაკიც ვერ წაიკითხავსო, მარიამ დემურია წუხდა, ვაი, რაღა კქნა ახლავ. თან სთხოვდა, განაგრძე ვალოდია, განაგრძე, შენი ჭირიმე, იქნებ გამოდგეს. ამას წინათაც დავიწუნეთ, ვაჟა ძალიან გაგვიხანყვნილებო.

ვალოდია ლორთქიფანიძეს ბორძიკით გაუგრძელებია კითხვა. ნინო ნაკაშიძეს გამოურთმევია ხელთნაწერი და მკაფიოდ წაუკითხავს მოთხრობა. ყველას ძალიან მოსწონებია და, რა თქმა უნდა, გადაუწყვეტიათ დაბეჭდვა.

ვალოდია ლორთქიფანიძე კი სიცილით ამბობდა თურმე, კინაღამ არ დავლუბე საუცხოო მოთხრობა და კინაღამ არ მოუაკვლით „ნაკადულის“ მკითხველს სიამოვნებაო, ეს მოთხრობა „სათაგური“ ყოფილა.

„ნაკადულში“ უმეტესად ისეთი მოთხრობები იბეჭდებოდა, რომლებშიც დიდაქტიკა სჭარბობდა. ვაჟა არ ყოფილა დიდაქტიკოსი, ამ სიტყვის პირდაპირი გაგებით, იგი იყო ჭეშმარიტი მწერალი, რომლისთვისაც მწერლობა იყო ისეთი რამ, რაც ადამიანს სულს უკეთილშობილებდა. იგი წერდა: „მწერლობაც ნუთუ იგივე სკოლა არ არის, რომელიც სწვრთნის ყველას დიდსა და პატარას, ურკვევს აზრებს, გზას ცხოვრებისას, აღძრავს საუკეთესო გრძნობებს“. მისი საბავშვო მოთხრობები,

რომლებიც პირველად „ნაკადულში“ გამოქვეყნდა, ქმნის სიყვარულის ატმოსფეროს მეტყველთა და უტყვეთა შორის.

საბავშვო მოთხრობებში ყოველივე ისეა დახატული, დაანახოს დიდსა თუ პატარას, რა არის კაცის ღირსება, რა არის სიღამაზე, რა არის სიკეთე და რითია სიცოცხლე მადლიანი.

მწერალი არ არის მრჩეველი, დამრიგებელი, გამრჩევი, რა არის კარგი და რა არის ცუდი. იგი გამღვიძებელია მგრძნობელობისა, სურათებით, სახუმარო-იუმორისტული სიტუაციებით ბავშვს ექმნება განწყობილება მოწონებისა, თანაგრძნობისა, სიბრალულისა.

მწერალმა იცის, რომ „სიყმაწვილის შთაბეჭდილებანი უკვადია ადამიანის გულში“. სწორედ ამიტომ წერს ყმაწვილთათვის ისეთ ნაწარმოებებს, რომლებიც ცხოვრების ვითარებაში გაარკვევს მოზარდს და სიკეთით აღავსებს. მის მოთხრობებში სიყვარულიცაა და სიძულვილიც გამოხატული, შურიც და მტრობაც, სიამაყეც და სიმბძალეც... ოღონდ, ყველაფერი ბუნებრივია.

„ვინც ბუნების ავი და კარგი შეიგნო, იმას არ გაუძნელდება ცხოვრების ვითარების გავება“, — წერს ვაჟა-ფშაველა და უნდა ბუნების ავ-კარგში გაარკვიოს ყმაწვილი, დაანახოს, რომ ადამიანიც ბუნების შვილია, ბუნება და ადამიანი განუყოფელია, მისი საბავშვო მოთხრობები, რომლებიც „ნაკადულში“ დაიბეჭდა, ყმაწვილთ თვალნათლივ წარმოუჩენს, რომ „ჩვენი ცხოვრება სრული გამოხატველია ბუნებისა. ყველა ის, რაც ბუნებაშია, დამოკიდებულია ცხოველთა შორის, მცენარეთა, ცისა და დედამიწას შორის, წყალსა და ჰერთან, ყველა ეს, ჩვენ კაცთა შორის, ხდება“.

ხანიმუშოდ „სათავური“ ავილით.

ერთი მხრივ, ესტატეს ოჯახნი და მეორეს მხრივ სათავგეთი, როგორც ესტატეს ოჯახი ცხოვრობს თავისი ავ-კარგით, ასევე ცხოვრობენ სათავგეთში. ესტატეს ოჯახს აქვს თავისი საწუხარი,

თავისი სიხარული. სათავგეთშიც საწუხარი თუ ვასახარეფუჯუღლიცაა ვაჟა-ფშაველას თითქმის ყველა მოთხრობა, რომელიც „ნაკადულში“ დაიბეჭდა, მთლიანის სიცოცხლის გამოხატველია. სიცოცხლე მიჩნეულია როგორც „ტკბილი და უძვირფასესი“. თითქმის ყველა მოთხრობა, ყმაწვილს აღუძრავს განცდას სიცოცხლის, სიყვარულის, და სიხარულისა, თუნდაც ბოლომდე სვედიანი განწყობილება გასდევდეს, სვედა და მწუხარება ადამიანს აღუძრავს გრძნობას სიბრალულისას, თანაგრძნობისა.

ვაჟას მოთხრობებში მწუხარებას უსამართლობისა, უკულმართობისა გამო გამოხატავს ადამიანიც და უტყვეც. მაგრამ ხშირად ადამიანს არ ესმის უტყვის წუხილი. ვაჟა-ფშაველას პროზაში, სწორედ რომ უტყვეთა სატკივარია წინ წამოწეული.

მკვლევარები მიუთითებენ, რომ ვაჟა-ფშაველამ უტყვეთა სამყარო ბავშვთა სულიერ სფეროს დაუნათესავა. შეიძლება ითქვას, რომ ეს დანათესავება ბუნებრივია. ნიკოლოზ ბარათაშვილის თქმით: „არის რამ ენა საიდუმლო უსულდმულოთა და უასაკოთ შორის“.

ვაჟა-ფშაველას პროზაში „უსულდმულონი“ გასულდგმულეებულნი არიან. ისინი ტირიან, გულისწუხილს ერთმანეთს უზიარებენ.

„ნაკადულში“ დაიბეჭდა პირველად ვაჟა-ფშაველას „ტყე ტიროდა“, რომელშიც მოთხრობილია, როგორ მოკლეს მონადირეებმა ხარ-ირემა, როგორ გაატყავეს, აქნეს, მწვადები შეწვეს და როგორ გაშალეს მუხის ჩრდილში სუფრა, როგორ მოიღბინეს ქალმა და კაცმა. ამ დროს ტყე ტიროდა. ტიროდა მთა, ტყით დაფარული ხერები, ოხრავდნენ, კუნესოდნენ, ვიშვიშებდნენ ცაცხვები, მუხები, თულები... მწვანე და ყვითელი ხავსით შემოსილი კლდე მოთქვამდა: „ვაჰმე, ჩემს სიღალეს, ვაჰ, ჩემს თავს! გულში სინათლე ჩამიდგებოდა, როცა გამოვიღია წინ და ლამაზ თვალებს დამაცეცებდა“.



„ნაკადვნი“ დაბეჭდილ მოთხრობაში „ბუნების მეოსნები“ მწერალმა წარმოსახვის გზით, მეტად ფაქიზად გამოხატა ტყის ბინადარ ნადირ-ფრინველთა ურთიერთ დამოკიდებულება. მწერალი ამბობს: „თუ მეტყველ ნაწილს ბუნებისას გვევს საკუთარი რუსთაველები, შექსირები და პომეროსები, უტყვე ბუნებასაც — ტყეს, ფრინველებს, ცხოველებს, ჰეავს თავისი შექსირი და რუსთაველი“. თან დასძენს: „ბუნებას ისევე უყვარს ხელოვნება, როგორც ჩვენ. ან კი ჩვენ, ადამიანებს, ხად შეგვიძლია ისე შევეყვართ ხელოვნება, როგორც თვით ბუნებას, რომელიც თავის თავად ხელოვნებაა?!“.

სწორედ ამ ხელოვნებას გადმოსცემს ვაჟა-ფშაველა სიტყვით. უფრო ზუსტად რომ ვთქვათ, მისთვის ენაა ის საშუალება, რითაც ქმნის ხელოვნებას.

ვაჟას თქმით „სურათის ქმნა პოეტის ვულ-გონებაში მშობელ ენაზედ წარმოებს, ჩუმად, ყრუდ...“.

მშობლიური ენა მისთვის ძალ-ღონის მომცემია, მცირე მუხაა. თუ მუხა მარცხნივ უდგას და აზრს უკარნახებს, ენა მარჯვენას უმშვერებს და ნაწარმოებს ფორმას აძლევს — წერს იგი: „ვინაიდან ენა სახეა მწერლის, მიხი ფიზიანობია და უკეთესად რომ ვთქვათ, — მწერლის სულია; ენაში იმალება მწერლის ინდივიდუალობა, მწერლის „მე“... მწერლის ენაში უხილავად ჩაქსოვილია მთელი მიხი სულიერი სიცოცხლე, ავლადიდება. ფესვები მწერლის ენისა, სტილის, იქ არის ჩაწმახნული. მწერალს უნდა აქონდეს საკუთარი ფრაზეოლოგია, საკუთარი წინადადებანი, საკუთარი სურათები, თუნდაც ისინი სხვის სურათებს ჰგვანდნენ, მაინც და მაინც თავისებურად უნდა იყოს გამოთქმული. მაშასადამე, ორიგინალობა უნდა ეტყობოდეს, ბეჭედი თავისებურების უნდა ეკვას“.

ვაჟა-ფშაველას, რა თქმა უნდა, საკუთარი „ენა“ აქვს და ბეჭედიც აქვს დასმული თავისებურებისა. პირველ ყოვ-

ლისა, თვალში საცემია ფშაველას ვულგური დამშვენება ხალიტყბიტყბინი ქმნის თულისა, მაგრამ ეს როდია განმსახლველი ვაჟას საკუთარი ენის. მას თითქოს მსმენელი ჰეავს და ესაუბრება. ზეპირი მეტყველებაა წარმმართველი. მნიშვნელობა არა აქვს მცირეწლოვანთათვის არის ნაწარმოები განკუთვნილი თუ მოზრდილთათვის. მწერალი უყვება მსმენელს, ესაუბრება მას.

ცნობილია, რომ საბავშვო ნაწარმოებებისათვის საერთოდ დამახასიათებელია ზეპირი მეტყველების ნიშნები: მოძრაობა, მიმიკა, ზეპირი პაუზა, და რაც მთავარია, ინტონაცია. ვაჟა ამას ყოველთვის ითვალისწინებს, უფრო მართებულია ვთქვათ, რომ ვაჟა კი არ ითვალისწინებს, არამედ ქმნის ბავშვებისათვის ბუნებრივად, ძალდაუტანებლად. მზობა, თხრობა, მოყოლა ზღაპრისეულია, მაგრამ ენა, სიტყვა, მწერლისეული.

ერთმანეთს რომ შევადაროთ ხალხური ზღაპარი ბუბზე და ვაჟას „როგორ განდნენ ბუები ქვეყანაზე?“ ნათლად წარმოჩინდება განსხვავება ხალხურსა და მწერლისეულს შორის.

ფაბულა ორივესთვის ერთია: დღინაცვალმა საქონელი გადაძალა, გერები კი საქმენულად გაუშვა ტყეში, მანამ არ იპოვიოთ, შინ არ მიბრუნდეთო. დაძმამ, რა თქმა უნდა, ვერ იპოვა საქონელი. ინატრეს, ნეტავ ფრინველად ვიქცეთ, რომ ადვილად ვიპოვიოთ. ღმერთმა შეუსრულა ნანატრი. ისინი ბუებად იქცნენ.

ხალხური ნამღვილი ზღაპარია. მოთხრობილია დაუჯერებელი ამბავი. ვაჟასეულს, პირველ დოვლისა, დამაჯერებლობა ახლავს. ელიაფერი დეტალიზებულია. ბავშვებს სახელები ჰქვიათ, მზია და ვეფხია, მამას — იოთამი. დღინაცვალს სიჯის საფუძველი აქვს მას იოთამი არ უყვარს. იოთამს იგი მოტაცებული ჰეავს. „ნანადირევი“ ტყეში შეხვდა, სანადიროდ ნამყოფი, სტაცა ხელი, არც აცივა, არც აცხელა, პირდაპირ თავის ქიხში ამოაყოფინა

თავი, შენ ჩემი ცოლი ხარ, ჩემი მონა-
მორჩილი, მღვრად წამოსული ცოლის
ძმები ისრით დახოცა, სიმამრს ქე-
თ გაუტეხა თავი, კინალამ ისიც საიქიოს
გაისტუმრა“.

მწერალი იმასაც ვააწყვებს, რომ
„მოუხეშავს, ბრიცეს, სასტიკს იოთამს
ფრიალ ვეჯარდა პირველი ცოლიდან
ღარჩენილა შეილები, ქალ-ვაჟი, მზა-
და ვეფხია“.

ხალხურში მხედველობითი ხატი არა
ჩანს. მწერალი კი სწორედ მხედველო-
ბითი ხატებით ხდის თვალსაჩინოს ხუ-
რათს. მხედველობითი ხატი კი ენით,
სიტყვით გადმოიცემა, თითქოს ხელავ,
როგორ დადის ხშირ, დაბურულ ტყეში
„თავეავლეჯილი, ხელებდასისხლიანე-
ბული, თაე-პირგადაკაწრული“ იოთამი
და ხან თავისთვის ბუტბუტებს „სადა
ხართ ჩემი შეილებო, თქვე საწყლებო,
სად? ჰაი ვეფხიავ, ჰაი მზიავ“. ხან კი
მაღალი ხმით ყვირის, მოთქვამს. ხელავ
ბავშვებსაც, რომლებიც უგზო-უკვლოდ
დახეტიალობენ ტყეში, ეკვრიან ერთმა-
ნეთს, მიდიან და მოთქვამენ: „ვაი დედი,
ვაი დედიო!“.

ცნობილია, რომ ვაჟა-ფშაველას სა-
ბავშვო პროზა დინამიური პროზაა,
სიუჟეტიათა იგი თუ უსიუჟეტო. „რო-
გორ განდნენ ბუები ქვეყანაზედ“ სიუ-
ჟეტიათა მოთხრობაა. პერსონაჟთა მო-
ქმედება სწორხაზოვნად ვითარდება.

ამ მოთხრობაზე იმიტომ ვაგაძახვილე
ყურადღება, რომ იგი გამორჩეულია იმ
მოთხრობებს შორის, რომელთაც მწე-
რალმა საფუძვლად დაუდო ზღაპარი.

გამორჩეულია არა მხოლოდ მოთხრო-
ბითი ხატებით, არამედ ნაღვლიან
განწყობილებით. ნაღვლიანი განწყობი-
ლება ხალხურ ზღაპარში ნაკლებ სა-
გრძნობია, ვაკასთან კი წარმართველია.

საერთოდ, ნაღვლიანი განწყობილება
ახასიათებს უმეტესობას ვაჟა-ფშაველას
ნაწარმოებებს, რომლებიც „ნაკაღულ-
შია“ გამოქვეყნებული. ასეთებია: „ჩემი
შაჟარდესი“, „ბუნების წიაღზე“, „ორა-
კულის ცხოვრება“, „ტყე ტიროდა“,
„ბუნების მგოსნები“ და სხვანი. თუმცა,
თქმა იმისა, ნაღვლიანი განწყობილების
აღმპრელი იყვეს ვაჟა-ფშაველას მო-
თხრობების უმეტესობა, მართებული არ
იქნება. მისი იუმორისტული ნაწარმო-
ებები მხიარულ განწყობილებას ქმნიან.

„ნაკაღულში“ დაბეჭდილ მოთხრო-
ბათაგან ამ მხრივ გამორჩეულია სწო-
რედ „სათაგური“, რომელიც კინალამ
დაიწუნეს. ნაწარმოებში სასაცილოა
თაგვების კაცებად წარმოჩენა, მათი კა-
ტური მოქმედება ადამიანთა საზოგა-
დოებაშიც სასაცილოა. მია ესტატე
ხულ ხუმრობს, თუმცა, სერიოზულად
ლაპარაკობს.

ვაჟა-ფშაველას საბავშვო მოთხრო-
ბები ემანვილს უქმნის ისეთ განწყო-
ბილებას, რომელიც კეთილშობილ ადა-
მიანს უნდა ახასიათებდეს, და უღვი-
ძებლეს ადამიანური ღირსების გრძნო-
ბას ქართული სიტყვით. „ნაკაღულში“
გამოქვეყნებული ვაჟას მოთხრობები,
ნაწილია მწერლის შემოქმედებისა და
ნაილად ჩანს ყოველივე, რაც მთელ
შემოქმედებაშია გამოხატული.



ხმლის კულტის შესახებ ვაჟა-ფშაველას შემოქმედებაში

ხმალი ქართველისათვის ეროვნული და სოციალური იდეის გამომხატველია, პიროვნების სინდის-ნამუსის განსახიერებაა, გმირის ზნეობრივი თვისებების გამოვლინებაა, „ვაჟაკისათვის... მეორე სიცოცხლეა“ (ვაჟა). ასეა ქართულ ხალხურ ლექსებში, ასეა ვაჟას პოეზიაში.

უძველესი ხანიდან ჩვენებრთა ქართველ კაცს ხმლისადმი სიყვარული, რადგან ძირითადად ამ იარაღით იყო დაკავშირებული მისი ყოფნა-არყოფნის საკითხი, ხმლის კულტი აცისკროვნებს აურაცხელ ქართულ ლექსს. იშვიათია საგმირო, ისტორიული, საყოფაცხოვრებო ხასიათის ნაწარმოებები, რომლებშიც ხმლის თემა ეთიკურ (ასევე ესთეტიკურ) პრინციპებამდე არ იყოს აყვანილი. ხალხის გავებით, ხმალი არსებობას პირობითი ნიშნითა, პერსონული ხელის მარადმასაზრდოებელი წყაროა. ერთ-ერთ ხალხურ ლექსში — „როგორი უნდა ვაჟაკი“ — საუბარია იმაზე, რომ ხმალი ოდითგანვე ჩვენი წინაპრების უპირველესი იარაღი იყო: „ძველებს არ ჰქონდათ თოფები, ჭრიდა ფრანგული ფხიანი“. ხალხი დიდების შარავანდედით მოხავედა ხმლის დამამშვენებელ ყმას, რაც ნათლადაა გამოხატული ლექსში „კარგი ყმა“: „კარგი ყმა მაშინ კარგია, ხმალი რა შევლენ ელვასა“. ხმალი ჭეშმარიტი ვაჟაკისათვის გმირობის გამოვლინების ყველაზე სრულყოფილი საშუალებაა:

„მთიელო, მთაში გაზრდილო,
ხმალს როდი მოვიშვილება,
ომში შეხვალ და გაიხოვალ,
გული არ შავიშინდება“.

(„გული არ შავიშინდება“).

ხმლის თემა მტკიცედ უკავშირდება მამაცობის იდეას ლექსში „ახლები ომში“:

„ჯარში წახვედით, ახლებო,
რომლის ხმალ უფრო ჭრისაო!
ომში ჩაივდეს ახლები,
წკპა ამაღის ხმლისაო“.

როგორც ვთქვით, ხმალი ქართველი კაცისათვის, განსაკუთრებით ფშაველასა და ზევსურისათვის, საკუთარი ხასიათის სიდიადის სიმბოლოა, მისი ზნეობის ანარეკლია. ეს აზრია გადმოცემული ერთ-ერთ ხალხურ ლექსში „მამუკა ქალუნდაურის მოკვლა“, რომელიც მიძღვნილია ზევსურების ლეგენდარული გმირისადმი და გამოხატავს მის უკანასკნელ თხოვნას: „წელზეთ ხმალსა ნუ შამხსნი, ზევსურთად კაის ქმნელია“.

მამუკა ქალუნდაურზე ზევსურეთში მრავალი ლექსი, პროზაული თქმულება თუ ლეგენდაა გავრცელებული. ერთ-ერთი ასეთია „მამუკა ქალუნდაურის ხმალი“, რომელშიც აღწერილია ამ კუთხეში ზურაბ ერისთავის ღამჭრობისა და მის წინააღმდეგ მამუკას ბრძო-

ლის ამბავი. ქალუნდაურმა თურმე თავისი ხმლით მოკლა ზურაბის თორმეტი მოლაშქრე. მეთორმეტეს ხმალი რომ შემოჰკრა, მოკლული წყალში ფეხადმა ჩაფუდა. ეს კი ძველ მეომართა წარმოდგენით, ბრძოლის შეწყვეტის ნიშანი იყო, რადგან ღმერთს მეტად აღარ სურდა სისხლის დაღერა. მაშუკას „ნაწილიანი“ (ე. ი. მაგიური ძალის მქონე იღბლიანი) ხმალი ჰქონია, რომელიც თავის პატრონს ქარქაშიდან ამოწვევით ატყობინებდა თურმე მოსალოდნელ გამარჯვებას. აი, ეს ხმალი არ უნდოდა შეეხსნათ სიკვდილის შემდეგ ქალუნდაურისათვის.

ხევსურები ხმალს რომ უპირველეს იარაღად მიიჩნევენ, კარგად ვლინდება ერთ-ერთ ხალხურ ლექსში „ქალაქის არევა“. აკაკი შანიძეს, რომელმაც დიდი შრომა გასწია ზეპირსიტყვიერების შეგროვებისა და მეცნიერულად შესწავლის საქმეში, ქართული ხალხური პოეზიის პირველ ტომში, რომელშიც ხევსურული ლექსებია შეტანილი, მოაქვს ყველა მიკვლეული ვარიანტი ამ ლექსისა. ერთ-ერთ ვარიანტში, რომელიც ტოლათ-სოფელში (ერწოში) ჩუწერია ვასილ კოპტონაშვილს, დაიბეჭდა გაზეთ „ივერიის“ 1883 წლის ნომერ 238-ში. ა. შანიძეს ეს ვარიანტი სწორედ „ივერიიდან“ აქვს გადმოტანილი. ლექსის მთხვეელი სთხოვს მეფე ერეკლეს, უწინამძღოლოს ასპინძის ომში (1770 წელი) მიმავალ ხევსურთა ლაშქარს, თან ჩააგონებს, ხმლით მეტ სარგებლობას მოგიტანენ, ვიდრე თოფითო:

**„იქად გაუძელ ხევსურთა, ერეკლევს
სადაც ჰქირსაო,
ვერა გარგებენ თოფითა, ხევსურთ
იციან ხმლითაო“.**

ერთ-ერთი ხალხური ლექსი „აზატ-ხანი და ერეკლე“ გადმოგვცემს ქართველთა სათაყვანებელი მეფის 1751 წლის ბრძოლას აზატ-ხანის წინააღმდეგ ერევნის ახლოს. როგორც ცნობილია, ერეკლემ ამ ბრძოლაში დაამარ-

ცხა აზატ-ხანი და განდევნილ მტრულ კახეთის მოხარკე ერეკლეს დახმარებას ლექსის ავტორის თქმით, ერეკლე თავისი ზებრძოლების იმედით ხმალდახმალ შეება მტერს:

**„ეს რომ შეიტყო ერეკლემ,
ცხენს შეჯდა, ხმალი აიღო,
მსუბუქის ჯარით წავიდა,
ჯაბახანა არ წაიღო“.**

შემთხვევით არ არის, რომ ხმალი, ხევსურეთი და ერეკლე განუყრელი ცნებებია ხალხურ ლექსებში, რომელთაგან უნდა მოვიხსენიოთ:

**„ხმალო, ხევსურეთს ნაკელო,
აღვანში თუშმა გაგფერა,
მეფე ერეკლემ გაკურთხა,
საომრად ჯვარი დაგწერა“.**

ხმალს რომ განსაკუთრებული ადგილი ეჭირა ქართველი კაცის ცხოვრებაში, ეს ნათლად გამოთქვა ვაჟაქ 1914 წელს გაზეთ „სახალხო ფურცელში“ გამოქვეყნებულ ეთნოგრაფიულ წერილში „ძველებური ომი და საომარი იარაღი სახალხო პოეზიაში“. ვაჟაქ ამ წერილში ხაუბრობს ძველებურ იარაღსა და ომის ძველებურ წესზე. მისი თქმით, თანამედროვე ტექნიკის განვითარებას შედეგად ის მოჰყვა, რომ „ღღეს იმდენად საჭირო აღარც კი არის გულოვანობა... ღღეს თავი და თავი საშუალება გამარჯვებისა მოხერხებაა“. (ვაჟა-ფშაველა, თხზულებათა სრული კრებული ათ ტომად, ტ. IX თბ. 1964, გვ. 370). მაგრამ ძველად ომი ვაჟკაცობის გამოხატვლინებელი ასპარეზი იყო, რაც ნათლად აისახა ზეპირსიტყვიერებაში. „სახალხო პოეზია, — წერს ვაჟა, — არ დავიდევს მოხერხებას, ხრიკებს და ყოველ იმედს ამყარებს გულადობაზე, გულადობა ფიზიკურ ღონეზე“. (იქვე). ამ მოხაზვრების დასამტკიცებლად მწერალს მოაქვს ცნობილი ხალხური ლექსი: „ვაჟკაცსა გული რეინისა, ახჯარნი უნდან ხისანი, თვალნი ქორებულ მხედავნი,

ზედ მუხლი შევარდნისანი“ და ასეთ დასკვნას აკეთებს: „დიად, თუ ვაჟკაცი გულოვანია, ხის ხმალსაც კი გააჭრე-ვინებო. რა თქმა უნდა, მხედველობა და მუხლადობაც აკვებს ფიზიკურ ძა-ლას:

**„ვაჟკაცს არ გამოადგება
სოფლად შევება თავისა,
ხმალს უნდა აჭრეინებდეს,
იმედი ქონდეს მკლავისა“.**

(იქვე)

ქველებურ იარაღთა შორის ქართვე-ლებში უპირველესი ადგილი ფარ-ხმალს რომ ეჭირა, ამას ვაჟა ხალხურ ლექსებზე დაკვირვების შედეგად ასკ-ვნის: „უშთაერეს როლს თამაშობს ფა-რი და ხმალი, „ხმლის ქნევა, ფარის ფარება“, ხმლით ცქმა:

**„ომს უწვეულსა ვაჟკაცსა
ომი ქორწილი ვკონა:
ხმლის ქნევა, ფარის ფარება
ფარიკაობა ვკონა“.**

(იქვე)

ხმალზე საუბარს ვაჟა ქართველი კა-ციის ვინიერული შეგონებით ამთავრებს:

**„ხმალსა სიმოკლე რას უშლის,
ფეხი წინ წადვი, დასწვდებაო“.**

ამას მართო სპარტანელი დედა კი არ ეუბნებოდა შეილსა, მასთან ერთად ქარ-თველი დედაც“ (იქვე, ვვ. 371).

ხმლის თემას ერთ-ერთი უმთავრესი ადგილი უჭირავს ვაჟას შემოქმედება-ში. ეს კანონზომიერ მოვლენად უნდა მივიჩნიოთ. ისიც ბუნებრივია, რომ ხმლისადმი დამოკიდებულების გამოვ-ლენისას ვაჟა თავის შემოქმედებაში ხალხში დამკვიდრებულ ტრადიციას მისდევს და აღრმავებს. იგი ამ საკითხ-ში ძიელი არსებობს მთიელი ვითკის ნი-ადაგზე ღვას. იცავს საუკუნეების წინათ შემუშავებულ და მკაცრად განსაზღვრულ მრწამსს, მაგრამ, ამასთანავე, ხმალითან დაკავშირებულ დიდი ხნის წინათ

დაკანონებულ თვალსაზრისთა, წყნებას ახალ სიცოცხლეს ანიჭებს. ტრადიციულ ფასთვის თავისთავადი ღირებულება გა-ანინია, რომელიც პოეტის ნაწარმოებებ-ში ეროვნული ხასიათის გამოხატვის საშუალებადაა ქცეული, მაგრამ ამას-თან ერთად სხვა იდეათა სიმბოლოცაა. ხმლის თემა ვაჟასთან, ისევე, როგორც ხალხური ლექსის ბევრ ავტორთან, იტყვს და აერთიანებს სამშობლოს მო-ვლა-პატრონობის, ვაჟკაცობის, ურთი-ერთპატივისცემის, სიწმინდის, ღირსე-ბის დაცვის და ა. შ. გრძნობებს. ხმლის თემა, შეიძლება ითქვას, ორგანული მოვლენაა ვაჟას შემოქმედებაში. ხმალს უპირველესი ადგილი უჭირავს პატრი-ოტული შეგნების გამოვლინებასა და განვითარებაში. როცა ამ თემაზე შექმ-ნილ ვაჟას ლექსებს ვკითხულობთ, ვრწმუნდებით, რომ ხმლის მხატვრუ-ლი სახე შესისხლხორციელებულია მამუ-ლის კონკრეტულ შინაარსთან. ხმალი ვაჟასთვის სამშობლოს იდეის, პატრიო-ტული გრძნობის გამოხატველი შხა ხატია. ვაიხსენით ვაჟას ერთ-ერთი საფოველთაოდ ცნობილი ლექსი „ნი-ვილი ხმლისა“. ლექსში თავიდანვე აშ-კარად წარმოიჩინდა პოეტის მიზანი: ვა-ჟა მკითხველის არსებაში პატრიოტული გრძნობის გამოხაწვევად ისეთ მასა-ლას ირჩევს, რომელიც ტრადიციულად სამშობლოს ცნებასთანაა დაკავშირე-ბული. ეს ხმლის ცნებაა. საგნის (ხმლის) მიმართ ვაჟას პროგრესული პოზიცია მჭიდროდ უკავშირდება წარმოსახვის ესთეტიკურ-მხატვრულ ფორმას. ხმლის სახეში მწერალმა ქართველი მამული-შვილის მარადიული სწრაფვის – სამ-შობლოს თავისუფლებისათვის ბრძო-ლის – სულისკვეთება გამოხატა და ეს ყოველივე მოგვცა სინამდვილის იდე-ური კრედიტისა და ესთეტიკურ-მხატვ-რული ფორმის დიალექტიკური ერთიან-ობის ფონზე. ლექსი გამოირჩევა იდე-ურობითა და ტენდენციურობით, მაგრამ, ამასთანავე, ისიც აშკარაა, რომ ეს არ არის შაშველი ტენდენციურობა. ხმა-ლი გოდებს იმის გამო, რომ შამქორის ომში დაიღუპა პატრონი, რომელსაც

„ორმოცან სჭირდა ნახმლევი,
სდიოდა სისხლის ღვარია,
ომში წინ წახვლა უყვარდა,
ხელთ დაბღუჯული ფარია,
არას დახდევდა სიკვდილსა,
ოღომც არ შარცხევეს ჯარია,
მეფის თამარის გვირგვინი,
ქართველთ სამეფო გვარია“.

(ვაჟა-ფშაველა, თხზ. სრ. კრებული
ათ ტომად, ტ. I, თბ. 1964, გვ. 84).

საუბედუროდ, ახლა ხმალი კედელზე
უქმად დაკიდეს ღანრებმა, რადგან გმი-
რების საბუღარი ქვეყანა დუქანად გა-
დაიქცა. გზირ-ნაცვლები ამასაც არ სჯე-
რდებიან. მათ ხმალი „არშინისა“ და
„ჩოთქის“ გვერდით დააგდეს. ამის გა-
მო მრავალბრძოლაგამოვლილი ხმალი
მწარედ განიცდის საკუთარ ხვედრს:

„შეიდასი წელი გამიხდა,
არ გაკოხილვარ დუმითა,
არ ვულეხივარ ქართველსა
დადიდინებით ჩუმითა,
მისი ხმა აღარ მსმენია,
გასჭერ გამიშვი წინაო,
თუ სახელს არ მაშოვნინებ,
როგორ დაებრუნდე შინაო“.

(იქვე).

აი, ახეთ დაღებით ტენდენციას გა-
მოხატავს ვაჟა. ეს ტენდენცია კონკ-
რეტული შინაარსის მქონე პატრიოტუ-
ლი თვალსაზრისიდან მომდინარეობს
და ჩვენ ეხედავთ ხმლისადმი მიზანმი-
მართული, პატრიოტიზმზე დაფუძნე-
ბული ეს გრძნობა ყოვლისმომცველი
ეროვნული შინაარსით როგორ იტვირ-
თება, სამამულიშვილო იდეით როგორ
ივსება.

მეტ-ნაკლებად ასეთი შინაარსითაა
გამსჭვალული ვაჟას ლექსები: „ბერი-
კაული“, „ხევსური ბერდია“, „გივი“,
„პაპინემის ანდერძი“, „ხმა სამარიდამ“
და მრავალი სხვა. ბოლო ლექსში არის
ხმლის მიმართ ნათქვამი ასეთი სტრი-
ქონება:

„აღლესე, იხე გალესე.
პირს იკიდებდეს თმაზედა,
მადლია, კიდევ ედინოს
გორდას მტრის სისხლი ფხაზედა!“
(იქვე, გვ. 155).

ზემომოტანილ ლექსებში ვაჟა აშკა-
რად მიმართავს გაზვიადებას (რაც სრუ-
ლებით არ სცილდება მხატვრულ სი-
მართლეს) და სწორედ ამ გაზვიადება-
ში ავლენს საკუთარ ტენდენციას. ამ
შემთხვევაში უდიდესი მნიშვნელობა
აქვს იმას, თუ რას აზვიადებს პოეტი,
რითაც გამოხატავს სინამდვილისადმი
საკუთარ დამოკიდებულებას.

ვაჟამ ეპიკურ ნაწარმოებებშიც მრავალ-
გვარის მიმართა ხმლის თემას, რომ-
ლებშიც წარმოაჩინა მისდამი მთის
შვილთა განსაკუთრებული ყურადღება.
გავიხსენოთ ვაჟას პირველი პოემა „მო-
ხუცის ნათქვამი“. ამ პოემაში ვაჟა
კრწანისის ბრძოლაგადახდილ კაცს იხეო
სიტყვებს ათქმევინებს, რომლებშიც ნა-
თლად იკვეთება ხმლისადმი ფშავ-ხევ-
სურთა უპირატესი დამოკიდებულება:

„რკინას იცოპენ ტანზედა,
თავზედ მუზარადს იღვამენ..
თუ საქმე მიღა ხმალზედა,
შენს მტერს, რო საქმეს იზამენ“.

(ვაჟა-ფშაველა, თხ. ტ. III, გვ. 10).

ცხადია, ვაჟამ ამ სტროფში ფაქტი
რეალობიდან აიღო, მხატვრულად წარ-
მოსახა იგი, რითაც უფრო დამაჯერებ-
ლად წარმოგვიდგინა ობიექტური სი-
ნამდვილე. მაგრამ ხმალი ვაჟასთვის
განა მხოლოდ ქვეყნის დასაცავი იარა-
ღია. იგი ვაჟაკობის საზომიცაა. პო-
ეტის ერთ-ერთი ლექსის — „სიკვდი-
ლი გმირისა“, — პერსონაჟის ბერძნის
უპირველესი ანდერძი ისაა, რომ სიკ-
ვდილის შემდეგ თავისი ხმალი ნამდ-
ვილ ვაჟაკს გადასცენ. აქ დროული
იქნება გავიხსენოთ სასიკვდილოდ გან-
წირული მუცალის საქციელი პოემა
„ალუდა ქეთელურიდან“, როცა მან
თოფი მოისხსნე მტერს, მაგრამ ღირ-
სეულ ვაჟაკს, ალუდას გადაუგდო და



თან ვასძახა: „— ეხლა შენ იყოს რეულ-
დალო, ხელს არ ჩავარდეს სხვისასა“. ამ ორ ეპიზოდში თემატურ თეოთგა-
ნეორებასთან ვაჟკეს საქმე, რაც იმის
მაუწყებელია, რომ ვაჟასთვის დამახა-
სიათქელია არა ეფემერული, არამედ
წყარი თემები, ეს კი საშუალებას გვაძ-
ლევს „ნამდვილად ერთი პოეტი ღაეი-
ნახით სხედასხვა დროს შექმნილ ვა-
ჟას ნაწერებში“ (ვრ. კიკნაძე). „მშო-
ბელი ქვეყნის დარაჯის“ ბერიძის უკა-
ნასქნელი სურველია, თავისი ხმალი
მამაც თანამემამულეს გადასცენ, რომე-
ლიც მომავალში ამ ხმლის ღირსეული
პატრონი გახდება:

„დედ-მამას ანდერძს უწირავს:
შანშეს მივეციო ხმალია,
სხვის ხელში ნუშე შეგულება,
ღირსი სხვა არეინ არია“.
(ვაჟა-ფშაველა, თხზ., ტ. 1, გვ. 250).

ეს არა მხოლოდ შანშეს, არამედ
სიკედლის პირას მიხული გმირის
თვითშეფასებაცაა.

ვაჟა ქართულ ლიტერატურაში ერთ-
ერთი ყველაზე ღრმა აზროვნების პო-
ეტი რომ არის, ეს საყოველთაოდაა
ცნობილი. ამიტომ ვაჟას სტრიქონებ-
ში ყოველთვის უნდა მოველოდეთ სრუ-
ლიად მოულოდნელ, რაღაც გასაოცარ
აზრობრივ სიღრმეებს, რომელთაც იო-
ლად ვერც სახელს გამოუძებნით და
ვერც განმარტავთ. ვაჟა გამუდმებით
არჩევს და ხმარობს ისეთ სიტყვებსა
და გამოთქმებს, რომლებსაც საგნობრივ-
თან ერთად სახეობრივი მნიშვნელობა
ენიჭება და, აქედან გამომდინარე, ღრმა
ესთეტიკურ-იდეური შინაარსის გამო-
ხატველად წარმოგვიდგება. ვაჟას გა-
საოცარ ნიჭს არ უკირს შემოქმედები-
თი ჩანაფიქრისა და მისი შესაბამისი
სახის გამოხატველი სიტყვის მიგნე-
ბა. ჩვენი აზრით, ზოველი საგნის ზედ-
გამოჭრით ზუსტად დასახასიათებლად
არსებობს მხოლოდ ერთი სიტყვა, მაგ-
რამ მისი მოძებნა აურაცხელ სიტყვა-
თა გროვაში, რასაც ლექსიკურ მარაგს
უწოდებენ, უკიდურესად ძნელია. სწო-

რედ აქ სიტყვათა მიგნება ზოგადად
ბათ დიდ შემოქმედთ, რომელთა
ვში, უპირველესად, ვაჟა-ფშაველაცაა.

ვაჟას აქვს ერთი ლექსი „ქებათა-ქე-
ბა“, რომელშიც, მართლაც, განსაცვიფ-
რებელი ასეთი სტროფია:

„გობრონო, ხმალი მიბოძე,
უნდა ვემთხიო ფხაზედა,
ჯვარია ხმალიც, ნარტყამი
კარგის ვაჟაკის ტანზედა“.
(იქვე, გვ. 166).

ეს სტრიქონები მხოლოდ ვაჟას შე-
ქმლო ეთქვა. სწორედ ამ ლექსის ტა-
ვში მოახერხა ვაჟამ მიეგნო იმ ერთად-
ერთი სიტყვისთვის (ჯვარი), რომელ-
შიც არანვეულებრივი სიზუსტით გა-
მოვლინდა ფორმისა და შინაარსის
ურთიერთობის თავისებურება. როგორც
ცნობილია, სიტყვას ორი მნიშვნელობა
აქვს: ძირითადი და გადატანითი. ამას-
თანავე, სიტყვაში ორ მომენტს განარ-
ჩევენ: სემანტიკურსა და ნომინაციურს.
სემანტიკა, როგორც ვიცით, შეისწავ-
ლის ცალკეული სიტყვის მნიშვნელო-
ბას, გამოთქმას, გრამატიკულ ფორმას,
მისგან განსხვავებულია პოეტური სე-
მანტიკა, რომელსაც აინტერესებს სი-
ტყვის პოეტური არსი და სწავლობს
გადატანითი მნიშვნელობით ნახმარ
სიტყვებს, უფრო ზუსტად რომ ეთქვას,
ამ სიტყვების ექსპრესიულ ხასიათსა
და ემოციურ ფუნქციას, როცა მწერა-
ლი პოეტურ სემანტიკას მიმართავს, ეს
იმას ნიშნავს, რომ ერთი საგნის თვი-
სება გადააქვს მეორეზე. სიტყვას იყე-
ნებს არა თავისი ძირითადი, არამედ გა-
დატანითი მნიშვნელობით. ნომინაცია
გულისხმობს ობიექტური სინამდვილის
ყველა საგნისა და მოვლენისათვის ზუ-
სტი სახელის დარქმევას. როცა საკუ-
თარი სახელი იძენს საზოგადო სახე-
ლის მნიშვნელობას, როცა პირდაპირი
მნიშვნელობით ნახმარი სიტყვა იცე-
ლება არაპირდაპირი მნიშვნელობით
ხმარებული სიტყვით, ეს იმას ნიშნავს,
რომ იგი სცილდება ნომინაციურ ჩარ-

ნოებს და იტვირთება პოეტური სემანტიკური შინაარსით. ამ შემთხვევაში სიტყვა საგნის არსებით ნიშანზე კი არ მიუთითებს, არამედ ცხადყოფს, რომ მან მოიპოვა თავისთავადი, სრულიად ახალი აზრი. სიტყვა „ხმალი“ ისევე არა აქვს მხატვრულობის პრეტენზია, როგორც „ჯვარი“. ისინი მხოლოდ საგნობრივი მნიშვნელობის გამომხატველი სიტყვებია, მაგრამ როცა „ხმალი“, ერთი შეხედვით, სრულიად შეუფერებელი ჯვრის ფუნქცია მიეწერა, ამ იარაღის აღმნიშვნელ სიტყვას საგნებით არაორდინარული შინაარსი მიეცა, დაირღვა სიტყვათა ბუნებრივი ურთიერთშეხამებას არსებული (სტანდარტული) წესი, გაწვდა ჩვეულებრივი აზრობრივი სინტაქსური კავშირი, მაგრამ, სამაგიეროდ, გაფართოვდა სიტყვის პოეტური სფერო. „ჯვარია ხმალიც, ნარტყამი კარგის ვაჟაკის ტანზედა“ – ეს შესანიშნავი პოეტური სახეა, მაგრამ, ამასთანავე, ცხოვრებისეულ სინამდვილეზე დაფუძნებული, მაგრამ მაინც სუბიექტური მსოფლმხედველობრივი წარმოსახვაა. ვაჟა რეალისტი პოეტია, რეალიზმის უპირველესი ნიშანი კი საგნის შინაარსის მაქსიმალური წვდომაა. ეს ასეა, მაგრამ შემომოტანილი დებულება სრულიად არ გამოირჩევა იმის შესაძლებლობას, რომ სუბიექტური შემოქმედებითი საწყისი რეალისტ მწერალსაც ახასიათებდეს. ასეთი საწყისი კი, ბუნებრივია, ვაჟასაც შეიძლება გააჩნდეს. აი ასეთ შემთხვევასთან ვაქცეს საქმე შემომოტანილ ლექსში.

პროფესორმა სერგი დანელიამ მუტად საყურადღებო მოსაზრება წამოაყენა ვაჟას მხატვრულ მემკვიდრეობაზე დაკვირვებისას: „ვაჟამ განცდათა სრულიად ახალი სისტემა შემოიტანა ქართული ლიტერატურის ევოლუციაში, რადგანაც აღმოაჩინა ახალი წერტილი მსოფლიოში, საიდანაც ხავესებით იცვლება სახე ქვეყნებისა. ვინც ამ წერტილზე დადგება, მას სულ სხვაგვარად მოეჩვენება მსოფლიო. ის სულ სხვაგვარად განიცდის მთელ ბუნებას და თვისი ს. სუთარ თავსაც... გასაგებია, რა-

ზომ მნიშვნელოვანი უწყვეტეფერულები, ვინც მსოფლიოს განცდის მსოფლიოს და მანამდის უცნობს წერტილს აღმოაჩენს. და ვაჟამ სწორედ ეს შეძლო. მან მოკვცა ლიტერატურაში მანამდის უცნობი სურათი მსოფლიოსი“. (ს. დანელია „ვაჟა-ფშაველა და ქართველი ერი“, თბ. 1927, გვ. 14-15). ეს მოსახზრება ამ ერთ ლექსშიც დადასტურდა. ხმალი რომ სალოცავი ჯვარია, ეს ვაჟას აღმოჩენაა, მისი საკუთრებაა. მაგრამ ხმალი ზომ ოდიოტანვე სიკვდილის მოესველ იარაღადაა აღიარებული, რომლის დანიშნულება ადამიანის მოკვლაა. სწორედ ეს აზრია გადმოცემული ერთ-ერთ ძველებურ ფშაურ ლექსში, რომელიც ვაჟას მოაქვს თავის ეთნოგრაფიულ წერილში „ფშაველები“:

**„ხმალი ნუ ჩახედავ, მოყმო,
ხმალი მშვიერა მკელია,
გავიჭრის, გავიხალიზებს,
ბოლოს საფლავის მოხრელია“.**

(ვაჟა-ფშაველა, თხზ. ტ. IX. თბ. გვ. 30).

ხმალი რომ „გამმრავლებელია მკედრებისა“, ამას ვაჟაც აღნიშნავს პოემა „ძალიდა ხიმიკაურში“. და თუ ეს ასეა, მაშ, როგორღაა იგი სიწმინდის სიმბოლოს – ჯვრის – განსახიერება?! არა-ეინ იფიქროს, რომ აქ ხარწმუნოების რაიმე შებღალეაზე იყოს მინიშნება. ცხადია, აქ არავითარი მკრებელობა არ არის და ეს მხოლოდ იმიტომ, რომ ვაჟამ ხმალი გამოუნახა სიწმინდის გამომხატველი რეალური ნიშანი: კარგი ვაჟაკისთვის ხმალი, სწორედ რომ სამთხვევი ჯვარია! რატომ? იმიტომ, რომ ხმალი სამშობლოს დაცვის უწმინდესი მოვალეობა აკისრია. და ის, რაც უწმინდეს საქმეს ემსახურება, შეუძლებელია, თვითონ არ იყოს წმინდა. ასეთია ლოგიკა.

როცა ვაჟამ ხმლის მიმართ საკუთარი მრწამსი გადმოვეცა, ამით საკანი და აზრი ერთმანეთს შეუთავსა და შეუღულდა. ესაა მიზეზი იმისა, რომ ლექსის ძირითადი იდეა ბუნებრივად

მიღის მკითხველამდე: „ჯვარია ხმალიც, ნარტყამი კარვის ვაჟაკის ტანზედა“.

ხმლის თემა ვაჟამ „ძალღიკა ხიმიკაურის“ ერთ-ერთ წარმართველ, მამოქრავებულ შექანიზმად გამოიყენა, რაც განსაკუთრებულ თვითმყოფადობას ანიჭებს პოემას. სწორედ ხმალია ის ობიექტი, რითაც გამოძვლავნდა საზოგადოებისა და პიროვნების ურთიერთწინააღმდეგობა. ძალღიკას პიროვნული ღირსების შელახვა ერეკლეს მიერ ხმლის გამორთმევამ გამოიწვია. ეს ფაქტი უფრო ადრე, ასპინძის ომში, მომხდარა. ერეკლეს მოსწონებია ხვესურის ხმალი და გამოურთმევი, სამაგიეროდ, მისთვის სხვა, არანაკლები დირებულების, მაგრამ ერეკლესათვის მაინც ნაკლებფასეული ხმალი უჩუქებია. ამ ამბავს ვაჟა ერთ-ერთ პატარა მოთხრობაში „ხიმიკაურის ხმალში“ ვაღმოგვეცნოს, რომელიც, ჩვენი ღრმა რწმენით, უფრო დოკუმენტურია, ვიდრე მხატვრული. მოთხრობა ვაჟას იმავე 1902 წელს დაუწერია, რა წელსაც პოემა „ძალღიკა ხიმიკაური“. როგორც ავტორი გვიამბობს, ერეკლე განსაკუთრებით მოუხიბლავს ძალღიკას ვებრობას და მის ხმალს. „ყველაზე მეტად მოეწონა მას ხიმიკაური ძალღიკას ხმალი და მისი ომი. თითო შემოკვრით კაცს შუაზე სხვად“ (ვაჟა-ფშაველა, თხზ. ტ. IV, გვ. 58). ვაჟა გვიამბობს ბრძოლის შემდეგ როგორ სთხოვა ერეკლემ ხვესურს, დეთმო მისთვის ხმალი. ძალღიკას თავზარი დასცა მეფის ნათქვამმა. „ბარევალ ე ხელს დამჭრენ, ერეკლე! — უპასუხა ძალღიკამ... — ვაი ღედას მტრისას, ერეკლე ბატონიშვილო, ვუ ხომ ჩემი მოკვლა იქნების? მამკალ კიდევ, რაკი ხმალს გამომართომ.“

ერეკლემ იცოდა კარგად, ვაჟაკისათვის კარგი ხმალი მეორე სიცოცხლე იყო. მაგრამ რა ექნა, თითონაც ვაჟაკი იყო და ხიმიკაურის ხმალიც მეტისმეტად მოსწონდა“ (იქვე). ძალღიკას სხვა რა გზა ჰქონდა: დაუთმო მეფეს ხმალი, რის სანაცვლოდაც მიიღო სხვა ხმალი

და თოფი. ვაჟას თქმით, ეს თოფი „ახლა ხვესურეთში, ხიმიკაურეთში“ უნდა იხახება და მას „პატონიანთველ თოფს“ ეძახიან.

ერეკლემ დიდად დაუფასა ყმა გლეხს ბრძოლაში გამოჩენილი თავგანწირვა. „ძალღიკა ხიმიკაურს, — წერს ვაჟა, — იმ ვაჟაკობისა და ერთგულებისათვის, რაც მან ასპინძის ომში გამოიჩინა, მეფე ერეკლემ სიგელით დიდი მამული უბოძა. ის „ნაწუქრობის ქალაღი“ ამ 7-8 წლის წინათ მე ვნახე ძალღიკას შეილიშვილის ხელში“ (იქვე, გვ. 59). ზოგს შეიძლება ეამაფა კიდევ, მეფემ ჩემისთანა რიგითი გლეხკაცის ხმალი იკადრაო, აკი ამას თანამემამულენიც უუბნებიან კიდევაც ასპინძის ომის გამბრს პოემა „ძალღიკა ხიმიკაურში“:

„— იმისი სამაგიერო

ვითომ სხვა მოგცა კარგია?

ერეკლე წელზე შაბაშს

ხმალსა, თუ არა ვარგია?“

„— ვუ შენი ფიქრი და წერომა

ტყუილ-უბრალო ბარგია!“

(ვაჟა-ფშაველა, თხზ. ტ. IV, გვ. 105).

მაგრამ ძალღიკა ასე როდი შეხვდა ერეკლეს ახირებულ სურვილს. 'იგი საბოლოოდ გაუნაწყენდა დიდ პატრონს და მისი ნაბოძები ადგილ-მამული არ ინდომა. „ამის შემდეგ, როცა კი ერეკლე ლაშქარს დაიბარებდა მთიდან, ძალღიკა ხიმიკაურს პირველად მოიკითხავდა, მაგრამ ძალღიკა საღაშქროდ გამზადებულ ხვესურთა „ახალ-უხლებს“ ამას აბარებდა, ხოლო ადგილიდან აღარ იძვროდა მტერთან საომრად: „უთხარით ერეკლე ბატონიშვილს, ავად არის-თქო ძალღიკაი...“ (ვაჟა-ფშაველა, თხზ. ტ. VI, გვ. 59).

ანალოგიურია თანამემამულეებისადმი ძალღიკას პასუხი პოემაში ომში მონაწილეობის თაობაზე:

„— მე ვერ წამოვალ, — ხმა ესმით, —

ასე უთხარით ბატონსა,

ძალღიკას გული შეკდარია,

ნაგარდნილია საგონსა,

ჯანითაც დაუძღურდაო,

ვერა სცილდება ხაწოლსა.
ხვეას ვის რას არგებს, თავისას
ვეღარ კპატრონობს ხადგომსა“.
(იქვე).

მართალია, თუმს კარგად ესმის ხი მიკაურის პროტესტის არსი, „ვიციით რადაცა უარობს, ძალლიკა გლოვობს აბჯარსა“, მაგრამ მისთვის მიუღებელია საკითხის ძალლიკასეული გადაწყვეტა. ამიტომ დაქინებით მოითხოვს მისგან ომში წასვლას, რადგან მიაზნია, რომ არ ღირს „ერთი ხმალიას გულისხად ჩვენი და ქვეყნის წახდომა“, მაგრამ ასევე კატეგორიულია ძალლიკას პასუხი:

„თუკი ლაშქარში ვუნდოდი,
რად გამომართვა ხმალია?!
გულს რად მიფუჭებს, ისეთი
ან რა დააღვა ძალია?
როგორ იკადრა ან კია
გლუხის ნარტყამი მახვილი?
უმისოდ მისაშველებლად
სწადიან ჩვენი ძახილი.
უიარაღოდ რას ვარგებ,
ამას რად არა ფიქრობდა?
ჩემთვის წელზეით ხმლის შეხსნას
შეუყვ როგორა კადრობდა?“

(იქვე).

როგორც ვხედავთ, ცხადია, არაფერი ისე არ შეებღავებს ძალლიკას ღირსებას, ისე არაფერი არ ამყრის პატივს, როგორც ხმლის წართმევა, რადგან ხმალი ძალლიკათვის, ისევე, როგორც ვეველა ჭეშმარიტი ვაგეაციისთვის, სინდის-ნამუსის ხიმბოლია, საკუთარი ხალიათის სიღიადის გამოვლინებაა, ზნეობის ნიშანია, ღირსების ხაგანია. ამიტომ ვუბნება ძალლიკა მასთან მოხულ ბერდია ბაბურაულს:

„განა არ იცი, მე ხმალი
ხახლ-კარს და ცოლ-შვილს
მერჩიენა?“

(იქვე).

რასაკვირველია, ხიმიკაური არ აჯარბებს. მისთვის ხმალი ცოცხალი არსებაა, სულიერი კმნილებაა, რაღაც ნათესაობითი გრძნობის გამოზატულ-

ბაა, რაც აშქარად შეტია, უფრო მეტი შევლისადმი სიყვარული ნამცხვრად გვიდასტურებს ძალლიკას წრეგადასული აღტაცება ხმლის დაბრუნების ეპიზოდში:

„ბოლოს თვის ხმალიც აკოცა,
როგორაც შეიღმა ღდასა,
შერე შიიკრა გულზედა,
კალერსება შეტადა...“

(იქვე).

საზოგადოებისა და პიროვნების კონფლიქტის ჩვენებისას, ვაჟა, როგორც წესი, გართულების გზით მიდის ხოლმე, რაც ხშირად პიროვნების დაღუპვით ან თემიდან მისი მოკვეთით მთავრდება. „ძალლიკა ხიმიკურში“ პოეტმა თავი აარიდა ასეთ გართულებას. მართალია, მოქმედების ტრაგიკული განვითარებისათვის ვეველა პირობა იყო შექმნილი, რადგან საბედისწერო იყო ძალლიკას გადაწყვეტილება, ეს კი უცილობლად მისი სიკვდილით უნდა დამთავრებულიყო:

„ხის ხმალი წამოულია,
ერთი უყურეთ მხედარსა!
ვადა ხმლის, პირი ხისა აქვს
და იმით ომსა კბედავსა!“

(იქვე).

მაგრამ, საბედნიეროდ, ძალლიკას არ დასჭირდა საკუთარი სიცოცხლის ფასად პირადი ღირსების დაცვა. ერეკლემ ხიმიკურს ხმალი დაუბრუნა, რითაც შეღახული თამოყვარუობა აღუდგინა. პოემის დახასრულს ძალლიკა ისევ შეუპოვარ გმირად გადაიქცა:

„აქებენ ვინმე მეომარს,
იმის ხმალია და გარჯასა.
შეტის-შეტ შეუპოვრობას
და მოუღაღავ მაჯასა.
როგორც აწლ-ღოლოიანსა,
თათრის ჯარს ისე კაფავსა“.

(იქვე).

აი, ასეთია ხალხური პოეზიიდან გამომდინარე ხმლის კულტის ვაჟა-ფშაველასეული გაგება მის ლექსებსა და პოემა „ძალლიკა ხიმიკურის“ მაგალითზე.

განსრულებული მოლოდინი

ღმრთის ხატად შექმნილი ადამიანი ისწრაფვის შემოქმედისაკენ. იგი ეკუთვნის არა მარტო ღროს, არამედ მარადისობასაც, და ამ საიდუმლოს თავდაც იცნობიერებს. ადამიანი თითქოს ამა სოფლის კანონებითაა განპირობებული და, მფორეს მხრივ, თავისუფალ, თვითმყოფად არსებადაც განიცდის თავს.

ამ საიდუმლოს ფარდას ხდის წმ. წერილი. „ღმერთი ადამიანს მიწისგან ქმნის და, ამავე ღროს, მას შთაბერავს რაღაც სხვას, ღმრთაებრივს, არამიწიერს, რასაც ბიბლიაში ეწოდება „სული ცხოვრებისა“ (დაბ., 2, 7). ესაა ადამიანის სული, რომელშიც ღმრთის ხატებაა აღბეჭდილი. ადამიანი თითქოს ღმრთაების აჩრდილია მიწაზე. მისი შინაგანი თავისუფლების საიდუმლო თვით ადამიანის შექმნაში, ადამიანის სულშია დამარხული, რომელიც ღმრთის ხატი და მსგავსებაა და დგას ორი სამყაროს — ნეთიერისა და სულიერის მიჯნაზე“ (არქიმანდრიტი რაფაელი).

გული როცა ღვთაებრივი სიყვარულით ენთება („ღმერთი სიყვარული არს“, 1 ინ., 4, 16), იგი ხედავს ბოროტებისა და სიბნელის დამლუკველობას და თავისი ცხოვრების გზას ღვთის ნებით სინაილისაკენ წარმართავს. „შეიყვარო უფალი ღმერთი შენი ყოვლითა გულითა შენითა და ყოვლითა სულითა

შენითა და ყოვლითა ვონებითა შენითა და ყოვლითა ძალითა შენითა“ (მრ., 12, 30). სახარებისეულ ამ წმინდა მცნებას მიდევნებული ადამიანი მთელი გულითა და სულით მიენდობა უფალს და გადაწყვეტს, ყოველთვის ღმერთთან ერთად იცოცხლოს: „ქრისტიანული ცხოვრება მადლმოსილი ცხოვრებაა და ამით განსხვავდება იგი ძირეულად ყოველგვარი, თუნდაც იმ მაღალხნობრივი ცხოვრებისაგან, რომელიც ეკლესიის გარეშეა. ამიტომაც ამბობს უფალი: უღელი ჩემი ტკბილ არს, და ტურთი ჩემი სუბუქ არს (მთ., 11, 30)“ (ეპისკოპოსი ალექსანდრე). ეკლესიის მადლმოსილებაა ის, რომ ადამიანში ნაპერწყლად არსებული ხარწმუნოების მარცვალი ღვთაებრივ ცეცხლად აქციოს. ტურტულიანე ხომ ამბობდა: ჩვენ, ყველანი, დაბადებიდანვე ქრისტიანები ვართ.

ღვთისაკენ მხარდამხარ მიმავალი ერთი გზის ორ პარალელად გაიანზრება მონაზვნობა და ცოლქმრული ცხოვრება:

„მონაზვნური, უქორწინებელი ცხოვრება ქორწინებას უარყოფა კი არაა, არამედ მხოლოდ განსაკუთრებული გზა ადამიანური ბუნების ძალთა გამოყენებისა. ქორწინების უარყოფა და მისი უკადრისობა ეკლესიამ დიდი ხანია გადაჭრით დაგმო, მაგრამ ამასთან ერთად იგი უქორწინებლობასაც და ქალწულო-

ბასაც აკურთხევს“ („მართლმადიდებლური კატეხიზმი“).

თვით ღმერთმა დააწესა და სამოთხეშივე აკურთხა ცოლ-ქმრული კავშირი, როდესაც მიუყვანა ადამს ცოლი ევა და უთხრა: აღორძინდით და გამრავლდით და აღავსეთ ქვეყანა. ახალ აღთქმაში ქორწინების საიდუმლო ხომ თავად მაცხოვარმა დალოცა, როდესაც გალილეის კანაში ქორწილზე სასწაულებრივად წყალი ღვინოდ აქცია და საბოლოოდ დამტკიცა კანონი ქორწინებისა, როცა ბრძანა: „რაცა იგი ღმერთმა შეაუღლნა, კაცნი ნუ განაშორებენ“ (მათე 19, 6). მაგრამ ჩვეულებრივი, მარად ერისკაცობაში მოღვაწე ადამიანებისაგან განსხვავებით არიან პიროვნებები, რომელთაც ღმრთის მადლით შესწევთ უნარი, დაიცვან ქალწულებრივი სიწმინდე და საკუთარი სიცოცხლე მილიანად ღმერთის შესწირონ. უქორწინებელი ცხოვრების გზა ბევრს არ ხელეწიფების, უფლის სიტყვებით: „არა ყოველთა დაიტიონ სიტყუამ ევე, არამედ რომელთადა მიცემულ არს“ და „რომელი შემძლებელ არს დატყვნად, დაატიენ“ (მათე 19, 11-12).

მოციქულთა ეპოქაშივე იყვნენ ასეთი ადამიანები: თავდაპირველად ასკეტები თავიანთ უწინდელ საცხოვრებელ ადგილს არ შორდებოდნენ. ხშირად საკუთარ სახლებშიც რჩებოდნენ მშობლებთან და ნათესავებთან, ოღონდ სადმე მყუდრო კუთხეში განმარტოვებოდნენ ხოლმე და იქ ეძლეოდნენ მარხვას, ლოცვა-ვედრებას, მღვიმარებას, ღვთაებრივი დიდებულების გონებით ზრახვას და სხვა ღვაწლთ სულის ხსნისათვის. მეორეში მიუღ თავის ქონებას არიგებდნენ და საკუთარი ნებით უპოვარებაში ზეციალობდნენ ერთი ქალაქიდან მეორეში ქრისტეს წმ. სახარების საქადაგებლად, ან უარყოფდნენ ქონებას, ქორწინებას და თავს მილიანად საზოგადოების უძღურ და გაჭირვებულ წევრებზე ზრუნვას უძღვნიდნენ.

ღრთთა განსაკუთრებაში ქრისტეანობის ფართოდ გავრცელებასა და მორწმუნე ადამიანთა რიცხვის ზრდასთან ერ-

თად, მრავალმა მოსაგრემ უმჯობესობის დატოვება იწყო. ისინი უკმაყოფილონი სოფლის გარეთ გადიოდნენ და იქ, მიყრუებულ ადგილას ატარებდნენ განმარტოებულ ცხოვრებას. მათ სადგომს უმეტესწილად რომელიმე ბუნებრივი მღვიმე, დაცარიელებული აკლდამა თუ საგანგებოდ მოწყობილი სადგომი შეადგენდა.

„ქალაქებიდან და სოფლებიდან უდაბურ ადგილებში გარიდება, განდევნობა, მარხვა, ქალწულობა და მრავალი სხვა ასკეტური ღვაწლი ძველთაგანვე იყო დამახასიათებელი მრავალი რელიგიისათვის. ამგვარი ცხოვრების მაგალითები ძველსა და ახალ აღთქმაშიცაა მოცემული.“

მარხვისა და ლოცვისათვის თვით ქრისტეც გავიდა და განმარტოვდა უდაბნოში. მართლმადიდებელ ეკლესიის ტრადიციის თანახმად, პირველ მონაზვნებად იოანე ნათლისმცემელი (მამათა შორის) და ლეთისმშობელი, მარადის ქალწული მარიამი (დედათა შორის) არიან მიჩნეულნი. მიუხედავად ამისა, ბერმონაზვნობის ფუძემდებლებად წმინდა ანტონი დიდი და წმინდა პავლე თებელია აღიარებული“.

IV საუკუნის დასაწყისში მოციქულთა სწორის, იმპერატორ კონსტანტინე დიდის მიერ ქრისტიანული რელიგიის სახელმწიფო რელიგიად აღიარებისას მონაზვნობა ყალიბდება როგორც საეკლესიო წესი. ამ დროს ეკლესიაში მრავალი ნომინალური ქრისტიანი შევიდა, რის გამოც საეკლესიო თემები თავდაპირველი მკაცრი ცხოვრების წესს კარგავენ. გულმოდგინე ქრისტიანები თანდათანობით ტოვებენ არა მხოლოდ საერო ცხოვრებას, არამედ თვით სამრევლო ეკლესიის ცხოვრების წესსაც და მონაზვნობას ირჩევენ. „ეკლესიიდან გაქცეულნი დარწმუნებული იყვნენ, რომ ყველა სიკეთე, რაც წმ. საეკლესიო საიდუმლოებებში ეძლეოდათ, ასკეტიზმით და წმ. საგნებზე განუწყვეტელი ფიქრით მიენიჭებოდათ“ (ა. პარნაკი).

მონაზვნობის მსურველნი მტკიცედ იდგნენ გადაწყვეტილებაზე, უარყოთ ეს



ქვეყანა, განსარტოებით ემოღვაწნათ და ამ გზით მოეპოვებინათ სულიერი სრულყოფილება. მათ ისიც კარგად უწყოდნენ, რომ სათნოყოფა ღმრთისა უფრო მეტად იმ ადამიანს გაუადვილებოდა, ვინც ცხოვრებისეული საზრუნავებისაგან გათავისუფლდებოდა.

სულ უფრო და უფრო მეტი ადამიანი ეწეოდა მეუღლებზე ცხოვრებას. ხშირად ისინი დასახლებოდნენ ხოლმე იმ ადგილებში, სადაც განსაკუთრებით გამორჩეული მოღვაწე იმყოფებოდა, რადგან უფალი გაუმხელდა მათ (მანამდე ღაფარულ) თავისი დიდი მოსაგარის არსებობას, რომ სულიერი სიმშვიდითა და გულისზრახვათა უშფოთველობით აღჭურვულს სიყვარულით დაემოძღვრა ისინი, რომელნიც სულის ხსნისათვის მოსულიყვნენ აქ, უღაბნოში. მონაზონთა გამრავლება თავისთავად იწვევდა სამონასტრო საქმეების დაარსებას.

ამან კი განაპირობა მონასტერში ბერთა თანაცხოვრების წესების შემუშავება. „თანდათანობით დადგინდა ბერთა თანაცხოვრების წესები, პირველად ღირსი პახუში დიდის, ხოლო მოგვიანებით — წმინდა ბასილი დიდის მიერ“. შემდეგში სამონასტრო ცხოვრების სხვა წესებიც გაჩნდა.

აღმოსავლეთში თანდათანობით ჩამოყალიბდა სამონაზვნო ცხოვრების სამი ძირითადი ტიპი: ა. მარტოდმყოფობა ანუ განდევნილობა; ბ. მშობა ანუ ერთად ცხოვრება; გ. ლავრა (დიდი მონასტერი) და შემუშავდა ბერად აღკვეცის განსაკუთრებული საეკლესიო წესი, — მონაზვნად აღკვეცა.

მონასტრებში ბერთა თანაცხოვრება მოხიყვარულე ურთიერთობას ემყარებოდა. „ოგი საერთო ღოცვის, საერთო ტრაპეზის, საერთო შრომისა და საკუთრების გზით, მოკლედ, ერთად ცხოვრების გზით მიიღწევა. მიუხედავად ამისა, ის რომ ყოველ ბერს საკუთარი კელია (სენაკი) აქვს, გზას უხსნის მას ღვთისკენ პირადულ სწრაფვაში“ („მართლმადიდებლური კატეხიზმი“).

მარტოდმყოფი ბერობის ღვაწლს ზოგი თავიდანვე შეუდგებოდა, ზოგი კი

მონასტრის მშობის დატოვებით, განდევნილობა და დაყოფილებული ცხოვრების წესი ბერ-მონაზვნური ცხოვრების სხვა სახეებისაგან არსებითად არ განსხვავდება. მათ ერთი აქვთ როგორც მიზანი, ასევე აღთქმებიც. მიუხედავად ამისა, ბერ-მონაზვნობის დასაწყისიდანვე ზოგი ბერი სრულ მარტოობას ირჩევდა. ერთნი გამოქვაბულებს ეხიზნებოდნენ; სხვები ტყეებში იშენებდნენ განმარტოებულ სენაკებს; მესვეტეები მაღალ კოშკებსა და უდაბურ კლდეებზე ცხოვრობდნენ; ზოგიერთი კი თუმცა მონასტერში რჩებოდა, მაგრამ თავისი სენაკიდან არ გამოდიოდა.

ასეთი მარტოობა ადამიანს თავისი ზრახვების თვალყურის დევნაში ეხმარება და ამგვარად განუწყვეტელი ღოცვისას სრული ყურადღების გამოძემაკებას უწყობს ხელს. თუმცა არც ის უნდა ეიფიქროთ, თითქოს მოღვაწისათვის განმარტოება მშვიდსა და უშფოთველ ცხოვრებას ნიშნავდეს; პირიქით, ქვეყნისაგან განშორებულს ვნებები და დემონები განსაკუთრებული ძალით ესხმიან თავს და ამ სასტიკ ბრძოლაში იარაღი უღრმეს მორჩილებასთან ერთად მხოლოდ განუწყვეტელი ღოცვა და მარხვაა. სწორედ ამიტომაც განდევნილობა ყველა ქრისტიანის ზედრი როდია. „მხოლოდ მათ, ვინც ადამიანთა შორის დიდხანს იღვაწეს და სხვადასხვა, ხშირად ავადმყოფურ ცდუნებათა დაძლევათ აუცილებელი ჩვევები შეიძინეს, შეუძლიათ სულიერი ხარკებელი პიროვნებისაგან განშორებაში“ („მართლმადიდებლური კატეხიზმი“).

ქართულ მონაზვნობას საფუძველი VI საუკუნეში ჩაეყარა, ცამეტ სირიელ (კაპადუკიელ) წმინდა მამათაგან, რომელნიც საქართველოში მოვიდნენ ქრისტეს ჭეშმარიტი რწმენის განსამტკიცებლად. ერთ-ერთმა მათგანმა წმ. ანტონმა (მარტომყოფელმა) თან ჩამოიტანა პირველი ხატი მაცხოვრისა, გადაღებული უფლის ზელთუქმნელი ხატისგან. ანტონი ერთ განმარტოებულ მთაზე დასახლდა კახეთში, რომელსაც მისი სახელწოდების — „მარტომყოფელის“ მი-

ხელეთ შემდეგში მარტყოფი ეწოდა. აქ მან ხაენე დაარსა და ტამარც ააგო მაცხოვრის ხელთუქმნელი ხატის პატივსაცემად. ქართული მონაზვნობისა და სამონასტრო ცხოვრების ფესვები VI საუკუნიდან მოდის, თუმცა როგორც საყოველთაოდ ცნობილია, ქრისტიანობა ჩვენში I საუკუნიდანვე გავრცელდა ანდრია პირველწოდებულის, სვიმონ კანანელის, მატათას მიერ და IV საუკუნეში სახელმწიფო რელიგიად გამოცხადდა. რაც დიდი დამსახურებაა მოციქულთა სწორისა, ღირსისა დედისა, ნინო ქართველთ განმანათლებელისა.

ქრისტეს ჭეშმარიტი ხარწმუნოების აღმსარებლობით ქართველობა სხვა ქრისტიან ერებთან ერთად უფლის სამწყსოში გაერთიანდა. მან იწყო ხელა ქრისტეს გზით, ცხოვნებისა და სასუფეველისაკენ მიმსწრაფი გზით. და რაც ნიშანდობლივია, ღვთისა და სამშობლოს სიყვარული ვააზრებულ იქნა როგორც ურთიერთგანუყოფელი რამ. ქართველი ქრისტიანს ნიშნავდა, ქართლი, შემდეგში საქართველო — საქრისტიანოს...

მართლმადიდებელი ქრისტიანული სარწმუნოება პირველი საუკუნეებიდანვე საფუძველი იყო ქართველთა ეროვნული ერთიანობისა. სწორედ ღმერთმშობილი მამები, სასულიერო პირები იყვნენ ჩვენი სამშობლოს ყველაზე ფხიზელი გუშაგები, მკვზურნი და წინამყალნი სარწმუნოებრივ-კულტურულ ცხოვრებაში.

ასეთები ხშირად ღვთის დაშვებით მაშინ მოეღონებოდნენ ქვეყანას, როცა მას განსაკუთრებით უჭირდა, როცა ხელთა და ხორცით დაირგუნულს იმ მწუხარებათა და უბედურებათა ვადატანა, რაც თავს დაატყდნ, გადაულახავ დაბრკალებად ეჩვენებოდა. ასეთ ადამიანს მიჰყავდა ერი უფალთან, სიყვარულითა და სასიუბით აკედრებდა მაცხოვარს ქვეყნის ვადარჩენას. რადგან უფალი ბრძანებს: ჩემთან მოხულის არ გაკამეუებო.

იღვა მე-8 ასწლეული ქრისტეს აქეთ — ქართველობისთვის ერთ-ერთი უმძი-

მქი საუკუნე, სისხლით და ცხოვრებით განპიხილი.

სიმკვირვითაჲს

და გამოინდა ხანატრული მამია გრიგოლ „მადლითა სავსე, განსრულებული სიბრძნითა“ განბნეულ ქრისტიანეთა შესაკრებლად. „რამეთუ ვიდრე მოხვალდმე გრიგოლ მწვემსისა მის კეთილისა მკეტოვან უხილავთა ღვთაულნი მცირენი იგი ცხოვარნი ქრისტესნი განბნეულ იყუნეს“. უფალმა იგი უხილავად გამოირჩია კაცთა შორას, ჯერ კიდევ ქვეყნად მოვლინებამდე: „სამოთხანვე ღვდისათ შეწირულ იყო ღმრთისა ღვდისაგან თუხისა, ვითარცა სამოულ წინაისწარმეტყველი. და მარტვასა შინა იზარდებოდა მსგავსად წინამორბედისა“.

თანატოლითაგან ბუნებრივად გამოჩნულს სიყრმიდანვე „ხატოცა მონაზონებისაი ემოსა“, უკვე გამოცდილ მეუღანოე მამათა მსგავსად თავი შეეზღუდა ვარკვნილი შთაბეჭდილებებისა და ამოიზრუნვისაგან: „თავისუფალ იყო იგი სიმღერასაგან ყრპიანისა და ყოვლისაგან აღრევისა კაცთაიხსა და მარტოდ იყოფენ თუხსა მას საღვურსა, რომელსა განწესებულ იყო. ამისთვისა დაფუძებულ უწოდიან მას სახელი“.

გრიგოლ ხანძთელი დაჯილდოებული იყო ჭეშმარიტი მონაზონისთვის დამახასიათებელი ყველა თვისებით. ახალგაზრდული ასაკის მიუხედავად, „სიტყუაი მისი შეზავებულ იყო მარილითა მადლისაითა. რაგამს იტყუნ, ბრძნად აღღის პირი თუხი და წესი განუჩინის ენასა თუხსა“. არ იპოუებოდა მასში არაერთარი ამპარტაკუნება „სასაკისა ზრდასა თანა ხათნიუბაიყა კეთილი იზარდებოდა. რამეთუ არა იყო, ვითარცა ჭაბუკი, მზუაობარ“, უფლის სიტყვისამებრ: „ისწავეთ ჩემგან, რამეთუ მშუდ ვარ და მდაბალ გულითა და მკითხვით განხუენებამ სულთა თქვენთაი“ (მთ., 11, 29). კმაყოფილდებოდა მხოლოდ „საზრდელითა საგლახაკითა“, რადგან „არა იყო... ჭამადთა გულისხათქმელთა მოყურავ, არამედ თავით თუხით დანიელ წინაისწარმეტყველისა სიტყუასა იტყუნ, ვითარმედ „პური გულის-სათქმელი არა ვჭამო“. „ხოლო



ყოფილია დიდ, კორციათა თხელ, პასაკითა სრულ, ყოვლად კეთილ, სრულად გუამითა მრთელ და სულათა უბიწო“. გრიგოლ ხანძთელი თავმდაბალი („მდაბალმან გულითა და გლახაკმან სულითა“), მშვიდი („მეუდრომან ქცევითა“) და მოწყალე („მოწყალემან გონებითა“) აღამიანი გახლდათ. „მდაბალნი სულითა აცხოვნეს“, ფხალმუნი 33, 19; „მშვიდი იგი იყავნ მოღალე“, იმ., 3, 11; „იყვენიოთ თქვენ მოწყალე“, ლ., 6, 36). „იყო იგი მზიარულად მესტუმრე და გლახაკ-მოღუაწე“.

სარწმუნოება და ჭეშმარიტი ცოდნის სიყვარული ერთმანეთს იძლიერებენ. ქრისტიანული რელიგია განანათლებს აღამიანს, აფართოებს მისი ხედვის პირობონტს, ამაღლებს ცოდნის დონეს, მაგრამ საგულისხმოა, ხომ მხოლოდ ჭეშმარიტი რწმენით შეიგრძნობა ბევრი დაფარული რამ (რაც „სულითა ხოლო საცნაურ არს“).

გრიგოლ ხანძთელმა, როგორც წერს ერისმთავრის კარზე გაზრდილმა (იგი ხომ წერს ერისმთავრის ცოლის ძმისწული იყო), საფუძვლიანი განათლება მიიღო. ამას ხელს უწყობდა გულისხმიერება და ნიჭიერება, რომელიც მომავალ დიდ სასულიერო მოღვაწეს ღვთისაგან მიენიჭა: „გულის-ხმიერობაჲ სწავლისაჲ განსაკრებელ იყო ფრიად, რამეთუ მსწრაფლ ხოლო დაისწავლა დაეთო და კმითა სასწავლელი სწავლაჲ საეკლესიოჲ, სამოძღუროჲ ქართულსა ენასა შინა ყოველი დაისწავლა, და მწიგნობრობამცა ისწავა მრავალთა ენათაჲ და ხალმთონი წიგნი ზეპირით მოიწუართნა. ხოლო სიბრძნეცა იგი ამის სოფლისა ფილოსოფოსთაჲ ისწავა კეთილად, და რომელი პოეზის სიტყუაჲ კეთილი, შეიწყნარის, ხოლო გერკული განაგდის“.

ქრისტიანი კაცის სულიერ საზრდოს უპირველესად სასულიერო ლიტერატურა შეადგენს. წმიდა წერილი განსწავლის და ამზადებს მას ამქვეყნიური ღვთისმადრი ყოფისა და იმქვეყნიური მარადიული ცხოვრებისათვის, სწორედ

ამ სწავლებას მიჰყვებოდა გრიგოლ ხანძთელი ყრმობიდანვე „მეფეფე ნესტეფელაჲ და ნუ ვეცხლი დამსწრეფეფე უფროს ოქროისა რწველისა. უმჯობეს არს სიბრძნე ანთრაკითა პატიოსანთა: ყოველივე პატიოსანი ვერ არს ღირს მისა“ (იგ. სოლ., 8, 10-11), მაგრამ როგორც ვიორგი მერჩულე აღნიშნავს, წმ. მამა საეკლესიო მწერლობის შესწავლასთან ერთად ამა სოფლის ფილოსოფოსთა (ანუ საერო) სიბრძნესაც ვაეცნო და გონების უმაჩკობისა და სიწმინდის წყალობით ამათგან კეთილი შეიწყნარა და ბოროტი უკუაგლო. რადგან ქრისტიანობას არ ეწინააღმდეგება ის, რაც ზნეობრივია და სულისათვის სასარგებლო სწავლებასა და მაგალითებს იძლევა. ასეთი ზნეობრივი მაგალითები წარმართი მწერლების თხზულებებშიც მოიპოვება. მართალია, ვიორგი მერჩულეს მოაქვს მოციქულის სიტყვები: „გან-მე-რამე აციოფაო ღმერთმან სიბრძნე იგი ამის სოფლისაჲ“, მაგრამ გაცილებით მეტ შეიწყნარებლობას ხედავს გრიგოლის განათლებაში... ძალზე მნიშვნელოვანია ერთი რამ: ანტიკურ მოძღვრებათა შეწყნარება ხდებოდა მათი სიმბოლური გააზრებით, სახეობრივი წაკითხვით, შეიძლება ითქვას, მათი არა აღმსარებლობითი, არამედ ესთეტიკური თვალთახედვით ათვისების ვზით“ (რეზო სირამე „ქართული აგიოგრაფია“, თბ., 1987 წ.).

აღმწოდებელმა და მშობლებმა გადაწყვიტეს, გრიგოლის მღვდლად კურთხევა, რადგან პოეზს იგი „უბრალოდ კელითა და წმიდაჲ გულითა“. მაგრამ მას მღვდლობის ხარისხი ღმრთის რწვეულათთვის დაწესებულ მაღალ ამქვეყნიურ პატივად და თავისი ახალგაზრდული ასაკისათვის მძიმე მოვალეობად მიანნდა – „პატივსა ვხედავ და პატივისაგან მეშინის“-ო.

საბოლოოდ კი ღვთისადმი და უფროსებისადმი მორჩილების გამო ეკურთხა მღვდლად. მაგრამ როცა ეპისკოპოსობაც დაუპირეს, ნეტარმა გრიგოლმა უფლის მოწოდებისამებრ „დაუტევა შეცვალებადი პატივი ქვეყანისა მოკუდავ-

თა კაცთა სუფევისაი და მოძრია ფა-
მიურთა და ნოეთიურთა ბუნებათა, რამ-
თა უკამოი იგი ნათელი უძლოდის უნი-
ვითოსა მას სამკვიდრებელსა და უცვა-
ლებელსა დიდებასა სასუფეველსა ცა-
თასა“, „რომელსა უნებნ შემოდგომად
ჩემდა, უვარ-ყავნ თავი თუხი და აღი-
ლენ ჯვარი თუხი და მოძვედინ მე“
(ლ., 9, 23; მ., 8, 34).

გრიგოლ ხანძთელმა გულის კარი ფა-
რიოდ გაუღო ჩვენს მხსნელს — მატხო-
ვარს („უკუთუ ვინ ისმინოს კმისა ჩე-
მისაი და განალოს კარი, და შევიდეს მის
თანა“ — გამოცხ., 3, 20). გული სინ-
დისის წიგნია და გული გრიგოლ ხანძ-
თელისა მართლა გახდა „აღამიანის
ღმერთთან შეხვედრის საიდუმლო ველი“
(არქიმანდრიტი რაფაელი). „ძირი სიწ-
მიდისაი მარადის გულსა მისსა დანერ-
გულ იყო, აღმომცენარც ჯეჯილსა
ღმრთისმსახურებისა“. და აღბრულდა
„იყავით ჩემში, და მე ვიქნები თქვენ-
ში“ (ინ., 15, 4). ეს თავისთავად აპი-
რობებს სიხარულს, რომელსაც უფალი
მასთან შესახვედრად მიხულ აღამიანს
გაუზიარებს — „და ვკამო მის თანა
სერა და მან ჩემთანა“ (გამოცხ., 3, 20).
„რა სიხარულია ეს სიხარული? ესაა
აღამიანის ქრისტესთან შეხვედრისა და
შეერთების, სული წმიდით აღვხების
სიხარული“ (არქიმანდრიტი რაფაელი).


აღამიანის სურვილი, მიიდრიკოს სი-
კეთისაკენ, ერთობ კარგია, ამას იგი
გონიერების წყალობით მიაღწევს და
უპირველესად სარწმუნოების მეოხებით
„ნერგი ჭეშმარიტისა სარწმუნოებისაი
აღორძნდა სულსა მისსა და ნაყოფი
ღმრთისა სიყვარულისაი ვარდაემატა
მის შორის“. ხადაც არ არის სარწმუ-
ნობა, იქ არც კეთილი საქმეები იქნე-
ბა. კეთილი სურვილი ქმნის კეთილ სა-
ქმეს, ხოლო კეთილი სურვილი სარწ-
მუნოებიდან მოდის. აღამიანი ამ არჩე-
ვანში (სიკეთე ქმნას თუ ბოროტება) თავისუფალია, მას ღვთისაგან თავისუ-
ფალი ნება მიენიჭა. „ეს დიდი და საშინე-
ლი ნიჭია“. სარწმუნოების ვხით სელა
(რაც თავისთავად გულისხმობს უმაღ-
ლესი სიკეთისაკენ — ღმერთისაკენ

სელას) უკვე ღვთის ნებეს ეძლევა
ბაა, და ეს თანხვედრა, ფეფულ ჩუქუჩაქუ
უზირნილო ხაკუთარი ნება, უმაღლესი
თავისუფლებაა (არქიმანდრიტი რაფაე-
ლი). გრიგოლ ხანძთელმა გააკეთა ეს
არჩევანი. მან აღამიანთა უმრავლესო-
ბასაგან განსხვავებით გააცნობიერა ის
პასუხისმგებლობა, რაც მას, როგორც
აღამიანს, ამ თვისების ღვთისგან მინი-
ჭებით დაეკისრა.

გრიგოლ ხანძთელის პირადი სურვი-
ლიც უბიწო, მონაზვნური ცხოვრებაა.
მის მიზანს ხორციელი პატივი არ შე-
აღვენდა (ამიტომაც გამოექცა იგი მის
ეპისკოპოსად ხელდასმის მსურველებს);
იგი ეძიებს უმაღლეს სულიერებას და
პოვნებს კადეც („ითხოვდით, და მოუ-
ცეს თქვენ: ეძიებდით და პოით; ირეკ-
დით და განგედოს თქვენ. რამეთუ ყო-
ველი რომელი ითხოვდეს, მოიღოს; და
რომელი ეძიებდეს, პოვოს და რომელი
ირეკდეს, განედოს“ (მათე 7, 7-8).

რწმენით, სასოებით, სიყვარულით —
ამ სამი ღვთაებრივი საუნჯით აღვხილი
გაემართა გრიგოლ ხანძთელი უქმი
უღაბნოსაკენ, რათა როგორც ვაზს (ანუ
ქრისტე ღმერთს) შერჩენილ ნახსლევს
გამოეღო ნაყოფი კეთილი (მათე 12, 35).

წმ. გრიგოლის „სივლტლოლი თუხით
ქუეყანით“ თხზულებაში შედარებულია
მამამითაეარ აბრაამის სელასთან ური-
დან ქარანს, ქარანოდან ქანაანისაკენ.
თუმცა „აბრაამ ქუეყანისა მისგან ურ-
წმუნოთა ნათესავთაისა განაშორა ღმერ-
თმან, ხოლო ესე მორწმუნისა და კე-
თილად-მსახურისა ქუეყანისაგან გა-
მოიყვანა“. მაგრამ ეს „მორწმუნე და
კეთილადმსახური ქუეყანა“ ანუ ქართ-
ლიც ხომ არაბთა ბატონობის უღელქვემ
მოქცეულიყო იმჟამად და საკუთარი ხა-
ხის აღდგენას ითხოვდა შვილთა თვის-
თაგან. უფალმა წმიდა გრიგოლს ამ დი-
დი სულიერი მოსაგრეობის აღსასრუ-
ლებლად სამი კეთილმორწმუნე ქრის-
ტიანი გამოუჩინა: საბა, თეოდორე და
ქრისტეფორე. „შეანაწევრნა სარწმუნო-
ებამან და ხაღმრთომან სიყვარულმან
შეიმტკიცნა ერთ-ზრახვად შეკრულნი,
ვითარცა სული ერთი გუამთა მინა და-



მტკიცებული“. მათთვის ფიზიკურად უცნობი გზა სულიერი თვალსაზრისით უფლის მადლით განათებული სახილველი იყო „გულით წმიდითა“, როგორც თავად უფალი „სულითა ხოლო საცნაურ არს“. ამ სულიერებით უნდა განეჭვრიტათ მათ ეს გზაც და ამ გზის იქით მომლოდინე საქართველოც. ესაა ადამიანის სრულყოფის გზა, გზა იდეალთან მიახლებისა... მთელი ხალხის, ქვეყნის მართებულად წარმართვისა და მისი ხსნის გზა“. ეს გზა მიემართება ტაო-კლარჯეთისაკენ, რაც არ არის შემთხვევითი. ტაო-კლარჯეთი „ყოველთვის ქართველთა სამეფოდ იწოდებოდა, ვითარცა ძველი მეძვეადრე და ახლის მშობელი... „ტაო-კლარჯეთი ქართლის ნაცვლად უნდა ქვეუღიფო დიდი აღმშენებლობითა და მომაკლის დიდი რწმენით“ (რეზო სირაძე).

გრივოლ ხანძთელი სამომავლო მიზანი თავისი არსით არ ეწინააღმდეგება მის პირველად სურვილს, ბერ-მონაზვნური ცხოვრების გაიდგალებისას.

მონაზონს უყვარს ადამიანი, უყვარს მასში მარადიულად არსებული ღმრთის ხატი და მსგავსება, „ანუ უყვარს ადამიანი ღმერთისგან არეკლილი სიყვარულით“. უფალმა მოგვიწოდა: „რომელსა უყვარდეს ღმერთი, უყვარდეს მამაცა თვისი“ (1 იო., 4, 21). მზავალი ღირსი მამა, ბერული ღვაწლით გულგანწყმენილი, უფლის ნებით, მჭიდროდ უკავშირდებოდა ამა სოფელს სულიერი სიყვარულის ძაფებით, უმაღლესი მსახურებით — სოფლისათვის ღოცვით (არქიმანდრიტი რაფაელი).

პაკლე მოციქული გვასწავლის: „უკუეთუ ვინმე თვსთა და უფროსიდა სახლულელთა არა მოღუაწე იყოს, სარწმუნოებად უარუყოფიეს და არს იგი ურწმუნოისა უძრეს“ (1 ტიმ., 5, 8). „ღვთის სახუფეკლის, ზეციური სამშობლოს სიყვარული თავდაპირველი, მიწიერი სამშობლოს ღრმა, წრფელი და უანგარო სიყვარულის გარეშე შეუძლებელია“ (აკაკი მინდიაშვილი, ღვთაებრივი და ეროვნული, თბ., 1995 წ.).

გრივოლ ხანძთელი, როგორც საქრისტიანო მოძღვრების უპირველესი მნიშვნელოვანი მოძღვრებელი, როგორ დაუწყებდა მსოფლიოდ საკუთარი სულის გადარჩენაზე ეფიქრა და მგლის ხახამი ჩავარდნილ ცხვარზე (ანუ ქართველობაზე) არ ეზრუნა?! შეიძლება კითხვა დაიბადოს: მას, ეპისკოპოსად ხელდასმულს, უფრო მეტი ძალაუფლება არ ექნებოდა; ხომ უფრო მეტს გააკეთებდა ერის სულიერი და ხორციელი გადარჩენისათვის? უფალმა უკეთ უწყის ვეღაფერი! მაშინ არაბობის წინააღმდეგ ამკარა ბრძოლა ქართველობას არ ხელეწიფებოდა, ისე მოსდებოდა მსოფლიოს ხალიფატის ძალმომრეობა. „ეკლესიასტეს სწავლებით, არის ეამი უკანდახვეისა, ეამი მშენებლობისა და ეამი პრინციპთა შინაგანი შენარჩუნებისა, არდავიწყებისა „მამულისა ჩვეულებისაებრ სლვისა“ (რ. სირაძე). ღმერთმა გრივოლ ხანძთელისა და მის თანამოღვაწეთა მოქმედებით, უფლის მადლით აღჭურვილი უბრალო შვენხოხოსანი ბერების მიერ წამოწყებული და საბილოდ კეთილად დასრულებული საქმით აჩვენა, რომ თუ ერი უფალს მიენდობა, წარმატება ექნება მისთვის სიცოცხლისეულად მნიშვნელოვან საქმეებში: „უკუეთუ მცნებანი ჩემნი დაიმარხნეთ, ჭკიეთ სიყუარულსა ზედა ჩემსა“ (ინ., 15, 10); „თქვენ მეგობარნი ჩემნი ხართ, უკუეთუ ჭკოთ, რომელსა-ესე გამცნებ თქვენ“ (იოანე 15, 14).

გრივოლ ხანძთელისა და მისი სულიერი ძმების მოსვლისას ტაო-კლარჯეთი მურვან-ყრუს ღაშკარობათაგან მიღებულ ჭრილობებს იმუშებდა ჯერ კადვკ, თუმცა თითქმის ნახევარ საუკუნეს გაველი იმ დროიდან. ამას ზედ დართოდა ეამიანობა, რასაც მუსრი გაველი ადგილობრივი მცხოვრებლებისათვის, სწორედ ამ გაუდაბურებულ ადგილებში მოვიდა წმ. მამა გრივოლი საბას, თეოდორესა და ქრისტეფორესთან ერთად: „რამთა უქმთა მათ უდაბნოთა შინა გამობრწყინდეს სანთელი ესე დაუკვებელი, ბრწყინვალე ზედა სასანთლესა მას მაღალსა, ზეთითა მით განუპარველითა,

რამთა კმასა მას და ოზრასა საყურისა-
სა აღეტყინოს და განბრწყინდეს სული-
თა ძლიერითა და მიუძღუეს საქორწინესა
მას კრებულსა თანა მოწაფეთა მისთა
წმიდათასა“.

და ღმერთმა „მოიყვანა ივინი ქართ-
ლით ოპიზას პირველად“. ოპიზას ჩა-
სულნი თავდაპირველად წმ. იოანე ნათ-
ლისმცემლის ეკლესიაში დამკვიდრდ-
ნენ, სადაც შეკრებილიყვნენ „ძმანი მცი-
რდნი... ქრისტესს სიყუარულისათჳს“.

ოპიზის მონასტერი რომ ნათლისმ-
ცემლის სახელობისაა, შემთხვევითი არ
უნდა იყოს. იოანე ნათლისმცემელი იწო-
დება „ქრისტემდელ ქრისტიანად“. რი-
გორც ზემოთ მიუთითეთ, იგივე გაიაზ-
რება პირველ მონაზვნად (წმ. მამათა
შორის) მონაზვნობის საეკლესიო წესად
ჩამოყალიბებამდე. იოანე ნათლისმცემე-
ლი არის წინამორბედი და წინასწარ-
მეტყველი. იგი მხურვალედ მოუწოდებ-
და ხალხს: „შეინანეთ, რამეთუ მოახლე-
ბულ არს სასუფეველი ცათაი“ და „გან-
შზადენით გზანი უფლისანი და წრფელ
ყვნით ალაგნი მისნი“ (მათე 3, 2-3),
ე. ი. მოეშაღეთ საზარებისეული ცხო-
ვრებისათვის და ხეულის მცნებანი სწო-
რი ანუ სულიერი ჰყავითო.

რიგორც იოანე ნათლისმცემელი იყო
წინამორბედი მაცხოვრისა, ასევე ოპი-
ზის ტაძარი გაიაზრება წინასახედ შემ-
დგომში ტაო-კლარჯეთში მიმდინარე
ღიღი სამონასტრო კოლონიზაციისა.

იგივე გააზრება ჩნდება ხანძთას მარ-
ტილმყოფ დაყულებულ ბერის ქუედიო-
სისა და წმ. გრიგოლ ხანძთელის სახეთა
შედარებისას. იოანე ნათლისმცემელი
მხოლოდ ამზადებდა ხალხს ქრისტეს
ნათლის მისაღებად. იგი მათ ეუბნებო-
და: „შე უკვე ნათელგემ თქვენ წყლი-
თა სინანულად. ხოლო რომელი შემდ-
გომად ჩემსა მოვალს, უძლიერეს ჩემსა
არს, რომლისა ვერ შემძლებულ ვარ
კამლთა მისთა ტურთვად, მან ნათელ-
გცეს თქვენ სულითა წმიდითა და ცე-
ცხლითა“ (მათე, 3, 11). ასევე ბერი
ქუედიოსი გზის განმამზადებელია გრი-
გოლ ხანძთელისათვის (ე. მადლაფერი-
ძე, გიორგი მერჩულე — „გრიგოლ ხან-

ძთელის ცხოვრება“, წიგნში „საბუთოეი
ქართულ ლიტერატურაზე“, თბილისი, 1992
წ.).

ამ წუთისიფელ განმორებული „კა-
ცი მართალი და წმიდაი“ ბერი ქუედი-
ოსი განმარტოებით მისცემოდა დაყუ-
ლებულ ცხოვრებას და თავშეკავებით,
სიყვარულით, ფსალმუნებითა და ლოც-
ვით მოუღალავად ილტვოდა უფლისა-
კენ. მოელი არსებით მისცემოდა ფიქრს
ზეციურსა და მარადიულზე. იგი თითქ-
მის არ გამოდიოდა თავისი ხენაკიდან.
განმარტოებასა და სიწუშეში იბადებო-
დნენ მის გულსა და გონებაში კეთილ
და ღვთისათხო აზრები. უფლისათვის
აღთქმა დაედო — აღსასრულამდე მარ-
ტილმყოფობისა და აღასრულელდა კი-
დეც ამას დავით წინასწარმეტყველის
მოწოდებისამებრ. „რამეთუ დავით იტ-
ყეს: „აღუთქუთ და აღუსრულეთ უფა-
ლსა ღმერთსა თქვენსაო“. ქუედიოსმა
თხოვნით მიმართა ახლად მოხულებს,
არ გამრავლებულიყო შობა მის გარ-
დაცეალბამდე. ვანა ადამიანები არ უყ-
ვარდა? პირიქით, მაგრამ მას ეწადა
„აღნათქუემისა ხაქმით აღსრულებაი“.

სწორედ ქუედიოს ბერს ეუწყა უფლი-
საგან წმ. გრიგოლის მომავალი დეაწ-
ლის შესახებ, სწორედ მან იხილა ჩვე-
ნებით სახე ეკლესიისა ნათლის ღრუბ-
ვლით გამოხატული და ხუნუნლებად
დიდძალი გამოთავალი მისგან. სიხარუ-
ლითა და მხიარულებით აღივსო, რად-
გან უფალმა შეისმინა მისი წმ. ლოცვა
და აი, ბერი ქუედიოსი და წმ. მამა გრი-
გოლი ერთმანეთს შეხედნენ. ეს შეხედ-
რა მიიწინევა იოანე ნათლისმცემლისა და
იესო ქრისტეს შეხვედრის მსგავს მო-
ღუნად. „მაშინ მოვიდა იესუ გალილე-
ათ იორდანედ იოვანესა ნათლისღებად
მისგან. ხოლო იოვანე აყენებდა მას და
ეტყოდა: მე მიქმს შენ მიერ ნათლის-
ღებაი, და შენ ჩემდა მოხუალა?“ (მა-
თე, 3, 13-14).

ბერი ქუედიოსი მსგავსი თავმდაბლო-
ბით ხედება მამა გრიგოლს: „დაღაცათუ
დღითა უმრწყემს ხარ, საქმით კულა
უხუტმს ხარ ჩემსა, რამეთუ შენ იყო
მწყემსი კეთილი მრავალთა პირმეტყუ-

ელთა საცხოვართა ქრისტესითა და სულისა ჩემისა საუკუნოდ გურგვინი და სასიამი“.

მოვიდა ქვეყნად მაკხოვარი უფალი იესო ქრისტე და „განანათლა ქვეყანასა“. მოვიდა უფლის წოდებით მამა გრიგოლი კლარჯეთს და ღვთიურმა მადლმოხილუბამ დაამკვიდრა იმ ადგილებში.

წმ. გრიგოლისა და მისი სულიერი ძმების ღირსების მადლი ვერ კადევ ოპიზის ტაძრის წინამძღვარმა ამბა ვიორგიმ სცნო და შეიწყნარა ისინი სიხარულით, არა როგორც მოწაფენი, არამედ როგორც „უხეშთაქსნი მისა: „უწყოდ და სულითა, რამეთუ პატივი ზეგარდმო ღმრთისა მიერ მონიჭებად იყო მათღ.“

ორი წლის მკაცრი მონაზვნური ცხოვრების შემდგომ გრიგოლმა მოიწადინა მარტოდ დაეუდება. მან იმ ადგილებში მყოფი ვველა განდევნილი ბერი გაიცნო. სხვადასხვა მოსაგრისაგან იგი სხვადასხვა ღვაწლს იღებდა: „ყოველთა მათ ნეტართა მოიხილავს წმიდაი გრიგოლ და კეთილთა ქცევათა მათთა ისწავებს, რომელთაგანმე ლოცვასა და მარზვასა, რომელთაგანმე სიმდაბლესა და სიყუარულსა, რომელთაგანმე სიმშუდესა და განურისხველობასა, რომელთაგანმე უპოვარებასა და ქვეყანასა ზედა წოლასა, გინათუ ზეჯდომით ძილსა, რომელთაგანმე უპრულებასა და კელთ-საქმარსა ღუმილით და მსგავსთა ამითთა სათნობათა“. წმ. გრიგოლი ვველა ამ მოსაგრისაგან გამოირჩეოდა იმით, რომ ცდილობდა ვველაფერი ეს, რაც თითოეულ მათგანს განსაკუთრებით შეეთვისებინა, სრულად შეეძინა თვითონ, ერთ ადამიანს, და ვველა ამ სათნობის შესაქრებელი ყოფილიყო. ფუტკარივით იღწოდა შეგონებისამებრ: „მივედ ფუტკრისა და ისწავე“ (ივ. სოლ., 6, 8), „იქმენ, ვითარცა ღინჭველი“ (იქვე 6, 6). გრიგოლ ხანძთელის სურვილს მართოდდაეუდებისას დიდი მნიშვნელობა აქონდა სამომავლოდ, რომ სულიერ

ძალთა მოკრებით, შინაგანი სიმშვიდითა და სიმყუდროვით აღესრულს მნიშვნელოვან ბოლა პარზაროხი მტრისაგან იავარქმინი და მხარის აღორძინება. მართალია, კლარჯეთში არსებობდა ოპიზის საჯანე და იგი „განსაკუთრებული პატივით, პირველი საჯანის სახელით სარგებლობდა“ (პაულე ინგოროფვა, ვიორგი მერწყლე, თბ., 1954 წ.), მაგრამ ეს არ იყო საქმარისი და ამიტომ სული წმიდის წინამძღოლობით „მოიწია ხანძთად სათნოი ღმრთისაი მამაი ჩუენი გრიგოლ“, მასთან ერთად მისი სულიერი ძმები: ხაბა, თეოდორე და ქრისტეფორე.

ხანძთას მყოფმა ბერმა ჯუედიოსმა ისინი შეიწყნარა, ვითარცა „სწმინდისა ნაყოფნი, მცენარენი სულნელნი, ვარდნი შუენიერნი, ფინიკნი კეთილნი და ზეთისხილნი ნაყოფსავსენი, ზეთითა მით სიწმინდისაითა პოხილნი“ (გრიგოლ ხანძთელისა და ჯუედიოს ბერის პირველი შეხვედრისა და ამ შეხვედრის მნიშვნელობის შესახებ ჩვენ უკვე ვისაუბრეთ). გრიგოლ ხანძთელმა და მისმა თანამოსაგრეებმა ჯუედიოს ბერი ერთ მცირე გამოქვაბულში მიიყვანეს მხივე თხოვნით. თავად კი „შთამოვიდეს ადვილსა მას ღმრთისა მიერ ჩინებულსა სამონასტრედ“.

„ჟამსა უცხოებისა და უპოვარებისასა“ ისინი ღვთისადმი რწმენასა და სასოებას არ კარგავდნენ, რადგან წმიდა გულით უწყოდნენ, რომ უფალი შეეწყვიდა კეთილი საქმისათვის აღძრულებს, შეისმენდა ამ ოთხი სულიერი ძმის თხოვნა-მუდარას, ზელი მოემართა ტაძართა მშენებლობაში. „უკუეთუ ორი თქუენგანნი შეითქუნენ ქუეყანასა ზედა ვოელისაიუხვე საქმისა, რომელიც ითხოუნ, ვეოს მათ მამისა ჩემისაგან ზეცათამისა, რამეთუ სადაცა იყვნენ ორნი გინა ხამნი შეკრებულ სახელისა ჩემისათვის მუნ ვარ მე შორის მათისა“ (მათე 18, 19-20).





ნეთისაკენ უკანდასახევი გზა მოეჭრებოდა იმათ, ვინც შეძლო თავი დაეღწია ვარშავის მარწუხებისათვის. პოლონეთში გადაისროლეს ათას ხუთასზე მეტი ახლებური თვითმფრინავი. მათ პირველ რიგში უნდა გაეცამტკერებინათ პოლონეთის ავიაცია, შემდეგ ბრძოლის ველზე მიშველებოდნენ არმიას და, ამას გარდა, იერში მიეტანათ სამხედრო ნაგებობებზე, ყველა სარკინიგზო და საგზატკეცილო კომუნიკაციაზე და ყველგან შიშის ხარი დაეცათ.

პოლონური არმია ვერც რიტხობრიობათა და შეიარაღებით გაუტოლდებოდა იერიშზე გადმოსულ მეტოქეს და ვერც მისი დისპოზიცია ჩაითვლებოდა გონიერულად. მთელი შეიარაღებული ძალები მშობლიური მიწაწყლის საზღვრებთან გადაისროლეს. მათ არ ჰყავდათ ცენტრალური თადარიგოსნები. პოლონელებს სიამაყემ დაკრია ხელი და გერმანელთა პატივმოყვრულ ზრახვებს ცხვირი აუბზუეს. თუმცა კარგა ხანია შიშობდნენ, აქეთ-იქიდან შემოჯარულ ძალებთან გასამკლავებლად დროულად რომ ჩავატაროთ მობილიზაცია, პროვოკაციაში არ დაგვადანაშაულონო. ოცდაათი დღეიზია, პოლონეთის მოქმედობის მხოლოდ ორ მესამედს რომ შეადგენდა, მზად იყო ან თითქმის მზად იყო, საკუთარ თავზე ეწვია პირველი დარტყმა. მოვლენების სწრაფმა განვითარებამ და გერმანული ავიაციის მძვინვარე ჩარევამ ხელი შეუშალა დანარჩენებს, დაეკაუბინათ მოწინავე პოზიციები, სანამ ყველაფერი მარცხით არ დასრულდა; ასე რომ, ბრძოლაში ჩაერთნენ მხოლოდ ბოლო წუთებში აუბედობისა. პოლონეთი პოლონური დივიზია კარგა მანძილზე პირისპირ აღმოჩნდა თითქმის ორჯერ ჭარბ ძალებთან ისე, რომ ზურგს არაფერი უმაგრებდა. ისინი არა მარტო რაოდენობრივი თვალსაზრისით ჩამორჩებოდნენ გერმანელებს, არამედ ძალზედ მოიკოჭლებდნენ არტილერიაშიც, ხოლო ცხრა გერმანულ სატანკო დივიზიას, როგორც უკვე მათ უწოდებდნენ, მხოლოდ ერთი ჯავშანსატანკო ბრიგადას თუ დაუპა-

რისპირდებოდნენ. ცხენოსანთა კავალერიის თორმეტი ბრიგადა უტყვევდა მოხლეჩევი ტანკებისა და ჯავშანმანქანებს, მაგრამ ცარიელი ხმლითა და შუბით რას გახდებოდნენ! პირველი ხაზის ცხრაასი თვითმფრინავი, რომელთაგან მხოლოდ ნახევარი თუ იქნებოდა თანამედროვე კონსტრუქციისა, გერმანელებმა ერთი დარტყმით ჩაივდეს ხელში, ბევრი კი ჯერ კიდევ აფრენამდე გაანადგურეს.


პიტლერის გეგმით, გერმანელთა ჯარებს პირველ სექტემბერს უნდა წამოეწყით საომარი მოქმედებანი, მანამდე კი გერმანელთა საპაერო ძალებმა პოლონურ ესკადრილებს შეუტოვეს მათ აეროდრომებზე. პოლონური ავიაცია არსებითად ორ დღეში გაეცამტკერდა. ერთ კვირაში გერმანელთა ლაშქარი კარგა ღრმად შეიჭრა პოლონეთის მიწაწყალზე. მტერი ყველგან მდგარ წინააღმდეგობას აწყდებოდა, თუმც სულ ფუჭი იყო პოლონელთა კვეთება. საზღვრებზე განლაგებული მთელი მათი ჯარი, გარდა პოზნანის ჯგუფისა, რომლის ფლანგებისთვისაც საფუძელიანად შემოეკლოთ, უკანვე გადაისროლეს. ლომის ჯგუფი ორად გახლიჩა გერმანელთა გადამწვევტმა იერიშმა, მკათე არმიის მთავარმა ძალებმა რომ განახორციელეს. ნახევარმა უკან დაიხია, აღმოსაუღეთით, რადომისაკენ, მეორე ნახევარი კი იძულებული შეიქნა ჩრდილო-დასავლეთისაკენ უკუაქცეულიყო. ორმა ჯავშანსატანკო დივიზიამ, პირდაპირ ვარშავისაკენ რომ მიიწვედა, ფრონტის ხაზი გაარღვია. უფრო ჩრდილოეთით გერმანულმა მეოთხე არმიამ უისლას მიადწია, გადალახა იგი, მდინარეს გაუყვა და ვარშავისაკენ აიღო გეზი. მხოლოდ პოლონელთა ჩრდილოეთის ჯგუფი გაუძალიანდა გერმანელთა მესამე არმიას. მალე მათ ფლანგებიდან შემოუარეს და მდინარე ნარევისაკენ უკუაქციეს; მხოლოდ აქ მოეშაღებინათ წინდაწინვე საკმაოდ ძლიერი თავდაცვითი ხისტემა. ამკვარი გახლდათ ბლიცკრივის პირველი კვირის შედეგები.

მეორე კვირა გამძაფრებული ბრძოლებით აღინიშნა, კვირის პირველი კი პოლონურმა არმიამ, — ნომინალურად ორ მილიონამდე კაცს რომ მიითვლიდა, — როგორც ორგანიზებულმა ძალებმა, არსებობა შეწყვიტა. სამხრეთით მდინარე სანისაკენ წინ მიიწვედა მეოთხმეტე არმია. ჩრდილოეთით ალყაში მოექცა და განადგურდა რადომისაკენ უკუქცეული ოთხი პოლონური დივიზია. მეათე არმიის ორი სატანკო დივიზია ვარშავის შემოგარენს მიაღწია, მაგრამ ქვეითი ჯარის გარეშე ვერ გატეხეს ქალაქის მოსახლეობის განწირული სულისკვეთება. ვარშავიდან ჩრდილო-აღმოსავლეთით შესამე არმია აღმოსავლეთიდან გარშემოერთვა დედაქალაქს, მისმა მარცხენა კოლონამ კი ბრესტ-ლიტოვსკს მიაღწია ფრონტის ხაზს იქით ასი მილის დაშორებით.

იბრძოდა და იღუპებოდა პოლონური არმია, მოქცეული ვარშავის მარწუხებში. მის პოზიციას ჯგუფს შეუერთდა როტუნისა და ლოდის დივიზიები, გერმანელთა იერიშით უკუქცეულნი. ახლა პოზიციის ჯგუფი თორმეტ დივიზიას მიითვლიდა და მისი სამხრეთი ფლანგის უფლით მეათე გერმანული არმია გამოაღობით მოიწვედა ვარშავისაკენ, რომელსაც მხოლოდ შედარებით სუსტი მერვე არმია იცოვდა. უკვე ფაქტობრივად ალყაში მოქცეულმა პოზიციის ჯგუფის პოლონელმა სარდალმა, გენერალმა კუტშუბამ გადაწყვიტა, სამხრეთისაკენ აეღო გეზი და ძირითად გერმანულ ძალებთან ფლანგს დასცხრომოდა თავს. ამ გაბედულმა პოლონურმა კონტრშეტევამ, მდინარე ბზურაზე ბრძოლად“ რომ მოაწინათლა, გამოიწვია კრიზისი, რომელიც მოიცვა არა მარტო ვერმანელთა მერვე არმია, არამედ ვარშავაზე ლაშქრობისაგან ვარიდებული მეათე არმიის ნაწილიცა და ივით მეოთხე არმიის კორპუსიც ჩრდილოეთით. პოზიციის ჯგუფი, რომელიც ამ ვეებერთელა ძალებთან იერიშსა და სრულიად შეუფერხებელ გამანადგურებელ საჰაერო დარტყმებს უმარგდებოდა, ათი დღის განმავლობაში სახელოვნად იბრძოდა. ცხრამეტე სექტემბერს იგი სამუდამოდ დაიკარგა რისაგან მიწისა.

იმავდროულად შეიკრა „გარეგანი“ მარწუხები. თორმეტ სექტემბერს მეოთხმეტე არმია ლემბერგის შემოგარენს მიაღწია, ჩრდილოეთისაკენ დაძვრა და ჩვიდმეტ სექტემბერს შეუერთდა შესამე არმიის ნაწილებს, რომელთაც გაიარეს პრესტ-ლიტოვსკი. გულად და დაქსაქსულ მარტოკაცთათვის გაქცევის ვეულა გზა მოჭრილი იყო. ოც სექტემბერს ვერმანელებმა ვისლიხათვის ბრძოლა „ვეულა დროის უდიდეს გამაცამტვერებელ ბრძოლად“ მონათლეს.

დაღვა საბჭოეთის რიგი. ამოქმედდა ის, რასაც ისინი ახლა „დემოკრატია“ ნათლავენ. ჩვიდმეტ სექტემბერს რუსთა ჯარები პოლონეთის თითქმის დაუცველ აღმოსავლეთ სახლარს მოაწყდნენ, გადალახეს იგი და ფართო ფრონტით დასავლეთისაკენ გაუტოეს. თორმეტ სექტემბერს დაიკრეს ვილინუსი და ბრესტ-ლიტოვსკში შეეგებნენ თავიანთ ვერმანულ პარტნიორებს. წინა ომში პოლონელებმა აქ დაარღვიეს დასავლეთის მოკავშირეებთან დიდის ამბით დაღებული შეთანხმებანი, სეპარატიული ხაზი დადეს კაიზერულ გერმანიასთან და დასთანხმდნენ მის მკაცრ პირობებს. ახლა კი, ბრესტ-ლიტოვსკში, პიტლერულ გერმანიას ელინცილებოდნენ და ხელს ართმევდნენ რუსი კომუნისტები. პოლონეთის განადგურება და მისი სრული დამორჩილება სწრაფი ტემპებით ხორციელდებოდა. დაუპყრობელი რჩებოდა ვარშავა და მოდლინი. დიდებული, თუმც იმთავითვე განწირული გახლდათ მოქალაქეთა აღტყინებით ნასაზრდოები გაუტეხელობა ვარშავისა. არაერთ და ორდღიანი ძლიერი საჰაერო დაბომბვისა და საარტილერიო ცეცხლის შემდეგ — როცა უქმად მყოფი დასავლეთ ფრონტიდან უამრავი ქვემეხი სასწრაფოდ გადაისროლეს ავტოსტრადებზე — ვარშავის რადიომ შეწყვიტა პოლონეთის ეროვნული პიმიის შესრულება და პიტლერმა გატიადებულ ქალაქში შეაბიჯა. ვისლის დინების ჩაყოლებით ოც მილზე აღმართულმა ციხესიმაგრე მოდ-



ლისსა, ტორუნის ვეფუფის ნაშთებიდა მიიღო და ოცდარვა სექტემბრამდე იბრძოლა. აი ასე, ერთ თვეში მორჩა ვეფლაფერი და ოცდათხუთმეტმილიონიანი ქვეყანა იმათ უმოწყალო მარწუხებში მოექცა, ვინც არა მარტო მის დაყრობას ლამობდა, არამედ დამონებასა და, უფრო მეტიც, — მიწის პირისაგან აღგებას.

ჩვენ ვიხილეთ თანამედროვე ბლიც კრივის სრულყოფილი ნიმუში: არმიისა და ავიაციის შეთანხმებული მოქმედება ბრძოლის ველზე; ყველანაირი კომუნიკაციებისა და ნებისმიერი სასურველი ქალაქის მხეცური დაბომბვა; აქტიური „მეზუთე კოლონის“ შეიარაღება; ჯაშუსთა და პარაშუტისტთა ნებისად გამოყენება და, რაც მთავარია, აუარება ტანკის გაუსაძლისი იერიში. პოლონელებს უკანასკნელთ რიდი ხელათ წილად ეს მიმე განსაცდელი.

საბჭოთა ჯარები განაგრძობდნენ მსვლელობას იქითკენ, საითკენაც პიტლერთან ვარიგებით გახლდათ ვათვალისწინებული. ოცდაცხრა სექტემბერს ოფიციალურად მოაწერეს ხელი რუსეთ-გერმანიის ხელშეკრულებას პოლონეთის ვაყოფის თაობაზე. მე უწინდებურად დარწმუნებული ვიყავი ღრმა და, ჩემის აზრით, გადაულახავ ანტაგონიზმში რუსეთსა და გერმანიას შორის და იმ იმედს ვებღაუპებოდი, რომ მოვლენათა განვითარების კვლადკვალ საბჭოეთი ჩვენს მხარეს გადმოიხრებოდა. ამიტომ იყო, რომ ვასაქანს არ ვაძლევდი აღშფოთებას, რომელსაც ჩემში და მთავრობაში მეოფ ჩემს კოლეგებში იწვევდა მათი გულგრილი და უღმობელი პოლიტიკა. მე არასოდეს არანაირი ილუზიები არა მქონია მათთან მიმართებაში, ვიცოდი, რომ ისინი არ ცნობდნენ არანაირ ზნეობრივ კანონებს და მხოლოდ საკუთარ ინტერესებზე ზრუნავდნენ. თუმცა, ბოლოს და ბოლოს, ჩვენი მათ არაფერი ემართათ. ესეც რომ არ იყოს, სამკვდრო-სახიცოცხლო ბრძოლაში რისხვა უნდა დაიცბო და უმთავრესი და უპირველესი მტრის განადგურებაზე იფიქრო. გადაეწყვიტე, რაც

შეიძლება უკეთ გამოიყენებისა ერთი-ოლიანური საქციელი. ამიტომც სამხედრო კაბინეტისათვის ფრედერიხსმუნტემბერს დაწერილ მემორანდუმში გულგრილად შეენიშნე:

„თუმც რუსებს ბრალი მიუძღვით უტლანქეს მუხანათობაში ცოტა ხნის წინანდელი შილაპარაკებების დროს, მარშალ ვარიშვილის მიერ წამოყენებული მათი მოთხოვნები — რაზეღა თანახმადაც რუსთა ჯარებს, თუკი ისინი პოლონეთის მოკავშირენი იქნებოდნენ, უნდა დაეკავებინათ ვილნიუსი და ლემბერგი — ხაფხუბით მიზანშეწონილი გახლდათ სამხედრო საჭიროებათა თვალსაზრისით. ისინი უარყო პოლონეთმა, რომლის მოსაზრებებსაც — თუმც სრულიად ბუნებრივს — დღესდღეობით დამაკმაყოფილებლად ვერ მივიჩნევთ. ამის შედეგია ის, რომ რუსეთმა, როგორც პოლონეთის მოქიშქემ, დაიკავა იგივე პოზიციები, რაიც შევლო დაეკავებინა, როგორც ერთობ საეკუო და არაკეთილსაიმედო შეგობარს. განსხვავება ფაქტიურად არც ისე დიდია, როგორც შეიძლება მოგჩვენებოდა. რუსებმა უზარმაზარ ძალთა მობილიზება მოახდინეს და გეინვენეს, რომ ხელეწიფებათ სწრაფად იმოქმედონ და შორს გასცდნენ თავიანთ ომამდელ პოზიციებს. ახლა ისინი გერმანიას ესაზღვრებიან, ეს უკანასკნელი კი სრულიად მოკლებულია შესაძლებლობას, გააშიშვლოს აღმოსავლეთი ფრონტი. მის სამეთვალყურეოდ საჭირო შეიქნება გერმანეთა დიდი ლაშქრის იქ ყოფნა. მე ვიტყვ, რომ გენერალ გამელენის განსაზღვრით, მათი რაოდენობა, სულ ცოტა, ოც დივიზიას მოიცავს, მაგრამ სრულიად შესაძლებელია, ოცდახუთსაც აღემატებოდეს. ამიტომ აღმოსავლეთის ფრონტი პოტენციურად არსებობს.“

პირველ ოქტომბერს რადიოთი შემდეგი განვაცხადე:

„პოლონეთს კვლავ თავს დაესხა ის ორი დიდი თვითმპყრობელური საზღვმწიფო, რომელთაც ას ორმოცდაათი წლის მანძილზე ჰყავდათ დამონებული, მაგრამ მათ ვერ გატეხეს პოლონელი

ხალხის სება. ვარშაუის გმირული დაცვა იმას მეტყველებს, რომ სული პოლონეთისა უკვდავია და რომ პოლონეთი კვლავ იმ კლდესავით წამოიმართება, დროებით ძლიერი ტალღა რომ შეჰხეთქება, მაგრამ მაინც კლდედ დარჩენილა.

რუსეთი წარმართავს გულგრილ პოლიტიკას, გამოძვინარე თავისი ინტერესებიდან. გვერნია, რუსეთის ჯარები თავიანთ ახლანდელ პოზიციებზე მდგარიყვნენ, როგორც მეგობრები და მოკავშირენი პოლონეთისა და არა როგორც დამპყრობნი. მაგრამ ნაციტური ხაფრთხისაგან რუსეთის თავდაცვისათვის აშკარად აუცილებელი იყო რუსთა ჯარების ამ პოზიციაზე დგომა. ყოველ შემთხვევაში, ეს პოზიცია არსებობს და, აქედან გამოძვინარე, შექმნილია აღმოსავლეთის ფრონტი, რომელზედაც თავდასხმას ვერ ვაბედავს ნაციტური გერმანია..

ვერ ვიწინასწარმეტყველებ, რას მოიმოქმედებს რუსეთი. ეს იდუმალეებით მოცული გამოცანაა, მაგრამ მისი ვახა-

ლები, ალბათ, მოიძებნება. მაგრამ ვინ უნდა ზად მესახება რუსეთის ეროვნული ინტერესები. საკუთარი უსაფრთხოების მოწადინე რუსეთი არ დაუშვებს, რომ გერმანია დაფუძნდეს შავი ზღვის ნაპირებზე ან დაიპყროს ბალკანეთის ქვეყნები და დაიმორჩილოს სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპის სლავი ხალხები. ეს დაუპირისპირდებოდა რუსეთის ისტორიულად ჩამოყალიბებულ სასიცოცხლო ინტერესებს“.

პრემიერ-მინისტრი ხავეებით მეთანხმებოდა. „მე ვიზიარებ უინსტონის თვალსაზრისს, — წერდა იგი წერილში თავის დას. — მისი შესანიშნავი გამოსვლა სულ ახლახან მოვისმინეთ რადიოთი. ვფიქრობ, რუსეთი მუდამ იმოქმედებს საკუთარი ინტერესების შესაბამისად და ვერ დაეიჯერებ, მას ხელს აძლევდეს გერმანიის გამარჯვება, რასაც ევროპაში გერმანიის ბატონობის დამყარება მოჰყვება“.

ინგლისურიდან თარგმნა
რუსულად მასათაძემ.



ქურნალ „მნათობის“ 1997 წლის ნომრების შინაარსი

ზახლია, ძველი აღიქმა — № 1-2, 3-4, 5, 6.

მოთხრობები, რომანები, პიესები

ანთაძე მიხეილ — ქართული ბიზნესი. მოთხრობა. № 8; ყველა გზა რომში მიდის. მოთხრობა. № 11-12.

აქუბარია ევგენი — მარადისობის სიმღერა. დოკუმენტური მოთხრობა. № 6.

ეჭვიშიშვილი თამაზ — პონორარი. მოთხრობა. № 1-2

ეხვია ნანა — რაც რომ აფხაზეთში მოხდა. მოთხრობა. № 3-4; მშობლიური ცივი სახლი. მოთხრობები. № 8

კაპანაძე გურამ — მალაქიას ფერისცვალება. მოთხრობა. № 6

ლობჯანიძე ზურაბ — ყველასგან მიტოვებული ზღა. მოთხრობა. № 6

ნატროშვილი გიორგი — ვინ იყო ასეიანი. ამბავი. № 7

ხაშონაძე ირაკლი — იქ, სადაც ღვარად მოედინება... პიესა. № 11-12.

ქადაგიძე ნუნუ — მოხუცი ექიმბაში. მოთხრობა. № 9-10

ჭელიძე ვახტანგ — ჩვენი საუკუნის პარადოქსები. მოგონება. № 8, 9-19, 11-12

ჭილაძე თამაზ — არაბეთის სურნელოვანი ბაღები. პიესა. № 1-2

ჩხაიძე თენგიზ — ტრიპტიკი. მოთხრობა. № 5

ჩხეიძე ოთარ — ჩვენი სავანე. ხასიათები და პორტრეტები. № 3-4, 5, 6, 7

ჩაღარაი თენგიზ — პანაშვიდი. მოთხრობა. № 9-10

ჩიქავაძე თამარ — ჩვენებურები. მოთხრობები. № 11-12

ჭაფარიძე ზომან — ორ ცეცხლ შუა. მოთხრობა. № 7

ლექსები, კომედიები

ახაშიძე შერაბ — შენს ნანგრევებზე ამოსული ისამანი. ლექსი. № 8

აბრამიშვილი მარი — ლექსები. № 6

ანდრონიკაშვილი ზორახ — ისევ და ისევ ფოქაქს ეს გული, ლექსი. თარგმანი დოდო ხანთაძე-იაშვილიძე. № 1-2

ბაქრაძე ნოდარ — ლექსები. № 9-10

ვახუშტი გიორგი — ლექსები. № 8

ვახუშტი იოსებ ვალდუბანი — ფანტა. თარგმანი დავით წერეთლიანი. № 3-4

დავუშვილი თამარ — ლექსები. № 11-12.

ვაჩუაშვილი გიორგი — ლექსები. № 9-10

ვერუა ჩენეტა — ლექსები. № 9-10

კაკაბაძე ნათელა — ლექსები. № 7

კვარაცხელია გურჯა — ლექსები. № 5

კობახიძე ზაზა — ლექსები. № 7

კვარციანი ეზარ — ლექსები. № 7, 11-12

ლუბანიძე მურმან — ლექსები. № 11-12

მებურთაშვილი ტაგუ — ლექსები. № 5

მჭედლიშვილი შალვა — ლექსები № 11-12

სულაკაური გიგი — ლექსები. № 9-10

სახაშვილი შალვა — ლექსები. № 11-12

ორგონიკიძე ირა — ლექსები. № 9-10

რატანი ზვიად — ლექსები. № 6

ფორჩხიძე შალვა — ლექსები. № 11-12.

ჩხენკელი თამაზ — ლექსები. № 1-2

ძნელაძე გივი — ლექსები. № 1-2, 5

ხანთაძე-იაშვილი დოდო — გადამოღობი გვარები. ლექსი. № 3-4.

შაბტაბები, მოგონებები

კვარცხელიაძე რევაზ — „საქთაშვილი“ და სხვა საოფლო გვერდები. № 1-2; საქნებსა და ბანაკებში გამოცდილი მეგობრობა. № 3-4; ძველი რევოლუციონერები — ახალი რევოლუციის მსხვერპლნი. № 6; საქართველოს მწერალთა კავშირი 1917—1997. № 7, 8, 9-10, 11-12

ჩერჩილი უინსტონი — მემუარები. ნაწილები წიგნიდან „მეორე მსოფლიო ომი“. თარგმანი არსულდან მახათაძემ. № 6, 7, 8, 9-10, 11-12

პირბრძანება, კვლევისტიკა

არაბული გიორგი — „გველის მკამრის“ პრობლემები და ლიტერატურული კრიტიკა. № 5, 6

არქვლიაძე ბონდო — მაინც რამდენი „სომხური ეკლესია საქართველოში“?!. № 9-10

არქვლიაძე შაია — „პატარა კახის“ ისტორიული და ფოლკლორული წყაროები. № 11-12

ბერიძე შაია — ნოდარ დუმბაძის მოთხრობები.

თა მხატვრულ-სტილისტური თავისებურებანი. № 3-4

გვერდითი გზამ — მარო მავაშვილის მავალით. „მნათობი“ 1996 წ. № 7

გარდაცხადე ქეთევან — ზოგიერთი ანტიკური ლიტერატურათმცოდნეობის — სტილისტური ტერმინის ფორმირებისათვის. № 11-12.

გვრიტიშვილი ელენორა — წერილები. № 11-12.

გიორგაძე ნინო — ვიქტორ გაბესკორიას ორი ტრავმატიკული „უფსკრულთან“, „გურიის მთებზე დაუთოვია“. № 1-2

ენუქიძე ეკა — მარსელ პრუსტი — ერთი წიგნის მწერალი. № 6

ქაბაძე სალომე — ტიციან ტაბიძის ერთი წერილის გამო. № 5

კვაჭანტირაძე მანანა — ოთარ კიკლასის მხატვრული სამუშაო. № 3-4

კობახიძე ნანა — პოეტური სატრა ვახუშტი „ფერიის“ ფურცლებზე. № 7

კუპევა ნინო — ვეკუა-ფშაველას პროზა ერთ ნაქვედში“. № 11-12

მალაღობაძე თამარ — ლეო ქიაჩელის 1916 წელს გამოქვეყნებული პუბლიცისტური წერილები. № 8

მეზნანი თეიმურაზ — პავლე ინგოროვია აფხაზთა ეთნოგენეზის შესახებ. № 1-2; მუშაობა და ქართული მოწინავე ინტელიგენცია. № 6; აფხაზები და აფხეთი. № 8

ონაშვილი ნათელა — გიორგი ლეონიძე. № 11-12

ქავთარაძე გიორგი — საქართველო და კავკასიონი. № 3-4, 5; გოგლა აბოლიდან... წელთა სიზორიდან. № 7

ხეთერელი ციური — კოლაუ ნაღიჩაძის მოთხრობები. № 7

ფერაძე გრიგოლ — სელოური ცხოვრება დღევანდელ საბჭოთა საქართველოში მხატვრული ლიტერატურის სარკეში. თარგ. თამარ კუშნურაძე. № 11-12

კრელაშვილი ლევან — „ნ. დავითიშვილი“ (ილია ჭავჭავაძის უცხოში ნაწერები და ნ. ნიკოლაძისთან დღეის ისტორია). № 6

კანტორიაია მამუკა — ხმლის კულტის შესახებ ვეკუა-ფშაველას შემოქმედებაში. № 11-12

ჭაიანი მარინე — დავით ჩქოტუა და ვახუშტი „დროება“. № 11-12

ჭანელიძე ოთარ — დახმარება რომ გოქონსოდა, გავიშარყვებლით. № 11-12

დაუშვილი რხუდან — ვერტეხეულ-სტილისტური რომანი მე-19 ს. მეორე ნახევარში. № 8

ქეხარელი ვახუშტი — სახეობი სიტყვა ეკლესიების აღმშენებლობის შესახებ თქმული ტერმინული ეპისკოპოსის პავლინიონის მიმართ. № 3-4; კონსტანტინე დიდის წერილები აღმოსავლეთის ეპარქიებს, თარგმანა ლელა პატარიძემ. № 7.

მომცელიძე ნანა — მეტაფორა აღექვანდრე ყაზბეგის „სევისპირი გორას“. მიხედვით. № 7

ნადარეიშვილი გიორგი — ფეოდალური ხანის ქართულ-ისტორიულ-იურიდიული საბუთების ორი კლასიკური შესახებ. № 5

ნადირაძე გიორგი — წერილები. № 5

ნანობაშვილი ბიძინა — შრომის დანაწილების ტრადიციული ფორმები. № 1-2

ნარსიძე გურამ — სამშვილდის სიონის სამშენებლო წარწერა და ტაძრის აგების თარიღი. № 1-2

ნინიძე მია — მარტლის გზა — ორი დანაკ. № 3-4; საღმრთო ხილვა ქართულ პიწიწი-რაფიანში. № 1-2

ხულავა ნესტან — ლეონიძისმშობლის სახე დიმიტრი მეფის პოეზიაში. № 8

ხულაბერიძე გვანცა — მრავალხმიანი სამგლოვარო სიმღერა „ზარი“. № 6

ხინთიბიძე აკაკი — „პაწიკი“ — 265. № 6

ჩაქვტაძე დინარა — განსრულებული მოლოდინი. № 11-12

ჭავჭავაძე მანანა — 1054 წლის საეკლესიო განხეთქილება. № 3-4; საქართველოში კათოლიციზმის გავრცელების მსფედლობის შედეგები მე-11-14 საუკუნეებში. № 8

ჭანაშვილი ლაქრენტი — რამდენიმე საკითხი მესხეთის ქართველ კათოლიკეთა ისტორიიდან. № 5

100 — ილია ჭავჭავაძე — 160

მუჭერი აღქვანდრე — ილია და ქართველი სოციალ-დემოკრატები. № 9-10

კვაჭაშვილი ეკა — ამქვეყნიური სიმართლის ძიებაში. № 7

ნინიძე მია — „ველი განათლებული“. № 7; „ქეშმარტება გულისა“. № 9-10

85 — შოთა შიშხიანი — 85

გვერდითი გზამ — უებბო მოსაუბრე. № 1-2

ლორთქიფანიძე ოთარ — არქეოლოგის სიტყვა პატონ შოთა შიშხიანზე. № 1-2

ჩხეჩხელი თამაზ — მწერალთა შეგობარი. № 1-2

მეცნიერება

გოგია რევაზ — ქართულ ელენური ურთიერთობები. № 8

გოთაძე ვახტანგ — რატომ არ მონაწილეობდა იმპერატორი პეტრე 628 წელს თბილისის აღებაში? № 5



ხელოვნება

სენ-სახსი კაშილი — ისტორია და ლეგენდა მუსიკალურ დრამაში. თარგმნა მინანო მიქელაძემ. № 9-10

წიგნების მიმოხილვა

მახაჯაშვილი სოფიკო — სტრიქონებში ჩატეული სობრანე და ფერები. № 5.

გამოსახილვები.

შეკარდნაძე ელვარდ — არჩილ სულაიაურის სლოგანს. № 11-12

აბრამიშვილი მარი — არჩილ სულაიაურს. ლექსი. № 11-12

ამაშუკელი რეზო — გემულობები. № 11-12

ამირჯინი ვახუა — გმადლობთ, მშაო არჩილ. № 11-12

აშაფარაშვილი ზურაბ, გიორგაძე გია — გამოსახილვები. № 11-12

ბენაშვილი ვერამ — დიდი მიზეზი მწუხარებისა. № 11-12

ბრეგვაძე ხაჩანა — ამაგდარი. № 11-12

გაგიჭკორი გივი — ერთადერთი გზა. № 11-12

გვერდნიშვილი გურამ — რა გაძლებს. № 11-12

დუშაძე ქეთინო — ... ვიღაცას, აღმათ, არ კულოფნის სიტობო ან არ ენდობა ამ მზიან ამინდს... № 11-12

ეპიზოდული გიორგი — კიდევ ერთი იარა. № 11-12

თახუაშვილი ლაშა, ხამადაშვილი ზაალ — გივი სულაიაურს. № 11-12

თითმერია ჭუმბერ — მე მქონდა ღრმა და ნათელი აზრი, მე მქონდა რწმენა და მე ეუცოდი, რა იყო ღმერთი. № 11-12

კლანდაძე ანა — მწარე სინამდვილეა! № 11-12

კლანდია ვენო — მშვიდობით, მაცეტრო! № 11-12

კოტიანიშვილი ეზარ — ილიას მემორიალში. № 11-12

კოტიანიშვილი ვახუშტი — ერთი მოგონება. № 11-12

ლანჩავა თეიმურაზ — ვწუხვართ. № 11-12

ლუბანიძე მურმან — მშვიდობით, მშაო არჩილ. № 11-12

მალრაძე ელგუჯა — სიყვლილი ვერ გაახუნებს. № 11-12

მალრაძე დათო — არჩილ სულაიაურს. ლექსი. № 11-12

მეხუროშვილი ტაგუ — მაღალი ნივით ცხებელი. № 11-12

ორჭონიკიძე ანა — ჭვართან მისული სერო. № 11-12

ოტარაშვილები — თავისუფლების კულტის მსახური. № 11-12

ხალუკვაძე ანზორ — რა დამავიწყებს. № 11-12

სეტრუა ლია — ელდა და ტყვიანი დავა-ტოვე... № 11-12

სორდელი ვაჟა — ბოლო ღიმილი თქვენ და-უტოვეთ „მნათობს“. № 11-12

ციხრაძეები — ღმერთო ძლიერო, უბოძე ძალა... № 11-12

კანტურია ტარიელ — გამოსახილვები უფროს მშასთან. № 11-12

პელიძე ვახტანგ — აუნაზღაურებელი დანაკ-ლისი. № 11-12

წიგნიშვილი დიდი — ღმერთო, ეს ხმა რატომ მოგვიშალე. № 11-12

ჩარკიანი ჭანსუღ — გასკდა გული... № 11-12

ხენკელი თამაზ — ზედაე, დამდება... № 11-12

ხარანაული ბენიკ — არჩილ. № 11-12

ხუხუაშვილი გიორგი — გემულობები. № 11-12

ჩაუელი ჭემალ — დრო ვერას აკლებს. № 11-12

ქოხაძე მათა — ნეტავ იმ დროს. № 11-12





●
თბილისი რუსთაველის ქ. № 25

●
ბილეთების: მთ. რედაქტორის — 99-51-61,
მთ. რედაქტორის მოადგილის 99-91-00, კ/მგ.
მდიანის 99-91-00, და განყოფილებების —
99-91-00.

გაღეცა ანაწილად 23. 10. 97 წ., ხელმოწერი-
ლია დასაბეჭდად 26. 11. 97 წ., ანაწილების ზომა
71/4 X 12, ჭაღალდის ფორმატი 70 X 108, ფი-
ზიკური ნაბეჭდი ფურცელი 17,75, პირობითი ნა-
ბეჭდი ფურცელი 24,85. სააღრ.-საგამომცემლო
თაბახი 17,75, ტირაჟი 700. შეეკეთა 1407.
ერთნაღვაზეთების გამომცემლობა „საშობლო“,
კოსტავას ქ. № 14.

98-10

7 420/2

97-164

3560 | 2560, 50 000060

საქართველოს
საგარეო ურთიერთობების
76125
მინისტრო